

ლევით ლეპქეჩეკე

ლიტერატურული
მერიდიანები



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1986

წიგნში რუსული და ევროპული ლიტერატურის
პროგრესული ტენდენციების ფონზე ნაჩვენებია ახა-
ლი ქართული ლიტერატურის განვითარების პროცე-
სი, განხილულია ქართულ-ევროპული ლიტერატურუ-
ლი ურთიერთობანი.

Лашкарадзе Давид Виссарионович
ЛИТЕРАТУРНЫЕ МЕРИДИАНЫ

(На грузинском языке)


Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1988

4603010202—152

Л _____ 274—88

М 601 (08) 88

ISBN 5—529—00122—X



მეროკვიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში

თეიმურაზ პირველიდან ნიკოლოზ ბარათაშვილამდე

შ ე ს ა ვ ა ლ ი

როგორც არაერთგზის აღნიშნულა, ისტორიული ავბედობის გამო, საქართველო თუმცა დიდი ხნით იყო მოწყვეტილი ევროპის ცივილიზაციას და კულტურას, — განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, როცა ოსმალეთმა საიმედოდ ჩაქეტა წინა აზია და აღმოსავლეთიან დასავლეთის ურთიერთობის გზებმა ჩვენი ქვეყნიდან სამხრეთისაკენ გადაინაცვლა, — მაგრამ არასოდეს ყოფილა მთლიანად მისგან იზოლირებული და დასავლეთის კულტურის ძლიერი ტალღის თუნდაც სუსტი ნაკადი მაინც აღწევდა საქართველომდე ან უშუალოდ ევროპიდან, ან ჩრდილოეთის გზით — რუსეთის მეშვეობით.

დიპლომატიურ ურთიერთობას ერთმორწმუნე ჩრდილოეთსა და საქართველოს შორის, რომლის მოღვაწეთა დაინტერესებას რუსეთით ჭერ კიდევ XI-XII საუკუნეებში ადასტურებს იზიასლაეთან დამოყვრება და თამარ მეფისა და ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟის — გიორგის უიღბლო დაქორწინება, უკვე XV საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი¹. მომდევნო საუკუნეებში განუწყვეტელი თავდასხმებით განაწამები და თავგასული მტრის წინააღმდეგ ძლიერი და საიმედო მოკავშირის მაძიებელი საქართველოს ცდა — მყარი და რეგულარული ხასიათი მისცემოდა ამ ურთიერთობას — სათანადო გამოძახილს პოულობდა რუსეთის მხრივაც. მეფე ალექსის მიერ საქართველოში წარმოგზავნილი ელ-

¹ ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1956, გვ. 235.

ჩები, რომლებიც დაკვირვებით სწავლობდნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას და თეიმურაზ პირველის გამგზავრება რუსეთში, პეტრე დიდის დამოკიდებულება ვახტანგ VI-სთან, რომლის გამოყენებაც სურდა მას სპარსეთის ბაზრის მოსაპოვებლად და რუსეთის კაპიტალის თითქმის გაბატონებული მდგომარეობა განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, კარგად გამოხატავს XVII — XVIII საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაცხოველებას. და მაინც, თვით XVIII საუკუნის დასასრულამდე, თავისი სამხრეთის საზღვრების ბედით არცთუ სისხლხორცეულად დაინტერესებული და აღმოსავლეთთან ურთიერთობის პოლიტიკით ნაკარნახევი დიპლომატიური მოსაზრებების გამო, ჩრდილოეთის იმპერია თუმცა კი თანაუგრძობდა და მორალურადაც მხარს უჭერდა საქართველოს, მაგრამ რეალური დახმარების ნაცვლად, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ დაპირებებით კვებავდა ქართველთა ელჩებს. სამაგიეროდ რუსული ორიენტაციის ყოველი გამოვლენა სულ უფრო ანრისხებდა ირანის შაჰს და ოსმალეთის სულთანს, რომლებიც სისხლით რწყავდნენ ფეოდალური შინააშლილობით ისედაც დასუსტებულ ქრისტიანული სარწმუნოების ქვეყანას. ასეთ პირობებში საქართველოს მოღვაწენი ხშირად იძულებულები იყვნენ ისევ რუსეთში ეძებნათ თავშესაფარი, სადაც რუსულ კულტურასთან ერთად ევროპიდან შემოჭრილ იდეებსაც ეცნობოდნენ და ამ იდეების პროპაგანდისტები ხდებოდნენ. სწორედ ამ გზით შემოიჭრა ჩვენში XVIII ს. დასასრულს და XIX ს. დასაწყისში დიდი ევროპელი განმანათლებლების — მონტესკიეს, რუსოსა და სხვათა შეხედულებანი.

იმავე მიზნით, რაც ამოძრავებდა საქართველოს, განემტკიცებინა კავშირი რუსეთთან, მას მრავალჯერ უცდია დაემყარებინა ურთიერთობა ევროპასთან. თავის მხრივ, ევროპაც ადრე შუასაუკუნეებიდან დაწყებული, როცა რომის პაპი საქართველოს ჩაბმასაც ცდილობდა ჯვაროსნულ ომებში, გარკვეულ ინტერესს იჩენდა ქვეყნისადმი, რომელიც „მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში... წარმოადგენდა გზაჯვარედინს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის“² და რომლის შესახებ XVII ს. ფრანგი ნეგოციანტი ჟან შარდენი წერდა: „საქართველოში ყველას აქვს უფლება იცხოვროს თავისი რჯულისა და ჩვეულებებისამებრ, თავისუფლად ილაპარაკოს ამ საგნებზე და დაიცვას თავის შეხედულებათა“³.

2 გ. ჟორდანი, უცხოელი მოგზაურების ცნობები საქართველოს შესახებ XVII ს., „მნათობი“, 1962, № 8, გვ. 174.

3 ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმნილი. ფრანგულადან ე. ბარნოვის მიერ, სახელგამი, 1935, გვ. 85.

ეს ინტერესი კვლავ გაცხოველდა განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან აღმოსავლეთის ბაზრებზე გაბატონების დაუოკებელი მისწრაფების შესატყვისად, რაც ევროპაში სავაჭრო კაპიტალისა და სასაქონლო მეურნეობის განვითარებით იყო პირობადებული. ამის შესაბამისად ევროპული კაპიტალი, რომელსაც „აღმოსავლეთისაკენ გზას უკაფავდა ჭვარი და სახარება“⁴, სულ უფრო და უფრო ხშირად და მეტი რაოდენობით ავზავნიდა საქართველოშიც თავის წარმომადგენლებს, მეტადრე მისიონერებს, რომლებიც კათოლიციზმის პროპაგანდას რომ ეწეოდნენ, ევროპის ცხოვრების წესსა და კულტურასაც აცნობდნენ ქართველ ხალხს და ჩვენი ქუეყნის მრავალსაუკუნოვან კულტურაზეც უქმნიდნენ წარმოდგენას დასავლეთს, ამით აღრმავებდნენ ჩანასახობრივად არსებულ ქართულ-ევროპულ ურთიერთობას.

ამ ურთიერთობის განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი იმავე მისიონერების მეშვეობით 1629 წელს რომში დაარსებულმა პირველმა ქართულმა სტამბამ, რომლის გამო მ. თამარაშვილი წერს: „რომში პატრებმა დააარსეს პირველად ქართული საბეჭდავი. გამოსცეს წიგნები და მით ევროპას ჩვენს ერთან ერთად გააცნეს აგრეთვე ჩვენი ენა და ლიტერატურა“⁵. ამ პერიოდში რომშივე ჩამოუყალიბებიათ ქართული ენის კათედრაც და „საქართველოს მიზეზით“⁶ დაარსებულ პროპაგანდის კოლეგიაში სხვა ენებთან ერთად ქართული ენისთვისაც საპატიო ადგილი დაუთმიათ. „...ამასთან, — განაგრძობს თამარაშვილი, — ბევრი ქართველის შვილებს გზა გაუხსნეს ევროპაში, მაღალ სასწავლოში სწავლა მიიღებინესო“⁷. ცხადია, სამშობლოში დაბრუნებული, ევროპულად განათლებული ქართველები იმ კულტურის შემომტანიც იქნებოდნენ ჩვენში.

ევროპასთან ურთიერთობის დამყარების სერიოზული ცდა იყო თეიმურაზ I-ის მიერ საგანგებო მისიით იქ წარგზავნა ნიკიფორე ირბაქისა (ირუბაქიძე — ჩოლოყაშვილი, შემდგომ სამეგრელო-აფხაზეთის კათოლიკე პატრიარქი), რომელსაც ესპანეთში, გერმანიასა და იტალიაში უმოგზაურია, ბოკემიაში, უნგრეთში, პოლონეთში, შვეიცარსა და საფრანგეთშიც ყოფილა. თუმცა ევროპაში ამ მოგზაურობის შედეგად თეიმურაზის ელჩს მხოლოდ პაპის „მოციქულებრივი ლოცვა-კურთხევა“ მიუღია (როგორც მ. თამარაშვილი შენიშნავს, იმ დროს დასავლეთი სპარსეთს

4 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბილისი, 1952, გვ. 211.

5 მიხ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 298.

6 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბილისი, 1952, გვ. 211.

7 მიხ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 298.

მეგობრულად ეპყრობოდა, „რათა მასაც ევროპელებთან ერთად ებრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ“⁸ და საქართველოს გამო შაჰთან ურთიერთობას არ გაირთულებდა), მაგრამ ამ მოგზაურობას ქართულ-ევროპული ურთიერთობის თვალსაზრისით მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის, რომ იტალიურ ენას დაუფლებულმა ნიკიფორე ირბაქმა ქართულ-იტალიური ლექსიკონი შეადგინა და. ეს ლექსიკონი 1629 წელს დაბეჭდა კიდეც რომში.

დასაყლებთან ურთიერთობის დამყარება უცდია ვახტანგ V-ს, რომელსაც მიმოწერა ჰქონდა პოლონეთის მეფე იან კაზიმიერთან. შარდენის ცნობით, რომელიც 1671 წელს ყოფილა თბილისში, მას კაპუცინები გაუგზავნია მეფესთან თხოვნით — ერევანამდე მცველები გამაყოლეო. ვახტანგ V-ს „ასე ეთქვა კაპუცინებისათვის, — წერს შარდენი, — ძლიერ მიყვარს ევროპელები და მსურდა უფრო მეტი ხანი დარჩენილიყო (შარდენი. — დ. ლ.) ტფილისში, რათა უფრო კარგად გაეცნო ეს ქალაქი... მერე კაპუცინებმა მიამბეს: მეფე ბევრს გველაპარაკა იმაზე, რომ ძლიერ მსურს ევროპელები დაბინავდნენ საქართველოში და გვიბრძანა ვითხრათ, რომ თუ აღებ-მიცემისათვის მოვლენ ისინი, განვათავისუფლებ ყველა გარდასახადისაგან და მივანიჭებ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც კი მოისურვებენო. ჩემი საბრძანებელია შავ ზღვამდინ, დიდი გავლენა მაქვს სპარსეთში, დიდი პატივი ოსმალეთშიო; ამიტომ ევროპელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისათვის ვერ, იპოვნიან ჩემ სახელმწიფოზე უკეთეს გზას. გარწმუნებთ, რომ თუ ერთხელ სცადეს ამ გზაზე წამოსვლა, მერე სხვა გზას აღარ დაადგებიანო“⁹.

მიუხედავად ევროპასთან მტკიცე ურთიერთობის დამყარების დიდი სურვილისა, ვახტანგს სპარსეთის შიშით აქტიური მოქმედება ვერ გაუბეძია, ფრანგ სოფდაგრებთან მიმოწერაზეც კი ხელი აუღია და შარდენისათვის ტფილელის პირით შეუთვლია, სპარსეთის მორჩილი ვარა და ვაითუ მისმა დრდებულებამ იწყინოს, რომ მის დაუქითხავად მიწერ-მოწერა გავმართო და საქმე დავიწყოო; მაგრამ თუ „ინდოელ სოფდაგართა ამხანაგობა“ გამოგზავნიდა „თავის რწმუნებულებს“, მეფე მათ „ევროპისათვის გამოსაღდეგ“ „მრავალი საქონლის“ იაფად შოვნის იმედს აძლევდა და „რამდენადაც კი შეიძლება კარგად“ მოპყრობასაც აღუთქვამდა¹⁰.

8 მზ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 93

9 ე. ა. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, სახელგამი, 1935, გვ. 106—107.

10 იქვე.

დასავლეთთან ურთიერთობის დასამყარებლად პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა ვახტანგ VI-მ. მართალია, ვახტანგის მიერ დიპლომატიური მისიით ევროპაში წარგზავნილი სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც „მისი წარმოშობისა და ღირსების შესაფერისად“ მიიღო „მეფე-მზის“ ლუდოვიკო XIV-ის კარმა¹⁰ და პაპი კლიმენტ XI-ის კურიაშიც, სამი წლის შემდეგ იმედგაცრუებული დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ, ზემოთ აღნიშნულ ფაქტებთან ერთად, ეს მოგზაურობაც „მთელი საქართველოსაგან მამად“ მიჩნეული „სიბრძნე სიცრუის“ ღვაწლმოსილი ავტორისა იმის მაჩვენებელია, რომ სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეებს პოულობდა რუსულ-ევროპული ორიენტაცია.

რუსულ-ევროპული პოლიტიკური ორიენტაციის ზრდასთან ერთად ქართულ მწერლობაშიც სულ უფრო იდგამდა ფესვებს ახალი ლიტერატურული ტენდენცია, რომელიც XIX საუკუნეში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, — როცა ქართველმა ხალხმა თავისი ბედ-განუყრელად დაუკავშირა ერთმორწმუნე ჩრდილოეთს და ცხადი გახდა „ქართველი ხალხის განვითარების გზი: რუსეთის გზით ევროპასთან“¹¹, — გაბატონებულ მიმართულებად იქცა.

რუსეთთან შეერთება წარმოადგენდა გარეშე თუ შინაურ მტრებთან ბრძოლებში სისხლდაწრეტილი ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისაგან ხსნის ერთადერთ გზას. სწორედ რუსეთთან შეერთების შედეგი იყო, რომ, ი. ჭავჭავაძის აღნიშვნისამებრ, „საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა“ და „დამშვიდდა დიდი ხნის დაუშვილებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა მტრის ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე, გაპქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მართო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრად და გვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჭვრისთვის ჭვარცმულ საქართველოს“¹².

გარდა ამისა, საქართველოს რუსეთთან შეერთებამ განსაზღვრა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ახალი, კაპიტალისტური გზაც. ხელი შეუწყო ეროვნულ კონსოლიდაციას და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას და ამასთანავე რომანოვებისა და პურიშკევიჩების გვერდით არსებული რილეევისა და ბესტუჟევის, პუშკინის, გრიბოედოვისა

¹⁰ ნ. ბერძენიშვილი, ი. ჭავჭავაძის შვილი, ს. ჭანაშია, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1950, გვ. 410.

¹² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. IX, 1935, გვ. 216—217.

და ლერმონტოვის რუსეთის გზით ფართოდ გაედო კარი საქართველოში ევროპის მოწინავე ცივილიზაციას და კულტურას, რომელიც არცთუ უმტკივნეულოდ, მაგრამ ძლიერამოსილად იკაფავდა გზას და, „შემდგომად ექვისის ბნელის საუკუნის“¹³, „წესრიგისა და კეთილდღეობის შუქი საგრძნობლად“ შემოიჭრა საქართველოში და „ძველი კოლხეთის ჰორიზონტი გააციხროვნა“¹⁴.

ამიტომაც, თუმცა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწენი აქტიურად ებრძოდნენ მეფის რუსეთის თვითმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკას, მაგრამ სრულიადაც არ უარყოფდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების დიდ მნიშვნელობას, როგორც „აზიური ქვეყნის ევროპიულ განათლების საფეხურზე“ აყვანისა და „საზრდოს მაძიებელ“, კავკასიის ქაბუჯ შვილთა აზრისა და გონებისათვის გზის გამხსნელ საშუალებას.

სწორედ რუსეთთან შეერთებამ მისცა საშუალება ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილს, ახლო გაცნობოდა ევროპის კულტურას, რომელსაც იგი „მზის ნაპერწკალს“ ადარებდა და, ს. დოდაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მცირედ მცირედ მაინც გაეგრცელებინა მზის მაგის ნაპერწკალი“¹⁵ ჩვენს ქვეყანაში.

საქმე ისაა, რომ ეპოქის სულის შესატყვისად ქართველი მოღვაწენიც სწორედ „მზის ამ ნაპერწკალს“ გავრცელებას, ხალხის განათლებას მიიჩნევდნენ ქვეყნის კეთილდღეობის ძირითად საწინდრად, რაც აშკარად გამოხატა XIX ს. პირველი ნახევრის გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ ს. დოდაშვილმა, რომელიც პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების ყველაზე მოწინავე ნაწილის შეხედულებებს გამოთქვამდა.

ს. დოდაშვილს, როგორც ჭეშმარიტ განმანათლებელს, ნამდვილად სწამდა, რომ „განათლება არს უუმტკიცესი და უუსაიმედოვესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა“¹⁶ და იმაში ღრმად დარწმუნებული, რომ „ზნეობითა და ფიზიკურთა ნიჭთა შინა თვისთა... მსგავსად შვილთა ძველისა ელადისათა“¹⁷ დაჯილდოებული, მაგრამ ისტორიული ვითარებით გაპირობებული ძნელბედობის გამო ეკონომიურად და კულტურულად დაქვეითებული ქართველი ერის წელში გამართვის საიმედო გზა განათლების დანერგვა იყო, თჳისი მოღვა-

13 ს. დოდაშვილი, თხზულებანი, ა. ბოკორიშვილისა და ს. ხუციშვილის რედაქციით, 1961, გვ. 228.

14 იქვე, გვ. 217.

15 იქვე.

16 იქვე.

17 იქვე.

წეობის მთავარ დანიშნულებად ქართველ ხალხში ევროპული განათლების გავრცელებას მიიჩნევდა და ამავე დროს ქართული კულტურის "შესწავლას, სათანადო დაფასებას და მსოფლიო ასპარეზზე გატანას თვლიდა. ნაშრომში „მოკლე განხილვა ქართულის ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)“, რომელიც თბილისის უწყებათა „სალიტერატურონი ნაწილის“ პირველ ორ ნომერში გამოქვეყნდა და ქართული ლიტერატურის რეტროსპექტული მიმოხილვის პირველი ცდაა, დოდაშვილი მკითხველს პირუთვნელ გარჩევას პირიდებოდა ქართული მწერლობისა, „რომელიცა აქომამდე, წყვილიდა შინა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათაგან ევროპისათა“¹⁸ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.). ხოლო იმავე სალიტერატურო ნაწილის მეხუთე ნომრის ბოლოს მოთავსებულ განცხადებაში პირველი ქართული ლიტერატურული გაზეთის რედაქტორი დაბეჭდილებით მიმართავდა საზოგადოებას — გამოეწერათ ეს გაზეთი, „რათამცა მისცემოდა ესეთგვარსა სასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწვევებლად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩვენისა. მიახლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპისათა“¹⁹ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საკმარად იყო მომზადებული ნიადაგი „მიახლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპისათა“. ამიტომაც ჩვენში შედარებით სწრაფად გავრცელდა ევროპული ცხოვრების წესი და საუკუნეებით გაბატონებულ აღმოსავლური ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა გვერდით თამამად შემოიჭრა ევროპული ცივილიზაცია. 1853 წლის „კავკაზის“ 22 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ ნ. დუნკელ-ველინგის ფელეტონში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, როგორ ღებულობდა „ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტად ევროპულ იერს“ თბილისი. „საუკუნეების მანძილზე ძველ საქართველოში შექმნილ ჩვეულებებთან ხელიხელჩაკიდებული მოდის ევროპული კომფორტი, განათლება. ისინი არ გაუბრძანებენ ერთმანეთს და მოხდენილი სტუმრის ყოველი ნაბიჯი სულ უფრო და უფრო ატყვევებს მშვენიერ დიასახლისს, რომელიც გაუჩვეველი, ტკბილი წინათგონობით ხედავს მასში თავის მბრძანებელს“, წერდა იგი ამ ფელეტონში და განაგრძობდა: „პირდაპირ გაოცებთ ეს დაახლოება, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გხვდებათ. აგერ, ადგილობრივი მცხოვრები — ტანწერწერა ასული, რომელსაც ჭერ კიდევ ვერ გაუბეღია გამოემწვიდობოს თავის თვალწარმტაც ჩიხტიკოსს, მაგრამ ცდუნებისაგანაც ვერ შეუქავებია თავი და ევროპული კაბა ჩაუცვამს; იქ ყმაწვილკაცებს მო-

¹⁸ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, კ. ბოქორიშვილისა და ს. ხუციშვილის რედაქციით, 1961, გვ. 198,

¹⁹ იქვე, გვ. 219.

ხუცი მამებისათვის მიუხედავიათ. ეროვნული ტანსაცმელი, თავად კი სამხედრო მუნდირები ჩაუცვამთ, ან პარიზისა და ლონდონის უკანასკნელი მოდის მიხედვით გამოწყობილან... შინ სპარსულ ხალიჩაგადაფარებული და რბილი მუთაქებით გაწყობილი ძველი ტახტები ზამბარებიან ავეჯს და სარკეებს შეუცვლიათ, ხოლო გისოსების მაგიერ მდიდრული ფარდებით მორთულ ფანჯრებიდან ზურნასთან ერთად დაბალ ფენებში გადასული ეროვნული დაირისა და ჩონგურის ნაცვლად მოისმის როიალის ხმა²⁰.

ევროპულ ცივილიზაციასთან ერთად შემოჭრილი ევროპული ლიტერატურული გემოვნება ნაკლებ შემარიგებლობას იჩენდა აღმოსავლური მწერლობის მიმართ. ცნობილი ქართველი მოღვაწე დ. ბაქრაძე წერილში „საქართველო და ქართველები“, რომელიც 1851 წლის „კავკაზის“ მეცამეტე ნომერშია გამოქვეყნებული, ეხება ქართულ ლიტერატურასაც და მთავარ ნაკლად ქართველი პოეტებისა, რომლებიც, მისი აზრით, მხოლოდ იმით განსხვავდებიან სპარსელებისაგან, რომ სხვა ენაზე თხზავენ, გადაჭარბებულ ჰიპერბოლიზმს, უცნაურ შედარებებს და, ფორმის შესაბამისად, სინამდვილისაგან მოწყვეტას მიიჩნევს. საყურადღებოა, რომ აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული პოეზიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში თითქმის საყოველთაო მოვლენად იქცა, რაც დასავლური ლიტერატურისადმი გაღვიძებული დიდი ინტერესისა და მისი გავლენის უეჭველი შედეგი იყო.

უდავოა, რომ XIX საუკუნის ქართული კულტურის მოღვაწეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული სპარსული პოეზიის დიდი და ნაყოფიერი გავლენა ქართულ კლასიკურ ლიტერატურაზე, მათ შორის შოთა რუსთაველის პოემაზეც. თვით XVII—XIX საუკუნეებში, ქართული ლიტერატურის ძველი სტადიიდან ახალ სტადიაზე გადასვლის პერიოდში, მშობლიური ლიტერატურის თვითმყოფობისათვის დამაშვრალი ჩვენი მწერლები (ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი) წარმატებით სარგებლობდნენ სპარსული პოეზიის მხატვრული გამოცდილებით. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ე. წ. აღორძინების პერიოდში ქართული პოეზიის განახლების, მთელი მისი ლიტერატურული ანსამბლის გარდაქმნის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მოგვიანო ხანის სპარსული პოეზიის ნიმუშებისადმი ბრმა მიბაძვის დაძლევა.

საქმე ისაა, რომ კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ აღმოსავლეთ დამპყრობთა გარემოცვაში მოქცეული და ეროვნული დამოუკი-

²⁰ „Кавказ“, 1853, № 53, стр. 1.

დებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში სისხლდაცლილი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება სულ უფრო და უფრო ექცეოდა სპარსული გავლენის ქვეშ, რაც ლიტერატურაში გამოიხატა „სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის არა კლასიკურ, არამედ თემურიანთა და სეფიანთა დროის წარმომადგენლების“ მხატვრული ნიმუშების თარგმნით (ალ. გვახარია, სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი თეიმურაზის შემდეგ. იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად. ტ. II, თბილისი, 1966 წ., გვ. 337) და მათდამი მონური მიბაძვით, როცა „მიმბაძველნი იმეორებდნენ არა მარტო სიუჟეტებს. არამედ კომპოზიციურ დეტალებს და მხატვრულ ხერხებსაც კი“ (იქვე, გვ. 337). სეფიანთა და თემურიანთა ლიტერატურაში კი (როგორც აღნიშნულია აკად. ნ. ი. კონრადის რედაქციით გამოცემულ სახელმძღვანელოში „აღმოსავლური ლიტერატურა შუა საუკუნეებში“. ნაწილი II. 1970 წ., გვ. 204) სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება „შემოქმედებითი აღმავლობის გაქრობა“ და „მთელი ლიტერატურული პროცესის განმსაზღვრელ ნიშნად გვევლინება ნოვატორული, პუმანისტური 'საწყისის' დაცემა“.

აღნიშნული პერიოდის სპარსული ლიტერატურის დეკადენტური ხასიათი, აზრის ხარჯზე ფორმალისტური ვარჯიშით და მანერულობით უსაზღვრო გატაცება აშკარად ეტყობა ფართოდ გავრცელებულ მრავალ ენარს ლირიკისა და მათ შორის, განსაკუთრებით, მუამას.

„მუამა — აღნიშნავს აკად. ბერტელსი — აშკარად გამოხატავს XV ს. ლიტერატურის ძირითად ტენდენციას — ტექნიკის თანდათანობით გართულების გზით ფორმის უკიდურეს დახვეწილობას და შინაარსის სრულ ლიკვიდაციას. მუამაში შინაარსი საბოლოოდ არის დაყვანილი ნულამდე. არ არის არც აზრი, არც გრძნობა, არის მხოლოდ სიტყვების, თვით სიტყვათა ნაწილაკების შიშველი თამაში და მეტი არაფერი. მუამაზე გადასვლით, დაკარგა რა ყოველგვარი საზოგადოებრივი ღირებულება, ლიტერატურამ თვითმკვლელობისათვის გაწირა თავი“ (E. Э. Бертельс. Джамии: эпоха, жизнь, творчество, Душанбе, 1949, стр. 49—50).

ცხადია, იმ პერიოდის სპარსულ პოეზიაშიც მოიპოვება ღრმად იდეური, მაღალმხატვრული ღირსების ნაწარმოებნი. მაგრამ, გარკვეულ მიზეზთა გამო, ე. წ. აღორძინების პერიოდის ქართულ მწერლობაზე (რომლის წარმომადგენლები სპარსულ ენას კარგად დაუფლებული მაღალი წოდების პირნი იყვნენ) გავლენას ახდენდა სპარსული კომპენტენტური ლიტერატურა, რომელიც საზოგადოების გაბატონებული ნაწილის გასართობად და მისი გემოვნების კარნახით იწერებოდა. სწორედ ასეთი, შინაარსისაგან დაცლილი, უნაყოფო ფორმალისტური და დოგმატური

სპარსული პოეზიის გავლენის დაძლევის აუცილებლობის შეგნებამ განაპირობა ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეთა უარყოფითი დამოკიდებულება მოგვიანო ხანის სპარსული პოეზიის მიმართ და ცხოველი ინტერესი რუსული და დასავლეთევროპული ლიტერატურისადმი.

სიმპტომატურია, რომ საკვლევ პერიოდში თარგმნილი ლიტერატურა (რომლის დიდი უმრავლესობა შესრულებულია რუსული თარგმანებიდან) გამოირჩევა იდეური მიზანდასახულობით და აქტუალურობით.

როგორც გამოქვეყნებული, ისე ხელნაწერების სახით ჩვენამდე მოღწეული მასალის შესწავლა საფუძველს გვაძლევს დაბეჭდვით ვთქვათ, რომ სამშობლოს ბედზე მზრუნავი ქართველი მოღვაწენი რუსული და დასავლეთევროპული ლიტერატურიდან, როგორც წესი, თარგმნიდნენ ისეთ თხზულებებს, რომლებშიც გაშუქებული საკიბოროტო საკითხები შეესატყვისებოდნენ საქართველოს საარსებო ინტერესებს. სათარგმნი თხზულებების შერჩევისას მთავარი ყურადღება ექცეოდა შინაარსს, და არა ფორმას, გამოსახვის მხატვრულ დონეს. აღსანიშნავია ისიც, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად ითარგმნებოდა ფილოსოფიური ნაწარმოებნი და პოლიტიკური ტრაქტატები. სწორედ იმ პერიოდში ითარგმნა ბაუმისტერის, ანსილისნის და კონდილიაკის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრევნი, მონტესკიეს, ვოლტერის, რუსოს და მათ მიმდევართა „ეპოქის ამაღლვებელ იდეათა“ შემცველი შრომები.

XIX საუკუნის დასაწყისში ქართველი საზოგადოება მშობლიურენაზე გაეცნო პეტარაკას, შილერის, პიუგოს, მიცკევიჩის და სხვათა შემოქმედების ზოგიერთ ნიმუშს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ცისკარმა“.

„ცისკარის“ 1857 წ. პირველ ნომერში მოთავსებულია XVIII ს. ფრანგი მწერლის მარმონტელის „მეუდაბნოენი“, რომელიც სარდიონ ალექსი-მესხიშვილს უთარგმნია. ამ თარგმანის გამო წარმოებული კამათი, რომელიც ნ. ბერძნიშვილმა წამოიწყო, საყურადღებო მასალას შეიცავს ქართული მწერლობის დამოკიდებულების გასარკვევად როგორც მთარგმნელობითი ლიტერატურის პრობლემებისადმი, ისე ქართული ლიტერატურის განახლების აჩქარებული პროცესისადმი, რომლის აღსანიშნავად უკვე იმ პერიოდში გამოყენებულ იქნა ცნება „ევროპეიზმი“.

1857 წლის „კავკაზის“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ნ. ბერძნიშვილი ახლად დაარსებულ ჟურნალს ამოცანად უსახავდა დახმარებოდა ხალხს საკუთარი თავის შეცნობაში, ხოლო ხალხის

განათლების, მისი თვითშეცნობის წყაროდ მიიჩნედა ამავე ხალხში წარმოშობილ, სახალხოდ ქცეულ მშობლიურ პოეზიას, რომელიც ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებას ასახავდა, ქვეყნის ქირ-ვარამს ეხებოდა და მაღალმხატვრული ღირსებით გამოირჩეოდა. ამ გზით მიაჩნდა ბერძნისშვილს შესაძლებელად, რომ საქართველოში დამკვიდრებულიყო როპეიზმი, რომელსაც, მისივე სიტყვებით, „ჩერ კიდევ მცირე წარმატება“ ქმონდა ჩვენს ქვეყანაში.

ცხადია, ბერძნისშვილი სრულიადაც არ უარყოფდა ევროპეიზმს: გზაზე დამდგარი ქართველი ხალხისათვის თარგმნილი და გადმოკეთებული ლიტერატურის მნიშვნელობას, „რათა გაგვაცნოს სხვა ქვეყნებისა და ხალხების დიდი პოეტები“²¹, მაგრამ „ცისკარის“ რედაქტორს „მეუღლებნოენის“ გამოქვეყნების გამო იმითომ საყვედურობდა, რომ მარმონტელის თხზულებას ჩვენი ქვეყნისათვის შეუფერებელ ნაწარმოებად რაცხდა. ხოლო ლუდოვიკო XV-ს დროინდელ და იმ ხანად უკვე თვით საფრანგეთში მივიწყებულ მარმონტელს ისეთ მწერლად მიიჩნედა, რომელსაც „არაფერი აქვს საერთო ჩვენს ლიტერატურასთან“²².

ს. ალექსი-მესხიშვილმა იმავე წლის „კავკაზის“ მეთერთმეტე ნომერში უპასუხა ბერძნისშვილს, იგი უმართებულოდ თვლიდა ბერძნისშვილის შენიშვნას, განსაკუთრებით მის მოთხოვნას, გამოქვეყნებული ყოფილიყო „ყარამანიანი“ და მისი მსგავსი თხზულებანი, რადგან, ს. ალექსი-მესხიშვილის აზრით, ზღაპრული სიუჟეტის მქონე, სპარსულ-აღმოსავლური ხასიათის ეს ნაწარმოები იმ პერიოდში იყო შექმნილი, როცა ქვეყნის „მშვიდობიანობა მოითხოვდა შეგვებოდით ისლამიზმს“, მაგრამ მას შემდეგ, რაც შევეუერთდით რუსეთს, რომელიც ცდილობს დაგვაახლოოს ევროპის ცივილიზაციას, უცნაური იქნება „დაუბრუნდეთ უეცობის და ისლამიზმის ცურწმენასო“²³; ამტკიცებდა ს. ალექსი-მესხიშვილი თავის „ანტიკრიტიკაში“.

ბ. ბერძნისშვილს გამოეკამათა ა. სავანელიც, რომლის აზრით, ზღაპრის კითხვის დრო დიდი ხანია წავიდა და. რა თქმა უნდა. უკეთესია, ყურნალში მარმონტელი იბეჭდებოდეს, ვიდრე „ყარამანიანი“. „ვის-რამიანი“ და სხვანი „ზღაპარნი, რომელთაც ბერძენოვი გვთავაზობსო“²⁴.

ბ. ბერძნისშვილს თავისი მოსაზრებანი კიდევ უფრო დამაჭერებლად აქვს წარმოდგენილი წერილში „ქართული ლიტერატურა“. რომელიც 1857 წელს „კავკაზის“ მეთოთხმეტე და მეთხუთამეტე ნომრებშია გამოქვეყნებული.

²¹ „Кавказ“, 1857, № 4, стр. 22.

²² იქვე.

²³ „Кавказ“, 1857, № 11, стр. 57.

²⁴ „ცისკარი“, 1857, № 4. გვ. 30—31.

ამ წერილშიც ბერძნიშვილი ქართულ ორიგინალურ მწერლობა: თვლის ხალხის განათლებისა და მისი ინტერესების გამომხატველ უპირველეს საშუალებად, მაგრამ სრულიადაც არ ამცირებს თარგმნილი ლიტერატურის როლს და მას ევროპული განათლების გავრცელება-დამკვიდრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად რაცხს. მეტიც, მას სურს, რომ ჩვენი „მშობლიური ნიადაგის დამუშავებას თან ახლდეს მაცოცხლებელი ნაკადი ევროპული განათლებისა“ და ამბობს: „დე წმინდა თესლი და არა სარეველა ამ განათლებისა ანაყოფიერებდეს ჩვენს მარტივ პატრიარქალურ ყოფაცხოვრებასო“²⁵, ხოლო ასეთ სარეველად და „არაწმინდა თესლად“ მიიჩნევს მარმონტელის „სენტიმენტალურ რომანს“, რომელსაც, მისი აზრით, არაფერი აქვს საერთო დღევანდლობასთან.

დაახლოებით ამავე პოზიციიდან აკრიტიკებს ბერძნიშვილი გრ. რჩეულიშვილს მოთხრობისათვის „ცოლის სიყვარული“, რომელიც ნამდვილად სუსტი და მართლაც არაფრის მთქმელი ნაწარმოებია. დაახლოებით-თქო იმითმ ვამბობ, რომ თუმცა ბერძნიშვილი ნაწარმოების ავკარგობას აქაც იმით განსაზღვრავს, თუ რამდენად ახლოს დგას იგი ცხოვრებასთან და შეეფერება ადგილობრივ ვითარებას, რადგან ღრმად სწამს, მხოლოდ ის მისცემს „ბიძგს: ხალხის განათლებას და წარმატებას“, ის დააფიქრებს და მოახდენს მასზედ გავლენას, რაც მისთვის მახლობელი და გასაგებია, მაგრამ ამ არსებითად მართებულ დებულებას ბერძნიშვილი თარგმნილი ლიტერატურის მიმართ ძირითადად გარეგან ატრიბუტებზე ავრტყელებს, „უმრავლესობაში კითხვისადმი ნამდვილი ინტერესების „გასაღვიძებლად“, ბელეტრისტული ნაწარმოების თარგმანის ნაცვლად გადმოკეთებას უქუერს მხარს და მოითხოვს მოქმედ პირთა ევროპული სახელები ქართული სახელებით შეიცვალოს, ხოლო ევროპული კოსტუმები და „შლიაპა“ — „ქათიბით“, „გულისპირითა“ და ქართული თავსახურავით.

ეს შეხედულება ბერძნიშვილისა თარგმნილ თუ გადმოკეთებულ ბელეტრისტულ თხზულებებში ევროპული სახელების, წოდებისა და ჩაცმა-დახურვის ქართულით შეცვლის შესახებ მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ, მისი აზრით, უამისოდ ქართველი მკითხველისათვის გაუგებარი და უინტერესო იქნებოდა უცხო ქვეყნის ამსახველი ნაწარმოებები — და არა ევროპული ლიტერატურისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით. პირიქით, „სიტყვებით თამაშის“ მოყვარულ, „ხშირად აზრისა და მხატვრული უბრალოების საზიანოდ მეტაფორების, უცნაური შედარებებისა და დვლარკნილი ფრაზების გატაცებულ მოტრფიალე“²⁶

25 „Кавказ“, 1857, № 15, стр. 74.

26 „Кавказ“, 1859, № 42, стр. 223.

აღმოსავლური მწერლობის წინაშე ბერძნიშვილი ევროპულს აძლევდა აშკარა უპირატესობას, მაგრამ ევროპული ლიტერატურისადმი „მონურ მიბაძვასაც“ გამოხდა და იმ ქართველი მწერლების ნაწარმოებებს რაცხდა სანიმუშოდ, ვინც შემოქმედებითად იყენებდა სხვა ქვეყნების ლიტერატურულ მიღწევებს.

ამ მხრივ საყურადღებოა 1857 წლის „ცისკრის“ თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იგავის „თხა და მგელის“ გარჩევა. ბერძნიშვილის აზრით, ალ. ჭავჭავაძის ეს იგავი წარმოადგენს არა კრილოვის ან ლაფონტენის ცნობილი იგავის თარგმანს, არამედ მიბაძვას. რომელიც „გამოირჩევა დამოუკიდებლობით და შინაგანი და გარეგანი მშვენიერებით. უღერადობა და ბუნებრიობა ლექსისა, უბრალოება გადმოცემისა, თვალსაჩინოება, რომლითაც წარმოდგენილია იგავის მოქმედი პირნი“²⁷ მიაჩნდა ბერძნიშვილს ყოველი მხატვრული ნაწარმოების ღირსებად და მწერლობაში ევროპეიზმის განუყრელ ატრიბუტად. არანაკლებ საინტერესოა ბერძნიშვილის მსჯელობა დ. მაჩაბლის ლექსის „პირველი მაისის“ გამო. კრიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ავტორს თავი დაუღწევია გავლენისაგან აღმოსავლური პოეზიისა, რომლის „მოქარგული მკვევრმეტყველება“ გაზაფხულის ბუნების მშვენიერებას ძირითადად ვარდისა და ბულბულის ურთიერთტროფობით ამოწურავდა.

ამ მხრივ, აღნიშნავდა ბერძნიშვილი — „აღმოსავლელ პოეტებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ წარსული დროის ქართველ პოეტებზე“. მაგრამ, მისი აზრით, „ახლანდელ პოეტებში, იმ დამოუკიდებელი მიმართულების წყალობით, რომელიც უფრო ევროპისაკენ იხრება, აღმოსავლური გავლენის ჩრდილიც არ შეიმჩნევა“²⁸.

სწორედ ამ ახალი, ევროპისაკენ გადახრილი, დამოუკიდებელი მიმართულების გამო იყო აღტაცებული ბერძნიშვილი გრ. ორბელიანის „იარაღით“, რომელსაც ბერანეეს ლექსებს ადარებდა და ამბობდა, ბერანეეს ლექსების მსგავსად „იარაღშიც“, სადაც ყოველი ფრაზა სურათია მხატვრის ხელით მოხაზული, „ვაკხანური გატაცება, პატრიოტიზმი და სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარული პოეტური ნაპერწკლებით ბრწყინავენო“²⁹, ხოლო განსაკუთრებით მაღლა აყენებდა ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომლის ნამდვილი მოწოდების გამომხატველ ნაწარმოებად მიაჩნდა „ბედი ქართლისა“.

ბერძნიშვილის წინააღმდეგ გამოვიდა ლ. არდაზიანი, რომელიც კრიტიკოსს წერილის რუსულ ენაზე დაწერის გამო საყვედურობდა —

27 «Кавказ», 1857, № 14, стр. 70.

28 იქვე, 1857, № 88, გვ. 445.

29 იქვე, 1859, № 43, გვ. 230.

ვისაც სურს ქართულ მწერლობას დაეხმაროს, ქართულ ჟურნალს უნდა შეუწყოს ხელი და ქართულად წეროსო, — მკაცრ ტონს უწუნებდა და ამბობდა: „უფ. ავტორი მოითხოვს, რომ „ცისკარი“ იყოს ეგრეთვე სრული და სამაგალითო, როგორითაც ერთი რომელიმე სამაგალითო ჟურნალი ევროპისაო“³⁰. არდაზიანის აზრით, მართალია, „ნამდვილად „ცისკარი“, როგორათაც ყველა სხვა ჟურნალი, უნდა იყოს სასწავლებელი განმშვენიერებულის სიტყვიერებისა, ყოვლისა სწავლისა და ხელოვნებისა, მაგრამ ეხლა ვერ მოვთხოვთ ორი წლის „ცისკარს“ იმ სამაგალითო სურვილებსა, როგორსაცა ითხოვს უფ. ბერძენოვი“³¹, რადგან ისტორიული ძნელებდობის გამო „საქართველო დაშთა გარე ევროპის განათლებისა, ყველამ ვიცით საქართველო დამნაშავე არ არისო“³² და ახლად ფეხადგმული ჟურნალის მიმართ ლმობიერებას მოითხოვდა, რათა კრიტიკას არ დაეფრთხო თითო-ოროლა თანამშრომელი და არ ჩამოეშორებინ: ისედაც მცირე ხელისმომწერნი.

რა თქმა უნდა, არდაზიანი მართალი არ იყო. მხოლოდ მიუდგომელ, მკაცრ; სამართლიან კრიტიკას შეეძლო შეეწყო ხელი ქართული მწერლობის განვითარებისათვის და ეს ითავა კიდევ XIX ს. ქართული აზროვნების ბუმბერაზმა ი. ჭავჭავაძემ, რომელიც 1862 წელს გამოქვეყნებულ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ წერდა: „ოღონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარაებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე, ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლეჭი თან ამოჰყვება, რა ვუყოთ, ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშორთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დავგრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ“³³.

ევროპის ახალ გონებრივ მოძრაობას გაცნობილ და ბელინსკის, დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილ ახალგაზრდა ილიას, რომელიც ჯერ კიდევ „მგზავრის წერილებში“ ჩამოყალიბებული თავისი მრწამსის — „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს“ — შესატყვისად სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ეროვნული-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მწერლის მოვალეობა — „რომ წარუძღვეს წინა ერსა“. მან ისიც კარგად იცოდა, რომ ამ დიდ მისიას მხოლოდ ის შეასრულებდა, ვინც ხალხის ინტერესებს ღრმად ჩასწვდებოდა და ხალხთან ერ-

30 „ცისკარი“, 1859, № 9, გვ. 73.

31 იქვე, გვ. 74.

32 იქვე, გვ. 77.

33 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 70.

თად გასწევდა ცხოვრების მძიმე კაპანს. ქართველი ერის დიდ მამულიშვილს ღრმად სწამდა, მხოლოდ ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებულ მწერალს გაუგებდა ხალხი და მწერალიც, ხალხის წიაღში აღზრდილი, მაგრამ მასზე განათლებული და მალა მდგომი, შესძლებდა თავად კი არ დაშვებულყო სიღუბლით დაბეჩავებული, გონებაგაუხსნელი, ძვალსა და რბილში ცურწმენაგამჯდარი ხალხის ფენის ხშირად ეგოისტურ და ეიწრო ფილისტერულ მოთხოვნათა დონემდე, არამედ ხალხი აემალღებინა ქვეყნის საერთო ინტერესების შეგნებამდე და თან წაეყოლებინა იმავე ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის გზაზე. ამიტომაც იყო, რომ ილია „მგზავრის წერილებში“ სამშობლოს გარეთ გატარებულ ოთხ წელს „იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჰქუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აუღმევინოს, ცხოვრების საძიკველად, ცხოვრების წყაროს სათავედ“ თვლიდა და იმავდროულად „სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებულ ბეწვის ხიდადაც“ მიიჩნევდა, რადგან, ილიას, შეხედულებისამებრ, „ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც კაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკევანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტს“, ხოლო „ეს კვირტი კიდეე ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალეურძენაც“³⁴.

ცხადია, ილიას „ცხოვრების კვირტის გამოჰკევანძავად“ ამ შემთხვევაში რუსეთში მიღებული ცოდნა ჰქონდა წარმოდგენილი, ევროპული სწავლა-განათლება, რომელსაც „მშვენიერ და ბრწყინვალე მტევანად“ მხოლოდ ის აქცევდა, ვინც ამ განათლების არსს დაეუფლებოდა და, ორგანულად ათვისებულს, თავისი ქვეყნის პირობებს შეუფარდებდა, ერთი ზიტყვით, ვინც თავის ეროვნულ სახეს შეინარჩუნებდა, ხალხის გულს ჩასწვდებოდა და, ხალხისათვის გასაგებ ენაზე მეტყველი, ხალხის გონებასაც აამოძრავებდა.

მწერლობის მოვალეობის ასეთი გაგება, რომელსაც შეესატყვისებოდა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ბურჯის ესთეტიკური შეხედულებანი და მხატვრული პრაქტიკა, გამოხატავდა და განსაზღვრავდა კიდეც ევროპეიზმის ილიასეულ გაგებას. სახელდობრ, დიდი პოეტი და მოაზროვნე, რომლის განსაზღვრით „ლიტერატურა ხალხის ჰქუა, ხალხის გონება, გრძნობა, ჩვეულება და განათლების ხარისხია“³⁵, ქართული მწერლობის ევროპეიზმს ეროვნული ლიტერატურის ეროვნულ საფუძველზე განვითარებაში ხედავდა და დ. გურამიშვილს ევროპეიზმის პირველ შემომტანად ქართულ ლიტერატურაში იმიტომ რაცხდა, რომ იგი მიაჩნდა აღმოსავლური პოეზიის გავლენით შეწყვეტილი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, დიდად შეფერხებული ქართული

34 ი. კავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, გვ. 8.
35 იქვე, ტ. III, გვ. 37.

ლიტერატურის განვითარების ეროვნული ხაზის აღმდგენად და გამგრძელებლად, პოეტად, ვინც, ეროვნულ-ლიტერატურულ ტრადიციებზე დაყრდნობილმა, ერის ჭირ-ვარამს, ხალხის ბედ-იღბალს და ცხოვრებას უძღვნა თავისი ღალადისი.

ევროპეიზმის ნიმდევარი ილია პოეზიას ჰემმარიტების განსახიერებად რომ თვლიდა და მის მთავარ დანიშნულებად „ცხოვრების აზრის“ გადმოცემას, ერის სულისკვეთების განსახიერებას, მისი ინტერესების გამოხატვას მიიჩნევდა, თავის პირველ კრიტიკულ წერილში „ორიოდე სიტყვა შეშლილის თარგმანზედა“ მარტო იმიტომ კი არ აკრიტიკებდა რევან ერისთავს, რომ მან ცუდად თარგმნა „შეშლილი“, არამედ იმიტომაც, რომ მას „ქართულ ენაზედ გადმოსაღებად“ აურჩევია „უშვერა და გამოუსადეგი პოემა“, რომელსაც, ილიას აზრით, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ეროვნული სულიც აკლდა. ნაწარმოებში არ იყო ასახული ხალხის ცხოვრება, მისი ჭირ-ვარამი და გულისთქმა. ილიას სიტყვებით, „თუმცა „შეშლილს“ ქვეშ აწერია რუსული მოთხრობა, მაგრამ მასში მარტო ენა, ზარი, მარხილი და იამშჩიკი თუ არის რუსული, თორემ სხვა არაფერი“³⁶.

ამ მსჯელობაში ცხადად ჩანს ილიას დამოკიდებულება როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ლიტერატურისადმი, რომელსაც იგი ეროვნული მწერლობის გამდიდრების მნიშვნელოვან ფაქტორად და ორიგინალური ლიტერატურის განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა. ამავე დროს ეს შეხედულებანი მდიდარ მასალას იძლევიან ილიასეული გაგების გასარკვევად „ევროპეიზმისა“, რომლის არსად იგი ხალხის სულიერი ცხოვრების სიღრმეში ჩახედვას, მისი „უკვდავების ძარღვის შენძრევას“, „კაცად-კაცობის ვრცელი მოედნის“ წვდომას რაცხდა. „კაცად-კაცობაში“ კი ილია ზოგადკაცობრიულს გულისხმობდა, კონკრეტულ-ეროვნულიდან გამომდინარე იმ საერთოს, რაც ეკონომიურ პირობათა, საყოფაცხოვრებო დეტალთა, ზნე-ჩვეულებათა თუ ფსიქიური წყობის სხვაობათა მიუხედავად, თანაბრად გასაგებია ყოველი ერის ხალხისათვის, გამოხატავს პროგრესული კაცობრიობის გულისთქმას და შეესატყვისება მის ინტერესებს.

როგორც ცნობილია, ხელოვნების სპეციფიკად ილია „იდეის, აზრის სახეში“ გადმოცემას თვლიდა. ამიტომაც იგი ნაწარმოების შინაარსთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევდა აზრის გადმოცემის ფორმას, გამოსახვის ხერხებს, როგორც ადამიანის ემოციებზე ზემოქმედების საშუალებას და ევროპეიზმის გზაზე დამდგარი ახალი ქართული ლიტერატურის უპირატესობად ძველი მწერლობის წინაშე ისიც მიაჩნდა, რომ ახალი მწერლობის „ფორმას გამოთქმისა“ აღარ ახასიათებდა „ფი-

³⁶ ი. ჯავახიძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, გვ. 14.

გურობა და ალეგორია სპარსული ლიტერატურის გავლენის გამო³⁷. პოეზიის „ფიგურობისა და ალეგორიისაგან“ გაწმენდას კი ილია ევროპეიზმის ერთ ძირითად ნიშნად რაცხდა და გურამიშვილის დიდ დამსახურებად იმასაც აღიარებდა, რომ მან „სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან, რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში“³⁸. რაც წიგნებზე ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელიც „უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევროპეიზმის გავრცელებას“³⁹, ილია მის პოეზიაში აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული ლიტერატურის გავლენის ღრმა კვლასაც აღნიშნავდა; როგორც ფორმის მხრივ — („მაგასაც აქვს ფიგურალური ლექსიო“), ისე შინაარსის მიხედვითაც, რადგან რასინის, კორნელის, ლაფონტენისა და ვოლტერის მთარგმნელის ორიგინალურ პოეზიაში წამყვან პათოსად, ანუ, როგორც ილია ამბობდა, „მთავარ ძარღვად“ მას „სიყვარულის და ტრფიალების ჰირო და ლხინი“ მიაჩნდა. მაგრამ, ამავე დროს, ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაშივე ხედავდა ილია „საზოგადო ყოფისაგან ამოკენესილი სიტყვის“, „მამულიშვილური გულის ტკივილის“⁴⁰ სათავეს, რომელიც „მცირე ნაკადულად გამოიწურა“, „მერე, სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულა ჩვენს მწერლობაში“⁴¹ და ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში გრიგოლ ორბელიანის საგანგებო როლსაც იმით განსაზღვრავდა, რომ მან განაგრძო ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში მხოლოდ ჩასახული „მამულიშვილური გულის ტკივილის“ მოტივი და „ამას გარდა თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც, რადგან ამან სრულიად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიური სახელებით აჭრელება სიტყვიერებისა, რომელშიც, ცოტა არ იყოს, წილი უდევს თ. ალექ. ჭავჭავაძეს“⁴².

დავით გურამიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაზე გამოთქმულ ამ შეხედულებებიდან აშკარად გამომდინარეობს, რომ ი. ჭავჭავაძე, მართალია, დიდ ყურადღებას აქცევდა „ფორმას გამოთქმისა“ და ახალი ქართული მწერლობის დასაწყისს „ქართული ლექსის გამოთქმაში“ „ევროპეიზმის შემოტანას“ უკავშირებდა, მაგრამ, ჯ. ჭუმბურიძის მართებული შენიშვნისამებრ, ევროპეიზმის ცნება ილიასთან „არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ-მხატვრულ თავისებურებებს, არამედ ევროპული ლიტერატურის ტენდენციებთან,

37 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 111, გვ. 457.

38 იქვე.

39 იქვე.

40 იქვე, გვ. 208.

41 იქვე, გვ. 209.

42 იქვე, გვ. 210.

საეროდ ევროპულ-რუსულ კულტურასთან კავშირს გამოხატავს⁴³ და, ს. ჩიქოვანის შეხედულებისამებრ, „ეროვნულ სამწერლო კულტურაში იგივე პოეტური კულტურის უნივერსალობას⁴⁴ გულისხმობს. მართლაც, ილია გრიგოლ ორბელიანს მარტო იმიტომ კი არ თვლის „გამგრძელბლად ევროპეიზმისა“, რომ მან „განდევნა სპარსული კილო და მანვე დაგვანახვა პირველი, მაგრამ საუცხოო და შეუღარებელი მაგალითი ქართულის ურითმო ლექსისა, არა იამბიკოს მსგავსისა, და მით დაგვიმტკიცა. რომ ქართულს სიტყვასაც თავისი ამაღლებული ხმა ჰქონია, ეგრე საქირო ლექს-წყობის ხმოვანებისა და მუსიკისათვის“, არამედ იმიტომაც. რომ „თავისებური შეუქი მიაფინა აქამომდე დამალულ წყლულსა საზოგადოების სატიკერისასა“ და ამით „თავისი ძლიერი ბანი მისცა ახალ მიმართულებასა“⁴⁵.

რომ ილიას ქართული ლიტერატურის ახალი მიმართულების — ევროპეიზმის უპირველეს და მთავარ ნიშნად, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ ასპექტში გაშუქებული საზოგადოებრივი სატიკერების ასახვა, „აკად-კაცობის ვრცელი მოედნის გადაწვდომა“ მიაჩნდა, ხოლო „ევროპული გამოთქმა“ — ამ შინაარსის გადმოცემის შესაფერ ფორმად, რომელიც თავისთავად, ახალი შინაარსის გარეშე გამოყენებული, არ ქმნის პრინციპულ სხვაობას ძველსა და ახალ მწერლობას შორის, ეს ცხადად ჩანს როგორც პასუხიდან“, სადაც იგი ცრუ-კლასიკური მიმართულების მწერლებად თვლის იმათ, „რომელთაც მიბაძეს მარტო გარეგან ფორმასა ჩვენი უკვდავის რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისას“ და ვერ გაიგეს კი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თუ არის უკვდავი, არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავისი შინაგან ლირსებაებით“⁴⁶, ისე წერილიდან „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“, რომლის მიხედვითაც ილიას განზრახული ჰქონდა ფაქტებით დაემტკიცებინა, რომ ნაწილი „ეხლანდელი მწერლებისა“ ჰბაძავს „მაგ ევროპულ გამოთქმასა, მაგრამ თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით ძველსა ჰგვანან“⁴⁷. ეს შეხედულებანი კიდევ უფრო ნათლად არის წარმოდგენილი და დასაბუთებული ილიას წერილებში „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ და „წერილები ქართულ ლიტერატურაზედ“, საიდანაც არის ამოწერილი ზემოგანხილული მსჯელობა ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის შემოქმედებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ 1887 წელს არის დაწერილი, ხოლო „წერილები ქართულ ლიტერატუ-

43 ქ. ჭუშუბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, 1966, გვ. 233.

44 ს. ჩიქოვანი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 108.

45 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 211.

46 იქვე, გვ. 455.

47 იქვე, გვ. 457.

რაზედ“ — 1892 წელს, ე. ი. პირველ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების დაწერიდან 25—30 წლის შემდეგ, ორივე წერილში ილია ლიტერატურის დანიშნულებაზე და ქართული ლიტერატურის ახალ მიმდინარეობაზე — ევროპეიზმზე — იმ პირველ წერილებში წამოყენებულ დებულებებს ავითარებს და ასაბუთებს, ამიტომაცაა მიზანშეწონილი მათი აქ განხილვა.

წერილში „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ ილია შოთა რუსთაველს მსოფლიო მასშტაბის პოეტად იმიტომ თვლის, რომ მან „უტყუარმა და მართალმა ბუნების წინაშე“⁴⁸, „კაცად-კაცობის ვრცელი მოედნის“⁴⁹ მწვდომმა, ზოგადკაცობრიული ხასიათები გამოჰკვეთა და „საოცრად ღრმად ცოდნა ადამიანის გულისა დაგვეანახვა“⁵⁰.

დიდი პოეტისა და მოაზროვნის უკვდავი პოემის გმირები, ილიას შეხედულებისამებრ, „ყველაზედ უწინარეს ადამიანები არიან და, მაშასადამე, ზოგადი ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილი და აგებულინი“⁵¹, ცხადია, რუსთაველი შვილი იყო თავისი ერისა, ხოლო „ყოველი ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისი სამკაულით აკაზმინებს, თავისი საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველ ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედებისას“⁵², მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს, რომ მწერლის მიერ შექმნილი ხატი ზოგადსაკაცობრიო ხასიათისა იყოს. პირიქით, როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ კონკრეტულ-ეროვნული წარმოდგენს საფუძველს „საერთო კაცობრიულისა“, „რომლის მეტ-ნაკლები გამოხატვა ერთად-ერთი საზომია, ერთად-ერთი საწყაოა მწერლის შემოქმედების ძალის მეტ-ნაკლებობისა“⁵³ და რუსთაველიც ინიტომ არის გენიოსი, რომ „მისი შემოქმედების ძალა სწვდება, ზოგადკაცობის ტიპსა“ და ეროვნული სამკაულების მომარჯვებით გამოხატული მისი გმირები ტარიელის, აეთანდილის, ფრიდონისა და სხვ. სახით ისეთივე შვილები არიან „მთელი კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო... და სხვანი ამისთანანი“⁵⁴. სწორედ ეროვნული სამკაულების მომარჯვებით შესძლო „ღრმა კაცად-კაცის მცოდნემ“ ცხოვლად დაეხატა თავისი გმირების ავკარგიანობა „განსაკუთრებული მათისავე მოქმედებით, ქცევით, სიტყვა-პასუხით, გულისთქმისა და საქციელის ერთმანეთზე დამოკიდებულებით, ეპიზოდების ერთმანეთისაგან წარმომდინარეობით“⁵⁵ და

48 ი. ჰაქიაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 111, გვ. 177.

49 იქვე, გვ. 175.

50 იქვე, გვ. 176.

51 იქვე, გვ. 169.

52 იქვე, გვ. 168.

53 იქვე, გვ. 169.

54 იქვე, გვ. 168.

55 იქვე, გვ. 167.

ამიტომაც წარმოადგენს, ილიას აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ ზოგადს საფსიქოლოგიო, საესტეტიკო, საეტიკო, საფილოსოფიო საგანს⁵⁶, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს, საიდანაც შეიძლება თვალი გადაველოს „მთელ კაცად-კაცობას... მის სრულს-სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“⁵⁷.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, სამყაროს ფილოსოფიური აღქმა, ზოგადსაკაცობრიო საკითხების გაშუქება, ანუ, ილიას სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „კაცად-კაცობის ვრცელი მოედნის“ წვდომა მიაჩნდა მას „ვეფხისტყაოსნის“ დედააზრად და მთავარ ღირსებად, და ნიკოლოზ ბარათაშვილსაც შოთა რუსთაველის მემკვიდრედ და „ბრწყინვალე წარმომადგენლად ეეროპეიზმისა“ იმიტომ რაცხდა, რომ „მერანის“ ავტორმა შესძლო თავისი გულისთქმის, გრძნობის, დარდისა და მწუხარების განზოგადოება და ისე გამოთქმა, რომ ისინი „უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მისი საკუთარი გულისანი“⁵⁸. დიდი პოეტი თავის ავბედითობას კაცობრიობის ბედის ნაწილად თვლიდა და ამიტომაც „მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვედენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“⁵⁹.

ილიას აზრით, დიდმნიშვნელოვანი დამსახურება ბედის წინააღმდეგ ამხედრებული გენიოსისა, რომელსაც ამ ბედის საზღვრის გადასალახად მერანი აურჩევია, ისევე როგორც „ბაირონის კაინმა ამისათვის ლუციფერი აირჩია, გეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი“, ისაა, რომ მან „სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად“ დაატრიალა აზრი და ცნობის წყურვილი „იმ თვალ-გადაუწვედნელის სფეროში, სადაც ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირ-ბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ რწმენისა, მყოფობისა და არ მყოფობისა, საცა ლაღადება ყოველგვარი სულისკვეთებისა და ვნებათა დელებისა“⁶⁰. ყოველივე ამით თავისი ერის უკვდავმა შვილმა, რომელსაც გულში მუდამ დარდად ჰქონდა „ბედი ქართლისა“, ბედი „მის მამულიშვილისა“, „ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჰკუა-გონებას. დიდი ვანი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“⁶¹. სწორედ ამიტომ მიაჩნდა ილიას ნ. ბარათაშვილი „ბრწყინვალე წარმომადგენლად ეეროპეიზმისა“.

56 ი. კავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 169.

57 იქვე, გვ. 175.

58 იქვე, გვ. 211.

59 იქვე,

60 იქვე, გვ. 219.

61 იქვე.

ქართული მწერლობის ახალი მიმართულების — ევროპეიზმის ერთ მთავარ ნიშნად ილია ჭავჭავაძე, გარდა ზემოაღნიშნულისა, დაბალი სოციალური ფენებისადმი გაღვიძებულ ინტერესს მიიჩნევდა და თუ გიორგი ერისთავის დიდ ღვაწლად იმას თვლიდა, რომ მან პირველი ქართული ყურნალის დაარსებით საშუალება მისცა „ჩვენთა აზრთა დენას შინიდან გარეთ გამოსულიყო“⁶² და გარდა ამისა, „სათეატრო მწერლობის მამამთავარმა“ „ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან“ და რომელიც „ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყლულებს ხოლმე იმას. ვისაც კი დაეძგერება და სხვას კი ყოველთვის აფრთხილებს“⁶³. „მისგანვე ფრთაასხმული“ ანტონოვის საგანგებო დამსახურებად „მდაბიო ხალხის“ ცხოვრების ასახვას თვლიდა, „მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითად რაცხდა“ და ამტკიცებდა, ანტონოვმა „თავის ოსტატს (გ. ერისთავს. — დ. ლ.) გაასწრო, მის ვიწრო მოედანს ღობეები შორს გაუდგა და ეგრეთწოდებული მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტათ თუ ბევრად დაგვიანხვავა“⁶⁴. მაგრამ იმ მწერლად, რომელმაც პირველად აღიმაღლა ხმა „სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის“. ილია ჭავჭავაძე მაინც რაფიელ ერისთავს აღიარებდა, რომლის კაცთმოყვარე გულმა ბატონ-ყმობის გადავარდნამდე დიდი ხნით ადრე „იგრძნო უსამართლობა მისი“. მართალია, რაფიელ ერისთავის გმირები უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული, გმირული სულისკვეთებით გამსჭვალული მებრძოლები არ არიან და, თავიანთ ბედს დამორჩილებულნი, მძლე პროტესტს კი არ გამოთქვამენ, არამედ, ქედმოხრილნი, შებრალებას ითხოვენ, მაგრამ რაფიელ ერისთავმა მაინც „პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდო სიტყვა „ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად“⁶⁵.

მაგრამ ანტონოვიც და რაფიელ ერისთავიც, ილია ჭავჭავაძის მიხედვით, პირველი მერცხლები იყვნენ მხოლოდ; თითო-ორიოლა მაგალითი ქართული მწერლობისა, რომელიც სამოციან წლებამდე, არსებითად, „ჩვენის დიდ-კაცობის გულთათქმას დაჰფუფუნებდა“⁶⁶. სამოციანი წლების ქართული ლიტერატურის თვისობრივი განსხვავება კი წინამორბედ მწერლობასთან შედარებით, ილია ჭავჭავაძის აზრით, ის არის, რომ მან „ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენს პოეზიისას“ თავისი ტალღა გაჰკრა, ლიტერატურის მოქმედების არე გაათავართოვა და ყურადღების ცენტრში „მდაბიოთა ცხოვრება“ დააყენა, ანუ, როგორც ილია წერს:

62 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 221.

63 იქვე, გვ. 222.

64 იქვე.

65 იქვე, გვ. 224.

66 იქვე, გვ. 229.

„ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულთათქმა, რომ მდაბიოთა გული იგივე ზღვაა, საცა თუ არ მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა“⁶⁷, რომ „მდაბიოთაც აქეთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მაღლი ჰქონდეს ამების დანახვისა, ამების გამოხატვისა“⁶⁷.

როგორც ცნობილია, „მდაბიოთა ცხოვრებას“ ევროპის ლიტერატურაში პირველად განმანათლებლებმა მიაპყრეს ყურადღება, მათ აქციეს მხატვრული ლიტერატურის დადებით გმირად დაბალი წრიდან გამოსული ადამიანი და დაამკვიდრეს მწერლის უფლება, გამოეხატა უბრალო ადამიანის მაღალი გრძნობანი, არანაკლებ მაღალი იდეალები და გმირული საქმიანობა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე ევროპეიზმის გზაზე დამდგარ ქართულ ლიტერატურაშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა უქონელთა და უნუგეშოთა ბედმა, „ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაქცევია შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა პურისა“ და ილია ჭავჭავაძემაც საგანგებოდ აღნიშნა ქართული მწერლობის ახალი მიმართულებისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა, მაგრამ უპირველეს ღირსებად ამ მიმართულებისა ილიას ის მიაჩნდა, რომ მან, განსაკუთრებით სამოციანი წლებიდან მოყოლებული, გამოაბრწყინა „დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა“. სამოციანი წლების მეოხებითა და ღვაწლით სამშობლოს ბედმა, მისმა აწმყომ და მომავალმა კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, „ეთარცა მზემ და თავისი სხივისანი. შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენი ცხოვრებისა“⁶⁸. პატრიოტიზმის ეს მაღალი გრძნობა კი განუყრელად არის დაკავშირებული ევროპეიზმის ილიასეულ გაგებასთან.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ევროპეიზმის ცნებაზე. ეს ცნება პირველად გვხვდება 1852 წლის გაზ. „კავკაზის“ მეთორმეტე ნომერში. წერილში, რომელსაც ხელს აწერს „M“ (მ. თუმანიშვილი), ახლად აგებული ოპერის თეატრის დიდებული არქიტექტურით მოხიბლული ავტორი აღნიშნავს: „თბილისსა და მისკ ახლანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ ხედავ, შეიძლება თქვა, კავკასიის მთაგრეხილი უკვე აღარ მიჯნავს ევროპას აზიისაგან, რომ ახლა ევროპეიზმი (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.) მთელი თავისი გონებრივი გამოვლენით არხეინად მოკალათებულია და ინერგება აზიაში“⁶⁹.

ხუთი წლის შემდეგ ცნება „ევროპეიზმი“ ქართული ლიტერატურის ახალი ტენდენციის გამოსახატავად გამოუყენებია ნ. ბერძინიშვილს

⁶⁷ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 229—230.

⁶⁸ იქვე, გვ. 225.

⁶⁹ «Кавказ», 1852, №12, стр. 1.

ვრცელ წერილში „ქართული ლიტერატურა — ეურნალ „ცისკარის“ რეა-
წიგნაკი (მარტიდან ოქტომბრამდე)“. ნ. ბერძნიშვილი ამ წერილში თა-
რგმნილ ლიტერატურასაც მიმოიხილავს და „უმრავლესობაში კითხვის
ნამდვილი სურვილის აღსაძვრელად“, „წმინდა — ბელეტრისტულ“
თხზულებათა თარგმნის ნაცვლად გადმოკეთებას უჭერს მხარს, რადგან,
მისი აზრით, „ჩვენში, სადაც ევროპეიზმს (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.)
ჯერ კიდევ მცირე წარმატება აქვს, რაღაც უცნაურად გვეჩვენება ეს
გრაფები და გრაფინიები თავიანთი მეღერი სახელებითო“⁷⁰.

ი. ჭავჭავაძეს კი, რომელსაც მკვლევართა უმრავლესობა ამ ცნების
შემომტანად მიიჩნევს ქართულ მწერლობაში, „ევროპეიზმი“ პირველად
ნახმარი აქვს 1862 წელს. წერილში „ცისკარი 1857 წლიდანა — 1862
წლამდინა“, სადაც ილია კონსპექტურად განიხილავს ახალი ქართული
ლიტერატურის განვითარების გზას, დავით გურამიშვილია წარმოდგე-
ნილი იმ პოეტად, რომელმაც „სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთ-
გან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ლექსის გამოთქმაში“⁷¹.
ილიას მიხედვით „ალ. ჭავჭავაძე უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევრო-
პეიზმის განვითარებას, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურალური ლექსი; გრ.
ორბელიანი გამგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი ბრწყინ-
ვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა“⁷² (ხაზგასმა ყველგან ჩემია. —
დ. ლ.).

ამრიგად, როგორც ილია ჭავჭავაძე, ისე მ. თუმანიშვილი და ნ. ბერ-
ძნიშვილი ამ ცნებით ახალ გზაზე დამდგარი ქართული საზოგადოებ-
რივი ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენას — ევროპული ცივილიზა-
ციისა და კულტურის შემოჭრას გამოხატავენ. მაგრამ, მ. თუმანიშ-
ვილისა და ნ. ბერძნიშვილისაგან განსხვავებით, ი. ჭავჭავაძემ გაათარ-
თოვა ამ ცნების შინაარსი. ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფ-
ლებელი მოძრაობის ბელადისათვის, ს. ჩიქოვანის მართებული აღნიშე-
ნისამებრ, „ევროპეიზმი“ იყო „არა უბრალოდ ევროპული ლიტერატუ-
რულ მიმდინარეობათა გავლენის, ან მასთან მიახლოების მიმნიშნებელი
ტერმინი, არამედ იგი იყო ეროვნულ სამწერლო კულტურაში იგივე
პოეტური კულტურის უნივერსალური ცნება“⁷³.

ი. ჭავჭავაძე ქართული მწერლობის მთელი ლიტერატურული ანსამ-
ბლის განახლების აუცილებელ პირობად აღმოსავლური, კერძოდ მოგ-
ვიანო, დეკადენტური სპარსული პოეზიისადმი მონური მიბაძვის დაძ-
ლევის და „ვარდულებულიანობაზე“ და ზღაპრულ-ფანტასტიკურ სიუ-
ჟეტებზე წერის ნაცვლად საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო

70 „Кавказ“, 1857, № 87, стр. 444.

71 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 457.

72 იქვე.

73 ს. ჩიქოვანი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 106.

საკითხებზე ყურადღების გამახვილებას და სინამდვილის რეალისტურ ასახვას რომ მიიჩნევდა, მშობლიური ლიტერატურის ძველი სტადიიდან ახალ სტადიაზე გადასვლის ძირითად წყაროდ მდიდარ ქართულ ხალხურ სიტყვიერებას და დასაწყისიდანვე ევროპული ლიტერატურის აღმოსავლურ რეგიონში შემაველ ძველ ქართულ კლასიკურ მწერლობას რაცხდა.*

მშობლიური ლიტერატურის განვითარების გზებზე ჩაღრმავებული დაკვირვებისას ილიამ სწორად შენიშნა ისიც, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი XIX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქართული ლიტერატურის აჩქარებული განახლების ზემოაღნიშნულ ძირითად წყაროს მნიშვნელოვნად მატებს ძალას რუსული და უმთავრესად რუსული მწერლობის გზით შემოჭრილი ევროპული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის მოწინავე გამოცდილების ათვისება.

სწორედ ამ შინაარსით იხმარება ცნება „ევროპეიზმი“ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ილია ჭავჭავაძიდან დაწყებული დღემდე და, ამიტომაც, თუმცა მას აქვს უარყოფითი მხარეც, რამდენადაც იწვევს ევროცენტრისტულ ცნებათა ასოციაციას, მაგრამ „ეს პირობითი, სამუშაო ტერმინი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დამკვიდრდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში და ახლა მისი შეცვლა გარკვეულ სირთულეს შექმნის“⁷⁴.

* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპარსული მწერლობის გავლენით ზღაპრულ-ფანტასტიკური სიუჟეტებით გატაცებისა და „ვარდ-ბულბულიანობის“ თემის დამუშავების ნაცელად ეროვნული ისტორიული მოვლენებისა და ცხოვრების საპირბოროტო საკითხების მხატვრულად ასახვის მოთხოვნა სულაც არ ნიშნავს, თითქოს ქართულ ლიტერატურაში სპარსული პოეზიის მანერულობის მოწინააღმდეგენი საერთოდ უარყოფდნენ სატრფიალო პოეზიას და ფანტასტიკური თემატიკის დამუშავებას. ი. ჭავჭავაძე, თავად აერთიანო სატრფიალო ლირიკის მშვენიერი ნიმუშებისა, „ევროპეიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლად“ თვლიდა ნ. ბარათაშვილს, რომლის შემოქმედებაში სატრფიალო თემატიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. როგორც ილია, ისე მისი წინამორბედნი და თანამედროვენი ილაშქრებდნენ არა სატრფიალო პოეზიის, როგორც ასეთის წინააღმდეგ, არამედ მოგვიანო სპარსულ პოეზიაში გაბატონებული და მისი გავლენით ჩვენს მწერლობაში ფართოდ გავრცელებული შაბლონური, ტრაფარეტული, მისტიკური — სიტოცხლეში მტანჯველი და მხოლოდ იმ ქვეყნად ნეტარების მომნიჭებელი ტრტომბის წინააღმდეგ. იგივე უნდა თქვას ზღაპრულ-ფანტასტიკური სიუჟეტების თაობაზეც. ქართული ლიტერატურის ახალი მიმდინარეობის წარმომადგენლები უარყოფდნენ არა ჯანსაღ, რჯალურ სინამდვილეზე დაფუძნებულ ფანტასტიკას, რომელიც, არაებითად, გარესამყაროს ჯერ კიდევ მეცნიერებისათვის აუხსნელ, საიდუმლოებით მოცულ მოვლენათა ამოცნობას ემსახურება, არამედ სინამდვილისაგან მოწყვეტილ, ჯანსაღ აზრს მოკლებულ ფანტასმაგორიას.

⁷⁴ გ. ციციშვილი, ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი სხვა ხალხებთან და მათი შესწავლა ჩვენს დროში. იხ. კრებული „ეპოქა და ლიტერატურა“, თბილისი, 1981, გვ. 122.

ემროპეიზმი „აღორძინების ხანის“
ქართულ ლიტერატურაში

როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ, ქართული მწერლობის ევროპეიზმი — ჩვენი ლატერატურის აღმოსავლური პოეზიის გავლენისაგან განთავისუფლების, მისი ეროვნულ საფუძვლებზე განვითარებისა და საზოგადოებრივი სატივრების ასახვის თვალსაზრისით — ქართული ლიტერატურის „აღორძინების პერიოდშივე“ შეიმჩნევა და მისი ელემენტები აშკარად ჩანს თვით სპარსული პოეზიით გატაცებული მეფე-პოეტის თეიმურაზ I-ის შემოქმედებაში.

აკად. ალ. ბარამიძის მართებული შენიშვნებისამებრ, თეიმურაზმა გაამდიდრა ქართული მწერლობის არე და მოცულობა. „მან პირველმა შექმნა ნაირი ლიტერატურული ენარის კულტი, პირველმა შეარყია ტრადიციული თემატიკა და მწერლობის შემდგომ განვითარებას ფართო ასპარეზი გადაუშალა“¹.

პოლიტიკაში „სპარსულ ორიენტაციის უდიდესი მტერი“², მაგრამ სპარსული ენის მელიოდიურობით მოხიბლული თეიმურაზ I „ლეილ-მაჯნუნიანის“ შესავალში რომ აღნიშნავდა „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“ და გულის ტკივილით ამბობდა: „მძიჟა ენა ქართველთაო“, „შეწმასნილ“ სიტყვათა წინააღმდეგი იყო და დაბეჭდვითაცხადებდა: „მათ შეწმასნილთა-სიტყვათა მინდა მარტივად მბობანიო“. (249,4), ქართულ მწერლობაში აღმოსავლური პოეზიის მეშვეობით დამკვიდრებული „შეწმასნილი“, დღვარჳნილი ლექსის ნაცვლად „მარტივად მბობა“ კი ქართული მწერლობის იმავე აღმოსავლური პოეზიის გავლენისაგან განთავისუფლებისა და ამდენად მისი ევროპეიზმის ერთერთი ძირითადი ნიშანი იყო.

თეიმურაზის მიერ წამოყენებული „მარტივად მბობის“ ნდომა იმავე მიზეზით იყო ნაკარნახევი, რის გამოც მეფე-პოეტმა, მისივე აღიარებით, „საღმრთო სიბრძნის“ გალექსვას არჩია „სოფლისა მიდ-მოღებანი“, სახელდობრ. იმით, რომ, გ. ჭაკობიას შენიშვნისამებრ, „მეფე-პოეტმა „აღლო“ აულო საზოგადოების მოთხოვნილებებს“³ და მკითხველთა გემოვნების, მათი მიდრეკილება-დაინტერესების გათვალისწინ-

¹ ალ. ბარამიძე, „თეიმურაზი“, იხ. „თეიმურაზ I“, ალ. ბარამიძის და გ. ჭაკობიას რედაქციით, ტფილისი, 1934, გვ. 218. თეიმურაზის ლექსები ციტირებულია ყველგან ამ გამოცემის მიხედვით, ფრჩხილებში ნაჩვენებია ნაწარმოების გვერდი და სტროფი.

² იქვე, გვ. 206.

³ იქვე, გვ. 281.

ნებით ხელი მიჰყო, როგორც იმავე „ლეილ-მაჯნუნიანის“ დასასრულს თავად აღნიშნავს თეიმურაზი, „სიტყვათა შეთხზვა-შეკაზმვას“. რაც სულაც არ ეწინააღმდეგება, პირიქით, გარკვეულად აკონკრეტებს კიდევ თეიმურაზის მიერ წამოყენებულ „მარტივად მბობის“ ნდომას.

ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენად განახორციელა თეიმურაზმა თავად მხატვრულ პრაქტიკაში „მარტივად მბობის“ თავისი „ნდომა“. მთავარი ისაა, რომ მან ეს მოთხოვნა წამოაყენა.

ცნობილია, რომ ფრანსისკო კევედო მკაცრად ილაშქრებდა დონ ლუის გონგორას გავლენით ესპანეთის ლიტერატურაში დამკვიდრებული კულტურანიზმისათვის დამახასიათებელი მაღალფარდოვანი, ღვლარქნილი, ბნელი სტილის წინააღმდეგ, მაგრამ თავად იყო წარმომადგენელი ესპანური პრეციოზული მწერლობის სახესხვაობის — კონსეპტიზმისა. და თეორიულად ლოპე დე ვეგას „გამჭვირვალედ ნათელი“ სტილის თაყვანისმცემელი, მხატვრულ პრაქტიკაში კულტურანიზმის აშკარა გავლენას განიცდიდა.

შორს რომ არ წავიდეთ, ქართული ენის სიწმინდისათვის მებრძოლი არჩილ მეფის პოეზია სულაც არ არის თავისუფალი ბარბარიზმებისაგან, განსაკუთრებით რუსიციზმისაგან, მაგრამ იგი მართებულად არის აღიარებული ქართული ენის პურიზმის მებარახტრედ.

თეიმურაზ I-ის „მარტივად მბობის“ „ნდომას“ და „საზოგადოების მოთხოვნის ალღოს“ აღებას შეიძლება უხვად დაეძებნოს პარალელები XVII საუკუნის ევროპის ლიტერატურის სულ სივრცისაგან მიმართულების პროგრესულ მწერალთა შემოქმედებაში. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ლოპე დე ვეგას „ახალი ხელოვნება კომედიების შეთხზვისა“, რომელშიც დიდი ესპანელი დრამატურგი არისტოტელეს წესებს კი აღიარებს, მაგრამ მწერლის მთავარ მოვალეობად მკითხველ-მაყურებლის დამაინტერესებელი ნაწარმოების შეთხზვას მიიჩნევს, სადაც „გათვალისწინებული იქნება ხალხის გემოვნება“⁴, და, ანგარიშს რომ უწევს ხასიათს ესპანელი მაყურებლებისა, რომელიც, ლოპეს შეხედულებისამებრ, ვერ დამშვიდდება, თუ „ორი საათის განმავლობაში არ უჩვენებენ ყველაფერს — ქვეყნის წარმოშობიდან განკითხვის დღემდე“⁵, სამი ერთიანობიდან მხოლოდ მოქმედების ერთიანობის დაცვას მოითხოვს („მაგრამ ფაბულას მოქმედების ერთიანობა უნდა ჰქონდეს“⁶) და თავისი მხატვრული პრაქტიკის გამო ამბობს, როცა ეწერ,

4 Лопе де Вега, собр. соч., в 6-ти томах, т. I, 1962, стр. 49.

5 იქვე, გვ. 54.

6 იქვე, გვ. 53.

ყოველგვარ წესებს „ცხრაკლიტულში ვკეტავ, თავს ვანებებ ტერენციუსს და პლაფტეს, რომ მისი (ხალხის. — დ. ლ.) საყვედური არ მოვისმინო“⁷.

თუ თეიმურაზი, „როგორც „ვარდ-ბულბულიანური“ ტრფობის უბადლო ავტორი“⁸, სპარსულ პოეზიას უხდის ხარკს, „სოფლის ჩივილის მაუწყებელი გამოჩენილი პოეტი“, — პირველი მაგალითი ქართულ მწერლობაში, ვინც ეროვნული „თემატიკის დამუშავება სცადა“, შექმნა „წამება ქეთევან დედოფლისა“, „უღარესად საერო ხასიათის ნაწარმოები. სადაც სათანადოდაა დაცული ისტორიულ-ნაციონალური პერსპექტივა და შედარებით აცილებულია ზღაპრულ-სასწაულებრივი მომენტები“⁹ — ევროპეიზმის პირველ მაუწყებლად გვევლინება „აღორძინების ხანის“ ქართულ ლიტერატურაში.

ამ მხრივ, თემატიკის სიახლესა და „ზღაპრით შეთხზულ“ თქმულე-ბებისადმი ადრეც კრიტიკულად განწყობილი პოეტის მიერ სინამდვილის მართლად გადმოცემის ტენდენციასთან ერთად, საგანგებოდ აღსანიშნავია ის იდეური სიახლოვე, მოვლენათა მხატვრული ხედვის და მათი შეფასების ის მსგავსება, რომელიც შეინიშნება თეიმურაზსა და XVII საუკუნის ევროპის ლიტერატურის ზოგიერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს შორის.

„მუხთალი სოფლის“ ავტენტულობით შეძრწუნებული თეიმურაზი, რომელიც კალდერონზე შორს მიდის — თუ ესპანური ბაროკოს უდიდესი წარმომადგენელი „ცხოვრებას სიზმრად“ მიიჩნევს, თეიმურაზი მას „სიზმრისაგან უფრო ცუდად“ წარმოიდგენს — განსაკუთრებით ახლოს დგას ანდრიას გრიფიუსთან, გერმანული ბაროკოს ცნობილ წარმომადგენელთან. ქეთევან დედოფალზე დაწერილი ტრაგედიის — „Catarina von Georgien“-ის ავტორთან, ქრისტიან ჰოფმანსვალდაუსთან, ერთ-ერთ მეთაურთაგანთან ე. წ. მეორე სილვეზიური სკოლისა, რომელიც ხელს უწყობდა გერმანიაში პრეციოზული ლიტერატურის განვითარებას, ზემოთ უკვე დასახელებულ პედრო კალდერონთან და სხვ.

თეიმურაზისათვის „ეს სოფელი მუხთალია“ („სოფლის სამღურავი“ სტრ. 13).

მუხთლობა არის თავიდან სულ მისი დასაწყისი და ზეცად გასულსა ქვე დასცემს, რომ ძმაჲ იყოს, მისი და („შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, სტრ. 22).

7 Лопе де Вега, собр. соч., в 6-ти томах, т. I, 1962, стр. 50.

8 აღ. ბარამიძე, „თეიმურაზი“, იხ. „თეიმურაზ I“, დასახელებული გამოცემა, გვ. 209.

9 იქვე, გვ. 217.

ადრე დაგვხოცს უდროოდ, ახალსა მოუწევარსა (იქვე, სტრ. 96)
 თუ გძლად გვაცოცხლებს, ჩვენ გვიზამს საქმესა უარესებსა,
 რაც გვეყვარს, თვალწინ დაგვიხოცს, სულთაგან უკეთესებსა (იქვე, სტრ. 97),
 თვალთა დააკლებს ნათელსა სოფლისა მამუნებელსა,
 წარბთა მშვილდულუბერ მოხრისა, მიჯნურთა მახელებელსა,
 შვეთა წამწამთა ნარგისთა, მჭერეტელთა გულსა მხებელსა,
 გააყრევინებს, წაახდენს მნახველთა ცეცხლთა მდებარსა (იქვე, სტრ. 100)

ეს სოფელი ადამიანს —

პირველად ამოდ შეიტკობს, საყვარლად დაუამდების,
 აღარ გაჰყევბის ბოლოს ვამ უმუხთლებს, გაუთადების (იქვე სტრ. 11).

გრიფიუსის მიხედვითაც ამ ქვეყნად „ყველაფერი ამოვებათა ამო-
 ებაა“¹⁰, სადაც ადამიანი „ყალბი ოცნების მეტს ვერას წვდება, ყოფა
 მისი არარად იქცევა, ხოლო ხალისი მწარე ცრემლებად“¹¹. აქ „მოკლე
 დრო, ცას რომ ჩვენთვის უბოძებია, ჰასაკი, რაიც რა ყვავილობს, თან
 იპარება, წარმავლობასა და უსიამო ყოფაში გადის“¹². „დღეს რაც ყვა-
 ვილობს დიდებულად, მალე დაჰქენება და რაც არსებობს, იქცევა ის
 ხვალ ნაცარტუტად“¹³. „მინც რა არის ადამიანი! მხოლოდ ჭურჭელ
 მწარე ტკივილთა, მუხთალი ბედის სათამაშო უბრალო ბურთი, ცთო-
 მილი სხივი, მოციავე, ამა დროისა“¹⁴.

წუთისოფლის მუხთლობა, ამოება და სიცრუე, ადამიანის უმწეობა და
 არარაობა, რაც არა მარტო თეიმურაზის, არამედ, საერთოდ, „აღორძი-
 ნების პერიოდის“ ქართული ლიტერატურის საყურადღებო პრობლემა
 და ანდრეას გრიფიუსის შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად თემად გვევ-
 ლინება, წარმოადგენს ქრისტიან ჰოფმანსვალდაუს პოეზიის მნიშვნელო-
 ვან მოტივს.

პრეციოზული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ღრმად ერო-
 ტიკული, პედონისტური ლექსების გვერდით მეორე სიღეზიური სკო-
 ლის თავაკის მადრიგალებში, რონდოებსა და სიმღერებში გამოხატუ-
 ლია ქვეყნის წარმავლობით და სიმუხთლით გამოწვეული დიდი ნაღ-
 ველი. ლექსში „სამყარო“ (Die Welt) დასმული კითხვის — „რა არის

¹⁰ იხ. კრებული Tränen des Vaterlands, deutsche Dichtung aus dem 16. und 17. Jahrhundert, Berlin, 1963, s. 159.

¹¹ Andreas Griphie, Caterina von Georgien, S. I. ციტირებულია ა. გრიფიუსის „ქეთევან დელოფლიან“, ირს. ბიბლიოძის თარგმანის მიხედვით.

¹² იქვე, გვ. 2.

¹³ იხ. ზემოდასახელებული კრებული, გვ. 159.

¹⁴ იქვე, გვ. 160.

სამყარო მთელი თავისი ბრწყინვალეებით?“ — პასუხად ჰოფმანსვალდაუ ქვეყანას წარმოადგენს „მაცდურ სხივად“, „შავი ღრუბლებით დაფარულ ცაზე წამიერ გაელვებად“, „მორთულ სასახლედ, სნეულებებით რომაა საესე“, „მარმარილოთი შემკობილ ხრწნად სასაფლაოდ“.

წუთისოფლის ილუზიურობას და სიმუხთლეს, ადამიანის უმწეობა-სა და არარობას ასახავს თავის ფილოსოფიურ დრამებში პედრო კალდერონიცი, რომელიც, „ცხოვრებას სიზმრად“ რომ მიიჩნევს, ადამიანის უდიდეს „დანაშაულად“ იმას თვლის, რომ იგი „იბადება“¹⁵. კალდერონი „ამ უღლეურ“ ქვეყანას, სადაც „დამწყვედეულია“ ადამიანი, მხოლოდ იმდენად აღარებს „ვარდებს“, რამდენადაც ისინი „გაფურჩქვნისთანავე ქვნიებიან“. და, ადამიანის ცხოვრების მსგავსად, განთიადისას გაშლილ-ნი, სადამოს ფურცლებდაცვენილი — „აკვანშივე პოულობენ სამა-რჯს“¹⁶.

მსგავსი ადგილები უხვად მოიპოვება როგორც თეიმურაზის, ისე გრიფიუსის, ჰოფმანსვალდაუს და კალდერონის თხზულებებში, მაგრამ ციტირებული ადგილებიდანაც ცხადად ჩანს მათი მსოფლმხედველობრივი ნათესაობით: გამოწვეული სინამდვილის აღქმისა და მხატვრული ხედვის მსგავსება.

ცხადია, ეს მსგავსება პირობადებულია არა ლიტერატურული ურთიერთგავლენით, არამედ ისტორიული პირობების მსგავსებით. ოცდაათწლიანი ომების დროს პროტესტანტთა და კათოლიკეთა სათარეშო არენად ქვეულ, გაპარტახებულ და დაქუცმაცებულ გერმანიასა და ეკონომიკაშერყვეულ, ფოდალურ-კათოლიკური რეაქციის ციტადელად ქცეულ ესპანეთში დაახლოებით ისეთივე სიტუაცია იყო, როგორიც თურქთა თუ სპარსთა, გარეშე და შინაურ მტერთა თავდასხმებისაგან განაწამებ: საქართველოში.



თეიმურაზ I-ის პოეზიაში შემჩნეული ტენდენცია ევროპეიზმისა გაცილებით მკვეთრად არის გამოხატული არჩილის, ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებითს პრაქტიკაში, რომ არაფერი ვთქვათ დავით გურამიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე.

არჩილის პოეზიის ერთ-ერთი მოტივიც სოფლის წარმავლობა და გაუტანლობაა. მისთვის სოფელი „მუხთალი, ცრუ, მტყუანი, ერთ წამ-

¹⁵ К а л ь д е р о н, пьесы перевод с испанского, т. I, 1961, стр. 475.

¹⁶ Т а м ж е, стр. 104.

საც დაუდგრომელი, დაუნდობარი, მძრახველი“ და „ბრძენთა საქულა-
როა“¹⁷, ხოლო ცხოვრება ადამიანისა ჰგავს „სიზმარსა ამაოს“ —

ცხოვრება ჩვენი კვალსა ჰგავს ზღვაზედა ნათ მავლისასა,
ვინა სიზმარსა ამაოს, წუთი-ერთ ძილ-მოკლისასა,
ღრუბელს — ქართ მიმოკვეთებულს, ანაზღსა, დასაქლისასა,
ზღაპარსა დაუჭერებელს, მემუცულად გამომთქმლისასა.

(„ლექსი ასდათნი“, ტ. I, სტრ. 74, ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ არჩილის მიხედვით „ვერაინი
მოვრჩეთ სოფელს ერუს ლახვარ-დაუსობარი“ („საქართველოს ზნეობა-
ნი“, ტ. I, სტრ. 100), იგი სულაც არ უარყოფს ამქვეყნიურ ცხოვრე-
ბას, მეტიც, არც „ემდღურვის“ სოფელს („გაბაასება კაციისა და სოფლი-
სა“, ტ. I, სტრ. 1) და მსგავსად თეიმურაზ პირველისა, რომელიც წუ-
თისოფლის მრავალ „სიცრუეს ანუ სიცქაფეს“ და „მუხთლობას“ („შე-
დარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, სტრ. 92) აღნიშნავს, მაგრამ
იქვე დაბეჭდვით ამბობს, „მაგას არ ვიტყვი არ გვინდეს სოფლისა
ნიეთიერებაო“ (იქვე, სტრ. 105), არჩილიც აცხადებს —

სოფელს ვაგინებ, მაგრამე მიყვარს და ვერ ვეხსენებია,
ყოფნაც მსურს ერუსთან, ჯერ ხანად გაყრა რა სახსენებიაო.

(„ლექსნი ასნი ორმუხლნი“, სტრ. 100).

„ძრახვასთან“ ერთად სოფლის ეგ „სიყვარული“ და „დაუნდობა-
რი“ წუთისოფლისადმი არჩილის მიმართვა „მაგრამ არ ვთქვა სამღურა-
ვი, რადგან ასე დამამყარეო“ („ლექსნი ასდათნი“, ტ. I, სტრ. 30), ზედ-
მიწვენიტ შეესატყვისება არჩილის კონცეფციას ადამიანისა და სამყა-
როს ურთიერთდამოკიდებულებაზე.

საქმე ისაა, რომ თუმცა არჩილის მსჯელობა სოფლის დაუდგრომლო-
ბაზე, გაუტანლობასა და სიცრუეზე საოცრად მოგვეგონებს ჰოფმანს-
ვალდაუს, განსაკუთრებით გრიფიუსისა და კალდერონის შეხედულებებს,
მაგრამ, სამაგიეროდ, მისი წარმოდგენა ადამიანზე პრინციპულად უპი-
რისპირდება მათ და საერთოდ ბაროკოს სტილის მწერალთა უმრავლე-
სობის აზრს, რომლის მიხედვით რენესანსული ეპოქის მიერ ბუნების
მეუფედ დასახული ადამიანი უმწეო, „მუხთალი ბედის სათამაშო“, „მწა-
რე ტყვილთა სავეს კურჭლად“ არის მიჩნეული.

¹⁷ არჩილიანი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, აღ. ბარამიძისა
და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, 1936, გვ. 23, სტრ. 29. შემდგომში არჩილის
ნაწარმოებები ყველგან ამ გამოცემიდან (მეორე ტომი გამოქვეყნებულია 1937 წ.)
არის ციტირებული. ფრჩხილებში მითითებულია ნაწარმოების სათაური, ტომი და
სტროფი.

მართალია, „იამბიკოს ლექსებში“ არჩილიც უარყოფითად ახასიათებს ადამიანს და თავის მიერ დასმულ კითხვას „რანი ვართ კაცნი?“ თავადვე პასუხობს —

...ცუნდრუენი, არა თუ საწყალობელნი,
წუწენი, მიმღონი სოფლისნი, თვისის სჯელისა მგმობელნი,
მოთნენი, თავთა ვერ მხედნი, მეგობართ მაგიობელნი.

(ტ. I, სტრ. 5).

მაგრამ, პოეტის აზრით, ყოველივე ეს სულაც არაა ადამიანის ბუნების ერთადერთი თვისება და მისი მოწოდება. პირიქით, არჩილის წარმოდგენით, ადამიანი „სოფლის უფლად“ და „საპატრონოდ“ არის შექმნილი. აქი სოფელი თავად ეუბნება ადამს „ღვთისგან შევიქენ საშენოდო“ („გაბაასება კაცისა და სოფლისა“, ტ. I, სტრ. 8) და შეაგონებს: „აღამ, უფლად, საპატრონოდ შექმნილი ხარ ღვთისგან ჩემდაო“ (იქვე, სტრ. 2: ხაზგასმა ჩემია — დ. ლ.) მაგრამ არჩილისავე აზრით, ადამიანი თავისი ბუნებით ცდუნებასაც არის დაქვემდებარებული და, სოფლის მბრძანებლად გაჩენილი, სოფლის მონად იმიტომ ქცეულა, რომ ვნებებს აპყოლია, სწორ გზას ასცდენია და ზომიერების გრძნობადაკარგულს „ბოროტის მფლობელობა“ „უწყია“. სწორედ ამიტომ მიმართავს ადამს სოფელი —

აღამ, რად გინდა მაგდენის ტყუილის სიტყვის მგებლობა,
შენ შეცნიერად შექმნილო, უმეცრებისა მჩემლობა,
თავის თავისა უფალმან ბოროტს რად უწყე მფლობლობა?!

(იქვე, სტრ. 39. ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.)

არჩილის ეს შეხედულება ახლოს დგას ადამიანის ბუნების რენესანსულ გაგებასთან, რომლის არსი კარგად არის გადმოცემული ალორძინების ხანის იტალიელი მოაზროვნის პიკო დელლა მირანდოლას ნაშრომში „ადამიანის ღირსებაზე“. მირანდოლას მიხედვით ადამიანი შექმნილია „არა ზეციურ, მაგრამ არც მხოლოდ მიწიერ, არა უკვდავ, მაგრამ არც მოკვდავ არსებად“. მას „მიმადლებული აქვს უნარი“ ამაღლდეს „ღვთაების მსგავს არსებამდე“. მაგრამ იმავდროულად „იმის შესაძლებლობაცა აქვს — დაეცეს ცხოველის დონემდე“ და ეს „ღვთაების მსგავს არსებამდე“ ამაღლება, ისევე როგორც „ცხოველის დონემდე დაცემა“, „მხოლოდ და მხოლოდ“ ადამიანის „შინაგანი ნების წყალობით“ ხდება.

ადამიანის შესაძლებლობების ეს ორი მხარე წარმოდგენილია გოეთეს „ფაუსტშიც“. მეფისტოფელს იმიტომ აქვს იმედი მეუფესთან დადებული სანაძლეოს მოგებისა, რომ მეფისტოფელისავე განმარტებით „ციური სხივის ნაპერწყლით“, გონებით დაჭილდოებული ადამიანი,

„დედამიწის ეს პატარა ღმერთი“¹⁸, უფალს „უცნაურად“ ემსახურება და მდაბალ ვნებებს აყოლილსა „ლამის მხეცებს მხეცობაში გადააქარბოს“ (იქვე, გვ. 99). მაგრამ მეუფეს, რომელმაც კარგად იცის, „ვიდრე ცოცხლობს და იმყოფება დედამიწაზე“, „ვიდრე ისწრაფვის“, „აღამიანი მუდამ ცდება“ (იქვე, გვ. 101) და თავადაც აღიარებს, ფაუსტი „დაბნეულად მემსახურებაო“, სწამს, რომ ფაუსტში „ცხოველის დონემდე დაცემის შესაძლებლობაზე“ „ღვთაებრივ არსებამდე ამაღლების“ მიმადლებული უნარი გაიმარჯვებს და „გაიკვლევს იგი მართალ გზებს“ (იქვე, გვ. 101).

როგორც აღვნიშნეთ, არჩილის მიხედვითაც „სოფლის საპატრონოდ“ მოწოდებული ადამიანი ცთუნებასაც არის დაქვემდებარებული. სწორედ ამ ცთუნების გზით წარმართული ცხოვრების შედეგია „მუხთლობა სოფლისა“, რომელსაც „ამად ჰკიცხვენ და ჰბასრობენ, საღ უნდათ, ვერ მიიტანეს“ („სიტყვა სანათლისღებო“, სტრ. 1), მაგრამ არჩილს ადამიანის „ღვთაებრივ არსებამდე“ ამაღლების შესაძლებლობაც სწამს. ოღონდ იმის აუცილებელ პირობად, რომ „სოფლის უფლად, საპატრონოდ“ და „მეცნიერად შექმნილი“, მაგრამ ანგარებიან ვნებებს აყოლილი და დაცემული ადამიანი თავის ჰემარიტ მოწოდებამდე კვლავ ამაღლდეს და „სოფელს აუვიდეს“, მის ზნეობრივ განწმენდას და გონებრივ გაწაფულობას მიიჩნევს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება არჩილის პოეზიის ერთ-ერთი წამყვანი მოტივი — დიდაქტიკა.

არჩილი, რომელიც „ზნეობრივი სრულყოფილების საზომად აღიარებდა ადამიანის პირად ღირსებას, პირადულ საქმიანობას და დამსახურებას საზოგადოების წინაშე“, ხოლო „ზნეობის სანაქებო მხარედ“ „გონებრივ გაწაფულობას, სიბრძნეს“¹⁹ რაცხდა, დავით გურამიშვილზე გაცილებით ადრე აღნიშნავდა —

„სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა, არც ისე მოსახმარია,
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია,
სად წახვალთ, თან გამოგყვებათ, საგზლათაც მგონ სახმარია.
სხვა დაგრჩება და ის არა, გვერთ გახლავს ცათ კამარია“.

(„საქართველოს ზნეობანი“, ტ. I, სტრ. 73).

ადამიანის, როგორც „სოფლის უფლად“ მოვლენილი არსების წარმოდგენა, მისი მოვალეობის ასეთი გაგება და ზნეობრივი სრულყოფისა და გონებრივი გაწაფულობისათვის ზრუნვა წარმოადგენს არჩილის შემოქმედებაში ევროპეიზმის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს. მაგრამ ქართუ-

¹⁸ გოეთე, ფაუსტი, რედაქცია და კომენტარები დ. ლაშქარაძისა და ო. ჯინორიასი, თბილისი, 1962, გვ. 99.

¹⁹ ბ. ქექელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1969, გვ. 353.

ლი მწერლობის ევროპეიზმის თვალსაზრისით თეიმურაზისა და რუსთაველის „გაბაასების“ ავტორის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ლიტერატურის ამოცანად „ზღაპართექმის“ ნაცვლად „მართლის მბობის“ მიჩნევა, აზრის ნათლად გამოხატვის მოთხოვნა და „გულის გურიობის“ წინაშე გონების უპირატესობის აღიარება, რაც მას ევროპული კლასიციზმის გამოჩენილი თეორეტიკოსების გვერდით აყენებს. ჩვენი ლიტერატურის ევროპეიზმის თვალსაზრისითვე მეტადრე მნიშვნელოვანია ის, რომ არჩილმა ქართულ მწერლობაში არსებითად პირველად გაამახვილა ყურადღება სოციალურ საკითხზე, „მუშაკნი დილით ღამემდნი მყეფნი“ ქვეყნის ერთ-ერთ ბურჯად წარმოიდგინა და იმის აღნიშვნასთან ერთად, რომ „დაბალ კაცს არ ახსენებენო“ („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, ტ. II, სტრ. 673), თანამედროვე საზოგადოება არა მარტო გააფრთხილა — „თუ ამოწყდა გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდაო“ (იქვე, სტრ. 627), არამედ მოუწოდა კიდევ მას — „გლეხს ძალი მოაშორეთაო“ („გაბაასება კაცისა და სოფლისა“, ტ. I, სტრ. 260), ამასთანავე არჩილმა ქონებრივი უთანასწორობის უსამართლობაც აღიარა და კაცის პირით უსაყვედურა სოფელს —

„ზოგს ამდენს მისცემ, სოფელო, რიცხესა არ შეაგებინებ,
ზოგი სიყმილით მომყმარი გყავს, ნაცუნელს მოაძებნიებ,
მრავალთა სახლს არ აღირსებ, ერთს ცამდის ააგებინებ“.

(„გაბაასება კაცისა და სოფლისა“, ტ. I, სტრ. 141).

მართალია, როგორც აკად. ალ. ბარამიძე შენიშნავს, „არჩილი კმაყოფილდება არსებული ფაქტის კონსტატაციით. ის ამართლებს კიდევაც მის მიერვე შენიშნული მოვლენის სოციალურ კანონზომიერებას“²⁰ — სოფელი კაცის საყვედურს რომ ეთანხმება — და თავის მხრივაც უმატებს:

„უმცროსთ ბევრი აქვსთ, მრავალნი რჩებიან პატ-პატიოო,
ზოგთ აქეთ შემეჟული სასერო და სხვათა არც კუპატიო“. (იქვე, სტრ. 183).

იმისაც აღნიშნავს:

„ყოველთ თუ სწორად მოგეცესთ დიდება ეს საპატიო,
ადარცა ღმერთსა უმაღლდეთ და არცა ის საპატიო“. (იქვე, სტრ. 183).

მაგრამ აკად. კ. ქეკელიძის აღნიშვნისამებრ, „ამ დროისათვის ჩვენში თვით საკითხის დასმაც სიმპტომატურ და საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს“²¹. დავუმატებთ მხოლოდ იმას, რომ როგორც სო-

²⁰ კ. ქეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1969, გვ. 353.

²¹ კ. ქეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბილისი, 1952, გვ. 216.

ციალური უთანასწორობის საკითხი, ისე არჩილის პოეზიაში გატარებული შეხედულება, რომლის თანახმად ადამიანის ღირსება პირადი თვისებებისა და არა წარმოშობისა და თანამდებობის მიხედვით უნდა ფასდებოდეს — „ვინც ხელით აზნაურიშვილობ, გამეცალე, წადი იქით! რად გვონია, უგუნურო, ბრძნის ვისგანმე მაგით იქითო“ (საქართველოს ზნეობანი, ტ. I, სტრ. 53), XVII, განსაკუთრებით XVIII საუკუნის ევროპის ლიტერატურის ცენტრალური პრობლემა იყო. სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი და სხვ. განმანათლებლების მხატვრული თხზულებების თუ თეორიული ტრაქტატების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ სახის მრავალ ნაწარმოებთა შორის აქ დავეყვანოფილდებით ბომარშეს „ფიგაროს ქორწინების“ აღნიშვნით, სადაც კოლორიტულად ჩანს დაბალი სოციალური წრიდან წარმოშობილი ფიგაროს აშკარა უპირატესობა „შედარებით გრაფ ალმავივასთან, რომელმაც, ფიგაროს სიტყვებით, თავისი კეთილდღეობის, სიმდიდრის, მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის, დიდი თანამდებობის მისაღწევად მხოლოდ ის მოიმოქმედა, რომ „გაისარჯა დაბადებულიყო“, მაშინ როცა თავად ფიგარომ „მარტოოდენ ლუკმაპურის მოსაპოვებლად იმდენი ცოდნა და მოსაზრებულობა „გამოიჩინა“, რამდენიც მთელი საუკუნის განმავლობაში არ დასჭირვებიათ ესპანეთის მმართველობისათვის“²².

ქართული ლიტერატურის ევროპეიზმის, ქართულ მწერლობაში სპარსულ-აღმოსავლურის წილ ევროპული ლიტერატურული გემოვნების დანერგვის თვალსაზრისით, „ზღაპართ თქმისა“ და „ვარდულებულიანობის“ ნაცვლად ეროვნულ-საზოგადოებრივ საკითხებზე ყურადღების გამახვილებასთან ერთად საგანგებოდ უნდა აღინიშნოს არჩილის ღვაწლი ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის სფეროში.

ენის სიწმინდის საკითხი ყოველთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა ერისათვის. მაგრამ მთელი სიმწვავით მაშინ იჩენს თავს, როცა სხვა ქვეყნის ძლიერი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული გავლენის ქვეშ მოქცეული ამა თუ იმ ერის ენის სიტყვიერ ფონდში საგანთა თუ მოვლენათა აღსანიშნავად უკვე დამკვიდრებული სიტყვების ნაცვლად ყოველგვარი საჭიროების გარეშე იწყებენ ნასესხები სიტყვების გამოყენებას და, რაც მთავარია, ენას ანაგვიანებენ მისი ბუნებისათვის შეუფერებელი კალკებით.

ასეთი იყო მდგომარეობა XVII—XVIII სს. გერმანიაში, როცა გერმანული ენა, გარდა ლათინური ენისა, რომანული ენების, განსაკუთ-

²² Б о м а р ш е, Драматические произведения, мемуары, Москва, 1971, стр. 238.

რებით ფრანგული ენის, დიდ შენობებს განიცდიდა. სწორედ ამ ვითარებამ გამოიწვია იქ XVII საუკუნეში ჩამოყალიბება მრავალი საზოგადოებისა, რომლებიც ვერმანული ენის სიწმინდისათვის იბრძოდნენ. როგორც ცნობილია, პირველ ასეთ საზოგადოებას — ე. წ. „ნაყოფის მომცემ საზოგადოებას“ ანუ „პალმის ორდენს“ — 1617 წ. ჩაეყარა საფუძველი. 1633 წელს სტრასბურგში დაარსდა „ფიქვების გულწრფელი საზოგადოება“, 1643 წ. — ჰამბურგის „გერმანულად მოაზროვნეთა საზოგადოება“, ხოლო 1644 წ. — „მწყემსურ-ყვავილური ორდენი“ და „ელბის გედების საზოგადოება“. ცხადია, ამ საზოგადოებათა საქმიანობა, რაც მრავალ სპეციალურ ნაშრომშია გარკვეული, თანაბარი მნიშვნელობის არ ყოფილა. სხედასხვაგვარი იყო მათი წარმოდგენაც გერმანული ენის სიწმინდესა და მისი გამდიდრების წყაროებზე. მაგრამ ყველა მათგანმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მშობლიური ენის განვითარებას.

აქ, მარტოდენ ფაქტის კონსტატაციით რომ ვკმაყოფილებით. ცალკე უნდა აღვნიშნოთ მარტინ ოპიცის დიდი ღვაწლი. იგი თავის შრომაში „არისტარხუსი ანუ გერმანული ენის უგულებელყოფის შესახებ“ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიწმინდისაკენ მოუწოდებდა და ნიმუშად სახავდა მინეზენგერების შემოქმედებას, ისევე როგორც ქართული მწერლობის სპარსული პოეზიის გავლენისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი არჩილი თავის მოკავშირედ იყენებდა შოთა რუსთაველს. „ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური მხარის უარყოფელი მწერალი რუსთაველის პოემას აცხადებდა პოეტური კულტურის უმაღლეს საზომად“ და „პოეტებს მოუწოდებდა „რუსთაველის თქმულის“ კვალობაზე მიყოლას“²³.

საფრანგეთში მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლამ ფართო ხასიათი ჯერ კიდევ XVI ს. მიიღო. ამ მიზანს ემსახურებოდა იოაქიმ დიუბელეს შრომა „ფრანგული ენის დაცვისა და ამაღლებისათვის“. მაგრამ ამ მიმართებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დამსახურება ფრანსუა დე მალერბისა, რომელსაც ნიკოლა ბუალო-დებრეო ფრანგი კლასიციზტების „სანდო წინამძღოლად“ და „ნიმუშად“²⁴ თვლიდა.

ფეოდალური უთანხმოებით დაქუცმაცებული საფრანგეთის გაერთიანებისა და აბსოლუტური მონარქიის ერთგული მიმდევარი, რენე დეკარტესა და ბუალოზე გაცილებით ადრე ჰუმბარტებისა და მშვენიერების უმაღლეს მსაჯულად გონების მალიარებელი მალერბი, ენასა და ლიტერატურაში ზედმიწევნით სიცხადეს რომ მოითხოვდა, მკაცრად ებრ-

23 კ. კეკელიძე, აღ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1969, გვ. 345.

24 ნიკოლა ბუალო, პოეტური ხელოვნება, თარგმანი, ანალიზი და შენიშვნები მ. მენაბდესი, 1936, გვ. 14. შემდეგში ყველგან ბუალოს ლექსები ციტირებულია ამ თარგმანის მიხედვით, ფრჩხილებში მითითებულია სიმღერა და ლექსის სტრიქონი.

ძოდა ფრანგულ მწერლობაში დახლართული კომპოზიციის, დელარკნი-ლი და ბნელი სტილის დამკვიდრების ტენდენციას და ფრანგული ენის დანაგვიანებასა და ხელოვნურობას. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა მალერბი სამეფო კარის ენას თვლიდა სანიმუშოდ და უარ-ყოფდა პიერ დე რონსარისა და იოაქიმ დიუ ბელეს შეხედულებებს პროვინციალიზმებითა და არქაიზმებით ენის გამდიდრების შესახებ, მაგ-რამ თანამედროვე პოეტებს დაბეჭითებით ურჩევდა ყური მიეპყროთ პარიზის „თივის ბაზრის მუშების“ მეტყველებისათვის და არ მოსწყვე-ტოდნენ ცოცხალ, ხალხურ სალაპარაკო ენას.

ენის სიწმინდის, ლიტერატურის ეროვნულ ნიადაგზე განვითარების, თემატიკისა და სტილის საკითხები მწვავედ იდგა XVII ს. ქართულ მწე-რლობაშიც, რომლის მოწინავე ნაწილი ვარეშე მტრის თარეშზე არა-ნაკლებ ევოდალური შუღლით განაწამები და დაქუცმატებული საქა-რთველოს ხსნის გზად „ქერიეთა და ობოლთა მოწყალე“, „მძღავრთა შიშის“ მომგვრელი, „საჩივრის გამგებელი“, „მართლის ყურის მიმგ-დები“²⁵, „გონიერი“ და „მეცნიერი“, ერთი სიტყვით, განათლებული მო-ნარქის სკიპტრის ქვეშ გაერთიანებას მიიჩნევდა. იმ დროს შექმნილ ვი-თარებას ჩვენს ქვეყანაში, სადაც „დიდებულთ გინა მცირეთა“ შორის გაბატონებული იყო უკიდურესი პატივმოყვარეობა, ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი, ზუსტად გამოხატავს არჩილის სიტყვები: „ასე სჭირს სა-ქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა, აზვავდებიან, იტყვიან: „უჩე-მოთ ვინ იმღერეთაო“ („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, ტ. II, სტრ. 673).

XVII ს. საქართველოში არსებულ ამ საყოველთაოდ ცნობილ ვი-თარებაზე მართოდ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ევრო-პის ქვეყნებშიც იმ პერიოდში, — რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები განსხვა-ვებით და უაღრესად ზოგად ხაზებში, მაგრამ არსებითად მაინც, — ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორც საქართველოში. სწორედ ამ გა-რემოებამ, ასე თუ ისე ერთნაირმა ისტორიულმა კონტექსტმა და არა უშუალო გავლენამ განსაზღვრა გონებათა მიმართულებისა და შეხედუ-ლებების მსგავსებაც.

XVII ს. მეორე ნახევრის პროგრესული ქართული მწერლობის სა-ხელგანთქმული წარმომადგენელი არჩილ მეფე, როგორც ითქვა, ყო-ველ შემთხვევაში თავისი შეხედულებებით, ქართული ენისა და ლი-ტერატურის სიწმინდის მებაირახტრე და მისი ერთგული დამცველი იყო. არჩილის ეს პოზიცია აშკარად ჩანს ლექსებში „სამიჯნურონი“, სადაც მაინ თუმცა თავად აღიარა „მაჯამა“ კარგ „სამიჯნურო ლექსად“ — „სამიჯ-

25 იხ. არჩილიანი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, გვ. 50.

ეროსა ლექსებსა კარგად მოგვეთხრობს მაჭამაო“ („სამიჯნურონი“. ტ. I, სტრ. 2), მაგრამ სპარსული პოეზიის გავლენით ქართულ ლიტერატურაში თეიმურაზ I-ის მიერ გადმონერგილ ამ სტროფიკას თავისი „სამიჯნურონი“ დაუპირისპირა და გამომწვევლად განაცხადა —

მკობხელთ-მთარგმნელო, „მაჭამას“ წილ ზეც ეს მამირთმეფია,
ჩემი და ჩემმაგიერად, არვისთვის წამირთმეფია,
მიოქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევიაო.

(იქვე, სტრ. 3. ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

ცხადია, როგორც აქად. ალ. ბარამიძე შენიშნავს, არჩილი „ოდნა-ვლად არ უარყოფდა უცხოურ ენათა ცოდნის საჭიროებას. პირიქით, უცხოური ენების ცოდნას საქებურ საქმედ თვლიდა“²⁶. ამას ადასტურებს სიტყვები — პოეტმა „ბევრი სხვაც უნდა იცოდეს, სრულ არ უბნობდეს ქართულადო“ („გვამისა რვათა ასოთა“, ტ. I, სტრ. 10), მაგრამ იგი წინააღმდეგი იყო ენათა აღრვეისა და თავის თავზე რომ ამბობდა — „ეგ ნუ გგონიათ სხვა ენა მეც არ ვიცოდე, სხვასავითო“ („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, ტ. II, სტრ. 1127), იქვე დაბეჭდვით განმარტავდა — „მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაძი სხვას ავითო“ (იქვე, სტრ. 1127).

ენის სიწმინდესთან ერთად არჩილი, რომელმაც კარგად იცოდა და მთლიანად იზიარებდა რუსთაველის შეხედულებას — პოეზია „სიბრძნისაა ერთი დარგი“, „ტკბილად გასაგონი“ („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, ტ. II, სტრ. 16), „მსუბუქად“ და „არ მობრტყოდ“ (იქვე, სტრ. 49) წერის მომხრე იყო და ე. წ. „ბნელი“ და „ნათელი“ სტილის დაპირისპირებისას „ნათელ“ სტილს ანიჭებდა უპირატესობას. ამ დაპირისპირებას კი ხანგრძლივი ისტორია აქვს. მან ჯერ კიდევ სკალდურ პოეზიაში იჩინა თავი, ხოლო პროვანსული ლირიკის საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა. „ბნელი“ და „ნათელი“ სტილის დაპირისპირების თვალსაჩინო მაგალითია ცნობილი ტენსონა, რომელშიც „ბნელი“ სტილის დამცველი ტრუბადური რაიმბაუტ III რომ ამტკიცებს — „რა მნიშვნელობა აქვს გაიგებენ თუ არა ჩემს ნაშრომს, საქმე ხომ ის არაა ყველა იცნობდეს საგანს: მაშინ მარილი თქროზე უფრო ძვირი იქნებოდაო“ და მიმართავს „ნათელი“ სტილის წარმომადგენელ გირაუტის: „ნუთუ იმას აფასებთ, რაც ყველასათვის გასაგებიაო“ — ეს უკანასკნელი პასუხობს: „მეც თქვენსავით ვშრომობ ყოველთვის, მაგრამ ღირს ლექ-

²⁶ კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 344.

სი შრომად, თუ ვერავენ გაიგებს მას? არა! მხოლოდ იმ სიმღერას აქვს ფასი, რომელსაც პოეტი ყველასათვის ქმნისო“²⁷.

გირაუტის ამ აზრს ზუსტად შეესაბამება არჩილის შეხედულება მაღალი ოსტატობით, მაგრამ ლელარქნილი, მკითხველისათვის გაუგებარი „ბნელი“ სტილით დაწერილ თხზულებაზე —

ითქმის, ექვე, ლექსი ასეთი სხაჲმან ვერავენ იოცნოს,
მაგრა რა სიაშოენე აქვს, რა კაცმან ვერ გამოიცნოს.

(„ლექსი ასეულნი“, გვ. 83, სტრ. 2).

იგივე აზრი აქვს გატარებული „პოეტურ ხელოვნებაში“ ბუალოს, რომელიც ფრანგული ენის სიწმინდისათვის რომ იბრძოდა, გადაჭრით ამბობდა — „ჩვენი ჰკუა-გონება არ იკარებს ბარბარიზმსო“ (სიმღერა I, ლექსი 159) და ამტკიცებდა —

თვით ღვთიური ავტორიც, როგორც უნდა ეცადოს,
ხდება სუსტი მწერალი, თუ მას ენა ღალატობსო.

(სიმღერა I, ლექსი 161—2).

„გამოთქმის სიცხადეს“, „აზრის გასაგებად“ გადმოცემას, ანუ, არჩილის სიტყვებით რომ გამოვხატოთ, „კაცმან“ რომ „გამოიცნოს“, ისე წერას აქცევდა საგანგებო ყურადღებას და „ფრანგ მერითმეთა მკაცრი მსაჭული“, — როგორც პუშკინი უწოდებდა „პოეტური ხელოვნების“, ავტორს, — პოეზიაში „მძლე კანონების“ შემომღებ მალერბს ფრანგული კლასიციზმის „სანდო წინამძღოლად“ და „დღესაც ნიმუშად“ „ლამაზი გამოთქმის სიცხადისათვის“ მიიჩნევდა. სწორედ ამიტომ მოუწოდებდა იგი თანამედროვე პოეტებს —

გაიარეთ მის (მალერბის. — დ. ლ.) კვალზე, გიყვარდეთ მისი სიწმინდე
და მიხატეთ სიცხადეს მისი ლამაზ გამოთქმისო.

(სიმღერა I, ლექსი, 141—2)

და განსაკუთრებით ამას შეაგონებდა თანამოკალმეებს —

თქვენი ლექსის აზრი თუ გასაგებად ძნელია,
ჩემი გონება მყისვე იწყებს შესუსტებას.

(იქვე, ლექსი 143—4. ხაზგაბა ყველგან ჩემია. — დ. ლ.)

ენის სიწმინდისა და „კაცმან“ რომ „გამოიცნოს“ ისე წერისაკენ მოწოდებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული „გულის გურიობის“ წინაშე „გონების სიწრფოების“, „უმჯობესობის“ აღიარება და „ნაქორთა“ ნაცვლად „მართლის თქმის“ დაბეჭითებით მოთხოვნა, რაც არჩილის

²⁷ გირაუტისა და რაიმბაუტის ტენსონა ციტირებულია წიგნიდან: „История зарубежной литературы“, ранее средневековые и возрождение, Москва, 1959, стр. 105.

ესთეტიკური შეხედულებების ქვაკუთხედი და მშობლიური ლიტერატურის ეროვნულ საფუძველზე განვითარებისათვის ღვაწლმოსილ პოეტ-ევროპული კლასიციზმის საყოველთაოდ აღიარებული თეორეტიკოსები: გვერდით წარმოაჩენს.

არჩილის მიერ ფორმულის სახით ჩამოყალიბებული გრძნობის წინაშე გონების უპირატესობის გამოხატველი დებულება — „სიწრფობა სჯობს გონების გულისას გურიობას“ („ლექსნი ასეულნი“, ტ. I, სტრ. 1), რომელიც თამამად შეიძლება ეპიგრაფად წაემძღვაროს კლასიციზტური მიმართულების რომელიც გნებათ წარმომადგენლის ნაშრომს ლიტერატურის საკითხებზე, ზედმიწევნით შეესატყვისება არჩილისავე შეხედულებას პოეზიაში „ნაჭორთა“ ნაცვლად „მართლის“ გამოხატვის თაობაზე, რაც აგრეთვე კლასიციზტური ესთეტიკის ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო. მართალია, პოეზიაში „მართლის“ ასახვის მოთხოვნა XVII საუკუნეში არ წარმოადგენდა მხოლოდ კლასიციზტური მიმართულების კუთვნილებას: ე. წ. რენესანსული რეალიზმის უდიდესი წარმომადგენელი ლოპე დე ვეგა მწერლის დანიშნულებად „საუკუნის ზნეთა“ „სიმართლით აღწერას“²⁸ აღიარებდა, მაგრამ „სიმართლით აღწერის“ ლოპესეულ და კლასიციზტთა, კერძოდ ბუალოს, გაგებას შორის, რომელიც ურჩევდა პოეტებს — „ობიექტად სწავლების აირჩიეთ ბუნება“ (მესამე სიმღერა. ლექსი 361), პრინციპული განსხვავება იყო, რასაც, უწინარეს ყოვლისა, მხატვრულ შემოქმედებაში ფანტაზიის როლისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავდა. ლოპე დე ვეგა სრულიადაც არ გამოირიცხავდა პოეზიიდან ფანტაზიას და გამონავონს, მაშინ როცა ბუალო ამტკიცებდა, პოეზია მხოლოდ „გონების ნაბიჯს უნდა მისდევდესო“ (იქვე, ლექსი 407). რაც შეეხება პირადად არჩილს, რომლისთვისაც, აკად. ალ. ბარამიძის შეხედულებებისამებრ, „სრულიად უცნობია ზოგადობის და ტიპიურობის მომენტი“²⁹, მას პოეზიის ყურადსაღებ „მართალ ამბავად“ მარტოოდენ კონკრეტულ-ისტორიულად არსებული, საკუთარი თვალთ დაწახული და ყურით მოსმენილი ფაქტები მიაჩნდა მხოლოდ და „სპარსთა ნაჭორს, გამოგონილს და ფანტასტიკურს „მართალ ამბავს“ უპირისპირებდა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ არჩილი რუსთაველსა და ფეიმურაზ პირველს თუმცა კი აღიარებდა ქართული პოეზიის ორ ბუმბერაზად და ამბობდა — „ქართველთ ენითა მელექსე ვერ ედრების ამ ორსაო“ („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, ტ. II, სტრ. 37), მაგრამ მკვეთრადაც ემიჯნებოდა თავის მიერვე მისაბამად დასახულ პოეტებს, რო-

²⁸ Лопе де Вега, собр. соч., в 6-ти томах, т. I, 1962, стр. 50.

²⁹ ჯ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 348.

გორც, მისი აზრით, „ტყუილად გასაგონარი“ შინაარსის ნაწარმოებთა შემთხვევებს და საყვედურს გამოთქვამდა მათ მიმართ — „სრულად იტყვიან უკლებლად ამბავთა სპარსთა ნაჭორსაო“ (იქვე, სტრ. 37). საკუთარ ნაწერებში არჩილი „ნაჭორის“ საპირისპიროდ ეროვნულ თემატიკაზე ამახვილებდა ყურადღებას და, „რიტორობას“ მოსურებელი, თავის თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ მკითხველს ამცნობდა — „სხვას ზღაპრულს ამბავს ესევე მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად; და არცა რა ამაში ტყუილი წერია ერთის, მეფისა და რუსთველის პირდაპირი გაბაასების, მეტი, საქართველოს ამბავსაც კარგად და მართლა მოგახსენებსო“ (იქვე, ტ. II, გვ. 7). ამავე პროზაულ ნაწილში არჩილი წერს: „მეფე თეიმურაზის ამ ქვემოს ხსენებულ სახელთა და სარჯელთა ამბავი თვითმნახავთა და თანანახულთ მის ყმათ ქართველთ და კახთაგან მსმენოდა — არა ხოტბა — არამედ მართალი“ (იქვე, გვ. 7) და თხზულების დასასრულსაც ამას აღნიშნავს —

რაც მასმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები,
ანუ ლხინი, ანუ ჭირი ერთმანეთზედ დანათლები,
სიმართლე და კვლავ სიმრუდე, ვინ ბნელი ქმნა, ან ნათლები.

(იქვე, ტ. II, სტრ. 1129).

ფანტასტიკურის, „ნაჭორის“, გამონაგონისადმი არჩილისეული დამოკიდებულება ზოგად ხაზებში შეესატყვისება მათდამი საერთოდ კლასიციზტა დამოკიდებულებას და თუ აქ მხოლოდ ბუალოს ვიმოწმებთ და მის გამონათქვამებს ვადარებთ არჩილის მოსაზრებებს, მარტოოდენ იმიტომ, რომ „პოეტური ხელოვნების“ შემთხვევი გვევლინება ევროპული კლასიციზმის საყოველთაოდ აღიარებულ ავტორიტეტად, რო-ქ მედიც ყველაზე სრულყოფილად წარმოგვიდგენს ამ მიმართულების მრწამსს და ლიტერატურულ ნორმებს.

ბუალო თანამედროვე, მწერლებს ურჩევდა:

მსმენელს ნუ მიაწოდებ ამბავს დაუჭერებელს;
შეიძლება მართალი ზოგჯერ მართალს არ ჰგადგეს;
ვიარსოდეს მოგვიბილავს საკვირველი უაზრობა.

(მესამე სიმღერა, ლექსი 47--9, ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

და ფრანგული ლიტერატურის თვითმყოფობისათვის მებრძოლი კრიტიკოსი და პოეტი დაბეჯითებით შეაგონებდა თანამოკალმეებს —

ბევრნი გატაცებულნი გახლებულ სიფიცხით
სალი აზრის გარეშე ქმნიან ნაწარმოებებს;
იქნებოდა სირცხვილი ჩვენი მგოსნებისათვის.
თუ იმას იაზრებდნენ, რაც სხვამ უკვე იაზრა.
შორს ამ ზედმეტობისგან, დაუთმოთ იტალიას
ყველა ამ ძვირფას ქვათა ყალბი ბრწყინვალეზანი.

(სიმღერა პირველი, ლექსი 39—45)▲

ბუალოს ეს შეხედულებანი ზედმიწევნით შეესატყვისება არჩილის მოსაზრებებს: როგორც დავინახეთ, არჩილიც გმობს ზღაპრული შინა-არსისა და უცხოურის, კერძოდ სპარსულის, გავლენით შექმნილ თხზულებებს და ამაყად აცხადებს „ჩემი და ჩემმაგიერად, არვისთვის წამირთმევიანო“, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაცაა, მაგალითად, „მართლის თქმის“ გაგებაში. ბუალოსაგან განსხვავებით არჩილისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, უცნობია განზოგადოება და ტიპიურობა. იგი „მართლად“ მიიჩნევს მხოლოდ ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც კონკრეტულ-ისტორიული მოვლენები და პერსონაჟებია ასახული. ამიტომაც რაცხს ის „ვეფხისტყაოსანს“, რომლის გმირები არ წარმოადგენენ ისტორიულ პერსონაჟებს, „ნაჭორად“ და მწარედ საყვედურებს რუსთაველსაც და თეიმურაზსაც, რომლებმაც, არჩილის რწმენით, „მართლად“ ისტორიული პერსონაჟებისა და მოვლენების ნაცვლად გამოგონილს უმღერეს.

ეროვნულ თემატიკასა და მაღალიდგურ პატრიოტიზმთან ერთად საზოგადოებრივ საკითხებზე ყურადღების გამახვილება წარმოადგენს არჩილის შემოქმედების პროგრესულ ტენდენციას, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ პოეზიაში ევროპული ლიტერატურული გემოვნების შემოჭრის მაჩვენებელი და ჩვენი მწერლობის „ევროპეიზმის“ გზით განვითარების დამახასიათებელი ნიშანია.

ამ თვალსაზრისით უღარესად მნიშვნელოვანია შემოქმედება ვახტანგ VI-ისა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს აღორძინების პერიოდის ქართულ მწერლობაში.

თეიმურაზ პირველისა და არჩილის მსგავსად კირნახული ქართლის შეფეც აღნიშნავს „მიუნდობ“ და „მოყვრისთვისაც მიწყავ კრულ საწუთროს“ („სალბუნად გულისა“, სტრ. 65)³⁰ „დაუდგრომლობას“ (იქვე, 95). ვახტანგიც სოფელს „ცრუს“ და „მუხთალს“ (იქვე, 79) უწოდებს. მისი აზრითაც, „სოფელი — ჩვენი მესისხლე — ზღაპარი არის, ყბედია“ (იქვე, 90), რომელიც

ზოგს ძირამდის სახლს დაუქცევს, ზოგს ქორედად აუგებსა.

ზოგს ძირამდის სახლს დაუქცევს, ზოგს ქორედად აუგებსა.

(იქვე, 91).

მაგრამ შეფე-პოეტრი, მკითხველს რომ აფრთხილებს — „ნუ მიენდობით უნდოსა, ბოლოს არ გიყოსთ ძალიანო“ (იქვე, 98) და თავის მდგომარეობით დამწუხრებელი აღნიშნავს — „ცრუმან სოფელმან სიმუხთლით,

³⁰ ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1947. ვახტანგის ლექსები ციტირებულია ყველგან ამ გამოცემის მიხედვით, ფრჩხილებში მოთავსებულია ნაწარმოების სათაური და სტროფი.

მწვე მიკვირს, ჩემთვის აგო რაო“ (იქვე, 79), ადამიანის უბედურების მიზეზად, ისევე, როგორც არჩილიც, საწუთროს კი არ რაცხს, არამედ ადამიანსავე მიიჩნევს და ამბობს:

რას ვაბრალებ საწუთროსა, ვამბობ, მიუო ამან ესო,
რაც მე შეესვი შესასმელი, ესე ხელსა ვისცა ესო?
ვარდი მდგა ბალსა ჩემსა, არ თუ სამე ნარი ესო,
მე აღმოვფხვარ, სხვას ვის ეძლო მისთვის რამე ძირსა ესო?
(იქვე, სტრ. 80).

ამიტომაც ვახტანგი, რომლის შემოქმედება „გამომხატველია არა მარტო მისი უკულმართი ბედისა..., არამედ მისი ქვეყნისა“³¹, თუმცა სასოწარკვეთილების უამს კი აცხადებს —

ვგობ საწუთროსა მუხთალსა, უცხოსა, ვასაკვირასო (იქვე, სტრ. 100);

მაგრამ სრულიადაც არ უარყოფს სოფელს. პირიქით, სოფლიდან განდგომის ნაცვლად ადამიანს იქითკენ მოუწოდებს, რომ: „ამ სოფელსა ხელი ჰყაროს“, მომავლისთვის იზრუნოს. და სოფლის სასარგებლო საქმე გააკეთოს, რაც აფორიზმის სახითა აქვს მას ჩამოყალიბებული ოთხბჭყარედში —

კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოუყარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილებლად წულისა პირსა სამე ღარგოს.
(ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.)

„წუთისოფელში“ ადამიანის 'დანიშნულების ვახტანგისეული ღრმად პროგრესული გაგება, ალ. ბარამიძის აღნიშვნისამებრ, უნდა გამხდარიყო ამ პრობლემაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ნააზრევის წყარო.

მართლაც, „არა მარტო იდეური ნათესაობით, არამედ მხატვრული წარმოსახვის მთელი კომპლექსით — ლექსის საერთო, შინაგანი ტონუსით, რამდენადმე ერთნაირი სიტყვიერი ინვენტარიტაც“³² ვახტანგის შეგონებას ეხმაურება XIX საუკუნის გენიალური ქართველი პოეტის თვალსაზრისი —

მაგრამ რადგანაც კაცი გვექან — შვილი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივლოთ მას, გვესმას შობლისა.

31 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბილისი, 1952, გვ. 484.

32 კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 390; იხ. აგრეთვე: ალ. ბარამიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია, ლიტერატურული ძიებანი, III, თბილისი, 1947, გვ. 65; ვახტანგ VI, დასახ. შრ., გვ. XI—XII.

არც კაცო ვარგა, რომ 'ცოცხალი მკვლარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.

ხოლო ილია ჭავჭავაძე, ქართულ ლიტერატურაში „კაცადკაცობის
ვრცელი მინდვრის წვედომას“ „ვერობეიზმის“ ერთ-ერთ მთავარ ნიშ-
ნად რომ მიიჩნევდა, ქართული მწერლობის მხრივ მომავლისათვის სწო-
რედ ამ ზრუნვას, ადამიანის აუცილებელ და უპირველეს მოვალეობად
საზოგადოებისათვის სასარგებლო მოღვაწეობას გულისხმობდა.

სატრფოს სახით წარმოდგენილ სამშობლოს ბედით დამწუხრებულ
მეფე და პოეტი, რომლის ლირიკა თამამად შეიძლება დაეხასიათოთ
ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ილიასეული „შეფასების მიხედვით, როგორც
„მამულისშვილური გულის ტკივილით“ „საზოგადო ყოფისაგან ამოკე-
ნესილი სიტყვა“³³, თავის მაღალქუმანური და პატრიოტული იდეებით
გამსჭვალულ თხზულებებში პოეზიის საგანგებო დანიშნულებად „სიტკ-
ბოსთან“ ერთად „სარგობას“, ანუ ესთეტიკურთან ერთად შემეცნებით
ზემოქმედებას აღიარებდა და, მისივე განცხადებით, „ქილილა და დამა-
ნას“ თარგმნისთვისაც მხოლოდ იმიტომ მოუყიდია ხელი, რომ „იყო
სიტკბოთი და სარგოთი სრული“ („ანდერძი დიდ ჰირსა შინა მყოფი მე-
ფის ვახტანგისა“, გვ. 51). „რაოდენი სარგო წიგნია, და ანუ მსოფლიო
სწავლანი არიან, ამისთანა სარგო და საამოდ საკითხავი არ იპოებოდა“
(იქვე, გვ. 51. ხაზგასმა ყველგან ჩემია. — დ. ლ.), — აღნიშნავდა ვახტან-
გი „ქილილა და დამანასთვის“ წამძღვარებულ „ანდერძში“.

„სარგო“, „საამოდ საკითხავი“ და „მსოფლიო სწავლანის“ შემეცნელ
თხზულებათა საზოგადოებისათვის მიწოდების მოსურნე პოეტი „დაუდ-
გრომელ სოფელში“ ადამიანის ხსნისა და „წყლულთა მორჩენის“ უმნიშე-
ნელოვანეს წყაროდ. XVIII საუკუნის ევროპელ განმანათლებელთა
მსგავსად, სწავლა-განათლებას მიიჩნევდა და ამბობდა —

სწავლა გაეს წყალსა წმიდასა რუულად მომდინარესა,
რა მხედრეს კარგსა სათვისსა დროსა, ეამსა და არესა,
აღმოაცენებს ნაყოფსა ასწილად შესაწყნარესა.

(„ქაეშანი“, სტრ. 2).

სწავლა-განათლების საქმეში კი ვახტანგ VI, ისევე როგორც განმა-
ნათლებლები, საგანგებო როლს მხატვრულ ლიტერატურას ანიჭებდა და
„კაცის შეუტყობრობისა და მოუძაგებლობის გულისათვის“ „ადვილად“
წერას მოითხოვდა. „მე, — წერდა ვახტანგი „ქილილა და დამანას“ შესა-
ვალში, — კაცის შეუტყობრობისა და მოუძაგებლობის გულისათვის ად-
ვილისა და მსოფლიოს სიტყვით დაეწერე, რომ მკითხველთ სამძულვა-

³³ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული. ტ. III. 1953, გვ. 203.

როდ არ უჩნდეთ და ეს სწავლა (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.) გაუგონებელი არ დარჩეს“ (გვ. 53). იქვე ლექსად არის ჩამოყალიბებული ეს აზრი —

„არ ვიყავ სრულად უცოდნი, ვიცილი ენა მძიმები,
მეკითხა წიგნი საღვთო და საერო ამას წინები;
ვოქვი ენით მეტად ადვილით, რომ იყოს მოუწყინები.
(იქვე, გვ. 53).

მაგრამ თქმა „ენით მეტად ადვილით“ სრულიადაც არ გამორიცხავს ლექსის დახვეწას, მის გამართვას, ანუ, როგორც თეიმურაზი იტყვოდა, „სიტყვათა შეთხზვა-შეკაზმას“ და აზრის სიღრმეს. პირიქით, ვახტანგის აზრით —

ლექსი ტკბილი, გვირავი, სწავლით უნდა გამახარი,
სამ-ოთხ რიგად გასასინჯი, სიბრძნეზედა მოუხარი.
(„სატრფიალონი“, სტრ. 1).

მეტეც, ვახტანგი „ურგებად“ თვლის ლექსს, რომელშიც სიბრძნე არაა ჩაქსოვილი, „უიგაოა“ და ჩაღრმავებას და „გაჩხრეკას“ არ საჭიროებს.

რა სახმარია ლექსობა ურგები; კაცთა უყენი?
უიგაო და უჩხრეკი, მწვე სამსგავსია უყენი.
(„სიბრძნე მალაღობელ“, სტრ. 811)...

მხოლოდ ღრმა აზრის შემცველ, მაგრამ „საამოდსაკითხავ“ თხზულებებს შეუძლია იყოს „სიტკბოთი და სარგოთი სრული“ და დააინტერესოს მკითხველი, ესთეტიკური სიამოვნებაც მიანიჭოს და სიბრძნეც ასწავლოს მას.

ქართულ მწერლობაში ახალი მიმართულებისათვის გზის გაკაფვის თვალსაზრისით საყურადღებოა ვახტანგის ღვაწლი ლექსის ფორმის სფეროშიც.

ქართული პოეტური კულტურის ტრადიციებზე მტკიცედ მდგომი პოეტი, ჩვენს პოეზიაში გაბატონებულ ვერსიფიკაციებს — ჩახრუხაულსა და რუსთველურ შაირს რომ ეყრდნობოდა, არსებითი ცვლილებაც შეჰქონდა მათ კილოს, რიტმსა და კონსტრუქციებში. ამიტომაც ქართულ მწერლობაში ელევგის ჟანრის დამამკვიდრებელი და მისი სახელის მიხედვით „ვახტანგურად“ წოდებული ვერსიფიკაციის შემომღები ქართული ლექსის რეფორმატორადაც არის აღიარებული.

მაგრამ ჩვენს ლიტერატურაში როგორც შინაარსის, ისე ფორმის გადახალისების თვალსაზრისით სავანებო დამსახურება მიუძღვით სულხან-საბა ორბელიანს, მამუკა ბარათაშვილს და დავით გურამიშვილს.

მრავალმხრივ განათლებული, ღვთისმეტყველებისა და სასულიერო მწერლობის, გეოგრაფიის, ასტრონომიის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, ფილოსოფიისა და ფილოლოგიის მცოდნე და უცხო ენებს დაუფლებული სულხან-საბა ორბელიანი ქართული მწერლობის საამაყო ფიგურაა, რომელსაც თამამად შეუძლია დაიკავოს ღირსეული ადგილი იმდროინდელი მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე პროგრესულ და საუკეთესო წარმომადგენელთა შორის.

„სიბრძნე სიცრუისა“,³⁴ სადაც, დ. მ. ლანგის შენიშვნებისამებრ, „სულხან-საბა იყენებს ცნობილ ხერხს ე. წ. „ჩარჩოიანი თხრობისა“, რომლის სახელგანთქმული ნიმუშებიც გახლავთ „დეკამერონი“ და „ათასერთი ღამე“³⁵, ერთი იდეური კონცეფციით შეკრული იგავ-არაკების კრებულად ჩამოყალიბებული დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებია. ხოლო XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში „თითქმის გაბატონებული“ „ზნეობრივი მოტივი და დიდაქტიკური ტონი“³⁶ სულაც არ წარმოადგენდა მარტოდენ ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელ შოვლენას. ამ პერიოდის, განსაკუთრებით XVIII ს. ინგლისური, გერმანული, ფრანგული და სხვ., ლიტერატურა უპირატესად დიდაქტიკური მიმართულებისა იყო. ვ. კოტეტიშვილის შენიშვნებისამებრ, „ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვ. მეტერამეტე საუკუნეში ჩნდება და ბატონდება ზნეობრივი ხასიათის ლიტერატურა. რომანებსა და ლექსებს რომ თავი დავანებოთ, „ყოველკვირეულ-ზნეობრივი გამოცემები“ იმდენი იყო, რომ ფარავდა უკვე დროგადასულ მოტივებსა და თემებს“³⁶. არა მარტო რიჩარდსონმა და გოლდსმითმა, ჟან-ჟაკ რუსომ, ბომარშემ, გელერტმა, ვილანდამა და ლესინგმა, არამედ გოეთემაც და შილერმაც ხარკი გადაუხადეს ამ მიმართულებას. დიდაქტიკურ მიზანს ემსახურებიან შილერის გმირები, მისი იდეების რუპორები, ხოლო გოეთეს „ვილჰელმ მაისტერი“ ე. წ. აღმზრდელობითი რომანის ნიმუშად არის მიჩნეული.

დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებთა ეს მოზღვავება გამომდინარეობდა გადაუჭრელ წინააღმდეგობათა შემცველი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელი გარდაქმნის საშუალებად აღამიანის ზნეობრივი აღზრდის აღიარებიდან და დაკავშირებული იყო საზოგადოების აღზრდაში მხატვრული ლიტერატურისათვის განსაკუთრებული როლის მინიჭებასთან.

34 დევიდ მარშალ ლანგი, ქართველოლოგიური ძიებანი ოქსფორდში, „ცის-კარი“, 1957, № 4, გვ. 144.

35 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959, გვ. 39.

36 იქვე.

„სიბრძნე სიცრუეში“ აშკარად ჩანს, რომ „მთელი საქართველოს მამად“ წოდებული სულხან-საბა ორბელიანის იდეალი იყო ცენტრალიზებული სახელმწიფო. დიდი შემოქმედი და მოღვაწე სამშობლოს უბედურების ერთ-ერთ და, შეიძლება ითქვას, მთავარ მიზეზად ქვეყნის ფეოდალურ დაქუცმაცებულობას რომ თვლიდა, — ისევე როგორც შექსპირი თავის ქრონიკებში, განსაკუთრებით „ჰენრიხ IV-სა“ და „ჰენრიხ VI-ში“, — თავგასულ ფეოდალთა თვითნებობას უპირისპირებდა იდეალს გაერთიანებული სახელმწიფოსი, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა ძლიერი და განათლებული მონარქი. მგზნებარე პატრიოტს, იმავე შექსპირის მსგავსად, გულწრფელად სჯეროდა, რომ მხოლოდ მონარქს, ოღონდ განათლებულს და სამართლიანს, ვისაც შეგნებული აქვს, რომ მეფობა უწინარეს ყოვლისა მძიმე მოვალეობაა — უანგაროდ ემსახურო ქვეყანას და ხალხს, — შეეძლო გარეშე მტრების შემოტევებით შეიწროებული, ფეოდალური უთანხმოებებით დასუსტებული ქვეყნისა და ბედგამწარებული ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. პარტიკულარიზმისა და ფეოდალური თავაშვებულობის საპირისპიროდ ცენტრალიზებული სახელმწიფო წარმოადგენდა იდეალს XVII—XVIII საუკუნეების ევროპის პროგრესული მოღვაწეებისთვისაც, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილმ სწორედ განათლებულ აბსოლუტიზმს რაცხდა სახელმწიფოს მმართველობის საუკეთესო ფორმად, ხოლო განათლებულ მონარქს იმ პიროვნებად, ვისაც შეეძლო ბედნიერება მიენიჭებინა ქვეყნისათვის.

განათლებული მონარქისადმი ეს რწმენა თვით საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციამდე იყო პოპულარული. საყურადღებოა, რომ სულხან-საბას გარდაცვალებიდან ექვსი ათეული წლის შემდეგ ტირანთ წინააღმდეგ ამხედრებული „ყაჩაღებისა“ და „ვილჰელმ ტელის“ ავტორის, „კეთილშობილ გულისთქმათა პოეტის“³⁷, „მომავალ საუკუნეთა წინასწარმეტყველისა“³⁸ და კაცობრიობის ტრიბუნის, „ყოველივე მალაღობისა და ზნეობრივად მშვენიერის გატაცებული თავყანისმცემლის“³⁹ ფრიდრიხ შილერის იდეათ რუპორს მარკიზ პოზასაც ნამდვილად სწამდა, რომ საკმარისია მონარქის კალმის „ერთი მოსმა და მთელი ქვეყანა განახლდება, გარდაიქმნება“⁴⁰. მეტიც, საფრანგეთის ბურჟუაზიული რე-

37 А. М. Герцен. Об искусстве, М., 1954, стр. 61.

38 В. Г. Белинский, Собр. соч., в трех томах, М., 1948, т. I, стр. 713.

39 იქვე, ტ. III, გვ. 384.

40 ფრ. შილერი, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, დ. ლაშქარაძისა და მ. მაისურაძის რედაქციით, წინასიტყვა და შენიშვნები დ. ლაშქარაძისა, თბილისი, 1962. ტ. II, გვ. 153.

ეოლუციის წინა პერიოდში და რევოლუციის შემდეგაც „ქარაზხლისა და შეტევის“ პერიოდის გერმანული ლიტერატურის ყველაზე უფრო რევოლუციურად განწყობილი მწერალი გეორგ ადამ ფორსტერი, ვინც ბარიკადებზე იბრძოდა თავისუფლებისათვის, გერმანიაში, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული რევოლუციისათვის, თავის იდეალთა განხორციელების იმედს „ბრძენ და შორსგამჰკვრეტ კურფიურსტებზე“ ამყარებდა. ხოლო შილერის მკვლევარის ურსულა ვერთაიმის აღნიშვნისამებრ, საფრანგეთში „ბასტილიის დაცემის, ე. ი. 1789 წლის რევოლუციის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში არაღის უფიქრია მონარქის გადაგდებაზე და სურდათ შეედგინათ ახალი კონსტიტუცია, რომელშიც მეფე ისეთსავე მონაწილეობას მიიღებდა, როგორსაც მესამე წოდება“⁴¹.

სულხან-საბა ორბელიანი საერთო კეთილდღეობის წყაროდ განათლებული მონარქის სკიპტრის ქვეშ ქვეყნის გაერთიანებასა და „ძალას ერთობისა“ რომ მიიჩნევს, „სიბრძნე სიცრუეში“ იმის ჩვენებასთან ერთად, თუ როგორ უნდა აღიზარდოს სახელმწიფოს ქვეშაირი მბრძანებელი, დაუნდობლად ამხელს თანამედროვეობის უარყოფით მხარეებს: მეფეთა თვითნებობასა და მის მიხელეთა თავგასულობას, სიმდაბლეს, მლიქვნელობას და გაიძვერობას; ერისა და ბერის ზნედაცემულობას, ანგარებას, სიძუნწეს, ფარისევლობას, პირმოთნეობას და ცბიერებას. სულხანი არ ინდობს არც ხარბ, გაუმაძღარ და ვერცხლისმოყვარე სასულიერო პირებს, არც ხალხის წურბელად ქცეულ უვიც, მექრთამე და ორპირ მსაჯულებს, გზირებს და მამასახლისებს და არც ხელმრუდ, უპატიოსნო ხელოსნებს. როგორც ა. გაწერელია აღნიშნავს, სულხან-საბას წიგნში ვრცელი სურათია ადამიანის ზნეობრივ ნაკლოვანებათა, რასაც იგი „ხშირად კომიკური გროტესკის გამოყენებით აგვიწერს“⁴². მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერებათა მხილებასთან ერთად, რაც ქართულ მწერლობაში ევროპეიზმის ტენდენციის აშკარა მაჩვენებელია, იგავ-არაკეთა კრებულის ავტორი, აკად. კ. კეკელიძის აღნიშვნისამებრ, „იძლევა მორალური დებულებების მთელ კოდექსს, მისი მიზანია — დაგვიხატოს ნამდვილი, ღირსეული ადამიანი, რა ასპარეზზედაც არ უნდა მოღვაწეობდეს ის“⁴³ და, რაც მთავარია, „აქ გამოყვანილია დადებითი პერსონაჟებიც, უმთავრესად გლეხთა წარადნ, ნაჩვენებია და რეგლამენტირებული ისეთი მოვლენები, რაც კეთილმოწყობილ საზოგადოებაში საჭირო და აუცილებელია“⁴⁴.

⁴¹ Ursula Wertheim, Schillers „Fiesco- und „Don Carlos“. Berlin und Weimar, 1967, S. 198.

⁴² ა. გაწერელია, ლიტერატურული წერილები, თბილისი, 1954, გვ. 71.

⁴³ ქართული ლიტერატურის ისტორია ეკვა ტომად, ტ. II, თბილისი, 1966, 33-457.

⁴⁴ იქვე, გვ. 462.

ხოლო „კეთილმოწყობილი საზოგადოების“ ძირითად „საქირო და აუცილებელ“ საქმედ, ევროპელი განმანათლებლების მსგავსად, სულხან-საბა სწავლა-განათლებას მიიჩნევდა, როგორც საზოგადოების გამა-კეთილშობილებელ და ზნეობრივად ამამალებელ საშუალებას.

სულხან-საბას მიხედვით, სწავლა-განათლებას, რომელიც ყველა საგანძურზე და სიმდიდრეზე ძვირფასი და უმეტესია, გვარიშვილობა-ზე მალა დგას და ყოველგვარ თანამდებობას აჭარბებს, მთელი საზო-გადოება უნდა ეწაფებოდეს. იგი სჭირდება მიწის მუშაკსაც, ხელოსან-საც, მოხელესაც და სასულიერო პირსაც. მეტადრე განათლებული უნდა იყვნენ მეფის მრჩეველნი, რადგან „ერთის ქკუა და რჩევა უამხანაგოდ სწორედ არ წავა, არ იქმნების, რაგინდ ბრძენი იყოს, ერთიც არის საქ-მე არ დაიციდნოს და ერთის საქმის დაცდენითა ბევრი წახდების, ამი-სთვის ორისა და სამის კაცის რჩევა სჯობს“⁴⁵. მაგრამ იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ აღმზრდელი თავად უნდა იყო აღზრდილი, სულხან-საბას აზრით, სწორედ მეფე — ქვეყნის გამგებელი და ერის წინამძღო-ლი საქიროებს საგანგებო გაწვრთნას და ღრმა განსწავლულობას. „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა“⁴⁶, — შეაგონებს ლეო-ნი მეფე ფინებს, ხოლო იმისათვის, რომ მეფე „უგვანი“ არ იყოს, მან საკუთრივ უნდა გაიციოს ცხოვრების ავიცა და კარგიც, იცოდეს „გლა-ხაკთა, მონათა, გლებთა, მსახურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა, ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჳირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ქამა და მიცემა“⁴⁷.

თანაც სულხან-საბა ორბელიანი „შრომას“, „მუშაკობას“, „საქმეს“, „გარჯას“ აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან, ა. ზურაბიშვი-ლის შენიშვნისამებრ, „სიბრძნე სიცრუის“ ანტორმა კარგად იცოდა, რომ „უმოქმედობა ოქროს ქვედ აქცევს, ხოლო ავად ქონება არქონებაზე უარესია“⁴⁸ (იხ. იგავი „ძუნწი და ოქრო“) და ამიტომაც იგი შრომას ადამიანის ბედნიერების, მისი მატერიალური უზრუნველყოფის, სულიე-რი და ფიზიკური სრულყოფის წყაროდ მიიჩნევდა. „სიბრძნე სიცრუის“ მრავალ იგავთაგან ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იგავში „მუშა კაცი და ბედი“, მაგრამ ამ მიმართებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი „სწავლანი“, სადაც შრომა არა მარტო მატერიალური დოვლათის საფუძვლად არის აღიარებული, — „რომელსა კაცსა ჩასდებია საქმელი

⁴⁵ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, გამოსაცემად მოამზა-დეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბილისი, 1959, გვ. 45.

⁴⁶ იქვე, გვ. 30.

⁴⁷ იქვე

⁴⁸ ა. ზურაბიშვილი, პერსონოლოგიური პრობლემები სულხან-საბა ორბე-ლიანის შემოქმედებაში, „მნათობი“, 1972, № 4, გვ. 127.

უხელოდ, რომელსა შემოსია სამოსელი გაურჯელად“, — არამედ ფიზიკური და სულიერი კეთილდღეობის წყაროდაც არის დასახელი. სულხან-საბა აქ დაბეჭითებით შეაგონებს მკითხველს: „მუშაყანი მომთმინენი სიცხეთა და სიცივეთანი, ვითარ ოფლითა დენითა განაქარვებენ და განდენიან უმაშენოთა ჰაერთა და მავნეთა სნეულებათა და იშვიათ არიან მუშაყნი შრომისა მომთმენნი სნეულ, არამედ, რომელნი, უდებ და მკამელ და უთმინო არიან და მონა მკურნალთა და მკვენესელ და მევეალაღე და ვერცალა მოითმენენ სნეულებათა მათთა“⁴⁹.

ასეთი დამოკიდებულება შრომისადმი, რომელიც ორბელიანის ნააზრევში ადამიანის პირველი ცოდვის გამოსასყიდ ტანჯვის წყაროდ კი არ არის წარმოდგენილი, არამედ, იმავე ა. ზურაბიშვილის მართებულ შენიშვნისამებრ, „სულიერი საუნჯის“ და „ნივთიერი დოვლათის საწინდრად არის მიჩნეული“⁵⁰, მხოლოდ XIX საუკუნის ლიტერატურაში იკავთ ფართოდ გზას და სათანადო გამოძახილს პოულობს ვეროპეზმის გზაზე დამდგარ ქართულ მწერლობაშიც, თუმცა XVII, განსაკუთრებით კი XVIII საუკუნის ვეროპულ ლიტერატურაშიც საკმაო ადგილი ეთმობა მას. აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ ჯონ მილტონი, რომლის „დაკარგული სამოთხის“ გმირი, ედემიდან გაძევებული ადამი „ოფლის ღვრით პურის მოპოვებას“, „მუღმივე შრომას“ აძლევს უპირატესობას „უსაქმურობის“ წინაშე და ამბობს —

...მეც პური ჩვენი არსებობის
უნდა ოფლის ღვრით მოვიპოვო, მუღმივი შრომით.
მერე რა მოხდა? ეს არა სჯობს უსაქმურობას?⁵¹
ჩემივე შრომა-გარჯილობამ უნდა მარჩინოს!⁵¹.

ადამი არა მარტო იმაშია დარწმუნებული, რომ „დინჯი შრომით“ მოიპოვებს „სულის სიმშვიდეს“⁵², „ბეჭითი შრომით“ დედამიწიდან „ყოველ ნაყოფს“ მიიღებს „უხვად“⁵³, არამედ მას მტკიცედ სჯერა, რომ შრომის გზით (მორჩილებასა და ლოცვა-კურთხევასთან ერთად)

დაუმკვიდრდება ადამიანს ტურთა სამოთხე,
ათასჯერ მეტად ამ ედემზე უნეტარესი⁵⁴.

49 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1963, გვ. 53.

50 ა. ზურაბიშვილი, პერსონოლოგიური პრობლემები სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში, „მნათობი“, 1972, № 4, გვ. 127.

51: ჯონ მილტონი, დაკარგული სამოთხე, თარგმანი ვ. ქვლიაძისა, თბილისი, 1965, გვ. 297.

52 იქვე, გვ. 313.

53 იქვე, გვ. 334.

54 იქვე, გვ. 350.

ცხადია, არც სულხან-საბა ორბელიანთან და არც ჯონ მილტონთან ეს მოტივი არაა ისე ფართოდ გაშლილი, როგორც, ვთქვათ, დანიელ დე-ფოს. „რობინზონ კრუზოში“, მით უმეტეს გოეთეს „ფაუსტში“, სადაც ფაუსტი დიდი ხნის ძიების შემდეგ სწორედ შრომაში პოეზებს ნეტარებას და იტყვის: „შეყოვნდი წუთო, ბედნიერი ვარ“, ანდა შილერის „სიმღერაში ზარზე“, რომელიც შრომას ადამიანის უკეთეს „სამკაულად“ წარმოგვიდგენს, მაგრამ ჯონ მილტონთან ერთად სულხან-საბააც გვევლინება პიონერად, რომელმაც შრომა ადამიანის სათაკილო საქმედ კი არა, კეთილშობილურ, ბედნიერების მომნიჭებელ, აუცილებელ მოვალეობად აღიარა.

აკად. კ. კეკელიძის შენიშვნისამებრ, „იგავ-არაკთა შინაარსობრივი ღირებულებით, სენტენცია-აფორიზმების სიუხვით „სიბრძნე-სიცრულსა“ იგავარაკული ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბითაც“⁵⁵.

„მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით“ კი ამ ძეგლის საგანგებო მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, იმით არის გაპირობებული, რომ იგი ხალხურ-ეროვნულ მასალას ეყრდნობა. მართალია, ქართული მხატვრული პროზის ამ შედევრში მოიპოვება ლაფონტენის, ეზოპეს, „პანჩატანტრას“, „ათასერთლამიანის“, „შვიდვეზირიანის“ და იგავ-არაკთა სხვა კრებულების მსგავსი იგავები, ისიც მართალია, რომ „სიბრძნე სიცრულეში“ გვხვდება. როგორც აღმოსავლური („ინდოთ მეფე და ვეზირნი“, „ორი მოლა“, „უსამართლო შირვან-შაჰ“, „ხალიფა და არაბი“, „ქოსა და ყადი“, „ვირად ცნობილი ყადი“ და სხვ.), ისე დასავლეთეუროპული („დუკა და აზნაური“, „მეფე და მხატვარი“, „კეისრის სპასპეტი“, „იტალიელი მხატვარი“, „მაგისტროსი კეისრისა“ და სხვ.) კოლორიტის იგავ-არაკები და ნოველები; მეტიც, როგორც ყურნალი „ივერია“ აცნობდა მკითხველებს, „სიბრძნე სიცრუის“ უორდრობისეული თარგმანის გამო ინგლისური ყურნალის „Atienueu“-ის 1895 წ. თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული რეცენზიის ავტორი სულხან-საბას ნოველას „ცოცხლად დამარხული კაცი და უსახოდ დიდი ადამიანები“ ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობას“ ამსგავსებდა და წერდა: „ზღაპრები მღვევების შესახებ. გულივერის მოგზაურობას ჰგავს, მხოლოდ აღსანიშნავია ისიც, რომ სვიფტის წიგნი დაიბეჭდა, დაახლოებით რომ ვთქვათ, ორბელიანის სიკვდილთან ერთად. ეს გარემოება რომ არ ვიცოდეთ, გვეგონებოდა, რომ ორბელიანს სცნობიაო ეს წიგნი, როდესაც დასავლეთში ჰმოგზაურობდა, რადგან ამ წიგნის სახელი სასწრაფოდ გავარდა ინგლისშიაც და ინგლისს გარეშეც, შორეულს ქვეყნებშიც“⁵⁶; მაგრამ მიუ-

⁵⁵ ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. II, თბილისი, 1966, 33-468.

⁵⁶ „ივერია“, 1895, № 60.

ხედავად ზემოთ აღნიშნულისა, საბანო თხზულება, როგორც დადგენილია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, სრულიად ორიგინალური ნაწარმოებია. იგი არ წარმოადგენს მიბაძვას, მით უმეტეს თარგმანს, და გვევლინება ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ძეგლად, რომელშიც ლიტერატურულად არის გადამუშავებული ხალხის წიალიდან აღებული მდიდარი მასალა.

სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების მკვლევართა უმრავლესობის მიერ „სიბრძნე სიცრუის“ თაობაზე გამოთქმულ ამ მოსაზრებას ადასტურებს ე. ვირსალაძის, გ. ლეონიძის, ქს. სიხარულიძის, ალ. ლლონტის, მ. ჩიქოვანის, ა. ცანავას და სხვ. შრომებსა და წერილებში ქართულ ხალხურ სიტყვიერებიდან ამოკრებილი „სიბრძნე სიცრუის“ იგავ-არაკთა პარალელების შემცველი უხვი მასალა.

სწორედ ის, რომ „სიბრძნე სიცრუეში“ „იგავების სახით გადაშლილია ჩვენი ხალხის სულიერი ქვეყანა“⁵⁷, ეროვნულ-ხალხური მასალა დამუშავებულია „მეტად ფართო პერსპექტივით, მთელი ქვეყნის ჩვენებითა და გათვალისწინებით“⁵⁸ და „ხალხთან დაახლოების“, „ხალხის მსოფლმხედველობის“⁵⁹ გამომხატველი .ეს ნაწარმოები გამსჭვალულია იმ დროისათვის ღრმად პროგრესული იდეებით, განსაზღვრავს ამ თხზულების, საერთოდ, სულხან-საბა ორბელიანის მთელი შემოქმედების საგანგებოდ დიდ მნიშვნელობას ევროპეიზმის გზაზე დამდგარი ქართული ლიტერატურის 'განვითარების ისტორიაში.

ქართულ მწერლობაში ევროპული ლიტერატურული გემოვნების დანერგვის, ჩვენი ლიტერატურის ევროპეიზმის თვალსაზრისით სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების თემატიკაზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ქართველი მწერლის ნაწარმოებთა მხატვრულ ფორმას, რომელიც ზედმიწევნით შეესატყვისება მისი შემოქმედების მაღალქუმანური და დემოკრატიული ტენდენციის შინაარსს.

უწინარეს ყოვლისა, როგორც ეს აღნიშნული აქვთ აკად. ე. კეკელიძესა და ალ. ბარამიძეს, ყურადღებას იპყრობს ის, რომ იმ პერიოდში, როცა გაბატონებული ლიტერატურული გემოვნება უგულვებელყოფდა პროზას და ლექსს ანიჭებდა უპირატესობას, ქართული ლექსის ბრწყინვალე ოსტატმა — სულხან-საბა ორბელიანმა „სიბრძნე სიცრუისა“ ზროზით დაწერა. თანაც ენა იგავ-არაკთა ამ კრებულისა „არის მარტივი, დარბაისლური, ადვილად გასაგები, ბარბაროზმებისაგან განტეირთული და შესამჩნევად დაახლოებული ხალხურ მეტყველებასთან“⁶⁰. ამასთანავე მას „ახასიათებს ლაკონურობა, ზედმეტი

57 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959, გვ. 37.

58 იქვე.

59 იქვე, გვ. 38.

60 ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. II, 1966, გვ. 467.

ენობრივი დეტალებისაგან განტვირთვა, მოტივაცია მოქმედებისა, მოვლენების თანდათან განვითარება, რომელიც მკითხველს წინასწარ ანიშნებს მოსალოდნელ ეფექტს“⁶¹.

„სიბრძნე სიცრუის“ ენის თავისებურება განსაკუთრებით ორი გარემოებით იპყრობს ყურადღებას. პირველი ისაა, რომ ეს ნაწარმოები, რომელშიც სულხან-საბა ორბელიანი გარკვეულ ხარკს უხდის „აღმოსავლურ ყვავილოვნობასაც“, ისეთი ფრაზებით, როგორცაა: „შეიწყალა ღმერთმან და მისცა მეფესა ძე ისეთი, რომე სინათლითა მზე მოჴურნეობდა, ათ-ხუთმეტისა დღისა მთვარე ნათელსა მისგან ითხოვდა, ვარსკვლავნი მისსა კამკამბასა გაეცვიფრებინა, შავნი მერცხლისა მხარნი ბროლთა ზედან განაპყრობით დაემშვენებინა, მელნის გუბენი გიშრის ლერწმით შემოესრა, ვარდი და ზამბახი ერთმანეთში აეყვავებინა“⁶², სწორედ ენის სიმარტივით, ლაკონიურობითა და ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებით უპირისპირდება აღმოსავლურ მაღალფარდოვანობას და წარმოადგენს აღმოსავლური ლიტერატურის გავლენისაგან ქართული-მწერლობის განთავისუფლების მნიშვნელოვან ცდას; მეორეც, იგი შეესატყვისება უკვე XVIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურაში გაბატონებულ მიმართულებად ქცეულ ტენდენციას, რომელიც, მხატვრულ ნაწარმოებში მდამიო ხალხის გამოყვანასთან ერთად. უბრალოებასა და ბუნებრიობას მოითხოვდა და „ოჯახში, ბუხართან საკითხავი წიგნის“ შექმნას მიიჩნევდა მწერლის მოვალეობად, რადგან სწორედ უბრალო, მარტივ, ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებულ, „ბუხართან საკითხავ წიგნს“ შეეძლო შეესრულებინა ის როლი, რომელსაც აკისრებდა პროგრესული მწერლობა მხატვრულ ლიტერატურას.

ესაღია, „სიბრძნე სიცრუის“ ფორმა, მისი ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოება, ნაწილობრივ მაინც, ხალხის წიაღიდან აღებული მასალის გავლენითაც აიხსნება, მაგრამ თავად მასალის შერჩევაც ხომ მწერლის მსოფლმხედველობაზეა დამოკიდებული, მის მიზანდასახულობაზე. რომ აღარაფერი ვთქვათ აღებული მასალის დამუშავების ხასიათზე.

რაკი „სიბრძნე სიცრუის“ ფორმას, ამ თხზულებაში საბას მიერ გამოყენებულ მხატვრულ ხერხებს ვეხებით, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ საგნებზე თუ მოვლენებზე სამეულობით, ანუ ე. წ. ტრიალებით მსჯელობა, რაც უხვად არის წარმოდგენილი სულხან-საბას იგავ-არაკებში და საოცრად მოგვაგონებს ულრიხ ფონ პუტენის (1488—1523) მიერ ევროპულ მხატვრულ ლიტერატურაში პირველად გამოყენებულ ხერხს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორმის ეს დამთხვევა, ისევე, რო-

⁶¹ ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. II, 1966, გვ. 467.

⁶² სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, 1959, გვ. 10.

გორც ამ წერილში დამოწმებული ევროპული ლიტერატურის სახელ-
მოხვეჭილი მოღვაწეებისა და არჩილის, ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა
ორბელიანის ნაწარმოებთა შინაარსობრივი თუ იდეურ-ლიტერატურუ-
ლი შეხედულებების მსგავსება. ცხადია, მარტოოდენ ტიპოლოგიური ხა-
სიათისაა და სრულიადაც არ წარმოადგენს ლიტერატურულ ურთიერთ-
გავლენათა შედეგს.

რეფორმაციისდროინდელი გერმანელი მწერალი ულრიხ ფონ ჰუ-
ტენი თავის ცნობილ თხზულებაში „ვადისკი ანუ რომის სამება“, რო-
მელშიც მან წარმატებით გამოიყენა ეს ფორმა, ტრიადას უწოდებს „გო-
ნებამახვილურ და სრულიად ახალ ხერხს“, რომლის საშუალებითაც ვა-
დისკი „სამეულებად, — სხვანაირად რომ ვთქვათ, — ტრიალებად ყოფს
„რომში დაბუდებულ მანკიერებებსა და სისაძაგლეს“⁶³. ვადისკის მიხედ-
ვით: სამი რამ ჩამოაქვთ რომიდან — „ქუჭყიანი სინდისი, გაფუჭებუ-
ლი კუჭი და ცარიელი ქისა“ (გვ. 73), „სამი რამაა გაძევებული რომი-
დან — უბრალოება, ზომიერება და პატიოსნება“ (გვ. 77), „სამი რამით
ვაჭრობენ რომში — ქრისტეთი, სასულიერო თანამდებობითა და ქალე-
ბით“ (გვ. 78), „სამი რამით არიან დაკავებული რომის უსაქმურნი — სე-
ირნობით, გარყვნილობით და ქეიფით“ (გვ. 83), „სამი რამ თან უნდა
ჰქონდეს რომში ჩასულს — ფული, თავხედობა და უსიარცხილობა“
(გვ. 93), „სამი რამით იზორჩილებს რომი ყველაფერს — ძალმომრეო-
ბით, ეშმაკობით და მოჩვენებითი წმინდანობით“ (გვ. 105), „სამი სახის
თავადები მართავენ რომს — მაჰანკლები, კურტიზანები და მევახშეები“
(გვ. 114), „სამი რამით არის რომი სავსე — ბ...ით, მღვდლებით და გა-
დამწერლებით“ (გვ. 114), „სამი რამ უყვართ რომში — მოკლე ლოც-
ვები, ძველი ოქრო და მხიარული ცხოვრება“ (გვ. 115), „სამი რამაა
ძვირი რომში — ურთიერთპატივისცემა, სამართლიანობა და მეგობრო-
ბა“ (გვ. 119) და ა. შ.

როგორც ციტატებიდან ჩანს, რომის პაპისა და მისი კურიის წინა-
აღმდეგ მებრძოლი ჰუტენის ტრიალებს „ვადისკი“ მწვავე სატირული
ხასიათი აქვს, მაშინ როცა დადებითი შეხედულებების გადმოსაცემად
გამოყენებულ ტრიალებში სულხან-საბა ორბელიანი თავის დიდაქტიურ
მოძღვრებას წარმოგვიდგენს, რაც მსგავსებასთან ერთად განასხვავებს
კიდევ ჰუტენისა და სულხან-საბას ტრიალებს ერთმანეთისაგან.

განათლებული მონარქიზმის მომხრე სულხან-საბა ორბელიანი ასე
აყალიბებს ტრიალების სახით თავის შეხედულებას მეფეზე:

⁶³ Ульрих Фон Гуттен, Публицистика, письма, Москва, 1959, гв. 72.
ულრიხ ფონ ჰუტენის თხზულებიდან ციტატები ყველგან ამ გამოცემიდან არიან
ამოწერილი.

„მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა.

მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა.

მეფეთაგან სამს ინებებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა და ჭირში — ჭირსა და ლხინში — ლხინსა.

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საკურველსა მაგარსა და დანახჭასა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღწვიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარგლენასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ შონანი: საესესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლებლობასა და მალე შეუბზღებლობასა.

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურისა მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.

მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულის მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან¹ მორჩენასა, ზვერის წესად აღებასა, ფუნდუკთა უშუღართა დგომასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზღრისა წაყენებასა, ურისნველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდებისა შენდობასა, რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა⁶⁴.

ამ ტრიადების გვერდით, რომელთაგან ზოგიერთი შეგონება დღესაც სახელმძღვანელო უნდა იყოს ხელისუფლების სათავეში მდგომ, პირთათვის, საყურადღებოა ტრიადები, რომლებიც გვხვდება არაკვი „ყარყატის თავგადასავალი“.

„მტერობა, — გვამცნობს სულხან-საბა ორბელიანი ჯუმბერის პირობით: — სამთა ჰმართებს: ერთსა — მესაზღვრეთ, რომ სამანს გარდასვლა მოინდომოს, მეორეს — სხვისი მამული რომ სხვას ეჭიროს, თუ იგი არ წახდეს, მას ვერ იშობებს, მესამეს — ერთს მეორისაგან სასიკრებო საჭმე სჭირდეს... სამთა არა მართებენ მტერობანი: ერთს — ნავში მჯდომსა — მენავისა; მეორეს — მინდორს მსახლობელსა — მაღალთა ადგილთა მსახლობელისა, მესამეს — ნაკადულთა ზედა ბოლოს მსახლობელს —

⁶⁴ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, 1959, გვ. 41-42.

სათავეზე მსახლობელისა... სამთა ჰმართებენ სიტკბონი: ერთსა — ციხის მოზიარეთა, მეორესა — ბევრის განაყოფის პატრონსა, მესამესა — ლხინზედ მსხდომთა... სამნი შვრებთან ცუდად: ერთი — ტალა მოშიშარი, მეორე — მცდელი ჯორთა მამობრობისა, მესამე — მღევარი ქარისა... სამთა მართებენ ენამრავლობა: ერთსა — გლახაკსა უპოვარსა, მეორესა — ქადაგსა მოარულსა, მესამეს — კაცსა მოჩხუბარსა... სამთა ჰმართებენ გარდახვეწა: ერთსა — ღემთაგან პირადღებულსა, მეორესა — ურჩის ცოლის უფალსა, მესამესა — პატრონისა ორგულსა... სამთა ენატრება სიკვდილი: ერთსა — ბოროტითა სიცოცხლითა ცხოვრებულსა, მეორესა — სენგრძელსა და უკურნებელსა, მესამესა — უეჭველად ედემის მომლოდნელსა... სამნი განიძებთან: ერთი — მეზერე — ქურდი ყურძნისა, მეორე — მკურნალი — წამლისა უმეცარი, მესამე — მსხეში უამებელი... სამნი განარისხებენ კაცსა: ერთი — შვილი ურჩი და უსმინარი, მეორე — დიაცი მაგინებელი, მესამე — მონა ყბედი“⁶⁵.

მაგრამ „სიბრძნე სიტრუეში“ გაბნეული ტრიალებიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ტრიალები, რომლებიც გვხვდება არაკჰი „თათვლი“.

დაახლოებით იმ პერიოდში, როცა XVII საუკუნის ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი, ბურჟუაზიული ეგოიზმისა და უკიდურესი ინდივიდუალიზმის გამომხატველი თომას ჰობსი „ადამიანს ადამიანისათვის მგლად მიიჩნედა“ — „homo homini lupus est!“, — წერდა იგი. ხოლო უფრო ადრე იტალიური რენესანსის სახელგანთქმული წარმომადგენელი ლეონარდო და ვინჩი თავის „მარტივ სასაუბრო იტალიურზე“ დაწერილ და „სტილის იშვიათი დასვეწილობითა და პლასტიურობით ცნობილ“⁶⁶ იგაეებში „დაიწინებით ამტკიცებდა, რომ ამ ქვეყნად ყველანი ერთმანეთის განადგურებისაყენ შიისწრაფიან“⁶⁷, დიდი ქართველი ჰუმანისტი ბოროტებაზე სიკეთის აუცილებელ გამარჯვებას ქადაგებდა. ბოროტების აღმომფხვრელ „ერთობის ძალაზე“ მიუთითებდა და თავის ტრიალებში ამხანაგობის სიკეთეს ასე აყალიბებდა:

„ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია.

ამხანაგი ლხინი ფრიალია, სიზარულითა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მახიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხოთა თანა გამოსაჩინია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა.

65 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თბულებანი, ტ. 1, 1959, გვ. 79-80.

66 ა. გაწერელია, ლეონარდო და ვინჩი და საბა ორბელიანი, „მნათობა“, 1947, № 1-2, გვ. 276.

67 ა. გაწერელია, ლიტერატურული წერილები, თბილასი, 1954, გვ. 73.

ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმარია, სნეულებადი მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია“⁶⁸.

გ. ლეონიძის აღნიშვნისამებრ, „ქართული ძირებიდან ამონათბული საბას სიტყვის მადლი, მარილი და ნათელი განსაკუთრებით გამოძღვენებულია, „სიბრძნე სიცრუეში“⁶⁹.

სწორედ იმიტომ, რომ საზოგადოებრივი სატკივრების ამსახველი, ღრმად პატრიოტული და მალალუმანური იდეების შემცველი, „სიბრძნე სიცრუისა“ „ცოცხალი სიტყვის ფუძეზეა შექმნილი“, გამდიდრებულია „ხალხური სიტყვის საქცევებით, ლექსიკით, ხალხური ფორმებით, ნიადაგური, ფესვიანი, ლაპიდარული ნათელი“ სიტყვით და იმავდროულად „სარგებლობს ჩვენი კლასიკური მწერლობის სიწმინდით, ბრწყინვალეობით, მშვენიერი უბრალოებით, სიმახვილით და სიცოცხლის უნარიანობით“, წარმოგვიდგება იგი „ქართული პროზის“ „დიდ უღელტეხილად“⁷⁰, ხოლო მისი ავტორი იმ პიროვნებად, ვინც არა მარტო ქართულ პროზაში მოახდინა დიდი გარდატეხა, არამედ — უმთავრესად „ქილილა და დამანას“ თარგმანით, რომლის გამო მამუკა ბარათაშვილი ამბობდა: „თუმც რუსთველის ნათქვამი არ არის, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არიო“⁷¹, ქართული ლექსიც გაამრავალფეროვნა და ყოველივე ამით გაათავროვა ევროპეიზმის გზა ქართულ მწერლობაში.

•

ქართულ მწერლობაში ახალი მიმართულების — ევროპეიზმისათვის გზის გაკაფვისა და დამკვიდრების თვალსაზრისით საყურადღებო მოვლენაა მამუკა ბარათაშვილის, განსაკუთრებით კი დავით გურამიშვილის შემოქმედება, მაგრამ მათი ნაწარმოებების ამ საკითხთან დაკავშირებით განხილვამდე რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას არჩილის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელზე — თეიმურაზ მეორეზე, რომელმაც, თავისი წინამორბედის მსგავსად, ზღაპრულ-ფანტასტიკურ თემატიკას მკვეთრად დაუპირისპირა „მართლის თქმა“, „პოეზია ჩამოიყვანა მაღალი, განყენებული მატერიებიდან და აალაპარაკა ისეთ ჩვეულებრივ, უბრალო, ამ-

68 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1959, გვ. 123.

69 გ. ლეონიძე, სულხან-საბა ორბელიანი, იხ. სულხან-საბა ორბელიანის თხზულებანი. ტ. I, თბილისი, 1959, გვ. 426.

70 იქვე.

71 მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებელი დაურთო გივი მიქაძემ, თბილისი, 1969, გვ. 132.

ქვეყნიურ რამეზე, როგორცაა ხილი, სასახლე, შველი და თბა⁷². სწორედ ის, რომ თეიმურაზი „აღორძინების ხანის „რეალისტი“ მწერალია, რომელსაც ყურადღება მიუქცევია ერის ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებებისათვის და ზედმიწევნითი სისწორით დაუსურათხატებია ისინი⁷³, განსაზღვრავს არჩილის გზის გამგრძელებლის როლსა და მნიშვნელობას ქართული მწერლობის ახალი მიმართულებით განვითარების სფეროში.

„მართლის თქმის“ არჩილისეული მოთხოვნის მხატვრულ პრაქტიკაში განხორციელების საყურადღებო მაგალითია თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“, განსაკუთრებით ამ თხზულების მეორე ნაწილი, „ორიგინალური, ეროვნული, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული“⁷⁴ ნაწარმოები, „სადაც მოცემულია იმდროინდელი საქართველოს (კერძოდ კახეთის) ეთნოგრაფია მხატვრულ ფორმებში“⁷⁵, და თითქმის „ფოტოგრაფიული სისწორით“ არის გადმოცემული ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი. მართალია, თეიმურაზს ამ მიმართულებითაც ჰყავდა წინამორბედი, სახელდობრ იგივე არჩილი, რომლის „საქართველოს ზნეობანი“ ანალოგიური საკითხებისადმი არის მიძღვნილი, მაგრამ, ლ. მენაბდეს აღნიშვნისამებრ, „რაც არჩილის ნაწარმოებში მხოლოდ მოხსენიებული, აღნუსხული და სქემატურად ჩამოთვლილი იყო, თეიმურაზის „გაბაასებაში“ ხორცშესხმული, დასრულებულია სახითაა წარმოდგენილი და ვრცელადაა აღწერილი“⁷⁶.

„მართლის თქმის“ არჩილისეული გაგების მიმდევრად გვევლინება თეიმურაზი თხზულებაშიც „გაბაასება რუსთველთან“, რომელშიც „ვეფხისტყაოსანს“ „საქართველოს კაცთათვის სატრფო და სასურველ“ „უცხო რამ, საკვირველ“ ნაწარმოებად კი მიიჩნევს —

„ვეფხის ტყაოსნის“ ლექსები სხვა ლექსთა გამოცხვითა,
საქართველოსა კაცთათვის სატრფო და სასურველიაო —

(„გაბაასება რუსთველთან“. სტრ. 9)

72 კ. ქეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 505.

73 იქვე.

74 ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. II, თბილისი, 1966, გვ. 625.

75 გ. ჯაკობია, თეიმურაზ მეორე, იმ. თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., 1939, გვ. X, თეიმურაზ II-ის ნაწარმოებები უველგან ცოტირებულია ამ გამოცემის მიხედვით. ფრჩხილებში აღნიშნულია ნაწარმოების სათაური და სტროფი.

76 ქართული ლიტ. ისტორია ექვს ტომად, ტ. II, თბ., 1966, გვ. 624.

ამბობს იგი, მაგრამ იქვე სინანულსაც გამოთქვამს — „თუმცა მართალზე თქმულიყო, რა ტკბილი საკითხველიაო“ (იქვე, სტრ. 9) და რუსთაველის „ტყუილზედ დაშვრომით“ უკმაყოფილო რომ კითხულობს --

ნესტან-დარეჯან ვინ იყო, რომ აქო დაუცხრომელად?
ტყუილის ტარიელისთვის სტირს ცრემლის შეუშრომელადო

(იქვე, სტრ. 3),

დაბეჭილებით ამტკიცებს:

-- არ გაგონილა ინდოეთს ნესტან-დარეჯან ქალადა,
არცა ტარიელ კაცს ერქვას — გიწოდებია ძალადა!
არაბისტანში თინათინ არ იყო ბროლ-ფიქალადა,
ვერც კპოებთ ავთანდილსაცა მის ეშყით დანამთვრალადა.
არა ყოფილა ფარსადან ექვს სამეფოზედ მჭდომელად,
არცა განთქმული ინდოეთს, რომ ყოფილიყოს მფლობელად.
არ თქმულა მეფედ არაბეთს როსტევან სახელდებულად,
არც მის ასულად თინათინ, რომ სხვას ვინ ეთქვას ქებულად.
ვერც ავთანდილზედ მემოწმენ იმისთვის თავდადებულად —
დაგისახავსა ტყუილად მოჯნურებ ცეცხლ-მოღებულად!

(იქვე, სტრ. 5—8).

ამ გრძელი ამონაწერის ახრი ნათელია. ზღაპრულ-ფანტასტიკურის მოწინააღმდეგე თეიმურაზი, არჩილის მსგავსად „მართლის თქმას“ რომ ემსრობა, „მართლის თქმად“, იმავე არჩილის მიხედვით, მხოლოდ კონკრეტულ-ისტორიული ფაქტების ასახვას მიიჩნევს და მწერლისაგან მართოდენ რეალურად არსებული პიროვნებებისა და მოვლენების გამოხატვას მოითხოვს.

ეს არსებითად ასეა. მაგრამ, როგორც რუსთაველის პასუხიდან ჩანს, საკუთრივ „ვეფხისტყაოსანს“, „სალმრთოდ თუ საეროდ“ (იქვე, სტრ. 10) მოსახმარ წიგნს, თეიმურაზი არ უნდა თვლიდეს პოეტის უსაგნო ფანტაზიის ნაყოფად. ამას გვაფიქრებინებს არა მარტო ის, რომ თეიმურაზი რუსთაველის იმ საყვედურის საპასუხოდ, თითქოს მას „ტარიელ, ნესტან-დარეჯან ტყუილად სატყვიო“ ექოსა, წყენით ათქმევინებს — „რად უნდა ცილსა მწამებდეს ჭავრითა გამახელოსა?“ (იქვე, სტრ. 17), არამედ, უმთავრესად, დიდი პოეტის განცხადება — „ვინც წაიკითხავს ჩემს ნათქვამს — მიგდება უნდა ყურისა“ (იქვე, სტრ. 9) და ამ განცხადების წინ გადმოცემული მდგომარეობა იმდროინდელი საქართველოსი. სახელდობრ, „გაბაასებაში“ თეიმურაზი რუსთაველს ათქმევინებს —

როდესაც საქართველონი იყო ზელმწიფის ერთიხა
მაშინ მას ეამსა მე ვიყავ შინა-ყმა თამარ-მეფისა.
კურთხეულ არის ხსენება მპყრობელის დიდის ქვეყნისა“

(იქვე, სტრ. 14)

როს ქვეყანაზე ეცხოვრობდი, ვაყავა გადადებული,
ხელმწიფე მყვანდა მაღალი, დიდადაც გადადებული.
მას დროს ქართველნი არ იყვნენ მტრისაგან შეწუხებული,
მხარულნი და შევებულნი ლხინობდნენ გახარებული.

(იქვე, სტრ. 18, ხაზგასმა ყველგან ნჟმია. — დ. ლ.).

თეიმურაზის მიერ ზემოგამოთქმული საყვედურის გამო რუსთაველის ეს პასუხი. ცხადია, იმ აზრს გამოხატავს, რომ „ექვს სამეფოსედ მქდომელად“ წარმოდგენილი ფარსადანიც, „ეს შვიდი სახელმწიფონიც დიდნი, ვარგნი და არ აენი“, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ სხვა გმირები და მათი მოქმედების გარემო, არსებითად რუსთაველის დროს „მაღალი, დიდადაც გადიდებული“ „ხელმწიფის ერთის“ სიკატრის ქვეშ გაერთიანებული „საქართველონის“ სინამდვილის ამსახველია და ამ სინამდვილის გამოსახატავად ნაწარმოებში გმირთა თუ ადგილია სახელებია მარტოოდენ გამოგონილი.

თეიმურაზის „გაბაასება რუსთაველთან“ პეტერბურგში შექმნილ ლექსთა ციკლს მიეკუთვნება.

მრავალკირნახული პოეტი, რომელსაც „უამთა სიავემ ბედუკულმართი ცხოვრება არგუნა“⁷⁷, თუმცა გარეგნულად სპარსული ორიენტაციის გზას ადგა, მაგრამ ნამდვილად ერთი იმათაგანი იყო, ვინც ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული თვითყოფობის შენარჩუნების იმედს რუსეთთან კავშირზე ამყარებდა. ამიტომ იყო, რომ თეიმურაზს არაერთგზის წარუგზავნია თავისი ელჩები ჩრდილოეთის დიდ იმპერიასთან მტკიცე ურთიერთობის დასამყარებლად, ხოლო 1760 წელს თავად გაემგზავრა გვირგვინოსანი პოეტი პეტერბურგისაკენ, სადაც იგი საბოლოოდ თავისი ღირსების შესაფერისად მიიღეს, მაგრამ მისი თხოვნა უყურადღებოდ დატოვეს. თეიმურაზის დიპლომატიური მისია მარცხით დამთავრდა. რუსეთის იმპერიის სამეფო კარისათვის. წარდგენილ მის გეგმას სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისა ფაქტიურად შედეგი არ გამოუღია.

იქ, პეტერბურგში, თეიმურაზს სამეფო კარზე გაუცვნია დიდი სამხედრო მოხელის — ალექსანდრე ბუტურლინის ასული ბარბარე, რომლის მშვენივან ხანდაზმული პოეტი ჰაბუკური გრძნობით აღუნთია. ბარბარესადმი არის მიძღვნილი თეიმურაზის ლექსები „კიდურწერილობა“, „ანბანთქება“ და „გაბაასება რუსთაველთან“. პირველი ორი ლექსი სატრფიალო ლირიკის ნიმუშებია და, კ. კეკელიძის შეხედულებით, გამოირჩევიან თეიმურაზის სხვა ნაწარმოებებიდან „გრძნობათა სიღრმით

⁷⁷ თეიმურაზ მეორის თხზულებათა ზემოდასახელებული გამოცემა, გვ. V.

და გარეგანი მოხდენილობით⁷⁸. თუმცა ამ მხრივ მათ არ უნდა ჩამორჩებოდეს „თავგადასავალი“, სადაც დიდი უშუალობითაა გადმოცემული თეიმურაზის ღრმა განცდა თავისი შვილების — ქეთევანისა და ერეკლეს — სპარსეთში გაწვევის გამო:

გაგზავნეს კახეთს ჩათარი, არ ჩემთვის მოსალენნა,
მათ დამიბარეს ქალ-ვაჟი, დღე მქონდა მოსაწყენია,
სხვა ძე არ მყვანდა განიწყეთ, ვინც იყოთ კაცი ბრძენია,
ალარვინ მრჩება ოჯახში, ვით მოვ-თმინო. ძნელია!”

(სტრ. 5).

და, განსაკუთრებით, ამ ლექსის დასასრული —

ვიყავ ყანდაარს მკმენეარე, არა გულითა ლხინობით,
ვოქვი ლექსი მცირე რაიმე სევდისა მთსათმინობით

(სტრ. 14).

ბარბარესადმი მიძღვნილ ლექსებში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თეიმურაზის დამოკიდებულება ევროპისადმი, რომელიც მას, განსაზღვრულ ფარგლებში, მისაბამ ნორმად აქვს წარმოდგენილი.

ავტორი „კიდურწერილობისა“ — „ვითა ფერობს სიკეთესა შენსა, ეგრეთ საქებელ ხარ დიდათ ევროპიასა შინა, დასავეით საყვარელო ჩემო“, — ბარბარეს წარმტაცობის გამოსახატავად, მართალია, აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელ ეპითეტებსაც მიმართავს — „ორსა მნათობთ შესაღარისი“ (კიდურწერილობა, სტრ. 2), „ბროლისა მსგავსსა პირზედა ტურფად გიხდება ხალია“ (იქვე, სტრ. 3), „ლალურად ღაწენი წითელნი გქონიან, შენ გამჭვირვალო-და“ (იქვე, სტრ. 9), „თეთრს ბროლსა პირსა შეშვენის შევთვალ-წარბთ განწყობილობა“ (ანბანთქება, სტრ. 9) და სხვ., მაგრამ იმისათვის, რომ უფრო დამაჭერებელი იყოს თავის გატაცების საგნის მიმზიდველობა და ღირსება, მეფე-პოეტი ბარბარეს წარმოგვიდგენს „დილით გამილი“ „ევროპიისა საქებსა“ ვარდად (კიდურწერილობა, სტრ. 5), ისეთ ქალად, რომლის მსგავსი ევროპაში არ მოიპოვება — „არ არის შენიცა სწორი ევროპიაში ქალია!“ (იქვე, სტრ. 15). თეიმურაზს გადაუწყვეტია ანთებული ლამპარით მოიაროს „ევროპია“, რომ იპოვნოს ბარბარე — „ყვავილი...მზიანი“ — „ლამპარს აღვანთებ, მოვძებნი, დავივლი ევროპიასა, ლამაზსა, გამორჩეულსა ყვავილს ვიპოვნი მზიანსა“ (ანბანთქება I, სტრ. 12). პოეტი დიდად მოუხიბლავს ქალის ევროპულ განათლებას და „სიბრძნეს სრულს“;

⁷⁸ კ. ქეთქელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 505.

წმიდად რომელსაც უციობაჲს ფილოსოფოსთა თქმულები,
წარმატებულად ენები მან ოცის ფრანცუკულები,
წერილი იტალიელთა, ფრანგული, ნემეცურები

(ქვე, სტრ. 30).

ბარბარეს ყველა ამ თვისებით მოხიბლული თეიმურაზი თავის თავს უძღურად მიიჩნევს ღირსეულად შეამკოს იგი.

მე უსწავლელსა ვით შეძლოს, ვისზედ ვთქვი ანბანთ-ქებანი?
ბრძენს უნდა ექო იმისი ცამცაჲ, ბრწყინვალეზანიო, —

და რუსთველს, ერთადერთ პოეტს, ვისაც შეეძლო, თეიმურაზის აზრით, შესაფერისად ემღერა ბარბარესათვის, სწორედ იმას უსაყვედურებს, რომ მან ნაცვლად ქალისა „ვეროპიაში რომელსა ბნელი არ მიეკარებოს“ („გაბაასება რუსთველთან“, სტრ. 10) გამოგონილი ნესტან-დარეჯანი შეაქო.

თავის მხრივ ტარიელისთვის „ცრემლ-შეუშრობელი“ პოეტი ცილის წამებად რომ თვლის ბრალდებას, თითქოს „ტყუილზედ დამწერალიყო“, ღებულობს გამოწვევას —

თუ მე შავ დროსა მეცოცხლა, გავირჩებოდი მე და,
ვისაც შენ აქებ, მაგაზედ კარგს ლექსებს გამოუქვემდია,
რა სიტყვით შევაძობდი-და! — შენ კარში გაგაგდებდი!
რადგან შენს საქებრად დარჩა, მას არ ჰქონია ბედა!

რუსთაველის პირით საკუთარ პოეზიაზე ასეთი მსჯავრის გამოტანა თეიმურაზის თავმდაბლობაზე მეტყველებს უთუოდ. მართალია, თეიმურაზის შემოქმედება არ გამოირჩევა პოეტური აღმაფრენით და ფორმის სინატიფით, — მისი ლექსები სულაც არაა ყოველთვის გამართული და ჰარმონიული; არც ვერსიფიკაციის სფეროში შეუქმნია მას რაიმე ახალი და საყურადღებო, მაგრამ არჩილის სკოლის „ერთგულ მიმდევარს უდაოდ საპატიო აღგილი უჭირავს „ალორძინების ხანის“ ქართულ მწერლობაში. მან არა მარტო გაწმინდა თავისი წინამორბედის მიერ გაკაფული გზა „მართლის ჯემის“ მიმართულებით, არამედ გაათართოვა და გააღრმავა რეალისტური ტენდენცია და, ამასთანავე, გ. ჯაკობიას შენიშვნისამებრ, იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც „ალორძინების ხანის“ მიწურულში სამიჯნურო-სატრფიალო ლირიკასაც ჩაუყარა საფუძველი“⁷⁹. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში სატრფიალო ლირიკის საყურადღებო ნიმუშები გვხვდება რუსეთში გადასახლებული ვახტანგ VI-ის ამაღლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრის მამუკა ბარათაშვილის შემოქმედებაშიც.

⁷⁹ თეიმურაზ მეორის თხზულებათა ზემოდასახელებული გამოცემა, გვ. XIV.

მამუკა ბარათაშვილის მთავარი დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე ისაა, რომ მან ეროვნულ-ფოლკლორული მასალის ფართოდ გამოყენებით გაამრავალფეროვნა ქართული ლექსის ფორმა და კილო, შექმნა ახალი ვერსიფიკაცია, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პოეზიის აღმოსავლური გავლენისაგან განთავისუფლებისა და ჩვენი ლიტერატურის ახალი მიმართულებით — ევროპეიზმის გზით განვითარების სფეროში.

„აღორძინების ხანის“ თითქმის ყველა მწერლის შემოქმედების ძირითადი მოტივი — სოფლის სამღერავი — მამუკა ბარათაშვილის თხზულებათა ერთი მთავარი მოტივიცაა. პოეტი, რომელმაც მწვავედ განიცადა „მწირობა სხვათა თემისა, უხმარ და უქმად გდებანი“⁸⁰, ისევე, როგორც თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI და „აღორძინების ხანის“ სხვა პოეტები სოფელს, რომელიც „პირველ ახარებს, ბოლოდ ამწარებს“ („ცრუ და მცბიერი წუთისოფელი“, გვ. 25), „მუხთალ“, „გაუტანელ“, „ცრუ“ და „ცბიერ“ საწუთროდ მიიჩნევს. პატრიოტი პოეტი, თავად რომ უგემნია მწარე ბედი სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანისა, რომლის გამოც ამბობს —

შაქარი — მისთვის სამსალა, თაფლი არს კოლომანია,
გული აქვს დაუღგრომელად, ვით რა სწადს, ვერას თქმანიაო

(„მრჩობლედი“, გვ. 4).

წუთისოფელს იმაში სდებს ბრალს, რომ „მყოყრობს, მზაკერულად გარე ბაკულად“ („ცრუ და მცბიერი წუთისოფელი“, გვ. 25) და აფრთხილებს მკითხველს, არ ენდოს სოფელს, რადგან —

ვინ ენღო მცირედ მყოფელსა,
შეიქმს ჩემებრივ მყოფელსაო.

(„ლექსა მოკლე“, გვ. 10).

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იგი საწუთროს „მუხთალს“ უწოდებს, „ყოველთა მტრად“ წარმოადგენს —

საწუთო ესე მუხთალი, ყოველთა მტერი, რასათვის არის
კაცი მისი მდომარე?

არა აქვს შვება წყეულსა, იცით — ჩვენთვის ნადავ მზირად
არს იგი მჯდომარე.

(„პისტიკაური“, გვ. 6).

⁸⁰ მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო გივი შიქაძემ. თბ., 1969, გვ. 4. მამუკა ბარათაშვილის შეხედულებანი ყველგან ციტირებულია ამ გამოცემის მიხედვით. ფრჩხილებში მოთავსებულია ნაწარმოების სათაური და გვერდი.

ამასაც აცხადებს — „მიწყევ ვემდური წყეულსაო“ („ლექსი მოკლე“, გვ. 10) და მკითხველს ურჩევს —

საწუთო ერთის წამისა,
განეშორენით წამისა,
ნურავის განდათ ამება,
თვარ თქვენცა, ვით მე, ამება.
იქნებით მოუსვენა
ყოლთათვის მოუსვენიაო. —

(იქვე, გვ. 10).

სულაც არ უარყოფს ამქვეყნიურ ცხოვრებას, არ გაუბრუნებს წუთი-სოფელს და თუმცა უკმაყოფილოა იმით, რომ მას სოფელმა „ურაცხე-ვი“ და „განუზომი“ გაკირვება არგუნა, მაინც არ სურს მისგან განდ-გომა —

რაგვარ ვიყავ მისი მდომი, არა მმართვეს მისთვის ომი,
კმუნეა მომცეს თუ რაზომი, უნდა ვიყო მუდამ მთოპიოიო —

ამბობს მამუკა. მეტიც, იგი ქების ღირსად თვლის მას, ვინც ცხოვრე-ბის სიამოვნებას არ ეურჩება — „იქებია, რომელიცა ეურჩების სია-მოვნეს არასდროსა“ (გრძლელი, „შირი სამკვეთი, გვ. 132) და დაბეჭითე-ბით შეაგონებს მკითხველს —

ვითა ყრმა, წამად შევბული, წამ ურეამოვნებული,
ბულს უყვავებდეთ; ალხენდეთ, რა გერგოსთ იგი ვებულიო,
(„მრჩობლელი“, გვ. 4).

როგორც აღინიშნა, მამუკა ბარათაშვილის შემოქმედებაში მნიშე-ნელოვანი ადგილი უჭირავს და მალაქმხატვრობით გამოირჩევა სა-მიჯნურო-სატრფიალო ლირიკა, რომელშიც თავისი პოეტური ტრაქ-ტატის მიხედვით მხოლოდ „ღმრთის სააშეყო“ და „თუ ქალის აშეყო-ბაზე გინდა, ცოლ-ქმრობის სიყვარულზე თქმის“ მქადაგებელი პოეტი გზნებით უმღერის ამქვეყნიურ გრძნობად ტრფობას. აკად. კ. კეკელიძის აზრით, სწორედ მამუკა ბარათაშვილის შემდეგ, რომელმაც „სატრფია-ლო პოეზია ზეციური სამყაროდან ამქვეყნად ჩამოიყვანა და დაამკვიდ-რა“, „ქართულ პოეზიაში საბოლოოდ გაიკაფა გზა ცხოველმყოფელმა, ლაღმა, ამქვეყნიურმა ტრფობის მოტივმა“⁸¹, რაც შემდგომ ევროპეიზ-მის გზაზე დამდგარი ქართული მწერლობის ერთ-ერთ ძირითად მოტი-ვად იქცა.

მამუკა ბარათაშვილს გარკვეული ხარკი გადაუხდია სასულიერო პოეზიისათვის, შეუქმნია დიდაქტიური ხასიათის ლექსებიც და ნიმუ-

⁸¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 526.

შეხვედრის სახეობა პოეზიისა, სადაც მან, გ. მიქაძის შეხედულებებისამებრ, „აღადგინა ძველი ქართული საკარო პოეზიის ტრადიცია და პირველმა გამოიყენა ახალი ქართული ოდა“⁸². მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი „ლექსის სწავლის წიგნი“, ანუ „კაშნიკი“ — ნორმატიული პოეტიკის სახელმძღვანელო, რომელიც მას ვახტანგის ბრძანებით დაუწერია მოსკოვში 1731 წელს და „წარმოადგენს ქართული ლექსის ბუნების შესწავლის პირველ ცდას“⁸³.

მამუკა ბარათაშვილზე არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებებისამებრ, „ლექსის სწავლის წიგნის“ პირველ ნაწილში გადმოცემული მოსაზრებანი პოეზიის საკითხებზე არსებითად რუსთაველისა და ვახტანგ მეექვსეს შეხედულებებს ეყრდნობა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აქ „ავტორი არაა ორიგინალური თავის ზოგადლიტერატურულ შეხედულებებში, იგი რუსთაველის, ვახტანგ მეექვსისა და, საერთოდ, გაბატონებული ტრადიციის მიმდევარია“⁸⁴, „ლექსის სწავლის წიგნმა“ როგორც ნაწარმოებმა, რომელშიც თავმოყრილი იყო პოეზიაზე არსებული შეხედულებანი, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქართული მწერლობის განვითარებაზე.

აქ, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია „კაშნიკში“ გატარებული აზრი პოეზიის დიდ პრაქტიკულ-აღმზრდელობით დანიშნულებაზე, რაც არისტოტელესა და პორაციუსის „პოეტიკებიდან“ მომდინარეობდა და განმანათლებლური ესთეტიკის ერთ-ერთ ძირითად დებულებას წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, იცნობდა თუ არა მამუკა ბარათაშვილი ანტიკური სამყაროს მოაზროვნეთა მოსაზრებებს და კლასიციკლთა და განმანათლებელთა ესთეტიკურ შეხედულებებს. მთავარი ისაა, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დაწერილი „ლექსის სწავლის წიგნი“ არსებითად შეესატყვისებოდა და გამოხატავდა ეპოქის მოწინავე აზრს პოეზიის მიზანსა და დანიშნულებაზე.

სწორედ იმიტომ, რომ, მამუკას შეხედულებით, „ლექსი ერთი რამე არის ამ სოფლის საქმეში“ („ლექსის სწავლის წიგნი“, გვ. 124) და იმისდა მიხედვით, თუ რას ეხება და როგორაა დაწერილი, მას შეუძლია დიდი სიკეთეც მოუტანოს საზოგადოებას და არანაკლებ ცუდი ზეგავლენაც მოახდინოს მასზედ, ანუ, როგორც მამუკა აღნიშნავდა — „თუ კარგა იტყვი სიტყვის სიმარჯვითა და ცოდნის ძალითა... მოქმელი მოიგონება და მსმენი ისწავლის“, ხოლო „თუცა ავზედა თქვა, ური-

⁸² ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. II, თბილისი, 1966, გვ. 537.

⁸³ იქვე, გვ. 539.

⁸⁴ ქუშნერ კუშნერიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, 1958, გვ. 232.

გოდ თქვა, ქებისა და მოგონების ნაცვლად, საძრახავი და საგმობელი იქნება და ცოდვაც მძიმე, რომე კაცს ცოდვაზედ აღძრავს და ავს ასწავლის“ (იქვე, გვ. 124), გადაუწყვეტია მას დაეწერა „ლექსის სწავლის წიგნი“. „აწ, — წერს იგი, — რადგან ლექსისაგან ესენი და სხვა მრავალი რამ გამოვა, ამისთვის ეს სწავლა დაესწერე, რომ ლექსი ურიგოდ არავის მოუვიდეს, რადგან ამთენი კარგიცა და ავიც გამოა“ (იქვე, გვ. 124).

როგორც ციტირებული შეხედულებიდან ჩანს, მამუკა ლექსის დიდ მნიშვნელობას რომ აღიარებდა, იდეურ მხარესთან ერთად ფორმასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, „კარგის თქმასთან“ ერთად „სიტყვის მარჯვედა და ცოდნის ძალით“ თქმას მოითხოვდა და „ავზედ თქმის“ მოწინააღმდეგე „ურიგოდ თქმასაც“ „საგმობლად“ რაცხდა.

„ქაშნიკის“ ავტორი, რომელიც, — როგორც ეს მართებულად არის აღნიშნული ლიტერატურაში, — ქრისტიანულ-ზნეობრივი თვალსაზრისიდან გამომდინარეობდა, მკაცრად აკრიტიკებდა მათ, ვინც ქართულ მწერლობაში სპარსული პოეზიის გავლენით „მსმენთ საზიანოდ და მთქმელთ საურიგოდ“ „თათრის ზღაპრებს“ (იქვე, გვ. 24) ლექსავდა. იგი პოეტს „საღმრთო წერილის სამეძაოდ“ გალექსვის ნაცვლად „ღმრთის სააწიყო“, ხოლო „თუ ქალის აწიობაზე გინდა, ცოლ-ქმრობის“ (იქვე, გვ. 124) სიყვარულზე წერას ურჩევდა და მწერლობის საგნად უმთავრესად ისეთ თემას მიიჩნევდა, რომელიც მკითხველს ქვეყნის სასარგებლო საქმისთვის აამოქმედებდა, საგმირო საქმეს ასწავლიდა, მტრის წინააღმდეგ განაწყობდა და სამშობლოს დაცვისათვის ააგულიანებდა. მამუკა შეაგონებდა პოეტს — „ან კარგი ამბები მოიყვანე და იმაზედა თქვი, ან კაი სწავლის ამბებით კაი ამბები გალექსე, ან ომსა და ფალავნების ამბავზედ თქვი, იმისათვის, რომ კაცს გააგულღვნებს, ომს მოანდომებს, ომისა და იარაღის ხმარებას ასწავლის და რაჭულისა და მეფის და ქვეყნის მტერზე გამოსაყენებელიაო“ (იქვე, გვ. 125).

მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშნულიდანაც ჩანს, მამუკას კარგად ესმოდა პოეზიის სპეციფიკა, რომ მხატვრულ ნაწარმოებს მაშინ შეუძლია შეასრულოს თავისი დანიშნულება და მოახდინოს საზოგადოებაზე სასურველი ზეგავლენა, თუ „კარგს“ „კარგად იტყვის“, ე. ი. თუ მაღალიდეურ შინაარსს შესაფერ ფორმას მოუნახავს. „ლექსი მძიმე და გრძელი სიტყვა უგემური იქნებოდა, და უგვარო სიტყვა რომ ერიოს — გააუგემურებსო“ (იქვე, სტრ. 126), წერდა მამუკა. „იქნება ლექსი გემრიელი და წყობილი იყოს, — აღნიშნავდა იგი, — ეს ამბის გაულექსავათ, სხვაში არსად მოსახმარია, მაგრამ იმაშიაც თუ კაი სწავლის სიტყვა მოვა და იქ ლექსს არ ავსებს, მოლექსეობაში ნაკლებობა არი“. (იქვე, გვ. 126).

უცხოური, კერძოდ სპარსული ლიტერატურის წინაშე ქედის მოხ-
რის წინააღმდეგ შემართება და მწერლობაში ეროვნულ-ისტორიული
სინამდვილის ასახვის მოთხოვნა, რაც „ლექსის სწავლის წიგნის“ თეო-
რიული ნაწილის პათოსს შეადგენს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანი-
ჭებს ამ წიგნს ჩვენთვის საინტერესო პრობლემის — ქართული ლიტერა-
ტურის ევროპეიზმის თვალსაზრისით. ამავე თვალსაზრისით, მამუკას სა-
კუთრივ მხატვრულ პრაქტიკასთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა
აქვს „ქაშნიკის“ მეორე ნაწილს, სადაც ავტორი იმ აზრს ატარებს, რომ
ამა თუ იმ თემას ამა თუ იმ ზომის (მამუკას მიხედვით „ხმის“) ლექსი.
შეედარება, რაც შეესატყვისება კლასიციისტური პოეტიკის ნორმებს, და
სხვადასხვა „ხმის“ ნიმუშებს იძლევა.

სანიმუშოდ კი მამუკას რუსთველური შაირი, ჩახრუხაული, სულხან-
საბა ორბელიანისა და ვახტანგის პოეზია აუღია და საკუთარი ლექსე-
ბიც გამოუყენებია. „მე, — წერს მამუკა თავის წიგნში, — რადგან ესენი
(სანიმუშოდ აღებული სხვა ავტორების ლექსები. — დ. ლ.) შევკრიბე,
თვით იმათი ხმისთანა ლექსის თქმაც შემეძლო, მაგრამ, ესენი უმჯო-
ბე იყვნენ ჩემისა და ამისთვის ესენი დავსწერე და ჩემი ნაბჭვამიც ამათ
ვაახელი. ნუთუ მეც მეღექსეთა თანა არვინ გამაძოთ და ნახოთ თქმულ-
ნი მსგავსი ლექსთა ყოველთა ჩემ მიერ სხვანიცაო“ (იქვე, გვ. 132).

სწორედ საკუთარი ლექსებით — რომლებშიც მდიდარ ქართულ
ხალხურ პოეზიასთან ერთად წარმატებით გამოუყენებია რუსული, უკრა-
ინული და პოლონური ხმები, რაც პოეტს სათაურშიც აქვს აღნიშნული
(„რუსული ხმები“, „ჩერნიჩკოს ხმა“, „პრიიდი დრუჟოკის ხმა“, „ნე-
სმუჩაის ხმა“, „პოროდილა ჩეჩოტოჩკას ხმა“, „პოლცკის ხმა“) — წარ-
მოგვიდგება მამუკა ბარათაშვილი ქართული ლექსის ვერსიფიკაციის
ნოვატორად, პოეტად, რომელმაც გაამრავალფეროვნა ქართული პოე-
ზია და, ალ. ბარამიძის აღნიშვნისამებრ, „ხალხურ ლექსიკას, მეტყვე-
ლებას, სახეებს“ დაწაფებულმა დიდი წვლილი შეიტანა „ქართულ სა-
ლიტერატურო ენის გადახალისება-გახალხურების“⁸⁵ სფეროში.

მართალია, მამუკა ბარათაშვილს ჰყავდა წინამორბედები, უწინარეს
ყოვლინა, სულხან-საბა ორბელიანი, რომელსაც თავად იგი რუსთავე-
ლის შემდეგ ქართული მწერლობის სანიმუშო წარმომადგენლად მიიჩ-
ნევდა:

ოდეს ინებეს ეშაზით აღმოქმად სახელწოდებად
მეუნება შოთა, ზოგადმან საბა შივილოთ მოღებადო, —

ამბობს იგი „ჩიმშედლიანის“ წინასიტყვაობაში (გვ. 123), ხოლო „ქაშნიკ-

⁸⁵ კ. ქეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტო-
რია, თბილისი, 1969, გვ. 409.

ში“ წერს: „სულხან-საბა ორბელიანმა „ქილილა და(და) მანა“ გალექსა. თუმცა რუსთველის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი, იმაში ბევრი ხმა მოუყვანიაო“ (გვ. 132).

კ. კეკელიძე მამუქას წინამორბედად მიიჩნევს გარსევან ჩოლოყაშვილსაც, XVII საუკუნის შუა წლების მწერალს, ვინც, მკვლევარის აზრით, უნდა იყოს ავტორი „ნარგიზოვანის“ სახელწოდებით ცნობილი ლირიკული კრებულისა, სადაც 16-მარცვლოვანი „შაირის გვერდით გვხვდება 7, 8, 10, 11, 12, 13 და 15-მარცვლოვანი საზომები⁸⁶. მაგრამ გარსევან ჩოლოყაშვილს კიდევაც რომ ეკუთვნოდეს კ. კეკელიძის ამ შეხედულებამდე მკვლევართა მიერ XVIII საუკუნის ძეგლად მიჩნეული „აღორძინების ხანის“ ერთი საუკეთესო ნაწარმოები, — რომელშიც, მისი გამონცემლის პროფ. ალ. ბარამიძის დახასიათებით, „მხატვრულად არის შერწყმული სატრფიალო გრძნობებისა და მხურვალე პატრიოტიკის ნმები... სიყვარულის სიმძლავრე გადმოცემულია რაღაც იშვიათი სინაზით, გრძნობიერებით და სიციხველით“, და წარმოადგენს ძეგლს, რომლის „თითქმის ყოველი თავი იძლევა ახალსა და თავისებურ რიტმს, მეტრს, კომპოზიციას“⁸⁷ — ეს სულაც არ ამცირებს ქართულ მწერლობაში ნოვატორულ როლს მამუქა ბარათაშვილისა, ვინც კ. კეკელიძისავე შეხედულებისამებრ, „საბოლოოდ დაამსხვრია ქართული ვერსიფიკაციის ტრადიციული ფორმები, რომცლოც რუსთველური ლექსითა და ჩახრუხაულით იყო შებოჭილი. და მოგვცა ლექსთწყობის ის მრავალფეროვანი საზომი, რომელიც მერე ასე გამოიყენეს (დავით გურამიშვილმა და ბესიკმა,... პირველმა შემოიტანა ლიტერატურაში ხალხური სიმღერების კალო, მაგალითად „პატარა ქალო თინაო, რას გარდამიდგ წინაო“, და პირველმა გამოიყენა რუსული ხალხური სიმღერები ქართული ვერსიფიკაციის გასამდიდრებლად. შემდეგ ამ მხრივ, და არა მარტო ამ მხრივ, ის მისაბაძი მაგალითი გახდა დავით გურამიშვილისათვის“⁸⁸.

როგორც აღნიშნულია, ი. ჯავახიშვილმა დავით გურამიშვილი აღიარა იმ პოეტად, რომელმაც „სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოქმნაში“ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.) და მართლაც, ქართული ლიტერატურის ევრო-

⁸⁶ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 501—511.

⁸⁷ „ნარგიზოვანი“, ალ. ბარამიძის გამოცემა, გვ. 7.

⁸⁸ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 526.

პეიზნის, ე. ი. ქართულ მწერლობაში ევროპული ლიტერატურული გემოვნების დამკვიდრების, მისი სპარსული საკარო პოეზიის „ფიგურალი“ გამოთქმისაგან განთავისუფლებისა და ჩვენი მწერლობის ეროვნულ ტრადიციებზე განვითარების თვალსაზრისით, „აღორძინების ხანის“ მწერალთაგან დავით გურამიშვილს საგანგებო დამსახურება მიუძღვის.

ქვეყნის ისტორიული ავბედობის გამო სამშობლოდან გადახვეწილი დავით გურამიშვილი, რომელიც სამოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო საქართველოს და სიკვდილის 'შემდეგაც ვერ უღირსა შიბარებოდა თავისი კუთხის მიწას, სამართლიანად ითვლება ქართული ლექსის ჭეშმარიტ რეფორმატორად, პოეტად, ვინც „ქართული პოეზია გამოიყვანა დამოუკიდებელი, ორიგინალური ნაციონალური შემოქმედების ფართო შარავზაზე“⁸⁹. დავით გურამიშვილის დიდი დამსახურებაა, რომ მან, ათეული წლებით საქართველოს მოცილებულმა და მაინც ქართული ენის უმდიდრეს ინვენტარს ღრმად დაუფლებულმა, გასწმინდა იმ დროის ქართული პოეზია „მძალფარდოვანი ენაწული-ანობისაგან, ღვლარქნილობისაგან, საზოგადოდ მწიგნობრული ხელოვნურობისა და პირობითობისაგან“⁹⁰ და ქართული კლასიკური და ხალხური პოეზიის ტრადიციებზე შექმნილი თავისი თხზულებებით მოუშადა ახალი ქართული ლიტერატურის დიდ წარმომადგენლებს. მათ შორის ვეა-ფშაველასაც, რომელიც ასე მიმართავდა თავის წინამორბედად დასახულ დიდ პოეტს —

შენ, ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო!
შენის ცრემლებით მოვხარვე
ჩემის გრძნობების ფაფაო.

არჩილის, ვახტანგ VI-ის, მამუკა ბარათაშვილის და სხვ. მსგავსად დავით გურამიშვილი რუსთაველის პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი იყო: „ლექის რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისი ვერ ენახეო და“⁹¹ ამბობდა იგი. მაგრამ „აღორძინების ხანის“ ქართული ლიტერატურის გვირგვინი, — თავისი თხზულების „ვეფხისტყაოსანთან“ შედარებისას თავმდაბლურად რომ აცხადებდა —

⁸⁹ კ. კეკელიძე, აღ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1969, გვ: 428.

⁹⁰ იქვე.

⁹¹ დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1955, გვ. 22. სტრ. 4. შემდეგში აღგილები გურამიშვილის პოეზიიდან ყველგან ამ გამოცემის მიხედვით არის ციტირებული. ფრჩხილებში მოთავსებული ციფრით — თუ არ არის მითითებული „გვ“. — აღნიშნულია სტროფი.

ვით მხედარს — ყრბია მცირისა წყევლასა ზედან ქლომან,
შემსგავსების ცხენოსანს ქობით რბენა და ხლომან.
ვგრეთვე მოთა რუსთველსა ეს ჩემი ლექსით მხედომნიო (5)

და აღნიშნავდა „მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს — ჩალის ძირსა“ (7). — იმავდროულად ქართული მწერლობის უდიდესი პოეტიც, ერთი პირველთაგანი, რომელმაც ავ. წერეთლის აღნიშვნისამებრ, „გადაარჩინა თავი“ რუსთაველის „მონობას და საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა“⁹², ხოლო „საკუთარი გზით მსვლელობისთვის“ დავით გურამიშვილმა ქართული კლასიკური პოეზიის მდიდარ ტრადიციასთან ერთად ფოლკლორიც წარმატებით გამოიყენა. ამასთანავე, ქართული ზეპირსიტყვიერების გვერდით რუსულ, უკრაინულ და პოლონურ ხალხურ შემოქმედებასაც მიმართა⁹³ და მათი „ხმებით“ მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნა ქართული ლექსის ვერსიფიკაცია და კილო, რაც თავისთავად იყო ანტიამოოსავლური ტენდენციის ერთგვარი გამოვლენა და ჩვენი ლიტერატურის ევროპული ლიტერატურული გემოვნებით, ევროპეიზმის გზით განვითარების ერთ-ერთი ნიშანი. მით უმეტეს, რომ XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან, ევროპულ ლიტერატურაშიც საგანგებოდ იზრდება ინტერესი ფოლკლორისადმი და ევროპული და რუსული მწერლობის მრავალმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა მიმართა თავის მხატვრულ პრაქტიკაში ხალხური შემოქმედების ფორმებს და მოტივებს.

ხალხური შემოქმედებისადმი ამ ინტერესით იყო გაპირობებული ჯემს მაკფერსონის ბრწყინვალე ლიტერატურული მისტიფიკაცია — „ოსიანის სიმღერები“, რომელსაც არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად. შოტლანდიური ხალხური პოეზიის მიბაძვით დაწერილი პოემები მაკფერსონისა, ლეგენდარულ ბარდს — ოსიანს რომ მიაწერა ავტორმა, დაუყოვნებლივ ითარგმნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე. 1792 წელს გამოქვეყნდა „ოსიანის პოემების“ რუსული თარგმანი, ხოლო ქართული თარგმანი, რომელიც ხელნაწერის სახით არის შემონახული, XVIII ს. დასასრულს, ან XIX ს. დასაწყისში უნდა იყოს შესრულებული.

უმთავრესი მიზეზი რომერტ ბერნსის ლექსების პირველივე კრებული („ლექსები უმთავრესად შოტლანდიურ დიალექტზე“, 1786) გრა-

⁹² ავ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII, გვ. 87.

⁹³ რუსულ-უკრაინულ-პოლონური „ხმები“, რომლებიც დავით გურამიშვილს გამოუყენებია, თავად აქვს მითითებული ლექსების სათაურის ქვეშ, მაგ., „მეორე დავითის შესხმა — რუსულის სიმღერის ხმა: ნე დამ პოლოიუ, პოიდუ სტაბოიუ“. „მესამე დავითის შესხმა — პოლშის სიმღერის ხმა“, „სიმღერა დავითისა: ზუბოვკა — რომელ არს რუსულად ამის ხმა: კახაკ დუშა პრავდივაია“, „სიმღერა — რომელ არს რუსულად ამის ხმა: ულეტელა ზახულინკო ჩერუზ დუბინუ“ და სხვ.

ნდიოზული წარმატებისა, რამაც თვით ბერნსიცი გააოცა, ის იყო, რომ ძველი ხალხური სიმღერებისა და ბალადების ფორმა წარმოადგენდა მისი პოეზიის ძირითად წყაროს.

ხალხური პოეზიისადმი ამავე საგანგებო ინტერესს გამოხატავდა იოჰან გოტფრიდ ჰერდერის თეორიულ-კრიტიკული ხასიათის შრომები, — რომლებშიც იგი ეროვნული ლიტერატურის თვითმყოფობისა და განახლების უმნიშვნელოვანეს წყაროდ. სწორედ ხალხურ შემოქმედებას მიიჩნევდა, — და გერმანული ხალხური პოეზიის ნიმუშებთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა პოეზიის საუკეთესო ძეგლების შემცველი „ხალხთა ხმები სიმღერებში“ („Stimmen der Völker in Liedern“), რომელიც ჰერდერმა 1778-79 წლებში ორ ტომად გამოაქვეყნა.

აღარაფერს ვამბობთ ხალხური პოეზიის უშრეტ წყაროს მწყურვალედ დაწაფებულ ფრანკ, ინგლისელ და სხვ. განსაკუთრებით კი გერმანულ რომანტიკოსებზე, რომელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ დამსახურებად მართებულად არის მიჩნეული ის, რომ მათ კიდევ უფრო მეტად გაამახვილეს ყურადღება ხალხურ შემოქმედებაზე და საფუძველი ჩაუყარეს ფოლკლორის მეცნიერულ შესწავლას:

როგორც ცნობილია, ხალხურმა შემოქმედებამ ფართოდ გაიკაფა გზა XVIII ს. რუსულ ლიტერატურაშიც და ცხოველყოფელი გავლენა მოახდინა მასზე. საყურადღებოა, რომ, ტ. ლივანოვას აღნიშვნისამებრ, XVIII ს. რუსულ ლიტერატურაში ტრადიციად ქცეულა ცნობილ ხალხურ სიმღერათა მოტივების გამოყენება და მათზე მითითება⁹⁴. ეს განსაკუთრებით საინტერესოა იმდენად, რამდენადაც დავით გურამიშვილიც, როგორც წესი, ყოველთვის მიუთითებს რომელი „ხმით“ დაუწერია, ან რომელი „ხმის“ სანაცვლოდ შეუთხზავს ესა თუ ის ლექსი. საილუსტრაციოდ შემოციტირებულ ნიმუშებს დავუმატებთ კიდევ რამდენიმე მაგალითს: „ხარებობის დღის შესხმა — „ახა წმინდა კობალეს“ სანაცვლოდ სამღერალი“, „სიტყვა ესე ღვთისა — „...“ეო, მეო, ქალო ქალთა-მზეო“-ს სანაცვლოდ სათქმელი“, „სიმღერა ფერხისული, — „აგერ მიღმარ ახოს“ სანაცვლოდ სათქმელი“ და სხვ.

XVIII ს. მწერლობის ხალხური შემოქმედებისადმი გაზრდილი ინტერესის ეს ზოგადი მიმოხილვაც ცხადყოფს, რომ დავით გურამიშვილის დაინტერესება ფოლკლორით არ წარმოადგენს გამოწაკლისს. იგი გამოვლენაა მხატვრული ლიტერატურის დემოკრატიზაციის იმ დიდ პროცესისა, რომელსაც ფართოდ მიმართა XVIII ს. მოწინავე რუსულმა და ევროპულმა მწერლობამ და შედეგია მოვლენათა თუ განცდათა ასასახად ახალი გზების ძიებისა. ხოლო როგორც ს. ვ. ტურაევი აღნიშნავს;

⁹⁴ Т. Ливанова, Русская музыкальная культура XVIII века. Музгиз, 1953, იხ. აგრეთვე მ. ჩიკოვანი, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, თბ., 1955 წ.

„არა ერთი რომელიმე მწერლის გავლენა მეორეზე“, არამედ სწორედ „ახალი მეთოდის, ახალ შეხედულებათა ჩამოყალიბება და გავრცელება გვაძლევს საშუალებას გავიგოთ ლიტერატურაში ძირითად ტენდენციათა ერთობლიობა“⁹⁵.

და ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში დავით გურამიშვილის საგანგებო მნიშვნელობაც და ადგილიც იმით არის განსაზღვრული, რომ მან ახალ შეხედულებათა ჭადმოსაცემად არჩეული ახალი გზით შექმნა ძეგლი, რომელშიც ჩვენი ეროვნული ტრადიციის ძირებთან ერთად უფაქიზესი სულიერი განცდებიცაა ნაჩვენები და „მუხთალი სოფლის გაუტანლობით“ გამოწვეული უქაყაფილების გვერდით ამავე „სოფლისადმი“, სიცოცხლისადმი დაუცხრომელი ტრფობაცაა გადმოცემული. ამიტომაც უწოდა გ. ლეონიძემ გურამიშვილის პოეზიას „ხალხური სულის პოეტური ანარეკლი“⁹⁶.

სწორედ იმიტომ, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურის საფუძველზე დაყრდნობილმა გურამიშვილმა თავის შემოქმედებაში ფართოდ გაუღო კარი ხალხურ ცოცხალ სიტყვას, გააღრმავა და განავითარა ქართული პოეზიის ხალხურ-ევროპული ტრადიციები, რითაც, ისევე როგორც სულხან-საბა ორბელიანმა ქართულ პროზაში, გზა გაუკაფა ჩვენი პოეზიის დემოკრატიზაციას და თავისი სადა, უბრალო (მაგრამ არა პრიმიტიული)⁹⁷, ნათელი სტილით დაწერილ უაღრესად მელოდიურ და შთაბეჭდვად ლექსებსა და პოემებში „პოეტურად არეკლა“ „ხალხის სული“, საკუთარ თავზე განცილები უკუღმართობით გამოწვეული ტკი-

95 С. В. Тураев. Спорные вопросы литературы просвещения. см. Сборник, проблемы посвящения мировой литературы, Москва, 1970, стр. 10.

96 ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. 11, თბილისი, 1966, გვ. 579; იხ. აგრეთვე ელ. მალაძე, „გოდება“, გვ. 269.

97 ახალი ქართული ლიტერატურის ერთი უკეთესი მკვლევართან — ეხბანგ კოტეტიშვილი, — გურამიშვილის პოეზიის მოკლე, მაგრამ საყურადღებო შეფასებისას მართებულად აღნიშნავს „აღორძინების ხანის“ უდიდესი პოეტის როლს ქართული პოეზიის განვითარების ისტორიაში, მაგრამ უზუსტობად მიგვაჩინა გურამიშვილის პოეზიის მიმართ გამოყენებული გამოთქმები „პრიმიტიულობა“ და „პრიმიტივი“. ვ. კოტეტიშვილი შედარების შემდეგ — „რუსთაველის ენა დიდ ორკესტრის ხმას გამოსცემს, გურამიშვილისა კი ლერწმის სალაპურია, ქაცვია მწვემის ხელთ გამოჭრილი“ — განავრთებს: „თითქოს ამ პრიმიტიულობაში პროგრესული არაფერია არ უნდა იყოს, მაგრამ არის ხოლმე კაცობრიობის ცხოვრებაში პერიოდულა დაბრუნება პირველ წყაროსთან ახალ ძალთა მოსაკრებლად, და დავ. გურამიშვილის პრიმიტივიც (ხაზგასმა ყველგან ჩემია — დ. ლ.) ასეთი დაბრუნებაა (იხ. ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1959, გვ. 39). ცხადია, ვ. კოტეტიშვილს დახასიათებითვე „მონუმენტალური ლექსის“ შემქმნელი დავით გურამიშვილის მიმართ, — რომელმაც ვამაღიღრა „ჩვენი სიტყვის მუსიკა“, შექმნა „ქართლის პირი“, „ქაცვია მწვემის“ და სატრფილო ლირიკის შესანიშნავი ნიმუშები, — ტერმინი „პრიმიტივი“ შეუფერებელი და უმართებულოა.

ვილები განზოგადებით ჩასწვდა ხალხის ქირვარამს და „ღრმა დრამატიზმითა და ლირიზმით“ გამსჭვალულ თხზულებებში შეუფერავად ასახა ერის ტრაგიკული ბედი — სწორედ ამიტომ წარმოგვიდგება ღრმად ეროვნული თვითშეგნების დიდი პოეტი „კაცად-კაცობის ვრცელ მოედნის“ მწვედომ შემოქმედად, ვინც არა მარტო „ქართული ლექსის გამოთქმაში“ „შემოიტანა ევროპეიზმი“, არამედ თემატიკის, იდეურ-შინაარსობრივი თვალსაზრისითაც გაუკაფა გზა „მაგ ევროპეიზმს“ და ხელი შეუწყო ევროპული ლიტერატურული გემოვნების ფართოდ დანერგვას ქართულ მწერლობაში*.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა არ მარტო „ქაცვია მწყემსი“, ქართული მწერლობის პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, სადაც მთავარ დადებით მოქმედ პირებად, მაღალი ზნეობრივი პრინციპების დამცველად და ნიმუშად გლახთა წრიდან გამოყვანილი ქაცვია მწყემსი და მისი მამაა წარმოდგენილი, ან XVIII საუკუნის საქართველოს ტრაგიკული ბედის სიმართლით ამსახველი ისტორიული პოემა, „ქართლის ჭირი“, არამედ თვით რელიგიურ-მისტიკური, ღრმად ალეგორიული ხასიათის პიმნებიც, სადაც პოეტის ზეცისკენ აღვლენილი გულმხურვალე ვედრება სიცოცხლემოწყურებულ, ცხოვრებას დაწაფებულ წარმართი მოგვის ცისიერ მნათობებისადმი მიმართულ მგზნებარე ღაღადისს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე მორწმუნე ქრისტიანის მომხანჩებელ ლოცვას⁹⁸.

დავით გურამიშვილი, ისევე როგორც ბევრი განმანათლებელი, მათ შორის თვით „ფერნეს პატრიარქი“ — კათოლიკური ეკლესიის სასტიკი მტერი — ვოლტერი, რწმენას ადამიანის აუცილებელ მოთხოვნილებად მიიჩნევდა და, ცოდნასთან ერთად, ზნეობრივი სიმტკიცის საფუძვლად რაცხდა. მაგრამ ღრმად მორწმუნე პოეტისათვის ქეშმარიტად უცხო იყო ის დოგმატური მინარევი, რაც საუკუნეთა მანძილზე დაურთავს

* ასეთვე თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ე. მალრაძეს თავის წიგნში „გოდება“, იხ. გვ. 251—254.

⁹⁸ დ. გურამიშვილის პიმნების მიმართ საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული გ. ლეონიძეს. „სხვათა შორის, — წერს გ. ლეონიძე, — ლექსს „მზეთა-მზის ვედრება დავითისაგან, მზის თხოვნა დასათბობლად ტირილითა თუ სიმღერის ხმითა“ აქვს მინაწერი: „ამის ხმას ეწოდება რუსულად: „მასონ“ და მართლაც, იგი მასონური პიმნია. ხომ არ თანაუგრძნობდა გურამიშვილი მასონთა ლოცვას, როგორც არა ერთი მისი თანამედროვე ქართველი რუსეთში? მაგ., დავითის მეგობარი შგოსანი დიმიტრი სააკაძე ფრანკ-მასონობას სწამებდა პოეტს დიმიტრი ზაგრატიონს: „თქვენი მოგვესმა პატრონო, შექმნილხარ ფარმაზონია, ქრისტეს უარისმყოფლობა შე თქვენგან არა მგონია“ და სხვ. თუ დადებითად გაირკვა ეს საკითხი, მაშინ ციკლი „მზეთა-მზის“ ლექსებისა მასონური მონაბერი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, მასონური მოძრაობა შემრწმუნულია გურამიშვილისდროინდელ უკრაინის მოწინავე საზოგადოებაშიც“ (იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. II, თბილისი, 1966, გვ. 577).

ქრისტიანული რელიგიისათვის. იგი თავისი შეხედულებებით არსებითად უპირისპირდება ანტიჰუმანურ, ეკლესიურ ასკეტიზმს, რადგან სიციოცხლის დიდ მომღერალს ეს ქვეყანა უყვარდა, გამრავლებასა და მრავალფეროვნებაში ხედავდა ღვთაებრიობის გამოვლენას და ღმერთსაც იმითმ აღიღებდა, რომ „მან ქმნა ქალ-ვყობა. მისცა ტრფიალობა“ (გვ. 136, სტრ. 1).

. დავით გურამიშვილის ღვთაება ისრაელთა მრისხანე ღმერთი კი არაა, არამედ „შემნდობი“, „სულგრძელ-მოწყალე“ (სტრ. 380) „შემოქმედი, სიციოცხლისა და სიყვარულის უშრეტი წყაროა, რომელიც მას მზედ წარმოუდგენია, მზესავით ათბობს და ძალას სძენს ყველაფერს.

მზე და სხივი და ნათელი ვით სამად გალექსულია,
იგ სამივე ერთი მზე არის, არ ცალკე გაქსაქსულია;
ეგრეთ მამა და ეგრეთ ძე, და ეგრეთ წმინდა სულია (415)

აცხადებს გურამიშვილი და სასოებით ეაჩება მზე-ღმერთს, ანუ, მისივე სიტყვებით, „ნათელს წარუალს“ —

მზევ, მომეშველე, განმათბე, სიცივით ნუ დამაძრობა (343)

ხოლო. შემდეგ აღზნებული მიმართავს მასვე —

მზეთა-მზევ, მზემან მომნახოს, მითხრას მშვიდობა, სალაში,
თავს საფარავად მომმადლოს თავის აღდგომის ალაში (345).

მართალია, გურამიშვილს, რომელიც ასევე გულდაჭერებული ევედრება განთიადის ვარსკვლავს —

| განთიადისა ვარსკვლავო, მის მზეთა-მზისა მთიებო,
ე-კარგვი ბნელს ღამითა, დღევ, რად არ მომიძიებო (346)

და

— შენ გვედრებდი, ცისკარო, საიდუმლოსა დღისაო,
ნათელო შარავანდელო საცნაურისა მზისაო (432)

გ. ნატროშვილის შენიშვნისამებრ, თავადაც უგრძნენია, შორს გავცილდი ქრისტიანული რწმენის დოგმებსო, ამიტომაც უცდია „თავისი უნაპირო ფანტაზია ქრისტიანობის ჩარჩოებში“⁹⁹ ჩაეკეტა და ლექსებისათვის დაურთია სპეციალური განმარტება, სადაც „მკითხველებს ევედრება მისი ლექსი უსათუოდ ქრისტიანულად გაიგონ“¹⁰⁰, მაგრამ პოეტის მიმართვა მკითხველისადმი —

⁹⁹ გ. ნატროშვილი, წინაპარნი და თანამედროვენი, თბილისი, 1961, გვ. 78.

¹⁰⁰ იქვე.

ამინე ლექსთა მკითხველო, სიტყვა ავიხსნა წინადა:

ქეს ღმერთს კაცობით მზედ ესახავ. სახით მზეს თრნათონადა,

ღმერთთა ღმერთობით, მზეთა-მზედ მამას ესახ თქმად სასმინადა (349)—

სულაც არ აქცევს მზე-ღვთისადმი ადვლენილ ჰიმნებს გურამიშვილისა ეკლესიური, ორთოდოქსი ქრისტიანის მორჩილ ლოცვად. მეტიც, ძნელია ჰიმნებში (რომლებიც, ს. ცაიშვილის შენიშვნისამებრ, შეთხზულა გურამიშვილისათვის დამახასიათებელი „მძლავრი ტალანტით“ „სინამდვილის კონკრეტულ აღქმისა... რითაც პრინციპულად შორდებოდა ძველ სასულიერო პოეზიას“¹⁰¹) ცხოველმყოფელი, რეალური მზის სახით წარმოდგენილი ღვთაება დაისახოს ქრისტიანულ პიროვნულ ღმერთად, ხოლო ჰიმნების ავტორი — „მისტიკური ქვეყნის“ „ეკზალტირებულ მკვრეტელად“, რომელიც ცდილობს „მასთან სიახლოვით საკუთარი ოაფის გაქრობას“¹⁰².

მისტიკა გურამიშვილისა, რომელიც დაბეჭდვითაც აცხადებს —

აწ მე საერო წაღკოტი მგონია პატროსანი;

მიუყარს და მალ-მალ მსურთან მისთა ყვავილთა ყნოსანი

(სტრ. 71) —

პასიური ჰერეტიკი არაა ქვეყნის უარყოფელი, მისგან განდგომილი, სიცოცხლის და მშვენიერების მოძულე ასკეტისა, ვისაც ადამიანში ყოველივე მიწიერისა და ბუნებრივის ჩაკვლა მიუჩნევია იმქვეყნიური სასუფევლის მოპოების ერთადერთ გზად, არამედ მძლე ჰიმნია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების დიდი პოეტისა, რომელიც სიცოცხლეს უმღერს, მიწიერს დაწაფებული ცხოვრებას ეტრფის¹⁰³ და ადამიანს ამ-

¹⁰¹ ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბილისი, 1966, გვ. 26.

¹⁰² იქვე, გვ. 25.

¹⁰³ გურამიშვილის ეს ტრფობა მიწიერისადმი მშვენიერად გამოხატა პაულო ტინანამ ლექსში „დავით გურამიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ უკითხავს გრიგოლ სკოვროდას“. უკრაინელი მოაზროვნის სიტყვებს —

— ნეტარებას არა ქვეყნად,

მე ჩემს სულში ვპოებ —

ქართველი პოეტი პასუხობს:

— განა ღირს, რომ მოიწყინო

როგორც თეთრმა არყმა,

დაემღერო წუთისოფლის

ცხოველმყოფელ არილს!

დახვალ — ნუთუ ბედნიერი

უღაბნოთა შინა?

ცად ისწრაფვი, მაგრამ მაინც

მიწაზე გაქვს ბინა!

მამ, იყავი მიწიერი,

მამ, დაფიქრდი ცოტა

(თარგმანი მურმან ლებანიძისა).

ქვეყნიური ბედნიერებისათვის აქტიურ მოქმედებისაკენ მოუწოდებს. ამიტომაც გურამიშვილის მისტიკა სუსტი კი არა, ძლიერი მისტიკაა, ისეთი, რომელსაც „შეიარაღებულ ამბოხებასთან“ ერთად „მთელი შუა საუკუნეების მანძილზე“ წარმატებით იყენებდა „რევოლუციური ოპოზიცია“¹⁰⁴.

ღმერთის წარმოდგენა მზის, სინათლის სახით სულაც არაა მხატვრულ ლიტერატურაში იშვიათი გამონაკლისი. მაგრამ აქ, გურამიშვილთან, მსოფლმხედველობრივი მსგავსების თვალსაზრისით, რუსთაველთან ერთად, დავასახელებთ მხოლოდ დანტე ალიგიერს, — ვისი მიხედვითაც მზე სინათლის ის წყაროა, რომელიც ანიჭებს ანგელოსთ ძალას, ამოძრავებს ცხრა სფეროდ დაყოფილი სამყარო, — და გოეთეს, ვინც მზის სახით გამოხატა მეუფე არა მარტო „ფაუსტის“ „ცაში პროლოგის“ პირველ სტროფში გამოთქმული სიტყვებით რაფაელისა

— მზე კვლავ აქლერებს ძველებურ ჰანგზე
ძმურ სფეროებში ჯადოსნურ ჩანგსა,

მისი ჰერეტიკა სქენო ანგელოსთ ძალას
ვერავინ ჩასწედეს თუმცა მის სიღრმეს¹⁰⁵,

არამედ ვაგნერთან ფაუსტის საუბარშიც —

მზე გაღიხარა და სხვა მხარეს მიეშურება,
რომ კვლავ მომფინოს თვის სხივები ახალ სივრცეებზე,

და რომც ღვთაება ჩავსვენოს თავის სხივებით,
მე კვლავ ასალი აღმაფრენა გამოიტაცებდა,
უკვდავ სინათლის დაწაფებით გავგრილდებოდი,
ღამეს დაეძლევი და დღე ისევ გამინათებდა¹⁰⁶.

(ხაზგასმა ყველგან ჩემია. — ლ. ლ.).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მზეზე და ქრისტეზე, როგორც ღვთაებრივ გამოცხადებაზე, დავით გურამიშვილისა და გოეთეს შეხედულებათა საოცარი მსგავსება.

გურამიშვილისათვის მზე და ქრისტე სინონიმებია იმიტომ, რომ ორივენი სივრცის და სივრცის წყაროდ დაუსახავს და ღვთაებრიობის გამოვლენად უღიარებია. მას — შვედრეთით აღდგომა ბუნების ჩვეუ-

104 ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბილისი. 1956, გვ. 39-40.

105 გოეთე, ფაუსტი, რედაქცია და კომენტარები დ. ლაშქარაძის და ო. ჯანო-რიასი, თბილისი, 1962, გვ. 98.

106 იქვე, გვ. 129-130.

ლებრივ მოვლენად რომ ჩაუთვლია, სიკვდილი არსებობის მხოლოდ დროებით შეწყვეტად მიუჩნევია, რომლის შემდეგაც განახლებული სიცოცხლე იბადება, რაც გამოხატული აქვს სიტყვებით „ბნელში მდებარე გამოველ გარე, ვითა დავლამდი, ისე გავთენდი“ (გვ. 112, სტრ. 6) — ქრისტე „სადიდებლად ღვთის“ (გვ. 133, სტრ. 5) მოვლინებულად წარმოუდგენია. თანაც „სიკვდილითა სიკვდილის“ დამთრგუნველი (გვ. 127, სტრ. 28), „ადამიანის ხსნისათვის ჯვარს“ „დამსჭვალული“ (395), „ცხოვრების წყაროს ენბაზი“ (423), „მის მზეთა მზისა“ „სხეივი“ (107) ქრისტე, ვისგან „ცხოვრების წყარომა ჩვენთვის დაიწყო ღინება“ (130) გურამიშვილის მიხედვით უმაღლესი ზნეობრივი პრინციპის განსახიერება, მისი ღვთაებრივი განცხადებაა. და „საცნაურ“ მზესაც თაყვანს სცემს გურამიშვილი იმიტომ, რომ უამისოდ სიცოცხლე წარმოუდგენელია; ყინვა, სუსხი და სიბნელე მოიცავს ქვეყანას. ამიტომაც მიმარტავს დალესტანის ორმოში ჩაგდებული პოეტი მზეს — „მზეო, ყოველთა მნათობთა შენ სჯობიხარ მანათობლად“ (343) და

— მზეე, სიშორითა შენითა
 ვსტირ გჳლზე კენესით, ქშენითა;
 ყინვა მკლავს და მარჩობს ბუქი;
 განმათბე, მომფინე შუქი! (354)

რაც შეეხება „დიდ წარმართს“, როგორც ჰაინე უწოდებს გოეთეს, რომელმაც ფ. ენგელსის მიხედვით „ხელოვნება რელიგიის არტახებისაგან გაათავისუფლა“¹⁰⁷, მან ეკერმანთან საუბარში ქრისტესა და მზისადმი თავისი დამოკიდებულება ასე ჩამოაყალიბა: „თუ ვინმე მკითხავს, ეთანხმება თუ არა ჩემს ბუნებას მოწინებულებული თაყვანი ვსცემ მას (ქრისტეს, — დ. ლ.), მე ვუპასუხებ — დიახაც! მე თაყვანს ვსცემ მას ვითარცა უმაღლესი ზნეობრიობის პრინციპის ღვთაებრივ განცხადებას. და თუ ვინმე მკითხავს, ეთანხმება თუ არა ჩემს ბუნებას თაყვანი ვსცემ მზეს, მაშინაც ასევე ვუპასუხებ — დიახ! რადგან მზეც ასეთივე განცხადებაა უზენაესისა და თანაც უძლიერესი ყველა იმ განცხადებათა შორის, რომელიც ჩვენ, მიწის შვილთ, გვრგებია. მე თაყვანს ვსცემ მასშრ ღვთაებრივ სინათლეს და წარმომქმნელ ძალას, მარტოოდენ რომლის წყალობითაც ვცოცხლობთ, ვმოქმედებთ და ვართ ჩვენ და ჩვენთან ერთად ყველა მცენარეცა და ცხოველიც“¹⁰⁸.

სინამდვილიდან მიღებული ცოცხალი შთაბეჭდილება, რაც საფუძვლად უდევს გურამიშვილის პოეზიას და ცხოველმყოფელობას ანიჭებს მის თვით ღრმად რელიგიურ-მისტიკურ პიმნებს, არის ის ძალა,

¹⁰⁷ К. Маркс и Ф. Энгельс, соч. изд. 2-ое, т. I, стр. 595.

¹⁰⁸ Eckermann, Gespräche mit Goete, 1956, S. 651.

რომლის კარნახითაც, ალ. ბარამიძის შენიშვნისამებრ, პოეტი ბიბლიურ სიუჟეტებსაც კი „აქლის სასწაულებრივ სიმშრალესა და ზღაპრულობას, უახლოებს მათ სინამდვილეს, ასე ვთქვათ, აბუნებრივებს და აადამიანურებს“¹⁰⁹.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს არა მარტო შეილის დაკარგვით გულდამწვარი „ნაწლევგათანგული“ (105) ღეთისმშობელი, რომელსაც „მუხზზე“ დაუდვია „დაჭრილი, გვერდ გაპობილი“ (გვ. 139, სტრ.5), „საწყლად“ ყელგადაგდებული (იქვე, სტრ. 6) ქრისტე და „ლაწეთასისხლითა მღებარე“ (110) დასტირის —

ძეო, შენს თავსა მნატრიდენ ყოველთა ძეთა ღედები;
ბედნიერებას მიქებდნენ, მოსწონდათ ჩემი ბედები.

ვაიმე, ლახვარ-სობილსა და გულსა დანა-ვლებულსა,
შენის წყლურების ცეცხლითა დაგულსა, დანა-ვლებულსა,
შენს უკან წუთის სოფლითგან გულ-კენესით ხანაწარებულსა
ძეო, მეტკობის სიყვდილი სიოცხლე გამწარებულსა.

(სტრ. 111, 112) —

არამედ ქრისტეც, „ძე ღეთისა“, რომელსაც „მამისა“ და „სული-საგან“ მხროლოდ „სიტყვით აქვს განყოფილება, მაგრამ ერთ ღმერთად ითქმინა“ (135) და ვინც „ორსაც გზას წრფელს წინ უდებდა, ხორციელსა და სულიერს“ (93).

ღრმად ადამიანურია გურამიშვილის მიერ წარმოდგენილი ჭვარცმის ამბავი, რომელიც მას, როგორც ალ. ბარამიძე შენიშნავს, — „უდიდეს ადამიანურ ტრაგედიად გაუაზრებია“¹¹⁰.

მართლაც უაღრესად ტრაგიკულია „ეკლის გვირგვინით მოსილი, შიშველი, გაკიცხული, ჭვარზედა ხელ-ფეხ მიკრული, გვერდსა ლახვარიც ხებული“ შეილის ხილვით გამწარებული ღედის განცდა და მოთქმა. მაგრამ კიდევ უფრო ტრაგიკული და საოცრად ადამიანურია ის, რომ, დიდი ფიზიკური ტანჯვის მიუხედავად, უმტიციესი სულიერი მხნეობის ქრისტე, ღედის სასოწარკვეთილი ტირილით შეშფოთებული, ამშვიდებს და ამხნევებს მშობელს —

რა ესმის ღედის ტირილი ძეს მიკრულს ჭვარსა ზედაო,
შემჟულაბნა მშობელი და მისკენ გარდმობედაო.

გამოეძრაბა, უბრძანა: ეპა, ნუ შტირი დედაო,

მე წარვაღ, შენ ჩემ სანაცელოდ იონე გყვანდეს ძედაო (108) —

ხოლო განაწამები პირმშოს „ხმა ტკბილი“, რამაც მოაგონა მარიამს — გურამიშვილის მიერ გამოსახულ არა აბსტრაქტულ, დემატერიალიზე-

¹⁰⁹ ე. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1969, გვ. 427.

¹¹⁰ იქვე.

ბულ, არამედ მოსიყვარულე შვილის უბედურებით ტანჯულ დედას — „მის ძის ხელთ-ჰკერა, ძუძუს წიება ძისაო“, კიდევ უფრო უკიდებს გულზე ცეცხლს სასომიხილ მშობელს.

არანაკლებ გაადამიანურებულად წარმოგვიდგება ქრისტე ლექსში „სიტყვა ესე დავითისა“, სადაც ქრისტეს ზრუნვა „კაცთა ძეზე“ ახსნილია წმინდა ადამიანური თვისებით. ადამიანს ხომ ის უყვარს, იმას აფასებს განსაკუთრებით, რაზედაც ამაგი აქვს გაწეული. მაცხოვარი ასე მიმართავს „კაცთა ძეს“ —

ვარ ქირ ნანახი შენზედა, თორემ რას დაგდეო
(გვ. 126, სტრ. 7).

და

რასაც შე შენთვის გაესცილვარ, ვითარ მოვსთელიდო!
აწ შე როგორ არ მეწყინოს, წახდე, გასტრუდო?
(გვ. 128, სტრ. 35).

გურამიშვილის რელიგიურ-მისტიკური ხასიათის ლექსებისათვის დამახასიათებელი ზეციურის გაადამიანურება და მიწიერის გაღმერთება ჩანს „დავითიანის“ ლირიკულ შედევრშიც „ზუბოვკა“, სადაც ავტორი საოცარი პოეტური გზნებით აგვიწერს შეხვედრას „შავ თვალ-წარბა“, „პირად თეთრ“, „შეხალიან“ (გვ. 144, სტრ. 1) უკრაინელ ქალთან, რომელსაც უკვე მეორე სტროფში მიმართავს, როგორც მზე-ქრისტეს — „ვკითხე: მზეო, სიღამ მოხვალ, ხარ. სად წამავალი?“ (იქვე, სტრ. 2). შემდეგ კი პოეტის ვნებიანი ნდომით „გაგულისებული“, „კარგი მყვარის“, „უკეთესი ვაჟი-კაცი, ქმრის“ (სტრ. 4) მყოლი მშვენიერი ქალისადმი ვედრება ღვთისმოსაურ, ღაღადისში გადაღის და, მესუთე, განსაკუთრებით მერვე სტროფიდან, სულაც ქრისტეს წარმოდგენას უკავშირდება.

ძნელი არ არის აქ დავინახოთ ტიპოლოგიური მსგავსება დანტეს „სალზინებელის“ ოცდამეათე სიმღერასთან, სადაც საეკლესიო პროცესიის დროს გამოჩენილ ბეატრიჩეს წმინდა მოხუცი იხევე მიმართავენ, როგორც ქრისტეს „Benedictus qui venis“ — „კურთხეული ხარ მომავალი“. ამ სიტყვებით მიუმართავთ ქრისტესათვის, როცა იგი უკანასკნელად სწვევია იერუსალიმს; ამით, კომენტატორთა აზრით, დანტე „უყოყმანოდ ათანაბრებს ბეატრიჩეს... თვით ქრისტესთანაც კი, რითაც, უბრალოდ რომ ითქვას, აღმერთებს მას“¹¹¹.

ოღონდ „ზუბოვკაში“ გამოყვანილი ქალი მეტისმეტად მიწიერ-რეალურია ბეატრიჩესთან შედარებით, ხოლო გურამიშვილის ტრფობა

¹¹¹ დანტე ალეგიერი, ახალი ცხოვრება, თბილისი, 1967. ო. ჯინორას შეტყუალი წერილი „დანტეს ახალი ცხოვრება“, გვ. 32.

ახსადმი, ვისთან „შეხმან დაცალეწა, შეუმესრა ძვალი“, სულაც არ ჰგავს „შუა საუკუნეების უკანასკნელი მგოსნისა და ახალი დროის პირველი მგოსნის“¹¹². პლატონურ-აბსტრაქტულ მიჯნურობას. ეს ტრფობა, განსაკუთრებით პირველ ოთხ სტროფში, ღრმად გრძობად-ეროტიკულ შთაბეჭდილებას სტოეებს, რაც განასხვავებს დანტესაგან გურამიშვილს და ქართველ პოეტს იდეურად აახლოებს მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებლებთან, კერძოდ, გოეთესთან, რომელიც „აღმოსავლურ-დასავლურ დივანში“ ზულეიკას სახით წარმოდგენილ თავის „უსაყვარლესსა ასე მიმართავს — Und wenn ich Allachs Namenhundert nenne, mit jedem klingt ein Name für dich (და თუკი ალაჰს, უზუნაესს, ას სახელს ვარქმევ, ყოველ მათგანში მოისმის შენიც“. თარგმანი ო. ჯინორიასი)¹¹³.

განმანათლებლებთან ეს სიახლოვე კი არც მოულოდნელია და არც შემთხვევითი. საქმე ისაა, რომ სამშობლოდან გადახვეწილი გურამიშვილი დიდი ხნის განმავლობაში ტრიალებდა რუსეთს ემიგრირებულ ქართველთა იმ წრეში, სადაც არა მარტო პასიურად ეცნობოდნენ ევროპაში დაწყებულ ახალ გონებრივ მოძრაობას, რომელიც ლომონოსოვის სამშობლოშიც უკვე ფართოდ იკაფაჟდა გზას, არამედ ახალ იდეათა პროპაგანდასაც ეწეოდნენ: გულმოდგინედ სწავლობდნენ ლოკისა და კონდილიაქის ფილოსოფიას, ბეჭითად თარგმნიდნენ მონტესკიეს, ვოლტერს და რუსოს ნაწერებს, და ორიგინალური თხზულებებითაც ავრცელებდნენ დიდ განმანათლებელთა შეხედულებებს. და, ცხადია, როგორც გ. ქიქოძე აღნიშნავს, „შეუძლებელიცაა დავით გურამიშვილს მოსკოვსა და ლენინგრადში გატარებული ხანგრძლივი წლების განმავლობაში ევროპელი განმანათლებლები და მათი ძირითადი იდეები არ ცოდნოდა. მას არ შეეძლო არ შეესუნთქა ის ჯანსაღი და გამახალისებელი ჰაერი, რომელსაც მოწინავე თაობები ითვისებდნენ პარიზიდან დაწყებული მოსკოვსა და თბილისამდე“¹¹⁴.

ამ „ჯანსაღი და მაცოცხლებელი“ სუნთქვის კვალი აშკარად ატყვია გურამიშვილის მთელ შემოქმედებას, განსაკუთრებით მის მონუმენტურ „ქართლის ჭირს“, სადაც პირუთენელად არის ასახული მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს ტრაგიკული ბედი, რომელთანაც მჭიდროდ დაუკავშირებია პოეტს საკუთარი, არანაკლებ ტრაგიკული ბიოგრაფია.

112 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანუესტი, 1919, გვ. 36.

113 Goethes Werke herausgegeben von Heinrich Kurz, B. 2, S. 82.

114 გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. I, ლატერატურული წერილები და პორტრეტები, თბილისი, 1963, გვ. 60.

თავის მიწა-წყალს დანატრებული დიდი პატრიოტი, რომელიც მზეს ადარებდა საქართველოს, — ისევე მოწიწებულ თაყვანს სცემდა სამშობლოს, როგორც მზეთა-მზე-ღმერთსა და მზე-ქრისტეს, — „ურჯულოს ქვეყანას“ დატყვევებული, ევედრებოდა —

სახით სიტყვა მშენიერო, სხიო, მზეთა-მზის სახეო,
ვეძებე და შენი მზგავსი მე აჟ ვერცადა ვნახეო;
გეაჭებო, ნუ გამწირავ, მოკვდე. შენ კერძ დამმარბეო,
ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგლებ, მიწყალობე სამოთხეო (332)115.

ქვეყნის ჯანსაღი სიყვარულის კარნახით დაუნდობლად ამხელდა მისი პოლიტიკური და ეკონომიური დაკნინების, ერის გონებრივი განვითარების შეფერხების და ზნეობრივი დაცემის მიზეზებს.

115 ეს. პიში — „ოდეს დატყვევებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარ ნახა, ამისა მოთქმა დავითისაჲს“ — ქრისტესადმი აღუღწერილი ღალადისია, „ვინც გარდასთენ ცხასაყაროს“ (სტრ. 333) და ვისაც მიმართავს პოეტი —

საყვარლო, სახით თქმულო, უსასყიდლო მარგალიტო,
ვის გადარო, ჩემთვის მკედარო, მზევ, მზეთა მზის მაგალითო
(სტრ. 331).

უზუსტობად მიგვაჩნია დავით გურამიშვილის სატრფიალო-სამიწუნო ლექსებზე ე. კეკელიძის მსჯელობა, რომლის მიხედვითაც, დასახელებულ ლექსში წარმოდგენილი „საყვარელი“ სამშობლოს გამოხატავს, ხოლო ლექსებში — „ზუბოვკა“ და „საყვარელმან სიტყვა ავი შითხრა გულსაწვაი“ — ღმერთს, კერძოდ, ძეს ღვთისა.

ე. კეკელიძე წერს: დასახელებული სამი ლექსიდან პირველში („ოდეს დატყვევებულმან...“ — დ. ლ.) პოეტი მიმართავს სამშობლოს, რომლის ფასს ის ეკრსად პოულობს და რომლის მახლობლად, თუ წიაღში არა, უნდა განისვენოს; მეორეში („ზუბოვკა“ — დ. ლ.) საყვარლად იგულისხმება მაცხოვარი... მესამეშიაც („საყვარელმა სიტყვა ავი შითხრა“ დ. ლ.) პოეტი გულისხმობს ღმერთს (ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 11, 1952, გვ. 540).

საქმე ისაა რომ ეპითეტები, რომლებსაც იყენებს პოეტი ზემოთ ციტირებულ ლექსში „მზეო, მზეთა-მზის სახეო“ (სტრ. 332), „ცხოვრების წყარო“, „ვინც გარდასთენ ცხასაყარო“ (სტრ. 333), „ჩემთვის მკედარო“ (334), „ჩვენ ცხოვართა, მწუხრისის კვართხო, ძელი ცხოვრებისა ხეო“ (სტრ. 338), აგრეთვე მიმართვა —

შენ იესო. მწყემსო ჩვენო, ჩვენთვის სისხლის დამანთხეო
ეთ ცხოვარი, ვარ წყმედილო, ნუ დამკარგავ, მომნახეო
(სტრ. 336)

და

სამეურნალოს ცეარ-ცხებულო, სნეულთ წყლულების შემხვეო!
სნეულება განმიყურნე, მო, სალბუნი მომაცხეო;
გამაგონე ხმა საყვირთა, ამოიღე ხმა მკახეო,
ეთ ლაზარეს დამარხულსა „აღდექ“ — თავსა დამძახეო“
(სტრ. 337).

სამშობლოს უანგარო სიყვარული, ჭანსალი პატრიოტიზმი და მაღალი ჰუმანიზმი უდევს საფუძვლად „მართლის თქმის“ გურამიშვილისეულ გაგებას, რომელიც არჩილისა და მისი სკოლის მოთხოვნებიდან მომდინარეობს. მაგრამ არსებითად ახალ, უფრო მაღალ საფეხურს ქმნის და გურამიშვილს განმანათლებლური რეალიზმის წარმომადგენლად გვისახავს.

პოეტი, რომელსაც პოეზიის ამოცანად „მართლის თქმა“ მიუჩნევია და „ცუდი, ტყუილის მოზღაპრე სიცრუის კანანახად“ (20) ჩაუთვლია, სინამდვილის უტყუარ ასახვას სულაც არ რაცხს, როგორც მისი ზესტი ასლის გადმოღებას და „დავითიანიც“ ემპირულ მოვლენათა ფოტოგრაფიული სურათი კი არ არის, არამედ ღრმად შთაგონებული ვრცელი მხატვრული ტილოა, რომელიც გაცილებით უფრო სრულ და ცოცხალ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ მდგომარეობაზე, ვიდრე ემპირიზმის ტყვეობაში მყოფ მემპტიანეთა მშრალი ცნობები.

გურამიშვილი ერთგულად მიჰყვება თავის შემოქმედებით მრწამსს, გამოხატულს შემდეგი სიტყვებით —

მართალს ვიტყვი, შევქმნები ტყუილისა მონებ რაჲ?
ვერას ეუქებ საძაგელთა, უფერულთა პირსაფერად.
მე. თუ გინდა, თავიე მომქრან, ტანი გახდეს გასაბურად.
ვიწყ არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბურად

(სტრ. 170).

და თუმცა „ავის გამოჩენის“ კი „ერცხვინება“ (168), ისიც კარგად იცის, რომ მისი სააშკარაოზე გამოტანა მტერს გაახარებს და მოყვარეს გულს ატყენს. — „მტერს შავსმის, იამების; მოყვარეს კი ეწყინება“ (სტრ. 166). მაგრამ მაინც დაუნდობლად ამხელს მანკიერებებს, რადგან სწამს, რომ

— ცხადყოფენ, რომ გურამიშვილს „საყვარლად“ აქაც ქრისტე ჰყავს დასახული.
მაგრამ ისევე, როგორც გურამიშვილის მრავალი პიშია, სადაც, ს. ცაიშვილის უწინდენისამებრ, „აღარა მიმართების ერთი განზოილება“ (ლიტერატურული წერილები, 1966, გვ. 25) — ეს პიშიცი ოპლანიანია და მართებულად არის ჩათვლილი ევლრებადაც სამშობლოსადმი, რომელსაც გურამიშვილი მზედ სახავს ისევე, როგორც ღმერთს. ეს აშკარად ჩანს ლექსში „ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა...“ : ამ ლექსის ზემოთ უკვე ციტირებულ (349) სტროფში „დავითიანის“ ავტორი ღმერთს მზეთამზედ სახავს, ქრისტეს — მზედ, ხოლო მზეს თინათინად (სიტყვა თინათინი საბას ასე აქვს განმარტებული: „სარკისა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს“). გურამიშვილი დასახელებული ლექსის მომდევნო სტროფში დაბეჭითებით მიმართავს მკითხველს:

სახით იგავად სათქმელად მამა მზეთა-მზედ იოქოსა,
ძე ღეთისა მხოლოდ-შობილი მზე სიმართლისა იქოსა.
მისთვის საწუთროს მნათობმან მზემ თინათინი ირქოსა.

„ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“ (172), თანაც პოეტი მკითხველს რომ მიმართავს, „აეს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“ (168), ამასაც დაბეჭითებით აღნიშნავს --- „ამად სძრახვენ, ვინც აეს ჩადის, კულავ აღარ ჩაიღინოსო“ (173) და მკაცრად ჰგმობს „აღმა მხენელსა, დაღმა მზარავს“, სასტიკად ჰკიცხავს უკიდურეს ეგოიზმს, გაუტანლობას, ურთიერთშუღლსა და მტრობას, ქვეყანა რომ დაუქინებია და დღუპვის პირას მიუყვანია.

მაგრამ ეს სიმკაცრე გურამიშვილისა, — რომელიც მწვავედ განიცდის „უკულმართად ხენა და თესვის“ (183) შედეგად წარმოქმნილ „ქართლის ჰირს“ და ქვეყნის წახდენის შემყურე ამბობს „მეტად მწარედ გული მტკივა, მაურყოლებს და ტანში მზარავსო“, — მტრულად განწყობილი კაცის გესლიანი ლანძღვა კი არ არის, გულშემამტკივარი ჰირისუფლის გაფრთხილება და მოყვრის პირში ძრახვის იმ პრინციპს გამოხატავს, რომელსაც განუხრებლად ატარებდა XIX ს. საქართველოს კოლოსალური ფიგურა — ილია ჭავჭავაძე, ვინც შეუბრალებლად ამხელდა „ქართველის სიავეს“ და ამის გამო გაგულისებულ ვაიპატრიოტებს მიმართავდა —

ჩემზე ამბობენ „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩენს ცუდს არ მაღავს, ეგ სომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!¹¹⁶.

სამშობლოს ბედით დაინტერესება, ერის ჰირ-ვარამით განპირობებული მამულისშვილური გულისტკივილი და მანკიერებათა მიუყვარძლებელი მხილება, რაც, მაღალმხატვრულ ღირსებასთან ერთად, ანიჭებს „დაფითიანს“ ცხოველმყოფელ ძალას, წარმოგვიდგენს გურამიშვილს ქართულ მწერლობაში ევროპული ლიტერატურული გემოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მებზირახტრედ და განსაზღვრავს მისი შემოქმედების „ეევროპეიზმს“.

ზოლო ამვე ლექსის ბოლო სტროფში ქართველ ერსა და სამშობლოს უწოდებს „სარკის მზას შუქით ცილს“, ე. ი. თინათინს, მზეს:

საწუთროს მზას თინათინი მოკითხრა, რაცა ფერაა:
სარკის მზის შუქით ციალსა უწოდენ ქართველთ ერია
ვერას ზორციელს სულდგმულსა ბრკვალში ვერ დაუქვრია,
შე თინათინით მინათობს სახლთ კედელ-უურე, კერია.
(ხაზგასმა ყველგან ჩემია. — დ. ლ.)

¹¹⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 1, თბილისი, 1951, გვ. 75.

სამშობლოს სავალალო მდგომარეობით გამოწვეული გულისტკივილი, მწვავე განცდა მისი ბედ-იბღლისა, რომელსაც, როგორც აღინიშნა, განუყრელად უკავშირებს გურამიშვილი თავის ტრაგიკულ ბედს, განაპირობებს, უმთავრესად, „დავითიანის“ სევდიოთა და ნაღვლით სავსე მრავალი ლექსის პესიმისტურ განწყობილებას.

მაგრამ გურამიშვილის პესიმიზმი სულაც არ არის კაეშნიანი მოთქმა უიმედობით შეპყრობილი სასოწარკვეთილი კაცისა, რომელსაც გული გატეხია და ბრძოლაზე ხელი აუღია. პირიქით, იგი მკაცრად ჰგმობს მცონარებას — „კამეჩის სკორსა“ და „მღორე მდინარეს“ რომ აგონებს — და მხნეობისაკენ მოუწოდებს, რომელსაც ლაღად მჩქეფარე მთის წყაროს ადარებს —

ძალ-მოკლებულ არს მცონარი, ვითა მდინარე მღორია,

მხნეშან, ვით ჩქარმან წყაროშან, განხუჟის მთა და გორია: ...

ამბობს პოეტი და ლექსის დასასრულს ოთხჯერ მიმართავს მკითხველს: —

მხნე იყავნ და გაძლიერდი, დავითს რაც უთქვამს, სწორაა (375).

გურამიშვილის მიერ ტრაგიკულად აღქმულ ღუხუჩორ სინამდვილეში ეს ოპტიმისტური მოწოდება ემყარება სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების გარდუვალობის ღრმა შეგნებას, ანუ, როგორც გ. ქიქოძე აღნიშნავს, იმას, რომ პოეტს სჯერა „სინათლის ღმერთის საბოლოო გამარჯვება ბნელეთის ძალებზე“, სწამს, რომ „მოხდება ადამიანის ზნეობრივი განახლება და ფიზიკური გაახალგაზრდაება, მისი განკაცება, მისი ღვთაებასთან დაახლოება“¹¹⁷. ხოლო ადამიანის ამ ამბლებას, ქვეყნის საერთო განახლებასთან ერთად, სამშობლოს ბედნიერებაც მოჰყვება, რადგან მისი ამჟამინდელი სავალალო მდგომარეობა გურამიშვილს მდბაღ ვნებებს აყოლილი, ცოდვილი და დაცემული ადამიანის მოქმედების შედეგად მიუჩნევია.

ადამიანის ამბლებისა და ქვეყნის განახლების ამ იმედის გამოა, რომ „დავითიანი“, რომელიც „ღრმად ტრაგიკული და პესიმისტური ჩანს ცალკეულ ნაწილებში, მთლიანად სიკეთის გამარჯვების რწმენითაა გაერთიანებული“¹¹⁸. ეს რწმენა კი, გ. ქიქოძისავე მართებული შეხედულებით, ადამიანის ცოდვის ქრისტიანული გამოხსნის იდეასთან ერთად, დაკავშირებულია გურამიშვილის რაციონალისტურ მსოფლმხედველობასთან, რაც კარგად ჩანს პოეტის „საწუთროსთან“ დამოკიდებულებიდანაც.

¹¹⁷ გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. I, ლტერატურული წერილები და პორტრეტები, თბილისი, 1969, გვ. 59.

¹¹⁸ იქვე.

თავის წინამორბედების — თეიმურაზ I-ის, არჩილისა და ვახტანგ VI-ის — მსგავსად გურამიშვილიც საყვედურობს „ცრუ საწუთროს“ (გვ. 24, სტრ. 17), რომელიც „მტყუანი არს და უპიროო“ (543), „მატყუარა“ და „ფლიდი“ (567), „ქცევადი, მობრუნავია, წამს მყუდრო ქაზი აქროლის, წუთზე დამუსროს ნავია“ (549).

საწუთროს „სიმუხთლე“ და „გაუტანლობა“ დიდი პოეტური ძალით აქვს გამობატული გურამიშვილს ლექსში „გოდება დავითისა, საწუთროს სოფლის გამო ტირილი“, რომლის ყოველ ტაეპს მოსდევს რეფრენი „ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო“. მაგრამ, არჩილის მსგავსად გურამიშვილიც, უწინარეს ყოვლისა, ადამიანს ადანაშაულებს იმაში, რომ საწუთრო „სად კაცს არ უნდა, წაიყვანს, ყელზე. საბელი აბია“ (556).

საქმე ისაა, რომ დავითიც ადამიანის ბუნებაზე დაახლოებით იმავე შეხედულებისაა, რომელიც, როგორც არჩილის შემოქმედების განხილვასთან დაკავშირებით გვაქვს აღნიშნული, პიკო დელა მირანდოლამ ჩამოაყალიბა ნაშრომში „ადამიანის ღირსებაზე“ და გოეთესაც გზიარებული აქვს „ფაუსტის“ პროლოგში. სახელდობრ, ადამიანს მომადლებული აქვს უნარი ამაღლდეს „ღვთაების მსგავს არსებამდე“, მაგრამ იმის „შესაძლებლობაც აქვს — დაეცეს ცხოველის“ დონემდე და ეს „ამაღლებაც“ და „დაცემაც“ ადამიანზეა დამოკიდებული.

გურამიშვილიც, რომლის მიხედვით —

ღმერთმან ქვეყნად რაც მოჰფინა, ყველა ჩვენთვის განაჩინა;
თვალ-მარგალიტი, ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, თუ ქვა და რკინა;
ჰოც ჩვენთვის ამუშავა, უიჰნაური აპარკინა

(სტრ. 141) —

თვლის, რომ ადამიანი საწუთროს მეფედ არის გაჩენილი და თუ ამჟამად მონურად დამორჩილებია მას, მხოლოდ იმიტომ, რომ, სწორ გზას აცდენილი, „ცხოველის დონემდე“ დაშვებულია.

კაცის „უმზგავსი საუბრით“ შეშფოთებული, „ღვთისგან შემკობილი“ საწუთროს შეკითხვაზე — „აწ რას გიშავებ, რადა მგმობ პირითა საგმობართა? (გვ. 171, სტრ. 7) — კაცი პასუხობს —

...ღმერთმან დამბადა თავის მზგავსებით მეფედო,
მე შენი თავი უმად მომცა, მოსამსახურედ, სეფედო,
შენ მტრად შემექენ, არ მინდობ, შემენხარ სისხლის მჩქეფედო.

(იქვე, სტრ. 8).

და საწუთროც ეთანხმება მას — „რაც ბრძანეთ, სულ მართალიაო“ (იქვე, სტრ. 9). მაგრამ ამაში თავად კაცს სდებს ბრალს, „თვალ-გულ-ხარბ, ანგარ, მუცელ გაუძლომელ“ (იქვე, სტრ. 10) ადამიანს, რომელიც მდაბალ ენებებს აპყოლია და „ვერა ხელმწიფობს, როგორც რომ სამართალია“ (იქვე, სტრ. 9). საწუთრო ასე მიმართავს კაცს —

წინ არ იხედავ. არ შინჯავ. გზას კარგია თუ ანა.
ქვას ფეხს წ. მოკრავ. წაგ-ქვეუ, ჩემი რა დანაშაუა?
(გვ. 172. სტრ. 14).

მერე შეაგონებს —

არ ასცილდების დაცემა უფრხოილოდ გზაზე მარბნა.
უზომოთ ბევრის მკამელსა სინამდროთ ველს იასმარებნა.
მე კეთილად ვარ ნაზაუ, ვინც ზომით მომიხმარებნა;
მიათვის ვარ ავი უძღებად, ვინც საემარს არ იცმარებნა.
(ჩქევ, სტრ. 15).

ბოლოს კი აფრთხილებს —

მეფე ბრძანდებით, თვალდებით ნუ შერებით აეს სამართალსა.
გაფთხილდით, ხნარცეს არ ჩაეარდეთ, ბრძნად გარდაელდებდეთ გზას
თვალსა (გვ. 174. სტრ. 30).

და კაციც იძულებულია „ხმალი ქარქაშში“ ჩაავოს და „თავმდაბლად“
ბოდიში მოუხადოს საწუთროს.

იმის უცილებელ პირობად, რომ კაცი არ იყოს „თვალ-გულ ხარ-
ბი“ და „ანგარი“, არ „შერებოდეს აეს სამართალს“ და „ბრძნად გარ-
დავლებდეს გზას თვალსა“, გურამიშვილი, — რომელსაც სულხან-საბა
ორბელიანის მსგავსად „უცობა“ ქვეყნის დაკნინების ერთ მთავარ მი-
ზეზად მიუჩნევია, — სწავლა-განათლებას, ცოდნას აღიარებს, რადგან,
მისი ღრმა რწმენით, „კეკა ცოდნით მოიხმარების“ (სტრ. 30), „ჰგავს
უხორთუმო სპილოსა კეკიანი კაცი ბრიყვია“ და დაბეჯითებით რომ
ამბობს „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელიო“ (32),
ცოდნის, როგორც სიბრძნის წყაროს მთავარ სიკეთედ „ნდომის“ გონე-
ბისათვის დამორჩილებას თელის, რასაც იგი ადამიანის ზნეობრივი
სრულყოფის ბალავრდაც წარმოიდგენს. ხოლო „ნდომის“ გონებისათ-
ვის დამორჩილებისა და მის ნიადაგზე ადამიანის ზნეობრივი განწმენ-
დისა და გონებრივი სრულყოფისათვის ეს ზრუნვა, რაც გურამიშვილის
დიდაქტიკის საფუძველთა საფუძველია, XVII—XVIII საუკუნეების
ევროპული კლასიციტიურ-განმანათლებლური მწერლობის უმნიშვნელო-
ვანეს პრობლემასაც წარმოადგენს. სწორედ ეს არის მთავარი და არა
ის, რომ დიდაქტიკურ ნააზრევში გურამიშვილისა, — რომელსაც არჩი-
ლის, ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანისა და სხვ. სახით ამ მიმარ-
თულებითაც ჰყავს აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში წინამორ-
ბედები, გვხვდება ცალკეული 'კონკრეტული რჩევა-დარიგებანი, რომელ-
თა წყარო, როგორც ასაბუთებენ, უნდა იყოს რუსული მწერლობის
ძველი „დომოსტროი“, ალექსანდრე არჩილის ძის მიერ რუსულიდან თა-
რგმნილი და 1739 წელს გამოცემული „ტესტამენტი ალექსანდრე მაკე-
ლონელისა“, ან ბაქარ ბატონიშვილის ბრძანებით 1748 წელს რუსული-

დან თარგმნილი „იკონომია“, რომელიც, თავის მხრივ, ფრანგულიდან იყო თარგმნილი¹¹⁹.

გურამიშვილი, რომელიც გ. ქიქოძის შენიშვნისამებრ, თუმცა „არსად მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებლებს და ენციკლოპედისტებს არ ასახელებს, მაგრამ... იმოწმებს მათ შორეულ წინაპარს, ბერძენ ფილოსოფოს ეპიკურს, როგორც გონების აპოლოგეტს, როგორც ვნებათა ღელვის დათრგუნვის მქადაგებელს“¹²⁰, თავად გვევლინება „ნდომის“ დათრგუნვისა და გონებისათვის მისი დამორჩილების მალაღებლად. პოეტის აზრით,

ჰკვის უკეთესი საქონლად არა რა საქონელია,
მაგრამ თუ ნდომა გულს აბრძობს, არ ადვილ საშოვნელია (65)

ნდომა ბნელს ნათლად აჩვენებს. დანაბრძობს ნათლად მხედველსა;
ნდომა მხრდალს გახდის მამაცად, შეპბედავს ძნელს საბედველსა;
ნდომა სხვს სწავლას მიიყრავს ეგრეთ. ვათ ცერცვი კედელსა!
ნდომა მიიყვანს მიმყოლსა შესარცხვენს, წარსაწყებელსა (67).

(ხაზგასმა ყველგან ჩემია. — ლ. ლ.).

„დავითიანის“ მიხედვით, „ნდომის“ აყოლის შედეგია წნეობაშერყეულ თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებული გულზნეიადობა, უკიდურესი თავკერძობა და ანგარება, რომელთა ალაგმვა ადამიანის ადამიანად ქმნის გარდუვალთ პირობაა, ხოლო ამ მალალი მიზნის განხორციელების გზას სწავლა-განათლება და საზოგადოების ზნეობრივი აღზრდა წარმოადგენს.

ამ მიმართულებით გურამიშვილის შეხედულებათა მსგავსება გამანათლებლებთან უდაოა. გამანათლებლებიც თანამედროვე საზოგადოების გარდაქმნის აუცილებელ პირობად, უწინარეს ყოვლისა, სწავლა-განათლებას და აღზრდას მიიჩნევდნენ. აქ ზედმეტი არ იქნება მოვიგო-

119 არჩილის. ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის დიდაქტიური შეხედულებების ურთიერთდამოკიდებულება სათანადოდ არის გაკვეთილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. ქ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობა, ტ. II, 1952, გვ. 534-36, ქ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 430, აგრეთვე ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის გამოცემა, გვ. XVII. უცხოურ წყაროებზე კი — ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1941, გვ. 597, ტრ. რუხაძე, დავითიანის ლიტერატურული წყაროებისათვის, ა. ს. პუშკინის სახელობის სამსწავლებლო ინსტიტუტის ტროშკები, III, 1943., გვ. 227—295, აგრეთვე ს. ხუციშვილის მიერ შედგენილი ნ. ტატიშვილის ლიტერატურული ნარკვევები, 1965, გვ. 13—15).

120 გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. I, ლიტერატურული წერილები და პორტრეტები, თბილისი, 1963, გვ. 60.

ნოთ ფრიდრიხ შილერი, რომელსაც თავისდროინდელ საზოგადოებაში, — სადაც სარგებლიანობა ქცეულა დროის კერპად და უკიდურეს ეგოიზმს ჩაუხშვია უკეთილშობილესი გრძნობები, — ფუქ ოცნებად წარმოუდგენია იმის მიღწევა, რომ „ადამიანს, ბოლოს და ბოლოს, პატივი ვცეთ, როგორც „თვითმიზანს“ და „კემშარიტი თავისუფლება დაეუდოთ საფუძვლად პოლიტიკურ გაერთიანებას“¹²¹. ამის განხორციელებას „კაცობრიობის ადვოკატი“ მომავალში თვლიდა შესაძლებლად, მხოლოდ მის შემდეგ, როცა ამყამად „ნდომას“ დამორჩილებული და ამის გამო „თავისი მონის მონად!“¹²². ქცეული ადამიანი მდაბალ ვნებათა დათრგუნვის გზით კვლავ დაიბრუნებდა ბუნებაზე მეუფეობას. ამის აუცილებელ პირობად კი შილერს კაცობრიობის ზნეობრივი აღზრდა და მისი განათლება მიაჩნდა, რადგან „განათლებული ადამიანი ბუნებას უმეგობრდება, პატივს სცემს მის თავისუფლებას“, მაგრამ „მის თვითნებობას ლაგმავს“¹²³.

შილერის ამ მსჯელობასა და „საწუთროსთან“ „კაცის“ დამოკიდებულებაზე ზემოთ განხილულ გურამიშვილისეულ შეხედულებათა მსგავსება აშკარა არის, ორივეს აზრით, საწუთროს მეუფედ მოვლენილ, მაგრამ ამყამად „თავის მონის მონად“ ქცეულ ადამიანს მხოლოდ ზნეობრივი და გონებრივი სრულყოფის გზით შეუძლია დაიბრუნოს კვლავ მეუფეობა.

ცხადია, შილერისა და გურამიშვილის ამ უტოპიურ შეხედულებათა ტიპოლოგიური მსგავსების მიღმა შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავებაც. აქ იგულისხმება არა ის, რომ, მიუხედავად XVIII საუკუნის ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრი სხვადასხვაობისა, — რამაც განაპირობა ამ ქვეყნების განმანათლებელთა ამოცანების სხვადასხვაობაც, — მათ აერთიანებდათ ფეოდალიზმის, ან მისი ჭერ კიდევ ძლიერი გადანაშთების წინააღმდეგ შეურთგებელი ბრძოლა, რაც ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებათა მხილებასთან ერთად შილერის შემოქმედების პათოსსაც წარმოადგენდა; ხოლო აბსოლუტიზმის მომხრე გურამიშვილი, რომელიც, როგორც არაერთგზის აღნიშნულა, სამშობლოს სავალალო მდგომარეობას პარტიკულარიზმის, თავკერძობისა და ანგარების შედეგად წარმოშობილი შინაური მტრობით, ურთიერთშუღლით, გაუტანლობით და მნიშვნელოვანწილად ამით განპირობებული გარეშე მტერთა განუწყვეტელი თარეშებით რომ ხსნიდა, მიუკერძოებლად კი ამხელდა „ქართლის ქირის“

121 ფრიდრიხ შილერი, რჩული თხზულებანი სამ ტომად. დ. ლაშქარაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1965, ტ. III, გვ. 493.

122 იქვე, გვ. 492.

123 იქვე.

მიზეზს, მაგრამ ამ მიზეზის მიზეზთა-მიზეზის — ფეოდალური საზოგადოების არსებობას კანონიერად მიიჩნევდა. ეს მთავარი, პრინციპული განსხვავებაა „დავითიანის“ ავტორსა და XVIII საუკუნის განმანათლებლებს შორის. მაგრამ ამ შემთხვევაში, შილერთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს „ვაიმარული კლასიციზმის“ დიდი წარმომადგენლისა და დავით გურამიშვილის შეხედულებათა სხვაობაც ადამიანის აღზრდასა და ამ გზით საზოგადოების გარდაქმნაზე ტიპოლოგიურად მსგავს შეხედულებათა შორის.

შილერი, რომელიც სულაც არ უარყოფდა იმ აზრს, რომ „ხელოვნება გართობას და დასვენებას უნდა ემსახურებოდეს“, გამანათლებელთა დიდი უმრავლესობის შეხედულებისამებრ, მის საგანგებო დანიშნულებად „ადამიანის ზნეობრივ გაკეთილშობილებას“¹²⁴ მიიჩნევდა და განსაკუთრებით აღნიშნავდა ხელოვნების, კერძოდ, პოეზიის კეთილმოყვევი ზემოქმედების ძალას და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნელ უნარს.

პოეზიის ასეთივე გაგება ანიჭებს გურამიშვილის „დავითიანს“ ცხოველმყოფელობას და გამსჭვალავს მას დიდი მოქალაქეობრივი პათოსით. ქართველი პოეტი, რუსთაველის კვალდაკვალ, პოეზიას სიბრძნის დარგად რომ თვლიდა, უწინარეს ყოვლისა, მის სპეციფიკას — ესთეტიკური ტკობისა და ადამიანის ემოციებზე ზემოქმედების უნარს ითვალისწინებდა, როგორც საზოგადოების აღზრდის ერთ-ერთ უტყუარ გზას, რასაც ადასტურებს „ქაცვია მწყემსში“, მამის სიტყვები —

მე ლექსად სიტყვებს ამაღ ვაწყობდი,
უფრო ტკბილად ჩნდა, ამას ვატყობდი,
არ მაქვნდა იმედი შენ ამაღ ისმენდი მოუწყენელად.
(გვ. 248, სტრ. 488).

პოეზიის ამ მაღალი დანიშნულების შეგნებით არის შეთხზული მთელი „დავითიანი“, რომლის შესავალში გურამიშვილი წერს —

ამისთვის მე არ შეესძქვე, რაც დაერგე იგავთ ხე ველად,
უფრო ადვილად ავღლიან ზედ ყრმანი დასარხხველად (3).

ასე რომ, პოეზიის მაღალი დანიშნულების, მისი დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის გაგების თვალსაზრისითაც, გურამიშვილის შეხედულება არსებითად ენათესავება, საერთოდ, გამანათლებლების და, კერძოდ, შილერის შეხედულებას.

მაგრამ თუ ვაიმარული კლასიციზმის წარმომადგენელი წინააღმდეგობით დაფლეთილი თანამედროვე საზოგადოების პარამონიული გან-

¹²⁴ ფ რ ი დ რ ი ს შ ი ლ ე რ ი, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, დ. ლაშქარაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1965, ტ. III, გვ. 658.

ვითარებისა და მისი ზნეობრივი სრულყოფის წყაროდ „თაობათა და დროებათა გახრწნილებისაგან შეურყენელ“¹²⁵ საბერძნეთს მიიჩნევდა. დავით გურამიშვილი ასეთად ქრისტიანულ სარწმუნოებას წარმოიდგენდა.

შილერი, რომელიც გადაჭრით ამბობდა — „მე არ ვისურვებდი სხვა საუკუნეში მეცხოვრა და სხვისთვის კი დავმშვრალიყავ. ყოველი მოქალაქე თავისი დროის მოქალაქეა, ისევე როგორც თავისი სახელმწიფოსი“¹²⁶ და თანამოკალმეებს მიმართავდა: „იცხოვრე შენს საუკუნესთან ერთად, მაგრამ მისი ქმნილება ნუ იქნები; ემსახურე თანამედროვეებს, მაგრამ იმით, რაც სჭირდებათ, და არა იმით, რასაც აქებენ“¹²⁷ — ადამიანის ზნეობრივი აღზრდის საფუძვლად ესთეტიკურ აღზრდას რაცხდა და აღმზრდელის როლს ხელოვანს ანიჭებდა. მაგრამ, „ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ წერილების ავტორის აზრით, ამ მაღალ მოწოდებას ხელოვანი მაშინ შეასრულებს, თუ იგი — თავისი „ეპოქის პირმშო“ — მისი „ნებიერი შეგირდიც“ არ იქნება. ამიტომაც მოუწოდებდა „საბერძნეთის ღმერთების“ შემთხზველი ხელოვანს — „საბერძნეთის ცის ქვეშ“ „დაფუკაცებულებო“, მაგრამ არა იმისთვის, რომ იქ დარჩენილებო, არამედ იმისთვის, რომ „უკეთესი ეპოქის რძით გამოკვებულნი“ თავის საუკუნეს დაბრუნებოდა და განეწმინდა იგი. „ხელოვანი, — წერდა შილერი, — მართალია, ეპოქის პირმშოა, მაგრამ ვაი მას, თუ ამავე დროს მისი შეგირდიც არის და თანაც ნებიერი შეგირდი. დაე ქველმოქმედმა ღვთაებამ დროულად მოაშოროს ძუძუთა ბალღი დედის მკერდს, უკეთესი ეპოქის რძით გამოკვებოს და საბერძნეთის შორეული ზეცის ქვეშ აცალოს დაფუკაცება. ხოლო როდესაც დაფუკაცდება, აი მაშინ დაე დაბრუნდეს თავის საუკუნეში, როგორც უცხო ხატება, მაგრამ არა იმისთვის, რომ გაართოს თავისი გამოჩენით, არამედ პრისხანედ, ვითარცა აგამემნონის ვაჟმა, გასწმინდოს იგი“¹²⁸.

ხოლო გურამიშვილი „ღვთის მცნების“ უარყოფის შედეგად დაცემული ადამიანის ზნეობრივი ამადლების საშუალებად, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა და აღზრდას „კაცი-სა“, ბრძენს რომ ავალებდა —

აჲ ბრძენი უნდა სოფელში, ეგრეთ ვით წმინდა ბერია.
ცხოვრობდეს, ერთ ასწაელიდეს, გახადოს შეცნოერა (49),

125 ფ რ ი დ რ ი ხ შ ი ლ ე რ ი, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, დ. ლაშქარაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1965, ტ. III, გვ. 508.

126 ი ქ ე ე, გვ. 485.

127 ი ქ ე ე, გვ. 510.

128 ი ქ ე ე, გვ. 508.

თავად ადამიანს ქრისტეს პირით ამას ურჩევდა —

ჩემს სახლამდის მოაწიო, ამდენს ეცადეო.
რაც მაწუხნე, მისი შიშხარ: გცოდე, შემინდო,
ნუ გულ-მხურელად ეს ბოლოში შენ მიხადო,
მერე შენი განსვენება ჩემზედ მოაგდო.
თუ ერთარ გაგაყმაწვილო. აღარ დაბერდო,
არა გაქენდეს რა საჯავრო, სულ იხარებდო

(გვ. 128, სტრ. 40—42).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარწმუნოების ზნეობრივი აღზრდის საფუძვლად აღიარება სულაც არ აპირისპირებს გურამიშვილს საერთოდ განმანათლებლებთან. თავი რომ დავანებოთ გამანათლებელთა ყველაზე მემარცხენე ფრთის წარმომადგენელ ჟან-ჟაკ რუსოს, რომელიც 1756 წლის 18 აგვისტოს წერილში ვოლტერისადმი აღნიშნავდა: ერთი წუთითაც ვერ შევიტან ექვს სულის უკვდავებისა და განგების სიკეთეზეო, — გოეთე, როგორც ზემოთ ითქვა, ქრისტეს უმაღლესი ზნეობრივი პრინციპის ღვთაებრივ განცხადებად თვლიდა, ხოლო ვოლტერი — ეკლესიურ-ქრისტიანული დოგმატიზმის შეურთიგებელი მტერი — ამბობდა, რომ არ ყოფილაყო ღმერთი, უნდა გამოგვეგონებინა, თუკი ღმერთის რწმენა თუნდაც ერთ კაცს ააცდენდა ბოროტების გზასო.

დავით გურამიშვილის შემოქმედებაში მრავალმხრივ საყურადღებოა „მხიარული ზაფხული“, ამქვეყნიური ცხოვრების სიხარულისა და სიცოცხლისადმი მძლეუთა მძლე ტრფობის გამომხატველი პოემა. სადაც „ზურმუხტის ტახტზე დამჯდარ ზაფხულს“ (გვ. 184, სტრ. 32) იმიტომ უმღერის დიდი პოეტი, რომ იგი სიცოცხლის მარად განახლების სიმბოლოდ აქვს წარმოდგენილი.

ერთი მნიშვნელოვანი მოტივი „ქაცვია მწყემსის“ სახელწოდებით ცნობილი ამ პოემისა, — რომლის წყაროდ გურამიშვილი უკრაინული „ვესელა ვესნას“ „ხმას“ ასახელებს — არის ზამთარ-ზაფხულის ბრძოლა და ზაფხულის „გამარჯვებით“ გამოწვეული ზეიმი ბუნებისა და ადამიანისა¹²⁹.

129 ზაფხულისა და ზამთრის ბრძოლის მოტივი და ზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით ბუნების ზეიმი, რამდენადაც ცნობილია, თითქმის ყველა ხალხის ფოლკლორშია გავრცელებული: რუსულ „ვესნიანიკებში“, ბელორუსულ და უკრაინულ ზაფხულის საწესჩევულებო სიმღერებსა და ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ, ინგლისურ ხალხურ პოეზიაში ზაფხულის წარმატებულ სურათებსა და ბუნების გაღვივებასთან ერთად მღვდარ-მამრის ურთიერთტრფობის ამსახველ სიმღერებთან ტიპოლოგიურად ბევრი რამ აქვს საერთო „მხიარულ ზაფხულს“. ეს მოტივი უძველეს დროიდანვე იყო გავრცელებული მწერლობაშიც. აქ კარლოს დიდის დროინდელ მოაზროვნისა და პეტრის ალექსინის (დაახ. 730—804) „გაზაფხულისა და ზამთრის გაკამათებასა“ და ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდეს (დაახ. 1160—1230) „ლექ-

გურამიშვილი შექპარის ზაფხულს, რომელმაც „ზამთრით გაც...
ვილნი, შიშველ-ტიტველნი ახლით დამოსა, გაჰხადა ძველნი“ (გვ. 183.
სტრ. 34) და „ტანთ ჩანაცვა მწვანე კაბანი“ (გვ. 185, სტრ. 35) და რო-
ცა ათასფრად მორთულ და სიცოცხლის სიხარულით ამღერებულ ბუ-
ნებაში —

მზგავსად-მზგავსადმან იპონა ტოლი,

ყველამ დანერბა თავისი ცოლი.

გამოვიდა დოლი,

გაიზარდა მოლი,

ხეთა ფოთოლი.

(გვ. 185, სტრ. 38).

აქვე აღვნიშნავთ, რომ თუ გურამიშვილის პოეზიაზე საერთოდ ითქ-
მის მისი „ლექსის რიტმული ძალა, მისი მუსიკალური ამღერება“, „სი-
ცოცხლის სიხარულის მომასწავებელიაო“¹³⁰ —ეს, უწინარეს ყოვლისა,
„მხიარულ ზაფხულს“ შეეხება. ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ
„მხიარული ზაფხული“ სრულიად თავისუფალი არის აღმოსავლური
პოეზიის გავლენით ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული „ფიგურა-
ლი“ გამოთქმისაგან, რაც ი. ქავჭავაძეს „ევეროპეიზმის“ ერთ მთავარ
ნიშნად მიაჩნდა და რის გამოც იგი დავით გურამიშვილს „მაგ ევეროპე-
იზმის“ შემომტანად, თვლიდა „ქართული ლექსის გამოთქმაში“.

მაგრამ ქართული ლიტერატურის „ევეროპეიზმის“ თვალსაზრისით
„მხიარული ზაფხულის“ საგანგებო მნიშვნელობა ის არის, რომ იგი წა-
რმოადგენს ქართულ ენაზე „პირველ საყოფაცხოვრებო პოემას“¹³¹, რო-
მელშიც ზღაპრულ-ფანტასტიკური, მიჯნურობით გახლებული და ვე-
ლად გაჭრილი გმირების ნაცვლად მთავარ დადებით მოქმედ პირებად,
მაღალზნეობრივი პრინციპების მატარებლად და დამკველად გამოყვა-
ნილია უბრალო ხალხი, გლეხობა. ხოლო, როგორც ცნობილია, მეთე-
რამეტე საუკუნის პროგრესული მხატვრული ლიტერატურის ერთი ძი-
რითადი განმასხვავებელი ნიშანი წინა საუკუნეების მწერლობისაგან
ისაა, რომ „გამანათლებლებმა შემოიყვანეს ლიტერატურაში ახალი გმ-
რი, მღაბიო ხალხი, როგორც დადებითი სახე. მათ უმღერეს და დიდებით
შემოსეს მისი შრომა, მისი მორალი, თანაგრძნობით და გულში ჩამწე-

სებთან ერთად (ვალტერის ლექსებიდან განსაკუთრებით საგულისხმოა „ცაცხვას
ქვეშ“), აღსანიშნავია შექპარის „სიზმარი ზაფხულის დამეს“, ნ. ოსტროვკას „სნე-
გუროჩკა“, ლესია უკრაინკას დრამა-ფერია „ტყის სიმღერა“ და სხვ. (უფრო დანუ-
რილებით იხ. გ. ნატროშვილი. წინაპარნი და თანამედროვენი, 1961, გვ. 68—74).

¹³⁰ ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. II, 1966, გვ. 579.

¹³¹ ქ. ქავჭავაძის ძე, აღ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტო-
რია, 1969, გვ. 423.

დომად გამოხატეს მისი ვენებანი¹³². და თუ მაქსიმ გორკი დანიელ დე-ფოსა და ჰენრი ფილდინგის დიდ. დამსახურებად იმას თვლიდა, რომ ინგლისური განმანათლებლური ლიტერატურის სახელგანთქმულ წარმომადგენელთა ნაწარმოებებში ნაჩვენები იყო „მშვენიერება საყოველ-დღეო ცხოვრებისა“ და „მკითხველი განცვიფრებული იყო წიგნის ცხოვრებასთან სიახლოვით“¹³³, „აღორძინების ხანის“ ქართულ პოეზიაში ეს ითქმის სწორედ დავით გურამიშვილის „მხიარულ ზაფხულზე“, რომელიც ჩვენი მწერლობის ერთი უბრწყინვალესი ძეგლია.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს საბუთს დაბეჭდვით გავიმეოროთ, რომ დავით გურამიშვილმა არა მარტო „ქართული ლექსის გამოთქმაში“ „შემოიტანა ევროპეიზმი“, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ახალი თემატიკით, ან აღრიდანვე ნაცნობი მოტივების ახალი ხედვით დამუშავების გზით გაუკაფა გზა ევროპულ ლიტერატურულ გემოვნებას ქართულ მწერლობაში.

პოეზიის დემოკრატიზაცია, მდაბიო ხალხის, კერძოდ, გლეხობის დადებით გმირად ლიტერატურაში შემოყვანა, „მართლის თქმის“ ახლებური გაგება — სინამდვილიდან ფოტოგრაფიული ასლის გადმოღების ნაცვლად ემპირული მასალის განზოგადოების საფუძველზე მისი მხატვრული ასახვა, საზოგადოებრივ მანკიერებათა მხილება და პოეზიის მაღალი დანიშნულების, მისი გარდამქმნელი ზემოქმედების შეგნება, რაც აშკარად გამოხატავს „დავითიანის“ გამანათლებლურ ტენდენციებს და განაპირობებს მის ღრმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პათოსს, წარმოგვიდგენს დავით გურამიშვილს მებრძოლ პოეტად, ევროპეიზმის ერთ-ერთ პირველ მედროშედ და ახალი ქართული ლიტერატურის საამაყო წინაპრად.



რუსულ-ევროპული პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაცია, რომელსაც საქართველოში ადრე შუასაუკუნეებიდან დაწყებული ყოველთვის ჰყავდა მომხრენი, შესამჩნევად გაძლიერდა XVII ს. მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი XVIII საუკუნეში, როცა თურქეთისა და სპარსეთის ხშირი თავდასხმებისა და მუდმივი მუქარის ობიექტად ქცეული საქართველო, საგარეო პოლიტიკის ვართულეების პირობებში, დახმარებისათვის ერთმორწმუნე რუსეთს მიმართავდა უმთავრესად, ხოლო ქართველი ხალხის მესვეურნი აღმოსავლელ მეზობლებთან უკიდურესად გამწვავებული დამოკიდებულების უამს იმავე რუსეთში პოულობდნენ

132 С. Д. Артаманов и З. Т. Гражданская, История зарубежной литературы XVIII в. Москва, 1960, стр. 7.

133 М. Горький, История русской литературы, М., 1929, стр. 39.

თავშესაფარს და ამით აღწევდნენ თავს განროხებული შაჰის თუ ხონთაქარის სისხლიან შურისძიებას. სწორედ რუსეთს შეაფარეს თავი არჩილ მეფემ და ვახტანგ მეექვსემ. სადაც თავიანთ მხლებლებთან ერთად, სამშობლოში დაწყებულ მეცნიერულ-ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად საფუძვლიანად სწავლობდნენ რუსულ ლიტერატურასაც. რომელიც ალ. კალანდაძის აღნიშვნისამებრ, „წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით ლიტერატურული კომუნიკაციის მთავარ წყაროდ იქცა“¹³⁴ და ძირითადად, რუსული მწერლობის გზით გაეცნენ ევროპულ მეცნიერებასა და ლიტერატურას.

საკუთრივ საქართველოსათვის ეს ემიგრაცია, განსაკუთრებით ვახტანგის გადახეწა რუსეთში, როგორც აღნიშნულია ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში, მეტად მძიმე დანაკლისი იყო. საქმე ისაა, რომ „ვახტანგ მეფეს ემიგრაციაში თან გაჰყვა მის სახელმწიფოებრივს თუ კულტურულ შემოქმედებაში თანამშრომელთა დიდი დასი. ამით ქართლი ერთბაშად დაიკალა მოწინავე გონებრივ მუშაკთაგან და ქვეყანაში დიდი ხნით შეწყდა აგრე გაცხოველებული კულტურული მოღვაწეობა“¹³⁵. მართალია, ემიგრირებული ქართველები იქ განაგრძობდნენ, და წარმატებითაც, მეცნიერულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას, მაგრამ მათი ეს საქმიანობა საქართველოს მცირედ რგებდა, მათი ნამუშავევი სამშობლოში მცირედ აღწევდა და აქ კულტურული მოღვაწეობის მოღუენების გამო ვერც სათანადო გამოძახილს კპოულობდა“¹³⁶.

ასეთი იყო ვითარება კულტურულ-შემოქმედებით სფეროში, როცა პოლიტიკურად დაქუცმაცებულ, გარეშე მტერთაგან შევიწროებულ და ეკონომიურად დაკნინებულ ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ერეკლე მეორე, რომელიც ჭერ მამასთან — თეიმურაზ მეორესთან, ხოლო თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ — 1762 წლიდან — ერთპიროვნულად მართავდა ქართლ-კახეთს.

ერეკლე მეორემ, — რომელიც არაფრისაკენ ისე არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ¹³⁷, — მტკიცედ მოჰკიდა ხელი ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ აღორძინებას.

შორსმჭვრეტელი ერეკლე მეორე, ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების საშურ წყაროდ მეცნიერებოსა და ტექნიკის განვითარებას

134 ალ. კალანდაძე, ლიტერატურული ნარკვევები, 1972, გვ. 12.

135 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჭავჭავაძის შვილი, ს. ჭანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი პირველი, 1946, გვ. 373.

136 იქვე, გვ. 373.

137 Картина Грузии и описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, сделанное ' пребывающим при его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклией Теймуразовиче, полковником и кавалером Бурнашевым в Тифлисе в 1786 г., Тифлис, 1896 г., стр. 10.

რომ მიიჩნევდა, კარგად ხედავდა ამ მხრივ საქართველოს ჩამორჩენას და მდგომარეობის ნაწილობრივ მაინც გამოსასწორებლად თუ, ერთი მხრივ, უცხოელი სპეციალისტების მოზიდვას ცდილობდა, მეორე მხრივ, მეცნიერების სხვადასხვა დარგის დასაუფლებლად ქართველ ახალგაზრდებს აგზავნიდა რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ ამ გზით საბოლოოდ ქვეყანა ჩამორჩენილობას თავს ვერ დააღწევდა, ვერ გამრავლდებოდნენ საქართველოში „კაცნი მეცნიერნი, ბრძენნი და ხელოვანნი“ თუ არ გაუმჯობესდებოდა საერთო სახალხო განათლების საქმე და მეფეც დიდი მზრუნველობით ეკიდება განათლების დარგს, რომელსაც სათავეში ჩაუყენა ანტონ კათალიკოსი, XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი, მრავალმხრივ განათლებული, უშრეტო ენერჯიის მოღვაწე, ვინც ერეკლე მეორეს უერთგულესი თანამებრძოლი, მისი დიდი მიზნების თანაზიარი და ბევრი მათგანის ინიციატორიც იყო. სწორედ ერეკლეს დროს დაარსდა სემინარიებთბილისსა (1756) და თელავში (1782), რომლის კარები ღია იყო ყველა წოდებისთვის, და გაიზარდა რიცხვიც პირველდაწყებითი სკოლებისა. მაგრამ უმთავრესი მაინც ის იყო, რომ განათლების საქმე ამ პერიოდში მტკიცე სახელმწიფოებრივ საფუძველზე დადგა.

გაიოზ რექტორი, თავისი დროისათვის ღრმად განათლებული კაცი, რომელიც რუსულ ენასთან ერთად, მშვენივრად ფლობდა თურქმე ევროპულ ენებსაც და წარმატებით თარგმნიდა ქართულ ენაზე განმანათლებელთა ნაწარმოებებსაც, დოსითეოზ ჩერქეზიშვილისადმი მიმართულ სიტყვაში ქართლ-კახეთის მეფეს „საქართველოსა შინა მეცნიერებითისა, ოქროსა საუკუნოისა შემოყვანისათვის“ რომ განადიდებდა, 1782 წ. თელავის სემინარიის გახსნასთან დაკავშირებით თავის გამოსვლაში აღნიშნავდა — „უძლეველისა ამისა მეფისა ჩვენისა ირაკლის“ მოღვაწეობის შედეგია „აწ განახლებულნი სოფელნი და დაბანი და ქალაქნი და ერთა სიმრავლენიო“¹³⁸ და ერეკლესა და ანტონის განსაკუთრებულ დამსახურებად განათლების დარგის აყვავებას აღიარებდა. „არ არს იჴვე იმასა შინა, — ამბობდა გაიოზ რექტორი, — ვითარმედ კეთილი ზრდილობა და კეთილი ჩვეულება კაცობრივისა ნათესავისა დამოკიდებულ არს ჴემმარიტებითა მეცნიერებასა ზედა. მაშა და უკეთუ სწავლანი მეცნიერებითნი (რომელნიცა აღანთებენ გონებასა შინა სანთელსა მაცხადსა ყოვლისა ჴემმარიტებისა) მოაკლდებიან მფარველობასა და გამხრობასა, ცუდ და უსარგებლო იქნებიან მისთვის დიდი სიმრავლენი მოსწავლეთანი და დიდ შვენიერნიცა შენებულებანი, ვინაიდან დაშრტების აღი წადილისა და დანელდების სახმილი კეთილისა

¹³⁸ კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2291-ფ. 5.

შურისა. გარნა პირისპირ ამისა ტრფიალებით მოღვაწეობა მათი და მოწყალებით მიხედვა და შრომისა მათისა მადიდებელი გული აღმახვევს წადილსა მათსა, ახალითა ძალითა აღსკურავს. ესე ვითარსა გარემოებასა ვხედავთ აწ მამულსა ჩვენსა ქმნილისა და ღვაწლისა კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა ერეკლე მეორესაგან. აღსდგნენ მეცნიერებანი, წარმოდგნენ მაღალი გონებანი, განმრავლდნენ მეცნიერებითნი ნათელნი მუნითი, ოდესაცა შრომითა უწმინდესისა მწყემსისა და დიდასკალოსა ჩვენისა მეფის ძის ანტონის მიერ დაიდვენ საფუძველნი ყოველთა ცნობადნი და ამისთვის არა თუ ოდენ უსამღვდელოესნი იგი პირნი მფლობელთა ჩვენთანი, არამედ თვით ძენიცა მამულისა ჩვენისანი არიან მოსწრაფე გავრცობისათვის ამის ძვირფასის საქმისა¹³⁹.

ფეოდალთა თავგასულობის ალაგმვის, ქვეყნის ცენტრალიზაციისა და ერის განათლებისათვის ზრუნვის სფეროში ერეკლეს, ადრე შუასაუკუნეებიდან დაწყებული ვახტანგ მეექვსემდე, მრავალი წინამორბედი ჰყავდა, მაგრამ როგორც აბ. როგავა შენიშნავს, მან, ანტონ კათალიკოსთან ერთად, ეს პრინციპი ეპოქის გაბატონებული სულისკვეთების შესატყვისად საქართველოს „ვერობეიზაციას“ და განათლებული აბსოლუტიზმის იდეას დაუკავშირა¹⁴⁰, რამაც განსაზღვრა კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმავლობის გზაზე დამდგარი ქართული ლიტერატურის ახალი მიმდინარეობა, რომელსაც კ. კეკელიძე „თავისებურ ქართულ კლასიციზმს“ უწოდებს.



მრავალმხრივი და უღარესად ნაყოფიერი მოღვაწეობა ანტონ პირველისა, — რომელიც ბაუმისტერის „ლოგიკის“ თავისეული თარგმნის წინასიტყვაობაში წერდა: „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და ვერ მოვიცალე საქართველონ მსახურებისაგან, ნუშემ მრავალგზის კეთილსაგონებელ მიჩნდის ვითარცა კაცსა და არა კეთილ იყვის, მაგრამ რაიცაღა კეთილ ვგონე მივირიდე შრომასა საზოგადოისთვის მამულისა“¹⁴¹, — მიმართული იყო ქვეყნის პოლიტიკური გაძლიერებისა და ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებისაკენ, რის მტკიცე საფუძველად მას, ისევე როგორც ერეკლესაც, აბსოლუტიზმი და საქართველოს „ვერობეიზაცია“ მიაჩნდა.

139 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი H 2291-ფ. 11.

140 აბ. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი, 1950, გვ. 6.

141 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H 255, გვ. 15.

ერთგული მიმდევარი განათლებული აბსოლუტიზმისა, რომლის შორეულ მოდელად საქართველოში დავით აღმაშენებლის ხანას რაცხნდა, „ყოველი საქართველოსი“ კათალიკოსი „საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელი“ „ღრმა გონებისა“ და „რკინის ნებისყოფის“¹⁴² ანტონ ბაგრატიონი იმიტომაც აღიღებდა ერეკლე მეორეს, იმიტომ თვლიდა მისადმი მიძღვნილ იამბიკოში — მეთვრამეტე საუკუნის ქართული სახოტბო პოეზიის ერთ-ერთ სანიმუშო ძეგლში — ქართლ-კახეთის მეფის ქებას „პირველ შებად“, „ჭირთა დავსებად“ და „ლხინის აღვსებად“, რომ ერეკლეში ხედავდა ქვეყნის მესვეურს, ვინც გაბედულად იწყო „ბნეულთ ამო აღკრება“, ანუ, როგორც აპ. როგავა შენიშნავს, დაშლილ (ბნეულ) ეროვნულ ძალთა სიამოვნებით (ამოთ) გაერთიანება (აღკრება)¹⁴³, რაც ანტონს „წუხილთ გარებად, გონების სრულ ხარებად“¹⁴⁴ დაუსახავს.

საყურადღებოა, რომ აქვე გონების დიდი აპოლოგეტი ერეკლეს მოღვაწეობას ვახტანგ დიდის საქმიანობის გაგრძელებად რომ წარმოიღვეს —

განსჯით ვნახენი ვახტანგ დიდის საქმენი,
ვპსკვრიტე საქმენი გონების განმარენი,
ჭირთ დასაყენი, ქების-სიტყვით საღენი (641) —

საგანგებოდ აღნიშნავს, ერეკლე არისო „ორგზის მახალი წიგნთა საბეჭდავისა“ და იქვე დასძენს — „იმეორეებს საბეჭდავისა ტვიფრვა“. ცხადია, „წიგნთა საბეჭდავისადმი“ — იმ პერიოდში საქართველოში დაწყებული გონებრივ-კულტურული აღორძინების უმნიშვნელოვანესი ბერკეტისადმი — ერეკლეს მზარუნელობაზე ყურადღების ეს განსაკუთრებული გამახვილება აშკარად მოწმობს ანტონ პირველის ღრმა დაინტერესებას საქართველოში სწავლა-განათლების გაგრძელების მდგომარეობით.

ანტონ ბაგრატიონის ჯერ კიდევ სათანადოდ შეუსწავლელი ლიტერატურული მემკვიდრეობისა და მრავალფეროვანი თეორიულ-პრაქტიკული მოღვაწეობის ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ ძნელია გაზიარება შეხედულებისა, რომელიც ქვეყნის გაერთიანების დიდ ქომაგს და სათავადო სისტემის წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრ-

142 A. C. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, М., 1901, стр. 242.

143 აპ. როგავა, ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 12-13.

144 ანტონ ბაგრატიონი, წიგნობისიტყვაობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ. ბარამიძემ, თბილისი, 1972, იამბიკო 640, შემდეგში ყველგან ფრჩხილებში იქნება მითითებული იამბიკოს ნომერი.

ძოლს ქართული ფეოდალური რეაქციის ერთ-ერთ იდეოლოგად აცხადებს, (ეს შეხედულება გამოთქმული აქვს აკად. შალვა ნუცუბიძეს (იხ. შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 22). აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ფილოსოფიის ისტორიის დოქტრინული მკვლევარი ამავე ნაშრომში, ანტონ ბაგრატიონის ფილოსოფიური ხასიათის შრომების დრმა ანალიზის საფუძველზე, მართებულად ამტკიცებს „სპეკალის“ ავტორის პროგრესულ როლს ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში და მას იმ მოღვაწედ რომ წარმოგვიდგენს, ვინც რაციონალისტურ ფილოსოფიას დაწაფებულმა (გვ. 381) „იგრძნო ახალი დრო“ (გვ. 384), აცხადებს: „ანტონის ხელაღებით რეაქციონერად-გამოცხადება არაა გამართლებული არც ისტორიულად, არც ფაქტიურ-ფილოსოფიურად და არც პოლიტიკურად“ (გვ. 382). თვით ეს თავშეკავებული შეხედულებაც კი გამორიცხავს შალვა ნუცუბიძის მიერვე ჩამოყალიბებულ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას], ანდა დებულებისა, რომლის მიხედვით ანტონ კათალიკოსი — ვინც ნებაყოფლობით აიღო ხელი ვახტანგ VI-ის კანონმდებლობით აღიარებულ კათალიკოსისა და მეფის ხელისუფლების თანასწორუფლებიანობაზე, მეფის სახელით ან მისი ხელმოწერით აქვეყნებდა საეკლესიო განკარგულებებს, სამშობლოს კეთილდღეობისა და სახელმწიფოსა და მეფის ხელისუფლების განმტკიცების მაღალ იდეას დაუქვემდებარა ეკლესიის ინტერესები, მეფეს დაუმორჩილა სამონასტრო გლეხები და სამეფო ზაზინას სწირავდა ხოლმე საეკლესიო ქონების მნიშვნელოვან ნაწილს — და მისი სკოლა „სასტიკი ფეოდალურ-კლერიკალური რეაქციის სათავეში იდგა“¹⁴⁵.

პირიქით, ანტონის წინააღმდეგ სწორედ ფეოდალურ-კლერიკალურ-

¹⁴⁵ აკად. კ. კეკელიძე, რომელსაც ეს შეხედულება გამოთქმული აქვს „ძველი ქართული მწერლობის“ II ტომში (1952, გვ. 220). დასახელებული ნაშრომის მეორე ნაწილის შესავალში — „აღორძინების პერიოდის ზოგადი დახასიათება“ — XVI—XVIII სს. ლიტერატურას განიხილავს როგორც შედეგს ფეოდალურ-კლერიკალური რეაქციისა, რომელშიც გვესმის კენესა წყალშემდგარი ფეოდალურ-კლერიკალური საზოგადოების სულისა“ (დასახელებული ნაშრომი, გვ. 220), რაც ავტორის აზრით, გამოხატულია ერთი მხრივ, „სასულიერო მწერლობის პრიმატობის“ აღიარებით, ხოლო მეორე მხრივ, ლიტერატურაში შემოჭრით სიმბოლოზმისა და ალეგორიისა, რომელიც „რელიგიურსა და პატრიოტულ სულისკვეთებაში ეძიებს განსახიერებას“ (იქვე) და უკანასკნელის ნომურად ასახელებს არჩილის, დავით გურამიშვილისა და ვახტანგ VI-ის შემოქმედებას. ამავე დროს, ჭერ ერთი, იქვე შესავალში, აღნიშნული პერიოდი მართებულად არის წარმოდგენილი ქართული მწერლობის აღმავლობის ხანად, როცა „ლიტერატურაში თავი აჩინა გამოცოცხლებიან და წინსვლის უტუარმა ნიშნებმა, გამოცოცხლებას ვამჩნევთ მწერლობას როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. ჩვენს მწერლობაში ახლა იჭრება რუსულ-ევროპული ნაკადი“ (იქვე, გვ. 215) და ხაზგასმით არის აღნიშნული

რი რეაქცია აღსდგა. მან დროებით დაამარცხა კიდეც პროგრესულად მოაზროვნე მღვდელმსახური და სამშობლოდან გაძევებულ ანტონს რუსეთის სინოდის წინაშე მოუხდა თავის გამართლება, რის შემდეგაც ელადიმირის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსად დანიშნული, იქ მოღვაწეობდა (1757—1762), ვიდრე არ გარდაიცვალა თემურაზ მეორე (რომელიც იძულებული ვახდა დაეთმო რეაქციისათვის და ანტონისათვის „აღუხანდა მაღლი მღვდელმსახურებისა“) და ერეკლე მეორემ — ანტონის ქომაგმა და თანამოაზრემ — არ მოიწვია კვლავ საქართველოში.

ამ პერიოდის ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ახალი ნიშნები, საზღვრობი, „ეროვნული მოტივისა და ორიგინალური შემოქმედების გაძლიერება“ (იქვე, გვ. 216). „თემატიკის გაფართოება“ (იქვე). „საუკუნეებით განმტკიცებული ფეოდალურ-რანდული ფანტასტიკის გვერდით... ახალი რეალისტური, თუ შეიძლება ითქვას პირობით, მიმართლება და სტილი“ (იქვე, გვ. 217 ხაზგასმა ყველგან ავტორისა: და სხვ. და მეორეც. ზემოდასახელებულ მწერალთა მოღვაწეობის კონკრეტულად განხილვისას კ. კეკელიძე თავად აღნიშნავს იმ დროს პროგრესულ იდეებს, რომლებიც, მაღალ პატრიოტულ მოტივთან ერთად, მათი შემოქმედების წამყვან ტენდენციად გვევლინება, რისი გეოხებითაც ისინი თამამად შეიძლება ამოუდგენ გვერდში იმ ხანის ევროპისა და რუსეთის მოწინავე მწერლობას.

XVII—XVIII სს. ქართულ მწერლობაზე დაახლოებით ასეთსავე შეხედულებას აწვთარებს გერონტი ქიქოძე. იგი „ირანული ტენდენციის“ წინააღმდეგ ქართულ მწერლობაში „ნაციონალური და რეალისტური“ ოპოზიციის საუკეთესო წარმომადგენლებად“ მართებულად აღიარებს არჩილ მეფეს, იოსებ ტფილელს და დავით გურამიშვილს, რომლებიც „საქართველოს აწმყოსა და წარსულში პოულობენ, როგორც შემოქმედების იმპულსს, ისე სიუჟეტურ მასალას“, იმასაც აღნიშნავს, რომ „მათ შექმნეს ტრავიზმით გამსჭვალული ნაციონალური ეპოსი“ და „ძალიან ენებიანი, ძალიან ადამიანური“ ლიტერატურაო, მაგრამ იქვე აყენებს დებულებას — „გურამიშვილის შემოქმედების გამოკლებით ეს ლიტერატურა ვიწროდ არისტოკრატიულია თავისი თემით და იდეოლოგიით და მოწყვეტილია თავისი დროის მოწინავე კაცობრიობის დიდ იდეურ მოძრაობასო“ (გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, 1958, გვ. 119—120). ნამდვილად კი XVII—XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურის თვით ზოგადი განხილვაც ცხადყოფს, რომ თუნდაც გ. ქიქოძის მიერ დასახელებული არჩილის შემოქმედება სულაც არ არის მოწყვეტილი „მოწინავე კაცობრიობის დიდ იდეურ მოძრაობას“. როგორც არჩილის ლიტერატურული მემკვიდრეობის განხილვისას აღნიშნავდით, მეფე-პოეტის პოეზიას ერთი უმნიშვნელოვანესი მოტივთაგანი ადამიანისა და წუთისოფლის ურთიერთ დამოკიდებულება იყო და თუ მისი მსგავსად წუთისოფლის დაუდგრომლობასა და გაუტანლობაზე პოფმანსევალდაუს, გრიფიუსისა თუ კალდერონის მსგავლობას მოგვაგონებს, ადამიანის ბუნების რაობაზე არჩილისეული წარმოდგენა პიკო დელა მირანდოლას შეხედულების და გოეთეს „ფაუსტში“ გატარებულ კონცეფციას ემთხვევა, რაც მთავარია, არჩილიც ხომ ადამიანის სრულყოფილობის საზომად პირად ღირსებას, პირად დამსახურებას და არა წოდებრივ წარმოშობას მიიჩნევდა, სოციალური უთანასწორობის უსამართლობასაც აღნიშნავდა, მუშაკაცს ქვეყნის ბურჯად რაცხდა და თანამედროვეებს მოუწოდებდა „გლესს ძალი მოაშორეთო“. ხოლო იმ ეპოქაში სოციალური და წოდებრივი უთანასწორობა და დაბალი ფენების მდგომარეობა წარმოადგენდა სწორედ „მოწინავე კაცობრიობის დიდი იდეური მოძრაობის“ მთავარ პირობებს.

ცხადია, „ყოველი საქართველოს“ კათალიკოს-პატრიარქი ღრმად ნორწმუნე კაცი იყო. მართალია, მან პირველმა ქართველ მოაზროვნეთა შორის წამოაყენა დებულება „ფილოსოფიასა შინა აღრეველ ლეთისმეტყველება არა სათანადო არსო“, ჯერ კიდევ „სპეკალში“ გადადგა ნაბიჯი „ფილოსოფიის თეოლოგიის სამსახურისაგან განთავისუფლების ნამართულებით“¹⁴⁶, ხოლო რუსეთში გადასახლების შემდეგ, როცა იგი უფრო დაახლოებით გაეცნო თანამედროვე რუსულ-ევროპულ მეცნიერებასა და ფილოსოფიას, შეეცადა დაეძლია სქოლასტიკური ტრადიცია, რომლის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად იმას თვლიდა, რომ ამ ტრადიციის მიზნდვით ლოგიკა ისწავლებოდა „ღვთისმეტყველურებ და არა ფილოსოფოსურებ“, მაგრამ იგი არ იყო თანამიმდევრული. მისი ცდაც „რელიგიურ-ფილოსოფიურ ფარგლებს არ გასცილებია“ და მისი „განმანათლებლობაც“ „რელიგიურ იდეოლოგიასთან აშკარა შემარიგებლობით ხასიათდება“¹⁴⁷

ღიახ, ანტონ კათალიკოსი ღრმად მორწმუნე კაცი იყო და ურყევ ბურჯად ედგა საქართველოში ქრისტიანობას, რომელსაც იგი, ისევე როგორც „აღორძინების ხანის“ მრავალი ქართველი მოღვაწე და მწერალი, მათ შორის დავით გურამიშვილიც, ქართველთა ზნეობრივი სიმტკიცის საფუძვლად და მეზობელ თურქ-სპარსელ „ბარბაროზთაგან“ ეროვნული თვითმყოფობის დაცვის მძლავრ იარაღად მიიჩნევდა, მაგრამ არასოდეს ყოფილა უკიდურესობამდე მისული რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი კლერიკალი. მართებულად აღნიშნავს ალ. კალანდაძე: „ანტონის ეკლესია რელიგიის კერპთსამლოცველო კი არ ყოფილა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ-პოლიტიკური იარაღი იყო: ერეკლეს მონარქიის იდეოლოგიური ბურჯი, საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების ქვაკუთხედი, აღმოსავლეთისადმი დაპირისპირებული ეროვნული იდეოლოგიის წყარო. ამ მხურვალე პატრიოტს ვერაფრითა-რი კონფესიონალური დოგმები ვერ ბორკავდა, როცა საქმე სამშობლოს კეთილდღეობას შეეხებოდა“¹⁴⁸. და მართლაც, ანტონს ქვანტიკურად უყვარდა თავისი სამშობლო. ამ სიყვარულით არის გამსჭვალული მთელი მისი შემოქმედება. საქართველოს გაძლიერებას, მის ზნეობრივ და გონებრივ ამაღლებას ეძღვნება ანტონის მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა. და რადგანაც რუსეთში გადასახლებამდეც ევროპის კულტურას სათანადოდ გაცნობილი, ევროპული ორიენტაციის ანტონი (რომელიც თავის შრომებში ხშირად იმოწმებდა „ლათინთა ფილოსოფოსებს“: ნეტარ ავგუსტინეს, სკოთოსს, ალბერტ დიდს — ან-

146 ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში, 1959, გვ. 199.

147 იქვე, გვ. 302.

148 ალ. კალანდაძე, ლიტერატურული. ნარკვევები, 1972, გვ. 27-28

ტონის მიერ აღბერდ დიდად წოდებულს — და თომა აქვინელს) საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური განმტკიცებისა და კულტურულ-გონებრივი განვითარების საიმედო და უახლოეს გზად ქვეყნის „ევროპეიზაციას“ რაცხდა, ხოლო პაპის მიერ საქართველოში წარმოგზავნილ მისიონერებთან დაახლოებული, ევროპასთან დაკავშირების საუკეთესო საშუალებად კათოლიკურ ეკლესიას სახავდა, ამიტომაც „გაფრანგდა“ იგი, ე. წ. „ფლორენციის უნია“ აღიარა და კათოლიკობა მიიღო, რაც მარჯვედ გამოიყენა ანტონის წინააღმდეგ მტკიცე ოპოზიციად შეკრულმა ფეოდალურ-კლერიკალურმა რეაქციამ.

ის, რომ საქართველო წარმოდგენდა სალოცავ ხატს ანტონისა, რომელიც მზად იყო სამშობლოს საკურთხეველზე მიეტანა თავი ზეარაკად და თანამემამულეთა უკეთესი სვე-ბედისათვის ზრუნვა იყო მისი მოღვაწეობის პათოსი — ყოველივე ეს კარგად ჩანს „კათეხზისისათვის“ წამღვარებულ იამბიკოებში —

არ მომწყინდების თქვენთა საუბარი,
პოი ქართველო, სიბრძნის შემყვარებელნო,
აღტეხილება მაქს ნიჟად თქვენდა მოძარო,
შრომად, უბნობად, წერად, მოშაირებად,
ამად, ვითარმედ მიყვართ ჭეშმარიტებით (828),
ნამღვილ ჭეშმარიტ, ზესთა მყო ისმენს ამას,
ვითარმედ თქვენთვის შეჩვენებულ-ვყო თავი,
არა რად მდგამის არად შეშირაცხიეს,
არცა თქვენთა სიკედილი, არცა ტანჯვა,
ეშვრები სურვილით, არა დაეცხრე, ვიღრე ვიყო (829).

ცხადია, ანტონის „გაფრანგებაც“, როგორც უკვე აღნიშნულია, საქართველოს კეთილდღეობისათვის ევროპასთან მჭიდროდ დაკავშირების აუცილებლობის რწმენით იყო გამოწვეული.

ანტონი ერეკლეს მეფობისას ქვეყნის „ევროპეიზაციისაკენ“ გადადგმულ ნაბიჯს და შესამჩნევ პოლიტიკურ-ეკონომიურ აღმავლობასთან ერთად სამშობლოს განახლების მთავარ ნიშნად კულტურულ-გონებრივ გამოცოცხლებას თვლიდა და, საქართველოში ევროპეიზმის ბიარახტარი, 1753 წელს თავისი გრამატიკის პირველი რედაქციის შესავალში ამაცხად წერდა: „ჩვენცა განახლებად ვართ, მით, რამეთუ ახალსა ცასა და ახალსა ქვეყანას მოველით და დაძველებადათა, ვითარცა ამაობათა ამაობას, არ გულმძიმეობით: სიცრუისათანა შევიყვარებთ მით, რამეთუ არღარა ვართ ბნელსა შინა, არამედ ჭეშმარიტებისა მეცნიერებად წოდებულ ვართ რჩეულნი 'ნაყოფად ცხოვრებისა'“¹⁴⁹ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.). მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ ქვეყნის „განახლებისაკენ“ გა-

¹⁴⁹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A 531, ფ. 2.

დადგმულ ამ პირველ, ჯერ კიდევ სუსტ ნაბიჯს განმტკიცება სჭირდებოდა და როგორც „განმანათლებლობის“ — XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში აშკარად გამოკვეთილი ახალი მოწინავე იდეოლოგიის¹⁵⁰ — მეთაური ქვეყნის ნამდვილი აღორძინებისა და „გამოხსნის“ უმნიშვნელოვანეს პირობად განათლების დანერგვას და მეცნიერების განვითარებას მიიჩნევდა. ამავე დროს, რუსეთ-ვეროპის განმანათლებლების მსგავსად. ანტონი სწავლას. რომელსაც „სიბრძნის კარად“ რაცხდა, არ თვლიდა რომელიმე წოდებულს პრივილეგიად. იგი დაბეჭითით ამბობდა: „თვინიერ სწავლისა ვერავინ კპოვოს სიბრძნეი“¹⁵¹, და ამ უკანასკნელს იმ თენომენად წარმოიდგენდა, რომელიც არის „თანად მიფენ-მიკრთომაი მალალთაჲ და მდაბალთა და წვიმა მართალთაჲ ზედა და ცოდვილთა“¹⁵².

ანტონი სწავლას სიბრძნის კარად რომ რაცხდა, მეცნიერებას ქვეყნის სიძლიერის, მისი ეკონომიური აღმავლობის აუცილებელ პირობადაც აღიარებდა და „რუსთა... ლათინთა, იტალიანთა და ფრანცისტა და სპანთა და გერმანელთა და პორტუგალელთა და პოლონელთა“ წარმატებას იმით ხსნიდა, რომ „ესევეითარი აქესთ ყოელისა მეცნიერებისა თვის შორის ტრფიალები, ვითარმედ ვაჭრობისაჲ და არხიტექტორობისა აქეს საციფრო მოგებისა სურვილი, რომლისაჲ უდიდესი შეუძლებელ არს მოგება“ და იქვე დასძენდა: „ცნობილ არს ესე მეცნიერთაგან, ვითარმედ გნოსისნი აზნაურთა და თავისუფალთა ცნობათანი შეამკობენ მონარხისა და ყოველსა საზოგადოებასა ყოელითა წარმატებითა, რომელიცა უსარგებლეს არს მოქალაქეობასა შინა მსოფლიოსა“¹⁵³.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვოლტერისა და ენციკლოპედიისტების შეხედულებათა ფართოდ გავრცელების ხანაში „გონების საუკუნედ“ წოდებული XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე ანტონ ბაგრატიონი უკვე „სპეკალში“ გვევლინება მოაზროვნედ, ვინც თავის ნაშრომში დამოუკიდებლად მივიდა ზოგიერთ ისეთ დასკვნამდე, თანამედროვე ევროპელი მეცნიერების მონაპოვარს რომ შეადგენდა და ევროპული აზროვნების ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისად არის აღიარებული, ასე, მაგ. ა. ფრანგიშვილის დასაბუთებული შეხედულებით, ანტონმა „სრულიად დამოუკიდებლად დაადგინა ცნობიერება, როგორც ფსიქიკური სინამდვილის არსებითი ფაქტი“ — ფუძემდებლური დებულება, რომელიც „ევროპულმა აზროვნებამ... დეკარტედან მიიღო“¹⁵⁴,

150 ა. ფრანგიშვილი, ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 292.

151 კ. კეკელიძის სახ. ზელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H 255, ფ. 13-14.

152 იქვე, ფონდი S 3658, შესავალი, § 14.

153 იქვე, ფ. S 3657, ფურცელი 15.

154 ა. ფრანგიშვილი, ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 209.

რის გამოც კარტეზიანული ფილოსოფიის მამამთავარი ახალი ეპოქის შემქმნელად ითვლება ფსიქოლოგიის ისტორიაშიც. მაგრამ ანტონის შეხედულებების, მისი რაციონალისტური მსოფლმხედველობის განვითარების ახალ, მაღალ ეტაპად მართებულად არის აღიარებული რუსეთში გადასახლების შემდგომი პერიოდი. სწორედ იქ, რუსეთში (რომელსაც ანტონი შეგნებულად უწოდებს ევროპას; „მოვედ ევროპით ანტონი, აზიადვე“ (639) — წერს რუსეთიდან დაბრუნებული კათალიკოსი ერეკლესადმი მიძღვნილ იამბიკოში) რუსეთის მოწინავე აზრს დაუფლებული, რუსული ფილოსოფიისა და მეცნიერების საშუალებით გაეცნო იგი თანამედროვე ევროპულ ფილოსოფიას და მეცნიერებას და „გონების საუკუნის“ სულისკვეთების შესატყვისად, ღრმად დარწმუნებული, რომ განათლება, ცოდნა, მეცნიერება წარმოადგენს ქვეყნისა და ხალხის „ხსნის“ უმნიშვნელოვანეს გზას, უშრეტი ენერჯით შეუდგა „დაუცხრომელ“ შრომას საქართველოში განათლების დანერგვისა და გავრცელებისათვის.

თანამედროვე მეცნიერების დონის შესაბამისად ანტონი განათლების შინაარსად ცოდნას აღიარებდა, ცოდნის მთავარ წყაროდ „მცნობელობას“ — ცდას რაცხდა და დაბეჭითებით ამტკიცებდა: „რათა ვიქცეოდემცა ფისიკასა შინა კეთილ-წესიერად სათანადო არს განგდებად მოგონებული დადებულებანი და წილ დასაბამისა სათანადო არს ხმევად მცნობელობანი და არა რაიმე ჰეშმარიტებრ მიღებად მოგონებულნი იგი თვინიერ მხოლოისა მის, რომელიცა უსაშუალოდ გამოყვანებად შესაძლებელ არს“¹⁵⁵. (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.), მაგრამ, იმედროულად, ანტონი სულაც არაა ბრმა ემპირიზმის მიმდევარი და რაციონალისტ მოაზროვნეს კარგად ესმის „მეპაზრეობათა“ მნიშვნელობაც იმისათვის, რომ „ჰეშმარიტებაი მართალი შესაძლებელ“ იყოს. წინასიტყვაობაში თარგმანისა „შემოკლებული ფისიკა თეორეტიკებრი“, საიდანაც ციტირებულია ზემომოყვანილი შეხედულება, ანტონი განაგრძობს: „და თუ სადმე მივიღებთ მცნობელობათაგან მხოლოთა ოდენ მეპაზრეობათა, მაშინ დადებულებანიცა იგი მიღებად შესაძლებელ არს, რომელნიცა შეეწევიან იგინი უშორესთა მცნობელობათა, რომელთა შეწევინთა ჰეშმარიტებაი მართალი პოენად შესაძლებელ არს“¹⁵⁶.

როგორც აღინიშნა, ანტონ კათალიკოსი ღრმად მორწმუნე კაცი იყო, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა მეცნიერების დიდი პროპაგანდისტ-ცოფილიყო და მეცნიერების რელიგიასთან შერიგების მსურველს ემტკიცებინა, — მეცნიერება არ „გარდააქცევს კაცსა ჰეშმარიტებისა ცნო-

¹⁵⁵ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H 225, ფ. 8.

¹⁵⁶ იქვე, ფ. 8.

ბრსაგან — სარწმუნოებისაგან და უმეცარნი ბუნების მეცნიერებისა „მსგავს არიან ბრმათა“. ამავე წინასიტყვაობაში ანტონი მოგვითხრობს: „გუშინ წელსა 1762 თთვესა დეკემბერსა 26-ს შეკრებულ ვიყავნით სახლსა ვისმე ნათესავისა ჩვენისასა, სადაც ითქვა ვისგანმე: ვითარმედ ფისიკა გარდაქცევს კაცს ჰუმარიტისაგან ცნობასა. ხოლო უგანსწავლულესგან ვინმე და უდიდესი ვთქვა უფლისმოყვარესმან (უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ანტონი იყო თავად. — დ. ლ.) მიუგო მას: უმეცარნიო ფისიკისანი მსგავს არიან ბრმათა, რომელნიცა, ნივთთა წინამდებარეთა ხელითა ოდენ განმხილველნი და მგრძნობელნი შეხებითა ოდენ ნივთისანი და ვერა სადმე მცნობელნი შესახედავთანი. ხოლო მეცნიერნი ფიზიკისანი არიან ყოველთა მხედველნი და არა შეხებით ოდენ მგრძნობელნი ნივთთანი, რომელნიცა არა რაიმეთა მიზეზითა ფისიკობისათა გარდაიქცევიან ჰუმარიტებისაგან ცნობისა“¹⁵⁷ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

მსგავსად თავისი უფრსი თანამედროვის — ვახუშტი ბატონიშვილისა, რომლის მიხედვით „წიგნნი ფილოსოფოსთა მიერ ქმნილნი აღგვაესებენ სიბრძნითა, ხელოვნებითა და სიტყვიერებითა, გვაცნობენ თავსა და გვასწავებენ ვითარ ჯერ არს ცხოვრებად“¹⁵⁸. ანტონ ბაგრატიონიც „სიბრძნის“, მეცნიერების საგანგებო მნიშვნელობად იმას თვლიდა, რომ იგი სამყაროს შემეცნებაში, ბუნების მოვლენათა ახსნაში რომ გვეხსმარება, უწინარეს ყოვლისა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ემსახურება. ანტონი ბაუმისტერის ახალი ფილოსოფიის თავისეული თარგმანის შესავალში „სწავლის“ დანიშნულებად იმას თვლიდა, რომ ადამიანი „აღირჩევდეს უმჯობესსა“. ამავე დებულებას ანეითარებდა იგი ერეკლესადმი მიძღვნილ წინასიტყვაობაში რიტორიკისა. „რცის საზოგადო ჩვეულებამან, — წერს ანტონი აღნიშნულ წინასიტყვაობაში. — ვითარმედ ყოველნი უმჯობესისადმი მიმართებენ. თავთა თავისათვის, ვითარ იგი ბრძანებს სჯულიცა ბუნებითი. ჰქმენ იგი რაივეცა სრულყოფს შენ და მდგომარეობას შენსა (ბაუმისტერი, საყოფაქცევო ფილოსოფია, დადებულება 8), ვინაიცა სათანადო ვიდრემე არს მათდა, რომელნიცა გულის-ხმის-ყოფითა და ნებითა ნიჭებულ არიან აღსრულებისთვის ბრძანებისა სჯულისა ბუნებითისა მიმართებად თავის-უფალთადმი და აზნაურთა სწავლათა, რომელნიცა სრულყოფენ მათ და მდგომარეობათთა მათთა“ და იქვე დასძენს: „თავის-უფალთ მიერ სწავლათა დახელოვნებულნი მეცნიერების ძლით იქვემდებარებიან ყოველთა ნივთთა, ესე იგი არისაცა საჭიროისა მიწთომისამებრ ბუნებითისა და არსთა შესაძლებელთა ცნობად და საზღვარდადებად“¹⁵⁹. (ხაზგასმა ჩემია. —

157 კ. კეკელიძის. სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H 224, ფ. 5.

158 „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1973, გვ. 3.

159 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H 256, ფ. 2-3.

დ. ლ.). ადამიანებისა და „მდგომარეობათა მათა“ სრულყოფისათვის მზრუნველი ანტონი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ „სიბრძნეს“ ზიარებოდნენ მისი თანამემამულენი. ამიტომ თარგმნა მან ფრიდერიკო ქრისტიან ბაუმაისტერის „მეტაფიზიკა“, „ლოგიკა“ და „ეთიკა“ და „შეკრიბა“ „ფიზიკაი სხვისა და სხვისა აქსონისა ქმნილთაგან“, ამიტომვე „იხარკა“ რიტორიკაც — „საქვევრმეთქვეო ხელოვნება“, რომელიც, ანტონის აზრით, ადამიანს „ეხმარების და უფროსილა ვთქვათ ესაჭიროების“ იმისათვის, რომ „განცხადებული უგანცხადებულესად საჩინო იქმნეს“¹⁶⁰ და შეადგინა გრამატიკა, რომელსაც იგი „სიბრძნის კარად“ მიიჩნევდა. „ღრამმატიკაი, — წერს ანტონი, — თვინიერ იქვისა, არს კარი სიბრძნისა“ და იქვე დასძენს: „ხოლო თუ სადმე კარი სიბრძნისა არა შევქლეთმცა, სადაითამცა იქმნა მოსვლაი ჩვენი სიბრძნისა მიმართ“¹⁶¹.

განათლებული აბსოლუტიზმის უდრეკ მიმდევარს, კარგად ესმოდა მშობლიური ენის მნიშვნელობა ქვეყნის ცენტრალიზაციისა და ერის გაერთიანების საქმეში. ამიტომ იყო, რომ ანტონი მეფე-პოეტის არჩილის მსგავსად საგანგებო ყურადღებას აქცევდა ენის სიწმინდეს. იგი სიტყვას ფულის ნიშანს ადარებდა, რომელიც ქვეყნის შიგნით იხმარება მხოლოდ და სასაცილო უგუნურებად მიიჩნევდა საკუთარი განსწავლულობის გამოსაჩინად უცხო სიტყვების ხმარებას. „უკეთუ ჩვენ მოვმძრახობთ ამისთვის, რათა სხვათა გულისხმა ჰყონ თქმანი ჩვენნი, — წერდა ანტონი, — მაშა სათანადო არა სადმე არს, რათა არცა ლათინურთა, არცა ფრანცისულთა და არც იტალიანურთა ლექსთა ხმარებად ქართველთა შინა საუბართა... საცინელ სადმე არს უგუნურება კაცთა მათ, რომელთაცა, რათა უხწავლულესმცა აჩვენონ თავნი თავისნი, თავისა შესამესა ლექსსა უცხოთა ენათასა, რომელთამე საუბართა შინა აღურევენო“¹⁶² (ხაზგასმა 'ჩემია. — დ. ლ.).

ქართული ენის პურიზმის „მართლ-უბნობისა“ და „მართლწერის“ საფუძვლად ჰქონდა წარმოდგენილი ანტონს თავისი გრამატიკა, რომელმაც ა. ხახანაშვილის შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ენით არის დაწერილი, გრამატიკული მასალის განაწილებისას არაა დაცული მკაცრი მეთოდი და სისტემა, „ეპოქა შექმნა ქართულ მეცნიერებაში, რადგანაც ანტონის გრამატიკულმა ძიებებმა დაუღო სათავე ქართული ენის დამუშავებას“¹⁶³.

ლიტერატურის ისტორიისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ან-

160 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H 256, ფურც. 3.

161 ქართული ღრამატიკა შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885, გვ. I.

162 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H 255. ფ. 59-60.

163 A. C. Х а х а н о в. Очерки по истории грузинской словесности. М., 1901, стр. 273.

ტონის გრამატიკის პირველ რედაქციაში ჩამოყალიბებული „სამი შტილის“ თეორია, რომელიც შეესატყვისება იმ დროს ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ და შემოქმედებით პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრებული კლასიციტური პოეტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლურ დებულებას.

მართალია, ანტონის მსჯელობა „სამი შტილის“ თაობაზე—რომლის მიხედვით „პირველი იგი არს რომელსა აქვს სიმცირე რჩეულმოზრახობისაგან (რჩეულსიტყვაობისაგან. — დ. ლ). გარნა უფრორე ადვილ გასაგონ ვიდრემდე არს ყოველთა, ვითარ არს სითხზე სინაქსისა და მოთხრობათა. მეორე უკვე არს, რომელსა საშუალო ქცევაი აქვს რჩეულმოზრახობისაგან და ტყბილსიტყვაობისაგან და არ არს ეგეოდენ ადვილ გასაგონ ყოველთა, ვითა იგი არს სითხზე უმეტესთა კერძოთა სამღვთოთა წერილთასა. მესამე ვიდრემდე, რომელსა სრულიად აქვს რჩეულმოზრახობისაგან და ტყბილსიტყვაობისაგან და არ არს გასაგონ ყოველთა, არამედ მხოლოდ მეცნთა შორის აქვს ნაყოფი თვისი“¹⁶⁴ — ამოღებული აქვს გრამატიკის მეორე რედაქციიდან, მაგრამ მას არასოდეს აუღია ხელი ამ თეორიაზე, რომელიც, ალ. კალანდაძის მტკიცებისამებრ, „უწინარეს ყოვლისა ლიტერატურულ-ესთეტიკური კატეგორიაა და, ფართო გაგებით, ლიტერატურული სტილის არსებით თვისებას განსაზღვრავს“¹⁶⁵. ანტონის „სამი შტილის“ თეორიას ერთგულად იცავდნენ მისი მიმდევრები და თვით XIX საუკუნის სამოციან წლებშიც „მამათა და შვილთა“ შორის გამართულ მწვავე ლიტერატურულ პაექრობაში „მამები“ „სამი შტილის“ თეორიის პოზიციიდან ებრძოდნენ ახალ თაობას, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა.

ქართულ მწერლობაში ნაირსტილოვან ენაზე წერის თვალსაზრისით ანტონს ჰყავდა სახელგანთქმული წინამორბედები. აქ, იოანე პეტრიწთან ერთად, აღსანიშნავია სულხან-საბა ორბელიანი — ხალხურ ენასთან დაახლოებული „არსებითად ახალი ქართულით“ დაწერილი „სიბრძნე სიცრუის წიგნის“ ავტორი, რომელსაც იმავედროულად, „ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილით“ შეთხზული „სწავლანი ანუ ჭადაგებანიც“ ეკუთვნის, რაც, ივ. გიგინეიშვილის შეხედულებით, შეიძლება იმითაც აიხსნას. რომ სავარაუდოა ევროპის კულტურის ელემენტებს პირადად ნაზიარებ საბას ნაადრევი ევროპული კლასიციზმის წარმომადგენელთა შეხედულებებიც სცოდნოდა ნაირსტილოვანი ენის თაობაზე¹⁶⁶. რაც შეეხება „უბრძნეს ბრძენთა შორის“ (734) იოანე პეტ-

164 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 531, ფ. 175, ქ. 3 უ მ ბ რ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის და კრიტიკის ისტორიიდან, 1958, გვ. 236.

165 ალ. კალანდაძე, ლიტერატურული ნარკვევები, 1972, გვ. 57.

166 ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, საიუბილეო კრებული „სულხან-საბა ორბელიანი“, 1959, გვ. 41.

რიწს, ვისაც ანტონი „რიტორებისა ავქსონს უმაგალითოს“ (740) უწოდებდა და ვისი „ფრასთა“ ბრწყინვალეობა მიუწვდომელ ნორმად მიაჩნდა („არ შესაძლო არს ჩემდა ესე მამაო რათა ვამჰსგავსო ფრასთა შენთა სიტყუანი, თუ არ ფრასთავე შენთა მაღალთ“ (739) — მიმართავდა იგი „კავშირის“ მთარგმნელს, 735 იამბიკოში კი ხაზს უსვამდა — „ბზინვენ მარცვალნი, ხმეული შენგან, დიდო, რომელნი- დაჰრთენ ლექსთა განმავითარად, ელვენ ლექსები, ძვირფას სპეკალ უმჯობეს ბრწყინვენ სიტყვანი, ვარსკელავ-მდგომარეობენ“), — მას ხომ მიზნად ჰქონდა დასახული შეექმნა ენა „გალექსილ და მესხვე მდაბრიონთაგან“.

ევროპული ორიენტაციის ანტონი მით უფრო ბეჭითად აგრძელებდა ამ მიმართულებით პეტრიწის გზას, რომ ენის კლასიციტურ რეგლამენტაციაზე რუსეთში გადასახლებამდე გარკვეული წარმოდგენის მქონედ, რუსეთში მოღვაწეობისას მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი ცოდნა ამ სფეროში და იგი ქართული ენის „განწრფელობის“ საშუალებად დასახა.

ანტონისათვის, ისევე როგორც მისი თანამოაზრეებისთვისაც, ცნობილი იყო ფრანგული ენისა და ლიტერატურის სფეროში საფრანგეთის „დიდისა აკადემიისა“ საქმიანობა, რომელიც დევნიდა „მდაბალ“ სიტყვებს და დროდადრო აქვეყნებდა მაღალი წრეებისათვის საეალდებულო წიგნებისა და სიტყვების სიას. ამას მოწმობს გაიოზ რექტორის მიერ გადმოღებულ „ტიპიკონში“ მოძღვართადმი მიმართვა „გამოარჩიონ უკეთესნი ყოველსა შინა სწავლასა, ავტორნი, რომელნიცა ნამოწმებ არიან დიდებულთა შინა აკადემიათა, მაგალითად პარიჟის ბრძანებითა კოროლის ლუდოვიკ მეათოთხმეტისაგან“¹⁶⁷.

ევროპასა და რუსეთში გავრცელებული ნაირსტილოვანი ლიტერატურული სტილის ქართულ მწერლობაში დამნერგავი ანტონიც „მესხვე მდაბრიონთაგან“ ენის გასაბატონებლად დევნიდა „მდაბიო“ სიტყვებს. რითაც მან, როგორც ჯერ კიდევ დავით ბატონიშვილი აღნიშნავდა, „განაგლახაჲა“ ქართული ენა. ანსელიონის ესთეტიკის თავისეული თარგმანის „ანდერძში“ დავით ბატონიშვილი წერდა: „თუმცალა ამასა შინა არიან რაოდენიმე ლექსნი მდაბიონი ხმარებულ, რომელიცა მდაბიოდ შერაცხულ არიან კათალიკოსის ანტონის მიერ და მიმბაძველთა მისთაგან... გარნა მე გაკვირვებულ ვარ ამასა ზედა, რომელ მეცნიერსა მას გვამს შეურაცხიეს ლექსნი ესე მდაბიოდ და დატყვებითა მათითა განუგლახაკებიეს ენა ქართველთაო“ და განმარტავდა „მიხდომითა ჩემითა ნულუმე ესე იყო წადილი მისი, რათამცა ეჩვენებინა ქართველთათვის ვითარმედ განაწრფელა მან ენა ქართველთა, რომელსაც არა ესა-

¹⁶⁷ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 794, გვ. 44, ტ რ ი ფ ო ნ რ უ-
ხ ა ძ ე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, 1940, გვ. 146.

ხმარებოდა განწირვლებამ მიხედვითა საღმრთოთა წერილთათა. გარდ-
მოდებულითა წმიდათა მამათა ჩვენთაგან... მსგავსადვე მიხედვით კე-
შირნის, ვეფხისტყაოსნის და სხვათა ძველთა აღნაქვსთასა“¹⁶⁸.

და მართლაც, ჩვენს მწერლობაში „სამი შტილის“ ფუძემდებელი
სუბიექტურად ქართული ენის „განწირვლებისათვის“ იღვწოდა. პროგ-
რესული იყო ევროპეიზმის მომხრე ანტონის ბრძოლა ქართული ენის
განწმენდისათვის აღმოსავლური ბარბარიზმის წინააღმდეგ, ქართული ენის
სიტყვიერი ფონდის გამდიდრებას უწყობდა ხელს მის მიერ შემოტანილი
არქაიზმები, მაგრამ იმავდროულად, ობიექტურად, მან „შეაფერხა ქარ-
თული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების ხაზი“¹⁶⁹ და
„დააკანონა მაღალი სტილისთვის ძველი ქართულის თავისებური სუ-
როგატი, ენა ღვლარქნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღო-
ბით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ბნელი“¹⁷⁰.

საქმე ისაა, რომ განსხვავებით, მაგალითად, დიდი ფრანგი კლასიცი-
სტებისაგან, რომელთა მაღალი სტილით დაწერილ ნაწარმოებებში გა-
მორიცხულია ბნელი, ბუნდოვანი ფრაზებით წერა და პრეციოზულობა,
ანტონისათვის მაღალი სტილი, უწინარეს ყოვლისა, ბნელი, ძნელად გა-
საგები ენით წერას ნიშნავდა, რითაც იგი ბაროკოს სტილის მწერლებს
უფრო უახლოვდება, ვიდრე კლასიციკლებს. მაღალი სტილის ასეთი გა-
გება განასხვავებს ანტონის სტილთა თეორიას და ამ მიმართებ-
ით მის პრაქტიკულ მოღვაწეობას ლომონოსოვის სამი სტილის თეორიისა-
გან, რომელმაც, სპეციალისტთა აღნიშვნისამებრ, საფუძველი ჩაუყარა
ახალი რუსული სალიტერატურო ენის განვითარებას.

საყურადღებოა, რომ ქართულ მწერლობაში „სამი შტილის“ შე-
მოტანი გრამატიკის მეორე რედაქციაში „მტკივნეულითა გულითა“, რომ
„ესარჩლებოდა“ მათ, „რომელთაც წერილნი“ მისნი „უჩვეველთა
უხამსთა“ და საძაგთა ქარაგმათა-მიერ აღსაესეს და სოფელთა მიმართ
მეცნიერებაი დააყენეს“¹⁷¹ და თანამედროვეებს მიმართავდა „გამცნებთ,
გახარებთ და გვედრებითაცა, რათა პატროსანი ესე და სასარგებლო
შრომაი ჩვენი... არა ცუდად ჰყოთ თქვენ, რომელნიცა, რომელთავე მი-
ერ მიზეზითა ჰხრწნით წერილთა ჩვენთა, ქარაგმათა უსათანალოთა, ხში-
რად შემოღებითა“¹⁷², ერთგულად იცავდა ენის ნაირსტილოვანებაზე თა-
ვის შეხედულებას. და თუ მაღალი „სტილით“ შეთხზული სამეცნიერო

168 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, II 198, ფ. 87.

169 არ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის გან-
მარტებითი ლექსიკონი, 1950, ტ. I, გვ. 20.

170 იქვე, გვ. 21.

171 ქართული ლრამატიკა შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885, გვ. 289.

172 იქვე, გვ. 282.

და საღვთისმეტყველო ნაწარმოებში ანტონისა, ისევე როგორც მისი იამბიკოები, დაწერილია მართლაც დელარქნილი, გასაგებად ბნელი, რთული „ფრასებით“, სამაგიეროდ პირადი წერილები, რ. ბარამიძის აღნიშვნისამებრ, არა მარტო მისი „პოეტური ნიჭის დამადასტურებელია... არამედ იმის მაჩვენებელიც არის, რომ „სამი სტილის“ ავტორი შესანიშნავად ფლობდა „დაბალ“ქართულ ენას“¹⁷³. რამდენიმე მაგალითი:

ერეკლეს ძის ლეონის გარდაცვალების გამო მეფის ასულ ანასაღმში გაგზავნილ წერილში ანტონი წერს: „ჩემსა მოხუცებულობაში ჩემის ცხოვრების განუმარტებელს განმწარებას შემოვტირ, რომ ჩემმან სიჩჩოთგან მისით საკუთარად განჩემებული, ჩემი მრავალ ყოვლად მშვენიერ ყვაილოვანი წალკოტნი, ყოვლად უმშვენიერეს მის წალკოტის ყვაილნი მძვინვარის ხრწნილებეს მანგლითა მოიგანგლა. უსატრპიალესი იგი კიპიროსი უმწვერვალესის უბადრუკების ჩემის ცელითა მოიკვეცა ყოვლად უსურნელესი იგი არამატი წინაშე თვალთა ჩემთა დათხეული მიზეზსა შინა განხმობისა მისისასა დაიდვა გრძნობადთა თვალთა ჩემთა წინაშე. მოსცილდა მეფობასა ყოვლად განუყვეთელი იგი სიმტკიცე, დაილენწა ყოვლად უბრძოლველი იგი სასურველი ქართველთა და შემუსრად მტერთა მისთა არლარა სახმარ იქნა... ვგონებ, რომ ამისთანა ყმაწვილი ამ ქვეყანაში არ ნახულ იყოს არცა ცხენოსნობას შინა, არცა სიმხნესა და მამაცობასა, არცა გონიერებასა შინა... დაღესტანსა შინა ერთმანერთ ეუბნებდიან, ერეკლე აღარ დაბერდებაო, ასეთი სხვა ერეკლე გამოჩნდაო, რომ ერეკლეს წინააღმდეგობა აღარავის შეუძლიანო, აქამდის ერთი იყო და ახლა ორი ერეკლე არისო“¹⁷⁴.

ბატონიშვილი თამარის გარდაცვალების გამო მეფისა და დედოფლისაღმში გაგზავნილ სამძიმარში (1786 წ. 4 აგვისტო) ანტონი წერს: „ჩემო ხელმწიფენო, ამ გარემოებაში თქვენის სიმაღლისაგან, ჩემის სიცოცხლის გაგონებისაგან, როგორ არა მრცხვენოდეს. პაპას ბიჭის საფლავის ზედვას რომ თვალი შევაჩვიე და ასე მეგონა მკვდარი, ჩემს მუხლებზე მიწვეს მეთქი, მერე უძლეველის ქაბუკის, ლომის სახელის სამართლად რომ თავის თავში ისაკუთრებდა, ლეონის შვენიერებისა და ახოვნების ჩემს მუხლებზედ დარღვევას და განშიშვლებას გაეუძელ: ელენეს უკურნებელის წყლულებით სიკვდილი და იმ ჩემის ხელმწიფის, როგორც სახელი ერქვა, იმ სახელის განქარება მოვითმინე და ახლა ამასაც დავესწარ თამარის ოთხ საათზედ სიცოცხლის დასრულებაცა ვნახე. თამარს რომ სასიკვდილოდ ამოქნარებდა, ზედ დავჰყურებდი

173 რ. ბარამიძე, სამოქალაქო მოტივები ანტონ I-ის ჰიმნოგრაფიაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთაბზე, № 3, 1960, გვ. 161.

174 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2510, გვ. 19-20.

და უცხო და საკვირველის თვალების მშვენიერების ოახ საათს ნიადაგ
ვარდაშეებას ვხედავდი“¹⁷⁵.

განსაკუთრებით საინტერესოა ანა დედოფლისადმი თეიმურაზ II
გარდაცვალების გამო გაგზავნილ წერილში აღწერილი თეიმურაზის გა-
რეგნობა — „მაგონდება მისი იერის ვარდის უმეწამულესი ტუჩები, ზედ
მიჯრივ ამბრის მარცვალნი რომ გადაშლოდა, ლალის უელვარეს ბა-
გეებს რომ გახსნიდა და სპარსეთის ზღვიდან ამოღებულის მარგალიტის
უბწყინვალესს კბილებს რომ გამოაქროლებდა“¹⁷⁶.

შეიძლება ნაწილობრივ მაინც, ანტონის „მალალი შტილი“, ლვლარ-
ქნილი, უადრესად ძვირე ენა იყოს იმის მიზეზი, მეთვრამეტე საუ-
კუნის ქართული აზროვნების უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის, მრავალ-
მხრივი მოღვაწისა და დიდი პატრიოტის ლიტერატურული მემკვიდ-
რეობა, როგორც აღნიშნა, დღემდეც არ არის სათანადოდ შესწავლილი
და ევროპულ-რუსული „ლიტერატურული და პოლიტიკური რეფორმების“
საქართველოში დანერგვის მცდელის, „კლასიციტური ნორმატიზმის“¹⁷⁷
შემომტანის, არისტოტელეს, კეინტოს კურაციოსის, ვოლფის, ბაუმე-
ისტერის და სხვ. მთარგმნელის, „რიტორიკის“ გადმომღების, „მარტივი,
სადა ხალხური ენით“¹⁷⁸ „გრანდიოზული ნაშრომისა და ენციკლოპედი-
ური საოცრების“¹⁷⁹ — „თთვენის“ შემდგენელის და „სპეკალის“, პი-
რველი ქართული გრამატიკისა და „წყობილსიტყვაობის“ ავტორის შე-
მოქმედებას უქანასკნელ დრომდე სასულიერო მწერლობას მიაკუთვნე-
ბდნენ მხოლოდ.

მართალია, ამ შეხედულების საწინააღმდეგო მოსაზრება ჩვენი სა-
უკუნის ჭერ კიდევ ოცდაათიან წლებში გამოითქვა, „სხვაც რომ არა
იყოს რა, — აღნიშნულია იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ერთ-ერთი
მკვლევარის პროფ. გ. ჯავახიშვილის ნაწერებში, — მართო მისი გრამა-
ტიკის, რიტორიკის, ფილოსოფიისა და ფიზიკის თარგმანებზე მუშაო-
ბა ცხადყოფს, რომ ანტონს ღვთისმეტყველური საკითხების გარდა ზო-
გადი მეცნიერებაც არანაკლებ აინტერესებდა... ამას ისიც ზედ უნდა
დავურთოთ, რომ ანტონის ზოგიერთი, თვით სასულიერო შინაარსის
ნაწარმოებებნი, თუნდაც მისი „მზამეტყველება“ — თუმცა თითქოს სრუ-
ლიად სასულიერო შინაარსისაა, მაგრამ ნამდვილად, აშკარად ისახავს
ეროვნულ-პოლიტიკური მიზნებით დაწერილი ნაწარმოებების ხასიათსა,

175 კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, II 2510, გვ. 14.

176 ციტირებულია რ. ბარამიძის ზემოდასახელებული წერილიდან, გვ. 161.

177 ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტო-
რიიდან XVI—XVIII სს.; 1960, გვ. 191.

178 იქვე, გვ. 194.

179 იქვე, გვ. 192.

მაშინ ხომ სრულიად შეგვეცვლება აზრი ანტონის სამწერლობო მოღვაწეობაზე და ანტონი მოგვევლინება უმთავრესად როგორც პოლიტიკურ-ეროვნული, იმავე დროს უფრო საერო საკითხებისაკენ გამახვილებულად გადახრილი მწერალი¹⁸⁰. ორმოცდაათიან, სამოციან წლებში ანტონის დიდი საგანმანათლებლო მოღვაწეობა, საქართველოს სინამდვილეში იმ პერიოდისათვის მისი პროგრესული მეცნიერულ-ფილოსოფიური შეხედულებანი ფართოდ და დამაჯერებლად გააშუქეს თავიანთ შრომებში შ. ნუცუბიძემ, ა. ფრანგიშვილმა, აბ. როგავამ, მაგრამ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე ანტონი ისევე და ისევე მხოლოდ სასულიერო მწერლად არის წარმოდგენილი. ამ მხრივ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს რ. ბარამიძის უკვე დასახელებული წერილი „სამოქალაქო მოტივები ანტონ პირველის ჰიმნოგრაფიაში“, რომელიც 1960 წელს არის გამოქვეყნებული და, განსაკუთრებით, ალ. კალანდაძის აქ მრავალჯერ დასახელებული „ლიტერატურული ნარკვევები“, სადაც ვკითხულობთ: რატომღაც ანტონი სასულიერო მწერლად და პოეტად იქნა შერაცხული, თუმცა, როგორც ნაწარმოებთა რაოდენობითა და ღირსებით, ისე მათი მეცნიერული, ისტორიული და მემკვიდრეობითი მნიშვნელობითა და საერთო პათოსით, იგი საერო მოღვაწე, მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი და მეცნიერია¹⁸¹.

და მართლაც იმის გამო, რომ ანტონი წმინდანებს უგალობდა, ბიბლიასა და სახარებას მიმართავდა და რელიგიურ თემატიკას ამუშავებდა, უმართებულო იქნებოდა იგი მთლიანად სასულიერო მწერლობისათვის გადაგველოცა. სადაო არაა, რომ თუ რელიგიურ თემატიკას მივიჩინევდით საერო და სასულიერო მწერლობის გამყოფ ფაქტორად, მაშინ მსოფლიო ლიტერატურის მრავალი წარმომადგენელი სასულიერო მწერალთა რიცხვში აღმოჩნდებოდა, რადგანაც არა მარტო ქართული მწერლობის, რომელიც გ. ქიქოძის მართებული შეხედულებით, „მთელი თავისი არსებობის მანძილზე ბიბლიის აზროვნებისა და სახეების გავლენას განიცდიდა“, არამედ საერთოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს ხელოვნების — ფერწერა იქნება ეს, ქანდაკება თუ მუსიკა — და ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები, ბიბლიის სიუჟეტებზეა აგებული, კლემან მაროს მიერ თარგმნილი ფსალმუნები XVI ს. საფრანგეთში ათი წლის განმავლობაში ოცდაშვიდჯერ რომ გამოიცა, გვირგვინად იყო მიჩნეული მაროს პოეზიისა, რომელშიც იგი „მეტისმეტად ხშირად სარგებლობდა სახარების ხატებით და ამჟღავნებ-

¹⁸⁰ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. ჭავჭავაძის ფონდი, 121, დ. 33. 1-2.

¹⁸¹ ალ. კალანდაძის ზემოდასახელებული ნარკვევები, გვ. 69.

და ბიბლიის ცოდნას¹⁸², მაგრამ არავის ჩაუთვლია იგი სასულიერო მწერლად. ბიბლიის სიუჟეტზეა აგებული ჯონ მილტონის ეპიკური პოემები — „დაკარგული სამოთხე“ და „დაბრუნებული სამოთხე“, ისევე როგორც მისი დრამაც „სამსონი“, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ ნაწარმოებთა მიხედვით არის იგი აღიარებული ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ტრუბადურად, არც ფრიდრიხ კლოპშტოკი მიუკუთვნებიათ სასულიერო მწერლობისათვის, თუმცა მისი „მესიადაც“ და დრამებიც „ადამის სიკვდილი“, „სოლომონი“ და „დავითი“ აგრეთვე ბიბლიის სიუჟეტებზეა აგებული. ხოლო ქართულ ლიტერატურაში, სხვას რომ თავი დავანებოთ, გურამიშვილის „დავითიანის“ საყურადღებო ნაწილს სასულიერო ჰიმნები შეადგენს; მაგრამ იგი მართებულად ითვლება ჩვენი საერო მწერლობის მშვენიებად.

იგივე ითქმის „იმ დროის საქართველოს განათლების წარმომადგენლის“ (ი. ჭავჭავაძე), ერთ-ერთი „პირველი თერგდალეულის“¹⁸³ ანტონ ბაგრატიონის შემოქმედების, განსაკუთრებით მისი მთავარი ლიტერატურული ნაწარმოების „წყობილსიტყვაობის“ მიმართ, რომელშიც თუმცა კი უხდოდა ანტონი ხარკის სასულიერო მწერლობას, მაგრამ თავიდან ბოლომდე ეროვნული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული და ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობისათვის ამაგდარ გმირებს უმთავრესად იმიტომ აღუვლენდა ღალადისს, რომ თანამემამულეებში ეროვნული ღირსების შეგნება გაელვიებინა, ერის ძალისადმი რწმენა განემტკიცებინა და მის საკეთილდღეოდ აემოქმედებინა ისანი.

როგორც არ უნდა იყოს ანტონის იამბიკოების მხატვრული ღირსება (ამ თვალსაზრისითაც თანამედროვენი მის „მშვენიერ ლექსს“ „ტყბილსაამოვნად, სასურვ საწადელ-სატრფოდ“ მიიჩნევდნენ), „წყობილსიტყვაობის“ ამ პათოსს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ამ მხრივ ტიპოლოგიურად ენათესავება მეთურამეტე საუკუნის ევროპული ლიტერატურის ძეგლებს, რომლებშიც ისტორიული წარსული სწორედ ეროვნული ღირსების შეგნების გასაღვიებლად არის გადმოცემული. აქ შეიძლება დაგვესახელებინა თუნდაც იმავე კლოპშტოკის მხატვრულად სუსტი, მოქმედებით ღარიბი დრამატული ტრილოგია „ბარდიტები“, რომელიც მხოლოდ იმდენად არის დაფასებული გერმანული ლიტერატურის ისტორიაში, რამდენადაც იგი ემსახურებოდა ოცდაათწლიანი ომების შედეგად ათეული წლობით წელში გაწყვეტილი, პოლიტიკურად და ეკონომიურად ჩამორჩენილი გერმანიის ეროვნული სიამაყის გამოფხიზლებას.

182 История французской литературы, АН СССР, 1936, стр. 227.

183 გ. ჭიჭოძე, ეტიუდები და პორტრეტები, 1953, გვ. 120.

ანტონის იამბიკოები, რომლებიც დაწერილი არის ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის პერიოდში, როცა საქართველოს რეალურად ემუქრებოდა სახელმწიფოებრივი და ეროვნული თვითმყოფლობის დაკარგვის საფრთხე, — თანამემამულეთა სამაგალითოდ და გასამხნეველად მოუხნიზდა სამშობლოსთვის თავდადებულ ისტორიულ პირებს და ქვეყნის თავდაცვისათვის, მისი დამოუკიდებლობის, გაერთიანებისა და განმტკიცებისათვის მათ ღვაწლს წარმოაჩენდა და ასხამდა ხოტბას.

„ყოველი საქართველოს“ კათალიკოსი „ვახტანგ მგელ-ლომს“ იმიტომ ადიდებდა, რომ იყო „სხუა და სხუა ბარბაროსთა ზედ განმმხედრი“ და „მონარხისა შემაერთი ბრძენ სიმხნითა“ (553); დიმიტრი თავდადებული ანტონის მიხედვით „ღირს-არს ჰსსოვნისა მარადობით, ვინათგან ესე ენაცუალა განსაცდელით ერსა“ (596); გიორგი ბრწყინვალეს მთავარ დამსახურებად ის არის მიჩნეული, რომ

აფხაზ-ქართველთა სამეფო ვახტანგ დიდის,
სხუა და სხუა ქმნილი, აერთ-გუამა გიორგი,
მთიულნი ჰსტუქსნა, ჰსჯული დაჰსხნა მეფობის (599),

ხოლო დავით აღმაშენებელს, რომლის მიმართ დუმილს ამჯობინებს — „აქა დუმილი თუ სთქუა, უმჯობეს ვჰგონე... დუმილი ჰხამს მუნ, რაჟეთუ ძღვეულ სიტყუა“ (569) — იმიტომაც სცემს თაყვანს, რომ მან „მუსერვა“ „სპარსთა სიმრავლე“ (573) და მათ მიერ შებილწული

ტფილისს პლატონი ჩვენი გოდოლ — ტაძარნი
სოფელთ ყანობნი ვენახ-ორმო ტაგარნი (576)
უკუგვიზლო დავით, სიბრძნით, სიმხნის განქველმან,
მათ მძღავრ მოჰხადა შურის ცეცხლით დაჰწველმან,
ჩვენდა აქცია ესენი ჩვენმან მცველმან
თავის-უფალ-გუყუნა ანაზდად ადილ მშველმან,
განჰსწმინდა კალო — ქრისტესი ბილწ-განმგველმან (577).

ცალკე უნდა აღინიშნოს ჰიმნი მიძღვნილი კონსტანტინე მთავრისადმი, რომლის „მარჯვენე... უძლეველი, ღვთივ მშვენიერი ღირსად საგალობელ არს“, რადგანაც მან „ძლიერებით“ აოტნა „მტერი“ იგი¹⁸⁴. ამ ჰიმნში, სადაც ანტონი მოწიწებით მიმართავს კონსტანტინეს —

„მსხვერპლი წმინდა და სათნო და
ტარიგი ყოვლად განწმენდილი
შეგიწირა შენ ქვეყანამან
ქართველთამან კონსტანტინე
საქურთხეველსა ზედა ყოვლად უბიწოსა,
დასამშვიდებლად რისხვისათა... —

184 ანტონ პირველი, საღღესასწაულონი, 1865, გვ. 120.

განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს სიტყვები:

ამისთვის

ვადიღებთ უველანი განმადლიერებელსა
შენსა, იესოს ყოვლად ძლიერსა და მს'ნელსა

სულთა ჩვენთაა¹⁸⁵ (ხაზგანსა ჩემი. — დ. ლ.).

აქ გამოთქმული შეხედულების მიხედვით, რ. ბარამიძის შენიშვნისამებრ, ანტონი „არათუ არ გვევლინება მარტო ეკლესიის ადებტად და დოგმატიკოსად, როგორც მას წარმოგვიდგენენ ხოლმე. არამედ ერთგვარად ცოდავს კიდევ ეკლესიის წინაშე“, რადგანაც ჰიმნში „იესოს თვითმისწინურად უშუალოდ მისადმი თაყვანისცემის გამოხატვლად კი არ ეძღვნება გალობა, არამედ იმდენად, რამდენადაც იხიწეულია, როგორც დამხმარე ფაქტორი ერის საჭირობოროტო საკითხის მოწესრიგებაში“¹⁸⁶.

ანტონისათვის რომ თანამემამულეებში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება იყო უმთავრესი ამოცანა, ამას ცხადყოფს ჰიმნი აბო ტფილელზე. აქ ყურადღებას იპყრობს არა მარტო ჰიმნის სათაური „თვის აბო სპარსისა, ტფილისს ვნებულისა“, რომლის მიხედვით არაბი აბო სპარსელად არის წარმოდგენილი, — რაც, უეჭველია, ეროვნულ გრძნობაზე მეტი ზემოქმედების კარნახით იყო გამოწვეული, რადგანაც საუკუნეების მიღმა საქართველოში არაბთა ბატონობით მიყენებული ჭრილობები თუ მთლიანად მივიწყებული არა, ყოველ შემთხვევაში ფერფლმოყრილი იყო, მაშინ როცა სპარსელთა მუდმივი თავდასხმებით განაწამები ქვეყანა ახლაც სისხლისგან იწრიტებოდა მათთან ბრძოლაში, — არამედ ისიც, რომ ჰიმნში ერთმანეთს დაპირისპირებულია ქართველი და სპარსელი და არა ქრისტიანი და ისმაიტელი, როგორც ეს ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში არის წარმოდგენილი. — „აბომ დასცნა სპარსთა საეშმაკონი და შეამკო ეკლესია ქართველებისაო“, — წერს ანტონი. ეს კი სულაც არ არის „მცირე კორექტივი. არამედ ამაში უნდა დავინახოთ ქართველი მამულიშვილის შემოქმედების შინაარსში დიდი მიზანდასახულობით შეტანილი ცვლილება“¹⁸⁷.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა იამბიკოები, მიძღვნილი ფარნაოზ მეფისადმი, რომელმაც „ტყვენი ქართველნი... სიბრძნითრე, სიმზნით მაკედონელთაგან ათაეის-უფლნა ლომებრ“ (574) და ამიტომაც „ჰხამს ქებად ფარნავაზ — მეფე დიდი“ (546), მაგრამ იმავდროულად,

185 ანტონ პირველი, სადღესასწაულონი, 1865, გვ. 294.

186 რ. ბარამიძე, სამოქალაქო მოტივები ანტონ I-ის ჰიმნოგრაფიაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოამბე, № 3, 1960, გვ. 154—155.

187 იქვე, გვ. 157.

წარმართი მეფის ქების გამო თითქოს ბოდის იხდიდა „ყოველი საქართველოს“ კათალიკოსი და მკითხველს მიმართავდა —

მაგრამ ვინათგან არ აქებდა ღმერთსა,
არ საქებელ-არს მსახურთაგან ღეთისათაო (547).

ანტონის ასეთი დამოკიდებულება ფარნაოზ მეფისადმი მოგვაგონებს ანტიკური სამყაროს წარმართი მოაზროვნეებისადმი დამოკიდებულებას დანტე ალიგიერისა, რომელმაც, მათ მიმართ უსაზღვრო მოწიწებით გამსჭვალულმა, მართალია ჯოჯობეთში არ მოაქცია ისინი, მაგრამ ვერც ის ვაბედა, თუნდაც თავის მასწავლებლად მიჩნეული, მიწიერი სიბრძნის ალეგორიად წარმოდგენილი ვირგილიუსი მაინც შეეყვანა სამოთხეში.

ისევე, როგორც ფარნაოზისადმი მიძღვნილ იამბიკოებში წარმართი მეფის საგანგებო დამსახურებად ქართველთა ტყვეობისაგან განთავისუფლებასთან ერთად ის არის აღიარებული, რომ „სუფთაქმნით, წმედით“ შეეწია „ქართველებსა ენასა“, რომელიც მან „აუხვ-ალამაზ-ლექსნა“ (546), საქართველოს ისტორიის სხვა გამოჩენილი მოღვაწეებისადმი აღვლენილ საგალობლებსა და იამბიკოებშიც ხოტბის შემსწმელ მათ საქმიანობად სამშობლოს დამოუკიდებლობისა და განმტკიცებისათვის თავდადებაზე არანაკლებ სწავლა-განათლების დამკვიდრებისა და გავრცელებისათვის ღვაწლი არის წარმოჩენილი, რაც საქართველოში ევროპეიზმისათვის მაშვრალ მოაზროვნეს ქვეყნის „გაევროპიელების“ აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

ანტონი სწავლა-განათლების სფეროში დიდი ღვაწლის გამო მოწიწებით მიმართავდა „ილარიონ საკვირველთმოქმედსა“:

ცისკარ ღიდ ნათელ ჩვენა გამობრწყინდი შენ,
ელვითა მდიდრად მოძღვრებათათა, ბრძენო,
წიგნთა თარგმნითა და სწავლათა ხუაითა,
წრფელ დოღმატითა აღგუაესენ მოწაფენო,
ჩვენ, შედგომილნი შენთა მოძღვრებათანი (449);

ბაგრატ მეოთხესაც იმიტომ აღიღებდა —

ვითარმედ ბრძენნი თარგმანნი კულად სხუანი,
ამისსა ღროსა შეფობითა განბრწყინდეს (568)

საგანგებოდ აღნიშნავდა ამ სფეროში მოღვაწეობას დავით აღმაშენებლისა, ვინც „უმეცრებისა ღამეთა აცისკროვნებდა“ (475) და

ვინ ჰქმნა გონება უზადოსა მზის სეფე,
სიტყვიერს წალკოტს სულისა ყუაველთმკრეფე (571):

ვახტანგ მეექვსეს იმიტომაც სცემდა თავიანს, რომ იყო „ბეჭედთ მიზე-
ზი, კეთილ მზრდელი კაბუჯთა“ (623) და

„ვახტანგ ტრფიალსა სიბრძნისასა ჰსურდა
ქართველთა შორის განფენა ჰსწავლულებისა
შეება — ჰქმნის, ვინმეა ჰნახის სიბრძნის მოყუარედ,
ნაქნი მიაგნის, ემადლიერის ფრიალ“ (624)

იოანე ათონელის წინაშეც მუხლს იღრეკდა,

რამეთუ სიბრძნე შეიყვარო მარადის,
ნაიდავ ჰსტრფოდა არ მოსწყენოდა მისდა (690) და
წიგნნი ამრავლნა, ამცირა უმეცრება,
სიბრძნე განაფინა, ნათესაენი მდიდარ-ჰყუნა,
ტბილ მუსიკობდა... (691).

იოანე ათონელისადმი მიძღვნილი იამბიკოები მოთავსებულია მეშ-
ვიდე ნაწილში „წყობილისიტყვაობისა“, რომელშიც ქართველი ერის ის-
ტორია და მისი კულტურა ქრისტიანული სამყაროს საერთო კულტურ-
რულ-ისტორიული განვითარების ასპექტშია განხილული და ამ მიმარ-
თებით ჩვენი კულტურის ადგილის განსაზღვრის ცდასთან ერთად ქარო-
ველ მოღვაწეთა საქმიანობა ანტიკური პერიოდისა თუ შუასაუკუნეების
მითიურ-ისტორიულ პიროვნებათა ღვაწლთან არის შეპირისპირებული.

ანტონის მიხედვით, გიორგი მთაწმინდელი, — „მუშაკი ბრძენი, თე-
რძელს მთესლი იფქლისა“ (50) და „ოქრო ნილოსი, მრწყველი უხვად
ქართველთა“, რომელიც „პირად-პირადთა ნაკადულთა ადინებს, თვისთა
სწავლითა ტბაღთა დამათობელთა“ — „ასწავებს პავლებს, შეაწყობს
ოზორსებრს“ (511. ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

თამარ მეფე უფრო დიდია, ვიდრე „კვიროსის უმძლესს, ალექსანდ-
რეს უდიდესს“ (587) მეფე ნინის მეუღლე სემირამიდა, ანდა „ცოლი
ჰსერაქსისისა, დედა არტაქსერქსისისა“ (588) და თავად „ეგვიპტის მე-
ფე კლეოპატრა“ (589), რადგან — ესენი, რაცა ჰშეენის ჰმულთა მსა-
ხურთა

ესე გურანი იყვნენ, ოდენ კუამლებს ნაცხადნი,
გუშინ ჰსჩანდნენ და დღეს განაჰქარდნენ, დაკბრენ ყოფით,
მაგრა თამარის საქმენი ჰსჩანან ლუთის შორის,
ხოლო ნაიდავ განგრძელდეს უცუალებელ (590).

ილარიონ კახს, რომელიც „არს თარგმანთა შორის პირველ“ (685),
ანტონი ასე მიმართავს: —

შენ მზე აღმოჰხედ აზიად განათლებად,
განფინენ სხივნი ევროპის კიდურებად,
ახალს და ძველს რომს ახარე შენდა მომართ (686).

იოანე პეტრიწს, რომელმაც „ატიკელობა ქართულებრ დაღეკ-სილ“ პუო (740), პროკლე დიადოხოსს ადარებს.

დიადოხოსებრ პროკლეს განსაკვირვებო,
ვით იგი პლატონს ენაცუალა, იოანე,
ეგფერ შენ პლატონს ედიადოხე ღირსად (738),

ზოლო — „ნიკოლაოს ჩოლოყაის ბეს“ იმიტომ აქებს, რომ იყო

მრავალ ფერ ენათ გამომთქმელ შეენიერად,
აზიასა შინა, ევროპას და აფრიკას
მრავალი სიბრძნით, კაცი სიბრძნის-მოყუარე,
ღრამატიკოსი, რიტორ ფილოსოფოსი (783).

„წყობილსიტყვაობის“ მეშვიდე ნაწილი — „თვის ქართველთა წიგ-ნის მოყუარეთა კაცთა მწიგნობართა“ — იმასთან ერთად, რომ იგი, როგორც ეს აღნიშნულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, წარმოადგენს ქართული მწერლობის ისტორიის შექმნისა და შეფასების პირველ ცდას, საყურადღებოა იმითაც, რომ თუმცა აქ ანტონს, მართალია, არა აქვს მწყობრ სისტემად ჩამოყალიბებული თავისი შეხედულებანი ლიტერატურის დანიშნულებაზე. პოეზიის არსსა და სპეციფიკაზე, მაგრამ ქართველი მწერლების აქ მოცემულ შეფასებაში აშკარად ჩანს მისი პოზიცია და ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი.

აბსოლუტური მონარქიზმის მიმდევარი და ევროპული ორიენტაციის ანტონ ბაგრატიონი შორეულ თუ თანამედროვე ისტორიულ პირთა მოღვაწეობას იმით რომ აფასებდა, თუ რა წვლილი შეიტანეს მთქვეყნის გაერთიანების, მისი პოლიტიკური და ეკონომიური განმტკიცებისა და კულტურულ-გონებრივი განვითარების საქმეში, მწერლობის უპირველეს მოვალეობად მეფისა და სახელმწიფოსადმი ერთგულ სამსახურს მიიჩნევდა და პოეზიის მთავარ დანიშნულებად სიბრძნის სწავლებასა და „გონების ტკბობას“ თვლიდა. ამას კი, რაციონალისტი მოაზროვნის შეხედულებით, პოეტი მაშინ მიაღწევდა, თუ ფანტაზიის ქროლვას კი არ აპყვებოდა და გრძნობას კი არ დაემორჩილებოდა, არამედ გონების კარნახით იმოქმედებდა და სინამდვილეს „უცხოდ შეწყობილი“ „ბრწყინვალე ფრასით“, მეცნიერული სიზუსტით, შეძლებისამებრ, სილოგიზმებით წარმოგვიდგენდა.

„წყობილსიტყვაობიდან“ აშკარად ჩანს, რომ ანტონი, ევროპელი და რუსი კლასიციტების მსგავსად, გონების უპირატესობას აღიარებდა გრძნობის წინაშე, და მხატვრული ნაწარმოების შექმნაში გრძნობადი შთაგონების როლს თითქმის მთლიანად რომ უარყოფდა, განსჯას, ფართო ცოდნას და ერთგულ შრომას ანიჭებდა გადამწყვეტ მნიშვნელობას. საყურადღებოა, რომ ანტონი აპროვანსელ ტრუბადურთა მსგავსად პოეტებს „შირთ მაკეთთ“ (808) უწოდებდა.

ანტონის აქ წარმოდგენილი ლიტერატურულ-ესთეტიკური კონცეფციის დასადასტურებლად საკმარისი იქნება რამდენიმე ნიმუშ-ც „წყობილსიტყვაობაში“ გაბნეულ უამრავ მაგალითიდან.

დაეწყოთ იმით, რომ ანტონი თავის პოეტურ ქმნილებას „გონების შესაქცევ“ ნაწარმოებად თვლიდა — „გამოვხატე ესე სტიხთ მოქმედება შესაქცევ გონებისათ“ (851). — ვკითხულობთ „წყობილსიტყვაობის“ დაბოლოებაში“. არსენ კათალიკოსისადმი მიძღვნილ იამბიკოებში ანტონი ასე მიმართავდა ადრესატს —

ნების აღძრუათა განმადიდო რიტორო,
საგულ-ხმო ძალთა ბრძენო მომნადირებო (450),
შენთა ფრასთაგან დამეთრობის გონება (651)...

იოსებ თბილელის ღირსებად იმას თვლიდა, რომ

გონება მისი მღებარებდა
თაიხ-უფალთა ცნებითა, რომლითაცა
ჰსთქმიდა მშენიერ, საქებელ შეწყობითა (677);

შეთელს იმიტომ აღიღებდა, რომ „ნეტარი ესე პიიტკოსი კაცი“ იყო —

მაღალ-გამომთქმელ მოძღურებათა ბრწყინულე
სიბრძნის-მოუუარე, მართალ მესილოგიზე (770);

დიმიტრი ორბელიანზე წერდა:

დიმიტრი თუ ჰსთქუა შაირთ მაკეთთა თანა

უცხოლ შეაწყუვის, ფრახი განაკაჰმის უცხოლ.
ამო არს, კეთილ, მისნი პიიტკიანი (808);

ხოლო ვახტანგ ორბელიანი — „რიტორ შეენიერ, მკვერ-მეთქვი საკვირველი, ფილოსოფოსი, პიიტკოსი უცხო“ (810), ვინც

უცხოლ შეაწყუნის, განსაკვირველად დაჰლექნის
დახატებობლად მსმენელთა გონებასა (809) —

თავის მასწავლებლად მიაჩნდა ანტონს. „ჩემდაცა იქმნა მოძღუარი ჰსწავლათა რათმეო“, — ვკითხულობთ იამბიკოს ბოლოს.

იმის დასადასტურებლად, რომ ანტონის შეხედულებით პოეზია სიბრძნის სწავლება და „გონების ხარება“ და მარტოოდენ დიდი ცოდნისა და ბეჭითი შრომის შედეგია, კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა „წყობილსიტყვაობიდან“, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ ციტირებული ადგილები, სხვა საკითხებთან დაკავშირებით დამოწმებულ იამბიკოებთან ერთად, საკმაოდ დამაჯერებლად წარმოადგენენ ანტონის კონცეფციას. დაუშვამტებ მხოლოდ იმას, რომ ანტონი მეფე-პოეტის არჩილის მსგავსად „მართლის თქმის“ მიმდევარი იყო და პოეზიის საგნად კონკრეტულ სინამდვილეს მიიჩნევდა. იგი დიდ დამსახურებად არჩილი-

სა (რომელიც, როგორც „მართლის თქმისა“ და ქართული ენის სიწმიდის დაცვის მოთხოვნით, ისე გრძნობის წინაშე გონებისათვის უპირატესობის აღიარებით ანტონის წინამორბედი იყო) არა მარტო იმას თვლიდა, რომ „ქსთქუა შაირნი ნაბრძულნი“ (797), არამედ იმასაც, რომ —

ისარ-ჩოვანთა, ნადირთ სრვათა და ოროლთ
მღერათა ცხენით, ყოველთავე, რაცა ქსთქუა,
ლხინთა, ჭირებთა, რაცა საკმარ არიან (798),

და თეიმურაზ მეორეს შემოქმედების დახასიათებისასაც ანტონს მხოლოდ კონკრეტული სინამდვილის ამსახველ ნაწარმოებებზე აქვს შეჩერებული ყურადღება, უქებს მეფეს „შაირთა“, რომლებშიც —

შეაწყუნა მშენიერად
ქცევანი მეფეთ, ანუ მთავართ ან ხხვათა
ან ნადირობის, ანუ ასპარეზობის (801).

სწორედ ეს ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი ანტონისა უნდა იყოს, როგორც ალ. კალანდიაძე აღნიშნავს, რუსთაველზე ანტონის კრიტიკული შეხედულების მთავარი მიზეზი და არა მხოლოდ „მალალი რანგის ოფიციალური სასულიერო პირის“ დამოკიდებულება საერო პოეზიისადმი, რომლის მიმართ იგი სულაც არ ყოფილა მტრულად განწყობილი. მეტიც, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ანტონი სასულიერო მწერლებზე ნაკლებ არ ასხამს ხოტბას მათ:

როშელნი სიბრძნის ქვე-მღებარები ქსთქმიღეს
ერის კაცნი საქებელთა წერილთა (795).

ცხადია, „ღვთის მსახურის ოფიციალური მდგომარეობა ხშირად ზღუდავდა ანტონს, ამიტომაცაა, რომ „მოზოდიშების იერი დაჰკრავს თეიმურაზ პირველის, იოსებ სააკაძის, რუსთაველის თუ სულხან-საბა ორბელიანისადმი მიძღვნილ იამბიკოებს“¹⁸⁸, მაგრამ ანტონი, იმავდროულად, ყოველგვარი მოზოდიშების გარეშე, დიდების შარავანდლით მოსავდა შავთელს, ჩახრუხნაძესა და თმოგველს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ანტონი არც რუსთაველის მიმართ იჩენს ნაკლებ მოწიწებას. მეტიც, იგი რუსთაველის ავტორიტეტს ემყარება და „ვეფხისტყაოსანი“ ქართული მწერლობის ავკარგიანობის საზღმ ნიმუშადაც კი აქვს წარმოდგენილი.

¹⁸⁸ რ. ბარამიძე, ანტონ ბაგრატიონის „წყობილისტყვაობის“ ტექსტისათვის, ანტონ ბაგრატიონი, წყობილისტყვაობა, 1972, გვ. 4.

ხარგის ესეცა შოთაებრი არს კაცი,
სიბრძნის-მოყუარე, ფილოსოფოს, გამომთქმელ
რიტორ შეენიერ, პიტიკოს საქებელ,
თვით შოთა იტყვის დილარგეთ უქია მას,
ხაქებ არს ესე თქმულთა მათთვის მიზეზთაო (803) —

ამბობს ანტონი სარგის თმოგველზე, ხოლო „ჩახრუხაძის ძისადმი“ მი-
ძღვნილ იამბიკოში აღნიშნავს —

ჩახრუხაძს ძე, უცხო პიტიკოსი,
თამარ დიდისა მკობი შაირებთა,
შოთას შაირთა, თუ ჰსთქუა უკეთესთაცა
მთქმელი მესტიხე, დიდი სიბრძნის მოყუარე,
ყოვლად საქები, რიტორთ მესტიხთ გვირგვინი (804).

(ხაზგასმა ყველგან ჩემია. — დ. ლ.).

და მიუხედავად ყოველივე ამისა, იამბიკო, რომელშიც ანტონს რუ-
სთაველი დახასიათებული ჰყავს „ბრძენ“, „სიბრძნისმოყუარე ფრიად“,
„თუ-სამ სწადდა ღვთისმეტყველიცა — მაღალ“ და „უცხო-საკვირველ
პიტიკოს მესტიხედ“ მთავრდება სიტყვებით, „მაგრა ამაოდ დაპშრუა-
ხაწუხ არს ესე“ (802) ხაზგასმა ჩემია — დ. ლ.), რაც უწინარეს ყოვ-
ლისა, ანტონის პოლიტიკური და ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედუ-
ლების კარნახით უნდა აიხსნას.

თქმა არ უნდა, აბსოლუტური მონარქიის იდეის ერთგული დამც-
ველი და მწერლობაში გონების პრიმატობის მქადაგებელი ანტონ ბაგ-
რატიონი კრიტიკულად განეწყობოდა, „ვეფხისტყაოსნისადმი“, სადაც
ხელმწიფის ნება არ არის ხელშეუვალ კანონად აღიარებული, ვნება არ
არის მოვალეობას დაქვემდებარებული, გრძნობა არ ემორჩილება გო-
ნების კარნახს, ხოლო კონკრეტული სინამდვილის ნაცვლად ფანტაზიით
წარმოსახული გარემო არის წარმოდგენილი. ლიტერატურის ისტორია-
ში ცნობილია, რომ რიშელიემ, რომელმაც მხოლოდ საბაბად გამოიყენა
სამი ერთიანობის უმნიშვნელო დარღვევა, იმიტომ აქცია საფრანგეთის
აკადემიის განჭიქების საგნად ფრანგი ხალხის მიერ ყოველივე მშვენიე-
რის ეტალონად მიჩნეული „სიდი“ პიერ კორნელისა, რომ ტრაგედიაში
არ ჩანდა მეფის ოჯახისადმი უღრმესი მოწიწება და ხელმწიფის გადაწ-
ყვეტილებისადმი უყოყმანო მორჩილება, თუმცა ნაწარმოების გმირები
განუსჯელად უმორჩილებენ. თავიანთ ძლიერ ვნებებს მოვალეობის კარ-
ნახს. „ვეფხისტყაოსანში“ კი წამლეკავ ძალად ქცეულ ვნებებს აყოლი-
ლი, ნესტანის უსაზღვრო სიყვარულით ანთებული და მთლიანად გრძ-
ნობას დამორჩილებული ტარიელი არაერთარ ანგარიშს არ უწევს სა-
ხელმწიფოს ინტერესს და მეფის მიერ მოწვეული სასიძოს მოკვლით
განსაცდელში აგდებს ინდოეთს. თანაც „სიდიში“ გრაფ გორმესის შე-
ხედულებას — მეფეები ზოგჯერ მცდარად მსჯელობენ — უპირისპირდ-

ბა დონ დიეგოს აზრი — მეფის ნების შესრულება წმიდათაწმიდა მოვალეობა არისო და მეფის გადაწყვეტილების განმსჯელი გრაფი ბოლოს და ბოლოს თავისი პროტესტის მსხვერპლი ხდება. „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი სულაც არაა გაკიცხული, მეფის უნებართვოდ მის დასახმარებლად გაემართება ავთანდილი, ტარიელს გვერდში ამოუდგება ფრიდონიც და, რაც მთავარია, სატრფოს დაკარგვით ტანჯულ ტარიელს თანაუგრძნობს მკითხველი.

არც რუსთაველის დიდი ფანტაზია და „ვეფხისტყაოსანში“ არსებული აღმოსავლური ლიტერატურული გემოვნების ნიშნები იქნებრდა ანტონისათვის მისაღები. უეჭველია, ევროპული ლიტერატურული გემოვნების ანტონი რუსთაველზე აღმოსავლური პოეზიის ამ გავლენას გულისხმობდა, როცა წერდა „მეტყველი სპარსთა ენისაო“. ამ მიმართებით რუსთაველს ანტონის შემდეგ სხვებიც აკრიტიკებდნენ. XIX საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწე დ. ბაქრაძე გაზ. „კავკაზში“ (1851, № 13) გამოქვეყნებულ წერილში „საქართველო და ქართველები“ მთავარ ნაკლად ქართველი პოეტებისა, — რომლებიც, მისი შეხედულებით, მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ სპარსელებისაგან, რომ სხვა ენაზე სთხზავდნენ, — სინამდვილისაგან მოწყვეტას, გადაჭარბებულ ჰიპერბოლიზმს და უცნაურ შედარებებს თვლიდა. იგი დაბეჭდვით აცხადებდა „ევროპის პოეტურ ნაწარმოებებს მიჩვეულმა ადამიანმა ძნელია, როგორი მოთმინებითაც არ უნდა აღიჭურვოს, ბოლომდე წაიკითხოს სპარსული და ქართული პოემებიო“ და გაკვირვებას გამოთქვამდა მათ მიმართ, ვინც ამტკიცებდა, ევროპაში ბევრი არ მოიპოვება „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი ნაწარმოებთა.

აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული პოეზიის გავლენით შექმნილი ქართული ლიტერატურის ძეგლებისადმი ასეთი დამოკიდებულება მეტურამეტე, განსაკუთრებით კი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის მრავალი მოღვაწისათვისაა დამახასიათებელი, რაც ევროპული ლიტერატურული გემოვნებისადმი გავლიძებული დიდი ინტერესით იყო გამოწვეული და ემსახურებოდა დამკვიდრებას ევროპეიზმისა, რომლის ერთ-ერთი ბაირახტარიც ანტონ ბაგრატიონი იყო.

ცხადია, ანტონ ბაგრატიონი, რომლის მიმართ ილია ჭავჭავაძე ანტონის მიმდევრებთან მწვავე პოლემიკის დროსაც კი აღნიშნავდა: „ნურვინ ნუ გაიფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა, ანტონ დიდ ალავს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი ამ დროის საქართველოს განათლებისაო“¹⁸⁹, ბევრ რა-

189 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 48-49.

მკიც ცდებოდა. ცდებოდა იგი შეფასებაში, „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც ქართული ლიტერატურის ევროპეიზმის ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო. საერთოდ, ანტონის მოღვაწეობას საკმაოდ ჰქონდა ჩრდილოვანი მხარეებიც, მაგრამ ისტორიული პიროვნებების დამსახურებაზე უნდა ვიმსჯელოთ „იმ პროგრესულის მიხედვით, რასაც მისი მოღვაწეობა შეიცავდა და არა რეაქციულისა და გარდამავალის მიხედვით“¹⁹⁰, ამიტომაც შევეცადეთ წარმოგვეჩინა ანტონ ბაგრატიონის ღვაწლი, მისი ენერგიული ბრძოლა აბსოლუტური შონაქიის იდეის განხორციელებისათვის, ვაჰრობა-მრეწველობის განვითარებისა და ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ განმტკიცებასთან ერთად სწავლა-განათლებისა და მეცნიერების დანერგვისათვის, ენის სიწმინდისა და ქართული ლიტერატურის აღმოსავლური პოეზიის გაელენისაგან განთავსუფლებისათვის, ერთი სიტყვით, საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურულ-გონებრივ ცხოვრებაში „ევროპეიზმის“ დამკვიდრებისათვის, რაც უეჭველად პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზმის დამკვიდრებისა და ქართველი მკითხველის ლიტერატურული გემოვნების „გაევროპელების“ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იმსახურებს ანტონ პირველის უმცროსი თანამედროვის ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილი) შემოქმედება, რომელიც, ძველი ქართული მწერლობის უკეთესი ტრადიციებით ნასაზრდოები, XIX საუკუნის ახალ ქართულ ლიტერატურასთან ორგანულად არის დაკავშირებული. „ბესიკის დაფნის მემკვიდრედ“ აღიარებული ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაც დიდად არის მისგან დავალებული და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკასთანაც აქვს მას „დიდი შინაგანი ერთობა და ღრმა კავშირი“¹⁹¹. ამასთანავე, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძის, ისე ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ამ კავშირს ბესიკის პოეზიასთან განსაზღვრავს არა მარტოდენ „ტუბილხმოვანება“ და „ხმა ციური“. არამედ მსოფლალქმაც და „მგრძნობელობის მემკვიდრეობითობაც“ „ტანო ტატანოსა“ და „ცრემლთა ისხარნის“ ავტორისა.

ბესიკი — შვილი სამეფო კარის მოძღვრის ზაქარია გაბაშვილისა, რომელიც იყო „მშენიერი მწერალი და მთხველი მალალსა ფრასასა ზედა“¹⁹², წარმოგვიდგება თავისი დროის ღრმად განათლებულ პირო-

¹⁹⁰ ფ. ენ გ ე ლ ს ი, წერილი კონრად შმიდს, ეურნ. „ბოლშევიკი“, 1947, № 1-2, 33. 6.

¹⁹¹ გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 187.

¹⁹² ი. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. II, ქ. კეკელძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1948, გვ. 195.

ნებად. იგი „მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიტიკოს-მო-
შაირე“¹⁹³ ძველ ქართულ მწერლობასთან ერთად ღვთისმეტყველებაშიც
გაწაფული იყო, ბიბლიაც ზედმიწევნით იცოდა, ანტიკური სამყაროს
ლიტერატურასაც იცნობდა და ევროპული ლიტერატურის მისთვის ხელ-
მისაწვდომ ძეგლებსაც ეწაფებოდა. ბესიკის თხზულებებში ბიბლიური
სახეებისა და გმირების (სამსონი, დალილა, დავით, გოლიათი, იობი,
ნოე და სხვ.) გვერდით, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ამირან-დარეჯანიანის“,
„როსტომიანისა“ და „ვისრამიანის“ პერსონაჟთა სახელებიც გვხვდება,
პლატონი, არისტოტელე, პროკლე და დიონისეც იხსენიება და ჰომე-
როსთან ერთად „ილიადას“ და „ოდისეას“ გმირებიც (აქილეუსი, ჰექ-
ტორი, ორესტე და სხვ.) მრავალჯერ არის დასახელებული.

ევროპული ლიტერატურიდან ბესიკის ლექსებში („ჰადრაკზედ ზმე-
ბი“ და „ან-ზე სიით მოხვალ“) მოხსენებულია ყილ ბლაზი — მთავარი
პერსონაჟი ალენ რენე ლესაჟის მიერ სათავგადასავლო რომანის სახით
დაწერილი ამავე სახელწოდების მწვავე სოციალური ნაწარმოებისა,
რომელსაც დიდი პოპულარობა ჰქონდა მოხვეჭილი ევროპასა და რუ-
სეთში. გიორგი ლეონიძე, პირველი, ვინც მიაქცია ამ ფაქტს ყურადღე-
ბა, ვარაუდობდა, რომ ბესიკი „ყილ ბლაზს“ დღემდე მიუკვლეველ, შე-
იძლება სულაც დაკარგულ, ქართულ თარგმანში უნდა გასცნობოდა. თუ-
მცა ვარლამ თოფურია დაბეჯითებით აცხადებს, „ასეთი თარგმანი არ
არსებობსო“¹⁹⁴.

რაც შეეხება საფრანგეთის აკადემიის წევრ ჟან ფრანსუა მარმონ-
ტელის „ველიზარიანს“ — რომელიც 1782—1787 წლებში გაიოზ არქი-
მანდრიტს უთარგმნია რუსულიდან ქართულად კრემენჩუგში, სადაც იმ
დროს იმყოფებოდა სოლომონ მეფის მიერ ელჩად წარგზავნილი ბესი-
კიც — ამ ნაწარმოებს იმდენად გაუტაცნია სამშობლოს მოცილებული
პოეტი, რომ ველისარიონი თავის ფსევდონიმიდაც კი აურჩევია (აკროს-
ტიხს „წმინდა გიორგის შესხმა იამბიკოდ“ მიწერილი აქვს „რომელ-
არს კიდურ წერილობა „გიორგის ვაქებდეთ“, თქმული ველისარიონის
შიერ“, ხოლო ანბანთქებაში „ან-ზე სიით მოხვალ“ ვკითხულობთ: „ვა-
რამს ვესურვე მიწოდდა ველისარიონს ჰკვიანად“), რაც მარტოოდენ „სა-
კუთარ სახელთან ერთგვარი ბგერული მსგავსებით“¹⁹⁵ არ უნდა იყოს
გამოწვეული და ბესიკის ხვედრის ველიზარის თავგადასავალთან მსგავ-
სებითაც უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

საქმე ისაა, რომ „ველიზარიანში“, რელიგიური შემწყნარებლობი-
სა და თავისუფალი აზროვნების იღვით გამსჭვალულ ნაწარმოებში, რო-

¹⁹³ ი. ბ ა ტ რ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. II, გვ. 204.

¹⁹⁴ ბ ე ს ი კ ი, თხზულებანი, ა. ბარამიძის და ვ. თოფურიას რედ., 1948, გვ. 195.

¹⁹⁵ ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. II, 1966, გვ. 653.

მელსაც, ამის გამო, რეაქციული წრეები მკაცრად სდევნიდნენ საფრანგეთში. — მარმონტელი სამეფო კარზე გაბატონებულ მლიქვნელობას, გაუტანლობას, შურიანობას და ავსიტყვაობას რომ ამხელს, ველიზარს ქვეყნის ერთგულ მხედართმთავრად წარმოგვიდგენს, ბოროტი ძალების მტყულობით მოღალატედ მონათლულ რაინდად, რომელიც სამშობლოდან გაძევების შემდეგაც თავისი ქვეყნისა და მეფის ერთგული რჩება ბოლომდე.

ბესარიონ გაბაშვილმა და მისმა მეგობრებმაც საკუთარ თავზე იწვინეს დამლუბველი ძალა კარზე გამეფებული ინტრიგების, შურიანობისა და ავსიტყვაობისა, რასაც უკანასკნელი როლი არ უთამაშნია ბესიკის გაძევებისა და მისი ახლო მეგობრის დავით სარდლის დამდაბლების საქმეში. სწორედ ავსიტყვაობის მსხვერპლად მიიჩნევს ბესიკი ასპინძის გმირს, რომლისადმი მიძღვნილ ლექსში „ცრემლთა მდინარე“ გულსევდიანი პოეტი მიმართავს ერეკლესაგან შერისხულ მხედართმთავარს:

ნუთუმცა გვიღმან ენით მკვლეღმან
გმირსა ქედასა
დაგდვა საცილო?!
ვაჟე, თუ ხმითა შენცა მითა
შეგრთო სევდასა
სცნა საწადილო¹⁹⁶ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.)

ამ ლექსს, როგორც მოტივით, ისე თავისი განწყობით საოცრად ეხმიანება დაახლოებით ორმოცდაათი წლის შემდეგ შეთხზული „ძია გ...სთან“ ნ. ბარათაშვილისა, რომელიც მიმართავდა შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დასჯილ გრიგოლ ორბელიანს —

ძიავე, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართვა, ავის ენისა გესლმან;
სატრფონი მისნი შემოგარენი
გარდახვეწილსა დაგიზმო ეტლმან!

საყურადღებოა, რომ გაძევებული ბესიკიც, ველიზარის მსგავსად, ქვეყნისა და მეფის ერთგული რჩება.

ხელმწიფე, გული ცეცხლდაგული, სულით გამყოფლით,
ვირსამცა თქვენსა, თუ გაღბენსა, მოიხმარენით (46) —

მიმართავს იგი ერეკლე მეორეს და დასძენს:

სხვამცა პატრონი, ანუ დრონი ვერღა დავსახეთ (47).
(ხაზგასმა ყველგან ჩემია. — დ. ლ.)

¹⁹⁶ ბესიკი, თხზულებანი, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, 1962, გვ. 66-67. შემდეგში ადგილები ყველგან ამ თხზულებიდან არის ციტირებული. ფრანგულში მითითებულია გვერდი.

სავარაუდოა, რომ ბესიკი იცნობდა ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობასაც“ (1726), რასაც ადასტურებს აკროსტიხში „წმიდის გიორგის შესხმა იამბიკოდ“ აღნიშნული სახელი „ღულივერი“ — „ბრძნად აღმსარებთა თანად ღულივერით წამწეს“ (109). იმის დამამტკიცებელი წყარო, რა გზით გაიცნო ბესიკმა ეს სახელი, ჯერჯერობით არ არსებობს, — იქნებ სხვათა გადმოცემითაც, მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს ფაქტი მაინც მნიშვნელოვანია, როგორც კიდევ ერთი საბუთი ბესიკის დანტერესებისა ევროპის ლიტერატურით.

ევროპული ლიტერატურით ბესიკის ეს დაინტერესება კი არც მოულოდნელი იყო და არც შემთხვევითი. იგი გამოზმდინარეობდა სულისკვეთებიდან, რომელიც დომინანტობდა ერეკლეს კარზე და იმ დროის ინტელექტუალურ საზოგადოებაში, სადაც ქვეყნის ხსნას, მის პოლიტიკურ-ეკონომიურ ძლიერებას და თვითმყოფობას რუსეთ-ევროპასთან დაახლოებას უკავშირებდნენ და რუსულ-ევროპულ ორიენტაციის შესატყვისად ევროპულ კულტურას და ცივილიზაციასაც ეწაფებოდნენ. და ბესიკიც, იმ ინტელექტუალური წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელი, თავისი პოეზიითა და პრაქტიკულ-პოლიტიკური საქმიანობითაც ამ ახალი სულისკვეთების განხორციელებისათვის მოღვაწედ გვევლინება.

პოლიტიკაში ანტიალმოსავლური, კერძოდ, ანტისპარსული ორიენტაციის ბესიკის მრავალჯანროვანი პოეზია, თუმცა საკმაოდ არის დევალებული „სპარსთა ენისა სიტკბოთი“, მან „მრავალი საამნო შაირნი დაწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერალი ქართულის ენითა, და აგრეთვე სხვანიცა ლექსნი“¹⁹⁷, — მაგრამ თვით სატრფიალო ლირიკაც ბესიკისა, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა აღმოსავლური პოეზიის გავლენა, მნიშვნელოვნად განსხვავდება მისგან, მეტიც, თემის გააზრებითა და მოტივებით უპირისპირდება კიდევაც აღმოსავლურ პოეზიას. საქმე ისაა, რომ ფორმის მხრივ „ბესიკმა არსებითად სრულიად გააქართულა სპარსულ-არაბული „მუხამბაზები“ და „მუსტაზადები“ და ახალი ფორმები შესძინა მშობლიურ პოეზიას“¹⁹⁸, ხოლო შინაარსობრივად აღმოსავლური პოეზიისა და მისი გავლენით ქართული „აღორძინების ხანის“ ლირიკაში მისტიკური ჰერეზის სფეროდ ქცეული, აბსტრაქტულად წარმოდგენილი ტრფობა რეალურ, გრძნობად-კონკრეტულ სამყაროს დაუბრუნა და ვნებათა ღელვით გამსჭვალულ სატრფიალო ლექსებში თავისი პოეზიისა, უნიფთო, ზმანებით წარმოსახული ხელშეუხებელი არსების ნაცვლად უმღერა მიწიერ, სისხლ-ხორციით სავსე სატრფოს, რომლის „ტანს ტატანს“ „უცხოდ მარებს“, „წარბ-წამწამ-თვალთ“ „შემაზარებთ“ და

197 ი. ბატონიშვილის „კალმასობის“ ზემოდასახელებული გამოცემა, გვ. 204.

198 ს. ცაიშვილი, ბესიკი, 1962, გვ. 4.

„ძოწ-ლალ-ბაგეთ“ „სულთწამარებთ“ პოეტის გული წარუტაცია და „თვალთა ნარგისთა“, „ყელთა ბროლებსა უტოლებსა“ და „ნარინჯთ ორნს, ტოლნს, სწორნს“ „ხელად“ უქცევიათ იგი.

ეს ადგილები ციტირებულია „ტანო ტატანოდან“ — ბესიკისა და საერთოდ ძველი ქართული სატრფიალო პოეზიის შედევრიდან, რომლის სუდანარევ და, ნაწილობრივ, ტრაგიკულ ინტონაციას განსაზღვრავს და უზარებელი სატრფოს ხილვის მიუწვდომელი სურვილი:

— ოდეს განახავდი, შვიმატი ათასი წელნი.

აწ დამლევიან ყოვლი. დღენი, უცხოდ ვარებო (35) —

და რომელშიც, ს. ცაიშვილის აღნიშვნისამებრ, მართალია, „უშუალო გრძნობად-კონკრეტული განცდა გასაოცარ სიძლიერეს აღწევს“¹⁹⁹, მაგრამ არსად იგრძნობა უხეში, ტლანჭი ეროტიზმი. ლექსის კეთილზმოვნების ვირტუოზისა და სილამაზის დიდი მომღერლის დამოკიდებულება სატრფოსადმი მეტად ფაქიზია და „უარდსა სასუროს“ მართოდენ იმის გამო კი არ ასხამს ზოტბას, რომ გარეგნულად სრულყოფილია, რომ მისი „თმა“ სათ-გიშერნი შეენიერი მინა ყელია“ და „ორნი ობოლნი, ნაზად მწოლნი, ბროლის ველია“ (48), არამედ, იმიტომაც, რომ იგი „სულით ქებულია“ და ამ მხრივაც არა ჰყავს „ღარი“.

„სევდის ბალის“ ავტორი, — რომელმაც კ. კეკელიძის შენიშვნისამებრ²⁰⁰, ისე მძაფრად. უშუალოდ, ღრმად და შთაგონებულად გამოავლინა სიყვარულის გრძნობა, როგორც არავინ რუსთაველის შემდეგ, — სიყვარულის ასეთი კონცეფციითაც უპირისპირდება აღმოსავლურ პოეზიას და გვევლინება წინამორბედად არა მარტო ალ. ჭავჭავაძის, არამედ გრ. ორბელიანისა და თვით ნ. ბარათაშვილისაც კი, რომლის მიხედვით „თვით უკვდავება მშენიერსა სულში მდგომარებს“.

ბესიკმა კ. კეკელიძისავე შენიშვნით თავისებურად გაიაზრა ბუღბუღლისადმი ვარდის დამოკიდებულების ტრადიციული მოტივიც, „სევდის ბალის“ ციკლის ლექსების მიხედვით, ვარდი სულაც არ არის ბუღბუღლის მიმართ გულგრილი და მის ტრფობას ქედმაღლობის, ზვიადოზის, თუ ამპარტაენობის გამო კი არ უარყოფს, არამედ შურს იძიებს დალატისათვის. ვარდისაგან შერისხულ ბუღბუღლს ჯერ ია განუმარტავს: „შენგან გვაჩნია გულსა ხაზი“, „ჩვენ დაგვთმეო და სხეას ემონები“, ღოლო შემდეგ ნარგიზი შეაგონებს —

199 ს. ცაიშვილი, ბესიკი; 1962, გვ. 27.

200 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 556.

ვარდი მით არი გულდაკლებითა,
რომ შენი იყო თავდადებითა,
თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა,
შენ რისთვის დასთმე სხვისა ხლებითა?
ნაცუალი მოგხვდა დანახსოვნებში (30).

შაგრამ ქართული ლიტერატურის ევროპეიზმის თვალსაზრისით მთავარი მაინც ის არის, რომ რეალური ტრფობის გამომხატველი ლირიკა ბესიკისა ღრმად დრამატულია და ეს დრამატიზმი — ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გაზიარებული შეხედულებით (კ. ჯიქელიძე, ალ. ბარამიძე, ს. ცაიშვილი, დ. გამეზარდაშვილი) — მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ საკითხებთან. დიახ, ბესიკის სევდა სულაც არ იყო გამოწვეული მარტოოდენ სატრფოს განშორების გამო დაუკმაყოფილებელი გრძნობით. მან კარგად იცოდა, რომ ამ განშორების მიზეზიც „მუხთალ სოფელში“ გაბატონებული შურიანობა, ცბიერება, მლიქვნელობა და ორპირობა იყო და ბესიკიც „უცხო ვინმე ყარიბი“ იმიტომ იყო „მაგინებელი, მგმობელი“ ამა მუხთლისა სოფლისა“ (391), რომლის „მკვლელი ბრჭყალები“ მასაც მოხვდა — („მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრჭყალები“, — ამბობს იგი „სევდის ბაღში“, „სოფლის ბრჭყალმან, ვით გრიგალმან, ჩემსა ბედსა უსწორა კილო“, — აღნიშნავს „ცრემლთა მდინარეში“) იმიტომ ჰყოცხავდა იგი სოფელს —

„ოი, სოფელო, პირად მყოფელო!
ოი, დრუკო, ცრუო! ოი, მრუდო, ცუდო!
ოი, შენსა პირსა ვინ ეტრფის, ტირსა!
ჰაი, ჰაი, გიციან, ოი, ეშმაკო ზღუდო! (III) —

რომ აქ დაუსჯელად პარპაშებდნენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების დამგესლავი, „ენით მკვლელი“ „გველები“, სიცრუეში გამოწვრთნილი და „მელის ქცევას“ დაუფლებული ადამიანები. შემთხვევითი არაა, რომ ეპიგრამაში „მზეჭაბუკ ორბელიანს“ ბესიკი ადრესატს ფიზიკურ სიმანხინჯესთან ერთად „გულდადარობას“ და „გულმავიშობას“ უკიყინებდა და მიმართავდა —

სამართალია, არ ღირს იყო მაგ სახელისა,
რადგან გიწვრთნია სიცრუე და ქცევა მელისა (98).
(ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

მოუწესრიგებელი „სოფლით“ ნასაზრდოები ავსიტყვაობა, — რომლის დამლუპველი ზეგავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მეთვრამეტე საუკუნის ევროპული ლიტერატურის მრავალ ძეგლში, განსაკუთრებით კი რიჩარდ ბრინსლი შერიდანის „ავსიტყვაობის სკოლაში“ (1777) დიდი მხატვრული დამაჯერებლობით არის გამოხატული, — ქცეულა

ერთ-ერთ, შეიძლება მთაჯარ, მიზეზად ბესიკოს არა მარტო სატრფოსა-
გან, არამედ „თანზრდილი“ „ყმა-მმათაგანაც“ განშორებისა, რაც ტრაგი-
კულად განუცდია პოეტს.

უცხონი თემით სოფლის ცემით გავიგარენით,
უპნობნი ვარდნი, ესგვარ დარდნი, დავიბძარენო,
არ ითქმის ენით, არცა სმენით, — ეს იკმარენით!

დაგებერნა ქარმან დაუწყენარმან, ზღუად ვ-ფარენით,

დაბინდნა თვალნი, შეუეპრთალნი, ცრემლით და ოფლით
(46) —

ამბობს ბესიკი „ცრემლთა ისხარწში“, რომლის მძაფრი დრამატიზმით და-
ძაბულ განწყობილებას შეესაბამება მიძღვნა დავით სარდლისადმი, სა-
დაც სოფლის მუხთლობით განაწამები პოეტი აღნიშნავს:

რაც შიირეწა სოფელმან, ვერღა დავსთვალე ჰამრითა
ოდეს ვიტყოდე ენითა, სისხლი შეეუშვლის დამრითა;
მისი სიმწარე ყოველი გულს გარდამრთხმინ კამრითა,
ბოლოს უშორებს ვლა მომცა, ვხელავცა წამიწამითა (79).

ბესიკი, სვეს რომ ჰკიცხავდა —

ქურდო ვკვარნო, ერთს ჰყიდი სამათ, არ ღირდეს ღრამათ,
ყანდებრ გვაგემებ, თუ გენახენ ხამად, ბოლოდ ხარ შხამად
(72), —

ადამიანის ძნელბედობას სვესა და „სოფლის დაუდგრომლობით“ გამოწ-
ვეულ ხვედრად მიიჩნევდა და თუ სვეს აღშფოთებით მიმართავდა:

მიძლითა შენთა ზე აღმასუო და წამს დამქვეო,
დიდგვარ დიდ საქმეთ ხეებრ შემხეო, ქვე დამნარცხეო! (71)

ამად დავშორდე, არ მინდა ზენი, შენგან საცაენი,
რომელ მაქვს შენით, ზღუად შენართენი, ცრემლის სათაენი!
(72).

სოფელს იმის გამო ემდუროდა, რომ —

ცისკარ-შთიები, სხვა ციები მირველ გვახარებს
და მერმე ჩრდილოს სასიკვდილოს ღრუბელს დაქვარებს
ამ დღე-ღამითა და ყამითა დავიმწარენით (47).

ციტირებულ ლექსებში ქართული „ალორძინების ხანის“ პერიოდი-
სათვის დამახასიათებელი სოფლის დაუდგრომლობის მოტივის ბესიკი-
სეულ აღქმას და გამოსახვის ტონს ზედმიწევნით ესადაგება რომან-
ტიკოსთა შემოქმედებაშიც თითქმის ლეიტმოტივად ქცეული ამავე მო-
ტივის გააზრება და გადმოცემის ტონიც. საილუსტრაციოდ საკმარისი

იქნებოდა ევროპული და ქართული რომანტიკული პოეზიის მრავალ ძეგლთან ადამ მიცკევიჩის „ყირიმულ სონეტებთან“ ერთად დავკვსახელებინა ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩა“, რომელშიც სოფლის დაუდგრომლობის მაგალითად წარმოდგენილი ოდესღაც „ზე აღზევებული“, მაგრამ დროთა ვითარებაში „ქვედანარცხებული“ გოგჩის ტბის მიდამოს ხილვით მიღებული შთაბეჭდილება დიდი მხატვრული განზოგადების ძალით და გულის სიღრმემდე მწვდომი ელეგაური ტონით არის გადმოცემული.

ბესიკის სატრფიალო ლირიკასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც აღნიშნულია, იგი არა მარტო თემის გააზრებით, არამედ ლექსის ფორმით და მხატვრული ქსოვილითაც ხშირად არღვევდა „ვარდ-ბულბულიანობის“ პოეზიის შტამებს და ამ მიმართებითაც ნერგავდა ევროპულ ლიტერატურულ გემოვნებას. ამ მხრივ სხვა ლექსებთან ერთად ყურადღებას იპყრობს საოცრად მელოდიური, აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი ჭარბი ეპითეტებისა და მეტაფორებისაგან თავისუფალი ლირიკული შედეგრი, რომლის სტრიქონებში —

ჰაერი ციენამიანი
ჩემთვის აღარა დღიანი;
მას ვშორავ გულსედიანი,
ვის მოლოდნა მაქვს გვიანი.
ქუფრხევეთ თვალცრემლიანი
აღარასადაა ხშიანი,
თავმოხრით ვნახე იანი,
სხიენი ჰკლებოდეს მზიანი —

ჩაქსოვილია სამშობლოს, სატრფოს და ტოლ-სწორებს მოცილებული კრემენჩუგში მყოფი პოეტის უღრმესი სევდა.

ბესიკის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დაბობილი ოდას, კლასიციტური პოეზიის საყურადღებო ჟანრს, რომლის განსაკუთრებული წარმატება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მხატვრულ მწერლობაში უდავო ფაქტია და რომელიც — აღმოსავლური ლიტერატურული გემოვნების შესატყვისად დამკვიდრებული ზღაპრულ-ფანტასტიკური დევ-გმირებისა და ველად გაჭრილი მიჯნურების ამბავთა ასახვის წილ სახელმოხვეჭილ რეალურ პიროვნებებს და კინკრეტულ-ისტორიულ ფაქტებს რომ ეძღვნებოდა — ევროპულ ლიტერატურულ გემოვნებას ნერგავდა და ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზმისაკენ მტკიცედ გადადგმული ნაბიჯი იყო.

კლასიციტური რეგლამენტაციის შესაბამისად მაღალი სტილით

შეთხზული ოდები ბესიკისა²⁰¹ („ქება სოლომონ მეფისა“ — „მაღალ-
 ღვარდოვანი ხობტა“ იმერეთის მეფისა, რომლის კარზე იგი „ქარის პო-
 ეტის მოვალეობას ასრულებდა“²⁰², ერეკლეს ძის ლეონის გარდაცვა-
 ლების გამო დაწერილი „სამძიძარი“ — „ახალი ქანრის ნაწარმოები,
 სამგლოვიარო ოდა“²⁰³ და სხვ. განსაკუთრებით კი ოდა-პოემები „ას-
 პინძისათვის“ და „რუხის ბრძოლა“), უწინარეს ყოვლისა, სამშობლოს
 დამოუკიდებლობისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაძლიერებისა-
 თვის მებრძოლ მეფეებს და სამეფო კართან დაახლოებულ დიდგვარო-
 ვანთა ღვაწლს ეძღვნებოდა და მათ ტიტანურ შემართებას, სიქველეს
 და გმირობას განადიდებდა. მაგრამ, იმავდროულად, ოდებშივე სამშობ-
 ლოს ავებდობის მწვევედ განმცდელი პატრიოტი პოეტი ქვეყნის პოლი-
 ტიკურ-ეკონომიური დაცემისა და საზოგადოებრივი ცხოვრების წარუ-
 მატებლობის მთავარ მიზეზად პარტიკულარიზმს, ურთიერთშუღლს და
 გაუტანლობას რაცხდა და მლიქვნელებს, ორპირებს და „ენით მკვლელ“
 გველებს მკაცრად ჰკიცხავდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა
 „რუხის ბრძოლა“ — „უაღრესად ენაწყლიანი სტილით, ნაწილობრივ
 პროზაულად, ნაწილობრივ ლექსად“²⁰⁴ დაწერილი პოემა, რომელშიც
 კლასიციზტური პოეტიკის შესატყვისად ცოცხალ, სისხლბორცით სავსე
 პერსონაჟების ნაცვლად გამოსახულია ორი სხვადასხვა იდეის მატარებე-
 ლი ერთმანეთისადმი მკვეთრად დაპირისპირებული სქემატური სახეები:
 თუ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის მატარებელი იმერლები და
 მეგრელები ერთიანად „მშვიდობიანობისა და ქრისტიანული სათნოების
 მოყვარულად“²⁰⁵ წარმოგვიდგებიან, აფხაზთა მთავარნი და მისი მომხ-
 რენი ხელალებით სისხლისმსმელ „აგარიანებად“ არიან გამოყვანილი.

ბესიკი — რომლის ეთიკურ მრწამსს გამოხატავს სიტყვები: „დიდ-
 თა მღვრთა საქმეცუდთა ბრძენი უწოდს არ მამაცად“ (123), „რუხის
 ბრძოლის“ დასაწყისში საზეიმოდ რომ აცხადებდა „დღეს დაცემა იქმნა
 ქედმაღალთა მათ უცხო თესლთა აგაროვანთა და აღსდგა პირი დავრ-
 დომილი ჩვენ ქრისტიანეთა“ (123), — უფრო მრავალრიცხოვანი და
 უკეთესად შეიარაღებული მტრის დამარცხებას მეფისა და ეროვნულ-
 სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლის ზნეობრივ-
 უფლებრივი უკანონობით ხსნიდა. აფხაზთა ლაშქრობის ეს უკა-
 ნონობა გამოხატულია „აგაროვანთა“ მოთავისადმი მიმართვაში — „მას-

201 დაწერილებით იხ. ალ. კალანდაძის ლიტერატურული ნარკვევები, 1972, გვ. 83—92.

202 ალ. ბარამიძე, ბ. გაბაშვილი, ბესიკის თხზულებების ზემოდასახელებული გამოცემა, გვ. 70.

203 იქვე, გვ. 20.

204 იქვე, გვ. 21.

205 იქვე, გვ. 22.

მიოდა, ზურაბ, შენისა სიბრძნისა სიბერე და ამაღ მიყვარდი, რომელ შენის ძველის სახლის ზღუდესა ახლის შენობის პირი ედგა; აწ-მე უბრალო ვიყო და — ხელი შეგიმართებინე უმეცრების კედლის მაშენებლად, რომემცა აღმშენებელი მკვიდრი გოდოლი დაგიტყვებიან და აგრევე გვარისა სახელოვანი სიმტკიცე უწვრთნელისა ჭორისა წიხნითა შეგიმუსრავს და ცვილებრ ნაზელი ზრდილობისა წესი გზასა უვიცსა ქვაღუნმარად დაგიგდიან“ (124).

ამასთან ერთად, ბესიკი საგანგებოდ აღნიშნავს სიკეთეს მაღალ ზნეობრივ საფუძველზე დამყარებულ „ერთპირობისა“, რომელიც მას გამარჯვების აუცილებელ საწინდრად დაუსახავს —

ერთპირობისა გზითა მრებელი
არს სახალისო სასტუმრებელი;
სადაა საქმე შეუძლებელი,
ღვი მუნ არის გამარჯვებული. (125).

ბესიკი, ახლო მდგომი „იმ ქართულ საზოგადოებრივ ჯგუფთან, რომლის ინტელექტუალური გამოვლინების მომენტი იყო XVIII ს. განმათავისუფლებელი ფილოსოფიის რაციონალიზმი“²⁰⁶, წარმოგვიდგება ბრწყინვალე სატირიკოსადაც. ვისი მახვილი სატირული ლექსები თუ პირადულ ხასიათს ატარებდა, სატირული პოემა „რძალ-დედამთილიანი“ საზოგადოებრივ მანკიერებას ამხელდა, რძალ-დედამთილის არანორმალური, ოჯახის მყუდროების დამრღვევ და ღირსების შემლახვე ურთიერთდამოკიდებულებას ჰკიცხავდა, ოჯახის უფროსის — ქმრის უგუნურებამდე მისულ დესპოტიზმს დასცინოდა და სასულიერო პირთა ანგარიანობასა და გაუმადლორბასაც ააშკარაებდა.

დ. გურამიშვილის „ქაცვია მწყემსზე“ ადრე დაწერილი „რძალ-დედამთილიანი“, რომელიც XVIII ს. ევროპულ ლიტერატურაში განმანათლებელთა მიერ ფართოდ დანერგილ „ბუხართან საკითხავ“ გასართობ წიგნთა რიგს მიეკუთვნება, ბესიკი პოემის დასაწყისშივე მიმართავს მკითხველს —

ამბავსა ქველსა მოგიხრობ, გულისა ამოდ მღებნელსა,
გახარებთ, ღია შეგაქცევთ ამა საქმისა მსმენელსა,
მოკაენეთა მოგიძღვნით მუფარახისა მფენელსა (148).

ქართულ მხატვრულ დამწერლობით ლიტერატურაში არსებითად დაბალი ფენების, კერძოდ, გლეხობის ყოფცხოვრებაზე დაწერილი პირველი მნიშვნელოვანი ძეგლია.

მაგრამ ქართულ მწერლობაში ევროპეიზმის შემოჭრისა და განვითარების თვალსაზრისით „რძალ-დედამთილიანი“ საყურადღებო მოვ-

²⁰⁶ გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 289.

ლენაა არა მარტოოდენ თემატიკის თვალსაზრისით, არამედ ფორმის მიხედვითაც, — პოემა განტვირთულია აღმოსავლური პოეზიის გავლენით დამკვიდრებულ „ფიგურალობისაგან“ და „გეხიბლავს თავისი ცოცხალი. უბრალო ენით, ხალხური სიტყვა-გამოთქმებით, თხრობის, დიალოგების სისადავით და ბუნებრიობით“²⁰⁷.

„რძალ-დედამთილიანისათვის“ დამახასიათებელი ენის ეს სისადავე შეინიშნება ბესიკის სხვა სატირულ-იუმორისტული ხასიათის ლექსებშიც. პოეტი, რომელიც თავის ბევრ ნაწარმოებში, განსაკუთრებით ოდებში ეპისტოლური ხასიათის ლექსებსა და პროზაულ ნაწერებში „ქარბად ხმარობს არქაულ ფორმებსა და ლექსიკას, ხშირად შეგნებულად ართულებს და არსებითად აბუნდოვნებს პოეტურ სახეებსა და ფრაზეოლოგიას, ერთი სიტყვით, წერს მაღალფარდოვნად ღვლარკნილად“²⁰⁸, ცოცხალი, უბრალო სასაუბრო ენით თხზავს სატირულ ლექსს „მზექაბუჯ ორბელიანს“, სადაც იყენებს ისეთ „მდაბიო“ გამოთქმებს, როგორცაა „დამპალო ლეშო“, „შენმა გახეთქამ“, და ა. შ. სანიმუშოლ რამდენიმე სტრიქონი ამ ლექსიდან —

„დამპალო ლეშო, თვალხენეშო, გულდადარაო,
ემშაკთ ბუდეო, ბექმრუდეო, კერათ სადარაო,
არუზიანო, კუზიანო, შაწუნწარაო

ბექ-მკერდი კუზი და კურტუმო გაქვს უკულმართო!

შენი მიჯნური ველად რბიან ბროლის ყელისა;
შენმა გახეთქამ, ეშხი მოკლავთ შენის წელისა (98),

ღამით ეშშაკსა შეგადრიან, დღისით „ბუაო“,
კარგი რამ დაბადებულხარ, მაგ პირს „ფუაო!“ (99).

ასეთივე „მდაბიო“ გამოთქმებით არის შეთხზული ხუმრობა „გაიოზ არკიმანდრიტს“ —

მაღალღირსებას კჰამდი მსუყე
მძიმედ მოსვლია, ვით მიწა უყე.
აგრე ძალიან რად გაიბუყე?
ბერი ხარ, ბეჩაე, მუცლის მოყმუყე,
აღმართე აფრა, მოიზუნზრუყე,
გზით მოიქარე, აქ ჩაიყუყე და ა. შ. (95).

ენის ეს თავისებურება ბესიკისა, რომელსაც თურმე ზეპირად სცო-

207 ალ. კალანდაძე, ლიტერატურული ნარკვევები, 1972, გვ. 97.

208 ალ. ბარამიძე, იხ. ბესიკის თხზულებათა ზემოდსახელებული გამოცემა, გვ. 27.

დნია მთლად ლექსიკონი ქართული²⁰⁹, სახელდობრ, ის, რომ მისი პოეზიისათვის დამახასიათებელია „ერთი მხრით ბუნებრივი, ხალხური სტილი. მეორე მხრივ — ენაწყლიანი ზვიადი არქაისტულ-რიტორიკული, ანტონისებური საეკლესიო ძალადი შტილი“²¹⁰, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარებული შეხედულებისამებრ (ჯ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ვ. თოფურია, ალ. კალანდაძე), იმის დამამტკიცებელია, რომ ბესიკი მტკიცედ იცავდა „სამი შტილის“ თეორიით დადგენილ რეგლამენტს. მართლაც, „ბესიკი, აღზრდილი საყოველთაოდ აღიარებული და ძალუმად მოქმედი თეორიის კანონებზე, ჩინებულად აკმაყოფილებდა მის (სამი სტილის. — დ. ლ.) არსებით მოთხოვნას“²¹¹. თუ ჟანრთა კლასიციტური რეგლამენტაციით „მალალ ჟანრებს“ მიკუთვნებულ ოდას „მალალი შტილით“ თხზავდა, „დაბალ ჟანრად“ აღიარებულ იუმორისტულ-სატირულ ლექსებსა და პოემაში „დაბალ შტილს“ მიმართავდა, ხალხურ სიტყვა-გამოთქმებს იმარჯვებდა, „მდაბიო“ სიტყვებს არ გაურბოდა და ცოცხალ, სადა, სასაუბრო ენას იყენებდა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ბესიკის შემოქმედებას ძალუმად ამჩნევია ანტონისა და მისი სკოლის მიერ დამკვიდრებული მწიგნობრულ-სტილური ტენდენციები, ხშირად შეგნებულად გართულეული და გაბუნდოვანებულია ენა და პოეტური სახეები, რაც ამძიმებს არტიტული ვირტუოზობით შესრულებულ მის ლექსებს, მაგრამ ეს ვერ ამცირებს მის როლს როგორც შემოქმედისა, რომელმაც ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩვენში ახალ ლიტერატურულ დინებას — ევროპული ლიტერატურული გემოვნების დანერგვას და განვითარებას.

ევროპეიზმის პრობლემა „გარდამავალი ხანის“ ქართულ ლიტერატურაში

„აღორძინების ხანის“ ქართული მწერლობის განვითარების ისტორია აშკარად გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის ევროპეიზმის გამოძკვებავ „დევის ძუძუს“ თვით მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე, არსებითად, მარტოოდენ ქართული ხალხური პოეზია და ჩვენი კლასიკური მწერლობა წარმოადგენდა, რომელსაც

209 ი. ბატონიშვილის „კალმასობის“ ზემოდასახელებული გამოცემა, ტ. II, გვ. 204.

210 ჯ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 561.

211 ვ. თოფურია, ბესიკის ზემოდასახელებული გამოცემისათვის დართული ლექსიკონი, გვ. 283.

სწორედ „აღორძინების ხანის“ მწიგნობრებმა მოაცილეს „დაცემის ხანის“ წყვდიადში¹ წყაროლი ფერფლი.

ცხადია, მომდევნო ხანაშიც კლასიკური მწერლობის მდიდარი ტრადიცია და ხალხური პოეზიის ამოუწურავი საუნჯე დარჩა ჩვენი ლიტერატურის ევროპეიზმის უმთავრეს წყაროდ. მყარ და უპტიკეცეს საფუძვლად მაღალი მხატვრული გამომსახველობის თვითმყოფადი ქართული ლიტერატურისა. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან — რუსულ-ევროპული ორიენტაციის გაძლიერებასთან ერთად „შესამჩნევად გაცხოველებული პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის შესატყვისად, ამ ქვეყნების კულტურისა და ლიტერატურის უფრო ახლო გაცნობით, რასაც მანამდე მხოლოდ სპორადული ხასიათი ჰქონდა, — იმ წყაროს ახალი ნაკადიც შეემატა. ქვეყნის საზოგადოებრივ ყოფაში დაწყებული ძვრების შესაბამისად, ევროპული ცხოვრების წესით, ევროპული მეცნიერებითა და კულტურით დაინტერესებული ქართველი მოღვაწენი თავიანთი ორიგინალური შრომებითა და რუსული და (უმთავრესად რუსულიდან) ევროპული ლიტერატურის ძეგლების ინტენსიური თარგმანით დასავლეთის პროგრესულ მოაზროვნეთა შეხედულებების გავრცელებასთან ერთად, ევროპული ლიტერატურული გემოვნების დანერგვასაც უწყობდნენ ხელს. ხოლო ამ ლიტერატურული გემოვნების მიხედვით, ქართულ მწერლობაში „ვარდბულბულიანობისა“ და ზღაპრულ-ფანტასტიკურ ამბავთა გადმოცემის წილ თანდათან მკვიდრდებოდა კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენათა თუ ცხოვრების საკვირბოროტო საკითხთა პოეზიის საგნად ქვეყნის მანამდეც წამოყენებული მოთხოვნა და აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი „ფიგურალური გამოთქმისა“ და „ყვავილოვანობისაგან“ თავისუფალი მხატვრული ქსოვილით გამოსახვის ტენდენცია.

მაგრამ, როგორც შესავალშიც იყო აღნიშნული, ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზმს ფართოდ გაეღო კარები მხოლოდ ჩვენი ქვეყნის რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა საქართველომ თავისი ბედი განუყრელად დაუკავშირა ერთმორწმუნე ჩრდილოეთს და ცხადი გახდა „ქართველი ხალხის განვითარების გზი, რუსეთის გზით ევროპასთან“. სწორედ რუსეთთან შეერთებამ იხსნა ქართველი ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან, განსაზღვრა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების ახალი, კაპიტალისტური გზა, ხელი შეუწყო ეროვნულ კონსოლიდაციას და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას და ფართოდ გაუღო კარი ევროპის ცივილიზაციას და კულტურას, რომელიც არცთუ უმტიყენეულოდ, მაგრამ ძლევამოსილად იკაფავდა გზას ჩვენს ქვეყანაში და რამაც განაპირობა ის, რომ „შემდგომად ექვსის ბნელის საუ-

¹ ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. I, 1960, გვ. 70.

კუნისა² „წესრიგისა და კეთილდღეობის“ შუქი საგრძნობლად შემოიკრა საქართველოში“ და „ძველი კოლხეთის პორიზონტი გააცისკროვნა“³.

საქართველოს რუსეთთან შეერთებასთან მკიდროდ არის დაკავშირებული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების მაჯისცემის გაუმჯობესება და საგანგებო ანტირუსი ევროპისადმი, თუმცა, როგორც ანტონ ბაგრატიონის შემოქმედების განხილვასთან დაკავშირებით ითქვა, ევროპული ცხოვრების წესის, მისი მეცნიერებისა და კულტურისადმი ეს ანტირუსი არც მანამდე იყო უცხო ქართველი ხალხისათვის, რომლის წარმომადგენლები, ნებისთუნებლიეთ რუსეთში ყოფნისას, ეცნობოდნენ იმ დროს რუსული საზოგადოების პროგრესულ ნაწილში ფესვგადგმულ „ეპოქის მადელვებელ იდეებს“, უმთავრესად ფრანგ განმანათლებლებიდან რომ მომდინარეობდა და, სამშობლოში დაბრუნებულნი, თავიანთი ლიტერატურული და პრაქტიკული მოღვაწეობით ამ იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ. ცხადია, იმ პირველ პროპაგანდისტთა უკან, ლევან ასათიანის შენიშვნისამებრ, იდგა „მასსა მკითხველებისა და თანამგრძნობელებისა, რომლებიც თავისი დაინტერესებით, ლიტერატურული ატმოსფეროს შექმნითა და თანდგომით ძლიერ იმპულსს და მასთან ნოყიერ ნიადაგს წარმომადგენდნენ საქართველოში ეპოქის განმანათლებელ იდეათა გადმოსანერგავად“⁴. ზედმეტი არ იქნება ასევე აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი მოღვაწენი ევროპელ განმანათლებელთა, განსაკუთრებით მონტესკიეს, ვოლტერისა და რუსოს შეხედულებებს რომ ავრცელებდნენ და მათ თხზულებებსაც გულმოდგინედ თარგმნიდნენ, სრულიად უყურადღებოდ სტოვებდნენ განმანათლებლური მოძრაობის ისეთ მნიშვნელოვან წარმომადგენელს, როგორც იყო დენი დიდრო, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმით უნდა აიხსნას, რომ ენციკლოპედიის სულის ჩამდგმელის მატერიალისტური მსოფლმხედველობა მიუღებელი იყო მათთვის.

პირველი ნაწარმოებები, რომელშიც გატარებული იყო „ის განათლებული აზრები და იდეები, რომელნიც აღეკვებდნენ და ასულდგმულებდნენ დასავლეთ ევროპას მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში“ და რომელსაც „ნამეტნავად ემჩნევა... ზეგავლენა მონტესკიეს თხზულებოისა „გულის ხმის ყოფისათვის სჯულთასა“ («Лyx законoв»)“⁵, იყო ალექსანდრე ამილახვარის (1750—1802) „ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განზრახვაი მისი სახელმწიფოისა მმართველობისა“.

2 ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1961, გვ. 223.

3 იქვე, გვ. 41.

4 ლევან ასათიანი, რჩული ნაწერები, ტ. I, 1958, გვ. 74.

5 ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური ძიებანი და შენიშვნები „მოამბე“, 1902, № 2, გვ. 18.

გარდა ამ პოლიტიკური ტრაქტატისა, ალ. ამილახვარს ეკუთვნის ორი ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები: „გეორგიანული ისტორია“, რომელიც, იმავდროულად, მემატინის ცნობებზე დაყრდნობით შედგენილ საქართველოს მოკლე ისტორიას წარმოადგენს, და „მოქმედება ასტრახანში“ — დიალოგს ფორმით შეთხზული მწვავე პამფლეტი. ორივე ნაწარმოებში ავტორის მიკერძოებულ დამოკიდებულებასთან ერთად ერეკლე მეორისადმი (რომელიც გამოყვანილია უზურპატორად და დესპოტად, ვინც, თითქოს, საკუთარი მამა — თეიმურაზ მეორეც — არ დაინდო და რუსეთს იმ მიზნით გაამგზავრა, რომ გსიდან ჩამოეცილებინა) აშკარად ჩანს ალ. ამილახვრის საფუძვლიანი და ფართო ევროპული განათლება. მაგრამ ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღების ღირსია ზემოთ დასახელებული „ბრძენი აღმოსავლეთისა“, სადაც გატარებულია ავტორის მიერ ღრმად გადაამუშავებული „ეპოქის მალეღებელი იდეები“, მოწინავე შეხედულებანი იმ „დიდი ადამიანებისა, რომელთაც საფრანგეთში ადამიანთა თავები გაანათლეს მოახლოებული რევოლუციისათვის“⁶.

ევროპელ განმანათლებელთა კვალდაკვალ ალ. ამილახვარი მომხარება განათლებული მონარქიისა, რომელსაც სათავეში უდგას ქვეშევრდომთა კეთილდღეობისათვის მზრუნველი მეფე, „რომელმან იცის უფლებები თვისი არა უსამძღვროდ, და რომელი მიიჩნევს მათაც თანა ჰსწორად თავისა კაცთა, რომელთა მისცეს მას უფლებები თავსა ზედა თვისსა“⁷.

ა. ამილახვარის შეხედულება მეფის მოვალეობათა თაობაზე ქართულ მწერლობაშიც, მაგ. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“, სრულყოფილად არის წარმოდგენილი და ამ მიმართებით ა. ამილახვარი არსებითად არაფერს ამბობს ისეთს, რაც მაინცდამაინც ევროპელ განმანათლებელთა გავლენაზე მიგვანიშნებდეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩემ მიერ ხაზგასმულ ფრაზაში გატარებულ მოსაზრებას, რომელიც სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის უარყოფისა და სახელმწიფოს ხელშეკრულების საფუძველზე შექმნის იმ დროს ღრმად პროგრესულ მოძღვრებას ეყრდნობა.

პოლიტიკური აზროვნების ისტორიის სპეციალისტთა აღიარებით, ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში ჩამოყალიბებულმა სახელმწიფოს ხელშეკრულების საფუძველზე შექმნის მოძღვრებამ, რომელიც მენჩიდმეტე საუკუნის ცნობილმა მოაზროვნეებმა: პუგო გროციუსმა, თომას ჰობს-

6 ფრ. ენგელსი, ანტი-ღურინგი, თბილისი, 1952, გვ. 20.

7 ალ. ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა და განზრახვი მისი სახელმწიფოსათვის მმართველობისა, „მოამბე“, 1902, № 2, გვ. 23. შემდეგში ადგილება დამოწმებული იქნება ამ უბილიკიის მახედვით, რომელიც ე. თაყაიშვილს ეკუთვნის, ფრჩხილებში აღნიშნული იქნება კვერდი.

მა, ჯონ ლოკმა და ბარუხ სპინოზამ გაიზიარეს, მახვილი პოლიტიკური და მეტ-ნაკლებად რევოლუციური შინაარსი ფრანგი განმანათლებლების, ეკროდ. შარლ მონტესკიეს, მეტადრე კი ჟან-ჟაკ რუსოს, ნააზრევში მიიღო.

მონტესკიეც და რუსოც, ისევე როგორც განმანათლებელთა დიდი უმრავლესობა, ადამიანთა თანასწორუფლებიანობას რომ აღიარებდნენ („ადამიანები თანასწორნი იბადებიანო“⁸, — აცხადებდა მონტესკიე, „ამ ქვეყნად ადამიანი თავისუფალი იბადებაო“⁹ — ამტკიცებდა რუსო), სახელმწიფოს ხელშეკრულების საფუძველზე შექმნას „ბუნებრივი სამართლით“ ასაბუთებდნენ და ადამიანთა მხრივ თავდაცვის, საკვების მოპოვების, საზოგადოებაში ცხოვრების სურვილით ხსნიდნენ. მათი აზრით, ეს იყო პირველმიზეზი თავისუფლად დაბადებული ადამიანების გაერთიანებისა სახელმწიფოში, რომელსაც უნდა დაეცვა თავისი ნებით დამორჩილებული, მაგრამ არსებითად დამოუკიდებელი და თავისუფალი ინდივიდის პირადი ხელშეუვალობა და საკუთრება. და თუ ხელმწიფე, რომლის ძალაუფლება, ამრიგად, სულაც არ არის ღვთისაგან ბოძებული და განუსაზღვრელი, არამედ ადამიანებისაგან არის მინიჭებული და განსაზღვრულია მოვალეობით — იზრუნოს ქვეშევრდომთა კეთილდღეობისათვის, დაიცვას ქვეყანა „შინაგანთა აღშფოთებათა“ და „გარეშე მტერთა“ შემოტევისაგან, — ვერ შეასრულებს ამ მოვალეობას, ბოროტად გამოიყენებს თავის უფლებას და, ა. ამილახვარის სიტყვებით რომ ვთქვათ, არ „მიიჩნევს მათცა თანაჰსწორად თავისა კაცთა, რომელთა მოჰსცეს მას უფლებანი თავსა ზედა თვისსა“, ხალხს უფლება აქვს აღარ დაემორჩილოს მას.

ამილახვრის მიერ გაზიარებული ეს შეხედულება, რომელიც ესადაგება „კანონების სულსა“ და „სპარსულ წერილებში“ გამოთქმულ მონტესკიეს მოსაზრებას („სპარსულ წერილებში“ მთავარი პერსონაჟი უზბექი სწერს თავის ადრესატს: „თუ ხელმწიფე იმის ნაცვლად, რომ უზრუნველყოს ქვეშევრდომთა ბედნიერება, მოინდომებს მათ დაჩაგვრას ან განადგურებას, დამორჩილების საბაზი წყდება, ქვეშევრდომთ აღარაფერი აკავშირებთ მეფესთან... და ისინი უბრუნდებიან თავიანთ ბუნებრივ თავისუფლებას“¹⁰), გაცილებით უფრო რადიკალურად აქვს ჩამოყალიბებული ჟან-ჟაკ რუსოს ტრაქტატში „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ“. რუსოს მიხედვით „ადამიანი იბადება თავისუფალი, მაგრამ იგი ყველგან ბორკილებშია. ვიდრე ხალხი იძულებულია იყოს მორჩილი და მორჩილია, იგი კარგად იქცევა, მაგრამ თუ ხალხი,

⁸ Ш. Монтескье, Избранные произведения, М., 1955, стр. 225.

⁹ Жан-Жак Руссо, Трактаты, 1969, стр. 152.

¹⁰ Ш. Монтескье, Персидские письма, 1956, стр. 242.

როგორც კი საშუალება ექნება მოცილოს უღელი. გადაადგებს მას, იგი უკეთესად იქცევა, რადგან იმავე უფლებით რომ იბრუნებს თავისუფლებას. რა უფლებითაც წაართვეს, მას ან ყველა საფუძველი აქვს დაიბრუნოს იგი, ანდა არ იყო არავითარი საფუძველი წაერთმიათ მისთვის თავისუფლება“¹¹.

ციტირებულ დებულებაში გატარებულ მოსაზრებას ადამიანთა თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების შესახებ რუსოსებური ძალით და არანაკლები ექსპრესიით ამტკიცებს ა. ამილახვარიც. მაგრამ „ზომიერ“ მონტესკიესთან უფრო ახლო მდგომი ქართლის უძლიერესი ფეოდალის — დიმიტრი ამილახვარის ეაეის მიერ აქედან გამოტანილი დასკვნა: სულაც არ ატარებს ენეველი მესაათის შვილის დასკვნის რადიკალურ ხასიათს. ა. ამილახვარი ბეჭითად რომ ამტკიცებს: „არცა ჯერ არს ვისმე შეურაცხებაი, ვინაითგან ერთი მეორისა დამპირნო არს: უკანასკნელი პირველისა და პირველი უკანასკნელისა დამოკიდებულ არს, და არცა ვის ძალუძს თქვამად თვისსა უმჯობესობისაი, ვინაითგან ერთი მეორისა სახმარად ვიშვებით და ერთი ერთისაგან ვგამოვიზრდებით ცხოვრებასა ჩვენსა, და ყოველნი ერთად და თანასწორად გარდაეშენდებით უცნაურსა მას ჩვენგან საუკუნესა; ხოლო ოდესაც ვვაგვზინჯავთ, აქაცა თანაჰსწორად ვვმოიღვართ, და არავინ არს უმჯობესი ერთისა, არცა ვინ უარეს მეორისა, გარნა ყოველივე ერთისა გვაშისა საერთოსა ასოთი“ (30—31. ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.), — თავის მსჯელობას რუსოსებური მგზნებარე მოწოდების ნაცვლად ერთგვარი სენტემენტალური ოცნებით ამთავრებს: „ნეტარ არს ერი და უმეტეს ბედნიერ, სადაც ბუნებითი ესე გაჰსინჯულებაი დაივანებს საერთოსა შინა კეთილოვნებისა მათისა სავანესა“ (გვ. 31).

ა. ამილახვარს ციტირებული მსჯელობა გამოთქმული აქვს ტრაქტატის „ბრძენი აღმოსავლეთისა“ მეექვსე თავში („თავი 3. გლეხთათვის გინა მიწისმოქმედთა კაცთა“), სადაც მეთვრამეტე საუკუნის ფრანგ ფიზიოკრატთა კვალდაკვალ იგი მარტოოდენ გლეხობას მიიჩნევს მატერიალური დოვლათის მწარმოებელ ძალად და, ამიტომაც, სახელმწიფოს საგანგებო მზრუნველობისა და დაცვის საზოგადოებრივ ფენად. ამილახვარის მიხედვით, „ხარისხი მათი (გლეხობისა. — დ. ლ.), თუმცა უკანასკნელად შერაცხულ არს სახელმწიფოს შინა, გარნა მოქმედებაი მათი მოიღების პირველობასა, რომელნი შეირაცხვიან მზრდელად ყოვლისა საერთობისა“ (გვ. 30). იგი მართებულად რომ ამტკიცებს, „ყოვლისა ნაკულუ-

¹¹ Ж а н-Ж а к Р у с с о, Т ра к т а т ы, 1969, с т р. 152.

ვანებასა მოთმენად შემძლებელ არს კაცი და არა უსაზრდოებისა, რომლითა ბუნებაი ჩვენი უწინარეს ყოვლისა მას ითხოვს, და არცა რისა ჰსცალს სხვისა განზრახვად, პირველ განმტკიცებისა თვისისა და რა სრულ უყოფს აგებულობასა თვისსა, მაშინ გონებაი მისი განვრცელდების და მიჰსწვდებისადა კიდემდე ყოვლისა სოფლისა მრავალთა გვართა განზრახვითა თვისთა“ (სწორი მოსაზრება, რომლიდანაც ერთი ნაბიჯილა რჩება დებულებამდე „მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებას“) დაბეჯითებით ამბობს: „აწ ამგვართა დამჭირნოთა ნივთთა მომპოვებელთა და მუშაკთა მისითა რა გვარ ჰმართებს დაცვაი და შეწევნაი განსამზობლად საქმეთა შინა მათთა, ესე ყოვლისა კეთილ-გონიერისა კაცისა უწყებელ არს“ (გვ. 30).

ქართულ მწერლობაში გლეხკაცის დაცვის მოტივი ადრეც შეინიშნებოდა. იგი არჩილის პოეზიაშიც გვხვდება. მეფე-პოეტი, როგორც არჩილის შემოქმედების განხილვასთან დაკავშირებით გვაქვს აღნიშნული, თანამედროვე საზოგადოებას აფრთხილებდა — „თუ ამოწყდა გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდაო“ და მოუწოდებდა — „გლეხს ძალი მოაშორეთაო“, მაგრამ სახელმწიფოში გლეხობის როლისა და ადგილის გაგებისა და მისი დაცვის აუცილებლობის არგუმენტაციის თვალსაზრისით არჩილსა და ამილახვარს შორის არსებითი განსხვავებაა, ამილახვარის ნააზრევს აშკარად ამჩნევია ევროპელ განმანათლებელთა ღრმა-იდუური გავლენა.

„ეპოქის მალეღებელ იდეებს“ საფუძვლიანად დაუფლებული და მათა კეთილმოქმედი გავლენის ქვეშ მყოფი ქართველი მოაზროვნე, რომელიც ზოგჯერ თითქმის სიტყვასიტყვით გადმოგვცემს განმანათლებლების შეხედულებებს — (მაგ., მისი მსჯელობა მეშვიდე თავში — „სამოქალაქო სჯულთა დადებისათვის“ — ყოველმა კანონმდებელმა ქვეყნის კანონებს საფუძვლად უნდა დაუდოს „პირველად მდგომარეობაი უამისა, ჩვეულებაი ერისა და მესამედ განჰსწვდებაი, ურომელთაოდ შემზადებული ჰსჯული მორჩილებისა ნაცვლად მოიყვანსა ერსა ურჩობასა და აღშფოთებასა, გინა უმჯობეს ყოვლისა ჰსჯულისა იყოს იგი, ვინაითგან ჩვეულებასა მათსა და ზნესა ეუცხოვების, და რადგან ყოველი კაცი ვითა სხვასა და სხვასა სახისაა, ეგრეთვე სხვა და სხვა გაჰსინჯვისა და ზმნისა, ვითა ყოველი ქვეყანაი სხვასა და სხვასა ჰაერისა, ესრეთვე მას შინა მცხოვრებნი, სხვა და სხვა ჩვეულებისა, და ამისთვის არა ეგების ერთისა ქვეყნისა, ჰსჯულისა მეორესა შინა დადებად“ (გვ. 31), — ზუსტად ემთხვევა მონტესკიეს „კანონების სჯულში“ გამოთქმულ შეხედულებებს საერთოდ და კერძოდ დებულებას — „თუ ქართველთა, რომ გონების ნასიათი და გულის ნება სხვადასხვა კლიმატის პირობებში უადრესად განსხვავებულთა, მაშინ კანონებიც უნდა შეესატყვისებოდ-

ნენ განსხვავებას ამ ვნებებისა და განსხვავებას ამ ხასიათებისა“¹²) — განმანათლებლების კვალდაკვალ სინდისის თავისუფლებას ქადაგებს, ქვეყნის ეკონომიური ძლიერების, მისი გამდიდრების საშუალებად ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას მიიჩნევს, მაგრამ სამშობლოს საერთო კეთილდღეობის საქმეში სავანგებო მნიშვნელობას სწავლა-განათლებას და მეცნიერებას ანიჭებს.

ტრაქტატში ა. ამილახვარი მკაცრად კიცხავდა სასულიერო პირებს, რომლებმაც „წესი სამღვდელი დასაბამთაგან თვისთა დადგინებულ კეთილისა განზრახვით, ხოლო უმეტეს მამშვიდებლად და აღვირქსხმად ბოროტებასა კაცთასა... ნაცვლად მშვიდობისა (აქციეს. — დ. ლ.) აღმამფოთებლად არა თუ მარტო მამულთა თვისთა, თუ ითქემის, ყოვლისა სოფლისა“ (28) და იმით გულგამწყრალი, რომ ეკლესიათა ურთიერთშუღლის გამო დაპყრობილ არს სოფელი უფროს ბოროტებათა, ვიდრე სახარბლისა მშვიდობითა“; აცხადებდა — „ეპგონებ უმჯობეს იყოს რჩევითა მათითა არა ვშევიწროებდეთ სხვათა მესარწმუნეთა და ნებას ეპსცემდეთ სჯულისამებრ თვისისა აღსარებისა“ (28—29).

სამშობლოს კეთილდღეობისათვის მზრუნველი მოღვაწე მაღალ შეფასებას აძლევდა ვაჭრებს და მათ საქმიანობას, რადგან მისი მტკიცებით, — რაც ესადაგება მონტესკიესვე შეხედულებებს, — „არა რაი არს ესრეთ განმადიდებელი, განმამლიერებელი სახელმწიფოისა, ვითარ სიმრაველი ვაჭართა და ვაჭრობაი მათი“ (29). ამილახვარი სულაც არ ხუჭავს თვალებს ვაჭართა ნაკლოვანებების მიმართ, მაგრამ ფუტყარს რომ ადარებს მათ — „ვაჭართა მიუღიესთ თავსა შორის თვისსა მჰსგავსებაი ბუნებით კეთილგონიერისა ფუტყრისა (რომელი მპოვნელი მზისა ქვეშე ყოვლისა სიტკბოებისა, შემოკრებს ბუდესა თვისსა და აღავსებს თავსა თვისსა და პატრონსა სიტკბოებითა)“, რჩევას იძლევა: „ხოლო თუმცა ვპოვნებდეთ რასამე ნაკლოვანებასა ვაჭართა შინა, ჰხამს ესრეთ მომთმენელ ვიყვნეთ, ვითარ იგი პატრონი ფუტყარსთა ისარსსა მისსა“ (გვ. 30).

ქვეყნის გამდიდრების თვალსაზრისით, ა. ამილახვარი ვაჭრობის გვერდით აყენებდა ხელოსნობას. იგი შეაგონებდა თანამემამულეებს, ხელი შეეწყობთ ხელოსნობის განვითარებისათვის და, უფრო ძვირიც რომ იყოს, უპირატესობა მიენიჭებინათ სამამულო ნაწარმისათვის. იმითომ, რომ „ფასი იგი ქვეყანასავე შენსა დაჰმთების და ერივე შენი ისარგებლების, და არცა შეირაცხვის შენთვის წარგებად, რადგან ყოველი მათი შენი არის და შენი ყოველი მათი“ (33). ა. ამილახვარის ეს შეხედულებანი გამომდინარეობდა „ეეროპეისმიდან“, რომლის დანერგვას ერთგულად ემსახურებოდა იგი, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების

¹² III. Монтескье, Избранные произведения, М., 1955, стр. 350.

ევროპულ წესს რაცხდა გზად თავისი ქვეყნის ქეშმარიტი წარმატებისა, რის უპირველეს და უკეთეს წყაროდ და საფუძვლად სწავლა-განათლებასა და მეცნიერებას მიიჩნევდა. ამილახვრის აზრით, უწინარეს ყოვლისა თავად მონარქი უნდა იყოს განათლებული, რადგან „არცა ჯერ არს უმეცართა კაცთა მთავრობაი ვისიმე, ვითარ იგი ბრმაი ბრმისა წინამძღომელად“ (32).

უადრესად საყურადღებოა ტრაქტატის მეცხრე თავი, რომელიც მიმართულია სისხლისმღვრელი ომების წინააღმდეგ და რომელშიც თანაბრად დაგმობილია მასობრივი ჯლეტის იარაღის გამომგონებელიც და მომხმარებელიც, „არა თუ შემომღებელი, მისი მხმარებლითურთ ვაქო, თუ ხელნიცა მისივე განზრახვით ჩვენდა მოცემულ იყოს ღმრთისაგან, განზრახვასაცა მისსა შევზარდები, და უძვირეს კბილთა მტაცებელთა ვკშვევრაცხ მას, ვიდრე ურჩეულესად ასოდ კაცთათვისო“ (გვ. 33), — აღშფოთებით წერს ამილახვარი, რომელსაც საქურველიც და ხელიც „დასაცველად სიცოცხლისა“ მიუჩნევია და „არა თუ ოდენ უბრალოდ სისხლთა ღვრათ ერთასა ოდენ სახელისათვის“ (გვ. 34). ა. ამილახვარის მთელი ამ მსჯელობის პათოსს გამოხატავს მისივე სიტყვები: „უკეთუმცა ქეშმარიტისა სახელოვნებისა მაძიებელ არს ვინმე, რაი არს უსახელოვნეს მშვიდობისა?“ (გვ. 33), რაც შეესატყვისება ყველა დროისა და ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა სულისკვეთებას და კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის მეტრძოლთა ზრუნვის საგანია დღესაც.

*

ევროპელ განმანათლებელთა, კერძოდ, მონტესკიეს, ვოლტერისა და რუსოს იდეების გავლენის ღრმა კვალი ემჩნევა ლიტერატურულ მემკვიდრეობას ვახტანგ ირაკლის ძე ბაგრატიონისა, რომელიც თავისი მაძის — ერეკლე მეორის მსგავსად საქართველოს კეთილდღეობას სამშობლოს ევროპულად განვითარებასთან აკავშირებდა, ერეკლეს დიდ ღვაწლად ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის ბრძოლას და ვაჭრობა-მრეწველობის დანერგვისათვის ზრუნვას მიიჩნევდა და სოლომონ პირველის განსაკუთრებულ დამსახურებადაც ფეოდალთა უფლებების შეზღუდვას რაცხდა.

ეს შეხედულებანი ისევე, როგორც განმანათლებელთა მიერ საყოველთაოდ აღიარებული დებულება — ადამიანი უნდა ფასდებოდეს არა გვარიშვილობის, არამედ პირადი ღირსებისა და დამსახურების მიხედვით, განათლებული აბსოლუტიზმის მომხრე ვახტანგ ბატონიშვილს გამოთქმული აქვს ნაშრომში „ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულობათა საქართველოსა შინა“, რომელიც პირველად რუსულ

ენაზე გამოქვეყნდა 1814 წელს¹³ სათაურით «Описание истории грузинского народа». მაგრამ განმანათლებელთა იდეების თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იმსახურებს „ეპისტოლენი საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა“¹⁴, განსაკუთრებით ამ ტრაქტატის რუსული თარგმანი, რომელიც 1812 წელს არის გამოქვეყნებული.

საქმე ისაა, რომ ქართული ტექსტი, რომელიც ვახტანგს საქართველოში შეუთხზავს („მე დაესთხვენ ეპისტოლენი ესე ეამსა მყოფობსა ჩემისასა საქართველოსა შინა“¹⁵, წერს ვახტანგი წინასიტყვაობაში), მეტიმეტად განსხვავდება რუსული ტექსტისაგან, რომელიც არსებითად ახალ ნაშრომს წარმოადგენს. ჯერ ერთი, რუსულ ტექსტში გვხვდება საკითხები, რომლებზეც ქართულში საერთოდ არ არის მსჯელობა; მეორეც, ქართულ ტექსტში ყრულ წარმოდგენილი „ეპოქის მალეღვებელი იდეები“ რუსულ ტექსტში ზედმიწევნით ნათლად არის გადმოცემული და ამასთანავე არგუმენტაციაც უფრო სრულყოფილია და დამაჯერებელი. ასე მაგალითად, ქართულ ტექსტში მოცემული მსჯელობა — სახელმწიფოში ყველას აქვს თავისი მოვალეობა ანუ, როგორც ვახტანგი ამბობს, „თანამდებობა“: „არ იქნების სოფელსა შინა მყოფ ვინმე მცირისაცა თანამდებობისა რასმე არ იყოს მქონებელ“, ადამიანი ფასდება თავის „თანამდებობისადმი“ კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, „ვინაილგან თანამდებობისა თვისისა სრულყოფით იქმნების კაცთა ბედნიერება“¹⁶ და შეგონება — „ყოველნი ესე კაცთა ბედნიერ მყოფნი საქმენი გამოდიან პირუთვნელსავე მისისა, ესე იგი მსგავსად თვისის თავისისა შეყვარებისაგან მოყვასთასა“¹⁷ რუსულ ტექსტში წარმოდგენილია მოწოდებად: შესაბამისად „ბუნების ხმისა ყოველ ჩვენს მოქმედებაში უნდა ვიყოთ სამართლიანი, არავინ შეურაცხვეყოთ, არავის მივაყენოთ ზიანი, აუცილებლობის შემთხვევაში რაც შეიძლება ნაკლები ბოროტება ჩავიდინოთ, ხელი შევეუწყოთ მოყვასის კეთილდღეობას საკუთარი ბედნიერების დაურღვეველად“¹⁸, რაც მთავრდება მტკიცებით: „ბუნებამ თავის ნამოქმედარზე ყველას ერთნაირი უფლება მიანიჭა და არ უვარაუდუნია მათ შორის რაიმე განსხვავება“¹⁹.

13 ქართული ტექსტი მხოლოდ ასი წლის შემდეგ — 1914 წელს გამოცა სარგის კაკაბაძემ.

14 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S-1113.

15 იქვე, ფურც. 3.

16 იქვე, ფურც. 11.

17 იქვე, ფურც. 12.

18 Письма грузинского царевича Вахтанга Ираклиевича. Перевод с грузинского Егор Чиласва, Санкт-Петербург, стр. 10—11.

19 იქვე, გვ. 11.

ამ მტკიცებას, ასე რომ ესადაგება მონტესკიესა და რუსოს შეხედულებებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობაზე, ისევე როგორც შეგონებას „ბუნების ხმის“ შესაბამისად მოქმედებაზე, რაც ზედმიწევნით გამოხატავს განმანათლებლების, კერძოდ, რუსოს შეხედულებას (ტრაქტატში „უთანასწორობის წარმოშობის შესახებ“ ენეველი მოაზროვნე — „ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის თანალობას“ მიიჩნევს „კანონის, ზნეობრიობისა და ქველმოქმედების“ შემცველ „ბუნებრივ გრძნობად“ და ასაბუთებს, ამ გრძნობიდან გამომდინარეობსო „ბუნებრივი ადამიანის“ მიერ აღიარებული დანიშნულება — „იზრუნე შენი კეთილდღეობისათვის იმით, რომ ნაკლები ბოროტება მიაყენო სხვას“²⁰), საფუძვლად უდევს „ბუნებრივი სამართალი“ — ევროპელ განმანათლებელთა მიერ საყოველთაოდ გაზიარებული და დამკვიდრებული მოძღვრება, რომელიც წარმოადგენდა „მეთვრამეტე საუკუნეში სოციალურ-პოლიტიკური კრიტიკისა და ახალი სოციალურ-პოლიტიკური იდეების ყველაზე დამახასიათებელ ფორმას“²¹.

საყურადღებოა, რომ საერთოდ ვახტანგის ამ ტრაქტატში (რომელიც ფორმის მხრივ მონტესკიეს „სპარსული წერილების“ ასოციაციას იწვევს. აქაც მეგობრისადმი მიწერილ წერილებშია გადმოცემული ავტორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი) განსაკუთრებით იგრძნობა რუსოს იდეური გავლენა. მსგავსად ენეველი მესაათის შვილისა, რომელიც აცხადებდა „ყველაფერი, რასაც შემოქმედი ქმნის, სუფთაა, ყველაფერი ფუჭდება ადამიანის ხელში“, ირაკლი მეფის ძეც მანკიერებათა არსებობას რომ აღიარებს, ამბობს: ამ მანკიერებებს ბუნებას მიაწერენ, მაგრამ „კეთილსინდისიერი გამოკვლევისას ადამიანი დაინახავს, რომ ბუნება არ წარმოქმნის მათ და მარტოოდენ ჩვენი დაუყვირებლობით მივაწერთ მას ბუნებასო“²². რუსოს იდეური გავლენა კიდევ უფრო აშკარად ჩანს „წერილებში“ კერძო საკუთრებაზე მოქმედებულ თვალსაზრისში. ანალოგიურად „უთანასწორობის წარმოშობის შესახებ“ ტრაქტატის ავტორისა, რომელიც საკუთრებას თვლიდა პირველმიზეზად „უამრავ დანაშაულთა, ომთა, მკვლელობათა, უბედურებათა და საშინელებათა“²³, ვახტანგის შეხედულებითაც „საკუთრებამ მოუხსპო ადამიანებს სიშშიდე, თავს დაატეხა ათასგვარი უბედურება, იგი იქცა მძიმე ტვირთად“²⁴. მაგრამ ერეკლე მეფის ძე სულაც არ იყო სა-

20 Ж а н - Ж а к Р у с с о, Трактаты, стр. 67.

21 В. П. Волгин. Историческое значение Вольтера, см. сб. Вольтер, Статьи и материалы под редакцией академика В. П. Волгина, М.-Л., 1958, стр. 11.

22 ვ. ბატონიშვილის დასახ. „წერილები“, გვ. 12—13.

23 Ж а н - Ж а к Р у с с о, Трактаты, стр. 72.

24 ვ. ბატონიშვილის დასახ. „წერილები“, გვ. 22—23.

კუთრების წინააღმდეგი საერთოდ და საზოგადოებაზე საკუთრების ასეთ ზემოქმედებას მისი თვისებიდან გამომდინარე გარდაუვალ მოვლენად კი არ თვლიდა, არამედ იმის შედეგად მიიჩნევდა, რომ „ადამიანებმა, რომლებიც უმეცრებიდან ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გამოსულან, არ იციან ქეშმარიტი გზა, დაიკმაყოფილონ... საზოგადოებათა წარმოშობა-სა და გამრავლებასთან“ ერთად „შობილი ახალი საჭიროებანი და ახალი ვნებანი“ და ამიტომაც „თავიანთ უნისაყოლილებმა მიმართეს მრავალნაირ უსამართლობას“ და „მყუდროება მიიშალა საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში“²⁵.

ციტირებული მსჯელობიდან კარგად ჩანს, რომ „წერილების“ ავტორი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერებათა და იქ გაბატონებულ მრავალნაირ უსამართლობათა მიზეზად საკუთრებას კი არ აცხადებდა, ანდა მათგან თავდაღწევის საიმედო საშუალებად პირველყოფილი ველური მდგომარეობისაკენ დაბრუნებას კი არ რაცხდა (რასაც მიაწერდნენ რუსოს მისი მოძღვრების უმართებულო გაგების საფუძველზე და ბევრი მისი მიმდევარი ქადაგებდა კიდევაც), არამედ ადამიანთა განათლების უკმარობას აღიარებდა და ცოდნას სახავდა მოვლენად, რომელიც უჩვენებდა ადამიანებს მოთხოვნათა დაკმაყოფილების ქეშმარიტ გზას, ასწავლიდა, როგორ დაემორჩილებინათ გონებისათვის „უვიცობით“ გამოწვეული ზღვარდაუდებელი ვნებანი და უინი.

იმ საკითხთაგან, რომლებზეც ქართულ ტექსტში საერთოდ არაფერია ნათქვამი, ყურადღებას იპყრობს რუსულ ტექსტში წარმოდგენილი შეხედულება სარწმუნოებაზე. ვახტანგი მკაცრად აკრიტიკებს იმ ფილოსოფოსებს, რომლებსაც „საკმარისი გულმოდგინებით“ არ გაუტყვევიათ მიზეზი სარწმუნოების სახელით ჩადენილ ბოროტებათა და „კაცობრიობის კეთილდღეობის ერთი წყაროთაგანი“²⁶ არსებულ „უწესრიგობათა და უბედურებათა“ სათავედ მიუჩნევიათ. ამ ფილოსოფოსთა შორის, უნდა ვიფიქროთ, უწინარეს ყოვლისა, ნაგულისხმევია ვოლტერი, ვინც (იმის გამო, რომ მრისხანედ ებრძოდა ფანატიზმს, მკაცრად აკრიტიკებდა ქრისტიანულ რელიგიას, რომელმაც, — ვოლტერის განცხადებით, — თავისი შეუწყნარებლობით ჩვიდმეტი საუკუნის განმავლობაში ჩვიდმეტი მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, — და კათოლიციზმის წინააღმდეგ ამხედრებულმა საფრანგეთის ეროვნული გმირი ჟანა დ'არკიც კი არ დაინდო, ეკლესიის მიერ წმინდანად გამოცხადებული მწყემსი ქალი „ორლეანელ ქალწულში“ ცინიზმის საგნად აქცია) სარწმუნოების უარყოფელად, ათეისტად იყო აღიარებუ-

²⁵ ვ. ბატონიშვილის დასახ. „წერილები“, გვ. 22.

²⁶ იქვე, გვ. 7.

ლი. ამავე დროს ვოლტერისათვის ათეიზმიც ისევე მიუღებელი იყო, როგორც ფანატიზმი: „ათეიზმი და ფანატიზმი ორი ურჩხულია, რომლებიც გლეჯენ და ყლაპავენ კაცობრიობას“—²⁷ — აცხადებდა ვოლტერი; და თუ ფანატიზმის წინაშე ათეიზმს ერთგვარ უპირატესობას ანიჭებდა, მსოლოდ იმდენად, რამდენადაც ათეიზმი „თავის ცდომილებაში ინარჩუნებს გონებას, რომელიც კვეცს მას (ურჩხულს. — დ. ლ.) ბრკყალებს“²⁸. ვოლტერი იმ აზრის იყო, რომ მორალის თვალსაზრისით „მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის“ გაცილებით უკეთესია „ირწმუნო ღმერთი, ვიდრე არ აღიარო იგი... ადამიანებისათვის აუცილებელია არსებობა ღმერთისა, რომელიც სჯის მას, რაც არ შეუძლია ალყვეცოს ადამიანთა მართლმსაჯულებამ“²⁹ და დაბეჭილებით ამბობდა „თუ სარწმუნოება თავიდან აგვაცილებს ათიოდე მკვლელობას, ცლისწამების ათიოდე შემთხვევას, ათიოდე უსამართლო განაჩენს ღედამიწაზე, ვფიქრობ, ასეთი სარწმუნოება უნდა მიიღოს ქვეყანამო“³⁰. ასე რომ, ვოლტერი უარყოფდა არა სარწმუნოებას, არამედ ეკლესიურ დოგმას, სარწმუნოებრივ შეუწყნარებლობას, ფანატიზმს, რომელიც შეუღლსა და მტრობას თესავდა მორწმუნეთა შორის. ამ თვალსაზრისით „წერილებში“ ვახტანგი, რომელიც დაუსახელებლად აკრიტიკებს ვოლტერს, არსებითად „ფერნეს პატრიარქის“ მიმდევრად გვევლინება. ვახტანგიც ზნეობრივი თვალსაზრისით განიხილავდა სარწმუნოებას და ზემოციტირებულ შეხედულებას („სარწმუნოება არის ერთი წყაროთაგანი კაცობრიობის კეთილდღეობისა...“) ასე აგრძელებს: „...მაგრამ უვიცობაში ჩაძირულმა და დაუოკებელ ვნებებს აყოლილმა ადამიანებმა იგი ოდესდაც ბოროტების იარაღად აქციეს. დროთა ისტორიაში ჩვენ ვხედავთ, რომ პატივმოყვარენი, ცბიერნი და სისხლმწყურვალნი თავიანთ ბილწწამოწყებებს რელიგიისათვის თავგამოდების საბურველით ფარავდნენ და კაცობრიობის მოდგმას სასიკვდილოდ თავს რომ ესხმოდნენ, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, ღვთის ხმას ვემორჩილებითო“³¹. ციტირებული მსჯელობა, როგორც იტყვიან, კომენტარს არ საჭიროებს. იგი ზედმიწევნით გამოხატავს რელიგიის საკითხებზე ჟან კალასის დამცველის თეორიულ მოძღვრებასა და მხატვრულ პრაქტიკაში გატარებულ შეხედულებათა პათოსს.

ვახტანგ ბაგრატიონის ტრაქტატის ქართული და რუსული ტექსტების არსებითი განსხვავება (რის გამოც ისინი, მიუხედავად „ეპისტოლე-

²⁷ Вольтер, Бог и люди, статьи, памфлеты, писъма в двух томах т. II, стр. 91.

²⁸ იქვე, გვ. 91.

²⁹ იქვე, გვ. 90.

³⁰ იქვე, გვ. 100.

³¹ ე. ბატონიშვილის დასახ. „წერილები“, გვ. 7-8.

ნის“ წინასიტყვაობაში ვახტანგის განცხადებისა, — ... შემდგომად აქა (პეტერბურგს. — დ. ლ.) მოსვლისა ჩემისა, მე ვაჩვენე იგი („ეპისტოლენი“ — დ. ლ.) აქ მყოფთა ძმათა და სხვათა მცნობთა ქართველთა, რომელთაც მაიძულეს მე, რათა მიმეცა იგი სათარგმნელად და დასაბეჭდავდაცა“³², მართებულად არიან მიჩნეულნი ერთისა და იმავე წინაარსის სხვადასხვა ნაშრომად), პროფ. ივანე სურგულაძის შეხედულებებში³³, გამოწვეული იყო იმით, რომ მათ ერთმანეთისაგან ათი წელი ამორებდა და ამ ხნის განმავლობაში რუსულ ენას დაუფლებულ ვახტანგს, რომელიც, როგორც ცნობილია, ტრიალებდა იმ წრეში, სადაც საკმაოდ პოპულარული იყო ევროპელ განმანათლებელთა იდეები, შეეძლო გაცნობოდა თარგმანთა საშუალებით ამ იდეებს. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულ ტექსტში ყრულ გამოთქმული შეხედულებების „ეპოქის მალეღვებელ იდეებად“ მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და გამოხატვის საქმეში საგანგებო როლი მიუძღოდა „ეპისტოლენის“ მთარგმნელს იაგორ ჭილაშვილს, რომლის 1812 წელსვე, ვახტანგის ტრაქტატის იმავედროულად გამოქვეყნებული ორიგინალური ნაშრომის „ბუნებითი სამართლის მონახაზის“ ზოგიერთი ადგილი, ი. სურგულაძის მართებული შენიშვნისამებრ, სიტყვასიტყვით ემთხვევა „წერილების“ შესატყვის ადგილებს.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის რუსეთში „ბუნებრივი სამართლის თეორიის დემოკრატიული მიმართულების“ თვალსაჩინო წარმომადგენელი და „დეკაბრისტების ერთ-ერთ იდეურ წინაპრად“³⁴ აღიარებული იაგორ ჭილაშვილი, უწინარეს ყოვლისა, განმანათლებელთა მემარცხენე ფრთის ყველაზე რადიკალური შეხედულებების გამოხატველის, ეან-ეაკ რუსოს მიმდევარია. განმანათლებელთა ანალოგიურად იაგორ ჭილაშვილი სახელმწიფოს ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობას რომ აღიარებდა, თავის შეხედულებას ადამიანთა თანასწორუფლებიანობაზე არსებითად რუსოს დებულების პერიფრაზით გამოხატავდა და ამტკიცებდა: „ყველა ადამიანი თავისუფალია, ყველა ადამიანი თანასწორია პირადი თავისუფლებისა და თანასწორობის მიხედვით და, მაშასადამე, არც არავინ არის მოვალე სხვისა, ანდა ერთსაც იმდენი მართებს

³² კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 1113, ფურც. 3.

³³ პროფ. ი. სურგულაძემ ნება დამართო ხელნაწერში გაცნობოლი მის ნაშრომს ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიის საკითხებზე და მომიწოდა იაგორ ჭილაშვილის ნაშრომის „Начертание права природного“ ფოტო-ასლი, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ.

³⁴ Б С Э т. 47, გვ. 377—378.

მეორესი, რამდენიც მეორეს — პირველისა“³⁵. როგორც ცნობილია, განმანათლებელთა მიერ წამოყენებული ეს პრინციპი საფუძვლად დაედო საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დასაწყისში დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას“, რომლის პირველი პარაგრაფის მიხედვით — „ადამიანები იბადებიან თანასწორნი და თანაბარი უფლებები აქვთ“, ხოლო ბოლო პარაგრაფის თანახმად — „საკუთრება არის ხელშეუხებელი და წმიდა უფლება“.

ი. ჭილაშვილი თავისი ნაშრომის მესამე თავში სიტყვასიტყვით რომ იმეორებდა დეკლარაციის პარაგრაფს საკუთრებაზე — „ყოველი ადამიანის პირადი საკუთრება და თავისუფლება წმინდა და ხელშეუხებელი უნდა იყოს“, დაბეჭდვით აცხადებდა: „მას (ადამიანს. — დ. ლ.) ერთადერთს აქვს უფლება — საკუთარი ნებისამებრ მოეპყრასა მას (პირად საკუთრებას და თავისუფლებას. — დ. ლ.) და „მან ძალით უნდა მოიგერიოს ყოველგვარი თავდასხმა, რომელიც ემუქრება მის პირად საკუთრებას და თავისუფლებას“³⁶.

განმანათლებელთა რადიკალური ფრთიდან მომდინარე ამ დებულებას (რომელიც დღესაც აქტუალურია და მანამდე არ დაკარგავს მნიშვნელობას, ვიდრე იარსებებს საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც უშვებს სხვათა თავისუფლების უკანონო მიტაცებას) განსაკუთრებით ღრმა პროგრესულ-რევოლუციური აზრი ჰქონდა იმ პერიოდში, როცა „მსოფლიოს უმეტეს ნაწილში ადამიანი ჯერ კიდევ მონად, ნივთად რჩებოდა, როცა რუსეთის იმპერიასა და სხვა ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სახელმწიფოებში მილიონობით ყმა-გლეხები იყვნენ, ხოლო ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ ინგლისსა და ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიებში მონებით ვაჭრობა იყო გაცხოველებული“³⁷.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს „მონახაზში“ მსჯელობა შრომაზე, როგორც პროცესზე ადამიანსა და ბუნებას შორის და ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ერთადერთ საშუალებაზე. ჭილაშვილის მტკიცებით, „ადამიანი ბუნებრივ საჭიროებას იკმაყოფილებს მიწის ნაწარმოებით“, რომელიც მან უნდა „მოიპოვოს, ესე იგი თავის ძალაუფლებას დაუმორჩილოს“, რაც „სხვანაირად არ შეიძლება, თუ არა შრომით“³⁸; ამიტომაც იგი მარტოოდენ საკუთარი შრომით მოპოვებულ

35 E. Ч и л а е в. Начертание права природного, Санкт-Петербург, 1812, стр. 42--43.

36 იქვე.

37 Всемирная история, т. VI, 1959, стр. 22.

38 ი. ჭილაშვილის დასახელებული ტრაქტატი, გვ. 38.

პირად საკუთრებას მიიჩნევს უფლებამოსილად. ადამიანის თანასწორ-
უფლებიანობის აღიარებიდან გამომდინარე ეს ღრმად პროგრესული
დებულება უდავოდ წინასაფხურია პრინციპისა — „ვინც არ შრომობს,
ის არც ჭამს“, რომლის საყოველთაოდ განხორციელება ჯერ კიდევ მო-
მავლის საქმეა.

არანაკლებ საყურადღებოა ი. ჭილაშვილის მსჯელობა განათლება-
ზე, რომელსაც ტრაქტატში ცალკე თავი ეძღვნება. საპირისპიროდ მო-
ძღვრებისა სამყაროს შეუცნობადობაზე, რომელსაც ისეთი დიდი მოაზ-
როვნე იზიარებდა, როგორიც იყო იმანუილ კანტი, ი. ჭილაშვილი ამტ-
კიცებდა, ადამიანს შესწევს უნარი გარე სამყარო შეიმეცნოსო და განათ-
ლების უპირველეს მნიშვნელობად იმას თვლიდა, რომ იგი ავითარებს
სწორედ ამ უნარს და საშუალებას გვაძლევს ჩაეუყვირდეთ „ნიეთთა
ურთიერთკავშირს, შევიმეცნოთ ნიეთთა ბუნება და ადამიანის მყოფო-
ბასთან მათი შეფარდება“, ჩავწვდეთ ჩვენზე ზემოქმედების მქონე „მო-
ვლენათა მიზეზშედევობრიობას“³⁹ და ამით დავემორჩილოთ ბუნება
ჩვენს ძალაუფლებას.

განმანათლებელთა მოძღვრების პირველ ქართველ პროპაგანდისტ-
თა შეხედულებების ამ ზოგადი განხილვიდანაც, აშკარად ჩანს, რომ ეს
ქართველი მოღვაწენი რუსეთსა და ევროპაში გავრცელებულ ახალ პრო-
გრესულ იდეებს საქართველოში არსებულ პირობებს რომ უფარდებდ-
ნენ, მათ ქართველი ხალხისთვისაც ცხოველმყოფელობას ანიჭებდნენ, რი-
თაც მნიშვნელოვნად უწყობდნენ ხელს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვ-
რების ევროპული გზით განვითარებას, მის ყოფა-ცხოვრებასა და კულ-
ტურაში ევროპეიზმის დანერგვას.

XVIII—XIX სს. მიჯნაზე მოღვაწე ქართველ მოაზროვნეთა აქ განხილულ
შეხედულებებიდან აშკარად ჩანს, რომ ისინი, ჩვენი ქვეყნის პოლიტი-
კურ-ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ევროპულ წესით
წარმართვას რომ უკავშირებდნენ სამშობლოს კეთილდღეობას, საფუძე-
ლიანად ფლობდნენ და თამამადაც ეყრდნობოდნენ ევროპაში გავრცელე-
ბულ მოწინავე იდეებს, რომლებსაც ორიგინალურ თხზულებებში ადგი-
ლობრივი პირობების გათვალისწინებით გადამუშავებული სახითაც აც-
შობდნენ საზოგადოებას და ამ იდეების შემკველი უმნიშვნელოვანესი
ქეგლების თარგმანების გზითაც აწვდიდნენ მკითხველებს.

ამ მიმართებით უკვე დასახელებულ „პირველ მერცხალთა“ შორის
საგანგებო დამსახურება მიუძღვის დავით ბაგრატიონს, საქართველოს

³⁹ ი. ჭილაშვილის დასახელებული ტრაქტატი, გვ. 28.

უკანასკნელი მეფის გიორგი XIII უფროს ვაჟს, რომლის მთარგმნელობითი მოღვაწეობა და ორიგინალური შემოქმედება მკიდროდ არის დაკავშირებული ქართული ლიტერატურის ევროპეიზმთან.

ერეკლეს კარზე ფეხმოკიდებული დასავლური ორიენტაციის შესაბამისად პატარა კახის უფროს შვილიშვილს თავისი დროისათვის საფუძვლიანი ევროპული განათლება მიუღია. მის სწავლა-აღზრდაში დავით რექტორთან ერთად, რომელსაც ბატონიშვილი თავის ლალას უწოდებდა, ერეკლეს მიერ მოწვეულ ავსტრიელ მეცნიერს გეტინგსაც მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია, ერეკლეს კარზე პოტიომკინის პოლიტიკურ აგენტს დოქტორ იაკობ რეინეგსაც მონაწილეობა მიუღია და იტალიელ მისიონერებსაც გარკვეული წვლილი შეუტანიათ.

„უგონიერესი, ცქვიტი, ფხიზელი, მარჯვე სიტყვითა და საქმითა“⁴⁰ დავითი, რომელსაც გიორგი მეფემ სიცოცხლეშივე დაუმტკიცა ტახტი, ბერეეს რედაქციით გამოცემულ კავკასიის არქეოლოგიური კომისიის მიერ შეგროვილ აქტებში დახასიათებულია, როგორც უაღრესად ერთგული საფრანგეთის ახლანდელი წესრიგისა და პატივმცემელი ბონაპარტისა⁴¹.

„ფრანგი განმანათლებელი ფილოსოფოსების იდეების ერთ-ერთი პირველი მიმდევარი და პროპაგანდისტი საქართველოში, რის გამოც საფუძვ კარის გარშემო თავმოყრილ კონსერვატიულ წრეებში ოპოზიცია“⁴² შექმნილა, ვოლტერის თავყვანისმცემელი ყოფილა, რასაც მამის დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია⁴³.

დავით ბაგრატიონს, რომლის გარდაცვალების გამო პეტროგრადის გაზეთს გამოუქვეყნებია წერილი სათაურით „ვოლტერიაანელის სიკვდილი“⁴⁵, გარდა ფრანგულ ენციკლოპედიაში გამოქვეყნებული ვოლტერის წერილებისა „სიბრძნისმოყვარეობა არს კეთილისა — მოქმედება“ „სეკთათვის“, „კეთილის მოქმედება“, „ანგელოზთათვის“, „ანგელოზთათვის ჰინდურთა, სპარსელთა და სხვათა“⁴⁶, გადმოუქართულებია „ფერნეს

40 პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1936, გვ. 39.

41 Акты, Собранные Кавказской археологической комиссией под редакцией Берже I, стр. 389, იხ. ტრ. რუხაძის „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“, თბილისი, 1954, გვ. 102-103.

42 გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბილისი, 1958, გვ. 68-69.

43 პლატონ იოსელიანის დასახელებული თხზულება, გვ. 70.

45 ტრ. რუხაძე, შემოდასახელებული ნარკვევი, გვ. 107.

46 ვოლტერის ნაწარმოებთა დავით ბაგრატიონისეულ თარგმანებზე დაწერილებით იხ. გ. მიქაძის შრომა „XVIII ს. შორეუ ნახევრისა და XIX ს. პირველი ნახევრის ქართველი მწერლები და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა“, წარდგენილი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1973, გვ. 382-392.

პატრიარქის" თხზულებაც „შობისათვის“⁴⁷. ამ თარგმანში, ტრ. რუხაძის წინიშენისამებრ, დავით ბაგრატიონი „არ იჩენს მონურ დამოკიდებულებას თარგმნილი ავტორისადმი, უდგება მას კრიტიკულად და ზოგჯერ უფრო რადიკალურ აზრს გამოთქვამს“⁴⁸.

საერთოდ, სათარგმნი ნაწარმოებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება დამახასიათებელი ნიშანია დავით ბაგრატიონის მთარგმნელობითი პრაქტიკისათვის. სანიმუშოდ მივუთითებთ მონტესკიეს „კანონების სულის“ დავით ბაგრატიონისეულ თარგმანს სათაურით „გულის ხმის ყოფისათვის სჯულთას“, „რომელიცა — დავითის სიტყვით — არს ერთიცა ესე უმჯობესთა წერილთაგანი ყოველსა ევროპასა შინა“⁴⁹, მონტესკიეს მიერ ამ თხზულების მეფოთხმეტე თავის მეექვსე წიგნში გამოთქმულ შეხედულებას — „პეტრე პირველმან მსუტრველმან შეტანისა როსიასა შინა ხარკისასა, ქმნა კეთილ წესად შემოღებაი. რომელსა აწცა შედგომილ არიან; უკეთუ რიცხვი გლახთა შემცირდების, აძლევენ კვალად ეგოდენსავე და უკეთუ განმრავლდების აღწერამდე არ გამოიღებენ მეტსა გამოსაღებსა; და ესრეთ მებატონეს აქვს სარგებელი გაფრთხილებისათვის ყმათა თვისთა“ — დავითი შენიშნავს „უფალ მონტესკუს არა სცოდნია, თუ ვითარი სახით აძევსთ მუჟიკთა რუსეთსა შინა და ანუ ვითარი შეჭირვება და ძალ ადგიათ და ამისთვის სჯის ესრეთ“⁵⁰. იგი მონტესკიეს არც იმ შეხედულებებს იზიარებს თითქოს ადამიანის ზანისათვის სიმტკიცეს, მის ქცევას და მორალს არსებობად გეოგრაფიული გარემო და ჰავა განსაზღვრავდეს. საპირისპიროდ „კანონების სულის“ ავტორის დებულებისა. — რომ „ცივისა კლიმატისანის“ მცხოვრებთა „გულსა აქვს უმეტესი სიმართლე, უმეტესი სიმტკიცე და უმეტესობასა ამა ძალისასა ძალუძს წარმოება მრავალთა მოქმედებათა“ და რომ მათ ახასიათებთ „უმეტესი იმედოვნება თავისა თავსა ზედა... უმცირესი იჭვენეულობა, უმცირესი მზაკერობა, უმცირესი მცბიერობა“ — დავითი შენიშვნაში წერს: „აქა სცდების ავტორი, არავინ არს ეგრეთ შურის მძიებელ, გულმანკიერ, მზაკვარ, მცბიერ და უყვარელ, ვითარ ცივისა ჰაერსა შინა მცხოვრებნიო“. „ხოლო „კანონების სულში“ წამოყენებული მეორე დებულების გამო „მცხოვრებნი ცხელთა ადგილთანი არიან მხდალ ვითა მოხუცნი, ხოლო მცხოვრებნი ცივთა ადგილთანი მამაც ვითა ჰაბუკნი!“ დავითი შენიშვნაშივე წერს: „სცთები, უფალო მონტესკუ, იარნალ რტიმჩევ და ვისრინგი არიან მცხოვრებნი ცივისა

47 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H — 2169.

48 ტრ. რუხაძე, ზემოთ დასახელებული ნაკვეთი, გვ. 106.

49 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S — 370, გვ. 2.

50 იქვე, ფ. H — 1424, ფურცელი 106.

კლიმატისანი და პონაპარტი და მარშალ ნეი ცხელისა კლიმატისანი. ნუშე ზემონი სჯობდნენ ქვემოთა ბიჰად ანუ სარდლად“⁵¹.

უალრესად საინტერესოა მონტესკიეს დასახელებული თხზულების თარგმანის ბოლოს დავით ბაგრატიონის მინაწერი, რომელშიც იგი თარგმანის აუცილებელ პირობად ორივე ენის (რომლიდანაც ითარგმნება და რომელზედაც თარგმნიან) ზედმიწევნით ცოდნას მიიჩნევს და თარგმანის მთავარ ღირსებად აზრის ზუსტად და ნათლად გადმოცემას აღიარებს.

დავითი მონტესკიეს თხზულების რუსული თარგმანის გამო რომ საყვედურობს — „მრავალი შრომა შემემთხვა, ვინაილგან მთარგმნელთა არა სცოდნიათ კარგად ფრანციკული და რუსულზე ბრჯვედ გადმოვლოთ, რომელიც ძნელად იყო მისახვედრი მრავალი აზრით“ — მკითხველს მიმართავს. „აზრი ესე და ამგვარნი პოეტკანი ქართველთათვის ახალი გასაგონია და, ესასოებ, არა ეგრძნოსთ“ და თავისი თარგმანის გამო ამბობს: გარწმუნებთ წამკითხველთ აზრი არ არს დაკარგული და მშვენიერ სიტყვაობას არ გამოვვიძიე ამაღ, რომელი საჭიროდ არ ვრაცხე“⁵² (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

ძნელი არ არის მონტესკიეს თარგმანისათვის დართულ ამ მინაწერში დავინახოთ პოლემიკა ანტონ ბაგრატიონთან, რომლისადმი ღრმა პატივისცემამ და მოწიწებამ ხელი არ შეუშალა დავითს, ანსელიონის „ესტეტიკებრნი განსჯანის“ თავისი თარგმანის წინასიტყვაობაში მკვეთრად გაეკრიტიკებინა „სამი შტილის“ თეორიის დამნერგავი ქართულ მწერლობაში. დავით ბაგრატიონი უმართებულოდ მიიჩნევდა და ენის „განგლახაქებად“ თვლიდა ანტონისა და მისი მიმდევრების მიერ „მდაბიოდ შერაცხილ“ სიტყვათა სამწერლობო ენიდან განდევნას. „თუმცაღა — წერს დავითი „ესტეტიკებრნი განსჯანის“ თარგმანის წინასიტყვაობაში — ამასა შინა არიან რაოდენიმე ლექსნი მდაბიონი ხმარებულ, რომელიცა მდაბიოდ შერაცხილ არიან კათალიკოსის ანტონის მიერ და მიმბაძველთა მისთაგან... გარნა მე განკვირვებულ ვარ ამას ზედა, რომელ მეცნიერსა მას გვამს რასათვის შეურაცხიეს ლექსნი ესე მდაბიოდ და დატევებითა მათითა განუგლახაქებიეს ენა ქართველთა მით რამეთუ ყოველთა სხვათა ენათა შინა, ვითარცა საფილოსოფოსთა, ეგრეთვე საისტორიოთა და ყოველთა სხვათა გვართა წერილთასა ხმარებულ არიან ლექსნი, ესევეთარნი“⁵³ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

ამ ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ დავით ბაგრატიონი საქართ-

51 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 2124, ფურ. 121

52 იქვე, ფონდი S—371, გვ. 462 — 463.

53 იქვე, ფ. H—198, ფურც. 87.

ველოში განმანათლებლების იდეების გავრცელების, აღმოსავლური გავლენის აღმოფხვრისა და ევროპეიზმის დამკვიდრების სფეროში ერთგულად ემსახურება იმავე საქმეს, რისთვისაც იღვწოდა ანტონ ბაგრატიონი, მაგრამ, იმავდროულად, ახალი, ევროპასა და რუსეთში გაბატონებული ლიტერატურული გემოვნების წარმომადგენელი, ენისა და ლიტერატურული სტილის საკითხებში პრინციპულად უპირისპირდება ანტონ ბაგრატიონს და მის სკოლას.

თუ მონტესკიეს თხზულების თარგმანით ევროპული ორიენტაციის დავით ბაგრატიონი ქართველ ხალხს მისთვის „ახალ გასაგონ“ იდეებს აცნობდა, „მითოლოგია“ მას იმიტომ უთარგმნია, რომ თანამემამულეებში ევროპული ლიტერატურული გემოვნების აღზრდისა და დამკვიდრებისათვის შეეწყო ხელი.

როგორც „მეტალოდიის“ თარგმანისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობიდან ჩანს, ამ თვალსაზრისით, „ახალი შინის“ ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პირად წერილებს, რომლებშიც ნათლად აირეკლება ფართო საზოგადოებრიობის კულტურული დონე და ლიტერატურული გემოვნება. ამიტომაც, დავით ბაგრატიონს სპეციალურად შეუსწავლია პირადი წერილები და მათში „წერილთა სპარსთა“ დიდი მიბაძვა რომ შეუძმნევია, მართალია. პირადი წერილებს კრებულთა ნიმუშები არ შეუდგენია, როგორც, მაგალითად, ინგლისში რიჩარდსონმა, ხოლო გერმანიაში გელერტმა შეადგინეს, მაგრამ, სამაგიეროდ, მითოლოგია უთარგმნია, რათა წერილებში საჭირო მაგალითებისათვის აღმოსავლეთში წესად ქცეული „ყვავილთა და ღვინოთა“ მიმართვის ნაცვლად „მთელისა საბერძნეთისა და ევროპისა“ მიერ მიღებული მითიური გმირები გამოეყენებინათ.

„მეტალოდიის“ წინასიტყვაობაში დავით ბაგრატიონი კატეგორიულად რომ აცხადებს „სიტყვიერთა ცხოველთა ჯერ-არს სიტყვიერყოფა. გარნა სიტყვიერყოფა გარდა ხმარებისა წერილთასა არა ეგების და არცა სხვა რაიმე საქმე წარიმართების, რომელსაცა ზედაცა არს დამოკიდებულ ბედნიერება ცხოვრებასა შორის კაცისასაო“, იქვე დასძენს: „ესე გვარსა შინა დატკობასა წერილისასა აღრიდგან რომელთამე ერთა ჩვენთა ეწყით მოცალეობასა შინა, რომლისაცა შინა შთამჰკერტმან არა რაიმე ვიხილე მას შინა ნივთი და მაგალითი ურთიერთისა მძღვნელობითისა წერილისა სახმარად; გარდა მაგალითთა მიერ ნაზავთა საღმთოთა წერილთათჳ, რომლისაცა არა ჯერ-არს მოღება და აღზელა ესე-ვითარსა შინა წერილისა; გარნა კიდეცა გარდა ამისსა ჰხმარობენ გარეშე მაგალითთაცა ყვავილთა და ღვინოთა, რომლისაცა შორის არის ფრიადი განყოფილება და რომელიცა ჰნიშნავს უპაზროსა და მოკლესა ჰაზრისა განვრცობასა, მიბაძვითა წერილთა სპარსთა, რომელთაცა მოქმე-

დებანი ღრმასა შინა დაქვრეტისა არა რაიმეა კიდე ნივთისა ცალიერისა და ჰაჭრისა გლახაკისა“.

„ამის გამო — განაგრძობს დავითი, — წერათა შეშეცნებისა ერთისა შუერთთა შეკრულმან, გარდმოვიღე რუსულისაგან ენისა სტიხთა და წიგნთა სახმარი და შესაფერი ესე მაგალითი, რომელ მეტალოლია, ანუ ზღაპარსიტყვაობა ძველთა ელენთაგან ღმერთად აღსარებულთა, რომელიცა არს მრთელისა საბერძნეთისა და ევროპისა ნაცვლად ყვავილთა და ღვინისა ხმარებული მაგალითი სტიხისა და წიგნისა ურთიერთობისად შიმოწერისა ხმარებული“⁵⁴ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

დავით ბაგრატიონის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ორიგინალურ მხატვრულ შემოქმედებას, რომელიც არსებითად თავისუფალია აღმოსავლური გავლენით „აღორძინების ხანის“ ქართულ პოეზიაში გაბატონებული „ყვავილოვნებისაგან“, ჭარბი, გაცვეთილი მეტაფორებისა და ეპითეტებისაგან და „ვარდულბულიანობის“ ზღაპრულ-ფანტასტიკურის, უაზროსა და მოკლესა ჰაჭრისა გავრცობისა, მიბაძვითა წერილთა სპარსთა“ წილ სინამდვილის „ღრმასა შინა დაქვრეტისა“ შედეგად აღქმულ მოვლენათა მხატვრულ განზოგადობას წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია დავით ბაგრატიონის ლირიკა, რომლის მთავარი მოტივი სამშობლოს ბედით გამოწვეული მწუხარებაა.

რომ. დავით ბაგრატიონის ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი უბრალოებით, უშუალო, ღრმა მელიოდირობით აღბეჭდილი ლირიკული ლექსების გულის სიღრმემდე ჩამწვდომი სევდის მიზეზი, აქ გამოხატული „სოფლის გმობა“ გამოწვეული იყო სამშობლოს მწარე ხედვრით, განსაკუთრებით მისი დამოუკიდებლობის დაკარგვით, რამაც განაპირობა საქართველოდან დავითის იძულებითი გადახვეწა, ეს კარგად ჩანს ბატონიშვილის პასუხიდან მასთან დაახლოებული პოეტის პეტრე ლარაძისადმი, რომელიც რუსეთის იმპერიის გენერალ-ლეიტენანტს და სენატორს, იმპერატორის მიერ ბოძებული 2 000 ყმით დასახლებული მამულის მფლობელს, ბინითა და უფასო საექიმო დახმარებით უზრუნველყოფილ დავით ბაგრატიონს მიმართავდა

„რად ჰგობ სოფელსა, რა უქმნია შენზედ. ავები,
აღესალი ყოვლის კეთილობით მოგცა ნავები,
ღღენი დავიტებო, არსით გიჩნდეს საზრუნევები,
დაუდგრომლობით თვითვე დახსენ მასთან ზავები“⁵⁵. *

54 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—396, ფურც. 1; შეად. ფონდი S—1135, ფურც. 1.

55 პ. ლარაძის ეს ლექსი, ისევე როგორც დ. ბაგრატიონის ლირიკის ნიმუშები ციტირებულია ტრ. რუხაძის „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“.

თავის საპასუხო ლექსში „პეტრე ლარაძეს“, რომლის სტროფი მთავრდება რეფრენით

— მოყვასო ხელთ მისცა ქვანი ჩემზედ დასაკრებლად,
უცხოობაში განმამალა ჩასაქოლველად. —

ავტორი მწარე გულისტკივილით რომ აღნიშნავს —

სოფელმან მიმცა უბედობას განსაბძარველად,
წარსატყვევენლად, იავარად აღმოსაფხვრელად.
ჰამოვნებისა მყუდროების მძლედ დასახსნელად. —

თავის „უბედობის“ მიზეზსაც ხსნის —

დიანა გაწყრა და აღილო ჩემზედა ბრკყალა,
ნიმფთა სალამი წინ დამიღდა. ეს იყო ბრალა,
ჩემზედ იხმარა ყველა ცდაი და ყველა ძალა,
განმამო თვისგან, ყველგან შემქმნა მე საყვედრელად“.

აქვე ღავეითი სამშობლოს სახით წარმოდგენილ დიანას განუმარტავს

— შენი შეწყრომა გულსა ჩემსა დიად სტკივისა,
ესდენ დევნისთვის და ქენჯნისთვის ყველგან ჩივისა

მერე დაბეჯითებით არწმუნებს

— მე შენგან კიდე სხვა ნუგეში არსად მივისა
ან სხვა სავანე დასავანე სალხინებელად.

და ბოლოს სთხოვს

— კმარა, აკმარე, ესე დევნა გვრიტსა და მწირსა.
მისის ხედრისთვის ეს გლახგული მოსთქვამს და სტირსა,
ყარობს დევნილსა ხოფლისაგან და განაწირსა
აღურჩევია საფლავები სახლ-სამყოფელად.

(ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

იგივე აზრია გატარებული იმავე განწყობილებით დაწერილ ლექსში „უბედური ხვედრი“, რომლის მიხედვით, პოეტი, ვისაც „რბლად დარჩენია“ თავის „მტლის იანი“, უსაზღვრო სევდას შეუპყრია, რადგან „ვერღა სკვერტს“ მათ თვის „წალკოტს შლილთა“ და ნაღვლიანად რომ ამბობს —

— როს ვერღა ვსკვრეტ აწ მათ ჩემს წალკოტს შლილთა,
ამათ მივემეივარ სევდასა წელილთაო —

სასოწარკვეთილი ამთავრებს თავის გოდებას

— უბედურად ვხედავ ჩემს კერა ეტლს სევსა,
გამოვავლდი თქვენგნით მოყვასთ შემწესა,
ნეტა რად დავესწარ ამ მზის მოქცევასა,
ყარობს რად არ ჰსკვრეტთ მტირალს იანი.

დასასრულ, დ. ბაგრატიონის ამ მოტივის გამოშხატველ ლირიკიდან აღსანიშნავია ლექსი „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი“, რომელიც გამოირჩევა თავისი მელოდიურობით და ციტირებულ ლექსებზე არანაკლებ ადასტურებს, რომ „ახალი შიხის“ ავტორის „სოფლის გმობისა“ და სევდის მიზეზი სამშობლოს ბედ-იღბალია. ამ ღრმად ალევგორიულ ლექსში გაფრენილი „სიხარულის ფრინველი“ საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობაა, რის გამოც მოთქვამს უნუგეშოდ შთენილი პოეტი

— გამიფრინდა სიხარულის ფრინველი,
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა,
დაეშთენილვარ ასე აწ უნუგეშოდ
უბედობის გამო სხვისა და სხვისა.

ხოლო თავად საქართველო დასახულია მთვარედნ⁵⁶, რომელიც „აღარ არს გაესილი“ და ამიტომაც დადგომია მას „ღღენი მწარე“ —

აღარ არს გაესილი როს ენახე მთვარე,
მე, გლახ, მკვრეტს შემქნია აწ ღღენი მწარე,
რად შეკმუნვით არს არ მომცინარე,
ვერებ ურვის გამო სხვისა და სხვისა.

დავით ბაგრატიონის აქ განხილულ ლირიკულ ლექსებში აშკარად ჩანს ობიექტური სინამდვილის სუბიექტივიზაცია, რაც დამახასიათებელია სენტიმენტალიზმისათვისაც და რომანტიზმის წამყვან ტენდენციას წარმოადგენს. საქართველოს პოლიტიკური ბედით უკმაყოფილო პოეტის ღრმა შინაგანი განცდებისა და პესიმისტური განწყობის გამოშხატველი ამ პოეტური ქმნილების ფორმაც არსებითად უპირისპირდება წინარე ხანის ქართულ მწერლობაში გაბატონებულ დვლარქნილ სტილს და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ალბეჰილია ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი უბრალოებითა და მელოდიურობით

დავით ბაგრატიონის „სოფლისადმი მღურვის“ გამომხატველ ლირიკულ ლექსებს „იდეურ-შინაარსობრივად მკიდროდ უკავშირდება „ახალი შიხი“, მაგრამ დავითის მხატვრული პროზის დღემდე ცნობილი ამ ერთადერთი ნიმუშის გაანალიზებამდე უნდა შევეხეთ მისი ლირიკის უაღრესად საყურადღებო ნაწილს — სატირულ ლექსებს.

უძველესი ღროიდან მოყოლებული სატირა ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოებრივ მანკიერებათა მხილების მძლავრ საშუალებას და ამ მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლის მევეთარ იარაღს. სატირის ბრწყინ-

⁵⁶ როგორც აღვნიშნეთ, „მეტალოიის“ მთარგმნელს ლექსში „პეტრე ლარაქს“ საქართველო წარმოდგენილი აქვს დიანად (ბერძნული მითოლოგიის არტემიდა), რომელიც მთვარის ქალ-ღმერთიც იყო.

ნვალე ნიმუშები შექმნა ანტიკურმა მწერლობამ და შუა საუკუნეების ბიურგერულმა ლიტერატურამ. რენესანსული და კლასიციზტურ-განმანათლებლური ლიტერატურის სახელგანთქმული წარმომადგენლები რაბლე, სერვანტესი და ერაზმ როტერდამელი. მოლიერი, ვოლტერი და სვიფტი სწორედ სატირას იყენებდნენ თავიანთი ღრმად პროგრესული, მაღალქმანური იდეების გზის გასაქაფავად. მაგრამ „მსოფლიო მხატვრული კულტურის ისტორიაში. მგონი, არ ყოფილა სხვა პერიოდი, როცა სატირას ისე ფართოდ დაეპყროს ერთდროულად სხვადასხვა ქვეყნებში საზოგადოებრივი ცხოვრება და ლიტერატურა, როგორც ეს მოხდა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ პირველ ათეულ წლებში“⁵⁷.

ამ პერიოდსა და მომდევნო ხანაში სატირას, უწინარეს ყოვლისა, იმისთვის იყენებდნენ, რომ ეჩვენებინათ „ბურჟუაზიული სამყაროს მთელი მატერიალური და მორალური უბადრუკობა“⁵⁸. სწორედ ამ პერიოდშია დაწერილი დიდი გერმანელი განმანათლებლის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „რაინჟე მელა“, რომელიც ფეოდალური არისტოკრატიის მოუქნელობასთან, გონებრივ სიჩლუნგესა და გაუმაძღრობასთან ერთად უმკაცრესად დასცინის ბურჟუაზიული საზოგადოების სიმდაბლეს, გაუტანლობას და ანგარებას. მაგრამ ბურჟუაზიული სამყაროს მატერიალური და მორალური უბადრუკობისა და „განმანათლებელთა მიმზიდველ დიპირენსადმი ისეთი საზოგადოების შექმნას, სადაც იბატონება მხოლოდ გონება და რომელიც ბედნიერებას მოუტანდა ყველას“⁵⁹ დაპირისპირების თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა სატირული ლირიკა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრისა, როცა იგი „საერთო ევროპულ მოვლენად“⁶⁰ იქცა და ევროპული ლიტერატურის ისეთმა თვალსაჩინო წარმომადგენლებმა შექმნეს ამ ჟანრის შედევრები, როგორებიც იყვნენ ბაირონი და შელი, მიცკევიჩი და ჰაინე.

ევროპული რომანტიზმის ამ გიგანტთა სატირა, მიუხედავად მისი ფანტასმაგორიული ხასიათისა, სრულიად ცხადად და კონკრეტულად ასახავს არსებული სინამდვილის მახინჯ მხარეებს და მკაცრად ამხელს ბურჟუაზიული სამყაროს მანკიერებებს, რაც, როგორც უკვე აღუნიშნავთ, არსებითად განასხვავებს მას განმანათლებლების ეპოქის და თემატიკის მხრივ მასთან ახლო მდგომი XIX ს. პირველი ნახევრის მასობრივ-დემოკრატიული სატირისაგან.

უქმყოფილება არსებული სინამდვილით და ამ სინამდვილით განპირობებული მორალური დაკნინება, პირად და ეროვნულ ღირსებებზე

⁵⁷ И. Н. С у н о к о в а. Революционно-романтическая поэма первой половины XIX века, 1971, стр. 389.

⁵⁸ К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. 20, стр. 270.

⁵⁹ იქვე, გვ. 270.

⁶⁰ ი. გ. ნუბაქოვეას ზემოდასახელებული ნარკვევი, გვ. 300.

ხელის აღება და ანგარების მიზნით უცხოურის წინაშე ქედმოხრილობა წარმოადგენს ძირითად საგანს დავით ბაგრატიონის სატირისა, რაც ტიპოლოგიურად აახლოებს მას იმ პერიოდის ევროპული ლიტერატურის სატირასთან.

დავით ბატონიშვილი მწარედ დასცინის თავის თანამემამულეებს, რომლებმაც რუსეთთან შეერთებისთანავე უღალატეს საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ ადათ-წესებს, „სერთუკითა და ჟაბოთი“ დასერირობენ და, ზოგიერთი, ოღონდ გარეგნულად შეიცვალოს და მოდის შესაფერისად გამოიყურებოდეს, ისეთ სულწასულობასაც კი იჩენს, რომ, მოზრდა რომ ვერ მოუსწრია, „ბაკენბარდი ყბას მიუკრავს წებოთი“. ისინი მხოლოდ ამას ნატრობენ,

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი.
სტუპკა-ბეჟან თუ არის ორატორი,
ქრისტეფორე თბილისის დირექტორი,
თავადი გიორგი რელისტრატორი,
პეტრე, მისი შაშა, პაპისა სწორი.

განსაკუთრებით მძაფრია დ. ბატონიშვილის სატირული ლექსი „ეშიკაღას მობრძანება ჩანითა“, რომელშიც „ნარვას თავის ბალის ნაცვლისა“ და „ნოვგოროდის ბროწეულის მარცვლის“ მძიმებელ გავაქრებულ ეშიკაღასთან ერთად თავად ზაზასაც ამათრახებს, — ვინც „ზუზუნითა, ღიღინითა ნავითა“ ჭილობმოკრულ ჩანით მომავალ ეშიკაღას ეგებება „...თქმითა ბანითა, ნაბიჯითა ქუჩებისა ზმანითა, გალსტუკითა, ბაკენბარდის ფხანითა“ — და მწარე გულისტიკივლით აღნიშნავს:

კლუკაზედა ესცელით ყურძენს, ლედეს და ვაშლსა,
ბაგრამოტზე ატამს, გულაბის სხალსა,
მალინაზე გარგარს, უნაბს და წაბლსა,
მრავალს გაეფტკვნით მალაჩინსა დანითა.

რაც შეეხება დავით ბატონიშვილის სატირული ლექსების ფორმას, ციტირებული ადგილებიდანაც ცხადად ჩანს მათი ხალხური კილო და სისადავე, რასაც ილია ჭავჭავაძე ევროპეიზმის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად მიიჩნევდა.

როგორც აღვნიშნეთ, დავით ბაგრატიონს მხატვრული პროზის სფეროშიც უცდია კალამი. 1803 წ. მას დაუწერია „ახალი შიხი“, რომლის რუსული თარგმანი შეუსრულებია სერგეი მიტროპოლსკის და გამოქვეყნებულია 1804 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ.

მიუხედავად ამ ნაწარმოებზე გამოთქმულ აზრთა სხვადასხვაობისა — ალ. ხახანაშვილი, ა. ლაისტი, კ. კეკელიძე, ტრ. რუხაძე, ალ. კალან-

დაძე, მას სენტიმენტალური მიმართულების თხზულებად მიიჩნევენ⁶¹, რასაც არ ეთანხმება ჯ. ჭუმბურიძე⁶² — არაეინ უარყოფს, რომ „ახალ შიხს“ აშკარად ეტყობა ევროპული ლიტერატურის გავლენა. ამას აღნიშნავენ არა მარტო ის მკვლევარები, რომლებიც „ახალ შიხს“ სენტიმენტალური მიმართულების ნაწარმოებად მიიჩნევენ, მაგალითად, არტურ ლაისტი (რომელიც „ახალი შიხის“ პირველი შემფასებლის ალ. ხანანაშვილის დებულების — დავით ბატონიშვილმა „ცრემლიანი“ მიმართულების მომხიბვლელი გავლენით დაწერა რომანი ეპისტოლარული ფორმით (შეად. La Nouvelle Hélcise), სადაც თავის გმირად, შესაძლებელია მონტესკიეს გავლენით, სპარსელი აირჩია“⁶³ — კვალდაკვალ წერს: „დავით ბატონიშვილმა, როგორც ალექსანდრე ხახანოვი უდაოდ მართებულად ფიქრობს, ეს ნაწარმოები („ახალი შიხი“. — დ. ლ.) დაწერა შთაბეჭდილებით რიჩარდსონის რომანებისა, რომლებიც მან ალბათ რუსულ თარგმანებში გაიცნო... ეს თხზულება იმიტომ დავასახელებ, რომ მეჩვენებინა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ქართულ ლიტერატურაში ევროპული ლიტერატურის დამკვიდრება“⁶⁴) და ტრ. რუხაძე, (რომლის მიხედვით „თავის დროის კულტურულ-ლიტერატურული ძეგლებიდან ყველაზე ძლიერ, როგორც ეს თავის დროზე პროფ. ალ. ხა-

61 ალ. ხანანაშვილის შეხედულებით „დ. ბატონიშვილის ნაწარმოები წარმოადგენს სათანადო ხარკს სენტიმენტალური ლიტერატურისადმი რუსულ ლიტერატურაში კარაიზინის „საბრალო ლიხას“ გამოჩენის დროიდან“ (А. Хачаиов, Очерки по истории грузинской словесности, выпуск III, 1901. стр. 340). არტურ ლაისტის თანახმად ეს არის წერილების სახით დაწერილი უაღრესად სენტიმენტალური, სამეცნიერო ისტორია დ. ბატონიშვილისა (A. Leist, Das georgische Volk, Dresden, S. 229). კ. კეკელიძის მიხედვით... მე-18 ს. გასულს ჩვენს მწერლობაში ჩნდება, დ. ბატონიშვილის „ახალი შიხას“ მეოხებით სენტიმენტალური ნიმუშიც (კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია. ტ. II, 1941 წ. გვ. 273-4), ტრ. რუხაძის აზრით, „სენტიმენტალური მიმართულება ჩვენს მწერლობაში იწყება დ. ბატონიშვილის თხზულებით „ახალი შიხი“ (ტრ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, 1939. გვ. 65). „მე-19 ს. დამდევს, — განაგრძობს ტრ. რუხაძე, — საქართველოში ყოველგვარი პირობა იყო... სენტიმენტალიზმის განვითარებასათვის“ (იქვე, გვ. 67—68). „ახალი შიხი“ ალ. კალანდაძის მტკიცებით „ორიგინალური სენტიმენტალური რომანია“ (ალ. კალანდაძე, ლიტ. ნარკვევები, 1972, გვ. 164).

62 „ახალი შიხის“ თვით სიუჟეტური განვითარება და განწყობებით კი მისი დასასრული, — წერს ჯ. ჭუმბურიძე, — არ არის დამახასიათებელი სენტიმენტალიზმისათვის“ (ჭუმბურიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრტიკის ისტორიიდან, თბილისი, 1958, გვ. 37). „მე-19 ს. დასაწყისისათვის, — ამტკიცებს ავტორი, — ქართული სინამდვილე გამოირცხვდა სენტიმენტალიზმის, როგორც მიმართულების, ფენის მოკიდებას ჩვენს მწერლობაში“ (იქვე, გვ. 32).

63 ალ. ხანანაშვილი, ნარკვევები, გვ. 340.

64 არტურ ლაისტი, ზემოდასახელებული თხზულება, გვ. 229.

ხანაშვილმა აღნიშნა, დ. ბატონიშვილის „ახალი შიხი“ განიცდის გავლენას კარაშინისა, რუსოსი, რიჩარდსონისა და სხვების, ე. ი. სენტიმენტალისტური შკოლისაო⁶⁵), არამედ ჯ. ჭუმბურიძეც. თავის ნარკვევში ჯ. ჭუმბურიძე ამტკიცებს — „დავით ბატონიშვილი... მაშინდელი რუსული და ევროპული ლიტერატურის გავლენას უდაოდ განიცდიდა“ და ბუნებრივად რომ მიიჩნევს „ახალი შიხის“ ავტორის დაინტერესებას რუსოს „ახალი ელოიზათი“, წერს: „დავით ბატონიშვილმა ეს ევროპული რომანი („ახალი ელოიზა“. — დ. ლ.) ჩვენი მწერლობის ტრადიციულ ხასიათს შეუფარდა და მას, ასე თუ ისე, ქართული ელფერი მისცაო“⁶⁶. მკვლევარის ეს დებულება და „ახალი შიხის“ „ახალ ელოიზა“-თან“ შედარების საფუძველზე მისი მართებული დასკვნა (რომ „ახალი შიხის“ ლიტერატურული წყარო არის რუსოს „ახალი ელოიზა“ და არა რიჩარდსონის რომანები, რის „დასტურს სათაურშივე ვპოულობთ. რუსოს რომანი იწოდება: „ყიული ანუ ახალი ელოიზა“, წერილები ორი შეყვარებულისა, რომლებიც ცხოვრობდნენ პატარა ქალაქში, ალპების ძირში. შეკრებილი ჟან-ჟაკ რუსოს მიერ“... დავით ბატონიშვილის სათაური კი გვამცნობს: „ახალი შიხი“ მიმოწერა საყვარლისა ანუ საყვარლისადმი, რომელნიცა ცხოვრობდნენ მთასა ქვეშე კავკასიისასა; ქმნილი ქართულსა ენასა ზედა საქართველოს მეფის გიორგის ძის დავითის მიერ, ათორმეტ წერილებად“⁶⁷ და განცხადება „დავით ბატონიშვილს „ახალ ელოიზიდან“ ზოგიერთი წერილი გადმოუყვებია, ყიულისა და სენ-პრეჟ მრავალრიცხოვან წერილებიდან მას მხოლოდ თორმეტი შეუჩრჩევია“⁶⁸); ისევე როგორც იმის აღიარება, რომ „ახალ შიხში“ ელინდება „გრძნობის... მოზღვაება და ლირიკული სიჭარბე“ და ზემოთ უკვე ციტირებული მტკიცება „ამგვარად, დავით ბატონიშვილი, რომელიც მაშინდელი რუსული და ევროპული მწერლობის გავლენას უდაოდ განიცდიდა, ბუნებრივია რუსოს „ახალი ელოიზათი“ დაინტერესებულიყო. მაგრამ მან... ეს ევროპული რომანი ჩვენი მწერლობის ტრადიციულ ხასიათს შეუფარდა და მას, ასე თუ ისე, ქართული ელფერი მისცა“⁶⁹ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.) — ყოველივე ეს კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, ასაბუთებს კიდევაც „ახალი შიხის“ ტიპოლოგიურ მსგავსებას რუსულ-ევროპულ სენტიმენტალურ ლიტერატურასთან. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ის საბუთო არ გამოდგება, რომ სენ-პრე-ყიულისა და შიხი-ფერიას „წერილები შინაარსობრივად არ ემთხვევიან ერთმანეთს და გრძნობის ის მოზღვაება

65 ტრ. რუხაძე, ზემოდასახელებული „ქართული ეპოსი“, გვ. 67.

66 ჯ. ჭუმბურიძე, ზემოდასახელებული ნარკვევები, გვ. 32.

67 იქვე, გვ. 29.

68 იქვე, გვ. 30.

69 იქვე, გვ. 32.

და ლირიკული სიჭარბე. რაც „ახალ შიხში“ ელინდება, თავისი ხასიათით არსებითად განსხვავდება მსგავსი მომენტებისაგან „ახალ ელიოზაში“ ალ. კალანდაძის აღნიშვნისამებრ „ახალი შიხი“ ხომ თარგმნილი ან გადმოკეთებული ნაწარმოები არაა, იგი ორიგინალური თხზულებაა⁷¹ დავით ბაგრატიონისა, რომელმაც სწორედ იმით, რომ „ჩვენი მწერლობის ტრადიციულ ხასიათს შეუფარდა“ რუსეთსა და ევროპაში იმ დროს გაბატონებული ლიტერატურული მიმართულების დამახასიათებელი ნიშანთვისებები და მარჯვედ გამოიყენა მისი ენობრივ-სტილიური თუ ჟანრობრივი თავისებურებანი, შექმნა, როგორც აღვნიშნეთ, ტიპოლოგიურად რუსულ-ევროპული სენტიმენტალური ლიტერატურის ანალოგიური თხზულება და ხელი შეუწყო ქართულ მწერლობაში ევროპული ლიტერატურული გემოვნების დამკვიდრებას.

აქ განხილულ მსჯელობათა სხვადასხვაობის მიუხედავად გამოქვეყნებულ შეხედულებათა მიხედვით, „ახალი შიხის“ იდეურ-შინაარსობრივ რაობაზე ყველა მკვლევარი ძირითადად ერთსა და იმავე აზრს იზიარებს. სახელდობრ, „ახალი შიხი“ წარმოდგენილია სამიჯნურო რიწანად, რომელშიც გამოხატულია გაუზიარებელი ტრფობით გამოწვეული გრძნობათა ღელვა და მწუხარება. მართალია, ტრ. რუხაძე კი აღნიშნავს და მართებულადაც, „ახალი შიხი“ არ არის რიწანი“, რადგანაც „მასში ადამიანის გრძნობის ერთი კუთხე, ერთი ეპიზოდია გაშუქებულიო“; მაგრამ მისი აზრითაც ამ ნაწარმოებში გადმოცემულია „სამიჯნურო მიწერ-მოწერა და მით გამოწვეული მიჯნურთა ცრემლები“⁷². ამ საერთოდ მიღებულ შეხედულებას არ ეთანხმება გ. ჭავჭავიძე, რომელიც „ახალ შიხს“ მიიჩნევს „პოლიტიკური ხასიათის ალეგორიად“, სადაც შიხის სახით დავით ბატონიშვილია წარმოდგენილი, ხოლო ფერიას სახით კონკრეტულად, დარეჯანია გამოხატული, — ერეკლე მეფის მეუღლე, რომელსაც სურდა ტახტზე თავისი ძე იულონი აეყვანა. — ხოლო ზოგადად საქართველო⁷³.

გ. ჭავჭავიძის ამ დებულებას ადასტურებს. როგორც ფერიას სიტყვები — „... ამა წყარო ყვედრებისა მოჩანჩქარე მწუხარებისაგან და მქენჯნი სინდისისა და დამზოკი გულისა ალილორიკიებრთა. რომლისათვის მწადს გამოკითხვა ყოველთაგან ვითარმედ ჩემდაცა ჭერ არს შედგომა ურვისასა თუ არა“⁷⁴. რასაც იმოწმებს გ. ჭავჭავიძე, ისე თხზულების მრავალი პასაჟი და თვით რუსული თარგმანიც კი, რომელნიც მნიშვნელოვნად

70 ჟ. კუ მ ბ რ ი ძ ე. ზემოდასახელებული ნარკვევები, გვ. 30.

71 ალ. კალანდაძე. ზემოდასახელებული ნარკვევები, გვ. 169.

72 ტრ. რუხაძე. ზემოდასახელებული „ქართული ეპოსი“ გვ. 63.

73 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი გ. ჭავჭავიძე — 127 და 128.

74 იქვე, ფონდი — 1496, ფურცელი 16. „ახალი შიხიდან“ დამოწმებული ადგილები ამოწერილია მითითებული ხელნაწერიდან. ფრჩხალებში აღნიშნულია გვერდ...

განსხვავდება ქართული ტექსტისაგან. კერძოდ, თარგმანს. ორიგინალისაგან განსხვავებით (ვგულისხმობთ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ორივე ხელნაწერს, ავტოგრაფი დღემდე უცნობია), როგორც ჩანს, ცენსურული მოსაზრებით, წამძღვარებული აქვს შესავალი, რომელიც, თითქოს, ნაწარმოების ფაბულას გვაცნობს⁷⁵, მაგრამ, ნამდვილად, გერონტი ქიქოძის აღნიშვნისამებრ, „არავეითარი კავშირი არა აქვს არც „ასალი შიხის“ ქართულ ორიგინალურ ტექსტთან, არც რუსულ თარგმნილ ვარიანტთან. ის მხოლოდ მისი რელიგიურ-მორალური (უწინარეს ყოვლისა კი პოლიტიკური. — დ. ლ.) ტენდენციის დასაფარავადაა წამძღვარებული“⁷⁶. მართლაც. წერილებში არსად ჩანს ფერია გლეხის ქალი იყოს, ან ფერიასა და შიხის განშორების მიზეზს რელიგიური რწმუნის სხვადასხვაობა წარმოადგენდეს. მეტიც, როგორც გ. ქიქოძე აღნიშნავს, ნაწარმოებში „ქრისტიანობა და მაჰმადიანობა ერთი სიტყვითაც არ არის მინიშნებული“⁷⁷.

გარდა ამისა, რუსულ თარგმანში გამოტოვებულია კონკრეტულ-ისტორიულ პიროვნებებსა თუ მოვლენებზე მიმნიშნებელი ზოგიერთი მეტად საყურადღებო პასაჟი, რის შედეგადაც, შართალია, მთლიანად არ იკარგება, მაგრამ მნიშვნელოვნად ფერმკრთალდება ორიგინალის მწვავე პოლიტიკური შინაარსი და მას ჩვეულებრივი სამიჯნურო თხზულების ელფერი ეძლევა. ასე, მაგ.: შიხის პირველ წერილშივე ფერიასადმი, სადაც იგი სოფლისადმი მღურვას გამოთქვამს — „ყოველისა კაცისა კეთილ დღეობა ესრეთ არ არის მასთან შეკრული, რათამცა სრულ უზრუნველ იყოს მდგომარეობა მისი, და უმეტეს ჩემსა ზედა ესე აქმნია სოფელმან და მოიცალა რათამცა მიმცეს ზრუნვასა და ესრეთცა მოიცალა, რომელ ვგო-

75 „შიხ სანანი, სახელგანთქმული სპარსელი — ვკითხულობთ შესავალში — თავრიზიდან ჩამოვიდა საქართველოში და შეიყვარა ერთი გლეხი ქალი, სახელად ფერია. მგზნებარე სიყვარულმა წააქეზა იგი, ეთხოვა ფერიას ხელი, მაგრამ ფერია არ თანხმდება და წინადადებას აძლევს: ფერია მაშინ გახდება შიხ სანანის მეუღლე, როცა შიხ სანანი ღვინის სმას დაიწყებს. რადგან მაჰმადიანს აკრძალული აქვს ასეთი სასმელი, ზოლო შიხებისა და მოღვინისათვის ეს მით უფრო შეუწყნარებელია, შიხი იძულებული გახდა გასცლოდა ფერიას. მაგრამ მან პაუზა ინანა ფერიას რომ განშორდა და დაიწყო წერილების წერა. ფერიაც, წერილებს რომ კითხულობდა, სინანულმა შეიპყრო, რაც აღიარა შიხ სანანის წერილებზე მიწერილ პასუხში“. Новый Ших или переписка на персидский вкус любовника с любовницей, живших при подошпе Кавказских гор. Творение царевича грузинского Давыда. Переведено с грузинского губернским секретарем Сергеем Митропольским. В Санкт-Петербурге при имперской Академии Наук, 1804, стр. 3 — 4. შესავალშივე შიხს გაკეთებული აქვს შენიშვნა: „სახელწოდება შიხი სპარსულ ენაზე ნიშნავს მაჰმადიანური აღსარების ალიყვის სექტის პირველ სასულიერო პირს“ (იქვე, გვ. 3.).

76 გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, 1958, გვ. 70.

77 იქვე, გვ. 70.

ნებ უსაცოდვესი ჩემსა პირსა სედა ყოვლისა ქვეყნისაჲსა არა სად იბოგ-
ბოდეს. მდევნა ბოროტ-შემთხვეულობათა. იავარ მყო მამულისაგანა. ლი-
რსებისა და ქონებათა. კეთილობა ჩემი დაამწარა და აწ უკანასკნელ სრულ
ჰყო საწადელ თვისი, რომელ მოყვრისა ჩემისაგან უცხო მყო და საუკუ-
ნოდ დაატყვევა იგი ტარტაროზსა შინა და მე უქალობსა მიმცა. თვალნი
ჩემნი ყრულ განმიკეთა და ცრემლნი ჩემნი მსგავსად უკანისა გაამდიდ-
რა. სული ჩემი გვამისაგან ჩემისა ესრეთ აბუნარ ჰყო. რომელ
სიკვდილსა ნიადგ დავეძებ და ვერსად მიბოვნია“ (1) — ჩემ მიერ ხაზ-
გასმული ფრაზიდან გამოტოვებულია „საუკუნოდ დაატყვევა იგი ტარ-
ტაროზსა შინა“ და ასე იკითხება „Сим жизнь моя сделалась для
меня несносна, особенно когда я узнал о удалении моей любви-
цы“⁷⁸.

გარდა გამოტოვებული წინადადებისა, რასაც არსებითი მნიშვნე-
ლობა აქვს იმდენად, რამდენადაც „ახალი შიხის“ საერთო შინაარსიდან
გამომდინარე ტარტაროზი აქ ალევგორიულად წარმოადგენს მეფის რუ-
სეთს, რომელმაც საქართველო ფაქტიურად თავის კოლონიად აქცია,
თარგმნილი ნაწილი ზუსტად არ გამოხატავს ორიგინალის აზრს. აქ არ ჩანს,
რომ სატრფოს დაცილება, რამაც შიხის სიცოცხლე აუტანელი გახადა
„აქმნია სოფელმან“, რომლის მიმართაც ამბობს შიხი „კეთილობა ჩემი
დაამწარა... მოყვრისა ჩემისაგან უცხო მყო და საუკუნოდ დაატყვევა
იგი ტარტაროზსა შინაო“. ამას კი საგანგებო მნიშვნელობა აქვს, რად-
გან სწორედ ეს მოტივია მიზეზი სოფლისადმი დავით ბატონიშვილისე-
ული სამღურავის გამომხატველი ლირიკისაც, რომელსაც როგორც იდე-
ურ-შინაარსობრივად, ისე განწყობილებითა და მხატვრული ქსოვილით
ზედმიწვევით ესადაგება „ახალი შიხი“, სადაც „მამულისაგან იავარყო-
ფილი“ შიხი-დავითი, სამშობლოს ზვედრთან მჭიდროდ რომ აკავშირებს
თავის ბედს, „დატყვევებულ“ სატრფო-საქართველოს გამო მწარე საყ-
ყდურს აღუვლენს სოფელს.

დავუბრუნდეთ ისევ თარგმნილ ტექსტს. მეორე წერილში ფერია-
სადმი — „უბედურსა უბედურება ზედ დართვია. სოფელსა ჩემზედ მო-
უცლია. ღმერთნი განრისხებულ არიან, შავსევაობა ჩემთვის კავკასიად
გარდაუქმნიათ და ახლად პრომეტეისად განსაზღვრილი ბოროტშემთხ-
ვეულობის კლდესა მიუშმსჭვალვარ და ნაცვლად ყორნისა ურვას ახო-
კინებს გულს“ (9) — გამოტოვებულია „შავსევაობა ჩემთვის კავკასიად
გარდაუქმნიათ“⁷⁹, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ამავე წერი-
ლიდან გამოტოვებული ის ადგილები, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ ში-
ხის „ურვა“ საყვარლის მიერ ვნებიანი ტრფობის უარყოფით სულაც

78 „ახალი შიხი“, ზემოდასახელებული თარგმანი, გვ. 6.

79 იქვე ი, გვ. 12.

არაა გამოწვეული და წერილებში სატრფოს გულციობით გახელებული მიჯნურის საყვედური კი არ არის გადმოცემული, არამედ ბრალდება და იმავდროულად, შეგონებაცაა წარმოდგენილი პოლიტიკური მოწინააღმდეგისადმი, რომელმაც „ვინაიდან არა ჰსენა ისტორია და არცა ნამდვილი ვითარება“ (4) გასწირა იგი. ამის დასადასტურებლად დავიმოწმებთ ქართულ ტექსტს, რომელშიც ხაზგასმით აღვნიშნავთ თარგმანში გამოტოვებულ ადგილებს. სახელდობრ, შიხი საყვედურით მიმართავს ფერიას „მე მომკალ და ნაცვლად ჩემისა შენ განაცხოველე ესე ვითარი გვამი, რომლისა ტვირთვა მიწასაცა ემძიმების“ და განაგრძობს: „მე ვუწყი რომელ ჰქმნეს ესე ნაცვალგებისათვის, რომლისა პირისპირ ძალმიცს გამართლება... შენ ამით განიშვებ, რომელ ნაცვალგებით მომკალ მე. არამედ გარდა ჩემსა მოკალიცა ესე ვითარი და წარსწყმიდე, რომლისაცა ქცევასა მინერვა ეშურებოდა და სხვაცა გარდა ამისა ტყვე ჰყავ, რომლისათვის ტკივნეულობასა შემდგომსა შინა ეამსა სცნობ და აღმოფხარ სახლი ესე ვითარი რომელიცა იყო დევნილ სოფლისაგან და კუალად ბრუნასავე სოფლისასა სწადდა აღდგინება მისი.

რა ჰქმენ დარაი, მხილებისაგან ვიშიშვი, ნუუმე მწუხარებასა მიეცე და ოდეს იგი გამოფხიზლდების მაშინ გრძნობ სიმართლესა ჩემსა, მაშინ გრძნობ მოხსენებასა ჩემსა, მაშინ ედება ფასი წერილსა ამასა და მაშინ იქნები მტირალ საუკუნოდ, რომელსაცა მე ესლა მაქვს მხოლოდ სანუგეშოდ, მაგრა ესე უკანასკნელი, ჰოი ზენარო ვითარ წარმოვიდგენდი, რომელ დღესა ჩემსა ესრეთ განამწარებდი, ვითარ მოვიგონებდი, რომელ მტერთა სახლისა შენისათა ექმნებოდი ზიარ დაცემისათვის სახლისა შენისა, თუმცალა სოფელი უცემს ყოველთა, მაგრა იგიცა არა თუ თანხმობითა, მცბიერთა და უგვანთა. (4). შეად. თარგმანი გვ. 14—16.

ხაზგასმული. ე. ი. თარგმანში გამოტოვებული პასაჟებიდან ცხადად ჩანს, როგორც ის, რომ ნაწარმოებში ფერიას სახით კონკრეტულ პლანში დარეჯან დედოფალია წარმოდგენილი, ისე გიორგი მეცამეტეს გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო კარზე შექმნილი სიტუაცია, რამაც, დავით ბაგრატიონის აზრით, ხელი შეუწყო რუსეთის იმპერატორის მიერ ჩვენი ქვეყნის ფაქტიურ ანექსიას. საქმე ისაა, რომ, როგორც ცნობილია, ერეკლე მეორის ანდერძით, გიორგი მეცამეტეს ტახტზე თანმიმდევრულად ჯერ მისი უმცროსი ძმები უნდა ასულიყვნენ. გიორგიმ დაარღვია ერეკლეს ანდერძი და ტახტი სიცოცხლეშივე თავის უფროს ძეს — დავითს დაუმტკიცა. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ დავით ბაგრატიონს სასახლის წრეებში მრავალ მომხრესთან ერთად ბევრი მოწინააღმდეგეც გაუჩნდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ერეკლეს ქვრივი, იულონის დედა, დარეჯან დედოფალი, დავითის ოპოზიციის

ყველაზე ძლიერი ჯგუფის — „იულონის პარტიის“ სულის ჩამდგმელი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, რომ ტახტზე თავისი ძე — იულონი დაესვა. ბუნებრივია რუსეთის იმპერატორს გამოეყენებინა სასახლის კარზე წარმოებული ინტრიგა და დაეითიც, რომელიც 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის შემდეგაც იმედოვნებდა ბაგრატოვანთა გვარის ავლავ აღზევებაზე, როგორც ალექსანდრე პირველის მიერ რუსეთში „მონწევას“, ფაქტიურად საქართველოდან გასახლებას (რაც, უწინარეს ყოვლისა, იმით იყო გამოწვეული, რომ ნაპოლეონის თავყანისმცემელი იმპერატორს საშიშ პიროვნებად მიიჩნევდა), ისე საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას აბრალებდა მის წინააღმდეგ მოქმედ ოპოზიციას, კერძოდ დარეჯანს, ვინც ფერია — დარეჯანის მიმართ შიხი — დავითის სიტყვით „მტერთა სახლისა თვისათა ექმნა ზიარ დაცემისათვის სახლისა თვისისა და განაცხოველა ესე ვითარი გვამი, რომლისა ტვირთვა მიწასაც ემძიმების“, ანუ როგორც გვიან მეცხრე წერილში წერს შიხი „აუფლა თავსა თვისას ზედა ესე ვითარი გვამი, რომელ ექმნა მას მომაცთუნებელ“ (18).

თუმცა ჩვენს მიერ ციტირებული გამოტოვებული და უზუსტოდ თარგმნილი პასაჟები, რომელთა სრულად წარმოდგენას თხზულების ერთი მესამედის გადმოწერა მაინც დასჭირდებოდა, „ახალ შიხს“. როგორც აღვნიშნეთ, ჩვეულებრივი სამიწნურო მიმოწერის ელფერს აძლევს, მაგრამ იქიდანაც, რაც შედარებით უზუსტად არის თარგმნილი, აშკარად ჩანს, რომ ნაწარმოებში ალეგორიულად, ფერიას სახით ზოგად პლანში წარმოდგენილია საქართველო, რომლის დამოუკიდებლობის დაკარგვა ნამდვილი მიზეზი შიხი — დავითის ურვისა. ამის დამაფასტურებელი მრავალი ადგილიდან ყურადღებას იპყრობს შიხის მეშვიდე წერილი ფერიასადმი — „მეცხრამეტე საუკუნესა ამას შინა ზავყოფილმან განთიადმან განაბრწუინვა ყოველი ქვეყანა ურთიერთისადმი დაზავებითა, მაგრამ პირისპირ ამისა გულსა შენსა და ჩემსა შეუღდა დისკურმან ახალი აღრევა. რად შეისხენ ფრთენი და განფრდი გულისა ჩემისა წალკოტით, და წინათ ვერ განიხილე, რომელ ცემითა ფრთეთა დროსა არეისასა ცვილისა ფრთენი მსწრაფლ განდნებოდნენ და მოიშთეებოდი მწუხარებისა პელეგონსა, რომელიცა არს შედგმულ უზედურთა გვამთა ცრემლთაგან“ (13. ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

გ. ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, რა კავშირი აქვს ამას მიწნურობასთან?⁸⁰ ცხადია, — არავითარი. აქ გამოხატული გულისტკივილი გაუზიარებელი ტრფობით გამოწვეული მწარე საყვედური კი არ არის მიჭყურისადმი, არამედ იმ შეგნებით არის ნაკარნახევი, რომ სწორედ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, მცირე ერთა დაცვისა და განთავისუ-

⁸⁰ გ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. გ. ჯავახიშვილი — 127, გვ. 13.

ფლები ხანად მიჩნეულ ეპოქაში არ იქნა გათვალისწინებული, ანუ, შიხის სიტყვებით, არა სცნეს „ისტორია და არცა ნამდვილი ვითარება“ და „აღმოიფხვრა სახლი ესე ვითარი, რომელიცა იყო დევნილი სოფლისაგან და კვალად ბრუნვასვე სოფლისასა სწადლა აღდგინება მისი“.

ამ თვალსაზრისით არანაკლებ საყურადღებოა ფერიას პასუხები შიხისადმი, რომლის სახითაც ნაწარმოებში კონკრეტულ პლანში დავით ბაგრატიონი, ხოლო ზოგად პლანში ქართველი საზოგადოების ის ნაწილია წარმოდგენილი, ვინც აღმოსავლეთის აგრესორთა შემოტევისაგან თავდასაცავად რუსეთის მფარველობას გულისთუქვარდა მხარს, მაგრამ მის შემდეგ რაც ჩრდილოეთის ძლიერმა იმპერიამ ხელშეკრულება დაარღვია და საქართველო შეიერთა, ფერიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „დატყვევებული“ ქვეყნის გამოსხნას „პოლიტიკური ნაჯღაბით“ ცდილობდა. ფერია აწინდელ ყოფაში ჩაგდების გამო სწორედ შიხს სდებს ბრალს „თვით უწყი — სწერს იგი შიხს მეშვიდე პასუხში, — ვითარმედ რწმუნებითა ქურუმთა რეცა წინამეთქვეთათა, რომელთაცა არა თუ მყობადრსა, არამედ ნამყოისაცა არა რაიმე უწყოდენ, შემსვი სპილენძისა ზღუდესა მწუხარებითა მოზღუდვილისაო“ (16) და გულისტკივილით რომ მოაგონებს „შენ არა იგი ხარ, რომელმან განსცვალე ოქროისა საქურველი სპილენძსა ზედა, შენ არა იგი ხარ, რომელ შევარდნილმან შენსა ცირციისასა ქალაკსა არღა სადმე გწადლა გამოსვლია მუნით, ვიდრე არ განეშორა უმეცრებისა იგი ორთქლი შემხმობი ტენისა არმურით უმეცრებისათაო“ (აშკარა მინიშნება იმაზე, რომ დავით ბაგრატიონი თავად უჭერდა მხარს საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლად), მწარედ საყვედურობს: „შენ, რომელიცა არა თუ მე მხოლოდ აღმოიარებ, არამედ მოთხრობისაებრ შენისა გაქვს აღრიანტი ჩემი სათაყვანოდ შენდა, არათუ შემწირე რაი ნაქონებისაგან შენისა, არამედ ესეცა გცონის, რომელ შეიმოსო მამაკაცებრ და გამომიხსნა ტარტაროზისაგან“ (17). მაგრამ იმ შეხედულების დასადასტურებლად, რომ „ახალი შიხი“ პოლიტიკური ხასიათის ნაწარმოებია და არა სამიჯნურო თხზულება, ხოლო ფერიას სახით კავკასიის მთის ძირში მცხოვრები გლეხი ქალი კი არ არის წარმოდგენილი, არამედ საქართველო, რომლის „ტარტაროზისაგან გამოსახსნელად“ „თვინიერ პოლიტიკებრ ნაჯღაბისა“, ფერიას აზრით, არაფერი კეთდებოდა, საგანგებო მნიშვნელობა აქვს ფერიას მეხუთე პასუხს შიხისადმი — „ვითარ არ გულისხმა ვყო ეტნასა ზედა ყოფა ჩემი, რომელიცა მარადის გაფაციცებით ვსკვრტტ გამომხსნელსა. გარდა არა რაიმე იხილვების მცირეცა ნიშანი რათამცა მეც გამიყვანოს ზღვასა კრიტისასა. ვინ ფადაიქცევა წვიმად ოქროისა ნუგეშინის ცემისათვის ჩემისა.

მარადის მზა არის სახლი სულისა ახლისა ბაუციზასი წვევისათვის ღმერთთასა, უმეტეს განზრახვითა ამით, რათა ახალი ესე ერნი ფრიგ-

ვიელნი გარდაქციოს ნაცრად, რომლისა ძალით მივეცე განსხვავებასა განრინებითა, გარნა მე სხვასა არა რაიმეს ვხედავ გამოხსნისა ჩემისა ნიშანსა, თვინიერ პოლიტიკებრისა ნაჯღაბვისასა“ (14).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შიხის წერილებით გულმობრუნებული და „პოლიტიკებრისა ნაჯღაბვის“ უსარგებლობაში დარწმუნებული ფერია მეთერთმეტე წერილში ამხნევებს შიხს და სასოწარკვეთილი გოღებიდან აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებს მას, „ოდეს იადონმა მშვენიერსა წალკოტით დაქარგოს ბუდეი თვისი, შვენის მას, რათა არა სრულად სასოწარკვეთილი აბეზარ იქმნეს ყფით განვლისაგან არისა წალკოტისა მის და ეძიოს ღონე კვალად შესვლისათვის მას შინგ და ოდეს გერიტი განმწარდეს სიშორისა ძლით სარვისა, ხამს მისდა მარად ლულუნი, ვიდრე მიემთხვოს საწადელსა თვისსა“ (27). — რაც იმ მიგვანიშნებს, რომ ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ცარიზმის მიერ საქართველოს შეერთებისთანავე წარმოიშვა იდეა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომლის განხორციელების ცდას 1832 წლის შეთქმულება წარმოადგენდა.

გარდა აქ წარმოდგენილი მასალისა, „ახალ შიხში“ სათანადო გამოძახილს პოულობს ეპოქის სხვა „მაღლელებელი იდეებიც“, რომელთაგან ყურადღებას იპყრობს თხზულებაში გატარებული შეხედულება — „სულსა თვინიერ ხორცისა არა ძალუცს ცხოველ ყოფა“ (25) და განმანათლებელთა მიერ დამკვიდრებული ბუნებრივი სამართლის, ანუ როგორც დავითი წერს, „ბუნებითი სჯულის“ აღიარება: „სადაც არა არს ცნობა ბუნებითისა სჯულისა — წერს ფერია შიხს — მუნ არა აქეს ადგილი სინდისსა. სადაც არა არს შედგომა ბუნებითისა სჯულისა, მუნ არა არს სავანე პატიოსნებისა, მით რამეთუ საქმენი ყოველნი საქმიტგან იცნობიან“ (7).

სწორედ ამ იდეებით და იმ დროს რუსულ-ევროპულ მწერლობაში პოპულარული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი მხატვრული ქსოვილით „ახალ შიხს“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დავით ბაგრატიონის ლიტერატურულ შემკვიდრებაში, „როგორც ევროპული მოწინავე აზროვნების ერთ-ერთ პირველ გამოვლინებას“⁸¹ და ევროპეიზმისაკენ წინ გადადგმულ ნაბიჯს ქართულ მწერლობაში.

*

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ევროპული გზით წარმართვისათვის დაუცხრომელ მამრალად გვევლინება იოანე ბაგრატიონი, რომლის მუღმივი ზრუნვის საგანს საქართ-

⁸¹ გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, გვ. 71.

ველოშიც და სამშობლოდან რუსეთში იძულებითი გადასახლების შემდეგაც თავისი ქვეყნის ტრაგიული ბედი წარმოადგენდა.

იოანეს — დავით ბაგრატიონის მომდევნო ძმას, — როგორც ერთ-ერთ პირველ განმანათლებელს, ღრმად სწამდა, „რომელ მიზეზი ერთა ბედნიერებისა არს მარადის განათლება გონებისა მათისა და რომელ განვითარება გონებისა შეიყვანებს მათ კეთილდღეობასა შინა და აღიყვანებსცა თხემსა ზედა კეთილდღეობისასა“⁸² და ამიტომაც „სიყვარულისა და ერთგულებისა გამო მამულისა დღედაღამ იღვწოდა „სხვათა და სხვათა წერილთა სასარგებლოთა გარდმოღებად“⁸³. ამ ღვაწლის შედეგია მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, გაოცებას რომ იწვევს თავისი მრავალფეროვნებით, რასაც ადასტურებს თხზულების „სხვათა და სხვათა სწავლათა შეკრებულებანის“ წინასიტყვაობაში იოანეს მიერ შედგენილი ნუსხა შრომებისა, რომელიც სულაც არ არის სრულყოფილი⁸⁴. თავი რომ დავანებოთ საკუთარ და თარგმნილ ლექსებს, რომელთა შორის მოიპოვება დერკავინის „ღმერთი“ და ვოლტერის „აღსარება“, „სიაში“ შეტანილი არ არის იოანე ბაგრატიონის ორი უძთაერესი ორიგინალური თხზულება: „სჯულდება“, რომელიც მან 1799 წელს წარუდგინა გიორგი მეფეს და, რაც მთავარია, „ხუმარ-სწავლა“ ანუ, როგორც მას ტრადიციულად უწოდებენ, „კალმასობა“, რომელიც მეცნიერების თითქმის ყოველი დარგის მიღწევათა ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომად გადმოცემის ცდაც არის და, იმავდროულად, მხატვრულად ასახავს ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებებს, საქართველოს აწმყოს და წარსულს.

იოანე ბაგრატიონის 80 წინადადებისაგან შემდგარი „სჯულდება“ წარმოადგენს ქვეყნის მართვის, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების ევროპულ სახელმწიფოთა ნიმუშით წარმართვის პროექტს, რომელშიც მუდმივი ჯარის დაწესებასა და სახელმწიფო აპარატის გამარტივება-გაიაფებასთან ერთად ომის, ზავის და სხვა უმნიშვნელოვანეს „მძიმე საქმეების“ გადასაწყვეტად გათვალისწინებულია სათათბირო ორგანოს დაარსება, სადაც „ქართლიდამ“, „ქაქეთიდამ“ და „სათათრეთიდამ“ სამ-სამე „კარგი შთამომავლობის“ „გამოჩენილ“ პირთა გვერდით სამი „მოქალაქეებიდამ“ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

„სჯულდების“ მიხედვით „ოდეს იკონომია მოვა თავის წესსა შინა, ყოველივე შესაძლებელ არს წარმართვად“, ხოლო „იკონომიის წესსა შინა“ მოყვანის უმნიშვნელოვანეს პირობად ეროვნულ საფუძველზე

⁸² კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 2196, ფ. 1.

⁸³ იქვე, ფ. 1.

⁸⁴ იქვე, ფ. 1.

დამყარებული ვაჭრობა-მრეწველების განვითარებაა აღიარებული, რადგან, იოანეს აზრით, „ეს ძლიერება იქნება ჩვენი, ოდესაცა ვაჭარნიცა ჩვენი იქნებიან“ და, ამიტომაც. პროექტში „ქართლიდამ. კახეთიდამ“ ისევ „ვაჭრებთან ნამყოფ“ რამდენიმე კაცის შერჩევა და ვაჭრობაში განსასწავლად „სახელმწიფოს შემოსავლიდან“ მათთვის ხელის გამართვა გათვალისწინებული⁸⁵, ხოლო პარაგრაფში „ხელოვნათვის“ „ყოველისა გვარისა ხელოვნების... მიხანიცისა და სხვათა სახმარობათა. წისქვილებისა, შენობებისა მცოდნეთა კაცთა უცხო ქვეყნებიდამ მოყვანის“ — ამ „სწავლათა გამრავლების“ და „აგრეთვე საქსოვებისა მცოდნეთა და თევზთა მონადირეთა კაცთა შოვნის“ ამოცანაა დასახული.

„სჯულდებაში“; სადაც საგანგებო ყურადღების საგნად არის ქცეული კულტურისა და განათლების სფერო, რომელიც „განათლების თავადად“ სახელდებულ „განათლების მოხელეს“ უნდა დაქვემდებარებოდეს — „იყოს განათლების მოხელე, ესე იგი სკოლებისა, სხვა სასწავლებლებისა და სტამბის საქმეში“ (12), „განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ „ტფილისსა, გორსა და თელავს შინა“ სამი უმაღლესი ტიპის სკოლის დაარსებასთან ერთად, რომლებშიც თავადაზნაურთა და „პირველ მოქალაქეთა“ შვილებს უნდა „მცოდნენი კაცნი ასწავლიდნენ სამეცნიერო სწავლასა, სამხედროსაცა, აგრეთვე ენებსა“. გაოვალისწინებულია „მდაბალი სასწავლებლებიც, დუქნები ანუ სახლები“. სადაც „ისწავლიდნენ მსახურნი კაცის შვილნი და მდაბლები ვაჭართა შვილები, აგრეთვე გლეხისაცა, ვის როგორად შეეძლოსთ“ (27). აქ იმასთან ერთად, რომ სწავლა, ყოველშემთხვევაში პირველდაწყებითი, არაა გამოცხადებული რომელიმე წოდების პრივილეგიად და გლეხის შვილებსაც შეუძლიათ ისწავლონ, ქვეყნის ეკონომიური გაძლიერების. ანუ იოანეს სიტყვებით „შემოსავალთ განვრცობის“ პირობებში პირველდაწყებითი სწავლის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფის საკითხია დაყენებული. პროექტში „მდაბალი სასწავლებლების“ პროგრამის განსაზღვრასთან ერთად — „მას შინა ჰსწავლობდნენ ქართულსა, სომხურსა. თათრულსა, რუსულსა და, თუ შეიძლება ბერძნული და ლათინურიცა“ — ნათქვამია „უკეთესი იქნება ოსტატები ანუ მასწავლებლნი იყვნენ მეფის ხარჯითა, ხოლო მოწაფენი თავათ მშობელთ ხარჯითა, ვიდრე შემოსავალთ განვრცობამდე“ (27). ცხადია, ამ პროექტში გათვალისწინებულ გლეხთა შვილების სწავლების უფლებას ფეოდალური საქართველოს პირობებში პირველდაწყებითი სწავლის სახელმწიფო ხარჯით უზ-

85 ი. ხ. ბ. ბატონიშვილი, სჯულდება, ტექსტი ვამოსაცემად მოამზადა, შენავალი, ლექსიკონი და სამიხბელი დაუროთ ივ. სურგულაძემ, თბილისი, 1957, გვ. 39—40. შემდეგში აღგილება ამ გამოცემიდან არის დამოწმებული. ფრჩხილებში ნაჩვენებია გვერდი.

რწმუნელები აქცევენ მართოდ ფიქციოდან რეალურ სინამდვილედ და ეს, როგორც ჩანს, კარგად ჰქონდა შეგნებული იოანე ბაგრატიონს.

დასასრულ, განათლების დარგში აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტის მიხედვით, სასულიერო სწავლება გამოყოფილია საეროსაგან — „ესე სახედვე — წერს იოანე — სასულიერო სასწავლებლები იყოს განწესებით და ამის მეურნეობა აქუნდეს კათალიკოსს და სულიერს მთავარსა“ (27).

არა ნაკლებ საყურადღებოა „სჯულდებაში“ გაზეთის გამოცემის (თვეში ორჯერ) და ბიბლიოთეკის დაარსების წინადადებები. პროექტის მიხედვით „ბიბლიოთეკას სახლი“ წიგნსაცაიეც უნდა ყოფილიყო და თავისებური მეზუმიც, სადაც „ყოველი საერო და საეკლესიო წიგნრაც შეიძლებოდეს იქ იცვებოდეს (57).

აქ დამოწმებული ამონაწერები, ისევე როგორც „სჯულდებაში“ წამოყენებული სხვა სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის წინადადებანი, აშკარად მოწმობენ იოანე ბაგრატიონის ევროპულ ორიენტაციას, და მის მისწრაფებას საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ევროპულ სახელმწიფოთა ნიმუშით წარმართვისა, რაც, თავის მხრივ, შედეგი იყო ერეკლე მეორის შვილიშვილის ფართო ევროპული განათლებისა, რომელიც მან გააღრმავა პეტერბურგში გადასახლების შემდეგ, სადაც ცხოვრობდა იგი 1801 წლიდან სიკვდილამდე.

სწორედ იქ, რუსეთში (რომლის წარმატებანი მეცნიერებისა და კულტურის დარგში გაოცებას იწვევდა, რაც გამოხატული აქვს იოანე ბაგრატიონის თანამედროვე ვასილ ჭელიძეს იოანესადმი მიძღვნილ წინასიტყვაობაში თავისეული თარგმნილი წიგნისა „მოკლე ხელისმძღვანელობა მხაზველობითისა ხელოვნებისადმი“, სადაც იგი წერდა; „საცნაურ უკვე არს წინაშე ყოველთა ვითარსა ზედა აღვიდა ხარისხსა სიბრძნისასა რუსეთი ერთსა შინა საუკუნესა, რომელიცა უპირველესთა ევროპის განათლებულთა სიბრძნით ქვეყანათა არა მხოლოდ ესწრებისეც, არამედ მოკლესა შინა უამსა კნინდა წარუსწრებსცა ყოველთა შინა სწავლასა, ვითარცა აზნაურობათსა, აგრეთვე გონებითსაცა“⁸⁶) შექმნა იოანე ბაგრატიონმა არსებრთად თავისი თხზულებანი.

იმპულსი იოანეს ამ დაუღალავი შრომისა აღნიშნული აქვს იონა ხელაშვილს მეგობრისადმი მიმართვაში „ღღედაღამ ათევთ წერითა, რათამცა სარგებლობანი შესძინოთ ერსა“ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.) და, მართლაც, სამშობლოს სიყვარული, იმისი რწმენა, რომ თავისი შრომით ბედნიერებისაკენ გაუკავფავდა გზას „ერთმემამულეთა“, ანიჭებდა საქართველოს კეთილდღეობისათვის მზრუნველ პატრიოტს ძალას „ხელხებად“ მძიმე საქმისა. ამას თავადაც აღნიშნავს იოანე კონდილიაკის

⁸⁶ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 2375, გვ. 22.

„ლოგიკის“ თავისკული თარგმანისათვის წამძღვარებულ მიძღვნაში, სადაც დაბეჯითებით რომ წერს. — „...უმჯობეს ყოველთა საუნჯეთა... არს სწავლა. სწავლა, რომელიცა სცვალბს გონებასა უეცოთასა, სწავლა, რომელიცა აღიყვანს ზე და დაახედებს ქვე...“ — იმასაც განმარტავს. „ხელხებად ამისა“ იმან მაიძულაო, რომ „სარგებელ ექმნასთ ერთმემამულეთა ჩვენთა და ისარგებლონ ამით, ვინაიდგან ბუნებითი სიყვარული მაიძულებს დალაღვად ფიქრთა შინა ბედნიერებისა მათისათვისო“⁸⁷.

იმავე მიძღვნაში, სადაც იოანე ბაგრატიონი სწავლა-განათლების ევროპული სისტემის მომხრედ წარმოგვიდგება („...მოგიძღვანე წიგნი ესე — სწერს იგი დავით რექტორს — რათა მისცე მათ (მოსწავლეებს. — დ. ლ.) მათემატიკური ცნობაცა, რომელიც აწ არს ეგსახედვე ევროპასა შინაცა. მეცა მიძხედმან ამისა, რათა იყოს ჩვენშიაც ესეგვარი სწავლება, ვიწყე ამისთვის კეთილი საქმე“⁸⁸), ყურადღებას იპყრობს „კალმასობის“ ავტორის დამოკიდებულება ანტონ პირველისადმი, ვის მიძბადველადაც აცხადებს იგი თავის თავს. „რადგან კეთილისა მიბაძვა კეთილ არს, ამისთვის მიბაძვე ვექმენ უწმინდესობას მისსაო“ — სწერს იოანე დავით რექტორს და იქვე დართულ იამბიკოში ახასიათებს მოღვაწეობას „პირველის ანტონის, პატრიარხ კათალიკოსისა“, რომელსაც, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ აღუვლენს ხოტბას, რომ

— ყოვლად ბრძენ გნომა ეთარგმნა აქ წერილი:
მეტაფიზიკა, ლოღიკა ფიზიკითურთ
და ითიკაც ბავშვისტრისაგან თხზულნი

და რომ ანტონმა —

ყოვლად ბრძენმან, გონება ნათელ-ერკელმან,
მკვერ გამოთქმელმან, მსმენელთ სატკობად მთხველმან,
ისტორიე ძველმან და ღრმა ღვთისმეტყველმან
წრომა ჰყო მცდელმან, გულითად მომწანდელმან,
რათა ნათელეცს ჭართელთა სიბრძნის მზემან⁸⁹.

იამბიკოში გამოხატული დიდი მოწიწება ანტონისადმი — რომელიც წარმოდგენილია პიროვნებად, ვისგან —

...მდინარე წყარო შვენ-მეტყველების
მოკამკამეობს, მომდინარეობს სიბრძნის წყალობით,
რათა მომირწყოს ველნი მკვნარ-უმეტროვანი.
და განმანგულ ჰყვენეს ეკალნი მაშთუნი მათნი,
რომელთა ექმნა ანტონის ხელი ნამგლად⁹⁰.

⁸⁷ კ. კეკელიძის ს.ხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S.— 1151, ფ. 4.

⁸⁸ იქვე, S — 1151, ფ. 5.

⁸⁹ იქვე, S — 1151, ფ. 4.

⁹⁰ იქვე, S — 1151, ფ. 4—5.

როანე ბაგრატიონმა თავისი მოღვაწეობითაც დაადასტურა, „კალმასობის“ ავტორიც ანტონ პირველის კვალდაკვალ საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების საფუძველად განათლებული მონარქის სკიპტრის ქვეშ ქვეყნის გაერთიანებას მიიჩნევდა, „წყობილსიტყვაობის“ შემთხვევლის მსგავსად სამშობლოს უყეთეს მომავალს მის ევროპეიზაციას უკავშირებდა და „ერთა ბედნიერების“ უშრეტ წყაროდ „გონების განათლებას“ რომ რაცხდა, „დღედაღამ ათევედა წერთა“, რათა ქართველი ხალხი ევროპული კულტურისათვის ეზიარებინა. ამ თვალსაზრისით იოანე ბაგრატიონი დიახაც მიმბაძველი იყო ანტონ პირველისა და თუმცა მათი მსოფლმხედველობა და ლიტერატურული პრაქტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება. ერთმანეთისაგან, მაგრამ სწორედ ამ სხვაობის გამო გვევლინება იოანე ბაგრატიონი თავისი წინამორბედის ერთგულ მოწაფედ, მისი საქმის ღირსეულ გამგრძელებლად და არა ეპიგონად. საქმე ისაა, რომ ეს სხვაობა შედეგია ნახევარი საუკუნის მანძილზე (რაც აცილებს მათ მოღვაწეობას ერთმანეთისაგან) საზოგადოებრივ აზროვნებაში მომხდარი დიდი ძვრებისა, რომელიც გამოხატულია თავისი დროის მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარების დონეზე მდგომი იოანე ბაგრატიონის შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი „კალმასობაში“.

ასე მაგალითად, თუ ანტონ ბაგრატიონი როგორც თავისი ორიგინალური თხზულებებით, ისე ვოლფის პოპულარიზატორის — ბაუმისტერის ნაწარმოებების თარგმანით რაციონალიზმის მიმდევრად წარმოგვიდგება, იოანე ბაგრატიონი, მთარგმნელი კონდილიაკისა — „ლოკის უშუალო მოწაფისა და ფრანგი მიმდევრისა“, რომელმაც დაუყოვნებლივ მიმართა ლოკის სენსუალიზმს XVII საუკუნის მეტაფიზიკის წინააღმდეგ და „დაამტკიცა, რომ ფრანგებმა სრული უფლებით უარყვეს მეტაფიზიკა. როგორც წარმოსახვისა და მცდარი თეოლოგიური შეხედულებების უბრალო და უხეირო ნაყოფი“⁹¹ — სენსუალიზმის მქადაგებლად გვევლინება. ეს აშკარად ჩანს, როგორც „კალმასობის“ დასაწყისში (დღე მესამე, პარაგრაფი „კაცისათვის“), ისე მის დასასრულს (პარაგრაფი „იდეათათვის“). მართალია, ლ. აბაშიძესთან საუბარში იოანე თავისი განმარტებით სულისა — „სული არის პსიხი, რომელიცა ეამიერად კაცთა შორის მწერტელობს ყოველსავე შემეცნებასა... თვინიერ მცირისა მონაწილეობითა სხეულისათა“⁹², ხარკს უხდის გაბატონებულ

⁹¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. III, стр. 258—259.

⁹² ი. ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტომი I, კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1936, ტ. I, გვ. 14. შემდეგში ყველგან აღვნიშნავთ დამოწმებულა ამ გამოცემის მიხედვით. ფრჩხილებში მითითებულია ტომი და გვერდი (მეორე ტომი გამოცემულია 1948 წ.).

შეხედულებას, მაგრამ მთელი შემდგომი მსჯელობის მიხედვით ეს განმარტება ლიტონ ფრაზად რჩება, რადგან სულის მთავარ თვისებად ისაა მიჩნეული, რომ მას აქვს „ხუთნი უკვე გრძნობანი“, „საშუალებითა უკვე ამა ხუთთა გრძნობათა სული ჩვენი მიმღებლობს მცნობელობასა“ (1, 14), და, რაც მთავარია, სული ჩვენი „მიმღებლობს“ „მცნობელობასა მყოფთათვის გარეშე მისსა ნივთთა“ საშუალებითა ნერვებთათა (ანუ მგრძნობელთა ძარღვებთაგან), რომელნიცა უკვე არიან თანაზოარნი კერძოთადმი გრძნობისა შემადგენელთა, რომელნიცა მიართმევენ მოქმედებათა თვისთა გონებასა, რომელიცა მდგომობს, ფილოსოფოსთაებრ, უმეტეს ტვინსა შინა, ხოლო ტვინსა მას შინა არს უკვე უწყებული ადგილი, სადაცა ყოველნი უკვე წევრნი შეერთდებიან და ეს არს ადგილი იგი, სადაცა ხელმწიფებს უკვე სული და ამა მოქმედებათა ძლით მომპოვებლობს იგი ყოველთა მცნობელობათა ნივთთათვის, მყოფთა გარეშე მისსა, და მიიღებს უპირველესსა შემეცნებასა“. (1—14—15. ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.). წარმოდგენილი მსჯელობიდან, რომელიც ზედმიწევნით შეესატყვისება გარესამყაროს შემეცნებაზე სენსუალისტურ მოძღვრებას, აშკარაა, რომ მოქმედება სულისა, რომლის ცენტრი ადამიანის ტვინშია, სრულიადაც არ ხორციელდება „თვინიერ მცირისა მონაწილეობითა სხეულისათა“. მეტიც, მას მარტოოდენ სხეულის მონაწილეობით შეუძლია შეიმეცნოს სამყარო⁹³.

„კალმასობაშივე“, რომელიც „ნამდვილ ენციკლოპედიას წარმოადგენს თავისი დროისას“⁹⁴, XVIII საუკუნის დასასრულისა და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების მართალი სურათის დახატვასთან ერთად წარმოდგენილია. „თუ მთელი სისტემა არა. აუცილებელი ცნობები მაინც მეცნიერების ყოველი დარგიდან. როგორიცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეთიკა, ლოგიკა, იურისპრუდენცია, მითოლოგია, ასტრონომია და კოსმოგრაფია, კლიმატოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, ზოოლოგია, მედიცინა, პათალოგია, თერაპია. აკუსორობა, სამხედრო

93 ამ საკითხზე, ისევე, როგორც საერთოდ ი. ბაგრატიონის ადგილზე ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში, იხ. შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, 1956, გვ. 432—459; ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში, 1959, გვ. 357—369, და 432—459; Г. М. Каландаришвили, Очерки по истории логики в Грузии, 1952; თ. კუკავა, ნარკვევები მე-19 ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიიდან, 1956, მისივე, ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, 1967; გ. დედაბრძევილი, ი. ბაგრატიონის „კალმასობის“ ფილოსოფიური ნაწილის გამოკვლევა და ლექსიკონი, ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, 1974.

94 კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე, წინასიტყვაობა „კალმასობის“ შემოღობვის ხელეწიერების გამოკვლევის, გვ. III.

საქმე (სტრატეგია, ფორტიფიკაცია, ტაქტიკა) და აგრეთვე თეოლოგია⁹⁵. რაც იმავე ავტორების აღნიშვნისამებრ გამოწვეული იყო იმ შეგნებით, რომ „შექმნილ პოლიტიკურ პირობებში, შესაძლებელია ახლო მისვლა ევროპის ცხოვრებასა და კულტურასთან (რასაც ასე ეტრფოდნენ ჩვენში განსაკუთრებით მე-17 საუკუნიდან). რისთვისაც საჭიროა ევროპული ცოდნა-მეცნიერებისა და განათლების შეთავსება“ და „ეროვნულ მკობლასა და საგანმანათლებლო ცენტრებს მოკლებულ მკითხველს“ იოანე ბაგრატიონის თხზულება აძლევდა კიდევ „საჭირო ცნობებს ევროპული მეცნიერების ყველა დარგიდან“⁹⁶.

თუმცა „კალმასობაში“, — რომლის საგანგებო ღირსებად ჩერ კიდევ ამ თხზულების პირველი შემფასებელი დიმიტრი ბაქრაძე საქართველოს მაშინდელი მდგომარეობის შეგნებასთან ერთად იმ დროის „მსოფლიო მეცნიერებაზე“ მსჯელობას მიიჩნევდა⁹⁷ — მართლაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეცნიერების ყველა დარგიდან მკითხველისათვის ცნობების მიწოდებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გადაჭარბებულად გვეჩვენება კატეგორიული მტკიცება, „უდავოა, რომ „კალმასობაში“ მთავარია არა მისი მხატვრული ნაწილი, არამედ ის იდეები ანუ იდეათა სისტემა, რომლის გადმოცემას მიზნად ისახავს ჩვენი ძეგლი“⁹⁸.

საქმე ისაა, რომ ამ დებულების ავტორის აკად. შ. ნუცუბიძისავე აღიარებით „ქართული მხატვრული შემოქმედების ამ შესანიშნავ რეალისტურ ძეგლს“⁹⁹ დღეს, გ. ქიქოძის შენიშვნისამებრ, „საინტერესო საკითხავ წიგნად ხდის არა მისი ფილოსოფიური ან მეცნიერული მსჯელობანი, არამედ მხატვრული ნაწილი“¹⁰⁰. ხოლო ეს ინტერესი გამოწვეული იმით, რომ „რაბლეს საკადრისი იუმორით“ დაწერილ მხატვრულ ნაწილში „კალმასობისა“, რომელიც არის „XVIII საუკუნის ფეოდალური საქართველოს ეპოპეა“¹⁰¹, იოანე ბაგრატიონი, წარმოგვიდგება საქართველოს და ქართველი ხალხის „ისტორიკოსადაც... პირუთვნელ მსაჯულადაც, ცხოვრების მასწავლებლადაც და ყოფის მხატვრადაც“¹⁰². ამასთანავე „კალმასობის“ მხატვრული ნაწილი „გაბედულად

95 კ. ქეკელიძე და ალ. ბარამიძე, წინასიტყვაობა „კალმასობის ზემოდასახელებული გამოცემისა, გვ. 111.

96 იქვე, გვ. IV.

97 დ. ბაქრაძე, წინასიტყვაობა, „კალმასობის“ ზ. ჰიჭინაძისეული გამოცემა, 1895, გვ. XVI.

98 შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 1952, გვ. 397.

99 იქვე, გვ. 398.

100 გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, გვ. 77.

101 ტ. ტაბიძე, წერილები, ნარკვევები, 1957, გვ. 41.

102 გ. ნატროშვილი, წინაპარნი და თანამედროვენი, 1961, გვ. 123.

რომ არღვევს ძველი ეპოქის ტრადიციას, რომელშიაც მარტოოდენ რაინდებისა და მზეთუნახავების ფანტასტიკური სახეები იყო ნაჩვენები¹⁰³, არანაკლებ რელიეფურად და მკითხველისათვის უფრო სელმისაწვდომადაც, ვიდრე მეცნიერულ-ფილოსოფიური ნაწილი, გადმოგვცემს რუსულ-ევროპულ აზროვნებაში გაბატონებულ მოწინავე იდეებს, რომლებსაც უფარდებს იოანე ბაგრატიონი საქართველოში არსებულ პირობებს.

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გაზიარებული შეხედულებით (ალ. ბარამიძე, მ. ზანდუელი, გ. ნატროშვილი, გ. შაქაძე) „კალმასობა“ ქართული რეალისტური ლიტერატურის სათავეში დგას. და, მართლაც, ეს თხზულება იოანე ბაგრატიონისა, ვინც განმანათლებელთა მსგავსად თავის შემოქმედებას პრაქტიკულ მიზანს — თანამემამულეთა გონებაზე ზემოქმედებას, სოციალური გარდაქმნებისა და ახალი ცხოვრებისათვის მათ მომზადებას — უმორჩილებდა, ე. წ. განმანათლებლური რეალიზმის თვალსაჩინო ნიმუშია, რომელშიც, საზოგადოებრივი გარემოს და მისი ზეგავლენით წარმოქმნილ ურთიერთობათა მხატვრულ ასახვასთან ერთად, უხვად არის წარმოდგენილი ფაქტიური მასალა, ყოფითი დეტალები და ჩანს იუმორის დიდი გრძნობა, რასაც ბალზაკი წვრილში „ეტიუდი ბეილზე“ „მეთვრამეტე საუკუნის ევროპული ლიტერატურის საყურადღებო მიღწევად“ რაცხდა¹⁰⁴.

„კალმასობა“ უანობრივადც უპირატესად მიეკუთვნება იმავე განმანათლებლების მიერ მტკიცედ დამკვიდრებულ მხატვრულ პუბლიცისტურ პროზას, რომლის საუკეთესო ნიმუშები ფილოსოფიური რომანის სახით მონტესკიემ („სპარსული წერილები“) და უან-ჟაკ რუსომ („ემილი“, „ახალი ელოიზა“) შექმნეს, ხოლო ფილოსოფიური მოთხრობის სახით ვოლტერისა („ზადიგი“, „კანდიდი“ და სხვა) და დენი დიდროს („რამოს ძმისწული“, „ჟაკ ფატალისტი“ და სხვა) შემოქმედებაში გვხვდება. ისევე, როგორც განმანათლებლურ რომანსა თუ მოთხრობებში მეცხრამეტე საუკუნის კრიტიკული რეალიზმისათვის დამახასიათებელი გარკვეული ჩანაფიქრით სიუჟეტის განვითარების, მოქმედ პირთა ხასიათის სრულყოფილი წარმოჩენისა და ღრმა ანალიზის ნაცვლად მთავარი ყურადღება ექცევა ფილოსოფიური, პოლიტიკური და მორალური იდეების გაშუქებასა და მათზე მსჯელობას¹⁰⁵, „კალმასობის“ მხატვრულ

103 გ. ნატროშვილი, წინაპარნი და თანამედროვენი, 1961, გვ. 123.

104 О. Б а л з а к, Собр. соч., в 24 томах, т. 24, стр. 164.

105 მონტესკიე წერილებში „რამდენიმე შენიშვნა სპარსული წერილების“ გამო, „სპარსული წერილების“ განმასხვავებელ ნიშნად „ჩვეულებრივი რომანისაგან“, რომელშიც „არ შეიძლება ფაბულას შევეუბოთ მსჯელობა, რადგან ეს დაარღვევს ჩანაფიქრს და ხასიათს თხზულებისა“, იმას მიიჩნევს, რომ წერილების ფორმა — შექმ-

ნაწილშიც იოანე ბაგრატიონი ქართველი ხალხის ყოფის ცოცხლად აღწერაში აქსოვს ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და მორალურ საკითხებზე მსჯელობას და, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების ევროპულ სახელმწიფოთა ნიმუშით წარმართვის მქადაგებელ, ყველასათვის გასაგებად და საინტერესოდ გადმოსცემს რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მიერ გაზიარებულ ევროპულ განმანათლებელთა იდეებს, რომელთა განხორციელებას იგი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურულ-ეკონომიური აღორძინების აუცილებელ პირობად რაცხდა.

თავისი შეხედულებების გადმოსაცემად იოანე ბაგრატიონმა, გ. მიქაძის აღნიშვნისამებრ, მარჯვედ გამოიყენა მოგზაურობა „როგორც საკომპოზიციო ხერხი, მხატვრული დასაყრდენი“¹⁰⁶, რამაც მას საშუალება მისცა მთავარი მოქმედი პირი იონა ხელაშვილი, რომელიც მთელ საქართველოს შემოვილის, შეეხვედრებინა ისტორიულ პირებთან და სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებთან და საქართველოს თითქმის ყველა კუთხის საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვასთან ერთად ქვეყნის დამაყინებელი მანკიერებანიც ემხილებინა და მისი აღორძინების გზაც ეჩვენებინა.

„კალმასობაში“ გამოყენებული საზოგადოების თითქმის ყველა ფენის მდგომარეობისა და შეხედულებების გადმოსაცემად მათთან უშუალო კონტაქტი ის ხერხია, რომლითაც სხვადასხვა დროს წარმატებით უსარგებლიათ ერაზმ როტერდამელს „სისულელის ქებაში“, გრიმელსპაუზენს „სიმპლიციუსის“¹⁰⁷ „ლესაუს უილ ბლაზში“ და სხვ. იგივე ხერხია გამოყენებული ესპანური „პლუტური რომანის“ ისეთ ძეგლში, როგორიცაა „ლაზარელიო ტორმოსელი“.

აქვე ბარემ იმასაც აღვნიშნავთ, რომ იოანე ბაგრატიონის ამ თხზულების რიგი ეპიზოდებისა ევროპული ლიტერატურის მრავალი ძეგლის რემინისცენციას იწვევს. ასე მაგალითად, ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმული შეხედულებისამებრ (გ. ჯავახიშვილი, გ. ნატროშვილი) „კალმასობის“ მთავარი მოქმედი პირები შორეულად ემსგავსებან სერვანტესის „დონ-კიხოტის“ გმირებს. და მართლაც, თუ იონა ხელაშვილი, რომლის მოძღვრება ხშირად სინამდვილისაგან მოწყვეტილ, საქართველოს ისდროინდელი ცხოვრების პირობებში განუხორციელებ-

ნაწილშიც იოანე ბაგრატიონი ქართველი ხალხის ყოფის ცოცხლად აღწერაში აქსოვს ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და მორალურ საკითხებზე მსჯელობას და, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების ევროპულ სახელმწიფოთა ნიმუშით წარმართვის მქადაგებელ, ყველასათვის გასაგებად და საინტერესოდ გადმოსცემს რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მიერ გაზიარებულ ევროპულ განმანათლებელთა იდეებს, რომელთა განხორციელებას იგი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურულ-ეკონომიური აღორძინების აუცილებელ პირობად რაცხდა.

¹⁰⁶ გ. მიქაძის ზემოდასახელებული დისერტაცია, გვ. 165.

ბელ ოცნებად წარმოგვიდგება, არცთუ იშვიათად ტრაგიკომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდება და სიმართლის პირში მთქმელი ზოგჯერ ცემატყეპის ობიექტად ქცეული — „ამ საბრალო ბერმა — ამბობს ზურაბი ამის გამო გონას მიმართ, — სადაც რა ქადაგება ანუ სწავლა დათესა, მომკის მაგიერ ჯოხი, მუშტი, წვერის გლეჯა და ანაფორის დახევის მეტი ვერა მოიმკო რაო“ (1, 164) — ლამაზი მწუხარე სახის რაინდის ასოციაციას იწვევს, მისი თანმხლები, პრაქტიკული ჭკუა-გონების ზურაბ ღამბარაშვილი, მოკალმასე ბერის მაღალ მატერიაზე გაჭიანურებულ მსჯელობას კარგ სადილს რომ ამჯობინებს, დონ-კიხოტის საკუთრეულ-მტვირთველს სანჩო-პანსას მოგვაგონებს. „კალმასობაში“ იონა ხელაშვილის ჰიმნი ოქროსადმი — „ჰოი ოქროო, თუ რაოდენ შემძლებელ ხარ შენ! შენგან აღილებიან უძლველნი ციხენი, შენგან იძლევიან მხედრობანი, შენ გყვარობენ ხელმწიფენი, შენი ძალით დაეცემიან მეფენი, შენ მიიზიდავ გულსა მდიდართა და ღარიბთაცა, შენ ხარ მხიარულება ყოველთა კაცთა; მხიარულებით შეგიტკობენ მღვდელმთავარნი და სხვანი სამღვდელონი, მრავალგზის გააადვილებ კანონთა, მრავალგზის გაამტყუნებ მართალთა, შენ მიიზიდავ გულთა მსაჯულთა და კარის კაცთასა; შენ ასწავებ ცოდვასა ანგარებისასა; შენ ხარ კეთილი და აგრეთვე ბოროტი, ვინაიდგან ორივე ძალგძის“ (1; 17) — ანალოგიურ შთაბეჭდილებას სტოვეებს შექსპირის ტიმონ ათინელის მონოლოგისა, სადაც „ოქროს, ყვითელი მოხასხასე, ძვირფასი ოქროს“ დიდი განძის მპოვნელი ტიმონი ამბობს:

ოქროს ასეთ ზევეს შეუძლიან გადააქციოს
 უშნო — ღამაზად, შავი — თეთრად, ცრუ — ალაღმართლად.
 ლაჩარი გმირად... ღმერთებო, ეგ რად, რად მიბოძეთ?
 თაყვანისმცემლებს და ქურუმებს წარგტაცებთ იგი,
 ავადმყოფს ბალიშს გამოაცლის შეუბრალებლად.
 დაახ, ეს მონა ქარვისფერი ფიცს მრავლად დადებს
 და გატეხს თვითვე; შეჩვენებულს უძღვნის კურთხევას
 და გააღმერთებს დიდ ხნის მიხრწნილ კეთროვანებსაც;
 თვით ავაზაკთაც აღამაღლებს, უბოძებს ჩინებს,
 მერე მუხლმოყრილ ხალხს მათ ტაბტზე აყვანიან.
 და სენატორთა გვერდით დასუამს მათ თანხმობით;
 გადაბერებულ ქვრივ ქალსაც კი აუჩენს საქმროს;
 წულულისგან დაქმულ სნეულსაც, ვის სადასტაქროშიც
 ზიზღმორეულად იშორებენ, მტლედ დაედება
 და დაუბრუნებს საოცნებო აპრილის დღეებს! 107.

„კალმასობის“ ბევრი ეპიზოდი, სადაც გამოყვანილია „ვერცხლის-მოყვარეობას და სიხარბეს დაჩვეული“ (1, 164) მღვდლები და დიაკვ-

107 უ. შექსპირი, ტიმონ ათინელი, 1961, გვ. 66, ინგლისურიდან თარგმნა მ. ქარჩავამ.

ნები, რომლებიც უამნის და სახარების კითხვის დროს „დია ხლტეპიან“ და ბევრს უშვებენ სიტყვებსა (1, 84), ზედმიწევნით ჰგვანან, როგორც ულრიხ ფონ ჰუტენის სატირაში „ვადისკი ანუ რომის სამება“ გამოყვანილ „მოკლე ლოცვების, ძველი ოქროს, ყოველგვარი სიამოვნების“ მოყვარულ სასულიერო პირებს, ისე რაბლეს, ერაზმ როტერდამელისა და ვოლტერის გესლიანი სატირის ობიექტად ქცეულ კლერიკალებს. ასეთი არის სამღვდლოების გაუქმდრობის მამხილებელი ეპიზოდი, სადაც ზურაბი ბოდბელთან საუბარში მოურიდებლად ამბობს: „მე ძნელად სადმე ვიპოვნი სამღვდლოს, რომ თეთრი არ უყვარდესო“ (1, 164). ასეთივეა ეპიზოდი მარხვის გამტეხ მცხეთელ კათალიკოსზე (1, 163), ანდა ეპიზოდი „ყოვლად სამღვდელ“ თბილელზე, რომელიც სახლთუხუცესის მიერ ერთი ყვერულის „თვისა ათის თავში“ წაგვრის გამო სასტიკად განრისხებული წყევლა-კრულვას უგზავნის და ცემით ეშუქრება მას. იონას სიტყვებზე — „ყოვლად-უსამღვდლოო! ერთის ქათმისათვის მცირე შერისხვაც კმარა, არა თუ წყევლა და შეჩვენებაო“, — ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი და ცოდვათა მიმტევებელი იონას ეუბნება — „გიჟი ყოფილხარ, ზერო! ღმერთმან ადამ ერთის ლელვის მარცვლის შეკმისათვის სამოთხილად განსდევნა და რამდენიმე წელიწადი იტანჯა ისიცა და მისი შთამომავალნიცა და ჩემმა ნახლთუხუცესმა ჩემი მსუქანი ყვერული შემიკამა, ეს როგორ უნდა დაუთმო?“ (1, 264).

„კალმასობისავე“ ეპიზოდში, იონა ხელაშვილის შეხვედრისა ოდიშელ ბერთან უკანასკნელის საოცარი გულუბრყვილობისა და უვიცობის გადმოცემით (1, 193—200) განზოგადოებულად არის ნაჩვენები პოლიტიკურად დაქუცმაცებულ და ეკონომიურად დაჭინებულ ქვეყანაში გამეფებული გონებრივი ჩამორჩენილობა და სიჩლუნგე, რომელიც მოგვაგონებს გრიმელსჰაუზენის „სიმპლიციისიმუსს“, სადაც ოცდაათწლიანი ომებით გაპარტახებული გერმანიის გონებრივი ჩამორჩენილობა და სიჩლუნგე იმით არის გამოხატული, რომ 10 წლის სიმპლიციუსმა, ვისაც ოდიშელი ბერის მსგავსად ყველაფერი აოცებს, თავისი აღმზრდელებისა და საკუთარი სახელიც კი არ იცის.

„კალმასობაში“ სხვა მრავალი პასაჟიც გვხვდება, ევროპული ლიტერატურის ძეგლებს რომ მოგვაგონებს. მაგალითად, მოკალმასე ბერის საუბარი გორის დიაშბეგ ამილახვართან, რომელიც აცხადებს — „ქართლში სხვაგან სად ყოფილა სწავლა და ხელოვნება, რომ აქ იყოსო“ და დაბეჭითებით ამბობს: „ასეა თქმული: ცოდნამ დააქცია ქვეყანაო“ (1, 42), მოგვაგონებს კლინგერის „ფაუსტში“ სატანისა და ფაუსტის დიალოგს. სატანა ფაუსტს უდიდეს ბოროტებად, რომელიც მას ადამიანთა მიმართ ჩაუდენია, წიგნის საბეჭდი მანქანის გამოგონებას უთვლის, რადგან ამით ფაუსტმა ხელი შეუწყო ცოდნის, მეცნიერების გა-

ერცელებას და ადამიანის გონებაზე მოქმედი პატარა წყარო ჯოჯობეთისა ვეებერთელა ნიაღვრად აქცია.

ცხადია, ევროპული ლიტერატურის ძეგლებთან „კალმასობის“ ეპიზოდების აქ აღნიშნული დამთხვევანი არსებითად ტიპოლოგიური ხასიათისაა და სულაც არ ნიშნავს, რომ ი. ბაგრატიონი სერვანტესის, რაბლეს, ერაზმ როტერდამელის ან, მით უმეტეს, ულრიხ ფონ ჰუტენის, გრიმლსპაუზენის თუ კლინგერის უშუალო გავლენას განიცდიდეს (თუმცა, როგორც გ. ჭავჭავიძე აღნიშნავს, ისიც ცხადია, რომ „ავტორს თვალწინ ედგა იმდროინდელი ევროპული ლიტერატურის გასობის შემდეგ განსაზღვრული ტიპები და დენა“¹⁰⁸) და ამ თხზულებასაც ქართული ლიტერატურის ევროპეიზმის საყურადღებო ძეგლად წარმოგვიდგენს არა ამა თუ იმ მოქმედი პირით თუ პასაჟით გამოწვეული რემინისცენცია, არამედ იმ ახალი ლიტერატურული „დენის“ შესაბამისი მსატერული ქსოვილი და იდეური მიმართულება, სახელდობრ ის, რომ „კალმასობის“ მსატერულ ნაწილში ზღაპრულ-ფანტასტიკური პიროვნებებისა და გარემოს ზუ მოვლენების ნაცვლად ცოცხლად არის გადმოცემული რეალური სინამდვილე, ქართველი ხალხის ცხოვრებიდან აღებული ყოფითი სურათები; გულისტკივილით არის ნაჩვენები ისტორიულ წარსულში პოლიტიკურად მტკიცე, ეკონომიურად ძლიერი, კულტურულად აღორძინებული ქვეყნის დამაკინებელი მანკიერებანი; შეუფერავად არის დახატული თავადაზნაურობის გონებრივი და ზნეობრივი დეგრადაცია და უმწეო მდგომარეობა დიდი სიმპათიით წარმოდგენილი დაბალი ფენებისა (ერთი არსებითი ნიშანი ევროპული ლიტერატურის ახალი „დინებისა“); ამასთანავე, ეროვნული სიამაყისა და თვითშეგნების გამოსაფხიზლებლად გარდასულ დროთა მალალ ზნეობრივ და ქვეყნისათვის თავდადებულ გმირთა სანიმუშოდ მომხმობი ავტორი თანამედროვეთა სიმდაბლის მხილება-განჭიკებისას პოზიტიურ შეხედულებასაც აყენებს და იმ გზებსაც სახავს, რომლითაც, მისი აზრით, შეიძლებოდა ქვეყნის კვლავ აღორძინება.

ერთ-ერთ ასეთ გზად იოანე ბაგრატიონს ქვეყნის ცენტრალიზაცია მიაჩნია. „კალმასობის“ ავტორი საქართველოს წარსული სიძლიერის უპირველეს მიზეზად წინაპართა ერთსულოვნებას, სულის სიმხნეს და სამშობლოს სიყვარულს რომ რაცხს — („იგინი იყვენენ — მიმართავს იონა ხელაშვილი ბოდბის ნინო-წმინდას ეკლესიაში წირვაზე შეკრებილ ხალხს — თუმცა კირთებასა შინა სხვათა და სხვათა მპყრობელთა მიერ... გარნა სიყვარული მეფისა, მამულისა და სიმხნე სულისა ვერა დაატოვებინეს, იძლივენენ და სძლიეს, იღვენენ და განდვენენ და ესრეთ მოი-

108 გ. ჭავჭავიძე, „კალმასობა“, 1933, გვ. 280—281.

გეს ვიღრე აქამომდე უკვდავებისა სახელი“ 1, 158) — აწინდელი საქართველოს დაცემას ქვეყნის დაქუცმაცებას მიაწერს („ერთ სამეფოა რომ ყოფილიყო საქართველო და იმერეთი, ვერც მტერი მოგვერეოდა და ვერც ამგვარი ნივთები დაიკარგებოდა; ნახე, უთანხმოებას რა შეუღდა!“ — ამბობს იონა. II, 53). სამშობლოს დაკნინებას „ძველის პატრიონებისა, ძმათა ერთსულობისა... ამასთანავე სულისა მამაცობისა-ცა“ (1,56) ნაცვლად დამკვიდრებულ „უპატიოვების, განცხრომის და ფუფუნების“ (1,157), „რომელთამესა მცბიერებისა, რომელთამესა მლიქვნელობისა, რომელთამესა მოტყუებისა, რომელთამესა დაუნდობლობისა, რომელთამესა ანგარებისა“ (1,158) შედეგად თელის, იმას მი-აწერს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი კეთილდღეობისათვის წამებულ გმირთა საქმიანობის სიღიადით მოხიბლულნი თუმცა კი ვართ „მიმხედნი მისნი, ვსულთქვამთ თავისუფლებისათვის, მივი-სწრაფით მისდამი“, მაგრამ „შური და სიძულვილი და ცუდ-დიდება, რომელიცა დამკვიდრებულ არს ჩვენთაგან, არა გვიტოვებს ჩვენდა სიტყვასა, რომელსა ვიტყვი, არა დაადგრების ჩვენს შორის“ (1,162) და ქვეყნის შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალს აბსოლუტური მონარქიის შექმნაში ეძებს.

ღიახ, იოანე ბაგრატიონი აბსოლუტიზმის მოძხრეა, რომელსაც სა-თაეში ჩაუღდება განათლებული მონარქი. ვინც ფეოდალურ დაქსაქსუ-ლობასთან ერთად ცუდ მოხელეთა თარეშსაც აღკვეთს, რადგან იმავე განმანათლებლების მსგავსად (მოვიგონოთ თუნდაც ფრ. შილერის „დონ-კარლოსი“) მას ღრმად სწამს, რომ ძნელბედობაში მყოფი ქვეყნის სა-ვალალო მდგომარეობას და ხალხის სიღუბჭირეს კიდევ უფრო აუტა-ნელს ხდის ცუდი მოხელეების უკანონო პარპაში („სულ ცუდი მოხელეე-ბისაგან არის ქვეყანა ნაკლულოვანებაში“ (1,18), ამტკიცებს იონა ხელაშ-ვილი, აღშფოთებული მოურავის ქცევით, რომელსაც აწიოკებული გლე-ხობისათვის ის პირუტყვიც წაურთმევი, ლეკებისაგან განძარცულთ რომ დარჩენიათ და იონასავე ირონიული შენიშვნით, „რაც ლეკებს გა-დარჩომიათ, მოურავს სისრულე მიუცია“ (1,18). „თუ მოხელე თავის სულს გარდუღდება, შემძლებელი ყოველთვის გამართლდება, თუგინდ ტყუოდესო“ (1,94), ათქმევენებს მოკალმასე ბერს იოანე ბაგრატიონი და ნაწარმოებში გვიჩვენებს, რომ ქვეყანა სავსეა სწორედ „სულს გარ-დამდგარი“ მოხელეებით, რომლებიც თავიანთ უკანონო მოქმედებას სულაც არ ფარავენ და ამართლებენ კიდევ, ეს საზოგადო მოვლენააო. „ქართლში სად არის სწორე სამართალი? როგორც უნდა იყოს გავა-ჩანჩალოთ საქმე“ (1,98) — აღიარებს ყვარლის მდივანბეგი დავითი. „ქართლში სამართალი არც ქმნილა და არც იქნებაო“ (1,204), ადასტუ-რებს მარაბდის მდივანბეგი ზაალიც, რომელიც იონას განმარტების გა-შო — მდივანბეგი ანუ მსაჯული უნდა იყოს მამულის ერთგული, სწავ-

ლული, პირუთენელი და ამავე დროს „საზოგადო გულისა“, (1,204) — ამბობს: „ბერო, სულ სანთლით რომ იარო, მაგისტანა კაცს ვერ იშოვ-სი ჩვენშიო“ (1,203) და იქვე (1,204) მოუხიდავებლად აცხადებს: „ვეუო, სარჩოს გულისთვის დამარქვეს მდივანბეგობა, თორემ, რაც შენ მოთ-ვალე, არც გამოიგონია, არც წამიკითხავსო“. მაგრამ თავის დროის ჰო-წინავე მოაზროვნე, იმავე განმანათლებლების კვალდაკვალ, მონარქიას სულაც არ მიიჩნევს მმართველობის ერთადერთ იდეალურ სისტემად, იგი მხოლოდ ამას ამბობს: „ჭერეთ ამაზე უმჯობესი ვერა მოუპოვინესთ, ვითარცა მონარქიობითი მმართველობა, რომელიცა შეერთებულ ყოფს უფრო მრავალთა სარგებლობასა და უმცირეს ზიანთა“ და იქვე დას-ძენს: „ხოლო ყოველთა მმართველობათა ზედა უმჯობეს არს იგი, ოდეს-საცა ყოველი სარგებლობს სიმართლითა თვისითა და არც თუ ვინმე არიან შეიწროებულ სხვათაგან“. „ყოველთა მმართველობათა ზედა უმ-ჯობესი“ მმართველობის შესაქმნელად კი იოანე ბაგრატიონის შეხე-დულებით საზოგადოების გონებრივი განვითარება და ზნეობრივი აღ-ზრდაა საჭირო, რაც „კალმასობის“ პათოსს შეადგენს და ზედმიწევნით ესადაგება განმანათლებელთა შეხედულებას. მრავალ მაგალითთაგან მო-ვიგონოთ ფრ. შილერის შეხედულება, რომლის მიხედვით, იმისათვის, რომ „ადამიანს ბოლოსდაბოლოს პატივი ვცეთ, როგორც თვით მიზანს და ჭეშმარიტი თავისუფლება დაუღოთ საფუძვლად პოლიტიკურ გაე-რთიანებას“¹⁰⁹, აუცილებელია ზნეობრივი სრულყოფა, რადგან სხვანა-ირად, მაშინ როცა „ზანგში კაცობრიობას პატივისცემას დაუწყებენ მსოფლიოს სხვა კუთხეებში, ევროპაში იმავე კაცობრიობას თავლაცს დაასხამენ მოაზროვნეში“¹¹⁰.

განსხვავებით ევროპელი განმანათლებლებსაგან. რომელთა მთავარ საბრძოლო ამოცანას ფეოდალიზმის (გერმანია) და მისი გადანაშთების (ინგლისი, საფრანგეთი) ლიკვიდაცია/წარმოადგენდა, ფეოდალური და-ქუცმაცების მოწინააღმდეგე იოანე ბატონიშვილი სულაც არ უარყოფ-და ბატონყმობის ინსტიტუტს. მეტიც, მას „კალმასობაში“ ჩამოყალიბე-ბული აქვს ბატონისა და ყმის ურთიერთდამოკიდებულების კოდექსი, რომლის ერთი ნაწილი „მონათათვის“ ოთხი, ხოლო მეორე — „უფლი-სათვის“ — თხუთმეტი პარაგრაფისაგან შედგება. ამ კოდექსში იგი მე-ბატონეებს მიმართავს: „უფალთა-თანა-აძსთ თვისთა ყმათა ზედა, რათა იყვნენ მყვარებელ და ბრძანება მათი იყოს მრთელითა განმსჯელობი-თა და სამართლიანის საქმითა, რომლის ძალით უფრორე ადვილად მო-ცყანს მორჩილებასა შინა“. (1,51, § 1); შემდეგ არიგებს მათ: „ღებუ-

109 ფრ. შილერი, თხზ. სამტომეული, დ. ლაშქარაძის შესავალი ნარკვევით და კომენტარებით, ტ. III, გვ. 493.

110 იქვე, გვ. 504.

ლებსა კიდე სხვასა ნურას წაართმევ მეტსა და, უკეთუ დაგვირდეს რამე, სიტკობებითა სთხოვე იგი, რომელიცა შეძლებისამებრ სისრულით მოვართმევს“ (1,51, § 11), და, ბოლოს, ურჩევს: „ყოველნი მოსამსახურენი შენნი გაშიჩვენ და ვის რა ძალ ეღვას, მას საქმეთა შინა განაწესენ... და ოდეს იხილო, რომელ კეთილად მართებს, მაშინ შენცა ნაცვლად მიანიჭე მას წყალობა და ესრეთ ყოველნი იქნებიან გულისმოდგინეო“ (1,52, § 12), ხოლო ყმა გლეხებს შეაგონებს: „1) რადგან ნებითა ღვთისათა მიეცა კაცთა მონება უფლისა თვისისა, მართებს მას მონასა, რათა არღა ოხვრიდეს მისთვის და არცა განწესებულისა მისისა უღლისათვის“ და 2) პატიოსანთა მსახურთა თანა-აძსთ ერთგულება ცადი, სიმდაბლე, მორჩილება და მოთმინება (1,50), მაგრამ ბატონყმობის ინსტიტუტის აღიარება სულაც არ უშლის ხელს იოანე ბაგრატიონს „კალმასობაში“ მძაფრი სატირის საგნად აქციოს დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობა, ამხილოს მისი ზნედაცემულობამდე მისული თავგასულობა და გონებაჩლუნგობა და თანაგრძნობით გამოხატოს უსაზღვრო ექსპლოატაციით დაბეჩავებული დაბალი ფენების მდგომარეობა, რითაც ქართული ლიტერატურის ევროპეიზმის ამ მნიშვნელოვანი ძეგლის ავტორი მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელთა წინამორბედად გვევლინება.

იოანე ბაგრატიონი შეუფერავდ რომ ასახავს „საბრალო გლეხთა... ადვილად და შეუძლებელ რბევას“ (1,18), დიდ სიმპათიას იჩენს უქონელთა მიმართ, რომელთაც „პური და სხვანი საგლეხო ჭამანდი, უმეტეს საამოდ განაძღობს... წყალი და ღვინო უფროს შეერგებისთ... ვიდრელა მდიდართა სხვადასხვა სასმელები და შარბათები“, რადგან „მუშაკობითა თვისითა უმეტეს განიწმენდნენ სისხლთა თვისთა“ და „ინარებენ მით, რაილაცა აქვენ მას და დასტკებებიან მოსვენებითა სულისა თვისისათ“ (1,230) და უპირისპირებს მათ მქონებელთ „ვითამცა განმამრავლებელი საუნჯისა თვისისა. არა იქმნების სვინდისიან დუგულებელს-ჰყოფს ყოველთა გამორჩომისათვის თვისისა... და დასტკებების ცრემლითა ობოლთათა, ვითარცა რძითა და ტირილთა ზედა ქვრივთასა, ვითარცა სმენითა საამოსა საკრავისათა“ (1, 129—130).

სწორედ ამ „საბრალო გლეხთა“, ობოლთა და ქვრივთა „ადვილ და შეუძლებელი“ რბევით „თვისისა საუნჯის განმამრავლებელი“ „ცუდი მოხელეების“, თავადაზნაურობისა და სასულიერო პირების უკანონო მოქმედების მრავალი შთამბეჭდავი სურათია ცოცხლად დახატული „კალმასობაში“. მეჭვრისხევეში მისულ იონას აღაშფოთებს ერისთავის სახლთუხუცესი, შვიდი შვილის მარჩენალ ქვრივ დედაკაცს, რომელსაც მკირებ ბოსტნის მეტი არა გააჩნია რა, რომ უბრძანებს, ბატონისთვის ძღვენი გააკეთე და გამოგზავნეო და საყვედურით მიმართავს მას: „ქვრივი დედაკაცია და ობლების პატრონი, ამას ძღვენს როგორ სთხოვო?“

(1,46). ამ სამართლიანი საყვედურის გამო ერისთავის შვილმა გზად მიმავალ იონას „სცა კომბალი ქუნჯულსა, ქუნჯული გააგდებინა“ და „შინეული იოანე განიელტო ბარბაცით თავ-სისხლიანი“. (1,47). თავდაზნაურობის თავგასული პარპაშის და გლეხობის აუტანელი ყოფის აღმაშფოთებელი ვითარებაა წარმოდგენილი სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლიან მაგალითზე, სადაც „იხილა ბერმან რომელ მოჰყვანდათ ბოქაულთა ძროხა ორი და რამოდენიმე თხა და ღორი. უკან მისდევდნენ მწუხარედ მოხუცი კაცი“. (11,48—49). ამის თაობაზე იოანესა და დადიანის ხუცესს შორის გამართულა დიალოგი;

..იოანე: ეს კაცი რათ სწუხანო?

ხუცესი: ეს ძროხები და თხები მაგათი იყო და მისთვის, რომ დაუკლესო.

იოანე: ფასს ხომ მისცემენო?

ხუცესი: კი ბატონო!

იოანე: იხილა, რომელ გაატყავეს ძროხები და სხვანი ესე, დაუძახა მესტუმრემ პატრონთა მათ საქონლისათა და მისცა ტყავები მათი და ეს კაცი წარვიდნენ თვისად, მაშინ.

ბერი: მამაო პეტრე, ეს იყო ფასი მათი?

ხუცესი: დია, ბატონო, მეტი რა უნდათ?

იოანე: უი ჩემ თავს, ტყავიცა და ხორციც რომ იმ კაცთა იყო, ეს რა სამართალია?“ (11,49) ამბობს იოანე, რომელიც ორი კვირა იდგა ამ სოფელში და ხედავდა „ყოველ-დღე გლეხნი თვისთა მოსადგურეთა უმასპინძლდებოდნენ თხითა, ღორითა, ქათმითა, კრავითა, ქვევრების მოხდით და ღვინოებით, ღომით, სიმინდით და ცხენთა თვისთა აუხდიდნენ ღომის ჩალით დაფარებულს სახლებს და აკმევდნენ ცხენთ, სწუამდენ ჰოგოთა სართა, და აქცევდნენ ვენახთა და ბაღებთა ღობეებსა და, ბევრჯერ სახლებსაცა გვერდებს გამოუქცევდნენ დასაწვავად“. (11,49). ამის შემყურე მოკალმასე ბერი ეკითხება ხუცესს: „ხუცესო, აღსარებაში არ უშლი, ვინც ამას შვრება?“ და ხუცესის პასუხზე „ბერო, რომ დაუშალო, მშვიერ მოკვდები და ტიტველი, რა ჰკუა არისო?“ იონა წამოიძახებს: „ღმერთო აკურთხე ჩვენი მეფენი და ბატონები (ქართლ-კახეთისა დ. ლ.), რომ ამისთანა ყოფაში არა ჰყავთ თავისნი ყმანი, ვითა ეს საბრალო ხალხნი!“ (11,50).

ეს უკანასკნელი სიტყვები უფრო აღწერილი სურათით გამოწვეული მძიმე შთაბეჭდილების შესარბილებლად არის წარმოთქმული, ვიდრე ფაქტიური მდგომარეობის გადმოსაცემად. რადგან „კალმასობის“ მიხედვით ქართლ-კახეთის მემატონენი ლიხთ-იმერეთის მემატონეებზე ნაკლებ არ ჰყვლევდნენ გლეხობას, განა ქართლში არ იყო, რომ, ხელაშვილისავე სიტყვებით, „რაც ლეკებს გადაურჩა, მოურავმან მისცა

სისრულე“ და მეჭვრის ხევე არ გაუტეხეს მას თავი იმის გამო, რომ გაშოესარჩლა ქერიეს, რომლის ობლებს ლუქმა გამოაცალეს პირადან?!

„კალმასობაში“ თავადაზნაურობის უკიდურეს ზნეობრივ სიმდაბლეს გამოხატავენ ტყვეებით მოვაჭრე ლევან აბაშიძე და მისი აზნაური პაპუა ორჯონიკიძე. ეს უკანასკნელი, რომლისთვისაც უცხოა მამულის სიყვარული („თავის მამულის მოშორება — აცხადებს იგი — ერთი არა არის რა, ყველგან ადგილია კაცისათვის“. 1,12) მოკალმასე ბერის თანაგრძნობით გამოთქმულ სიტყვებზე ტყვეების მიმართ — „პოი, ჩვენს თავს, ჩვენ ამ განცხრომაში ვართ და ის ტყვეები მწუხარებაშიაო“ — პასუხობს: „მათ მწუხარებას ბოლოს მხიარულება შეუდგებაო“ (1,12) და ცინიკურად ასაბუთებს — თუ სარწმუნოებაზე ხელს არ აიღებენ და წამებით დაიხოცებიან, სამოთხეში მოხვდებიან, თუ არა და „ფაშობას მზად მიიღებენო“ (1, 13).

თხზულების მხატვრულ ნაწილში წარმოდგენილ ფუქსაეატ, შეზღუდულ, მხოლოდ დღევანდელ დღეზე მზრუნავი ისეთი წარმომადგენლების გვერდით — როგორცაა დადიანი (რომელიც იმას, რომ მის საზაფხულო სახლში წვიმა ისე ჩამოდის, როგორც ღია ცის ქვეშ და იატაკი ატალახებულია, ამით ამართლებს — „ყოველთვის არა ესდგებოთ აქა და ცოტა ხნისათვის რაღა უნდა ვიხმართ ღონეო“. 1,47) ანდა ამირეჯიბი, (ვისაც თითო ცხენისათვის თითო კაცი მიუჩენია, „რომელნიცა სწმენდენ ცხენებთა და ქვეშ უგვიან და უმშრალებენ მიწათა და უცხოდ სუფთად ინახავენ“, ხოლო თავისი ორი ვაჟი უყურადღებოდ მიუტოვებია, „ნეხვსა ზედა მსხდომარენი, ტალახით შესვრილნი, ნაგავგადაყრილნი“ იქვე, ცხენების გვერდით „უკაცოდ მოთამაშენი ურთიერთისადმი“ (1, 31), რასაც ამირეჯიბი ამის მხილველ ბერს, რომელიც გაოცებული მიმართავს თავადს: „თითო ცხენს ორ-ოლი მომვლელი ჰყავს და ორს თქვენს შვილებს არც ერთიო“ — ასე უხსნის, „ჩვენც მაგ სახით ვეყვანდით მშობელთა ჩვენთა“. ცხენები კი „ჩვენი მაცოცხლებელნი და სახელის მომპოვებელნი არიანო“. 1,22) — ყურადღენას იპყრობს ლალის-ყურის მოურავის შვილი — ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებისამებრ (ტრ. რუხაძე, ალ. ბარამიძე, გ. ნატროშვილი), მართლაც „ადრინდელი ლუარსაბი“ — ფლორე, რომელსაც ბერობა იმიტომ არ უნდა, რომ სწავლაა საჭირო და ამბობს, „მამას არ უქნია ბერობა და პაპასაო, რათ მინდა წიგნი ვისწავლო და მეცნიერებაო“ (1, 85), ხოლო იონა ხელაშვილის შენიშვნაზე „თუ გინდ ბერიც არ იყო. ცოდნა რას გიშლის თავადიშვილსა?“ პასუხობს — „აჰა ჩვენი ცოდნა ეს არისო“, გაავსებს ღვინით ჭიხვის ყანწს, მიაწოდებს ბერს და დაემუქრება „თუ არ დალქე, მერწმუნე, კისერში ჩაგასხამო!“ (1, 85).

„დიდი ერუდიციის მწერლის“ მიერ, რომელიც არა მარტო აწმყოს იცნობდა, არამედ ცდილობდა „თავისი ქვეყნის შემდგრძი ვითარებაც დაენახა“¹¹¹, „მოყვარეს პირში უძრახეს“ პოზიციიდან გამომდინარე ეს მხილება. მანკიერებისა, რაც, შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების მოღვაწეთა, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების უმნიშვნელოვანეს პრინციპად იქცა, ნაქარნახვეი იყო ღრმა პატრიოტიზმით, სურვილით, გამოეფხიზლებინა დაქინებების გზაზე დაშვებული ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება.

იოანე ბაგრატიონმა, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ „სწავლა არის ცხადი ცნობელობა კემშარიტებისა, განმანათლებელი გულისხმის ყოფისა, უბიწო მხიარულება ცხოვრებასა შინა, ქება ჭაბუჯისა და შესაყრდნობილი მოხუცისა, ნუგეშის მცემელი უბედობასა, ხოლო ბედნიერებასა შინა განმაშენებელი“, (1, 41) და ამბობდა „სწავლა მეფის ქალიშვილობით, სიძეობით, ნათესაობით და მოხელეობით“ კი არ იქნება, არამედ „უნდა რომ სწავლულთაგან განისწავლენ და მაშინ იცნობენ თავსა თვისსა და ქვეყანასა და მაშინ შეძლებენ ქვეყნის განმართვასა და სამსახურსაო“ (1, 222), მკაცრი სატირის საგნად აქცია სწავლა-განათლების აბუჩად ამგდები თავადაზნაურობა, მაგრამ იგი არანაკლები სიმკაცრით ამხელს ვაჭრობისადმი კეთილშობილთა ქედმაღლურ დამოკიდებულებას, რაც, მისი აზრით, აზიური ქვეყნების გავლენის შედეგია. „აზიურს თუ მივხედავთ — განუმართავს იონა ხელაშვილი გურაელს, — დასამდაბლებელ და შეურაცხსაყოფელია კეთილშობილთათვის ვაჭრობა, ხოლო ევროპიელთაებრ უკეთუ მივხედავთ, მუნცა მცირედ სირცხვილად უჩნთ განრთვა ვაჭრობასა შინა. გარნა ანლიასა შინა არა არს სირცხვილი და არცა დასამდაბლებელი განრთვა ვაჭრობასა შინა. და აქვთ ესე ჩვეულებადაცა, რომელ კეთილშობილნი უფროსნი ძმები შევლენ ქვეყნის სამსახურსა შინა სამხედრო საქმეთა და სამოქალაქეთა შინა, ხოლო უმცროსნი ძმანი იწყებენ ვაჭრობასა. და აწ თითქმის ესსახედ არის საფრანგეთსა შინაცა“ (11, 57).

— ამ საკითხში იოანე ბაგრატიონის შეხედულებათა გამომატველი მოკალმასე ბერი, რომლის აზრითაც ვაჭრობა „ესოდენ ძველი, რაოდენცა ჰგიეს სოფელი ესე, რამეთუ პირველდაწყებიდანვე კაცთა მდგომარეობდა იგი გაცელათა ნიუთთა სახმართა“ (11, 55), მკაცრად ჰკიცხავს ქართველ თავადაზნაურობას, ვინც ნაქარბი პურ-ღვინოსა და პირუტყვის გაყიდვას სამარცხვინოდ მიიჩნევს, ხოლო ყმებით ვაჭრობას არ თაკილობს (11, 57—58).

დასასრულ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის ეს შესანიშნავი ნაწარმოები, — რომლის მხატვრული ნაწილის

¹¹¹ იხ. გ. ნატროშვილი, ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 125.

გონებამახვილურ დიალოგებში მსუბუქი იუმორით (რომელიც ზოგჯერ ბასრ სატირაში გადადის) ცოცხლად და დინამიკურად არის ასახული მეთვარამეტე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, — ყურადღებას იპყრობს თავისი სადა, უბრალო, სასაუბრო ენითაც, რაც მას განასხვავებს ანტონისა და მისი მიმდევრების მიერ გაბატონებული დვლარქნილი სტილით შეთხზული ნაწარმოებებისაგან. ამ თვალსაზრისითაც „კალმასობა“ ევროპეიზმის გზაზე დამდგარი ახალი ქართული ლიტერატურის სათავეში მდგომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლად გვევლინება. სწორედ აქ, ამ ნაწარმოებში, სადაც მკვეთრად ჩანს ავტორის მაღალი პატრიოტიზმი, სოციალური საკითხებით ღრმად დინტერესება, კრიტიკული დამოკიდებულება საზოგადოებრივი მანკიერებისადმი და აშკარად თანაგრძნობა დაბალ ფენათა მიმართ და სადაც მხილებულია სასულიერო პირთა და თავადაზნაურთა ზნეობრივი სიმდაბლე, წარმოგვიდგება იოანე ბაგრატიონი პიროვნებად, რომელიც, ეპოქის მოწინავე იდეებს დაწაფებული, ამ იდეების საფუძველზე საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, მართალია, არსებითად უტოპიურ, მაგრამ თავ-სთავად პროგრესულ საშუალებებსაც რომ სახავედა, ერთგულად იღვწოდა ევროპეიზმის დანერგვისათვის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში და მნიშვნელოვანი ნაბიჯიც გადადგა ამ მიმართებით.

* * *

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების ევროპეიზაციისადმი საგანგებო ინტერესს, რასაც მოწმობს ზემოგანხილული XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართველ მოაზროვნეთა საქმიანობა და ლიტერატურული შემკვიდრება, რუსულ-ევროპული ლიტერატურის მრავალი ძეგლის თარგმნასთან ერთად, აშკარად ადასტურებს ევროპული განათლების დამკვიდრებისა და ფართოდ გავრცელების გაბატონებული ტენდენცია. ამ ტენდენციის შესაბამისად საქართველოში შეიქმნა ევროპული ტიპის კერძო სკოლები და პანსიონები, სადაც უცხოელი აღმზრდელები ევროპულ ენებთან ერთად ევროპულ კულტურასაც აცნობდნენ აღსაზრდელებს. გონებრივი „საზრდოს მაძიებელი“ ქართველი ახალგაზრდობის ევროპულად აღზრდა-განათლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1802 წელს დაარსებული „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა.

საქართველოში ახალი, ევროპული გზით განვითარების ტენდენციის გაბატონების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია 1832 წელს თბილისში დაარსებული და სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული ქალთა კერძო

სასწავლებელი, რომელიც 1840 წელს კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტად გადაკეთდა.

მაგრამ ევროპული განვითარების გზაზე დამდგარი ქართველი ერის კულტურის ისტორიაში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პირველი ქართული გაზეთის გამოცემა. „ბუნებისა ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდილნი ფურცელნი, რომელსაცა ეწოდება საქართველოს გაზეთი“¹¹², — როგორც წერდა ამ გაზეთის გამომცემელი თავის „გამოცხადებაში“. პირველად 1819 წელს გამოვიდა და დაახლოებით ორი წელი იარსება. მიუხედავად იმისა, რომ ენა ამ გაზეთისა რომელიც 1820 წლიდან „ქართული გაზეთის“ სახელწოდებით გამოდიოდა, სრულიად გაუძარტა და შერყენილი იყო, ხოლო მკითხველისათვის მიწოდებული მასალა ყოველგვარ ინტერესმოკლებულ ინფორმაციას წარმოადგენდა. მან, ვ. კოტეტიშვილის აღნიშვნისამებრ, მაინც დიდი როლი ითამაშა, „საზოგადოებაში პრესის მოთხოვნილება გააღვიძა“ და დიდ საქმეს „თავი დაუდო“¹¹³ იმით, რომ საფუძველი ჩაუყარა ქართულ ჟურნალისტიკას.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო 1828 წელს დაარსებული გაზეთი „თბილისის უწყებანი“, რომლის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი, 1829 წლიდან კი რედაქტორი, ხოლო 1830 წლიდან გამომცემელიც იყო სოლომონ დოდაშვილი, — ფართო ევროპული განათლების კაცი, რომელიც ი. ჭავჭავაძემ გაზ. „დროების“ ათი წლისთავის აღსანიშნავად მოწვეულ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შეკრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ახალი ქართული ლიტერატურის მედროშედ გამოაცხადა, იმ პიროვნებად, ვინც გ. ერისთავთან ერთად შემკვიდრებით გადასცა ქართული ლიტერატურის დროშა სამოციანი წლების მოღვაწეებს¹¹⁴.

„თბილისის უწყებანიც“ შეზღუდული იყო მეფის ხელისუფლების მიერ და უმთავრესად ოფიციალურ ცნობებს აქვეყნებდა, მაგრამ მაინც, თავის წინამორბედთან შედარებით, გაცილებით უფრო საინტერესო მასალას აწვდიდა მკითხველს, ერის თანამედროვე ცხოვრების ზოგიერთ მნიშვნელოვან მოვლენასაც აცნობდა, საქართველოს ეკონომიკაზედაც — ვაჭრობა-მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაზედ ამახვილებდა ყურადღებას და იშვიათად, მაგრამ აქა-იქ მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებსაც ბეჭდავდა. სწორედ ამ გაზეთში დაიბეჭდა პირველად პუშკინის ლექსი ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი.

¹¹² ციტირებულია ვ. კოტეტიშვილის წიგნის მიხედვით „ქართული ლიტერატურის ისტორია“, თბილისი, 1959, გვ. 49.

¹¹³ იქვე, გვ. 52.

¹¹⁴ „დროება“, 1876, № 4.

მაგრამ ევროპეიზმის გზაზე დამდგარი ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურული ცხოვრების აღმავლობის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „თბილისის უწყებათა“ დამატებას, რომელიც 1832 წელს გამოვიდა სახელწოდებით „სალიტერატურონი ნაწილი თბილისის უწყებათა“ და მისი რედაქტორისა და მიმართულების განმსაზღვრელის ს. დოდაშვილის დაპატიმრებასთან ერთად იმავე წელს შეწყდა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ, რაზნაოჩინელმა ს. დოდაშვილმა პირველმა იმ ქართველთაგანმა, პეტერბურგის უნივერსიტეტი რომ დაამთავრეს¹¹⁵, ვინც „დეკაბრისტებთან დაკავშირებული იყო არა მარტო ტერიტორიულად, არამედ იდეურ-პოლიტიკურადაც“ და რომლის „ლოგიკაც“, გამოცემული პეტერბურგში 1827 წელს, რუსეთის მასშტაბით „ფილოსოფიისა და ლოგიკის იმდროინდელ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო“¹¹⁶, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში¹¹⁷. დოდაშვილმა თავისი ნაშრომით „მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)“, რომელიც „თბილისის უწყებათა“ დამატების 1 და 2 ნომერში იყო გამოქვეყნებული და ქართული ლიტერატურის რეტროსპექციული მიმოხილვის პირველ ცდად არის მიჩნეული, სათავე დაუდო ქართულ სალიტერატურო კრიტიკას, ხოლო ჭერჯერობით მხოლოდ ნაკლები სახით ცნობილმა მისმა „რიტორიკამ“ ცხადყო ავტორის დიდი ინტერესი თეორიულ-ლიტერატურული საკითხებისადმი.

რუსეთში განათლებამიღებული ს. დოდაშვილი, ნამდვილი პატრიოტი თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისათვის უანგარო მებრძოლი, ერის უკეთესი მომავლის საწინდარად ხალხის გონების გაწმენდას მიიჩნევდა ცრურწმენათაგან, რომელსაც იგი ფრენსის ბეკონის მიხედვით „ადამიანის გონების კერპს“¹¹⁸ უწოდებდა.

დოდაშვილს, როგორც ყველა განმანათლებელს, ღრმად სწამდა, რომ განათლებული გონება არის საზოგადოებრივი ცხოვრების გარდა-

115 ა. ქუთელია, სოლომონ დოდაშვილი და მისი „ლოგიკა“. იხ. სოლომონ დოდაშვილი, ლოგია, 1949, გვ. V.

116 ი. ქვე, გვ. VI. ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ გამომხატურების თაობაზე რუსულ პრესაში იხ. ა. ქუთელიას დასახელებული ნარკვევი, გვ. LI—LIV, მ. ზანდუკელი, იხალი ქართული ლიტერატურა, 1956, გვ. 265—267.

117 ს. დოდაშვილის ადგილზე XIX ს. ქართული აზროვნების ისტორიაში დაწერილებით იხ. შ. ნუცუბიძე „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ. II, გვ. 460—522.

118 ს. დოდაშვილი, თხზულებანი, ა. ბოქორიშვილისა და ს. ხუციშვილის რედაქტორობით, 1961, გვ. 42. შემდეგში ს. დოდაშვილის შეხედულებათა დამოწმებისას ადგილები მოგვეყვას ამ გამოცემის მიხედვით. ფრჩხილებში მითითებული იქნება • გვერდი.

მქმნელი ძირითადი ძალა. „განათლება, — წერდა იგი „სალიტერატურონი ნაწილის თბილისის უწყებათა“ მეორე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „პასუხი ტფილისიდან“, — არის უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა. ყოველმან უწყის, რომელ საზოგადოება შემდგარი კეთილალბრძილთა წევრთაგან, შეიქმნების განწმენდილს წყაროდ საერთოა კეთილმოქმედებათა, დიდებისა და შემძლებლობისა“ (217).

სწავლა-განათლებას თვლიდა დოდაშვილი ევროპის დიდი წარმატების ერთადერთ წყაროდ — „ევროპიელნი აწ ვალდებულ არიან, ყოვლითა უადრესობითა მათითა პირისპირ სხვათა ერთა მხოლოთა ოდენ სწავლათა მიერ“ (227). დოდაშვილის აზრით, მხოლოდ „წარმატებანი სწავლათანი კმოწმობენ საზოგადოდ აღმატებასა კაცობრივისა. გონებისა“ (238) და თუ ქართველები, „რომელ ბუნებამან არ უარგვეო ზნეობითა და ფიზიკებრთა ნიჭთა შინა თვისთა. მამული ჩვენი ნაყოფიერ არს, ჰაერი კეთილგანხმური და შეზავებული, თვისებანი გონებისა და გულისანი არიან მიუღებელნი ღირსებანი. მსგავსად შეილთა ძველისა ელადისათა“ (217), საუკუნეთა მანძილზე მაინც ჩამორჩენ „აღმატებასა კაცობრივისა გონებისასა“, რადგან „არა განხმულ იყო კურკელი მდიდრისა ბუნებისა, არა ძალგვედვა სარგებლობა ნიჭთა მიერ მისთა და გონებითა მოქმედებათა ჩვენთა მარადის შეუდგებოდა საჭიროებანი გარემოებათანი და არა იწარმოებოდა თავისუფლებითი სული, წმინდა სიყვარული სწავლათა, სიბრძნისმოყვარეობითი კვეთება სრულებისადმი ზნეობითისა ბუნებისა ჩვენისა“ (217) — ეს იმიტომ, რომ „სპარსნი, თათარნი, ოსმალნი და მთიურნი“, რომელნიც განუწყვეტელი თარეშებით მოსვენებას არ აძლევდნენ ქვეყანას „მარადის ეგვიპტარნივე იყვნენ საქართველოსათვის, ვითარცა ლოთნი და გუნნი ევროპისათვის, ესე იგი წყვედადად განათლებისა გინა სწავლულებისა“ (227) (ზახგასმა ჩემია. — დ. ლ.). ახლა კი „შემდგომად ექვსის ბნელის საუკუნისა“ (228) „დიდისა მისა მისამშვიდობისა დამტკიცებისა“ (217) ქართველ ხალხს მიეცა საშუალება დაეწაფონ სწავლას, „განინათლონ“ გული და გონება, რომელიც „არს დაწყება ბედნიერებისა ჩვენისა“ (218).

თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის უანგარო მოღვაწე, ქართველი ერის ბედნიერებას, მის ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას ქვეყნის ევროპული გზით განვითარებასთან რომ აკავშირებდა და ევროპული განათლების გავრცელებისთვის იღწყოდა. უძველესი და მდიდარი ქართული კულტურის ევროპაში გატანასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ჭერ კიდევ 1826 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი სოლომონ დოდაშვილი წერდა თავის მასწავლებელს და მოძღვარს იონა ხელაშვილს: „არა თავისა თავისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათ-

ვის ეკმეშაკობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპაჰან ოდესმე სცნას ივერია საშვალობითა წერილთა სარწმუნოთაო“ (246) და „სალიტერატურონი ნაწილნი“ განსაკუთრებულ დანიშნულებადაც არა მარტო იმას თვლიდა, რომ მას მიიჩნევდა საშუალებად „შესაწვენელად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩვენისა და მიახლოებითისათვის განბრძნობელთა მცხოვრებთა ევროპიისათა“ (219) (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.), არამედ იმასაც, რომ ამ გზით მიაჩნდა შესაძლებელი ქართული კულტურის უცხოელთათვის გაცნობა, რასაც თავად ჩაუყარა საფუძველი ამ უურნალის 1 და 2 ნომერში გამოქვეყნებული ზემოდასახელებული წერილით „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“. ს. დოდაშვილი ამ წერილის ერთ მთავარ ამოცანად იმას მიიჩნევდა, რომ ეჩვენებინა „ქართულსა ენასა ზედა“ არსებული „მრავალნი მშვენიერნი თხზულებანი“ (197), „რომელიცა აქომამდე წყვილიადსა შინა სიბნელისასა დაფარული იყო მხედველობათაგან განათლებულის ევროპიისათა“ (198. ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

• აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუქცა ამ მიმართებით ზოგიერთი რამ დოდაშვილამდეც იყო გაკეთებული, მაგრამ არსებითად სწორედ დოდაშვილი იყო პირველი, ვინც ისტორიულ ასპექტში ზოგადად მოაზნა ქართული ლიტერატურის განვითარების კონტურები და დაბეჭდვით განაცხადა, უკეთუ ვინმე განვითარებული კაცთაგანი მიიღებდა შრომას და შეისწავლიდა საქართველოს ისტორიას და მის მწერლობას, განსაკუთრებით „ოქროვანის“ საუკუნისა, „მაშინ იხილვიდენ, რომელ მკერედ ცნობილი საქართველო არს კერძო, ღირსი ყურადღებისა და, რომელ ყოველთა ვებათა და აოხრებათა თანა, სხვა და სხვათა დროთა შინა შემთხვეულთა, აქვდა მას საუნჯე სწავლათა და სიტყვიერებისა, ესეოდენვე მდიდარი, ვითარცა სხვათა მხარეთა მის დროისათა“ (202).

ქართული ლიტერატურის ისტორიის ღრმა ცოდნიდან გამომდინარე ეს განცხადება დოდაშვილისა მიმართული იყო ქართველ ხალხში ეროვნული კულტურისადმი ინტერესის გაღვიძების, ერის ძალისაღმარწმენის განმტკიცებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისაკენ.

სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ამ დიდ ქართველ მოაზროვნეს, — იმ პერაოდში როცა ქართული ეროვნული რწმენა საკმაოდ შერყეული იყო, ერის მომავალს ეჭვით შესცქეროდნენ. ხოლო მის წარსულს უგულვებელყოფდნენ, — ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად მარტო ეს მისი ძალთანმევააც კი წარმოგვიდგენს მას ჩვენი ქვეყნის აზროვნებისა და ლიტერატურის ახალი გზით განვითარების მდგომარეობად.

ს. დოდაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, რომელსაც იგი ერის „აღმატების“, მისი კულ-

ტურისა და საერთო პროგრესის არა მარტო საზომად, არამედ წყაროდაც მიიჩნევა და თუ, მისი შეხედულებით. „წარმატებანი სწავლათანი კმოწმობენ საზოგადოდ აღმატებას კაცობრივისა გონებისასა“, „სიძლიდრე ენისა არს სიმდიდრე გულის ხმის ყოფისა“ და „წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი, კმოწმობენ აღმატებას ერისასა“ (236).

ენასა და ლიტერატურაზე ამ მაღალი და საესებით სწორი შეხედულების გამო იყო, რომ ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების აღორძინებისათვის დაულალავმა მაშვრალმა მკაცრად გაილაშქრა ქართული მწერლობისადმი ნიჰილისტურად დამოკიდებულ მოღვაწეთა წინააღმდეგ და ისევე, როგორც დანტე ალიგიერმა იტალიაში, იოაქიმ დიუბელემ და პიერ დე რონსარმა და სხვ. საფრანგეთში (რომ არაფერი ვთქვათ კლასიციზმის, განსაკუთრებით კი განმანათლებლობის ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეებზე), დაიცვა მშობლიური ენა, დამტკიცა მისი სრულყოფილებიანობა და ხაზი გაუსვა მის უნარს — სრულყოფილად განიხატოს ურთულეს აზრთა ყველა ნიუანსი.

თავის აქ არაერთხელ დასახელებულ წერილში, „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, ს. დოდაშვილი იმ „პატივცემულთა გვამთა“ საწინააღმდეგოდ, ვინც აცხადებდა, ქართული ენა „გლახაკ არს თხზულებათა მიერ სალიტერატუროთა, არა განვითარებულ არს და შესახებლადაცა გარმონიისადმი არავითარისაზე მექონ არს სიამოვნისა“ (197), დაბეჭითებით ამტკიცებდა, რომ „ქართულსა ენასა ზედა არიან მრავალნი მშვენიერნი თხზულებანი და თარგმნილნიცა წიგნნი სხვა და სხვა ძველთა და უახლესთა ენათავან“ (197), რასაც ადასტურებდა კონკრეტული მაგალითებით ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.

ს. დოდაშვილი ქართული მწერლობის განვითარების ობიექტური მიმომხილველია. „ოქროვანი საუკუნისა“ და მისი წინარე პერიოდის ბრწყინვალე წარმომადგენლებს: პეტრიწის, მოსე ხონელისა და სარგის თმოგველის, რუსთაველისა და ჩახრუხაძის შემდეგ იგი განსაკუთრებით იხსენიებს თეიმურაზ მეფეს „რომელიცა ღირს არს უუღადესისა მადლობისა მრავალთა აღმატებულთა ლექსათთვის. მის მიერ თხზულთა“ (203) და „ყრმათა აღზრდათა ზედა“ მზრუნავ, „წიგნის ბეჭდვის განმაახლებელ“ ჩვენ მეფესა ვახტანგ მეხუთესა“ (ცხადია, აქ ვახტანგ მეექვსის ნაცვლად შეცდომითაა დასახელებული ვახტანგ მეხუთე. — დ. ლ.), რომელსაც „უყვარდა რა პოეზია, თვით დავერტევა ჩვენ მრავალნი ნაყოფნი სტიხთქმნილებისა თვისისანი“ (204). ს. დოდაშვილი საგანგებოდ აღნიშნავს ანტონ კათალიკოსის ღვაწლს და გვამცნობს მეთვრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის სხვა მოღვაწეებსაც, რომელთა თხზულებანი „სტიხად თუ პროზად ღირს არიან გონებგანმხილველისა ყურადღებისანი“ (204). მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად,

იმასაც აღნიშნავს, რომ უკანასკნელი პერიოდის ბევრ თარგმნილ თუ ორიგინალურ თხზულებაში საოცრად არის დამახინჯებული ქართული ენა და შერყენილია სპარსული, სომხური და რუსული სიტყვებით, რასაც დოდაშვილი ქართული ენის „სიგლახაკით“ კი არ ხსნის, როგორც ამას „პატივცემულნი გვამნი“ ფიქრობდნენ, არამედ „გლახაკ“ მწერალთა უვიცობას და მდიდარი ქარაული ენის უცოდინარობას მიაწერს. „აწინდელთა მწერალთა და უცოდინართა ქართულისა ენისათა შემოიღეს ხმარება ლექსთა სპარსულთა, სომხურთა და რუსულთა, გარნა ამით არავის ძალუძს დამტკიცება, რომელ არ იყოს ქართულსა ენასა ზედა თანასწორ მნიშვნელნი ლექსნი. კარგმან მწერალმან რომლისა საგნისა აღწერაც უნდა მოინდომოს, რომელს ფრაზასა ზედაც უნდა იყოს, მას ძალუძს ბუნებითსა ენასა ზედა გადმოღება და წარმოდგენა თვით უშუალოდ ირესისა აზრისა და გრძნობისა, იგი არ იხმარებს არა რომელთა ლექსთა სხვისა ერისათა, გარდა მათსა, რომელთაცა მიუღიათ კანონი მოქალაქეობისა და რომელნიცა იხმარებიან ყოველსა ენასა ზედა, ესე იგი, ტენიკებრთა“ (199).

ამ მეტად საყურადღებო დებულებას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. იგი თანაბრად ეხება, როგორც ორიგინალური ნაწარმოებების ავტორებს, ისე მთარგმნელებს და მშობლიური ენის ღრმა შესწავლისა და მისი სიწმინდის დაცვის კატეგორიულ მოთხოვნასთან ერთად ე. წ. „რეალისტური თარგმანის“ თეორიის საფუძვლადაც შეიძლება ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ იმ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვით ენათა სხვადასხვაობა შეუძლებელს ხდის ერთ ენაზე შექმნილი ნაწარმოების ადექვატურ გადატანას მეორეზე, ს. დოდაშვილის საგნებით სწორი, ენის ბუნების არსებითად მატერიალისტური გაგებიდან გამომდინარე, ამ დებულების თანახმად, ყოველ აზრს, რამდენადაც იგი გამოხატავს გარკვეულ საზოგადოებრივ, მატერიალურ თუ სულიერ ურთიერთობას, ყოველ სიტყვას, როგორც ამ აზრის გაგებიანების საშუალებას, უექველად დაეძებნება საზოგადოებრივი განვითარების ცოტად თუ ბევრად თანაბარ დონეზე მდგომ ერთა ენებში შესაბამისი სიტყვა და მთარგმნელის ვალიც ისაა, რომ ნაკლები წინააღმდეგობის გზით კი არ წავიდეს და დაანაგვიანოს ენა ბარბარიზმებით, არამედ მშობლიური ენის საგანძურში დაქებნოს შესაფერისი სიტყვა-გამოთქმანი და მხოლოდ მაშინ იხმაროს უცხო სიტყვა. როცა გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობის თუ მოვლენის შედეგად წარმომდგარი ახალი შინაარსის გამომხატველ ცნებას ყველა ნიუანსის შემცველი შესატყვისი არ დაეძებნება მშობლიურ ენაში, ანდა ატუ მათ, ს, დოდაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, უკვე „მიუღიათ კანონი მოქალაქეობისა“ და „იხმარებიან ყოველსა ენასა ზედა, ესე იგი, ტენიკებრთა“.

როგორც თათქმის ყველა განმანათლებელი, ს. დოდაშვილი მხატვრულ ლიტერატურას, უწინარეს ყოვლისა, ხალხის აღმზრდელის როლს აკისრებდა. ვოლტერისა და დიდროს, ლესინგის, გოეთესა და შილერის მსგავსად, დოდაშვილი დაბეჭდვებით ამტკიცებდა: „არა ერთსა ჰსწავლასა არა აქვს ესოდენ დიდი მოქმედება სულერთა ზედა ჩვენთა ძალთა, ვითარცა აღმოკობილსა ხელოვნებასა“ (165) და ღრმად დარწმუნებული, რომ „იგი მიჰსცემს თვით ჭეშმარიტებასა უფროსსა ძალსა დარწმუნებისასა, და თვით ვნებათაცა უფროს გამოღებასა და მოძრაობასა; იგი გამოხატავს ჩვენთა ზნეობათა“ (!65), ყოველ ღონეს ხმარობდა ქართული მწერლობის ეროვნულ საფუძველზე აღორძინებასა და მისი შემდგომი განვითარებისათვის, რასაც იგი ჩვენი ქვეყნის ევროპული გზით განვითარების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად მიიჩნევდა.

მეცნიერების თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ ასპარეზზე აქტიურად მონაწილე ღრმად ერუდირებულ დოდაშვილს მხატვრულ ლიტერატურულ პრაქტიკაშიც მოუსინჯავს თავისი კალამი და, თუმცა ახალი ქართული ლიტერატურის მეღროშის შემკვიდრება ამ დარგში გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვანია ლიტერატურის კრიტიკისა და ესთეტიკური აზროვნების სფეროში შექმნილ მის ნაშრომებთან შედარებით, მაგრამ მაინც იმსახურებს გარკვეულ ყურადღებას იმდენად, რამდენადაც „სალიტერატურონი ნაწილის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ იმ რამდენიმე თარგმნილ თუ ორიგინალურ მოთხრობაში მას რომ მიეკუთვნება, უკვე ძლიერად იგრძნობა მეთვრამეტე საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში გაბატონებულ მიმართულებად ქცეული „ბუხართან საკითხავი წიგნების“ წერის ტენდენცია; რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, „აღორძინების ხანის“ ქართულ ლიტერატურაში ჰპოვებს დასაბამს და ქართული ლიტერატურის ევროპეიზმის ერთ-ერთი ნიშან-თვისებათაგანია.

მვროპეიზმი ქართულ რომანტიკოსთა შემოქმედებაში

თუ ქართულ მწერლობაში კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობათა არსებობა, დღემდე საკამათო პრობლემად არის ქცეული, რომანტიზმი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის გაბატონებულ მიმართულებად არის აღიარებული, ხოლო ამ მიმართულების პირველ თვალსაჩინო წარმომადგენლად ალექსანდრე ჭავჭავაძეა მიჩნეული, პოეტი, რომელიც, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, „ცდილობდა... ევროპეიზმის გავრცელებას“ და რომელმაც მოუძნადა გზა გრიგოლ ორბელიანს და ნიკოლოზ ბარათაშვილს.

რუსეთის იმპერატორის კარზე ერეკლე მეორეს დესპანის — გარსევან ჰავეჰაჰის ვაჟი ალ. ჰავეჰაჰე, რომელიც, გარსევანისხვე ცნობით, „ხელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინას მიურხმია“, გ. ნატროშვილის შენიშვნისამებრ, იდეურად „ვოლტერისა და არა ეკატერინას ნათლული იყო, საუკუნის, რომელმაც ფავისი მოწინავე სოციალური იდეების ქადაგებაში არ დაივიწყა ჯანსაღი მიწიერი პოეზია, არამედ შეუთავსა ისინი ერთი მეორესთან“¹.

მშობლიური ენის ზედმიწევნით მცოდნე ალ. ჰავეჰაჰეს სპარსული ენაც სცოდნია, ხოლო ბამანის პანსიონში რუსულ ენას ბრწყინვალედ დაუფლებულს ფრანგული და გერმანული ენებიც კარგად შეუსწავლია, რაც მას საშუალებას აძლევდა უშუალოდ გაცნობოდა ევროპის მოწინავე აზროვნებას, მის კულტურას და მხატვრულ ლიტერატურას და თვალყური ედევნებინა დასავლეთის იდეურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის.

განმანათლებელთა იდეებით გატაცებული ალ. ჰავეჰაჰეც წინამორბედთა მსგავსად სამშობლოს მომავალ კეთილდღეობას მტკიცედ უკავშირებდა ქვეყნის ევროპულ განვითარებას, რის განხორციელების საიმედო გზად რუსეთთან კავშირს მიიჩნევდა და ამიტომაც, თუმცა იგი, ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკით უკმაყოფილო, მეფის რუსეთის წინააღმდეგ 1804 წლის აჯანყებაშიც მონაწილეობდა და 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანიც იყო, მაგრამ ამას უსიძვის ხელი არ შეუშლია, საქართველოს რუსეთთან შეერთება ქართველი ხალხის საკეთილდღეო დიდმნიშვნელოვან მოვლენად ჩაეთვალა, რადგან. მისი მეშვეობით

„განისხნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება
რომელ მუნთ შევიდეს მათ შორის განათლება“².

ალ. ჰავეჰაჰე რომ რუსეთთან შეერთებას საქართველოს ევროპული გზით განვითარებასთან აკავშირებდა, ხოლო ქვეყნის „გაევროპიელებას“ მისი მომავალი კეთილდღეობის საწინდრად მიიჩნევდა — ეს კარგად ჩანს რუსულ ენაზე დაწერილი მისი მოხსენებიდან, — „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“, რომელშიც იგი სწორედ „გაევროპიელებას“ თვლიდა თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლის საოცნებო გზად და იმედს გამოთქ-

1 გ. ნატროშვილი, ლიტერატურული ეტიუდები, 1941, გვ. 34.

2 ალ. ჰავეჰაჰე, თხზულებანი ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, 1940, გვ. 78, შემდგომ ყველგან ალ. ჰავეჰაჰის შემოქმედება ამ გამოცემის მიხედვით არის ციტირებული, ფრჩხილებში მითითებულია გვერდი.

ვამდა, რომ რუსეთი შეუწყობდა ხელს ამ ოცნების სინამდვილად ქცე-
ვას.

„პირველი მემამულეთაგანი საქართველოში“, როვორც პოეტი უწოდებდა თავის თავს, არსებითად ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი პირველი დამნერგავი იყო. წინანდლის ბაღის მფლობელის „ყოველმხრივ გაევროპიერებული“ ოჯახი, — რომელიც „თანდათან ივეწყებდა აღმოსავლურ ადათ-ჩვეულებებს“ და სადაც „თვით ტანისამოსაც კი უკანასკნელ მოდაზე იკვრავდნენ, ჩონგურთან ერთად... ფორტეპიანოც იდგა... მამადავითის კედლებზე კენჭობის ნაცვლად ბილიარდის ბირთველს ათამაშებდნენ. გარდა ამისა, იცოდნენ რუსული ლაპარაკი და ევროპული ცეკვა“ (გვ. XV), — ევროპული ტიპის პირველი სალონი იყო. ეს სალონი „მაშინდელი საქართველოს მოწინავე აზრისა კულტურის ერთ-ერთ მთავარ კერად“³ ქცეული, სადაც ქართველი არისტოკრატიის ნაწილს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის პროგრესულად მოაზროვნე მრავალ თვალსაჩინო მოღვაწეს, მ. ნეჩკინას შეხედულებისამებრ, წარმოადგენდა ერთ იმ სამ მთავარ ცენტრთაგანს, „სადაც მიმდინარეობდა გაცხოველებული მსჯელობა იმ დროის პოლიტიკურ საკითხებზე და ვითარდებოდა მოწინავე რდევური ცხოვრება“⁴.

გრიბოედოვის სიმამრის სახლის კარი ფართოდ ყოფილა გაღებული დეკაბრისტი პოეტების იაკუბოვიჩის, კუხელებეკერის, ოდოევსკისა და სხვებისათვის. ალ. ჰავკვაძეს თავის სახლში მიუღია პუშკინი⁵ და ლერმონტოვი⁶, ევროპიდან საქართველოში ჩამოსული თითქმის ყველა ცოტად თუ ბევრად გამოჩენილი პიროვნებაც უეჭველად ალ. ჰავკვაძის ოჯახის სტუმარი ყოფილა, სადაც ღრმად განათლებული და ხელგამწილი მასპინძელი და მისი ევროპულად აღზრდილი ქალები აცნობდნენ მათ საქართველოს წარსულს და აწმყოს, მის კულტურას და ლიტერატურას. როვორც იენის უნივერსიტეტის პროფესორის კ. კობის მოგონებებიდან ჩანს, მასზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დაუტოვებია „ევროპიელისათვის ჟღარესად წარმტაც წინანდალს“, რომლის „მსგავსი ამიერკავკასიაში“ არაფერი უნახავს და სადაც „ყველაფერი მეტყველებდა თავადის ღიდ მხატვრულ გემოვნებაზე“⁷.

³ ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. III, თბილისი, 1969, გვ. 49.

⁴ М. Нечкина, Грибоедов и декабристы, 1951, стр. 206.

⁵ გ. ლეონიძე, „საქართველოში პუშკინის ყოფნის გამო“, იხ. კრებული ალ. პუშკინი საქართველოში“, თბილისი, 1938, გვ. 202-203.

⁶ დ. წერილებით იხ. Ир. Андроникашвили, Лермонтов в Грузии в 1847 г., 1958, стр. 202—203.

⁷ დაწერილებით იხ. კრებული А. Чавчавадзе, თბილისი, 1957, გვ. 108.

აღ. ჭავჭავაძე ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი პირველი დამ-
ნერგავთაგანი, იმავდროულად, ევროპული მხატვრული ლიტერატურის
„განმავრცელებელიც“ იყო საქართველოში. ამ მიმართებით საგანგებო
ყურადღებას იმსახურებს მთარგმნელობითი მოღვაწეობა პოეტისა, რო-
მელმაც ევროპული და რუსული ლიტერატურის მრავალი ძეგლის თარ-
გმანით გაამდიდრა ქართული მწერლობა, ხოლო თარგმანებს,
აკად. კ. კეკელიძის შენიშვნებისამებრ, იმასთან ერთად, რომ „შევეყა-
ვართ მის (მთარგმნელის. — დ. ლ.) შემოქმედებითს ლაბორატორიაში,
...გვიშუქებენ ამ ლაბორატორიის ერთ კუნძულს მაინც და გვითვალის-
წინებენ იმ ინტერესს, რომელნიც შთააგონებენ მას მისი მწერლობითი
მოღვაწეობის ამა თუ იმ საფეხურს“, ის დიდი მნიშვნელობაც აქვთ,
რომ ისინი „მაჩვენებელნი არიან იმ კულტურული სამყაროსი, რომელ-
თანაც კავშირსა და ურთიერთობაში იმყოფებოდა ესა თუ ის ხალხი და
კულტურულ ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდა“⁸.

მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში შექრის, მისი იდეურ-
მხატვრული ინტერესების გათვალისწინებისა და ფსიქოლოგიის შესწავ-
ლის თვალსაზრისით, თარგმანს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კიტა აბა-
შიძეც. მისი შეხედულებით, „თარგმანების შემწეობით“ — თუ იგი „ჩი-
ბის გასაღებ და კუქის გასაძღომ იარაღად“ არ მიაჩნიათ და ყველა
თარგმნის იმას, რაც თვით მოსწონს, რაც მისი „სულიერი განწყობილე-
ბის დამაკმაყოფილებელია“ — „ადვილად შეგიძლიათ შეიგნოთ და შე-
ადგინოთ ფსიქოლოგია მთარგმნელისა, რომელიც, რასაკვირველია, ორი-
გინალი ავტორის ფსიქოლოგიას ემსგავსება“⁹.

აღ. ჭავჭავაძე სწორედ ის პოეტი იყო, ვინც ისევე როგორც გრ. ორ-
ბელიანი, ნ. ბარათაშვილი და ქართული ლიტერატურის სხვა მრავალი
უანგარო მოღვაწე, თავისი ლიტერატურული გემოვნებისა და სულიე-
რი განწყობილების დამაკმაყოფილებელ ნაწარმოებს თარგმნიდა მხო-
ლოდ. ამიტომაც აღ. ჭავჭავაძის თარგმანებს მარტო იმის გამო კი არ
ვნიჭებთ საგანგებო მნიშვნელობა, რომ მათი საშუალებით ქართველი
შკითხველი გაეცნო პუშკინისა და ოდოევსკის, კორნელის, რასინის, ლა-
ფონტენის თუ ვოლტერის მხატვრული შემოქმედების ნიმუშებს, არა-
შედ, იმიტომაც, რომ ეს თარგმანები ქართული ლიტერატურის ახალი
მიმართულების — ევროპეიზმის — აშკარა გამოხატულებას და მნიშვნე-
ლოვან შოვნენას რომ წარმოადგენს, იმავდროულად ამ მიმართულების
ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის მსოფლმხედველობას და ლი-
ტერატურულ გემოვნებასაც ცხადყოფს.

⁸ კორნელი კეკელიძე, *ერთუღები ძველი ქართული ლიტერატურის ის-
ტორიიდან*, 1967, ტ. V, გვ. 5—6.

⁹ კ. აბაშიძე, *ცხოვრება და ხელოვნება*, თბილისი, 1971, გვ. 672—673.

აღ. პუშკინის „ყვავილის“, „ანჩარის“, „სიზმრის“, „კავკასიის ზეაის“, „სპილენძის მხედრის“ და სხვ. მთარგმნელს რუსული, ფრანგული და სპარსული პოეზიის მრავალი საყურადღებო ნიმუში გადმოუღია ქართულ ენაზე, მაგრამ მისი თარგმანების უმეტეს ნაწილს მაინც ფრანგული ლიტერატურის ძეგლები შეადგენს, რომელთაგან, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია „სინა“, ფრანგული კლასიციკური დრამატურგიის ერთ-ერთი კორიფეს — პიერ კორნელის პოლიტიკური ტრაგედია, სადაც დრამატურგი ლმობიერებას წარმოგვიდგენს სახელმწიფო მმართველობის მისაღებ და გაპართლებულ პრინციპად. ამას ცხადპყოფს „სინას“ მეოთხე მოქმედებაში ლივიასა და ავეუსტოს დიალოგი — ეს მართლაც პოლიტიკური დისპუტი სახელმწიფოს მართვის ტაქტიკაზე — რომლის დასასრულს ლივიას მონოლოგში —

იგანველტო, გარნა ვემდევრო, მოვავოთ იგი ამ ცნობას,
რომ მიტრევებით უფროე იმტკიცებს შემძლებელობას
და რომ ამ სოფლად ყოვლთაზე ხელმწიფეთ მაშეენებელი,
მოწყალეზაა სამკაულ ერისა თვალთა მთნებელი“ (222) —

ამ ტრაგედიის პათოსს და მის ლაიტმოტივს რომ გამოხატავს, გამოთქმულია ტრაგიკოსის თვალსაზრისი.

ეს თვალსაზრისი ზედმიწევნით შეესატყვისებოდა შეხედულებებს ქართველი პოეტისა, რომელიც იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი წარდგენილ ზემოთ ხსენებულ მოხსენებაში — საქართველოში ცარიზმის წინააღმდეგ „არეულობის“ უმთავრეს მიზეზად მოხელეთა „საზღვარს გადაცილებულ უმსგავსობას“ და „სისასტიკეს“ (გვ. 252) რომ მიიჩნევდა, „სინაში“ თავისი ბიოგრაფიის ერთგვარ ანალოგიასაც ხედავდა უთუოდ. გ. ქიქოძის აღნიშვნისამებრ, აღ. ჭავჭავაძე. „დაინტერესა ამ ტრაგედიის ჰუმანისტურმა ტენდენციამ. ამას გარდა, მან, როგორც იმპერატორის საწინააღმდეგო აჯანყებისა და შეთქმულების მონაწილემ, ცინასმაგვარი ბედი განიცადა, რუსეთის იმპერიის ხელისუფლება მასაც შედარებით ლმობიერად მოეპყრო, ხოლო შემდეგ დაიხლოვა და დააწინაურა“¹⁰.

„ვოლტერის იდეურ ნათლულს“ „ფერნელი პატრიარქის“ რამდენიმე ნაწარმოების თარგმანი ეკუთვნის. „აღსარებასთან“ ერთად, რომელიც აღ. ჭავჭავაძეზე ადრე იოანე ბატონიშვილს უთარგმნია რუსულიდან (ხოლო შემდეგ, გ. მიქაძის ვარაუდით „იოანეს თხოვნით თუ პირადი ინიციატივით, ფრანგული ენის კარგმა მცოდნემ აღ. ჭავჭავაძემ უშუალოდ დედანიდან, ფრანგულიდან თარგმნა ის, მხოლოდ ისე, რომ გამოიყენა უკვე არსებული თარგმანი“¹¹, რითაც, წერილის ავტორის შე-

¹⁰ პიერ კორნელი, სიდი, გ. სალუქვაძის თარგმანი, თბილისი, 1957, გვ. 7.

¹¹ გ. მიქაძე, ლიტერატურულ-ისტორიული ფრაგმენტები, II, იხ. მაინც ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 2, გვ. 143.

სედულებით, უნდა აიხსნას ამ თარგმანების ურთიერთმსგავსება), ყურადღებას იპყრობს „ტაქტიკა“, რომელშიც „კაცთა კვლის მსწავლე“ წიგნით აღშფოთებული ვოლტერი, ომით გამოწვეული ნგრევისა და ქვეყნის განადგურების შემამრწუნებელ სურათს რომ ხატავს, ეთანხმება „ტაქტიკის“ ავტორს „უფალ გვიბერტს“, ვინც შთააგონებს მას —

დამიჯრე ყველა ბრძოლა უსამართლო ნუ გგონიათ,
დიდთა მზეთა, ვისაც ვიცნობთ, ყოელთა ბრალი არ ჰქონიათ (166).

მეტეც, როცა გვიბერტი მოიგონებს ბრძოლებს იმისათვის წარმოებულთ, რომ დაიცივან „ადგილისა თვისის ფლობა“ და რომლებმაც იხსნა საფრანგეთი დამპყრობთაგან აოხრებისაგან, აგრეთვე „სისხლის ნთქევით“ საფრანგეთის დიდებით შემომოსველ გმირებს, რომლებსაც ხოტბას ასხამდნენ პოეტები და იმასაც გაახსენებს თანამოსაუბრეს, რომ —

აჰოლონცა ხშირად იბრძვის, ბრძოლის ღმერთი თუმც მარსს ჰქვიან,
სამღვდლონი, საერონი, კარის კაცნი სულ იბრძვიან —

და ბოლოს შეეკითხება —

მე სალდათსა, რათ მიზრახავ, რომ უსარჩლო მას ხელობას,
რომელიცა ჩვენ ქვეყანას შემოსს პატივს და დიდებას,
და რომელიც მოქალაქეთ მშვიდობისა დამკვიდრებით,
უზრუნველ-ჰყოფს, განამდიდრებს და აცხოვრებს მყუდროებით? — (166).

— „პასუხის ვედარ მპოვნელი“ პოეტი იძულებულია აღიაროს — „ბრძოლა არის სულ პირველი ხელოვნება“ — მაგრამ ღრმად დარწმუნებული, რომ ეს პირველი ხელოვნება არ შეესატყვისება „კაცთ ბუნებას“ და მხოლოდ დროის უკუღმართობის შედეგია, „გულში ღმერთსა“ ევედრება:

„...ასეველ დრონი სხვებრ იმ გვარად,
რომ ეს უიხო ხელოვნება უქმად დარჩეს და უხმარად“ (167).

ცხადია, მეთვრამეტე საუკუნის ევროპის უდიდესი მოაზროვნის „ტაქტიკაში“ გამოთქმული თვალსაზრისი ომსა და მშვიდობაზე გამოხატავდა შეხედულებას საქართველოში ევროპეიზმის ერთ-ერთი პირველი მებაირახტრისა, რომლის თანამემამულენი საუკუნეთა მანძილზე განუწყვეტლივ ებრძოდნენ უცხოელ დამპყრობელთ, „რომ დაეცვათ ადგილისა თვისის ფლობა“ — მამა-პაპათა სისხლითა და ოფლით მორწყული თავიანთი სამშობლოს მიწა-წყალი, *

ზ. კიკინაძის ცნობით, ალ. ჭავჭავაძეს უთარგმნია ვოლტერის „მერობა“ და „მამადი“ — უან კალასის დამცველის ტრაგედიებიდან ყველაზე ანტიკლერიკალური ხასიათის ნაწარმოები.

ვოლტერის ნაწარმოებთა ალ. ჭავჭავაძისეულ თარგმანებიდან საგანგებოდ აღსანიშნავია ტრაგედიები „ზაირა“ და „ალზირა“. „ზაირა“,

რომელმაც თეატრისადმი მტრულად განწყობილი ჟან-ჟაკ რუსოც კი მოიყენა ალტაცებაში, სიყვარულისა და ექვიანობის პრობლემას ეძღვნება. მაგრამ ეს პრობლემაც კათოლიციზმის დაუძინებელმა მტერმა რელიგიური შეუწყნარებლობის მახინჯი არსის გამოსააშკარავებლად გამოიყენა. ამ „მომაჯადოებელ“ ტრაგედიაში, როგორც ჟან-ჟაკ რუსომ უწოდა მას, მუსლიმანი ორსმანის და ქრისტიანი ზაირას გატაცებული ტრფობის ჩამშლელი, მათი ბედნიერების ხელისშემშლელი და „სისხლიანი კატასტროფის“ მიზეზი ისევ და ისევ რელიგიური ფანატიზმია. რა თქმა უნდა, ავტორისათვის ლექსისა „სიყვარულო ძალსა შენსა ვინ არს რომე არ კმონებდეს“ კეთილშობილი ორსმანისა და სათნო ზაირას მძლე ურთიერთტრფობა მიმზიდველ თემას წარმოადგენდა. იგი შეესატყვიესობოდა. ევროპულ განმანათლებლურ ლიტერატურაში დანერგილ და საქართველოში ევროპეიზმის სხვა მიმდევრებთან ერთად ალ. ჭავჭავაძის მიერ ღრმად შესისხლხორცებულ პროგრესულ შეხედულებას, რომლის მიხედვით, რასობრივი, წოდებრივი თუ რელიგიური სხვადასხვაობის გამო ადამიანის უმალღესი გრძნობის დათრგუნვა „კაცთ ბუნებას“ ეწინააღმდეგება.

არსებითად რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგაა მიმართული „ალ-ზირაც“, რომელსაც ალ. ჭავჭავაძე მით უფრო უნდა დაეინტერესებინა, რომ ამ ტრაგედიაში სარწმუნოებრივი პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და ქრისტიანობის სახელით მოქმედ ესპანელ დამპყრობთა შემადრწუნებელ სისასტიკეს უპირისპირდება სამშობლოს დაცვისათვის მებრძოლ პერუელთა გმირობა და ჰუმანიზმი. ტრაგედიის შემრიგებლური დასასრულიც არ იყო უცხო „კავკასის“ ავტორისათვის, რომელმაც თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყება-შეთქმულებებში მონაწილეობით დაიწყო, მაგრამ აუცილებლობით გამოწვეული კომპრომისით დაამთავრა.

ალ. ჭავჭავაძის მთარგმნელობით ლიტერატურულ მემკვიდრეობას ამშვენებს ფრანგული კლასიციზმის დიდი ივანეშვიერლის ჟან ლაფონტენის რამდენიმე არაკიც.

ლაფონტენის ღრმად ხალხური შინაარსის მქონე ივანეზიდან ალ. ჭავჭავაძეს აურჩევია ივანეზი, რომლებიც „გამოირჩევიან სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მწვავე სატირითა და ირონიით“¹². მას გაიძვერობისა და ფლიდობის მძრახველ „თხისა და მელასათვის“ გარდა თარგმნილი აქვს ჩაგვრისა და ძალმომრეობის გამკიცხავი „მგლისა და კრავისათვის“, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი წყობილების წი-

¹² და ვით ფანჯულიძე, ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, 1969, გვ. 23.

ნალმდეგ. სადაც „სუსტ მართალთა ცრუნი ჰძლევენ ძლიერებით“ (158). ლაფონტენიდანვე არის გადმოღებული უყაირათობის, უჯუნური შექცევისა და უზრუნველობის გამკილავი „კრიკინასათვის“.

თუ პირველი ორი იგავის მოტივები მოგვაგონებს ალ. ჭავჭავაძის „ვაჰ, სოფელსა ამასა და მისთა მდგმურთა“, რომლის მიხედვით „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“ აღზევებულნი, „ბოროტებისა და სიცრუის“ გზით მავალი „მზაკვარნი სულნი“ ძალაზე დაყრდნობით ახშობენ სიმართლეს და „მისთ ყვავილთა ფეხით“ ლახავენ, იდეა იგავისა „კრიკინასათვის“ გატარებულია ქართველი პოეტის ლექსში „შექცევისათვის“, ამ ლექსის მიხედვით, მართალია, „სიამოვნეთ, შექცევათა თვით ბუნება ზრდის, ახარებს, ამა სოფლის ეკალთ შორის ყვავილებად ამცენარებს“ (134), მაგრამ „მათ აქეს თავის დრო და არე“. ამიტომაც უჩვენებს პოეტი „ლხინთ მორავეში ჩაფლულ“ და „უძლურ ქმნილთ“, „განუფხიზლად დათრობილნი“ „უგონობას სიამეთ“ რომ მიიჩნევენ —

სიამოვნე თუცა გწადისთ, ჯერას გქონდეს მისი ცნობაო

და თანაც აფრთხილებს —

ვაი მისდა ვინ უქმობით დღე ღამეთა წოლით მთვლელო
იწვევს ლხინსა და ვერ იგებს, ვით ბრმა მღვლოს ფერთა მზირე,
სოფელს შინა უსყიდელი არა-არა არს არცა მცირეო

და ბოლოს დაბეჭითებით შთააგონებს:

განცხრომაცა სავაჰროა ბუნებისგან განაჩენი
მას აქეს ფასად გარჯა... მოღით, ვინც ხარ შრომის გამომჩენიო. (134).

ბედნიერებისა და განცხრომის წყაროდ შრომის წარმოდგენა, „შრომის გამომჩენის“ იმ. პიროვნებად დასახვა, ვისაც შესწევს უნარი განიცადოს ქვეშარითი სიამოვნება და უფლებაც აქვს შექცევისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ. ლექსს, როგორც ნაწარმოებს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს უკვე მეთვრამეტე საუკუნის პროგრესული ლიტერატურის პათოსად ქცეულ შრომის პრობლემაზე. ეს საკითხი, რომელსაც, როგორც უკვე აღინიშნა, სულხან-საბა ორბელიანის ნააზრევშიც გარკვეული ადგილი უჭირავს, მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ახალი მიმართულების — ევროპეიზმის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქცა.

დიდი წარმატება ხვდა წილად ქართულ ლიტერატურაში ვიქტორ ჰიუგოს ლირიკულ ლექსს „ერთ ქალს“ (A une femme), რომელიც ალ. ჭავჭავაძის ნათარგმნი აქვს სათაურით „მეფე რომ ვიყო“. იგი ალ. ჭავჭავაძის შემდეგ მრავალ ქართველ პოეტს უთარგმნია. ბევრისათვის კი მიბაძვისა და პაექრობის საგნად ქცეულა, ხოლო ნ. ლორთქიფანიძეს

ამ ლექსის პროზაული თარგმანი, რაც თავად მას შეუსრულებია, თავისი მოთხრობის („უიალქნოდ“) გმირის დასახასიათებლად გამოუყენებია¹³.

მაგრამ ალ. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისა და საზოგადოებრივი ინტერესების გასაგებად, იმის დასადგენად, თუ რამდენად არის მისი პოეზია „საგნობრივად ევროპის ლიტერატურის ორბიტაში მოქცეული“ და რამდენად „ისმის მის შემოქმედებაში ის ძირითადი პრინციპები, რომლითაც ხასიათდება ევროპის მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი და მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლები“¹⁴, საგანგებო მნიშვნელობა აქვს „ახლოით განჩხრეკილ კაცს“, რომელიც თვრამეტი წლის ქაბუქს უთარგმნია და რომლის „შინავე მბუღარნი ბრძნულნი და ჭეშმარიტი ჰაზრი“ (169) ქართული პოეტისა და საზოგადო მოღვაწის მოქალაქეობრივი პოეზიის ერთ-ერთი ლაიტმორტივია. თუ „ახლოით განჩხრეკილ კაცში“ გამოხატულ აღმფოთებას მდიდართადმი, რომელთაც „არ უწყიან სხვა რაიმე სჯული, თვინიერ ძალისა“ (174) და რომელნიც იტანჯვიან „ცუდთა საჭიროებათაგან მთხოველთა და ბოროტებათა თვისთა მიერ წარმოშობილთა ენებაებითა“ (174) და აგრეთვე მასში გატარებულ შეხედულებას სოციალური უკუღმართობით აღსავეს ქვეყანაზე (სადაც „ზოგადგან ჰხოცენ კაცთა, მხოლოდ ერთისა ბარბაროსისა კაცისავე საამებლად, ზოგადგან ჰყრიან ხალხთა მსგავსთა თვისთა პირისპირ მიასხელელად და ველურთა მხეტამებრ ურთიერთისა განსაგლეჯად სახისა ამის ქვეშე, რათა დასაჯონ მკიცხველნი მისნი, რომელსაცა ოდესმე იგინი იცნობენ ოდენ თვისადმი მიზეზებულთა მისგან ბოროტებათა ძალით, ზოგადგან ჰრეკენ მათ ანუ აღსაოხრებლად, ანუ დასაქცევლად, და ანუ დასაპყრობლად ვიეთდამე ნაწილთა ქვეყნისათა, ხოლო გამარჯვებულნი იგი ერნი არა მიიღებენ ჯილდოდ არცაღა მცირესა შევბასა გონებისაგან“. გვ. 175) შეესატყვისება „ვაპ, სოფელსა ამას“, „რუსო იზმის“ ამ მნიშვნელოვან ძეგლში გადმოცემული აზრი — („ხელმწიფენი, თავადნი, ტირანნი, მონანნი; ქალაქნი, სამეფონი, ყოველივე განურჩევლად წარიღებიან, ყოველივე განქრების, არლარა ჰრჩების კაცსა შეცოდებათა თვისთა სახისა კიდე, რომელსაცა უგდებს შემდგომად თვისთა მომავალთა მავალითად“ (176) — გამოთქმულია ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების შედეგშიც — „გოგჩა“.

ავტორი „ახლოით განჩხრეკილი კაცისა“ ღღემღე უცნობია. თარგმანისათვის ალ. ჭავჭავაძის მიერ წამმღვარებული ცნობის მიხედვით

13 დაწერილებით ამ ლექსის რეზონანსზე ქართულ ლიტერატურაში იხ. ი. გრიშაშვილის შენიშვნები, რომელიც დართული აქვს მის მიერ გამოცემულ ალ. ჭავჭავაძის თხზულებებს, გვ. 323—325.

14 ვ. კობეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბილისი, 1959, გვ. 63.

„ახლოით განჩხრეკილი კაცი“ არის „ქმნილი მხოლოობისა თვისისა ეამსა რომელისამე ფრანცუზისაჲან. ოდეს განვიდა იგი პარიჟით უდაბნოსა შინა საცხოვრებლად“ (გვ. 169). ამ ცნობისა და თარგმანის ბოლოს დართულ ალ. ჭავჭავაძის ლექსის დასაწყისის — „პერობილის შრომა ვნაჲე პერობელმან“ — საფუძველზე გ. ნატროშვილს გამოთქმული აქვს აზრი, რომ — „ახლოით განჩხრეკილი კაცის“ ავტორი უნდა იყოს რუსოს მიმდევარი ფრანსუა კონსტანტინე ვოლნეი, რომელიც 1784 წელს პარიზიდან სირიასა და ეგვიპტეში გაემგზავრა და სამი წელი უდაბნოში იმყოფებოდა, ხოლო იაკობინელთა დიქტატურის დროს ციხეში ჩასვეს და ცხრა თერმიდორის გადატრიალების დროს გაათავისუფლეს. მაგრამ გ. ნატროშვილისავე შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ ვოლნეი ეან-ჟაკ რუსოს მიმდევარი იყო, იგი სულაც არ ებრძოდა კერძო საკუთრებას და „ახლოით განჩხრეკილი კაცის“ ის ადგილები, სადაც კერძო საკუთრება წარმოდგენილია საზოგადოების ეკონომიური უთანასწორობის და მისგან გამომდინარე ყველა უბედურების წყაროდ, ალ. ჭავჭავაძეს აღებული უნდა ჰქონდეს ეან-ჟაკ რუსოსაგანო.

მართლაც, „ახლოით განჩხრეკილ კაცში“ გამოთქმული მძაფრი პროტესტი წინააღმდეგ „კაცთა შეძრწუნების“ უბედურ წყაროდ წარმოდგენილი კერძო საკუთრებისა, რომელიც „არისხებს კაცსა მსგავსისა თვისისა პირისპირ“ და „ჰყოფს“ „მას უუწყალოესად ყოველთა მხეტიაგან“ (173—174), მგზნებარე მოწოდება: „მიხედოთ ყოველთა ბოროტებათა წყაროსა“ და მსჯელობა — „საჭიროება კაცისა მდგომარება და ნაყოფთა, რძესა და წყალსა შინა. შემუშავებული მიწა გამოჰსცემდა მისთვის სიუხვით ამა პირველთა უმანკოებისა საქონელთა; გარნა იგი გამოიზარდა ცხოვართა სისხლითა და ხორცითა, მან დაფარა გვამი თვისი ჰრელთა სამოსელთა ქვეშე, და დაიდვა ტვირთად ოქრონი და ძვირფასნი თვალნი და ჰსთქვა ამპარტოვანებით: მიწა ესე ჩემი არს, მე განვაგდებ მუნით ყოველსა კაცსა, რომელსა არა ექმნება საკმაო ძალი, იძულებულ ვჰყოფ რათა იმუშაონ სიამოვნეთა ჩემთა კაცთა საყოფელად“ (174) — ზედმიწევნით, თითქმის სიტყუასიტყუვით გადმოსცემს ენეველი მესაათის შეილის ტრაქტატში „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობის მიზეზებზე“ გატარებულ თვალსაზრისს. კერძო საკუთრების თაობაზე რუსოს ამ ნაშრომში განვითარებული შეხედულებების მიხედვით ადამიანის ყველა უბედურების მიზეზად ხომ ის იქცა, რომ არ აღმოჩნდა კაცი, რომელსაც წინააღმდეგობა გაეწია მისთვის, ვინც პირველმა შემოღობა მიწის ნაკვეთი და გამოაცხადა: „ეს მიწა ჩემია“. რუსოს მიხედვით, რამდენ ბოროტებას და სიკამაგლეს ასცილდებოდა კაცობრიობა, რომ ვინმეს მიწის პირველი მიმკუთვნელებისათვის ეთქვა — „ნაყოფი ყველასაი, მიწა არავისი“.

იმ საფუძველზე, რომ, გ. ნატროშვილის აზრით, ალ. ჭავჭავაძემ „რუსოს მეშვეობით შეავსო... ფრანგი მწერლის წიგნი, გარდა ამისა, და ეს მთავარია. — ალ. ჭავჭავაძის ნაშრომში არის მთელი ადგილები, შესანიშნავი მხატვრული სახეები, რომლებიც საესებთ ორიგინალურია“; მკვლევარი აცხადებს „აქ დარღვეულია თარგმნის ყველა წარმოსადგენი და შესაძლებელი საზღვრებია“ და ასკვნის „ეს უკვე ორიგინალური ნაწარმოებია“¹⁵.

დავეთანხმებით გ. ნატროშვილს და „ახლოით განჩხრეკილ კაცს“ ჩავთვლით ორიგინალურ ნაშრომად, რომელიც ქართველმა ავტორმა ვოლნეის „ნანგრევებისა...“ და რუსოს შემოდასახელებული ტრაქტატის მიხედვით შეადგინა, თუ მას, ალ. ჭავჭავაძის განცხადებისამებრ, დღემდე ჩვენთვის უცნობ „რომელისამე ფრანკუზისაგან“ თარგმნილ ნაწარმოებად მივიჩნევთ, ერთი რამ ცხადია: „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ მეთვრამეტე საუკუნის ფრანგ განმანათლებელთა ყველაზე რადიკალური, პლებეურ-დემოკრატიული ფრთის იდეების შემცველი ნაწარმოებია. არსებული სოციალური ურთიერთობის წინააღმდეგ მიმართული ეს თხზულება — გამსჭვალული ამ ფრთის მეთაურის ჟან-ჟაკ რუსოს პროგრესული შეხედულებებით, ვინც პირველმა შენიშნა და საქვეყნოდ განაცხადა, რომ პოლიტიკური ემანსიპაცია ფიქციაა, თუ იგი არ ემყარება ეკონომიურ ემანსიპაციასო და ვისი „აზრთა განეთარება“ „თეორიულ როლს რომ ასრულებდა დიდ რევოლუციაში და მას შემდეგ — პრაქტიკულ-პოლიტიკურს“¹⁶ და „გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მარქსის მიერ „კაპიტალში“ გამოთქმულ აზრებს“¹⁷ — გარკვეულ ფარგლებში გამოხატავს ალ. ჭავჭავაძის შეხედულებებს და მოწმობს მის ღრმა დაინტერესებას სოციალური, საერთო-საკაცობრიო საკითხებით, რაც ქართული ლიტერატურის ახალი მიმართულების — ევროპეიზმის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა და წარმოდგენილია ალ. ჭავჭავაძის ორიგინალურ შემოქმედებაშიც.

როგორც არაერთგზის აღნიშნეთ, „ახლოით განჩხრეკილი კაცის“ პლებეურ-დემოკრატიული და ჰუმანური იდეები ლაკონურად და საოცარი ექსპრესიით არის გადმოცემული ლექსში „ვაჰ, სოფელსა ამას“, რომლის ზოგიერთი სტროფი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს „რომელისამე ფრანკუზისაგან“ თარგმნილ ნაწარმოებში გამოთქმულ შეხედულებებს კერძო საკუთრებით გამოწვეულ სოციალურ უთანასწორობათა გამო. ტრაქტატში სწორედ კერძო საკუთრებაა მიჩნეული იმის მი-

15 გ. ნატროშვილი, უდაბნოში დაწერილი წიგნი, „მნათობი“, 1969, № 12, 33-149.

16 ფრ. ენგელსი, ანტი-დიურიზმი, 1952, გვ. 122.

17 იქვე, გვ. 167.

ზეზად, რომ ბუნების მბრძანებლად შობილ ადამიანთა დიდ ნაწილს „შეწირული“ აქვს „ყოველნი წამნი ცხოვრებისანი“ თავის შეურაცხყოფელ „მდიდრისათვის, რომელიც ამპარტოვანითა სახითა“ გადმოუგდებს მას „ოდენ მცირესა ლუკმასა სიკვდილისაგან განსაშორებლად“ (171—172) და „კაცი შობილი ღარიბად, არა თუ ოდენ იძულებულ არს მიცემად მდიდრისადმი ყოვლისა მუშაკობისა თვისისა ნაყოფთა კნინდა უფასოდ, არამედ სულიცა მისი ვერ განირინების მის მიერ განმზადებული-სა მისთვის რკინისა საგდებლისაგან“ (172).

„ახლოით განჩხრეკილი კაცის“ მიხედვით, სწორედ კერძო საკუთრება იმის მიზეზი, რომ ადამიანი უფრო უბედურია, ვიდრე ცხოველი; რადგან ცხოველმა არ უწყის „დამამხობელნი ესე განჩხევანი, რომელთა მიერ კაცი იძულებულ არს კენესად ძმისა თვისისა მონებითა შობითვე“ (172—173).

სოციალური უთანასწორობით გამოწვეული ეს უკიდურესი აღშფოთება წარმოადგენს პათოსს „შდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხევჭით“ აღზევებულთა უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ მიმართული ლექსისა „ვაჰ, სოფელსა ამას“, რომელიც, მკვლევართა აზრით, დაახლოებით იმავე პერიოდში უნდა იყოს დაწერილი, როცა ალ. ჭავჭავაძეს „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ უთარგმნია.

საყურადღებოა, რომ არა მარტო იდეურ-შინაარსობრივი, არამედ სიტყვიერი ქსოვილის თვალსაზრისითაც საოცარი მსგავსებაა „ვაჰ, სოფელსა ამასა“ და „ახლოით განჩხრეკილი კაცის“ იმ ადგილებს შორის, სადაც გადმოცემულია გამდიდრებულთა და ძალაუფლების მქონებელთა სულმოკლეობა, უღმობლობა და გულზვიადობა, შურიანობა, გაუმაძღრობა და მრისხანება. „მას (მდიდარს. — დ. ლ.) — ამბობს „ახლოით განჩხრეკილი კაცის“ ავტორი, — ჰსძულან ყოველნი თვისგან უმაღლოესნი, ჰსურის დამონება ყოველთა კაცთა... ხელმწიფენი განვლენ საზღვართა მათ, რომელნი თვითვე დაუდვიესთ, მათ არა უწყიან სხვა რაიმე სჯული, თვინიერ ძალისა. იგინი არიან პირსა ზედა სრულიად ქვეყნისასა, ვითარცა ერთსა ოდენ ნაწილსა შინა. აღვირუსხმელთა ვნებათა მქონებელნი კაცნი, მოშურნე მეზობლისა თვისისა, რომელსა ჰყავს მისგან უმეტესნი ყმანი და აქენ უმჯობესნი მამულნი, შეიტანს იგი საჭურველსა და ცეცხლსა ქვეყანასა შინა თვისსა“ (174).

ალ. ჭავჭავაძეც „შდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხევჭით“ განდიდებული ამა სოფლის „მდგმურთ“ უმკაცრეს ბრალდებად სწორედ იმას უყენებს, რომ „კეთილ მოყვრობის დათრგუნვის“ მსურველნი, „ბოროტებისა და სიცრუის“ ბუდეთ ქცეულნი „მზაკვარნი სულნი სძრახვენ კეთილ-მოქმედთ შურით შემკულნი“ (30) და

ძმათა თვისთა შურ-მტერობის მდომელნი,
ჰკელუნ ერთმანეთს, ნაძარცვთ გამომჩრომელნი (31).

ხოლო

ხელმწიფენი, რომელთ სევსაც ვეშურეთ,
არნ მოცულნი უმრავლესითა ურეთ
ფიქრ-მრავლობენ განდიდებისა სურეთ (31),

ამიტომაც

სამეფონი ურთიერთსა მქცევლობენ,
ძალხი დავალს ღიმით ნაქცევა ზედა,
სად სიმართლე მისგან შენარაზედა
მისთ ყვაველთა ფერხით ლახავს გზაზედა.
რომელნი სკენებთან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხევეით (30).

„ახლოთ განჩხრეკილი კაცის“ თანახმად „ზოგადად ჰსოცვენ კაცთა; მხოლოდ ერთისა ბარბაროსისა კაცისავე საამებლად, ზოგადგად ჰყრიან ზალხთა მსგავსთა თვისთა პირისპირ მისასვლელად და ველურთა მხეც-თამებრ ურთიერთისა განსაგლეჯად... ზოგადგან ჰრეკენ მათ ანუ აღსა-ოხრებლად ანუ დასაქცევლად, და ანუ დასაპყრობლად ვიეთდამე ნა-წილთა ქვეყნისათა“ (175). მაგრამ ეს ერთმანეთის მტანჯველნი, მხო-ცავნი, მგლეჯელნი და მსჭამელნი არსებანი არიან მხოლოდ — „იოტნი და ჰინჭველნი, მოძრავნი კორახსა ზედან ამა სფეროსისა, რომელთა ცხოვ-რება დასრულდება მთლიანად... უამი მოიწვევის მომუქარითა სახით, მო-ხვევს ბადესა თვისსა ამპარტოვანთა მათ ჰინჭველთა სასაცილოსა და ზორასა“ (175—176).

აღ. ჰევეადის „ვაჰ სოფელსა ამას“ მიხედვითაც „სამეფონი ურ-თიერთს“ რომ „მქცევლობენ“

შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მხეველობენ;
მდიდრდებიან, რომელნიცა მძღველობენ“ (30).

და

„ზოგადინმე სარგებლის საპოვნელად
დაარღვევენ სჯულსა დაუყოვნელად,
არ დაზოგვენ მსგავსთა თვისთა საკელლად“ (30—31), —

მაგრამ ყოელის მსახვრალი უამი მათაც „მოხვევს ბადესა თვისსა“ და ქვეყნად, სადაც „ძალი დავალს ღიმით ნაქცევთა ზუდა“ და ბოროტება თრგუნავს სიკეთეს, საბოლოოდ

„მძღვეთა შემდგომ სხვისგან იძლევის“.
ჰნინილი თვისგან თვისდავე მიეჭყევის,
ყველაკაი წარულს, განელევის,
რაცა ჰქონდა პოვნელ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხევეით (30).

„ახლოით განჩხრევილ კაცში“ გამოხატული ადამიანის სიხარბის და განდიდების სურვილით გამოწვეული მუდმივი ჭმუნვისა და დაუქაყოფილებლობის გამოძახილი ჩანს ალ. ჭავჭავაძის ლირიკულ-ფილოსოფიურ ლექსშიც „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“, რომლის მესამე სტროფის მიხედვით —

ოდეს შევალთ ხანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა გვაქვს წუხვა:
არა ვკმაობთ საკმაოთა, ნდომა ჩვენი უზომ, უხვა,
გვესურს დიდება, გვესურს პატივი, გვესურს სახელის განთქმა, ქუხვა;
რა ვერ ვპოვებთ საწადელსა, შეგვექმნებას შურით კმუნვა“ (29).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოტივს, რომელიც XVIII—XIX სს. ევროპული ლიტერატურის, განსაკუთრებით რომანტიკული პოეზიის მნიშვნელოვანი მოტივი იყო, ეხმიანება ერთ-ერთი შედეგრი — ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“, რომლის მიხედვითაც „აღუესებელ საწყაულად“ წარმოდგენილ წუთისოფელში არავინაა ისეთი, „ვის თვის გული ერთხელ აღევსოს და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით ისი ეკმაროს“. თუმცა ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ ლირიკულ-ფილოსოფიურ ლექსში სულაც არ კმაყოფილდება ადამიანის გულის აღუესებლობის აღიარებით და, მართალია, „მრავალ დროების მოწამე“ მოდუდუნე მტკვრის ბუტბუტი კი იწვევს პოეტში სევდიან ფიქრს „ჩვენ ცხოვრებაზე“, მაგრამ ცხოვრების არსზედ ღრმად დაფიქრებული პოეტი ადამიანის სიცოცხლის აზრად მაინც „დაუდგრომელი“ სოფლისათვის ზრუნვას რაცხს და დაბეჯითებით აცხადებს —

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

„კეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა“, „მდაბალთ ჩავგრით, მტაცებლობით და ხვეჭით“ აღზევებული „მზაკვარნი სულნის“ მამხილებელ ალ. ჭავჭავაძეს დიდი ხნის განმავლობაში თვლიდნენ მარტოოდენ „ვარდ-ბულბულების“ მომღერალ, ეპიკურეიზმის მიმდევარ, ანაკრეონტელ პოეტად, რომელსაც, თითქოს, ნაკლებად აწუხებდა საერთოსაკაცობრიო საკითხები და თავისი ქვეყნის ბედი. თვით კიტა აბაშიძეც — ალ. ჭავჭავაძის მაღალპოეტური ნიჭის სათანადო დამფასებელი, ვინც წინააღმდეგ „ჩვენი მოაზრე საზოგადოების“ ნაწილისა, რომელიც „გოგჩას“ ავტორს „ვარდ-ბულბულის პოეტს ეძახდა“ და „უაზრო და უშინაარსო ლექსების მომღერლად“¹⁸ მიიჩნევდა — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შეხედულებებს კი იმორწმებდა და წერდა: „სამაგიეროდ ისეთი ბრწყინვალე ვარსკვლავნი ჩვენი ლიტერატურისა, როგორიც ილია ჭავჭავაძე და როგორიც ბრწყინვალე მგოსანი აკაკი წერეთე-

ლი, ამ პოეტსა თელიან „ტკბილ პოეტად, ნათლის სვეტად, ტკბილ მომღერლად, ამაღლებულად სულით ზეცამდე“, რომლის ლექსი „შეპყეფს სატრფოს გულ-საკლავად, ტრფობის ისრით განაწონი, ხან დაპყურებს ღრუბლიანი დაფიქრებით გოგჩის ტბასა და ემღურის მწვავის მოთქმით დაუღგრომელ დროთ ბრუნვასა“¹⁹, (ხაზგასმა კიტა აბაშიძისა), მაგრამ „ისმინეთ მსმენნოს“ ავტორს არ მიიჩნევდა „საეროვნო“ მწერლად. „აღ. ჭავჭავაძე არ იყო საეროვნო მწერალი, საერო დარდისა და ვარამის გამომხატველიო“ — წერდა იგი და დაბეჭობით ამტკიცებდა: „ჩვენ ვერ ენახავთ მის ლექსთა კრებულში იმ გარკვეულ ვაებასა და მწუხარებას, ამ ტანჯვასა და ოხვრას საზოგადო ინტერესების გამო, რომელიც ამშვენებს მომდევნო მწერლების ნაწარმოებთო“²⁰.

ამავე დროს ილია ჭავჭავაძის იმ ლექსში (რომელსაც აციტირებს კ. აბაშიძე და რომელიც, დ. გამეზარდაშვილის შეფასებისამებრ, არსებითად მართლაც „ღრმა შინაარსის კრიტიკული წერილია“²¹, სადაც ლეკონურად არის გადმოცემული ალ. ჭავჭავაძის „შემოქმედების ყველა ასპექტი“) ალ. ჭავჭავაძის პოეზიის სატრფიალო და საღალბო მოტივებთან ერთად ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მისი ლექსი —

ხან ჰრბის ევლად, მართოდ გალობს
 უდაბნოში ვითა მწირი,
 შეტყენებს შავ ბედს ქვეყნისასა
 ქვეყნისათვის ანატირი,
 ხან დაპყურებს ღრუბლიანი
 დაფიქრებით გოგჩის ტბასა
 და ემღურვის მწვავის მოთქმით
 დაუღგრომელ დროთ ბრუნვასა

(ხაზგასმა ჩუმა. — დ. ლ.).

ქვეყნის „შავ ბედის“ გამო „ქვეყნისათვის ანატირ“ პოეტს მიმართავდა აკაკი წერეთელიც —

თვალცრემლიანსა,
 გულსევდიანსა
 ენა მებმება, ეერის ვარ მთქმელი,
 და ან-კი ! რა ვსთქვა,
 გულზედ მადევს ქვა
 მეცა შესნავით გულის დამწველი.

¹⁹ კიტა აბაშიძე, ეტიუდები, 1962, გვ. 17.

²⁰ იქვე გვ. 19—20.

²¹ დავით გამეზარდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, 1948, გვ. 111.

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ გაიზიარა შეხედულება ილია ჭავჭავაძისა, რომელმაც „ყველაზე უკეთ გაიგო ალ. ჭავჭავაძის პოეზიის საიდუმლოება“²² და „ისმინეთ მსმენნოს“ ავტორის ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმა ანალიზის საფუძველზე ამ შეხედულების სრული რესტავრაცია რომ მოახდინა, ალ. ჭავჭავაძე მართებულად წარმოგვიდგინა „თავისი ღრის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხებზე ღრმად დაფიქრებულ მოაზროვნედ და შემოქმედად“²³. ვ. კოტეტიშვილის მტკიცებით, (ვინც, პირველმა, არა მარტო განაცხადა, ილია ჭავჭავაძის „აზრის რესტავრაცია უნდა მოხდეს მთელი თავისი სიძლიერით“²⁴, არამედ ამ თვალსაზრისით განიხილა კიდევ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება) მარტოდენ ვარდ-ბულბულების მომღერლად და ეპიკურეიზმის მიმდევრად წარმოდგენილი პოეტის შემოქმედებაში მთავარი სწორედ ეროვნული მოტივია. მეტიც, პატრიოტიზმი, რომელიც მცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის, განსაკუთრებით ნაპოლეონის დაპყრობითი ომების შემდეგ, ევროპული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს მოტივად იქცა, ვ. კოტეტიშვილის აზრით, „ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში იმდენად ცალკე ლექსების თემა არ არის, რამდენადაც მთელი შემოქმედების ატმოსფერო“²⁵.

და, მართლაც, საფუძველს ღრმა პესიმიზტური განწყობილებისა, რომელიც გამოხატულია ალ. ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებაში (თვით მისი ჰედონიზმიც კი, გ. ასათიანის შენიშვნისამებრ, პესიმიზტური წარმოშობისაა) სწორედ სამშობლოს უბედობით, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული მწვავე ტკივილები წარმოადგენდა.

ლექსში „ვისაც გსურთ“ ალ. ჭავჭავაძე თავად წერდა — იმიტომ ვარო „ქირში ფლობილი“, „ურვისგან გულ-შეპყრობილი“, რომ —

მას ესკერებ პატიმრად, ვის მონებს გული,

მისთვის გლახ განწირული;

მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული,

მარად შეახლვის წყლული. (34)

ხოლო ეს პატიმარი მეფის რუსეთის მიერ კოლონიად ქცეული სამშობლო იყო „გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი“, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით და „მტკბარად“ ნაგები ღრის „სიზმრებრივ ჩქარად“ გაქრობით წარმოქმნილი ვითარების მძაფრად განმცდელი პოეტისა, რომელიც წყევლით რომ იგონებდა ღრის —

22 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), 1959, გვ. 63.

23 გ. ასათიანი, ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე, 1974, გვ. 96.

24 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, (XIX ს.), 1959, გვ. 63.

25 იქვე, გვ. 63.

...როს სამკვიდრო დაკარგეთ კრულნი
გვძლივა სოფელმან ხელ-ყოფელმან, აწ გვაგო შურნი (67)

გულისტკივილით მიმართავდა მკითხველთ —

უწყალო სენმან მაწყენმან გვიკოდა გულნი,
გვეო ჭირთა მთმენად, მგლოვარენად ყოვლო სულდგმულნიო (17)

და აღნიშნავდა — ჩეუელნი ლხინსა შიგვეცა ჭირსა უბედობამან,

მოგვაქლო შეება, გვმატა ვება შეა-სვეობამან,
გვიტევა ყოვლმა განსაცხრომმა, თანაზრობამან,
ყოველცა აღმან, შეუწყალმან იკადო გრძნობამან.
გვეკეთა სასო დაუფასო, ემთომილერთ კრულნიო. (17)

მაგრამ აღ. ჭავჭავაძე, რომელიც მისტიროდა საქართველოს დამო-
უკიდებლობის დაკარგვას, „სიზმრებრივ ჩქარად“ გამჭრალ „მტკბარად“
ნაგებ დროს —

როს ექადოდით ყოველნი გვამნი
პატრონის ყოლით
მის წინ ბრძოლით (32)

სულაც არ ჰქონდა დაკარგული იმედი „გულთ მაამი ეამის“ კვლავ და-
დგომისა. —

შე იმას ვსტირი განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა ვერა...
თვარადა ეამი, გულთ მაამი, კვლავაც იქნებასო (60) —

დაბეჭითებით ამბობდა იგი ლექსში „პყრობილისაგან თანაპყრობილთა
მიმართ“.

მართალია, ქვეყნის აწინდელი მდგომარეობით „ქმუნვისა ლახვრით
გულ-პობილი“ (60) პოეტი კი წერდა —

ოჰ, ვით გვემტყუნებ
სოფლისა ბრუნვა...
წაგვიხდა ზრუნვა
მბუღარე გულსა!
ამად ვსტირთ წყლულსა
არ დაფარულსა,
ვქმუნავთ ბედ-მწირნი,
გვხვევიან ჭირნი
ცოცხლოთ უბ შირნი! (25).

მაგრამ სამშობლოს უკეთეს მომავალში დარწმუნებული პოეტი თანა-
შემამულეებს შეაგონებდა —

უწყოდეთ ესე ცნობა მყარითა,
რომ დრო მოგივალსთ კეთილ დარითა:
იხილავთ ვარდსა სახე მტკბარითა! (7)

ცხადია, რომ აქ, „ბედ-შეკრული ვარდი“ ალეგორიულად²⁶ წარმოადგენს საქართველოს, რომლის „განსახსნელად“ 1804 წლის აჯანყებისა და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ალ. ჭავჭავაძე თანაშემწეულეებს შეავიწყებდა:

პოი, ვინც არებთ თავისუფლებით,
ნუ ეტრფით ვარდსა გარშემოვლებით
მიეახლენით გულისა ხლებით! (მ). —

რაც ეროვნული დამოუკიდებლობის, სამშობლოს სუვერენულ უფლებათა აღდგენისათვის აქტიური მოქმედებისაკენ მოწოდებად უღერს.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების მოქალაქეობრივი პათოსი, მის ლირიკაში გამოხატული ღრმა დაინტერესება სოციალური და ეროვნული საკითხებით, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნიდან, განსაკუთრებით კი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, ევროპული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს პრობლემებად იქცა. წარმოადგენს საფუძველს ვ. კოტეტიშვილის დებულებისა — „ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზია თუ ფორმალურად (იგულისხმება ფორმით. — დ. ლ.) აღმოსავლურ პოეზიასთან არის დაკავშირებული, საგნობრივად ევროპის ლიტერატურის ორბიტაში არის მოქცეული“²⁷.

ეს არსებითად სწორი დებულება კორექტივს მოითხოვს; სახელდობრ, როგორც ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ანალიზი გვიჩვენებს, იგი „ევროპის ლიტერატურის ორბიტაში არის მოქცეული არა მარტო „საგნობრივად“, არამედ, გარკვეულწილად, ფორმითაც, მოვლენათა ახალი პოეტური ხედვისა და გამოთქმის თვალსაზრისითაც.

ილია ჭავჭავაძემ, ვინც არა მარტო შენიშნა ევროპეიზმი ქართული ლიტერატურაში, არამედ პირველმა მოხაზა კიდევ, ყოველშემთხვევაში კონსპექტურად, ახალი ქართული მწერლობის ევროპეიზმის გზით განვითარების კონტურები, ალ. ჭავჭავაძის პოეზია, უწინარეს ყოვლისა, სწო-

²⁶ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში რომ საქართველო ალეგორიულად სატრფოს სახით არის წარმოდგენილი, ეს ვ. კოტეტიშვილს აქვს აღნიშნული. „ილია ჩაკვირება არ არის საკირო, — წერდა იგი, — რომ ხშირად ალ. ჭავჭავაძის „სატრფოს“ სახით საქართველო დაინახოთ. ასეთი გაპიროვნება შემდეგში დაკანონდა კიდევ, და ყველაზე მეტად აკაკი წერეთლის პოეზიაში. და თუ აკაკის სატრფო საქართველოა, ალ. ჭავჭავაძის სატრფო რაღად უნდა იქნას ნაგულისხმევი ყოველთვის სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით?“ (ვ. კოტეტიშვილი, ზემოდასახელებული ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 60). ეს აზრი გაიზიარა დ. გამეზარდაშვილმაც, რომლის მიხედვით: „ბევრ ლექსში, რომელშიაც ვარდს უმდგრის პოეტი და გარგვენულად სატრფოალო ლექსის სახე აქვს მიცემული, ალეგორიულადაა წარმოდგენილი სამშობლოსადმი სიყვარული“ (დ. გამეზარდაშვილი, ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 122).

²⁷ ვ. კოტეტიშვილი, ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 63.

რედ „გამოთქმის“, ფორმის გამო მოაქცია „ევროპული ლიტერატურის ორბიტაში“.

უფრო ადრე ნ. ბერძნიშვილი, აღმოსავლური პოეზიის ფორმის თაობაზე რომ წერდა „მეტაფორების, საოცარი გადაჭარბების, დახუ-ქუქებული ფრაზის დიდ მოტრფიალე აღმოსავლეთს ხშირად აზრისა და მხატვრული უბრალოების საზიანოდ უყვარს სიტყვებით თამაშიო“²⁸; ალ. ჭავჭავაძეს „ევროპული მანერისაკენ გადახრილი დამოუყიდებელი მიმართულების პოეტად „ლექსის „ქლერადობის და ბუნებრიობის“, „გადმოცემის უბრალოებისა და თვალსაჩინოების“ გამო მიიჩნევდა“²⁹.

ეს „ქლერადობა და ბუნებრიობა“, „გადმოცემის უბრალოება და თვალსაჩინოება“ კი დამახასიათებელია ალ. ჭავჭავაძის საკუთრივ სატრ-ფიალო ლირიკისთვისაც.

მართალია, პოეზიის ამ ქანრში (სადაც ქართულ ლიტერატურათ-მცოდნეთა უმრავლესობის მიერ გაზიარებული შეხედულებისამებრ. უკ-ვე ჩანს „აღორძინების ხანის“ ქართულ მწერლობაში გაბატონებული სიყვარულის კონცეფციისადმი დაპირისპირებული ახალი გააზრება და როგორც მ. ზანდუკელი აღნიშნავს — „პოეტის ამ ლექსებსაც სიყვარუ-ლის სულიერი მაღალი გრძნობის სიფაქიზე, რომანტიზმს რომ ახასია-თებდა თითქოს შეუმჩნევლად, მცირედად, მაგრამ მაინც აქვს ჩაქსოვი-ლი“³⁰) ალ. ჭავჭავაძის პოეტური აზროვნება, გ. ასათიანის აღნიშვნისა-მებრ, ტრადიციულია³¹, და აღმოსავლური პოეზიის გავლენით ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული „ყვავილოვნებითა“ და „ფიგურალი“ გა-მოთქმებით არის აღბეჭდილი, მაგრამ „განცდის ნამდვილი სიწრფელი-თა და პოეტური შთაგონების ძალდაუტანებელი ლალი სუნთქვით“³² შე-ქმნილ ამ ლექსებში, „ტრადიციული ფორმები“ „ოსტატურად“ რომ არის „დამუშავებული“, გვხვდება შტამებისა და ტრადიციული მეტა-ფორებისაგან თავისუფალი ისეთი ლექსებიც, როგორც „ძვირფასო სა-ყვარელო“, „კამენასადმი“, „როს გიყვარდი“ და სხვ. რომ არაფერი ვთქვათ იმ ლექსებზე, სადაც სატრფოს სახით ალეგორიულად საქართ-ველოა წარმოდგენილი („ელების კარი გაზაფხულისა“, „ვამე შორს მყოფსა“, „უწყალო სიყვარულო“, „ოჰ ვით გვემტყუნეა“, „ვისაც გსურთ“ და სხვ.).

ტრადიციული პოეტიკის დაძლევის ცდა განსაკუთრებით თვალ-საჩინოა ალ. ჭავჭავაძის ლირიკის პატრიოტული და სოციალური მოტი-

28 «Кавказ», 1859, № 42, გვ. 223.

29 «Кавказ», 1857, № 14, გვ. 70.

30 მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1956, გვ. 103.

31 გ. ასათიანი, ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 99.

32 იქვე, გვ. 108.

ვების შემცველ ლექსებში. ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იპყრობს „ვაპ, სოფელსა ამას“, „ეჰა ჩემო ოცნებავ“, „დიმიტ. ვ.“, რომელიც, ი. გრიშაშვილის შენიშვნისამებრ, წარმოადგენს „კავკასის“ შესავალს და თვით „კავკასია“, რომლებიც წინ უსწრებდნენ „გოგჩას“ — აღ. ჭავჭავაძის შემოქმედების შედეგს.

„გოგჩაში“, რომანტიკულ პოეზიაში ფართოდ გავრცელებული ყანრის — ფილოსოფიური ლირიკის ამ საყურადღებო ძეგლში, დიდი მხატვრული ძალით გამოხატული მსოფლიო სეედა, გამოწვეული ადამიანის ცხოვრების წარმავლობის შეგნებით, იმით, რომ ეს ნანგრევები „...ქალაქთა ჩინებულთა ხედრი უცილო“ მას წარმოუდგენს „ჩვენისა მომავლისაც ნამდვილ ხატს“ (92).

„გოგჩაში“ გამოხატული „დროსა მსერელის ცელით“ ადამიანის ძალთახმევის ნაყოფის გარდუვალი განადგურებით გამოწვეულ პესიმისტურ განწყობილებას მრავალი პარალელი დაეძებნება რომანტიკულ პოეზიაში. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ მიცკევიჩის „ყირიმული სონეტებიდან“, „ბახჩისარაი“, სადაც აღწერილია მრისხანე გირეის ოდესლაც დიდებული, ახლა უკაცრიელი სასახლე ქვეწარმავალთა და მწერთა საბუდრად რომ ქცეულა და „ბალაკლავის ციხის ნანგრევები“ — ბერძენთა და რომაელთაგან ნაგები, წარსულში ყირიმის სიმშვიდის მცველი სიმაგრე, რომლის ნაშთი უსახლერო სევდის გამოუთქმელ ნიშნად მიაჩნია პოეტს.

მაგრამ „გოგჩას“ თავის განწყობითაც და მსოფლალქმითაც განსაკუთრებით ესადაგება ბაირონის „მანფრედის“ შესამე მოქმედების მეოთხე სცენაში მთავარი გმირის მოგონება-მონოლოგი, რაც დ. გამეზარდაშვილსაც აქვს აღნიშნული.

მსგავსად „გოგჩას“ ლირიკული გმირისა (რომლის „თვალსა და გულს, სევდით ავსებენ“ „ესე კამარა ძლიე საცნობი ყოფილ ტაძარად, სად კვლავ მეფენი მოწიწებით იდრეკდნენ მუხლთა, სად ღვთის .დიდებუა მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად და ცისა მიმართ გრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა“, — დღეს „პირუტყვთა, ზოგჯერ ნადირთა, ზოგჯერ მხეცთა“ (92) თავშესაფრად რომ ქცეულა; — „ეს გროვა ქვათა სახე შლილის ოთხკუთხედისა... სად სავაჰრონი მდიდრად წყობილან“; — ეს ვრცელი ვაკე „...სად ჰქონიათ ტაიქთა სრბოლა, ჩოგანთ ტაცება ჰაბუკ-მხედართ გამოსაცდელად, შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცნა და ისართ სროლა“, — ახლა ქვაყრილს რომ დაუფარავს (გვ. 93) და ოდესლაც მშფოთვარე ქალაქში გამეფებულა „უდაბურობა, მჩუმარეჰა, არარაობა“) მანფრედიც კმუნვით იგონებს ჰაბუკობაში მოგზაურობისას რომის ნანგრევთა წინაშე მარტო მყოფს კეისრების სასახლიდან პოტის კივილი რომ ესმოდა და ამბობს —

იმ ადგილებში
სად იულიუს კეისარი ცხოვრობდა ერთ ღროს
ახლა ბუდობენ მარტოოდნ ღამის ფრინველნი
და დაფნის ნაცულად გკლიანი იზრდება სურო.

გლადიატორთა სისხლის ღვარით მორწყული ციხე
კიდევ ამქავენებს თავის წარსულ დიდებას, ხოლო
სასახლეები და პალატნი ავგუსტოების
დიდხანია, რაც დაშლილა ქვათა და ქვიშაღამ.

„გოგჩაში“, რომლის ფინალი —

რადიკეზის მთარეს, თაე-მომწონეს მათთან შთახედვით
უგრძენია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოღრუბლულა —

მოგვაგონებს მანფრედის ზემოაღნიშნული მონოლოგის დასას-
რულს —

შენ კი, მთვარეო, თავს დასკერდი ყველაფერ! ამას,
შენ ალბილებდი უნაზესი სხივების ფენით
გაპარტახებულ სიძველეთა დაღვრემილ სახეს,
ულმობელობას და სიაყეს ეამთა სვლისასა! —

აღ. ჰავეკავაძე წარმოგვიდგება ახალი მხატვრული ხედვის პოეტად, რომელიც, ადამიანის ბედზე და ცხოვრების წარმავლობაზე დაფიქრებული, ბუნების კონკრეტულ პეიზაჟს რომ ხატავს, მასში არეკლავს კიდევ თავის ღრმა განცდებს და ადამიანურ გრძნობებს პირდაპირ აერთებს პოეტურად ბუნებასთან. ხოლო ბუნებასთან ასეთი დამოკიდებულება, სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულებისამებრ, წარმოადგენს რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს, რომელიც განასხვავებს მას წინარე ლიტერატურულ მიმდინარეობებიდან, კერძოდ XVIII საუკუნის განმანათლებლურ პოეზიიდან, სადაც ბუნების სურათების, პეიზაჟებისა და ლანდშაფტების აღწერას კი ვხვდებით, მაგრამ, კ. ბორვატის შენიშვნისამებრ, „ჩვეულებრივ ბუნება აქ გამოდის ჭერ კიდევ სრულ შესატყვისობაში რაციონალისტურ მსოფლალქმასთან, აქ ჭერ კიდევ არ არის ადამიანური გრძნობისა და ბუნების პირდაპირი პოეტური შეერთება“³⁴.

მართალია, აღ. ჰავეკავაძის პოეზიაში არ გვხვდება მკაფიოდ გამოკვეთილი სუბიექტივიზაცია ბუნებისა, როგორც ამას ბაირონის თუ შელის, ნოვალისის თუ ჰაინეს და რომანტიზმის მრავალი სხვა წარმომად-

33 ბაირონი, მანფრედი, კენი, ჩაილდ კაროლის მოგზაურობა. თარგმანი კონსტანტინე ჰინზარაძისა, 1848; გვ. 63. შტრ. Illustrated Byron, SA, London, 386.

34 К. Х о р в а т, Романтические воззрения на природу, См. сборник «Европейский романтизм», 1973, стр. 209.

გენლის, ხოლო ქართველ რომანტიკოსთაგან, განსაკუთრებით ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ვხედავთ, სადაც მოაზროვნე სუბიექტთან გათანაბრებული, ადამიანის გულის მესაიდუმლედ, თანალმობლად და მეგობრად წარმოდგენილი ბუნება პოეტის ღრმა სულიერ განცდებს გამოხატავს, მაგრამ „კავკასიაში“ კი უკვე ჩანს ბუნების რომანტიკული ანტროფომორფიზაციის საწყისი.

განსხვავებით ლირიკული ლექსებისაგან „ოჰ ვით გვიმტყუნვა“ და „სძგერს გლახ გული“ (რომლებშიც ალ. ჭავჭავაძე, მართალია, მიმართავს ბუნების მოვლენებს, მაგრამ პირველ მათგანში იგი მეტაფორული სახის შესაქმნელად არის გამოყენებული —

ვკმუნავთ ბედ-მწირნი,
გვხვევიან ჳირნი
ფოთოლთ უხშირნი
დავიდნენ მთენნი
შარვანდთ მფენნი
აწ იგი მზენი.
ჰფარვიან ღრუბელს,
ავდრის საგუბელს
წყვილიადა და ბნელს. (25) —

ხოლო, მეორეში მხოლოდ ფონს წარმოადგენს განცდების გადმოსაცემად სატრფიის „მომლოდე“ ლირიკული გმირისა, რომელსაც, „გზის გუშავად მდგომარეს“, „ხან აჩრდილნი“ აცთუნებენ, „ხან ფოოკლნი შერხეულნი შრიალითა... ზრზენას“ „სცემენ“, „ზოგჯერ ღამის სიწყველიად“ მოაჩვენებს „გიშრის თმასა“ და „თვით ნიავთა ნელი ქროლაც“ წარმოუდგენს სატრფოს სუნთქვას) „კავკასიაში“ — „თხემისა შეუპოვარის პონტოის ზვირთთ მიმყარნობი და ტერფითა სალითა კასპიის განმპობი“ კავკასიონის ქედის დიდებული ბუნება წარმოადგენს ალ. ჭავჭავაძის პოეტური წარმოსახვის უშუალო წყაროს და მთავარ ობიექტს.

თუმცა „ათას წლოვანთ თოვლთაგან ზეავად შენაკრების“ მათა „ზურგით მზიდველი“ კავკასიონის ქედის დიდი ექსპრესიით შექმნილ შთამბეჭდავ სურათში ბუნება გარკვეულწილად ანტროფომორფიზირებულია — „დასაბამით სოფლისა ცნობილი შეუვალად“ კავკასიონის ქედი ჯერ ყოვლისშემძლე ძალად არის წარმოდგენილი, რომელიც „ზოგთა კმუსრავს, ზოგთ ჰბადებს ვით ღმერთი მბრძანებელი“, ხოლო, შემდეგ, ქვემეხების მიერ დაგლეჯილი გველინება „მკენესარე“ არსებად, რომელიც, „ეხთთა მიერ წყლულთა თვისთა ცხად ჰყოფდა მწარედ“ — მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ ჩანს ადამიანის გრძნობებისა და ბუნების პირდაპირი პოეტური კავშირი.

ეს კავშირი ერთი უაღრესად საყურადღებო ნიშანია „გოგჩისა“, რომელიც, განწყობის მიხედვით, მანფრედის ზემოაღნიშნულ მონო-

ლოგზე არანაკლებ ახლო დგას ფრანგული რომანტიზმის ერთ-ერთ ლირიკულ შედეგთან — ლამარტინის „ტბასთან“.

ლამარტინის „ტბაც“ ლირიკული გმირის მიერ სატრფოს დაკარგვის შემდეგაც ისევე რომ ატლამუნებს ტალღებს, როგორც მაშინ, როცა მის ნაპირზე მოსიერნე მეტრფენი უმაღლეს ნეტარებას იყვენენ ზიარებულნი, ბედნიერ წარსულს მოაგონებს მარტოსულს და ნალვლიანად დააფიქრებს ამაოებაზე ცხოვრებისა, სადაც „ადამიანს არა აქვს ნავთსაყუდარი. დროს არა აქვს ნაპირი, — იგი მიედინება და ჩვენც მივდივართ არმყოფობის უკუნეთში“.

ლამარტინის „ტბაში“ გამოხატულ მოაზროვნე კაცობრიობის საჭირბოროტო საკითხის — ადამიანის ცხოვრების რაობის — გაგებას ზედმიწევნით ესადაგება „გოგჩაში“ „უდაბურების. მჩუმარების, არა-რაობის“ ჩვენი მომავლის ნამდვილ ხატად აღიარება. რომანტიკული პოეზიისათვის ნიშანდობლივი ამ პესიმისტური განწყობილების საფუძველი სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არის შესწავლილი და გაშუქებული და აქ ამაზე აღარ შეეჩერდებით. დასკვნის სახით მხოლოდ იმასდა აღენიშნათ, რომ საკაცობრიო საკითხებზე ყურადღების გამახვილებმა, სოციალური და პატრიოტული პრობლემებით დაინტერესება და ტრადიციული პოეტიკის ვირტუოზულ გამოყენებასთან ერთად მისი დაძლევის ნიმუშები წარმოგვიდგენს რუსული და ევროპული ენების მკოდნე აღექსანდრე ჭავჭავაძის მოვლენათა ახალი ხედვის პოეტად ევროპეიზმის გზაზე მტკიცედ დამდგარი ახალი ქართული ლიტერატურისა, რომლის „ბუნებითად დიდი საწყლე“, ი. ჭავჭავაძის შეხედულები-სამებრ, „ჩააღრმავა“ და „გააგანიერა“ გრიგოლ ორბელიანმა.

• • •

ქართული სალიტერატურო კრიტიკა მუდამ მაღალ შეფასებას აღეცა გრ. ორბელიანის პოეტურ შემოქმედებას. ის კრიტიკოსებიც კი, რომელთაც მკაცრი მსჯავრი გამოუტანიათ „სადღეგრძელოს“ ავტორის ამა თუ იმ ლექსის გამო, უცილობლად მიიჩნევენ გრ. ორბელიანის პოეზიის მაღალმხატვრულობას და პოეტის დიდ ღვაწლს ქართული მწერლობის განვითარების, მისი ახალი მოტივებით გამდიდრების, ფორმის განახლებისა და გამრავალფეროვნების სფეროში.

ამ თვალსაზრისით საგანგებოდ არის აღსანიშნავი კ. აბაშიძის მსჯელობა გრ. ორბელიანის პოეზიაზე. მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის პირველი კლასიფიკატორის მიხედვით „გრ. ორბელიანის

ზოგიერთ ლექსში ბევრი რიტორიკა³⁵ და „სადღეგრძელო“, დღემდის ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ლექსად აღიარებული, უნდა მივიჩნიოთ უსუსტესად... რადგან მოკლებულია მრავალ ღირსებას... უხერხულია ფორმით, უხერხულია მხატვრული მხრივაც³⁶, მაგრამ, იმავდროულად, კ. აბაშიძისავე შეხედულებით, გრ. ორბელიანი „მაღალ-ნიკიერი“ პოეტია, რომელსაც „ახალი სულიც“ უგრძნია³⁷, „ღვთაებრიობამდის აღუმაღლებია“ მეგობრობის გრძნობა³⁸, „ისეთი ძლიერებითა და მხატვრული ხელოვნებით“ დაუხატავს ბუნების სურათები, — რომ „ამით იგი მაღლა დგას რუსთაველზედ“³⁹, ხოლო „ტექნიკური მხრით“ „ეტიუდების“ ავტორი „საუცხოვოდ მიიჩნევს „იარალის“ სტრიქონებს

— ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი,
ჯირით-სრიალი, ყურთ-მაჭთ ბრიალი,
უზანგთა ეგმა, ცხენით ქვე ბტომა,
კვალად შეხტომა და ხმალთ კრიალი —

და ამბობს: „საოცარია აქ სტილი პოეტისა, რომელიც საგანს ყოველმხრივ ასურათებს და თვით სიტყვათა ხმარება სურათის მუსიკალურ მხარესაც კი გაგრძნობინებთო⁴⁰.

გრ. ორბელიანის პოეზიის მხატვრულ ღირსებაზე და ქართული მწერლობის განვითარებაში მის როლზე გამოთქმულ აზრთა არსებითი ერთობლიობის მიუხედავად, იგი, შ. რაღიანის მართებული შენიშვნისამებრ, „ქართული ლიტერატურის ისტორიაში... კარგა ხანს რჩებოდა „სადისკუსიო“ პოეტად იმის გამო, რომ მკვლევარებს ვერ შეეთანხმებინათ ერთმანეთისათვის მისი ცხოვრება და შემოქმედება, ბიოგრაფია და ლექსები“⁴¹, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა გრ. ორბელიანის შემოქმედების იდეურ შინაარსსა და მიმართულებაზე შეხედულებათა სხვადასხვაობასაც.

გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა ერთი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ იგი ნაკლებად ასახავდა, მეტიც, სულაც

³⁵ კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით, 1962, გვ. 54.

³⁶ იქვე, გვ. 56.

³⁷ იქვე, გვ. 46.

³⁸ იქვე, გვ. 50.

³⁹ იქვე, გვ. 53.

⁴⁰ იქვე, გვ. 56. ლექსიც ციტირებულია კ. აბაშიძის „ეტიუდების“ მიხედვით და არა გრ. ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულიდან, რომელიც 1959 წ. არის გამოცემული.

⁴¹ შ. რაღიანი, რჩეული წერილები, წიგნი პირველი, 1970, გვ. 3.

არ ეხებოდა საზოგადოებრივ ტვიცილებს და მისი პოეზია მოკლებული იყო მოქალაქეობრივ პათოსს.

ეს შეხედულება აქვს გამოთქმული ნ. სკანდელს (ნ. ნიკოლაძეს), რომელიც „პოეტის გრძნობის სიღრმეს და მისი ნიჭის სიძლიერეს“⁴² რომ აღნიშნავდა, „იარალის“ ავტორს, მართალია, იმ შემოქმედთა გუნდით აყენებდა, ვისაც ადამიანის გრძნობისა და გონების უფაქიზეს საიდუმლოებათა წვდომის უნართან ერთად მათი სათუთად და ამალღებულად გადმოცემის ძალაც მიმადლებია, მაგრამ იქვე სინანულით ამასაც წერდა: გრ. ორბელიანის ლექსებში „ეოტათი ისმის ხალხის გულის წადილის ხმა, ან მისი პასუხი, ძლიერ იშვიათად ჩანს პოეტის თანამედროვე საზოგადოებას რაც კითხვები და ფიქრები აღელვებდა იმის ან გამოსახვა ან პასუხის გაცემაო“⁴³ და დახშული და დახვესებული საზოგადოებრივი ცხოვრებით ცდილობდა აეხსნა, თუ რატომ „იღეოდა“, „ამისთანა გრძნობით სავსე, ნიჭიერი და გონიერი პოეტის“⁴⁴ „გრძნობის ძალა, მისი გულის სიმზურვალე... ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად პაწია საგნების და პაწია სურვილების დაკმაყოფილებაში“⁴⁵.

დაახლოებით ასეთივე შეხედულებისა იყო გრ. ორბელიანის პოეზიაზე ეგნატე იოსელიანის, რომელიც გრ. ორბელიანს იმას საყვედურობდა, რომ მის „შემოქმედებაში ჩვენ ვერ ვპოვებთ კაცის გამაჰხნევებელ პოეზიასო“⁴⁶.

გრ. ორბელიანის პირველი ბიოგრაფისა და მისი დიდი თაყვანისმცემლის ი. მეუნარგიას აზრითაც პოეზია გრ. ორბელიანისა, რომელსაც იგი ჩვენი „ნაციონალური გენიის“ განხორციელებად მიიჩნევდა, „მხოლოდ სიყვარულს, ქალის სიყვარულსა და მამულის სიყვარულს გამოხატავს და უყურადღებოდ სტოვებს საჭირობოროტო თემებს“, „ფართოდ-ფართოდ მოზღვავებულ საკაცობრიო კითხვებს“⁴⁷.

კ. აბაშიძის მიხედვითაც, ვრ. ორბელიანს „დედამიწაზედ ერთ საყურადღებო ცენტრად, ერთად ერთ წერტილად თავისი ოჯახობრივი ინტერესი მიაჩნდა“⁴⁸ და მას „ვერ პქონდა გამორკვეული აზრი სამშობლოს შესახებ. იგი ვერ იყო წარმომადგენელი შეგნებული საზოგადოების საუკეთესო ნაწილის გრძნობისაო“⁴⁹.

⁴² ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა, 1956, II ნაკ. 1, გვ. 212.

⁴³ იქვე, გვ. 219.

⁴⁴ იქვე, გვ. 218.

⁴⁵ იქვე, გვ. 220.

⁴⁶ იქვე, გვ. 515.

⁴⁷ ი. მეუნარგია, ქართული მწერლები, I, 1954, გვ. 184—185.

⁴⁸ კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1962, გვ. 40.

⁴⁹ იქვე, გვ. 58.

კიდევ უფრო კატეგორიულად გამოთქვამს ამ აზრს მეცხრამეტე საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიის ცნობილი მკვლევარი სიმონ ზუნდაძე, რომლის შეხედულებით „ყაფლანიანთა დიდი გვარის უკანასკნელ მოჰიკანს“, „თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი კვალი არ დაუმჩნევია ჩვენს მწერლობაში“⁵⁰. „სამოც წელზე მეტი მოღვაწეობის მანძილზე, — განაგრძობს ს. ზუნდაძე, — მას არ შეუხედია საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ და „ამ პერიოდში“, „როცა ხდებოდა ჩვენი ცხოვრების ევროპეიზაცია და კულტურული აღორძინება, გრ. ორბელიანი ამ დიდი პროცესის გარეშე იდგა, მისთვის არ არსებობდა, არ აინტერესებდა“⁵¹.

ასეთი შეხედულება გრ. ორბელიანზე, — ვინც, ე. მალრაძის მართებული შეხედულებისამებრ, ისე მკვეთრად ასახა 1832 წლის შეთქმულების მებრძოლი სულისკვეთება, როგორც „მხატვრული სიტყვის არც ერთი ოსტატის შემოქმედებაში არ ასახულა“ და ვის ნაწერებსა და თარგმანებში გატარებული „მეამბოხური სული“ „სცილდება თვით ამ შედარებით ვიწრო შეთქმულების ფარგლებს და დიდი ეროვნული ტკივილების გამომხატველ მოვლენად იქცევა“⁵² — მეტი რომ არაფერი ვთქვათ: უალრესად ცალმხრივია და საოცრად მოგვაგონებს გოეთეს შემოქმედების ნიჰილისტურ კრიტიკას:

ისევე, როგორც გრ. ორბელიანის მკვლევართა ერთ ნაწილს ვერ შეუთანხმებია „ხელმწიფე-იმპერატორის იდეალური მსახურის“⁵³, გინერალ გრ. ორბელიანის ბიოგრაფია „სადღეგრძელოს“, „იარალის“ და „აღსარების“ ავტორის ლექსებთან, გოეთეს ნიჰილისტ კრიტიკოსებისთვისაც გაუგებარი აღმოჩნდა ვაიმარის ჰერცოგის ერთგული მინისტრისა და „გოეცის“, „ვერთერისა“ და „ფაუსტის“ შემოქმედებებშია წინააღმდეგობით გამსკვალული შემოქმედება. მათ ფრანკფურტელი პატრიციის ფრთხილი შთამომავლის ან ვაიმარელი საიდუმლო მრჩევლის იქით ვერ თუ არ დაუნახავთ „გენიალური პოეტი, რომელსაც ზიზლს ჰგვრის თავის გარემოცვის უბადრუკობა“ და „კოლოსალურად დიდი, უჩრჩი, დამცინავი, ქვეყნის მჭირდავი გენიოსი“⁵⁴ საზოგადოებრივი საქითხებით დაუინტერესებელ, ცხოვრებიდან გამდგარ ცივ „ოლიმპიელად“ წარმოადგინეს.

მაგრამ უკვე მეცხრამეტე საუკუნეშივე გოეთეს შემოქმედების ნიჰილისტ კრიტიკოსთა საწინააღმდეგოდ „დიდი გერმანელის“ ცხოვრე-

50 ს. ზუნდაძე, ნარკვევები, თბილისი, 1941, გვ. 8.

51 იქვე, გვ. 16.

52 ე. მალრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბილისი, 1967, გვ. 414.

53 იქვე, გვ. 259.

54 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 5, стр. 142.

ბისა და შემოქმედების ენგელსისეულ შეფასებასთან ერთად. — (სადაც გარკვეულია გოეთეს ორგვარი დამოკიდებულება თავისდროინდელი გერმანული საზოგადოებისადმი, მასში წარმოებული „მუღმივი ბრძოლა“ გენიოსსა და ფილისტერს შორის და ის, რომ თუმცა გოეთე იძულებული იყო „დაზავებოდა“ და „შეგუებოდა“ გერმანულ უბადრუკობას“, მაგრამ „მეფისტოფელის გესლიანი სიცილითაც“ ჰკილავდა მას, ზიზღით იყო „მისიადმი გამსკვალული“ და ამ სინამდვილის წინააღმდეგ ამხედრებული გოეთე-გენიოსი სძლედა გოეთე-ფილისტერს), — მრავალმა პროგრესულმა მოაზროვნემ აღიმალლა ხმა „ვიიმარელი ბრძენის“ ცალმხრივი ტენდენციური გაგების წინააღმდეგ და გოეთეს „შემოქმედების ანალიზის საფუძველზე ცხადყო, რომ „ფილისტერი უპირატესად გოეთეს კერძო, მისი უშუალო „სასიციოცხოლო გარემოთი“ შებოკილი პიროვნების მიმართ ავლენს ხოლმე თავის ძალას, მაშინ როდესაც თავისი ეპოქის დიდი იდეები, მაღალი სულისკვეთებით შთაგონებული გენიოსი გოეთეს შემოქმედებით არსებას ეუფლება“⁵⁵.

ეს შეხედულება აქვს გამოთქმული პ. ჰაინეს, როგორც პირად წერილებში (რუდოლფ ქრისტიანისადმი 1825 წ. მაისი, ვარჰაგენ ფონ ენ-ზესადმი 1827 წ. ნოემბერი), ისე „რომანტიკულ სკოლაში“⁵⁶. ამ აზრისა იყო ბელინსკი⁵⁷, ეს თვალსაზრისი აქვს გატარებული დ. პისარევსაც, რომლის მიხედვით, მართალია, გოეთე „ფილისტერულ სიმბდალეს“⁵⁸ იჩენდა, ზედმიწევნით ჰქონდა განვითარებული „ლაქუცობისა და მლიქვნელობის უნარი“⁵⁹ და „თავის პირად შეგრძნებათა ვიწრო სამყაროს აძლედა უპირატესობას კაცობრიობის ამალეღვებელი ცხოვრების ფართო სამყაროს წინაშე“⁶⁰, მაგრამ იმავდროულად, იგივე პასარევი „ცივ საიდუმლო მრჩეველს და კავალერ ფონ გოეთეს“ იმ პიროვნებადაც მიიჩნევს, რომლის „გონებრივი სიდიადე... ქარბად ფარავს თუ ანაზღაურებს მისი ხასიათის მდაბალ სისუსტეს“, და ვისი თხზულებანიც „ვეებერთელა გალვანური ბატარეას“ მსგავსად, „მუდამ ახალი ელექტრონული ძალით ამარაგებს“ მოწინავე საზოგადოებას, რომლის საშუალებითაც იგი „მოქმედებს და ძლიერადაც მოქმედებს ლატაკთა და უბირ მოყვასთა სასარგებლოდ“⁶¹.

სწორედ ასევე, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაშიც გრ. ორბელიანის მიმართ ზემოთ ციტირებულ შეხედულებათა საპირისპიროდ

55 ო. ჰინორია, გოეთეს შემოქმედებითი გზა, თბილისი, 1966, გვ. 14.

56 H. Heine, in 6 Bänden, Weimar, 1961, ტ. IV, გვ. 225—226.

57 В. Г. Белинский. Письма т. II, СПб, 1914, стр. 232.

58 Д. П. Писарев, Соч. т. II, Москва, 1956, стр. 45.

59 იქვე, გვ. 97.

60 იქვე, გვ. 45.

61 იქვე, გვ. 93.

გამოითქვა აზრი, რომელიც „ყაფლანიანთ გვარის უკანასკნელ მოპიკანად“ წარმოდგენილ მოღვაწეს, ვინც თითქოს და „ვერ ჩასწვდა ხალხის გულში“, „ქართული სიტყვიერებისა და პოეზიის“ „ზეშთაგონებით განსწავლულ მეუფედ“ მიიჩნევდა და „დიდებული პოეტის“ შემოქმედების მთავარ ღირსებად იმას აღიარებდა, რომ იგი „თავისი ძლიერი ხმით აღვიძებდა და ამხნევებდა უიმედობით დამაშვრალ ქართველებს“⁶².

დავით კეზელის მიერ გამოთქმული ეს შეხედულება შეესატყვისებოდა საზოგადოებრივ აზრს და ეყრდნობოდა პოეტის შემოქმედების სწორ გაგებას, რაც გამოხატა ილია ჭავჭავაძემ გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში. ამ სიტყვაში დიდი მგოსანი წარმოდგენილია არა მარტოდენ როგორც თვითმპყრობელი „ჩვენის ქართულის ენისა... მეუფე ჩვენის სიტყვიერებისა“, არამედ, აგრეთვე „მალალის ნიჭით ცხებული“ — „მწერალი და მთქმელი —

ვინც ძლიერებას მძლევის სიტყვით ამცო სიმართლედ
და ძმებს დაეცემულთ მისცა ხელი აღსაღინებლად“⁶³.

გრ. ორბელიანის შემოქმედების ილიასეული შეფასება (რომელიც ათიოდე წლის შემდეგ თავად დააკონკრეტა და გააღრმავა „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“, აკ. წერეთლის შეხედულებებთან ერთად, ე. მაღრაძის აღნიშვნისამებრ, საფუძვლად დაედო „ვ. კოტეტიშვილის, მიხ. ზანდუკელის, პ. ინგოროყვას, აკ. გაწერელიას, სოლ. ხუციშვილის, სოლ. ცაიშვილის, აბ. მახარაძის, დ. გამეზარდაშვილის, ჯ. ჭუმბურიძისა და სხვა ცნობილი მკვლევარების“ „სად მსჯავრს პოეტის შემოქმედებასა და პიროვნებაზე“⁶⁴) — გამომდინარეობს ი. ჭავჭავაძის მიერვე, ჯერ კიდევ სამოციან წლებში წამოყენებული დებულებიდან „გრ. ორბელიანი, გამგრძელებელი ევროპეიზმისა“⁶⁵ — და წარმოდგენს მის დასაბუთებას.

„წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“, სადაც ი. ჭავჭავაძე, — როგორც თავად აღნიშნავს, მიზნად ისახავდა „არა განკითხვას ჩვენი მწერლობისა კრიტიკის თვალთა, არამედ იმის გამორკვევას, თუ რამოდენად იზრდებოდა, მატულობდა ჩვენი აზრი, რამოდენად შორსა და შორსა სცემდა ჩვენი თვალთახედვის ისარი, რამოდენად დაღდებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა, და გუშინდელი რას სთესდა დღეისათ-

62 „დროება“, 1883, № 65.

63 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, 1953, გვ. 247—248.

64 ე. მაღრაძის ზემოდასახელებული მონოგრაფია, გვ. 408.

65 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1953, გვ. 457.

ვის“⁶⁶ — გრ. ორბელიანის მთავარ დამსახურებად ქართული პოეზიის „ბუნებითად დიდი საწყლეს“ „ჩაღრმავებასა“ და „გაგანიერებას“ მიიჩნევდა, მას იმ პოეტად რაცხდა, ვინც „თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია, როგორც შინაარსით, ისეც ფორმითაც, რადგანაც ამან სრულიად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიური სახელებით აჭრელება სიტყვიერებისა“⁶⁷ და „თავისი მხარი მისცა ახალ მიმართულებასა“⁶⁸.

ცხადია, საუკუნეთა მანძილზე ქართულ მწერლობაში გაბატონებულ აღმოსავლურ ლიტერატურულ გემოვნებას არ შეიძლება, ასე თუ ისე, გრ. ორბელიანის პოეზიაშიც არ ეჩინა თავი. მაგრამ „ლოპიანას“ ავტორის თვით მუხამბაზებიც კი, — სადაც იგი გარკვეულ ხარკს უხდის აღმოსავლურ მუზას, — თავისუფალია სპარსულის გავლენით ქართულ მწერლობაში დანერგილი „ფიგურალობისა“ და „ეკვაილოვნობისაგან“ და, რაც მთავარია, „ფხიზელმა პოეტურმა ალლომ გრ. ორბელიანის-მა“⁶⁹ მუხამბაზებშიც იჩინა თავი და ამ უანრშიც გამოიხატა, რომ „მდაბიოთა ცნობიერებაშიაც არის ადამიანური გულთა-თქმა, რომ მდაბიოთა ჯული იგივე ზღვია, საცა თუ არა მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა“⁷⁰. ხოლო ქართული ლიტერატურის აღმოსავლურ გავლენისაგან ჯანთავისუფლება და პოეზიაში ზღაპრულ-ფანტასტიკურისა და „ვარდ-ბულბულიანობის“ ნაცვლად „ადამიანური გულთა თქმის“, მათი გლოვისა და სიხარულის, ჭირისა და ლხინის, ძულებისა და სიყვარულის ასახვა, ი. ჭავჭავაძის მართებული შეხედულებისამებრ, ქართული მწერლობის ევროპეიზმის, ჩვენს ლიტერატურაში ევროპული გემოვნების დამკვიდრების არხებითი ნიშანია.

„წერილებში“ ი. ჭავჭავაძე გრ. ორბელიანის მიერ ქართულ მწერლობაში შეტანილ საგანგებო წვლილად იმასაც მიიჩნევს, რომ მან „თავისი ძლიერი ბანი მისცა“ „ახალ მიმართულებას“ და დაგვანახა „პირველი, მაგრამ საუცხოვო და შეუდარებელი მაგალითი ქართულის ურითმო ლექსისა, არა იამბიკოს მსგავსისა, და მით დაგვიმტკიცა, რომ ქართულ სიტყვასაც თავისი ასამაღლებელი ხმა ჰქონია, ეგრე საჭირო ლექსთაწყობის ხმოვანებისა და მუსიკისათვის“⁷¹. აქ ილია ჭავჭავაძე გულისხმობს გრ. ორბელიანის მოღვაწეობის ბოლო პერიოდში შექმნილ „მუშა ბოქულაძეს“, დაწერილს თეთრი ლექსით, რომელიც ასე გავრ-

66 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1953, გვ. 310.

67 იქვე, გვ. 210.

68 იქვე, გვ. 228.

69 იქვე, გვ. 230.

70 იქვე, გვ. 229.

71 იქვე, გვ. 231.

ცვლებული იყო ევროპულ ლიტერატურაში და, რომლის ნიმუშად შე-
ქსპირის დრამატურგიასა და მილტონის ეპიკურ ნაწარმოებებთან ერ-
თად ბაირონის ბრწყინვალე ლექსები — „ღამე“ და „სიზმარი“ შეიძ-
ლება დავასახელოთ.

მაგრამ რუსულ-ევროპულ ლიტერატურას საფუძვლიანად გაცნობი-
ლი გრ. ორბელიანი, — რომელმაც, არა მარტო პუშკინის, ლერმონტო-
ვის, რილჟევის, ყუჯოვსკის და კრილოვის ნაწარმოებთა მიბაძვა-თარგმა-
ნებით გაამდიდრა ქართული ლიტერატურა, არამედ რუსული ენიდან
თარგმანის გზით გოეთეს, ჰერდერის და, თავის დროზე საკმაოდ ცნო-
ბილი გერმანულენოვანი მწერლის ცოშკეს შემოქმედების ნიმუშებიც
გააცნო ქართველ მკითხველს, რაც, ცხადია, ევროპული ლიტერატურუ-
ლი გემოვნების გამოხატულებაა, — უკვე თავის პირველ ლირიკულ ლე-
ქსებში გვევლინება „ახალი ფსიქოლოგიის, ახალი სულიერი წყობის
პოეტად“, ვინც მტკივნეულად განიცდიდა „მწვავე შეუსაბამობას სუბი-
ექტური განცდის ნამდვილ შინაარსსა და მისი გამოხატვის ობიექტურ
ფორმათა შორის“⁷². მან თავისი განცდებისა და განწყობილებების გა-
მოსახატავად გაბედულად რომ დაარღვია ქართული კლასიკური ლექ-
სის შაბლონი, „ევროპული, უმთავრესად რუსული სალექსო კულტუ-
რის ზეგავლენით“⁷³ შექმნა ახალი ფორმები. „ეს ზეგავლენა, — წერს
ა. გაწერელია, — განსაკუთრებით დაეტყო გრ. ორბელიანის რითმებს:
პოეტის ლირიკულ შედევრებშიაც კი მეტწილად გამჭრალია ქართული
კლასიკური ლექსის ზუსტი რითმის კულტურა“, რაც, ა. გაწერელიასა-
ვე შეხედულებით, გახდა მიზეზი იმისა, რომ გრ. ორბელიანი „ქართული
თეთრი ლექსის შესანიშნავი ოსტატია“⁷⁴. გრ. ორბელიანის ლექსის კუ-
ლტურასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ, გ. ასათიანის შე-
ნიშვნისამებრ. მართალია, პოეტის რითმები ჩვეულებრივ ღარიბია, შე-
დარებით არაზუსტი. მაგრამ სამაგიეროდ. „რითმაში მოქცეული სიტყვა
უფრო ზუსტად შეესაბამება სათქმელის შინაარსს“⁷⁵.

აქვე უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ, თუმცა „გრ. ორბელიანის
სტილსა და ფორმას თან ახლავს ზოგიერთი თვალსაჩინო ნაკლიც. —
მისი ენა ხშირად მძიმეა, აზრის გამოხატვისას პოეტი აწყდება დაბრკო-
ლებებს, რომელთა გადალახვა მას უჭირს“⁷⁶, — მაგრამ, არსებითად
მთელი მისი მხატვრული პრაქტიკა ჭეშმარიტად შეესაბამება და გამო-
ხატავს „საღლეგრძელოს“ ავტორის მიერ ხანდაზმულობის ეამს გამო-

72 გ. ასათიანი, ქართველი ლირიკოსები, თბილისი, 1963, გვ. 67.

73 ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, II, თბილისი, 1965, გვ. 105.

74 იქვე.

75 გ. ასათიანი, „მერანი“ და მისი ავტორი, თბილისი, 1969, გვ. 114.

76 ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, II, თბილისი, 1965, გვ. 105.

ქვეყნებულ კრიტიკულ მიმოხილვაში — „მგზავრობა სვანეთისაკენ ვ. წ.“ — მხატვრული ნაწარმოების ფორმის თაობაზე გამოთქმულ „შეხედულებას — „ვითარცა ლამაზსა ქალსა უფრო გაალამაზებს შემკობილი სამოსელი და ჩვენცა მოგვწონს და შევხარით მას, ეგრეცა გამოჩენილიცა მწერალნი გვიხატავენ ჰაზრსა, არა თუ მხოლოდ ნათლად, არამედ ლამაზის ფორმითაცა, და სიტყვაცა მათი მომდინარეობს, ვითარცა წყალი, ხან მძიმედ, დიდებულების სიამაყითა. ხან დამშვიდებული. ვითარცა დაწყნარებით რონინება ქალისა და ხან მქუხარედ, ვითარცა შემაძრწუნებელი რისხვა“⁷⁷.

სწორედ იმიტომ, რომ გრ. ორბელიანი „ნათლად“ და ლამაზი ფორმით ხატავდა „ჰაზრს“, პოეტის ღრმად ემოციური, დიდი მხატვრული გამომსახველობის ყოველი ნაწარმოებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართული საზოგადოება, ხოლო ახლად ფეხადგმული ქართული სალიტერატურო კრიტიკა აღმოსავლური პოეზიის „ფიგურალობისა“ და „უკვეილოვნობისაგან“ თავისუფალ ლექსებს გრ. ორბელიანისა მართებულად მიიჩნევდა ქართული პოეზიის მისაბამ ნიმუშად და ევროპული ლიტერატურის სახელმძღვანელო წარმომადგენელთა ქმნილებებს ადარებდა მათ. მსგ მავალითად, ნ. ბერძნიშვილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერანყეს ლექსებს აგონებდა გრ. ორბელიანის „იარალის“, რომლის ყოველ ფრაზას, „მხატვრის ხელით მოხაზულ სურათად“ რაცხნდა და რომელშიც, მისივე სიტყვებით, „ვაკხანური გატაცება, პატრიოტიზმი და სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარული პოეტური ნაპერწკლებით ბრწყინავენ“⁷⁸. ლ. არდაზიანი კი, „ლოპიანას“ გამო ადარებდა გრ. ორბელიანს ბერანყეს⁷⁹, „სადღეგრძელოს“ პუშკინის „პოლტავას ბრძოლის“ გვერდით აყენებდა, ხოლო ბუნების სურათების აღწერაში „კარგს გამოჩენილს მხატვარს“ ამსგავსებდა და ქართველ პოეტს ანიჭებდა უპირატესობას ბაირონთან შედარებით. „ბუნების აღწერაში, — წერდა არდაზიანი, — ჩვენი პოეტი მიემსგავსება კარგს გამოჩენილს მხატვარსა. . . ლორდი ბაირონი, ბუნების აღწერაში, დიდად ნიჭიერია, იმას აქვს აღწერილი თავის „დონ-ჟუანში“ ზღვის პირი... მე ეს ალაგი განგებ წავიკითხე და ბევრით უპირატესობა მიეცევი აი ამ ალაგს (ციტირებულია „ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება“, ვიდრე სიტყვებამდე, „წარვიდეთ, სადაც მოგვიწოდებს ხმა საიდუმლო მხედრისა“)“⁸⁰.

⁷⁷ გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1959, გვ. 328. შემდეგში ადგილები გრ. ორბელიანის შემოქმედებიდან ყველგან ამ გამოცემაში მხოლოდით არის ციტირებული, ფრჩხილებში აღნიშნულია გვერდი.

⁷⁸ «Кавказ», 1859, № 43, გვ. 230.

⁷⁹ ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიის ზემოდასახელებული კრებული, მათია, 11, გვ. 114.

⁸⁰ იქვე, გვ. 119.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ყველას არ გაუზიარებია „სა-
აღდეგრძელოს“ მაღალი შეფასება. მეტიც, კ. აბაშიძე, როგორც უკვე
აღინიშნა, პოემაში აღწერილი სურათების გამო კი წერდა, ამით იგი
(გრ. ორბელიანი. — დ. ლ.) მაღლა დგას „რუსთაველზედო“, მაგრამ სა-
ერთოდ „დღემდე ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ლექსად“ აღიარე-
ბულ პოემას „უსუსტეს“ რიტორიკულ ნაწარმოებად მიიჩნევდა, რაც,
ჩ. ჭუმბურიძის შეხედულებით, „ბელინსკის მხრივ ეუკოვსკის „მომ-
ღერლის“ მიმართ ანალოგიური ცდის გავლენის შედეგი უნდა იყოს“⁸¹
და მართლაც, ბელინსკიც ხომ ეუკოვსკის უსუსტეს ნაწარმოებად მიიჩ-
ნევდა ოღას „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“ და ერთ მთავარ ნა-
კლად პოემისა, რომლითაც, ბელინსკისავე სიტყვებით — „იცნო მთელმა
რუსეთმა თავისი დიდი პოეტი“⁸², რიტორიზმს რაცხდა; ხოლო „საღდე-
გრძელოს“ გრ. ორბელიანის შემოქმედების მრავალი მკვლევარი, დაწ-
ყებული პლ. იოსელიანიდან⁸³, ეუკოვსკის „მომღერლის“ უბრალო ვა-
რიაციად თვლიდა, რასაც გარკვეულ ფარგლებში თავისი საფუძველი
ჰქონდა. სახელდობრ, ჩ. ჭუმბურიძის აღნიშვნისამებრ, ავტო-
რი „საღდეგრძელოსი“ (რომლის პირველი, მოკლე ვარიანტის სათაუ-
რია „ტოლუმბაში ანუ ომის შემდგომ ლხინი და საღდეგრძელო“, ხოლო
მეორე, აგრეთვე მოკლე, სხვისი ხელით გადაწერილი ვარიანტის სათა-
ურს — „ტოლუმბაში“ — ფრჩხილებში მიწერილი აქვს „მიბაძევა ეუკო-
ვსკისა“) პოემის წერის პროცესში „დიდ ინტერესს იჩენდა ეუკოვსკის
„მომღერლისადმი“. ამ მხრივ საყურადღებოა ს. რაზმაძის ერთი წერი-
ლი 1832 წლის 9 იანვრის თარიღით, რომელიც მას „ფარისის“ თარგმა-
ნთან ერთად გაუგზავნია გრ. ორბელიანისათვის: „ბრწყინვალე კნიაზ
გრიგოლ! — წერდა ს. რაზმაძე გრ. ორბელიანს. — პევეცი განსაკუთრე-
ბით დაბეჭდილი კი არ მაქვს და ამ სამს ტომში რაც რომ. 1824-მდინ
დაურთავს სუყველა არის და გთხოვთ როდესაც წაიკითხოთ ალექსანდ-
რე ჩოლოყაევს უბოძოთ რადგან იმის არის“⁸⁴. გრ. ორბელიანის ეს ინ-
ტერესი რუსული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის — ეუ-
კოვსკის შემოქმედებისადმი უადრესად საინტერესო ფაქტია, რომელიც
გამოხატავს ქართულ მწერლობაში აღმოსავლურის საპირისპიროდ ევ-
როპული ლიტერატურული გემოვნების დამკვიდრებას.

„საღდეგრძელოს“ და „მომღერალს“ შორის, ჩ. ჭუმბურიძის შეხე-
დულებისამებრ, რომელსაც ამ ნაწარმოებთა მსგავსება-განსხვავების და-

81 ჩ. ჭუმბურიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის და კრიტიკის ისტო-
რიიდან, თბილისი, 1958, გვ. 320.

82 В. Г. Белинский, Собр. соч., в трех томах, т. III, 1948, стр. 258.

83 П. Иоселиани, Библиографическая заметка, «Кавказ», 1871, № 22.

84 ციტირებულია ჩ. ჭუმბურიძის ზემოდასახელებული ნარკვევიდან გვ. 317.

სადგენად ფილოლოგიური ანალიზი ჩაუტარებია — „არა მარტო ფორ-
მალურ-კომპოზიციური, არამედ თემატიკურ-შინაარსობრივი მსგავსებაც
არსებობს“⁸⁵, მაგრამ, ამავე ნარკვევში, ჯ. ჭუმბურიძე მართებულად უს-
ვამს ხაზს მათ შორის არსებით განსხვავებასაც, „არა მარტო მხატვრუ-
ლი სახეებით, არამედ ცალკეული სტროფების გააზრებითაც“⁸⁶.

სწორედ „მხატვრული სახეების“ სიახლე და მოვლენათა: „ახალი
გააზრება“, რაც არსებითად განასხვავებს „სადღეგრძელოს“ „მომღერ-
ლისაგან“, შენიშნა გრ. ორბელიანის ბევრმა თანამედროვემ, მათ შორის
ნიკო დიმიტრის ძემაც (ნიკო ყიფიანი), რომელიც „მხოლოდ გარეგანი
შეხედულებით“ ამსგავსებდა მათ ერთმანეთთან და ბელინსკის მიხედ-
ვით „რუსეთის ლიტერატურაში ძალიან სუსტ თხზულებად“ ჩათვლილ
პოემას ეუკოვსკისა „სადღეგრძელოს“ რომ უპირისპირებდა, დაბეჭი-
თებით ამბობდა: „სადღეგრძელო“ გრიგოლ ორბელიანისა სავსეა აზ-
რითა და გრძნობით, ზოგიერთი სურათი ამ თხზულებისა უღვიძებს მკი-
თხველს ერთს უმადლესთაგანს გრძნობას და მოჰყავს მოძრაობაში ჯერ
არ გაყინული გულის პატრონიო“⁸⁷.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს სილოვან ხუნდაძის შეხედუ-
ლება, რომელიც მან გამოთქვა 1882 წლის „ივერიაში“ გამოქვეყნებულ
წერილში: „ისტორიული კილო თ. გრ. ორბელიანის ლექსებში“. სილ.
ხუნდაძეს კარგად შეუუმჩნევია გრ. ორბელიანის პოეზიის თავისებუ-
ლება, კერძოდ კი სიახლე და ორიგინალობა „სადღეგრძელოსი“, რომე-
ლიც, მისი აზრით, „არა ჰგავს იმ მოთხრობებს, როგორებისთვისაც ჩვენ
სახოგადოდ მიგვიჩვენია თვალი და ზური... არა, პოეტს საკუთარი ორიგინა-
ლური ფორმა გამოუფიქრებია, უფრო ფართო და დამტევი, ვიდრე ჩვეუ-
ლებრივი, აქ იმდენი შეიძლება დასტიო, რამდენიც გასურს. და იმდენ
ხანს შეიძლება ილაპარაკო და ატკბო მკითხველის სმენა, რამდენ ხან-
საც ენა არ დაშვრებაო“⁸⁸.

სწორედ ეს „საკუთარი ორიგინალური ფორმა“, „უფრო ფართო
და უფრო დამტევი“, აქცევს გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ნაწა-
რმოებად, რომელიც თამამად შეიძლება „ჩაიწეროს“ ევროპული ლი-
ტერატურის კონტექსტში, როგორც ევროპული რომანტიზმის მიერ და-
მკვიდრებული ლირო-ეპიკური პოემის უნარი.

საქმე ისაა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაბატონებულ
მიმართულებად ქცეული რომანტიზმი, რომელიც წარმოადგენდა „რე-
აქციას საფრანგეთის რევოლუციისა და მასთან დაკავშირებული განმა-

⁸⁵ ციტირებულია ჯ. ჭუმბურიძის ზემოდასახელებულ ნარკვევადან, გვ. 342.

⁸⁶ იქვე, გვ. 338.

⁸⁷ ქართ. ლტ. კრიტიკას ისტორიის ზემოდასახელებული ქრესტომათა II, თავ. I, გვ. 221.

⁸⁸ იქვე, II, ნაქ. I, გვ. 495.

ნათლებლობის წინააღმდეგ⁸⁹, გოეთეს განცხადებისამებრ ეპერმანთან საუბარში „შექმნის პროცესში მყოფი პოეტური რევოლუცია (Im Werden begriffene poetische Revolution) იყო, რომელიც მომავალში სხვად ლიტერატურისათვის უაღრესად სასარგებლო“⁹⁰ იქნებოდა. რომანტიზმის ამ „ლიტერატურულ რევოლუციას“ „გოეტ ფონ ბერლიხინგენის“ ავტორი იმაში ხედავდა, რომ მან კლასიციზმის მკაცრად რეგლამენტირებული კანონების წინააღმდეგ ჯერ კიდევ სენტიმენტალისტების მიერ დაწყებული შეტევა კიდევ უფრო გააღრმავ-გააფართოვა და წარმოქმნა „თავისუფალი ფორმა“, რაც „ვაიმარელ ბრძენს“ მართებულად მიიჩნდა მომავალში შინაარსის „უფრო გამდიდრებისა“ და გამრავალფეროვნების საწინდრად⁹¹. ამ „თავისუფალი ფორმის“ მიმართულებით ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაწყებულმა ტრანსფორმაციამ კლასიციისტური პოემისა თავისი უმაღლესი გამოხატულება ჰპოვა ლირიკური ეპიკურ პოემაში, რომელიც, ი. გ. ნეუპოკოვეას აზრით, „ნამდვილად ახალი ეპოქის დასაწყისი იყო ევროპული ლიტერატურის ისტორიაში“⁹², რაც უკვე გამოთქმული შეხედულებისამებრ, თუ საერთოდ XIX საუკუნის ლიტერატურის მიმართ შეიძლება გადაჭარბებული იყოს, პოეტური ეპოსის მიმართ უეჭველად მართებული დებულებაა⁹³.

ლირიკ-ეპიკური პოემის ერთი თავისებურება, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ისაა, რომ აქ ეპიკური გადახლართულია პოეტის ღრმა ლირიკულ განცდებთან, მის „ფიქრებთან პიროვნებისა და ხალხის თანამედროვე ბედ-იღბალზე“⁹⁴ და ამიტომაც, მიუხედავად იმისა, ისტორიულ წარსულს ეხება იგი, ლეგენდას გადმოსცემს თუ სულაც გამოგონილი სიუჟეტის მხატვრულ დამუშავებას წარმოადგენს, — ყველა შემთხვევაში გამსჭვალულია რომანტიკოსი პოეტის მიერ ტრაგიკულად აღქმული „დიდი თანამედროვე შინაარსით“⁹⁵. თანაც, როგორც წესი, ლირიკ-ეპიკური პოემა ეროვნულ თემატიკას ამუშავებდა და კლასიციზმისათვის დამახასიათებელი ლიტერატურული „კონსერვატიზმის“ საპირისპიროდ სხვა ქვეყნებიდან გადმონერგული ლიტერატურული გემოვნების აღმოფხვრისათვის რომ იბრძოდა, მშობლიური მწერლობის ეროვნულ ტრადიციებზე განახლებას ემსახურებოდა.

⁸⁹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 212.

⁹⁰ Eckermann, Gespräche mit Goethe, Berlin, 1956, S. 536.

⁹¹ იქვე, გვ. 536-537.

⁹² И. Г. Непокоева, Революционно-романтическая поэма первой половины XIX века, Москва, 1971, стр. 31.

⁹³ И. Кенчовши, Д. Лашкарадзе, Жанровая эстетика романа, «Литературная Грузия», 1972, стр. 64.

⁹⁴ ი. გ. ნეუპოკოვეას დისახელებული მონოგრაფია, გვ. 8.

⁹⁵ იქვე, გვ. 36.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის ლიტერატურისათვის დამახასიათებელ ამ მოვლენას ტიპოლოგიურად ემსგავსება სამშობლოს ზედის გაგებასა და ეროვნული ინტერესების წინ წამოწევასთან ერთად ქართულ მწერლობაში აღმოსავლური ლიტერატურული გემოვნების აღმოფხვრისა და ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციებზე დაყრდნობით მისი განახლების ენერგიული ცდა, რაც, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, ჩვენი მწერლობის ევროპეიზმის გამოხატულებაა და რომლის ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს გრ. ორბელიანის პოეზია.

სავარაუდოა, რომ გრ. ორბელიანისათვის, — რომელიც არა მართა რომანტიზმის მხატვრულ პრაქტიკას იცნობდა (რასაც ადასტურებს თუნდაც ილია ორბელიანისადმი 1834 წლის 16 მაისს გაგზავნილ წერილში რჩევა პოეტისა: ვალტერ სკოტის და მისი მომდევნო რომანსტების ისტორიული ნაწარმოებები იკითხე, მანამდე რაც დაწერილია ყველაფერი ჩმახვია და იშვიათად თუ არის რომელიმე მათგანი წაკითხვის ღირსიო)⁹⁶, არამედ ამ მიმდინარეობის ესთეტიკურ პრინციპებშიც იყო გარკვეული და „ზოგჯერ ცდილობდა კიდევ ამ უკანასკნელით გაემაართლებინა, მაგალითად, საკუთარი მიდრეკილება ფსალმუნებისადმი“⁹⁷ — უცნობი არ იყო რომანტიზმის მიერ დამკვიდრებული ლირიკური პოემები. შეიძლება მათი გავლენითაც იყოს გამოწვეული ეპიკური „სადღეგრძელოს“ „შინაგანი სიტბო და ლირიკულობა“, თუმცა მეთვრამეტე საუკუნის ეპიკურ ნაწარმოებებშიც მოიპოვება მაგალითები ლირიკული წილსვლებისა, კერძოდ, პოეზიაში ბესიკისა, რომელმაც თავის პოემებსაც „ელეგიური ელფერი მისცა და ბევრი ლირიკული ადგილები ჩააქსოვა მასში“⁹⁸ და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, „მომღერალშიც“ — რომელსაც გარკვეულ ფარგლებში ჰბაძავს „სადღეგრძელო“ და რომელიც ჯ. ჭუმბურიძის შენიშვნისამებრ, თუმცა, თავისი სტრუქტურით, „კლასიციკური სახობტო სიმღერისათვის დამახასიათებელი ანტიფონური წყობის პრინციპებს ეყრდნობა“, მაგრამ მასში „რიტორიკული მიმართვებისა და პათეტიკური ინტონაციის გვერდით თავს იჩენს ლირიკული ტონი, რაც მთელ ნაწარმოებს გარკვეულ სიტბოს ანიჭებს და აშორებს კლასიციკულ „ობიექტურ“ სახობტო პოეზიას“⁹⁹.

მაგრამ საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს ეპიკური „სადღეგრძელოს“ „შინაგანი სიტბო და ლირიკულობა“, განსახილავი საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ იგი, როგორც თავისი

96 გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936, გვ. 12.

97 ა. გაწერელია, რჩეული ნაწარები, II, 1965, გვ. 13.

98 დ. გამეზარდაშვილი, ალექსანდრე ჰვაჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბილისი, 1948, გვ. 79.

99 ჯ. ჭუმბურიძე, ზემოთ დასახელებული ნარკვევები, გვ. 320.

ფორმით, ისე მოტივებით, ახალი მოვლენა იყო ევროპეიზმის გზაზე დამდგარი ქართული მწერლობისა როგორც პირველი ლირო-ეპიკური პოემა ქართულ ლიტერატურაში. პირველი იმიტომ, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ლირო-ეპიკური პოემის შედევრი „ბედი ქართლისა“ გაცილებით გვიან შეიქმნა, ვიდრე „ტოლუმბაში“, რომელსაც შემდგომ „სადღეგრძელოს“ სახით გამოქვეყნებამდე სპეციალურ წელზე მეტ ხანს ამუშავებდა და სრულყოფდა ავტორი, მაგრამ მისი თემატ, იდეატ და მოტივებიც იგივე დარჩა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა „სადღეგრძელოც“ და „ბედი ქართლისა“ ლირო-ეპიკური პოემები არიან, მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც შეინიშნება. სახელდობრ, ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ ლირო-ეპიკური პოემის მონადიური სახეობაა, „სადღეგრძელო“ კი ყველა თავისი ნიშნებით იმავე ლირო-ეპიკური პოემის ჰიმნურ სახეობად წარმოგვიდგება. კერძოდ, ლირო-ეპიკური პოემისათვის დამახასიათებელ ღრმად ეროვნულ კოლორიტთან და სამშობლოს ბედის ტრაგიკულ განცდასთან, ამალღებული, პათეტიკურობაში გადასულ ემოციურობასა და ბუნების სურათების, როგორც პოემის თემის თავისებური ილუსტრაციის გადმოცემასთან ერთად „სადღეგრძელოში“ ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისაგან“ განსხვავებით ისტორიული მასალა მხოლოდ იმდენად არის გამოყენებული, რამდენადაც სჭირდება პოეტს თავისი ღრმად ლირიკული განცდებისა და ფიქრების გამოსახატავად. ამიტომაც, რომ გრ. თრბელიანი პოემაში ისტორიული პირების მოქმედების, თუ ისტორიული ფაქტების გაშლილი აღწერისა და ანალიზის ნაცვლად, არსებითად მათი ჩამოთვლით კმაყოფილდები მხოლოდ და საქართველოს მთელ ისტორიას — ფარნაოზ მეფიდან დაწყებული ერეკლე მეორისა და მისი თანამედროვეების გმირული საქმიანობით გათავებული — ლირიკული დიგრესიებით სავსე 140 სტრიქონში გადმოსცემს. ამითვე აიხსნება ისიც, რომ „სადღეგრძელო“ ერთი განუწყვეტელი გმირობისა და მარტვილობის ეპოპეაა, რომელშიც დატული არ არის „არც ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, არც ისტორიული კოლორიტი და არც სწორი მასშტაბი“¹⁰⁰. ხოლო ისტორიული მასალისადმი ასეთი დამოკიდებულება, როგორც მსოფლიო ლიტერატურის მრავალი ძეგლის ანალიზის საფუძველზე მართებულად აღნიშნავს ი. გ. ნეუპოკოევა, ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ლირო-ეპიკური პოემის ჰიმნური სახეობისა, რომლის ამოცანა ის კი არ არის, რომ „ისტორიული გამოცდილება გააანალიზოს (ეს შემდგომ რევოლუციურ რომანტიკოსთა ფილოსოფიურ-სიმბოლიკური პოემების მთავარ მხატვრულ ამოცანად იქცევა), არამედ ის, რომ აიძულოს ეს გამოცდილება, ემსახუროს თა-

¹⁰⁰ გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბილისი, 1958, გვ. 98.

ნამედროვეობას, იქცეს თავისუფლების სახელით სადღეისო მოქმედების სტიმულად¹⁰¹.

სწორედ იმიტომ, რომ პათოსს გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო-სი“ — რომლის პირველი ვარიანტი 1832 წლის შეთქმულების წინა პერიოდში შეიქმნა — „შორით მოსულთაგან“ დათრგუნვილი ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნებისა და ღირსების გამოფხიზლება შეადგენდა და ისტორია მასში გამოყენებულია მარტოოდენ, როგორც სტიმული „სადღეისო მოქმედებისა“, ამ პოემის მიმართ თამამად შეიძლება ითქვას იგივე, რაც გამოუთქვამს ს. გოშჩინსკის თანამედროვე პროგრესულ კრიტიკას ამ რომანტიკოსი პოეტის მიერ თითქმის „ტოლუშბაშის“ იმედროულად შექმნილ „კანოვსკის სიმაგრის“ (1828) გამო. სახელდობრ, ს. გოშჩინსკის პოემას პოლონური კრიტიკა განიხილავდა ისეთ ნაწარმოებად, რომელიც „სჭირდებოდა პოლონეთს და სავსებით შეესატყვისებოდა საერთო-ევროპული გონებრივი და კულტურული განვითარების დონეს“¹⁰².

1) დიახ, „სადღეგრძელო“ ქართული მწერლობის ისეთი ეროვნული ნაწარმოები იყო, რომელიც სჭირდებოდა საქართველოს და „შესატყვისებოდა საერთო-ევროპულ გონებრივი და კულტურული განვითარების დონეს“, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ქართველ ხალხსაც იგივე სატკივრები აწუხებდა და საქართველოს წინაშე იგივე პრობლემები იდგა — ცხადია, ქვეყნის თავისებური ვითარებით განსაზღვრული სპეციფიკის გათვალისწინებით. — რომელთა გადაჭრა მწვავედ დააყენა ისტორიამ ევროპის წინაშე და ეს განსაზღვრავს გრ. ორბელიანის შემოქმედების ევროპეიზმსაც.

საქმე ისაა, რომ საფრანგეთის რევოლუციის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი წყობილება სულაც არ აღმოჩნდა „ძმობის, ერთობის და თავისუფლების“ დიდი ღოზუნგის პრაქტიკულად განმახორციელებელი „გონიერი სახელმწიფო“. მეტიც, „განმანათლებელთა მაღალფარდოვან აღთქმებთან შედარებით, „გონების გამარჯვებით“ გამოწვეული საზოგადოებრივი და პოლიტიკური დაწესებულებანი იმედის გამცრუებელი, ბოროტი კარიკატურა აღმოჩნდა“¹⁰³. მან თავისუფლების იდეა ექსპლუატაციის თავისუფლებაში, ხოლო რევოლუციური დევიზი — „ძმობა“ „კონკურენციის გაძევრობასა და შურიანობაში“¹⁰⁴ განახორციელა და აღთქმული მარადიული მშვიდობის მაგივრად დაუსრულებელი დაპყრობითი ომები დაიწყო“¹⁰⁵.

101 ი. გ. ნეუპოკოვეა, ზემოდასახელებული მონოგრაფია, გვ. 105.

102 История польской литературы. М., 1968, стр. 209.

103 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 134.

104 ი. გ. ნეუპოკოვეა.

105 ი. გ. ნეუპოკოვეა, გვ. 133.

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ნაპოლეონის დაპყრობითი ომებით დათრგუნვილ ევროპაში რევოლუციის მიერ განუხორციელებელმა, მაგრამ გაღვივებულმა თავისუფლების იდეამ კონკრეტული გამოხატულება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ ხშირად უშედეგო, მაგრამ ყოველთვის უკომპრომისო ბრძოლაში ჰპოვა. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იტალიელ კარბონარტა გმირული ბრძოლა და საბერძნეთის ომი, გერმანიაში დაწყებული იდეური მოძრაობა და პორტუგალიელი დემოკრატების გაბედული მოქმედება. ესპანელთა ბრძოლა კონსტიტუციისათვის და დეკაბრისტთა გამოსვლები რუსეთში, თავი რომ დავანებოთ მეფის თვითმპყრობლობის წინააღმდეგ პოლონელთა აჯანყებას (რომელსაც თავისი იდეური მიმართულებით და მამოძრავებელი ძალებითაც ასე საოცრად ჰჯავს 1832 წლის შეთქმულება საქართველოში), გამამხნევებელი მაგალითი უნდა ყოფილიყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით უკმაყოფილო მოწინავე ქართველი საზოგადოებისთვისაც, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლად გვევლინება გრ. ორბელიანი.

რუსეთში სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გაგზავნილ ახალგაზრდა ოფიცერს, როგორც ფიქრობენ, შეთქმულთა მესვეურების საიდუმლო დავალებაც ჰქონდა მიცემული — კონტაქტი დაემყარებინა ბატონიშვილებთან. ახლო ურთიერთობას ბატონიშვილების წრესთან, სადაც, როგორც ცნობილია, იქ მყოფ ქართველ ახალგაზრდობას ევროპული ცივილიზაციისა და კულტურისადმი ინტერესს უღვივებდნენ¹⁰⁶, კიდევ უფრო უნდა განემტკიცებინა ევროპული ორიენტაცია გრ. ორბელიანისა, ფართო ევროპული განათლების პოეტისა, რომელიც დაბეჭიებით აცხადებდა: „აზია დიახ შორს სდგას განათლებასა შინა ევროპისაგანო“ (221). თუმცა, როგორც ჩანს, პოეტი მანამდე ღრმად იყო დაინტერესებული ევროპული ცხოვრებით და კულტურით, რასაც მკვევრმეტყველურად ადასტურებს „მგზავრობა ჩემი ტფილისი-დამ პეტერბურღამდის“.

106 ამ თვალსაზრისით უადრესად საყურადღებოა საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივში დაცული ჩვენება დავით ჯორჯაძისა 1832 წლის შეთქმულთა საქმის საგამომიძებლო კომისიისადმი დიმიტრი ზაგრატიონის პიროვნებასთან დაკავშირებით. ამ ჩვენების მიხედვით, — „დამიტრი ბატონიშვილი ხშირად ესაუბრებოდა მათ (ქართველ ახალგაზრდობას დ. ლ.) თავისუფლების შესახებ, საფრანგეთის, მისი ხალხის თავისუფალი ცხოვრების შესახებ, უხსნიდა მეფის შეზღუდული მონარქიის რაობა, საფრანგეთის ყველა მოქალაქის მონაწილეობის წესს მეფის არჩევნებში. ესაუბრებოდა ამბოხებათა შესახებ, რომლებიც საფრანგეთში ხდებოდა. ზოგჯერ მსჯელობდა თავისუფალი ქალაქების — მიანის ფრანკფურტისა და კრაკოვის შესახებ, აქებდა ამ ქალაქების ბედნიერ ცხოვრებას“ (ციტირებულია აკ. სურგულაძის ნარკვევიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო“. თბილისი, 1968, გვ. 244).

დღიერის სახით დაწერილი „მგზავრობა“. ყოველ შემთხვევაში, მისი გადათეთრებული ნაწილი, ქართული რომანტიკული პროზის საყურადღებო ძეგლია. რომელიც, იმავდროულად, მთლიანად ალებული, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს გრ. ორბელიანის საზოგადოებრივი და პოლიტიკური შეხედულებების გამოსარკვევად, მისი ინტერესების ფართო სფეროზე, ფაქიზ გრძნობებზე და მაღალ მხატვრულ გემოვნებაზე წარმოდგენის შესაქმნელად.

რუსეთში მოგზაურობისას პოეტზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ევროპული გემოვნებით გაშენებულ პეტერბურგს და მის შესანიშნავ სასახლეებსა და ბაღებს, რომელთა გამო ამბობს: „აზიასა შინა არ უწყიან არცა ბაღისა და არცა სახლისა შემკობა ესრეთ დიდ მშვენიერად და ესრეთ გემოვნებით, ვითარცა აქ“ (221). მაგრამ განსაკუთრებულ აღტაცებას გამოხატავს პეტერბურგში არსებული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლებისა და ერმიტაჟის „ფრიად ძვირფასი ბიბლიოთეკის“ გამო, „რომელსაც შინა აწყევია თხზულებანი ფილოსოფოსი — დაღამბერტისა, ვოლტერისა, და დიდეროტისა“ (252). გრ. ორბელიანის მაღალმხატვრული გემოვნების მაჩვენებელია „ტავრიჩესკი დეორეცის“, „მარმარილოს სასახლის“, განსაკუთრებით კი „შემკობილი ყოველთა მიღრაიცა იწარმოება ხელოვნებით, გემოვნებით და მსწავლულობით“ (252) ერმიტაჟის დარბაზების აღწერა და რაფაელის, რუბენსის, პოტერის, „პეიზაჟის რაფაელად“ წოდებული ფრანგი კლოდ ლორენის და სხვ. მხატვართა ნაწარმოებების, აგრეთვე ლაოკოონის ჩგუფის, მძინარე კლეოპატრას, აპოლონის, დიანას, ფსიქიას და სხვა სკულპტურულ გამოსახულებათა აღწერისას გამოთქმული შეფასებანი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გრ. ორბელიანის დიდი ინტერესი „საზოგადო საღვინო ადგილნთადმი“, რომელთაგან განსაკუთრებით გაშოჰყოფს თეატრს, რომელსაც იგი დიდროს, ლესინგის, გოეთესა და შილერის მსგავსად ადამიანის ზნეობრივი იღვრდის უპირველეს დაწესებულებად წარმოადგენს. „პირველი საღვინო ადგილი — წერს გრ. ორბელიანი — არს თეატრი. რომელიცა გამოაჩენს ხარისხსა ერის განათლებისასა და აქვს დიდი ძლიერება ზნეობათა ზედა, რამეთუ თეატრი არის ცხოვრებისა ჩვენისა წარმოდგენა, ყოველთა ბოროტთა საქმეთა, სარწმუნოებითა ჩვენითა შერაცხილთა ცოდვად, წარმოგვიდგენს თეატრი თვალწინ ყოველთა მათთა სიბილწეთა და არწმუნებს გრძნობათა მხილველთასა. წინააღმდეგ ამისა, საქმენი კეთილნი გვეჩვენებიან ესრეთ მშვენიერად, ესრედ ტურფად, რომელ გული ჩვენი გამოუთქმელია სიხარულითა და მათის დაცვისთვის მაშინვე განემზადვის ყოველთა ტანჯვათა მოსათმენად... თეატრი არს პირველი განწმენდელი ზნეობისა ჩვენისა ყოველთა სიბილწეთაგან, მუნ ვხედავთ ყოველთა ჩვენთა ნაკლოვანებათა“ (გვ. 257, ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

მოსკოვსა და პეტერბურგში გრ. ორბელიანი თეატრების ხშირი სტუმარი ყოფილა, მაგრამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია გრ. ორბელიანზე პეტერბურგში საგასტროლოდ ჩამოსულ იტალიელ მომღერალ ქალს მორიკონის და მევიოლინე ბემის, რომელთა გამო წერს: „სმენა მათი ზოგჯერ აღმავსებდა გამოუთქმელითა სიხარულითა და საიდუმლოთა სურვილთა განაღვიძებდა. გულსა შინა ჩემსა და ზოგჯერ წყნარად, ტბილად დამაფიქრებდა, მაწუხებდა და წარსულთა კნინა დავიწყებდასა შინა დაფულულთა სიამოვნებათა, მწუხარებათა აღადგენდა და წარმომადგენდა ცხადად გონებასა შინა ჩემსა, ხოლო სმენა რომელთამე ხმათა იყო დამატყვევებელ, რომელიც ნაზად გარშემოეხვია გულსა ყოვლითა სიტკბოებითა, ვითარცა ჭადო და გონება წარიღო შორს. მაშინ ქვეყნიერი აღარა მახსოვდა და არცაღა ვგრძნობდი თავსა ჩემსა“ (222).

გრ. ორბელიანის რომანტიკული ბუნების გამომხატველი ეს ვრცელი ამონაწერი და ზემოთ ციტირებული შეხედულებანი უკომენტარებოდაც ცხადყოფენ ფართო ევროპულ განათლებას და მაღალ გემოვნებას პოეტისას, რომელსაც — ფარნაოზ და დიმიტრი ბატონიშვილების წრეში „პირველთ მუზიკანტების“: მოცარტის, ვებერის, როსინის, ქერუბინის და სხვ. შემოქმედებაზე, ან მიქელანჯელოსა და რაფაელის მხატვრობაზე რომ მსჯელობდა (263—264), — უწინარეს ყოვლისა, თავისი სამშობლოს ბედი აწუხებდა და იმავე დიმიტრი ბატონიშვილთან „საქართველოს სიღარიბეზე, რომელიცა ჰსწარმოებს მცხოვრებთა უცოდინობისაგან“, რომ საუბრობდნენ, იმაზეც ფიქრობდნენ „თუ ვითარ ანუ სადით ისარგებლოს, — ფაბრიკების გაკეთება და სხვანი ამგვარნი“ (264).

განსხვავებით ისეთი ტიპის რომანტიკოსებისაგან, როგორც იყო ნოვალისი, — ვინც წიგნაკში „ქრისტიანობა, ანუ ევროპა“ (1799) საზოგადოებრივი წყობის იდეალურ ფორმად შუასაუკუნეობრივ ევროპას რაცხდა, პროგრესს უარყოფდა, მკაცრად ილაშქრებდა წინააღმდეგ „განმანათლებლური სულისკვეთებისა“, რომელმაც. მისი აზრით, „სამყაროს უსასრულო შემოქმედებითი მუსიკა გიგანტური წისქვილის ბორბლების რახრახში“¹⁰⁷ ჩაახშო და გადაჭრით აცხადებდა „მხოლოდ რელიგიას შეუძლია იხსნას ევროპა“¹⁰⁸ — გრ. ორბელიანი თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლის საწინდრად ევროპულ განათლებას მიიჩნევდა და სწამდა, რომ „ფაბრიკების გაკეთება და სხვანი ამგვარნი“ იყო გზა საქართველოს ეკონომიური და კულტურული წინსვლისა. ამიტომაც იყო,

¹⁰⁷ Novalis. Hymnen andie Nacht, Die Christe iheit oder Europa, In Insel Verlag zu Leipzig, S. 58

¹⁰⁸ იქვე, გვ. 58.

რომ, გრ. ორბელიანი პეტერბურგის ღირსშესანიშნაობათა აღწერისას საგანგებოდ რომ ამახვილებდა ყურადღებას ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის მაჩვენებელ ყოველ დეტალზე, ბიბლიოთეკების, თეატრების, მუზეუმების და სხვ. აღწერასთან ერთად განსაკუთრებულ ინტერესს სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებისადმი იჩენდა. „მოგზაურობაში“ პეტერბურგის გეოგრაფიული მდებარეობისა და აღმინისტრაციული დაყოფის გადმოცემისთანავე გრ. ორბელიანი გვამცნობს, რომ აქ „ცხრა აკადემია და მსწავლულთა საზოგადოება ჰყდილობენ განვრცელებასა ჰსწავლათასა. დიდი პუბლიჩნის ბიბლიოთეკა (თუმცა სხვათა მცხოვრებთაცა აქვსთ ჩინებული ბიბლიოთეკანი) და უძვირფასესი ბუნებითის კაბინეტი შეუქმნუბუქებენ შრომათა მსწავლულთა“ (224).

შემთხვევითი არ არის, რომ გრ. ორბელიანის სხვადასხვა ხელნაწერებში გაფანტულ შენიშვნებში მოიპოვება სტატისტიკური ცნობები ევროპაში, აზიასა, აფრიკასა და ამერიკაში სასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობაზე (303). გრ. ორბელიანის ეს დიდი ინტერესი სწავლა-განათლებისადმი იმით იყო გამოწვეული, რომ იგი, როგორც უკვე აღინიშნა, მომავალი, დამოუკიდებელი საქართველოს წარმატების აუცილებელ პირობად ქართველი ხალხის განათლებას და საქართველოში „ხელოსნობის“ განვითარებას მიიჩნევდა. აკი ახალგაზრდა ოფიცერი საუბარში ივანე აფხაზთან, — რომელიც საქართველოს დაკნინების ერთ მთავარ მიზეზად მართებულად მიიჩნევდა „უსაგნოდ ცხოვრებას“, იმას, რომ „ყოველი ფიქრობს საყუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებად არა მიხედავენ არცა სირცხვილსა და არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედან ვლენან. ანგარება არს მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაცა გვეკარგება პატიოსნებაო“ (174) — დაბეჭდვით უმტკიცებს ხანდაზმულ გენერალს: საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლების შემდეგ „ამა ერისა სულისა დამდაბლებას ადვილად აღზოცენ... ერის მმართველნი, უკეთუ იქნებიან გონებიანი და შორასხედველ“, უკეთუ ეს „მმართველნი“, ძალა იქნება რა მათ ხელში, „ალაშენებენ და გააწყობენ სასწავლებელთა; სხვათა სახელმწიფოთაგან მოუწოდებენ მსწავლულთა კაცთა და ხელოსანთა, რომელნიცა იქმნებიან პირველი მთესველნი სწავლათა და ხელოსნობათა საქართველოსა შინა. და შემდგომათ რამდენთამე წელთა ნაყოფი უეჭველად აღმოცენდების. მით უფრო უმეტეს, რომელ ქართველთა აქვსთ ბუნებითი გონება“ (174—175).

ამ საუბარში „ყაფლანიანთ გვარის უკანასკნელი მოჰიკანის“ გამოთქმა — „ერის მმართველნი“ — საშუალებას იძლევა გავიზიაროთ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში უკვე გამოთქმული ის შეხედულება, რომლის მიხედვით, ს დოდაშვილისა და სხვ. მსგავსად 1832 წლის შეთქმულების მონაწილე გრ. ორბელიანსაც მომავალი, დამოუკიდებე-

ლი საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის შესაძლებელ, სასურველ ფორმადაც კი მიაჩნდა რესპუბლიკა, რაც ევროპის მოწინავე საზოგადოებაში, მეტადრე მონტესკიეს შემდეგ, უაღრესად პოპულარული გახდა. მით უმეტეს, რომ „მოგზაურობაში“ აშკარად ჩანს გრ. ორბელიანის ღრმა სიმპათია რესპუბლიკისადმი, როგორც სახელმწიფოებრივი მმართველობის ისეთი ფორმისადმი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის მატერიალურ და სულიერ წარმატებას. ამას ადასტურებს მოსკოვში ივანე დიდის სამრეკლოს დათვალიერებისას გრ. ორბელიანის მსჯელობა ნოვგოროდის „ოთხას ოც პუდიან“ ზარზე. „რომლის ხმაზე შეიკრიბებოდნენ ნოვგოროდელნი რესპუბლიკის დროსა, გადასაწყვეტად მძიმის რესპუბლიკის საქმისათვის, ქალაქის ვარეთ“. „ნოვგოროდელთა, — აღნიშნავს გრ. ორბელიანი, — ზარი ესე გამოაცილეს დიდის ტირილითა. ვითარ არ ეტირათ ამა ზარისათვის, რომელსა ხმა რამდენსამე საუკუნესა შეპკრებდა ვერეს, ანუ შესაკრებელსა ადგილს და მოაგონებდა მათ თავისუფლებასა, რომელიცა მიანიჭა მათ დიდმან იაროსლავმან“ (189). რესპუბლიკისადმი გრ. ორბელიანის სიმპათია კიდევ უფრო ცხადად ჩანს ნოვგოროდში ახლად ჩასული პოეტის ფიქრებიდან. „ფიქრმა ნოვგოროდისათვის, — წერს ივრ, — არ დამძინა დიდ ხანს, გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკური უწინდელი ამათ მმართველობა, სიმდიდრე, ვაჭრობა და მხნეობა ამის მოქალაქეთა. ვერევის ზარი (ანუ ბუკი), რომლითაცა შეიკრიბებოდა ხალხი მძიმის საქმის გადასაწყვეტად... ვიდრე იყო რესპუბლიკად, ნოვგოროდი ყვავილობდა ვაჭრობითა, მხნეობითა, სიმდიდრითა და იყო სხვათა რუსებზე უმეტეს განათლებულიცა და თვით თათართა მონობასაცა გადაურჩა: |გარნა აწ აღარცა აჩრდილი სჩანს უწინდელისა მისი შესაძლებლობისა. — რკინის ხელმან შეიპყრა და განაქარვა ყოველი დიდება მისი“ (გვ. 216. ხაზგასმა ყველგან ჩემია. — დ. ლ.).

რა თქმა უნდა, როგორც ჯ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, „ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად გამოკვეთილი და გაცნობიერებული ჰქონდა გრ. ორბელიანს რესპუბლიკური სახელმწიფოებრივი წყობილების ხასიათითავესთავად ის ფაქტი, რომ პოეტი ერთიმეორესთან აიგივებს ნოვგოროდის ვერეს (სახალხო კრებას) და რესპუბლიკურ წყობილებას, იმაზე მიუთითებს, რომ მას მთლად ნათლად არ ჰქონდა ჩამოყალიბებული რესპუბლიკური პრინციპები“¹⁰⁹, მაგრამ იმავე ჯ. ჭუმბურიძის აღნიშვნისამებრ, „ნოვგოროდის ვერეს აპოლოგიკა. ნათელჰყოფს, თუ რაოდენ იტაცებდა იმხანად გრ. ორბელიანს დემოკრატიული მმართველობის ფორმები და თავისუფლების იდეები“¹⁴⁹.

¹⁰⁹ ჯ. ჭუმბურიძე, ზემოთ დასახელებული ნარკვევები, გვ. 353.

¹¹⁰ იქვე.

„მოგზაურობაც“ და „სადღეგრძელოც“, ისევე როგორც ზოგიერთი ლირიკული შედევრი, გრ. ორბელიანის ღრმა პატრიოტულ გრძნობას გამოხატავენ. ეს გრძნობა პოეტისა (რომელიც „უნეტარესად“ თვლიდა მას „ვიცნა ცხოვრებითა თვისითა მოიპოვა გინა ერთი ფურცელი ისტორიასა შინა“. რადგან „ვითარც ბრწყინვალე ვარსკვლავი სჩანს საუქუნეთა შინა სახელი მისი, რომელსაცა შთამომავლობა შექმნერს კეთილმოწიწებითა და კურთხევითა“ (281), რაც შემდეგ ნ. ბარათაშვილმა აფორიზმის სახით ჩამოაყალიბა ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ — „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“, ხოლო „მერანში“ განწირულის უგზო-უკვალოდ მქროლავი სულისკვეთების გამამხნეველ იმედად დასახა — და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო მაინც დარჩება) — უდევს საფუძვლად მის შემოქმედებას, განსაკუთრებით პირველ პერიოდში და მკვიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეასთან. ამ იდეას ემსახურება უმთავრესად ისტორიული წარსულის ამსახველი ნაწარმოებები გრ. ორბელიანისა, რომელიც სახელმძღვანელო წინაპართა სამშობლოს დიდებისა და ბედნიერებისათვის უანგარო თავდადებას, ჭეყენის დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის თავგანწირვის აღმძვრელ მაგალითად სახავდა. ამას გამოხატავეს პოეტის გულმხურვალე მიმართვა „მამულის მადიდნ“ გმირებისადმი —

გმარნო, მამულას მადიდნო, თქვენა ხართ ჩენი დიდება,
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოქსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ვაბუჯი ხმალსა მიჰსწელება! (97)

ღიას, გრ. ორბელიანის მთავარ საზრუნავს თანამედროვე საქართველოს ბედ-იღბალი შეადგენდა და წარსულის იდეალიც მასთან იყო განუყრელად დაკავშირებული. პოეტი გარდასულ დროთა საამაყო გმირების ჩამოთვლის შემდეგ თანამედროვე საქართველოს, მისი „გულადი“ და „პურადი“, „შავი ბედის“ წინააღმდეგ მებრძოლი ხალხის გამო ამბობს —

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ჭეყენასა?
ერი — გულადო, პურადი, მებრძოლი შავი ბედისა?
შავთა ღრთთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივე მხნე, იგივე მღერადი, მოყვარე თავის-მიწისა (100) —

და იმ შეგნებით გამსკვალული, რომ —

სოფელი იმად არა ღირს კაცი ნატრობდეს ვამს გრძელთა,
თუ ფუჰი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა! (100) —

გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომელსაც მხედრები აიტაცებენ —

ჰე მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გულო
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხოოს თვისი სისხლი,
არა დაკლას თავი თვისი, შენ დიდებულ, ვითა მსხვერპლი! (101).

გრ. ორბელიანის სწორედ ამ „მამულიშვილური გულისტყვილით“ გამსჭვალული პოეზიის, მისი ამ პათოსის გამო წერდა ილია ჭავჭავაძე: „პირველმან (გრ. ორბელიანმა. — დ. ლ.) მიგვახედა ჩვენ მიერ დაეწყებულს წარსულს. იგი ერთს თავის თანამედროვე მოხუცს სწერს:

ნეტავი ოდეს
შენ მომიხრობდე,
მე ყრმა გისმენდე
გამოუცდელი მოხუცებულსა, —
თუ ვით ივერნი
ლომ-გულნი გმირნი
პბრძოდნენ, სცხოვრობდნენ
დროსა წარსულსა.

„თითქოს იგრძნო, რომ უწარსულოდ აწყყო უფესვო ნერგია, თავ-
გაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი“¹¹¹. იმავე წერილში, „ქართვის დედი-
სა“ და „დიმიტრი თავდადებულის“ ავტორი დაბეჯითებით ამბობდა:
„გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკ-
ლესიაში“ ცხადი მაგალითებია, რომ მან ძლიერი მხარი მისცა ახალს მი-
მართულებასა და მამულის სიყვარულს ღრმა კვალი დააჩნევინა ჩვენს
გულში... მამულისშვილობას გრ. ორბელიანმაც შთაჰბერა იგი ღონიერი
სული, რომელმაც, როგორც სამოციან წლებში, ისეც მერე ჩვენს პოე-
ზიას განსაკუთრებული მიმართულება დაუნიშნა“¹¹² — და, ბოლოს,
ი. ჭავჭავაძე — „იარალის“ ავტორის მიერ სამშობლოსადმი „სიყვარუ-
ლის გასადღივებლად და დასანერგავად“ შეთხზული ორ ნაწარმოებების
საპირისპიროდ, სადაც გაიდგალებული არის ჩვენი წარსული, სხვა ნა-
ნაწარმოებებს რომ ეხება, რომლებშიც „დროთა ვითარებისაგან დაცე-
მულ საქართველოს“ აწყყოთი „მამულის-შვილური სევდითა და მწუხა-
რებით“ შეპყრობილი პოეტის თითქმის უიმედობამდე მისული ფიქრე-
ბია გამოხატული — სვამს კითხვას „ეს წარსული და აწყყო; ხოლო რა-
მერმისი სწყუროდა თავისი მამულისათვის, თავის სამშობლო ქვეყნი-
სათვის, რომელზედაც მამულის-შვილური აღტაცებით ერთგანა სთქვა:
„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისაო?“ — და გრ.
ორბელიანის ლექსითვე პასუხობს.

¹¹¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, თბილი-
სი, 1953, გვ. 209.

¹¹² იქვე, გვ. 228.

ივერა
აღსდგეს ძლიერა
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის.
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებულა.
ზნე-ამალღებით
ძღვეის ღიღებით,
სამშობლოს მიწის სიყვარულითა“¹¹³.

ხოლო 1877 წელს დაწერილ ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ გამოთქმული ეს წყურვილი, — „ზნეამალღებით“, „სამშობლოს მიწის სიყვარულით“, „სხვა ერთა შორის“ ერთად დგომა „სწავლისა შუქით განათებული“ ძლიერი ივერიისა, რაც წარმოადგენს გრ. ორბელიანის მთელი შემოქმედების პათოსს, — არის ის ახალი საერთო-ევროპული პრობლემების შემცველი შინაარსი, რომლის ძალითაც „იარაღის“ ავტორის ღრმად ეროვნული პოეზია ეპოქის უაღრესად აქტუალურ და უმნიშვნელოვანეს საკითხებს უსწორებდა თვალს. იმავედროულად, ქართული პოეზიის მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობილი პოეტი, რომელიც, როგორც არაერთგზის აღინიშნა, რუსულ-ევროპულ პოეტურ კულტურასაც საფუძვლიანად იცნობდა, ფორმის მხრივაც ქართული ლექსის რეფორმატორად წარმოგვიდგება. სწორედ ამიტომ გვევლინება იგი ქართულ მწერლობაში ევროპეიზმის ერთ უმნიშვნელოვანეს დამწერგავად.

ფორმისა და შინაარსის ამ სიახლით „სადღეგრძელოსთან“ ერთად ყურადღებას იპყრობს „აღსარება“ (1831), კონდრატი რილევის „ნალივაიკოს აღსარების“ მიბაძვით შექმნილი ლექსი. რომელიც „ორგანულად შევიდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ და „წარმოადგენდა არსებითად ახალი ქანრის ლექსს“¹¹⁴. გრ. ორბელიანის მიერ გადმოქართულებულ ამ ლექსში, რომლისთვისაც გ. ერისთავს „გვი ამილახვრის აღსარება“ უწოდებია და-სადაც პოლონეთი ივერით არის შეცვლილი, ხოლო ვარშავა — მცხეთით, ღრმა პატრიოტული გრძობა მჭიდროდა დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეასთან და, რაც მთავარია, ქართულ მწერლობაში პირველად გვხვდება თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ ის მოწოდება, რომელიც ასე ძლიერ გაისმოდა დეკაბრისტების, პუშკინისა და ლერმონტოვის, შელის, ბაირონის, მიცევიჩის, პეტეფის და სხვ. შემოქმედებაში.

¹¹³ ი. კავკავაძე, თხზულებათა სრულ კრებული ათ ტომად. ტ. III, თბლისი, 1953, გვ. 229.

¹¹⁴ გ. ასათიანი, „მერანი“ და მისი ავტორი, თბლისი, 1969, გვ. 109.

პოეტი რამდენიმე შტრიხით აღწერილ წარსულს, როცა „სარცხვი-
ნო შიშითა“ არავინ იყო „ძლეული“, ტყვეობას ერჩივნათ „სიკვდილი
მამაცული“, „ქედმოდრეკილი უღელს ქვეშ“ არ ჰგმინავდნენ, „სიმწა-
რით დღეთ თავისთ“ არავინ „პწყევდა“, სიყვარული ჰქონდათ კავშირად
და სიამით აღვსილი „ცხოვრება პრბოდა ნათლად“, უპირისპირებ:
აწმყოს, სადაც — „აწ გესლოვანთა მუხთლურებ ჩვენ შორის ჰსთესეს
მტერობა“ (111) და თავის დამოკიდებულებას თანადროულობისადმი ამ
სიტყვებით გამოხატავს —

ყოფნითი მტანჯს მაშინ მე, ვხედავ რა ტყვეთ ქმნილს მამულსა!
როს ვნახო თავისუფლებით, ვახვდე მაშინ სასუფეველსა!
სიყრმით ჩემითგან გულს 'ცეცხლი თავისუფლებით აღმენტო;
რა მესმის ძველთ დროთ ღიღინა, ცეცხლი ცეცხლზედა დამერთო! (111)

იგი დაბეჯითებით ამტკიცებს —

„შიშო, სიმდაბლე სულისა, შური მფლობელი აწ ჩენნი
არიან მარად მონების ნაყოფნი ესე სძაგნა“ (112)¹¹⁵.

და „თავისუფლებისათვის მარადის მკენესავი“, „მტრისა სისხლისა“ „და-
სათხევად მოსურნე“ პოეტი, რომელსაც ხმა საიდუმლო მარად ეამს ჩას-
ჩურჩულებდა — „ჟამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულ-
საო“! (112) გაბედულად მოუწოდებს თანამემამულეებს, აღსდგნენ მფა-
რველად ერისა.

მან „მართლად“ უწყის, —

რომ ჭერ არს სიკვდილსა იგი ელოდეს,
ვინც ერის მაწუხებელსა პირველად წინა-აღუდგეს (112)

115 საყურადღებოა, რომ გრ. ორბელიანის აქ გამოხატული აზრი („შიშო, სიმ-
დაბლე სულისა“ და სხვ. „არიან მარად მონების ნაყოფნი“, რომელიც მას გამოთქ-
მული აქვს ლექსშიც „ქე ივერიაე“ — „ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას“) წარმოადგენს მონტესკიეს „სპარსული წერილების“ ძირითად მოტივს. იგი არის შთა-
ვარი მოტივი შილერის „დონ კარლოსშიც“, სადაც მარკიზ პოზა, ესპანეთის მრისხანე
დესპოტს, — რომელიც წამიერი სასოწარკვეთილების ეამს ეძებს აღამიანს, ვინც მას
სიმართლეს ეტყვის, მაგრამ ვერ პოულობს და თავადვე აღიარებს —

მე სიმართლესა ესაპიროებ — ხელმწიფეები
სიკრუისა და შეცოდების მღვრიე ტალახში
ამ წმინდა წყაროს ვერასოდეს გამოიყვანენ —

სწორედ იმას შთაგონებს, რომ თავისუფლების დათრგუნვა არის მიზეზი აღამიანის
სულიერი დამახინჯებისა, ტირანია აქცევს მას შეცოდების მღვრიე წყაროდ, მდაბალ,
შურით სავსე, მღიქვენელ არსებად, „ლაჩრული სიბრძნით თავის ქაჭვებს“ რომ აღა-
მაზებს.

მაგრამ ეს სულაც არ აშინებს პოეტს. იგი მზად არის „ადრევე სიამით“ აკურთხოს „ესრეთი“ სიკვდილი, რადგან მტკიცედ სჯერა, რომ თავისუფლება უმსხვერპლოდ არავის მოუპოვებია —

მარა, მოძღვარო! მითხარ მე. ვის? სად? რომელსა მხარესა?
თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსახლოდ მოუსყიდის? (112)

სწორედ ეს მზადყოფნა, თავი შესწიროს სამშობლოს ბედნიერებას, მტკიცე რწმენა, რომ თავისუფლება მარტოოდენ ბრძოლით მოიპოვება და ამ ბრძოლისაკენ მოწოდება აყენებს გრ. ორბელიანს თავისი ეპოქის იმ მოწინავე ადამიანთა რიგებში, რომელთა აზრი თითქმის იმავდროულად და იმავე სიტყვებით ასე ჩამოაყალიბებინა ვოლფგანგ გოეთემ დიდი ხნის ძიების შემდეგ, ცხოვრების კემშარიტ აზრს ნაზიარებ ფაუსტს სიკვდილის წინ —

თავისუფლების და სიკაცხლის ღირსი ის არაა,
ვინაც ყოველღე განუწყვეტლევ ამისთვის იბრძვის.

ამავე პერიოდში, უფრო მოგვიანებით დაწერილი პატრიოტული ლექსები გრ. ორბელიანისა იდეური, ემოციური და სტილიური ძაფებით, ა. გაწერელიას შენიშვნისამებრ, მკიდროდ არიან დაკავშირებული „აღსარებასთან“¹¹⁶. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნავთ უსათაურო ლექსს „მისი სახელი კიცხვითა“ (1832), რომელშიც პოეტი მკაცრად ჰკიცხავს არა მარტო მას, „ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი“ არა ჰგონობს, „ვინცა მისსა ტყვეობას გულსიგრილითა“ შესცქერის და „მის დახსნისათვის უზრუნველს თვის სიკაცხლეს“ ზოგავს, არამედ მასაც —

ვისაც ნუგეში ცხოვრების იმედიც არა კშომოდეს.
რომელ ოდესმე, ცისკარი თავისუფლების აღმოჩნდეს! —

და თავისუფლების ცისკრის „აღმოჩენის“ მოიმედოვნე პოეტი ლექსს ამთავრებს ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პათეტიკური სიტყვებით —

ვაი მას მხარეს სად მხოლოდ ძალა რა მსაჭულოვნებდეს
სად სჯულზე მჯდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდესო (28).

მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით არის გამსჭვალული მეორე უსათაურო ლექსიც „ჰე ივერიაე“ (1832), რომელშიც ოდესღაც „ღრღებით მოსილ“, მაგრამ ამჟამად დამპყრობთა წინაშე „ქედმოდრეკილი“ ივერიის ბედ-იღბლის მწვავედ განმცდელი პოეტი აღმოთებული რომ ამბობს —

¹¹⁶ ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, II, 1965, გვ. 22.

ჰე „ივერია“, ეიღრე იყო ქედმორეკელი.
ეიღრემდის სხვათა ყვედრებითა გფარეიდეს ძალა,
რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა კრიალი,
ძლევათა მათგან როს დიდებით იყაე მოსილა.

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,
მოყვრულად გემტერობს, ვუტაყებს ყოველს, გვიქმს ალერსობას...
ესე ნაყოფი აქვს მარადის ეღდა მონებასო —

გამოფხიზლებისაკენ, აქტიურ მოქმედებისაკენ მოუწოდებს —

ბელო ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას! (29)

მავრამ ისტორიული წარსულის გამოყენება ერის გამოსაფხიზლებ-
ლად, მისი „სულიერი აქტივიზაციის გამოწვევის“ მიზნით, ისევე რო-
გორც, „შორით მოსულთა“ მიერ დამკვიდრებული „ცუდი მონების“
წინააღმდეგ მიმართული ზემოთ ციტირებული განწყობილება, — რო-
მელიც სიტყვიერი ქსოვილითაც კი მოგვაგონებს შილერის „მესინას
სარძლოში“ „უცხო ტომისადმი“ „მონური მორჩილებით“ (...als Frem-
de untertan diesem Fremden Geschlechte) აღშფოთებული ქორის სი-
ტყეებს: „ჩვენსავე სახლში მონები ვართ, ჩვენი ქვეყანა არის უძ-
ლური რომ დაიცვას თავისი ძენი“¹¹⁷, — გაცილებით უფრო მკვეთრად
არის გამოხატული ლექსში „იარალის“.

კ. აბაშიძე ამ ლექსს გრ. ორბელიანის შემოქმედების ერთ საუკე-
თესო ნაწარმოებად მიიჩნევდა, რომ მასში, მისი აზრით, მეტისმეტი ად-
გილი არ ჰქონდეს დათმობილი „მოთაღს, თევზს, მწვანისს“, რომ „ცხე-
ნთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჭირითთ სრიალი, ყურთ-მაჭთ ბრიალი,
უზანგთა ცემა, ცხენით ქვე ხტომა, კვალად შეხტომა და ხმაღთ კრიალი...
მეტისმეტად არ იტაცებდეს“¹¹⁸. ამასთანავე კ. აბაშიძე „იარალის“ სტრი-
ქონებს. — „დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა
შესწირა მსხვერპლად, დავნატრი ღროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამუ-
ლისადმი გულს აღბეჭდილად“ — წმინდა წყლის რიტორიკად. მიიჩნევს
და ამტკიცებს: „ეს გრძნობა (მამულისადმი სიყვარული. — დ. ლ.) პო-
ეტმა უნდა სიმბოლურად გამოხატოს. (მაგ., აკ. წერეთლის ლექსები),
უნდა სხვა რამ ხერხი იხმაროს, რომ ჩავრული და დამონებული ერის
სულის განწყობილება დაგვანახოს, ერის ვაების, კვნესისა და გოდების
სიღინჯე და საიდუმლოება გვიჩვენოს“¹¹⁹.

ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ დიდი ხანია უარყო „იარა-
ლის“ მიმართ გამოთქმული კრიტიკული შეხედულება კ. აბაშიძისა და

117 ფრ. შილერი, ზემოდასახელებული საპრომეული, ტ. III, 1965, გვ. 188.

118 კ. აბაშიძე, ზემოდასახელებული ეტიუდება, გვ. 58.

119 იქვე. გვ. 55.

მართებულად აღნიშნა, რომ ლექსში აღწერილი ქართული სუფრა „ეპოქალური სურნელების“ ხორცშესხმული გამოხატულებაა და არა „ლურჯი სუფრა“, „მთელი თავისი ნატურალობით, ღვინის ლაქებით, გაქონილი ფოჩებით და სხვ“¹²⁰, ისევე როგორც აზარფეშაც, რომლის ლაღშიაც ელვარებდა „ცა მშობლიური“ და კოჯრის ნიავეც მხოლოდ პოეტური სახეებითა. ხოლო „ყაბახი“ რომ სიმბოლოა საქართველოსი, ეს, ვ. კოტეტიშვილის აღნიშვნისამებრ, ჭერ კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილმა შენიშნა.

გრ. ორბელიანი ამ ლექსში კოჯრის ნიაესაც, ქართულ სუფრასაც, ყაბახსაც და იმ დროსაც, —

როს ერთგულება, სარწმუნობა,
ივერთ თვისებას შეადგინებდნენ.
ოდესაც ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდნენ...

იმიტომ ხატავს, რომ პოეტს, — რომელსაც ოცნებად ქცევია გმირი, ვინსი ძლიერი ხმა „ბედს დაძინებულს... აღადგენს“ და „რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემს“ — სურს თვითრწმენა ჩაუნერგოს ერს, სიამაყის გრძნობა დაუბრუნოს მას და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ყინითაც აღანათოს იგი.

„იარალი“ ყურადღებას იპყრობს იმათაც, რომ იგი, ისევე როგორც ვატილებით უფრო გვიან დაწერილი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ჟანრობრივად ახლოს დგას რომანტიზმის მიერ დამკვიდრებული ლირო-ეპიკური პოემის ისეთ სახეობასთან, როგორც არის მონადია, რომლის ბრწყინვალე ნიმუშს ქართულ პოეზიაში წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“.

სწორედ ეს შინაარსობრივი სიახლე და ამით გამოწვეული ფორმის სიახლეც — ჟანრობრივი თავისებურება და ინტონაციის მომწოდებლური ხასიათი — აქცევს ქართული მწერლობის მნიშვნელოვან მოვლენად გრ. ორბელიანის შემოქმედებას, რომელიც, ვიმეორებთ, როგორც ეპოქის მიერ დაყენებულ პრობლემების ასახვის, ისე ამ პრობლემების გადაწყვეტისა და ერის უღრმეს ინტერესებთან მათი დაკავშირების თვალსაზრისით, სრულიად შეესატყვისება „საერთოევროპული გონებრივი და კულტურული განვითარების დონეს“ და თამამად „ჩაიწერება“ ევროპული ლიტერატურის კონტექსტში. თანაც იმ მწერლების შემოქმედების გვერდით, რომლებიც ტრადიციულად რომ განიცდიდნენ იდეალსა და სინამდვილეს შორის არსებულ მძაფრ წინააღმდეგობას, კი იყვნენ თანამედროვე მანკიერი სინამდვილით უკმაყოფილონი, მაგრამ, — საპი-

¹²⁰ ვ. კოტეტიშვილი, ზემოთ დასახელებული XIX ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 95.

ზისპიროდ ეოზეფ დე მესტრის, ნოვალისის თუ შატობრიანის ტაძის რომანტიკოსებისა, რომლებიც კაცობრიობის ხსნის ჭეშმარიტ გზას ირაკიონალიზმსა და კლერიკალურ მისტიციზმში ხედავდნენ — რეალურ სინამდვილეს კი არ უარყოფდნენ, მას „ტრანსცენდენტალურ იდეალზე“ კი არ ცვლიდნენ, არამედ ამ სინამდვილის გარდაქმნისათვის იღვწოდნენ და თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. და თუმცა მათ მიერ წარმოდგენილი თავისუფლებაც ისევე აბსტრაქტული იყო, როგორც მისი მოპოვების გზაც, მაგრამ „ამ ქვეყანაზე იმპეყენიური“ შვების და ღზენის დამკვიდრების სურვილი, იმის შეგნება, რომ „ბედნიერება მიწაზე გვინდა („Wir wollen hier auf Erden sehen das Himmelreich, wir wollen auf Erden glücklich sein“)¹²¹ და უკეთესი მომავლის იმედი, ჩაგრულთადმი ღრმა სიმპათია და დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდება გვევლინება მათი შემოქმედების ქეშმარიტი არსის გამომხატველ ჯანსაღ ტენდენციად.

და მთელი შემოქმედებაც გრ. ორბელიანისა, — „რომელსაც სწყუროდა: რომ ჩვენ განვახლდეთ, სულით ავმალდდეთ, და განქრეს ბნელი უმეცრებისა“ და „ვინც ძლიერებას მძლევის სიტყვით ამცნო სიმართლე და ძმებს დაცემულთ მისცა ხელი აღსადგენადა“¹²², — ამ ჯანსაღი ტენდენციით არის გამსჭვალული. პოეტს, რომელსაც, მართალია, ნათლად ვერ დაესახა „ეროვნული და სოციალური უფლებისთვის ბრძოლის გზა“¹²³, მაგრამ თავის მიერ აბსტრაქტულადვე წარმოდგენილი თავისუფლებისაკენ მოწოდება მრავალი ლექსის ლაიტმოტივად უქცევია, თვით 1832 წლის შეთქმულების ტრაგიკული ფინალის შემდეგაც კი — როცა დაპქროლა „ესრედ“ „გრიგალმა უბედობის“, რომ მისდა ნათელის მომფენი ცა „ჰფარა ღრუბელთ ქვეშ“ (45) — მიუხედავად თითქმის სრული სასოწარკვეთილებისა, არ დაუკარგავს საბოლოოდ მომავლის იმედი. მართალია, გრ. ორბელიანის მოგვიანო ლექსებში აღარ ისმის აშკარად თავისუფლებისაკენ მოწოდების ის ძლიერი ხმა, რომელიც წარმოდგენდა მისი ლექსების: „აღსარება“, „მისი სახელი კიცხვითა“, „ჰე, ივერიაე“ და „იარალის“ პათოსს. მეტიც, 1832 წლის შეთქმულების შემდეგ დაწერილ მის ლექსებში არცთუ იშვიათად გვხვდება „სულიერი სიმარტოვის“, „უღროდ დაბერების“, ამქვეყნიურ მიწიერ მშვენიერებათა და სიამეთადმი „მიუღნობლობის“ მოტივები¹²⁴ (ამ თვალსაზრისით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „ჩემს დას ეფემიას“, რომელიც

¹²¹ H. Heine, Ausgewählte Werke in sechs Bänden. Herausgegeben von Hartwig leb. II, გვ. 342.

¹²² ი. კავკავაძე, ზემოდასახელებულ თხზულებათა ტ. III, გვ. 248.

¹²³ ლ. ასათიანი, გრ. ორბელიანი, თბილისი, 1946, გვ. 103.

¹²⁴ გ. ასათიანი, „მერანი“ და მისი ავტორი, გვ. 3.

დიდი ემოციურობით გამოხატავს შეთქმულების გაცემის შემდეგ მეტეხის ციხეში დამწყვდეული პოეტის დამსხვრეულ ოცნებებს, ამით გამოწვეულ მის სულიერ ტკივილებს, სასოწარკვეთილებას და მარტოობის ტრაგიკულ განცდას, და, როგორც ფორმით, ისე შინაარსით ქართული რომანტიკული პოეზიის უაღრესად საყურადღებო ნიმუშია), მაგრამ არსებული სინამდვილით გამოწვეული პესიმისტური განწყობილება გრ. ორბელიანისა საბოლოოდ არასოდეს გადაზრდილა ამ სინამდვილის სრულ უარყოფასა და რელიგიურ მისტიციზმში. მას არასოდეს დაუქარგავს მისი პესიმისმის, სულიერი ტკივილების მთავარი მიზეზის — „ბედ-დაკარგულის ივერიის“ „კვალად აღდგინების“ რწმენა. და ეს ღრმა რწმენა, იმედი, რომელიც გამოთქმული აქვს ჯერ კიდევ ახალგაზრდა გრ. ორბელიანს გენერალ აფხაზთან საუბარში — „ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვალად აღდგინებულს არარაისაგან. ესრეთა საკვირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული“ (173), — ჩანს ექვმოცული „უსასოოდ ქმნილი“ მოხუცი პოეტის ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ გამოთქმულ ნაღვლიან ფიქრებშიაც კი —

ვაპ თუ რაც წახდეს,
ველარა აღსდგეს,
ველარ ზევედეს ზახის შვერებით?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შემან ყორანმა, ვთ უმწე მსხვერპლი? (77—78),

განა სწორედ აქ, ამ ლექსში არ მიმართავს პოეტი საქართველოს დიდების სიმბოლოდ დასახულ თამარ მეფეს —

შენი ივერი
აღსდგეს ძლიერა
და დადგეს: ერად სხვა ერთა შორის
წმიდითა საყდრით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შექით განათებული!
ზნე ამალეებით
ძლევის დიდებით
სამშობლოს მიწის სიყვარულითა! (77)

და აქვე, ამ ლექსში არა აქვს მას ჩამოყალიბებული ი. ჭავჭავაძის მიერ გრ. ორბელიანის დასათვალაუბრისას. წარმოთქმული წყურვილი, —

რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ
და განქრეს ბნელი უმეცრებისა... (77)

დასასრულ, ერთხელ კიდევ ხაზგასმით რომ აღვნიშნოთ, საქართველოს წარსულის იდეალიზაცია ხომ ამ მიზანს ემსახურებოდა, რომ ეროვნულ-გაემხნეებინა და სამშობლოსადმი სიყვარული გაეღვიძებინა, რადგან ღრმად სწამდა — „მხოლოდ მხნეობა და სიყვარული“ იყო „მრავალჯერ გაოხრებული“ საქართველოს „კვალად აღდგინების საკვირველი“ წყარო.

და, უთუოდ, სამშობლოსადმი ამ სიყვარულის გაღვივებას ემსახურებოდა გრ. ორბელიანის მიერ დახატული წარმტაცი სურათებიც საქართველოს ბუნებისა — „სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი“ „მდუმარედ ცათამდის აყუდებული ბუმბერაზი მთანი“ (58) და „მთათაგან გარდმოქანებულნი“ (158) „ყვირილით მსრბოლნი“ (157) წყალნი „ალმასებრ უფსკრულს რომ ჰსცივნიან“ (58), „სიამით ნათლის მომფენი“ მთვარე (22), „ყვავილთაგან სუნთ მკრეფაფე“ ნიაფი (22) და „აღმოსავლეთის ვარდისა ფერად“ შემღებავი ცისკარი, ცას სიხარულს რომ მოჰტენს და „ქვეყანას მშვენებს“ (105).

ვეროპულ ლიტერატურაში სენტიმენტალისტების მიერ „შემოტანილი“ ბუნება, რომელიც რომანტიკოსებმა კულტად აქციეს, ორგანული ნაწილია ორბელიანის შემოქმედებასა, სადაც ქართულ მწერლობაში პირველად არის ამეტყველებული ზვიადი მთები და მქუხარე მდინარეები, ვარსკვლავებით მოქედილი ჭა და სურნელოვანი ყვავილებით მოქარგული ვრცელი ველები. ა. გაწერელიას მართებული შენიშვნისამებრ, გრ. ორბელიანამდე „არც ერთ ქართველ პოეტს არ უცდია ასე ახლო მისვლა ბუნების შინაგან მისტერიასთან, არავის შეუტანია ეგზომ დინამიკური ელემენტი ლანდშაფტებსა და პეიზაჟებში. როგორც კეშმარიტი რომანტიკოსი იგი ბუნებაში ეძებს თავისი ტკივილებისა და სიხარულის თანაზიარობას, ესმის ყვავილთა ფშვინვა და ფრინველთ ყრიაშული, მოხიბლულია ცის ტატნობზე ვარსკვლავთა ციმციმით, მზის მოელვარე სხივებით, მთვარიანი ღამეების იღუმალებით“¹²⁵.

გრ. ორბელიანი ღრმად და პლასტიკურად აღიქვამს ბუნებას და მსგავსად შელისა, რომელიც (როგორც თავად წერს „ისლამის აჯანყების“ შესავალში) პოემის პოეტური სახეების საშენ მასალად იყენებდა ყრმობიდან მის სულს დაუფლებულ ბუნების ხატებს — ბუმბერაზი მთებისა თუ აისისა და დაისის, ტყე-ველებისა თუ ზღვებისა და ტბების სურათებს, ქართველი პოეტიც საკუთარ გრძნობათა პოეტურ სახეებში გადმოცემისას სწორედ ახალგაზრდობიდანვე ცნობიერებაში აღბეჭდილ ბუნების ხატებს მიმართავს. ასე მაგალითად. კავკასიის ბუნებიდან მიღებული ღრმა შთაბეჭდილებანი, რომელიც რუსეთისაკენ მიმავალ ოფიცერს დიდი ემოციურობით აქვს აღწერილი „მოგზაურობაში“, ზედმი-

¹²⁵ ა. გაწერელია, ზემოთ დასახელებული რჩეული ნაწერები, გვ. 50.

წევნით აქვს გამოყენებული ლირიკულ შედევრში „სალამო გამოსალმებისა“ (1841) და „სადღეგრძელოში“.

ანანურიდან კაიშაურისაკენ მიმავალი გრ. ორბელიანის მიერ აღწერილი ბუნების სურათი — „გზაზედ დაგვალამდა, მთოვარე მშვენიერად ანათებდა თოვლიანთა მთებისა წვერთა; გარეშე ჩვენსა ყოველივე იყო მღუშარებისა შინა დაფლული, მხოლოდ არაგვი ყვირილითა რბოდა და აყრუებდა არესა. კაცი, იხილავს რა დიდმშვენიერებას ბუნებისასა, უნებლიეთ მღუშარებს დაფიქრებული. — ნათელი მთოვარისა, ძლივს მოწვდენილი ჩვენამდი უფსკრულსა შინა, სიწყვედიადე და მღუშარება ტყეთა, ღრიალი არაგვისა, ყოველივე ეს აძრწუნებდა გრძნობათა და ენასა ჰყოფდა უქმად“ (157—158); კაიშაურში ჩასული პოეტის თხრობა — „მზე მიეფარა მათა და უკანასკნელი სხიენი მისნი ცეცხლებრ აღანთებდნენ თოვლიანთა მათა ათასფრად. წმინდასა ჰაერსს მოჰქონდა სურნელება ყვაილთა. ქვეშე ფერხთა ჩემთა არაგვი შორს უფსკრულსა შინა მიმოიკლაცნებოდა თეთრად ძაფსავით და გრიალი მისი ისმოდა საზარლად. სამინელი მთანი, ერთმანეთზედა აღყვანილნი ცათამდის დიდებულებით მღუშარებდნენ. ვიჩქე კლდესა ზედა, უფსკრულსა ზედა გადაკიდებულსა, და ვსკვრეტდი მდინარეთა — მათათაგან გადმოქანებულთა და უფსკრულთა შინა დაკარგულთა“ (158); თუ ყაზბეგის სოფლიდან დანახული თერგის სრბოლა — „აქედამ დაიწყების საკვირველი იგი სიჩქარე თერგისა, რომელიც ყოველთა მზილველთათვის არს განსაკვირველ. — მიიღებს რა გარდმოქანილთა მათათაგან მდინარეთა, თერგი დულდების, ჰრისხდების და ვითარცა გაცოფებული ჰყრის ქაფთა და ჰრბის გრიალითა. ვერა რას ძალუძს წინაღუდგეს მისსა გიუურსა სიჩქარესა. შეხვდებიან მას დიდროანნი, საზარელნი ლოდნი, — ჰსხლტების მალდა და მათზედა გადაეცლების, და მაშინ წარმოუდგების თვალთა მშვენიერ შადრევენად, ანუ მთლად აღმასებრ გარდმოფანტულად“ (160) — ყოველივე ეს თითქმის უცვლელად აქვს გამოთქმული პოეტს ზემოთ დასახელებულ ლექსში „სალამო გამოსალმებისა“ —

მზე ჩაესვენა მის უუქი გამოსალმის ეამს კაეკასსა,
თავსა ეხვევა ალერსით. ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მღუშარედ ცათამდის აყუდებულნი
ჰსხედან, ვით დევნა, სპეტაკის ყინულ გვირგვინთ შემკულნი
მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დასწოლიან,
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ეშუქრებიან.
გაზაფხულსა ველითა ტყე შემოსილა სიმწვანით,
მთებისა კალთებს შეამკობს სიტკბო სუნუნელთა მოფენით.
წყალნი მთით დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულს ჰსცივიან,
თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან. — (58)

სადა შეეხარით ლაჟვარდად ცისა კამარას მორთულსა,
მასზე შევალსა ხელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივებულს
ლამით ვარსკვლავანს ფირუხსა, მთოვართ განათებულსა!
სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სურნელებრ შეზავებულსა!
სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცაჲმდე ასულნი
და მღინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი,
უფსკრულნი — ჩაბნელებულნი, კლდენი — თვალ-გაღწეფდენელნი,
სად მონადირე მსდევს კიხვსა და მის ქვეშ ჰქვენან ღრუბელნი,
სად ველნი, ფერით ზურმუხტნი, ნახადა აღმწვანდებიან,
მათზე კახკასით წყარონი, გახარებულნი მორბიან;
მათ სიკამკამეს უვაილნი თავ-დახრით განცეიფრდებიან,
გულს მათი ნახვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან (100)

(ხაზგასმა ყველგან ჩემია. — დ. ლ.).

ამონაწერებში ხაზგასმული ადგილებიდან აშკარად ჩანს, რომ გრ. ორბელიანის პოეზიაში ბუნება ანტროპომორფიზებულია, რაც რომანტიკული პოეზიის ერთ საყურადღებო ნიშანს წარმოადგენს საერთოდ. მაგრამ, როგორც ა. გაწერელია ც აღნიშნავს, „არც ერთ მის ლანდშაფტს არა აქვს გადაფარებული მისტიკური სამოსელი“¹²⁶ და „ბუნების ფერებისა და სურნელების მომაჯადოებელი ძალის“ უშუალოდ განმცდელი პოეტი სულაც არ ფიქრობს, რომ მისი სიღრმისა და ჭეშმარიტი მშვენიერების წვდომა მხოლოდ სიყვარულის მისტიკური გრძნობით იყოს შესაძლებელი, როგორც ამას ამტკიცებდა ნოვალისი „საისელ შეგირდში“, რომლის მიხედვით ბუნების გასულიერება მისი მატერიალური მყოფობისაგან სრულ განტვირთვას ნიშნავს.

აქ აღსანიშნავია ისიც, რომ გრ. ორბელიანის პოეზიაში ბუნება ჯერ კიდევ არ გამხდარა პოეტის აზრთა მეტაფორული გამოხატვის საშუალებად, რისთვისაც იყენებდნენ მას რომანტიკოსები თავიანთ ფილოსოფიურ-სიმბოლური ხასიათის ნაწარმოებებში, რომელთა ტიპოლოგიურ ნიმუშად ი. გ. ნეუპოკოევა ასახელებს შელის „სიცოცხლის ზეიმს“, სადაც „სრულიად რეალური, გრძნობადი აღქმისთვის მისაწვდომი სურათი ღამის ძილის შემდეგ ბუნების გამოღვიძებისა, იმავდროულად, პოემის საერთო კონტექსტში წარმოადგენს დღის ღამეზე, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების სიმბოლოს“¹²⁷. ანდა ისევე, როგორც პ. ჰაინესთან „სრულიად რეალური, გრძნობადი აღქმისთვის მისაწვდომი“ სურათი გაზაფხულის დადგომისა, — „მზემ კვლავ ინება ცაზე გამოსვლა და დედაშიწას, ამ მსცოვან ბალსა, ასეა სხივების რძე ნოყიერი. აღტაცებისაგან ცახცახებდნენ მთის მწვერვალები, უხვად აფრქვევდნენ თოვლის-

126 ა. გაწერელია, ზემოდასახელებული რჩული ნაწერები, გვ. 53.

127 ი. გ. ნეუპოკოევა, ზემოდასახელებული მონოგრაფია, გვ. 159.

შიერ კამკამა ცრემლებს, ზათით, ზრიალით იმსხვრეოდა ყინულოვანი საბურველი გათანგულ ტბათა და დედამიწამ გაახილა ლურჯი თვალები, აღმოხდა მის მკერდს მოალერსე ყვავილნარები და მოკრიალე კალების ტევრი, იადონების მწვანე სავანე. მთელი ბუნება აფრქვევდა ღიმილს და ეს ღიმილი გაზაფხულად იწოდებოდა¹²⁸ — კონტექსტში „სულში დავანებული სუსხიანი ზამთრის“¹²⁹ — რეაქციის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობას გამოხატავს.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გრ. ორბელიანი ბუნების სურათებს არ იყენებდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებთან შესაღარებლად. პროზაულ ესკიზში „ზამთრის ქარი გრიალებს“ — ზამთრის „სრულიად რეალურ, გრძნობად აღქმისთვის მისაწოდომ“ სურათს რომ ხატავს — „ღრუბელთა დაჰფარეს შავად მშვენიერი ცა და არღა ისმის უკვე საამური, დამატყვევებელი სტვენა ბულბულთა და სხვათა ფრინველთა. ფოთელნი, დამკვნარნი, ჰსცვივიან ყვითლად, რომელნიცა ოდესმე შემოსედნენ ხეთა ესრეთ მშვენიერად... ყოველნი გაზაფხულისა სიტურფენი მოსპო ზამთრის ხელმან და დაასო მათ ზედა ბეჭედი სიკვდილისა. გარეთა ჰსთოვს საშინლად, ჰსცემს ქარი ფანჯრებთა და შემოს (ტვენს) სხვა და სხვათა ხმითა“ — მას ადამიანის ცხოვრებას აღარებს და ნაღვლიანად ამბობს: „ახ! სიჭაბუკისა დღენი ჩვენნი, ესრეთ მშვენიერნი და ესრეთ ტკბილნი არა ემსგავსებიან გაზაფხულისა ყვავილთა, ბუნების შემამკობელთა, და ესე ზამთარი შეკმუხვნილსა სიბერესა ჩვენსა! — არა წარვალსა სიჭაბუკეცა ჩვენი ესრეთ მსწრაფლად, ვითარცა გაზაფხული, რომლისა სიტურფითა ჯერეთ არ დავმტებარვართ, და თანა არ მიაქვსა ყოველი ჩვენი სიხარული, სურვილი და იმედნი, რომელნიცა ჯერეთ არა აღსრულებულან. — არა ეხედავთა მწუხარებათა, რომელ ანაზღვეულად სიბერემან, ვითარცა ზამთარმან დათოვა თავი ჩვენი და გაყინულისა ხელისა თვისისა ჩვენდა შეხებითა განგვიგრილა გული ჩვენი ყოვლისა მშვენიერებისა ტრფიანებისაგან“ (290).

ბუნების სურათების ამსახველი ლექსებიდან ყურადღებას იპყრობს „ღამე“, საოცრად ლირიკული ნაწარმოები, რომელიც გადმოგვცემს მთვარიან ღამეში სატრფოს მოლოდინითა და შეხვედრით, ხოლო ცისკრის ეამს მასთან განშორებით გამოწვეულ განცდებს შეყვარებული პოეტისა.

საინტერესოა, რომ მიუხედავად არსებული მანკიერი სინამდვილით გამოწვეული პესნიშისტური განწყობილებისა, სიცოცხლის მოყვარული

128 პ. ჰაინე, მოგზაურობის სურათები, თარგმანი და კომენტარები ჯორჯანულებისა, 1957, გვ. 196—197.

129 იქვე, გვ. 195.

პოეტი, რომელიც ზემოთ დასახელებულ პროზაულ ესკიზში წერდა „ჰე, გაზაფხულო! ჰე, სიჭაბუკევე! დამატკბეთ, დამატკბეთ ვიდრემდის ჰსცხოვრობთ ჩემთანა, ესოდენ, ჩაოდენცა იყოს ჩვენთვის საკმაოდ სამარეზდის, ანუ სიცოცხლეცა ჩემი შესწყვიტეთ მაშინ, ოდეს მოვიდეს დღე იგი განყრისა ჩვენისა, რათა ვჰსთქვა უკანასკნელსა ეამსა „თუმცალა ვკედები, მარამა სიცოცხლე ჩემი იყო „ესრეთ ნათელი, ვითარცა შშვენიერი განთიადი გაზაფხულისაო“ (291), ამ ლექსში სწყევლის „დღისა ნათელსა“. მაგრამ, როგორც ა. გაწერელია ც აღნიშნავს, გრ. ორბელიანის მიერ „დღისა ნათელის“ ამ წყევლას ჰეშმარიტად არაფერი აქვს საერთო ნოვალისის „ჰიმნებთან ლამისადმი“ (Hymnen an die Nacht). სადაც „აგრეთვე უქუფდებულია „დღის უტიფარი ნათება“, რომელიც მკაფიოდ აჩენს საგნებს და რაც ხელს უშლის პოეტს გარდაცვლილ სატრფოს (სოფია კიუნის) იმატერიალური ხილვით დასტკბეს მთვარიან ღამეში“¹³⁰. პირიქით, წინააღმდეგ ნოვალისისა, — რომელიც სიკვდილს საკუთარ თავზე გამარჯვებად; მატერიალურზე სულიერი სამყაროს ზემად მიიჩნევდა და ღამეს იმიტომ უმღერდა, რომ რეალური სამყაროსადმი დაპირისპირებული მატერიალური, „აბსოლუტური“ მყოფობის სიმბოლოდ რაცხდა — გრ. ორბელიანი სწორედ ცისკარს მიესალმება „ბუნების განმაცხოველსა“ და „სიცოცხლის დამატკობელ“ დილას აღუვლენს ლოცვას და ღვთაებას „სიბნელის ნათლით“ ჩაქრობის, „სიკვდილით ცხოვრების“ დაბადების გამო სცემს თაყვანს, რაც „სადღეგრძელოს“ დასასრულს ასე აქვს გადმოცემული —

„ვიმ ამ დილასა, ამ ჰერს, ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჰმუნვის განმქარველს, სიცოცხლის დამატკობელსა!
ღმერთო, ვინ მისწყდეს შენგან ჰმნილს, მის ფერ უთვალე შენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადებ ცხოვრებას (105)

(ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

„ღამეში“ გრ. ორბელიანის მიერ „დღისა ნათელის“ დაწყველა პოეტის იდეური მრწამსის გამოხატულება კი არ არის, არამედ ცისკარის მოახლოებასთან დაკავშირებით მიჯნურის სატრფოსთან დაცილების აუცილებლობით გამოწვეული სინანულის ასახვა მარტოოდენ. მხოლოდ იმის გამო, რომ „ცისკარმან აღმოსავლეთით ეამი განყრისა“ უჩვენა, სწყევლის გულდაწყვეტილი პოეტი „დღის ნათელს“. დღისა დავსწყველე ნათელი, რომ ურთიერთ განგყვარაო (23. ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.), რაც ტიპოლოგიურად მოგვაგონებს შუასაუკუნეების გერმანული რაინდული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლის ეოლფრამ ფონ ეშენბახის (დაახლოებით 1170—1220) ცნობილ ალბას, რომელშიც მზე საშინელ ურჩხულად იმიტომ არის წარმოდგენილი, რომ იგი თავისი სხი-

¹³⁰ ა. გაწერელია, დასახელებული რჩეული ნაწერები, გვ. 54.

ეებით, ისევე როგორც ურჩხული ბასრი კლანჭებით თავის მსხვერპლს, ჰგლეჯს ღრუბლებს და რაინდიც იძულებულია, „დღისა ნათელის“ მოახლოების გამო დასტოვოს თავისი სატრფო.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გრ. ორბელიანის შემოქმედებაში ადამიანის გრძნობის თანაზიარი ბუნება მჭეხარე მდინარეებზე, მწვანე ტყეებით. კალთებდაფარული მთებით და მოჩუროჩულე ყვავილებით შემკობილი ველებით წარმოადგენს პარმონიულ მთლიანობას და მკვეთრად უპირისპირდება წინააღმდეგობით გაბზარულ, ტრაგიზმით სავსე საზოგადოებრივ ცხოვრებას. ეს კონტრასტი განსაკუთრებით ცხადად ჩანს „საღლეგრძელოს“ ფინალში, სადაც ბუნების გაღვიძების დიდებულ სურათს —

ცისკარამან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება,
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შეენება!
აენთნენ ცეცხლის აღებრივ შორს გაბნეული ღრუბელნი;
ცა მშვენიერობს, ნათლდება... მასა შეენატრით მხილველნი!
ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან
ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან:
მოქრის დილისა ნიავიც გულისა მაგრილებელი;
ფშენვა დაიწყეს ყე-ვილითა და ბაღო ფოთოლთ შრალი!
ოჰ, რა ღამაზად იღვიძებს ბუნება მშინებელი!
ღაჩუდით... ყური მიუღდეთ... არ გესმით, გალობს ბულბული? (105)

პოეტი ამთავრებს საგულისხმო კითხვით —

ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად მსურს ხისხლი კაცისა? (105)

ბუნების და საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი დაპირისპირება ტიპოლოგიურად ამსგავსებს გრ. ორბელიანის პოეზიას XIX საუკუნის ევროპული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედებასთან.

გრ. ორბელიანი ახალი ფსიქოლოგიის ადამიანად, ახალი ხედვის პოეტად და ქართულ ლიტერატურაში — „ევროპეიზმის გამგრძელებლად“ გვევლინება სიყვარულის თემაზე დაწერილ ლექსებშიც, ამ გრძნობის გაგებისა და გამოსახვის სფეროშიც. ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე დაყრდნობილ პოეტს, — ხოლო, როგორც არაერთგზის აღნიშნულა, სწორედ მშობლიური ლიტერატურის მდიდარი ტრადიცია, მისი ჯანსაღი ტენდენცია წარმოადგენს ჩვენი მწერლობის ევროპეიზმის ძირითად წყაროს, — არასოდეს უარუყვია სიყვარულის გრძნობად-მიწიერი მხარე. სატრფოს „ეშუით“ „უღვინოდაც გაგვებული“ ჭაბუკი პოეტი, რომელსაც ჰკლავს ნუშის ყვავილგადაკრულ ღაწვზედ „ზედ დაკონების“ სურვილი („მუხამბაზი“, 1829 წ. გვ. 9), ქარმაგობის უამსაც იმას ნატრობს, რომ გადაშალოს „მკვლელნი ზილფენი-გველნი ქალისა“, რომლითაც გატაცებულია —

და ზედ დაკვდომით,
სულ ამოხდომით
ვარდს დაეკონოს
ღაწეზე გაშლილსა

(„ალბომში“, 1840, გვ. 55)

და 57 წლის ასაკშიც ლოპიანის სახით დაუოკებელი ყინით მიმართავს უსაყვარლესს —

რტო აღვისა შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალეზი — ცაში ელვა მგონია,
ვარდის სუნთქვა — შენი სუნთქვა მგონია,
როს შეღირსოს ვსთქვა: „გეთაყვა, ჩემი ხარ!“.
(მუხამაზი, 1861, გვ. 65).

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ, მართალია, აწმყოთი უკმაყოფილო პოეტი არცთუ იშვიათად თავდავიწყებას ღვინოსა და სიყვარულში ეძიებს. — დალუბე ემყში და ღვინოში ყოვლი სიმწარეო (გვ. 24), — მაგრამ მის სიყვარულს ჯანსაღი სენსუალიზმი განსაზღვრავს, მისი მიწიერ-გრძნობადი ტრფობა უაღრესად ფაქიზი და ამბლლებულია და სულაც არაა ავხორცობაში გადასული შიშველი ეროტიზმი, როგორც ამას ვხედავთ, ვთქვათ ფრიდრიხ შლეგელის „ლიუცინდემი“ (1799). გრ. ორბელიანს საპირისპიროდ შელინგისა და სხვ. თავის რელიგიად არასოდეს უქცევია „ქალის მოყვანილი ფეხი, სავსე მკერდი და გაღვივებული თეძოები“.

მიწიერი სიყვარულის ფაქიზ ასახვაში გრ. ორბელიანს ჰყავდა უშუალო წინამორბედები — ბესიკი და ალ. ჭავჭავაძე. მაგრამ საგანგებოდამსახურება პოეტისა, რომელსაც „ხორციელება სიყვარულისა თითქმის უფრო ძლიერად აქვს გამობატული, ვინემ მისი სულიერება“¹³¹ ისაა, რომ შოთა რუსთაველის შემდეგ „უკვდავება ამ გრძნობისა, იმისი ძალა, სულის ამამბლლებელი და სიცოცხლის განმაცისკროვნებელი, ეგრეთ წოდებული პლატონური სიყვარული, მან გვაგრძნობინა პირველად ჩვენს ლიტერატურაში და მანვე დაუტოვა სამკვიდროდ ნ. ბარათაშვილსა და სხვა ჩვენს პოეტებს“¹³².

და მართლაც, პოეტი, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ერთგული დარჩა მოღვაწეობის გარიჟრაჟზე ჩამოყალიბებული შეხედულებისა — სიყვარული არის „მშვენიერი სიცოცხლისა ჩვენისა ყვაილი, რომელიცა გვატკობს, გვახარებს თვით ტანჯვასაცა შინა თვისსა და აგვამალვებს ყოველთა მდაბალთა და უღირსთა

131 კ. აბაშიძე, ზემოთ დასახელებული ეტიუდები, გვ. 49.

132 აქვე, გვ. 49.

სხვათა ვნებათაგან“ („ზამთრის ქარი გრიალებს...“ 1829, გვ. 290—291). ამ გრძნობას, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ უვალობს, რომ „ღვთის კურთხევად“ მოვლენილ „ზეგარდმო მადლად“ მიიჩნევს („ალბომში“, 1840, გვ. 56), „რომლის შუქი აგვამალლებს“ და ადამიანს „ღმერთს ამსგავსებს“ („სადღეგრძელო“, 1870)¹³³.

პროზაული ესკიზიდან ამონაწერში ყურადღებას იპყრობს სიტყვები „გეახარებს თვით ტანჯვასაცა შინა“. შეხედულება, რომ სიყვარული არა მარტო უმალლეს ნეტარებას ანიჭებს ადამიანს, არამედ მწვავე ტკივილებიც თან ახლავს მას და ტანჯვის მომყენებელი გრძნობაც არის, გრ. ორბელიანს სიყვარულის თემაზე დაწერილ ძრავალ ლირიკულ ლექსში აქვს გატარებული. როგორც კ. აბაშიძე აღნიშნავს, ასეთი გავება სიყვარულისა ფრანგ-ლირიკოსთა შორის დე-ვინმა და შაუსსემ გამოიჩინეს, მაგრამ თუ „ზემოსენებულნი მწერალნი სიყვარულის ნეტარებას მომშხამველად თვლიდნენ ამავე გრძნობისაგან გამოწვეული ტანჯვის გამო, და ამიტომ სევდითა და კვნესით უყურებენ ამ გრძნობას“¹³⁴, გრ. ორბელიანის მიხედვით —

ბედნიერება დღეთა ჩვენთა არს სიყვარულის ყვავილი.
(1837, გვ. 133)

ეს არის გრძნობა —

რაცა გეუშენებს სიცოცხლეს ზეციერისა სხივითა,
და აგვამალებს ამ სოფლით სულისა აღმაფრენითა.
(1841, გვ. 58).

და არა მარტო ის ძალა, რომელსაც „შინა საბრკმელად“ ვერვინ აღუდგეს, არამედ უკვდავების წყაროც. ამიტომ მისგან მოყენებული ტანჯვაც სასურველია, რადგან იგი არის ამ გრძნობის განუყრელი ატრიბუტი და „ტრფობის მზრდელი“ —

ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერველ ეშის ცეცხლისა,
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომთა სიყვარულისა.
(1835, გვ. 44).

¹³³ სიყვარულის ასეთი განმარტება სადღეგრძელოს ბოლო ვარიანტშია მოცემული, ნაცვლად „სადღეგრძელოს“ ორ სტრიქონში გამოთქმული შეხედულებისა სიყვარულზე —

„რომლის შუქი აგვამალლებს, რომლით სული გეინათლდება,
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ესგავსება“ (102)
„ტოლუმბაში“, — „სადღეგრძელოს“ პირველი ვარიანტის შესატყვის სტრიქონებში ვკითხულობთ —

„რომლისთვისაც შეგიწირავს გული და სრულად ცხოვრება,
შევსვით ღვინო მის სადღეგრძელოდ, გვეღირსოს ხილვა ეგება“
(„ტოლუმბაში“ გვ. 132).

¹³⁴ კ. აბაშიძე, ეტიუდები, გვ. 47.

სიყვარულის ასეთი კონცეფცია გრ. ორბელიანისა, დე-ვინისა და მიუ-სსეს საპირისპიროდ, მოგვავაგონებს „აბესალომ და ეთერზე“ უძველეს ქართულ თქმულებას და ტიპოლოგიურად მის მსგავს ძველ კელტურ თქმულებას „ტრისტანსა და იზოლდაზე“, სადაც უდიდესი ნეტარების მომნიჭებელ ტრფობას, რომელიც სიკვდილზე უფრო ძლიერია, კიდევ უფრო აღვივებს ამ გრძნობისაგან გამოწვეული ტანჯვა.

მაღალი, წმინდა სიყვარულის მომღერალ პოეტს, რომელსაც სწამდა „კლდოვანი გულის“ ადამიანში სიყვარულის შეუმუსკერელობა —

ტრფობა უძლურთა წყაროს ჰგავს, მათაგან გადმოქანებულს,
რაოდენ ველზე შორსა ჰვალს, ეგოდენ დაუძლურებულს,

რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს ეშუის ბეჭედისა.
ღრო მას ველარ შეჰმუსრავს, თუ არ შეჰმუსრავს თვით კლდისა —
(1832, გვ. 202—6)

და რომელსაც შ. რუსთაველის სახით უდიდესი წინამორბედი ჰყავდა, მართებულად აყენებს ზოგიერთი მკვლევარი დანტესა და პეტრარკა გვერდით, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გრ. ორბელიანს კარგად აქვს შეგნებული — სიყვარულის ამამაღლებელი, იდეალური თვისებები იგი მას იმ გრძნობად თვლის, —

რომლის შუქი აგვაბაღლებს, რომლით სული გვინათლდება,
რომლით კაცი მშვენეიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება —
(1870, გვ. 102)

და ჭერ კიდევ „ტოლუმბაში“ (1827) იმ ძალით წარმოიდგენს, რომელიც სიცოცხლის შემდეგაც არ „დაჰშტრების“, რაც მცირე ცვლილებებით გამეორებული აქვს „საღღეგრძელოშიც“ —

მამ სახე სულის დამატკობელი, იმიერ სოფელს არ განგვშორდების
და სიყვარული სულის მამშვენი, სიცოცხლას თანა არა დაშტრების,
თვარა სიყვარულს თუ დავკარგავდე, უკვდავებამან მის წილ რა მომცეს
(გვ. 104) —

სიყვარულს სულაც არ მიიჩნევდა რაღაც აბსტრაქტულ იდეად, რომელიც საფუძვლად უდევს გვიდო გვინიჩელის და გვიდო კავალკანტის მიერ იტალიურ პოეზიაში დამკვიდრებულ „ახალ საამო სტილს“, რომლითაც ეგზომ დაეაღებუღია დანტე ალიგიერის „ახალი ცხოვრება“. დიახ, გრ. ორბელიანის შემოქმედებაში სიყვარული სულაც არ არის წარმოდგენილი სპირიტუალისტური საბურველით დაფარულ იდეად, მყოფობის საიდუმლოების ამომხსნელ მისტიკურ ძალად მარტოდენ, რომლის საშუალებითაც მიაჩნდა, მაგალითად, ნოვალისს შესაძლებლად მატერიასა და სულს შორის მეტაფიზიკური კავშირის აღდგენა. გრ. ორბელიანი სიყვარულს „ადამიანის მთელი არსების მომცველ გრძნობად“

რაცხდა და ძლიერ, ნამდვილ, რეალურ ტრფობას უმღერდა. ამ თემაზე დაწერილი მისი ლექსების „მშვენიერ პოეტურ ფორმულებში სიყვარულის იდეასთან ერთად“, თუმცა „შორეულად და ბუნდოვნად“, მაგრამ ყოველთვის „გამოკრთის რეალური არსებაც, როგორც აღრესატი პოეტის სათუთი მიმართვებისა“¹³⁵. მეტიც, სიყვარულის გრ. ორბელიანისეული კონცეფცია „ორგანიულად ითვისებს ჭანმრთელ ეროტიზმს, რეალურ ობიექტს და ამ ობიექტის მკაფიო, პლასტიკურ გამოსახვას“¹³⁶.

ღრმა ემოციურობა, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი მელოდიურობა, საკუთარ განცდათა საოცარი უშუალობით გადმოცემა და ამ განცდების გადმოსაცემად გაცვეთილი პოეტური შტამების ნაცვლად ახალი სახეებისა და მეტაფორების გაბედულად გამოყენება, ამასთანავე მის შემოქმედებაში ჭანსალ პატრიოტიზმთან ერთად წარმოდგენილი მაღალ-ჰუმანური იდეები, იმის შეგნება, რომ აღამიანმა „გზა ცხოვრებისა“ უნდა „აღბეჭდოს ნავალით“, რომ თავისუფლება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება და რომ დიდების ღირსი ის არის —

ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმიაა განკათხვად
და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ენებით,
ვინცა ამ სოფლის დიდებასა მზეებრ მნათობსა,
მონებრ არ მპასუვეს, მსცნობს რა მის შუქს ფუქარაკელსა,
ვინც ძლიერებას ხმითა მალღით ამცნო სიმაროღე
და ძმას დაეყმულს მისცა ხელი და აღადგინა“ (1879, გვ. 83)

ყოველივე ამით გრ. ორბელიანი გვევლინება ახალი ხედვის პოეტად, ქართულ მწერლობაში ევროპული ლიტერატურული გემოვნების დამწერგავად და „გამგარძელებლად ევროპეისმისა“, უშუალო წინამორბედად ნ. ბარათაშვილისა, რომელიც თამამად უსწორებს თვალს თავისი ეპოქის მსოფლიო ლიტერატურის მწვერვალებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა“¹³⁷ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ პერიოდში, როცა, როგორც მატერიალური, ისე კულტურულ-გონებრივი წარმოების სფეროში, ეროვნულ კარჩაკეტილობას ერთა შორის ფართო ურთიერთკავშირი ცვლიდა, „ცალკეული ერის გონებრივი ნაწარმოები საერთო კუთვნილებად“ იქცეოდა, „ნაციონალური ცალმხრივობა და შეილუღულობა

135 ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, II. გვ. 38.

136 იქვე, გვ. 42.

137 ი. ჭავჭავაძე, თსზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, 1953.

სულ უფრო და უფრო შეუძლებელი“ ხდებოდა და „მრავალი ნაციონალური და ადგილობრივი ლიტერატურიდან ერთი მსოფლიო ლიტერატურა“¹³⁸ იქმნებოდა.

ყრმობიდანვე თავისი ერის წარსულით და აწმყოს მტკივნეული საკითხებით დაინტერესებული ნ. ბარათაშვილი, რომლისთვისაც, როგორც საქართველოს ისტორიისა და კულტურის ღრმა მკოდნესათვის, თანამშრომლობა შეუთავაზებია ცქობილ ქართველოლოგს, პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსს მარი ბროსეს, ხოლო ქართული ნუმისმატიკის მკვლევარს, რუსეთში მოღვაწე მიხეილ ბარათაშვილს პოეტის მამისთვის მიუწერია: „მოხარული ვიქნები, თუ ტატო თავისი ფართო ცოდნითა და ნიჭით შეაესებს მოხუცი პაპის პირველ ნაშრომსო“¹³⁹, გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მსვლელობას, და განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა თანამედროვე რუსულ-ევროპული ლიტერატურის მიმართ, რომელსაც იგი, როგორც მისი პირადი წერილებიდან ჩანს, კარგად იცნობდა. ამას ხელს უწყობდა იმ დროს უკვე საკმაოდ გაცხოველებული კომუნიკაცია და წრე, რომელშიც ტრიალებდა პოეტი. ეს წრე სულაც არ განისაზღვრებოდა მართოდენ მოწინავე ქართველი მოღვაწეებით. ნ. ბარათაშვილი კარგად იცნობდა პოლონეთის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ საქართველოში გადმოსახლებულ ბევრ პატრიოტს, მათ შორის განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა პოეტ ლადი ზაბლოცკისთან. იგი უთუოდ ხვდებოდა იმპერატორის მიერ სასაჯელის მოსახდელად საქართველოშივე გადმოსახლებულ დეკაბრისტებსაც, რომლებიც ხშირი სტუმრები იყვნენ ალ. ჰავჭავაძის ოჯახისა, რომლის კარები ყოველთვის ღია იყო ნ. ბარათაშვილისთვის. მას ურთიერთობა ჰქონდა თბილისში ჩამოსახლებულ ფრანგ მოქალაქეებთანაც, ნაპოლეონს რომ ადიდებდნენ და ფრანგული საზოგადოებრივი წყობილების პროპაგანდას ეწეოდნენ. ცხადია, დოდაშვილის მოწაფისა და გრ. ორბელიანის დისწულისათვის ეს შეხვედრები უშედეგოდ არ ჩაივლიდა და პოეტის ცნობისმოყვარე, მუდამ მაძიებელ გონებას სათანადო საკვებს მისცემდა.

უკვე გიმნაზიაში სწავლის პერიოდში წერდა ნ. ბარათაშვილი ლექსებს და მონაწილეობას იღებდა ხელნაწერ ჟურნალში «Цветок Тифлисской Гимназии», რომელსაც რედაქტორობდა პოეტის ახლო მეგობარი მ. თუმანიშვილი. ამ ჟურნალის მეოთხე ნომერში, რომელიც, სამწუხაროდ, არ შემონახულა, ნ. ბარათაშვილს მოუთავსებია სამი წერილი, რაც ჩანს ჟურნალის შემონახული მეხუთე ნომრის საერთო სარჩევიდან. ნ. ბარათაშვილის ამ წერილებს შორის საყურადღებოა «0

138 კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1950, გვ. 15—16.

139 ა. სურგულაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, 1968, გვ. 332.

პაპსკოი ვლასტი, 1. О возвышении папизма. 2. О падении его. ვარაუდობენ, რომ ნ. ბარათაშვილს ამ წერილის დაწერისას უსარგებლია კონდრატ რილეევის წერილით «Причина падения власти пап». ახლა შეუძლებელია დადგენა, როგორ გააშუქა ნ. ბარათაშვილმა ეს საკითხი და მართლაც რილეევის სტატიით ისარგებლა თუ არა. თუმცა სულაც არაა გამორიცხული ნ. ბარათაშვილს გამოეყენებინა კონდრატ რილეევის შეხედულებანი, მით უმეტეს, რომ რილეევს კარგად იცნობდნენ საქართველოში. მისი ლექსების მიბაძვით შეთხზული გრ. ორბელიანის „აღსარება“ 1832 წლის შეთქმულთა მონაწილეებში ფართოდ იყო გავრცელებული და, ალბათ, ნ. ბარათაშვილსაც პქონდა იგი წაკითხული. ასეა თუ ისე, ნ. ბარათაშვილის ყურადღება პაპიზმისა და კათოლიციზმის ისტორიისადმი, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით ეოზეფ დე მესტრის ნაშრომის („Du pape — „პაპის შესახებ“, 1819) შემდეგ ევროპელ რომანტიკოსთა განსაკუთრებული ინტერესისა და მსჯელობის საგნად იქცა, მნიშვნელოვანი ფაქტია. იგი ადასტურებს ჭერ კიდეე ყრმა პოეტის დიდ ინტერესს ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისადმი, რამაც, უეჭველია, გარკვეული როლი ითამაშა პოეტის შემოქმედების ევროპეიზმში.

ამ თვალსაზრისით, გაცილებით უფრო საგულისხმოა ნ. ბარათაშვილის ფართო ცოდნა რუსულ-ევროპული ლიტერატურისა. მან ზეპირად იცოდა პუშკინისა და ლერმონტოვის ზოგიერთი თხზულება, რასაც მოწმობს მისი პირადი წერილები. ბარათში გრ. ორბელიანისადმი პოეტი ადრესატს რომ ატყობინებს „მამა ეგნატემ (იგულისხმება პლატონ იოსელიანის მამა. — დ. ლ.) თავი დაგიკრა იმიერ-სოფლითგან. ერთი თვეა, რაც გარდაიცვალა“, განაგრძობს: «Вот человек, который по своему положению в свете более всех страдал. Минувшее проходило перед ним и полновалось как море — океан»¹⁴⁰. ხაზგასმული წინადადება, როგორც გ. ლეონიძეს აქვს აღნიშნული, წარმოადგენს პერიფრაზს პუშკინის „ბორის გოდუნოვიდან“ ჰიმენის მონოლოგისა. —

Минувшее проходит предо мною
 Давно ль оно неслось событий полно.
 Волнуясь, как море—океан.

გმავე ბარათში ნ. ბარათაშვილი სწერს გრ. ორბელიანს, „სხვა რაღა მოგწერო, მეც სამსახურში მივეშურები и вообще здесь: И грустно, и скучно, и некому руку подать в минуту душевной невзгоды»

140 ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, აკაკი გაჩეჩილას და ივანე ლორთქიფანიძის რედაქციით, თბილისი, 1972, გვ. 121. შემდეგში ყველგან ადგილები დამოწმებულია ამ გამოცემას მიხედვით. ფრჩხილებში აღნიშნული იქნება გვერდი.

(გვ. 122). თავისი განწყობის გამოსახატავად ლერმონტოვის ცნობილი ლექსიდან „*И скушно и грустно*“ ციტირებულ ამ ორ ბჭკარედში დასაწყისის პირველი ორი სიტყვა ერთმანეთთან არის შენაცვლებული. ა. სავინაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში კი, რომელიც ლერმონტოვის ლექსის სწორედ ამ ორი სიტყვით მთავრდება, მათი ლერმონტოვისეული თანმიმდევრობა დატულია. „ტყუილად ვხუმრობ: *Скучно, грустно*“, (140), სწერს პოეტი ადრესატს. ნ. ბარათაშვილი გიმნაზიაში გასცნობია მიცკევიჩის შემოქმედებას. მას, როგორც გრ. ორბელიანისადმი 1841 წლის ბარათიდან ირკვევა, ქართული ლიტერატურა გაუმდიდრებია ცნობილი შტიუმერის — იოჰან ლაიზევიცის ტრაგედიის „იულიუს ტარენტელის“ რუსულიდან თარგმანით, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. „ჩვენმა ლიტერატურამ — წერს ნ. ბარათაშვილი იმ ბარათში, — ორი კარგი თარგმანი იშოვა. ყიფიანმა გადმოთარგმნა «*Ромео и Джульета*» შექსპირის ტრაგედია, და მე ვთარგმნე «*Юлий Тарентский*» — ტრალედია ლაიზევიცისა, თუ წაგიკითხავს, „ბიბლიოთეკაში“ იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს“ (გვ. 111). ნ. ბარათაშვილის დაინტერესება ლაიზევიცის „იულიუს ტარენტელით“ სულაც არ არის შემთხვევითი. არსებულსა და შესაძლებელს შორის გათხრილი ღრმა უფსკრულის მტკივნეულად აღმქმელ პოეტს „ძალიან“ უნდა „მოსწონებოდა“ დესპოტიზმის წინააღმდეგ მიმართული ეს ნაწარმოები, რომელშიც მძლე სიყვარულის ტრაგიკული განცდა და დასასრული მკიდროდ არის დაკავშირებული ეგოიზმის გამომკვებავ ანტაგონისტურ, დისპარმონიულ სინამდვილესთან. ნ. ბარათაშვილს, ზაქარია ორბელიანისათვის გაგზავნილ წერილში რომ სწერდა: *Дай мне маленькое независимое состояние, я бы сейчас оставил и спел и людей с их ненасытностью и мжно и покойно провел бы патриархальную жизнь в лоне простой природы, столь величественной и прекрасной в нашем отечестве* (123), არ შეიძლება არ გაეზიარებინა მეამბოხური სულისკვეთება მანკიერ თანადროულობასთან შეურიგებელი, უტოლამხანაგოდ შთენილი, სულით ობლობის მწვავედ განმცდელი იულიუს ტარენტელისა, რომელსაც სძავს „საზოგადოება, სადაც არავინ არ არის თავისუფალი, სადაც ყველანი ერთიმეორის მონები არიან, სადაც თვითეული მობმულია იმ ჭაკვზე, რომლითაც დაბმული ჰყავს თავისი მონა“¹⁴¹ და რომლის სიტყვებიც — „აჰ მომეცით მინდორი სამთავროს მაგიერ, მოჩუხჩუხე წყარო — მოზეიმე ხალხის მაგიერ!.. მომეცით გუთანა ჩემთვის და ბურთი ჩემი ბავშვებისათვის... დიდება? დაე, ისტორია ნურა-

¹⁴¹ იოჰან ლაიზევიცი, იულიუს ტარენტელი, თარგმანი გ. ნაღარაძისა, 1958, გვ. 53.

ფერს ჩასწერს თავის წიგნში იულიუს ტარენტელისთვის განკუთვნილ ფურცელზე¹⁴² — ხედმიწევნით გამოხატავს ციტირებული წერილის განწყობილებას. „მერანის“ ავტორი შეუძლებელია გულგრილი დარჩენილიყო გვიდოს დევიზის მიმართაც — „იყო ადამიანი... ეს იმას ნიშნავს იმოქმედო“, ოღონდ გვიდოსაგან განსხვავებით ნ. ბარათაშვილს ადამიანის მოქმედების იმპულსადაც და მიზნადაც „სოფლის სარგობა“ ჰქონდა წარმოდგენილი და არა პირადი პატრემოყვარება და ანგარება.

მაგრამ ბარათაშვილი ქართული მწერლობის „ევროპეიზმის მწვერვალად“ გვევლინება არა მარტოდენ იმის გამო, რომ კარგად იცნობდა ევროპულ ლიტერატურას, რამაც, ცხადია, ხელი შეუწყო მისი შემოქმედების ევროპეიზმს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ქართული პოეზიის ტრადიციებზე აღზრდილმა პოეტმა, — რაც სათანადოდ არის გარკვეული აქად. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის ნარკვევებში, პ. ინგოროყვას, აკ. გაწერელას, დ. გამეზარღამეილის, ს. კილაიას, გ. ასათიანის და სხვ. შრომებში, — გაცილებით უფრო გაბედულად, ვიდრე გრ. ორბელიანმა, დაარღვია ქართულ მწერლობაში დაქვეიდრებული, უკვე გაცვეთილი შტამები, გააფართოვა ქართული პოეზიის მხატვრული შესაძლებლობის არე და, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, აიყვანა ქართული ლიტერატურა მოწინავე რუსულ-ევროპული პოეზიის, იმდროინდელი განვითარების დონეზე. გ. ასათიანის აღნიშვნისამებრ, ნ. ბარათაშვილისათვის ორგანულად მიუღებელი იყო ლექსის გარეგნული, ტექნიკური სამკაულებით გატაცება. რადგან მისთვის პოეტურობის, მხატვრული, ესთეტიკური მშვენიერების საიდუმლოება უშუალოდ და განუყოფლად იყო დაკავშირებული თვით შინაარსის, აზრის, განცდის თუ განწყობილების შინაგან პოეტურობასთან ლა ამიტომაც მისი „შემოქმედება კლასიკური ნიმუშია იმ უმადლესი პოეტური ხელოვნებისა, რომლის შედეგად თვით ფორმაც შინაარსის ნაწილად ითვლება“.¹⁴³

ეს ტენდენცია ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასა იგრძნობა უკვე ყრმობისდროინდელ ნაწერებში, კერძოდ, ლექსში „ბულბული ვარდზედ“ (1834). რომელშიც ავტორი თემის მიხედვით კი უხდის გარკვეულ ხარკს ქართულ მწერლობაში დამკვიდრებულ „ვარდ-ბულბულიანობის“ ტრადიციას, მაგრამ პრინციპულად განსხვავდება მისგან. სახელდობრ, კ. აბაშიძიდან დაწყებული ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გაზიარებული შეხედულებისამებრ ნ. ბარათაშვილის „ვარდზედ მჭდარ“ ბულბულს. „განთიადით დამემდე ვარდის კოკრობას“ რომ უმღერის და მიმართავს მას —

¹⁴² იოჰან ლაიხეიცი, იულიუს ტარენტელი, თარგმანი გ. ნადირაძისა, 1958, გვ. 53.

¹⁴³ გ. ასათიანი, ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე, 1974, გვ. 133.

გულს ის უკლავს, რომ წამიერი რულმორევის შემდეგ გამოფხიზლებულმა „ნახა ვარდი ფურცვნილი“.

მოქმედების, განვითარების პროცესის წვდომის ეს სურვილი ნ. ბარათაშვილს აახლოებს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში უკვე ძლიერად გამოხატულ დიალექტიკურ აზროვნებასთან, რომელიც „პროცესის, ე. ი. განუწყვეტელი მოძრაობის, ცვალებადობის, გარდაქმნისა და განვითარების სახით“ წარმოადგენს „ბუნებრივ, ისტორიულ და სულიერ სამყაროს“¹⁴⁴ და რომელმაც თავისი გამოხატულება პპოვა ამ პერიოდის მხატვრულ ლიტერატურაში.

სწორედ მოვლენათა განვითარების პროცესის წვდომის და სამყაროს უღრმეს საიდუმლოებათა ამოხსნის ეს ცხოველი სურვილი ბარათაშვილისა (რომლის შემოქმედებაშიც, — მჭიდროდ რომ არის დაკავშირებული თავისი ხალხის საზოგადოებრივ-სულიერ ცხოვრებასთან, — დიდი თბიქტური შინაარსი შერწყმულია ღრმა სუბიექტურობასთან. რასაც ბელინსკი „ახალი რომანტიზმის“ ნიშანდობლივ თვისებად მიიჩნევდა) და, ი. ჭავჭავაძის აღნიშვნისამებრ, „უღონობა ამ სურვილის მიუწვდომლობისა“, უმთავრესად კი იდეალსა და სინამდვილეს შორის არსებული კოლიზიის ტრაგიკული განცდა ანათესავებს „სულო ბოროტოს“ ავტორს მსოფლიო ლიტერატურის, განსაკუთრებით, რომანტიკული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან.

დიან, ნ. ბარათაშვილი, — რომელიც მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში „ევროპეიზმის მწვერვალად“ იმიტომ გვევლინება, რომ მან ქართული პოეზიის მხატვრული შესაძლებლობის არის გაფართოებასთან ერთად „ჩვენს აზრს, ჩვენს გულისტქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“ და რომელიც „სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადაუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არრწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა“¹⁴⁵, — სისხლით ხორცამდე რომანტიკოსია.

ადამიანის ბედსა და დანიშნულებაზე ღრმად დაფიქრებული ნ. ბარათაშვილი თავისი „სულის სიცილიერით აღვსების“ მთავარ მიზეზად „ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომლობას“, „ადამიანის სურვილთა

144 К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. т. II, стр. 23.

145 ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებულ თხზულებათა ტ. III, გვ. 219.

უსაზღვროებას“ და „ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებას“ რომ მიიჩნევდ: («Непостижимость цели нашего назначения, безграничность желаний человеческих и суета всего подлунного наполнили мне душу ужасною пустотою» (123) — სწერდა ზ. ორბელიანს). მწვავედ განიცდიდა ცხოვრების ბედუქულმართობას და დედ-მამით, ნათესავებითა და ტოლ-ამხანაგებით გარშემორტყმული მტკივნეულად გრძნობდა სულით ობლობას „ამ სავესე და ვრცელ სოფელში“ (118), რადგან საზოგადოებაში, სადაც ცბიერება გამეფებულიყო და ანგარებისათვის დაედგათ ტახტი, „უნაზესი სულიერი აღნაგობის მქონე“¹⁴⁶ პოეტს ვერ ეპოვნა „მაღალი გრძნობის“, „მშვენიერი სულის“ მატარებელი ადამიანი, ვინც მას გაუგებდა და მეგობრულად გაუწვდიდა ხელს. „დიდი ხანია ობოლი ვარო“ სწერდა ნ. ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს. მერე განუმარტავდა მარტომყოფობის მიზეზს — „ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიქად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიც ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სობრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისაო“ და გულდაკოდლი ეკითხებოდა ადრესატს „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“ (118—119).

დაობლებული სულის გულის სიდრმემდე შემძვრელი კენესა გამოხატული აქვს პოეტს ამ წერილისათვის დართულ ლექსში „სული ობოლი“, რომელიც, თავისი შინაარსითა და განწყობით, რომანტიკულ პოეზიაში ფართოდ გავრცელებულ ამ მოტივზე შექმნილ ლირიკულ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით ესადაგება ბაირონის „დონ-ჟუანის“ მეჩვიდმეტე სიმღერას¹⁴⁷.

მსგავსად ნ. ბარათაშვილისა, რომელსაც მარტოდენ სულით ობოლი მიაჩნია საბრალოდ და წერს —

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
 ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას!
 საბრალთა მხოლოდ სული ობოლი,
 ძნელა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

146 გ. ქიქოძე, ზემოდასახელებული „ეტიუდები და პორტრეტები“, გვ. 112.

147 თუმცა ნ. ბარათაშვილის წრეში ბაირონი საკმაოდ პოპულარული იყო და პოეტის მეგობარი მ. თუმანიშვილი თარგმნიდა კიდევ მას, მაგრამ „დონ ჟუანის“ მეჩვიდმეტე სიმღერას შეუძლებელია გაეცნობელი ყოფილიყო „სულით ობოლის“ ავტორი, რადგან იგი პირველად გამოქვეყნდა 1903 წ. კოლრიჯის მიერ გამოცემულ ბაირონის თხზულებათა კრებულში.

მეგობართა, ნათესავთ მოკლებულა
 ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული,
 მაგრამ ერთხელ დაობლებულ სულა
 მარად ითმენს უნუგემობას კრულია

და დაასკვნის —

ძნელი არის მარტობა სულისა:
 მას ელტიან სიამენი სოფლისა,
 მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
 ოხვრა არის შვევა უბედურისა! (38) —

ბაირონიც „ობლებით სავსე“ ამ ქვეყანაზე სიბრაღეულის ღირსად თვლის არა მშობელდაკარგულ ყრმათა „გულით ობლობას“, რადგან „ბევრი მარტოდ მდგომი ხე უფრო მაღალი იზრდება, ვიდრე ტყის ტევრე-ჩგუფად მდგომნი“, არამედ მარტობისთვის განწირულ უტოლ-სწორო „მდიდარ ობლებს“. აქვე ბარემ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ნ. ბარათაშვილის ზემოთ ციტირებული წერილის ის ადგილი, სადაც იგი აღნიშნავს, „შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერავის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში“, საოცრად ჰგავს „ჩაილდ ჰაროლდის“ მეორე სიმღერის 26-ე სტროფში გამოხატულ ჩივილს ჰაროლდისა, იმის გამო, რომ აღამიანი ხალხში; „დღემიწის დაქანცულ მცხოვრებთა შორის“ მარტო გრძნობს თავს, რადგან „არავინაა, რომ ჩვენ გავკაბედნიეროს. ან ჩვენ შეუძლოთ მისი გაბედნიერება (None who bless us, none whom we can bless), არავისაგან მოელი ღიმილს, გარდა მლიქვნელებისა და ამიტომაც ბედის ნებიერნიც იტანჯებიან მწუხარებისაგან. „ეს არის მარტობა“ (This is to be alone, this is solitude), დაასკვნის ჰაროლდი.

თავისი ბედით უკმაყოფილო პოეტი, — რომლის „ზრახვათა და სავადელთა“ ყრმობიდანვე „სიზმრად თუ ცხადად“ მუდამ მისი თანმხლები „ხმა იღუმალი“ (რომელიც, ი. ჰავჭავაძის შეხედულებით, „ხედრია მარტო მისი, „ვისაც ცეცხლი სული აქვს და ზღვა გული“, როგორც თვით ნ. ბარათაშვილი ნაპოლეონზედ ამბობდა¹⁴⁸) საბოლოოდ „გონებისა და სიცოცხლის აღმამფთთარ“ „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოების“ ჩამკვლელ ბოროტ სულად მოევიწინება, ვინც „აღურია“ „წრფელი ზრახვანი“ და ჰაბუკობის ეპოს აღთქმული „საშვენი მხვედრის“ ნაცვლად „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალად“ „მთენილს მარტობა არგუნა წილად—გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „შინაგანი ხმა მიწვევს

148 ი. ჰავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 213.

საუკეთესოს ზვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებული! ნუ გძინავს! მე არ მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამოყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა!“ (120). მაგრამ ამაოდ სჯეროდა „სულო ბოროტოს“ ავტორს, „პატარა ღრე-კლდის“ გამყვანი კაციც რომ გამოჩენოდა, „გაშლილ ადგილს“ დაადგებოდა და „თავისუფლად ამოისუნთქავდა“, რადგან, როგორც კ. აბაშიძე აღნიშნავდა, მეტად ურწმუნო გონებისა და ღრმა გრძნობით აღსავსეს „ისეთი პატარა მოსაზრებანი ვერ დააქმყოფილებდნენ, ვითომ მისი ტანჯვა ამა თუ იმ წარმავალი მოვლენის, ანუ მიზეზის შედეგი იყოს“¹⁴⁹. რა მდგომარეობაც არ უნდა ჰქონოდა მას, „გამოუცნობლის და მიუწვდომლის“ გარკვევის მიზეზთა მაძიებელი, თავისი „ცეცხლი სულისა და ზღვა გულის“ გამო ვერსად იპოვნიდა „გაშლილ ადგილს“, ისევე როგორც ვერ იპოვნა იგი ინგლისის ლორდთა პალატის წევრმა ბაირონმა, რომელიც, გოეთეს დახასიათებისამებრ, მიუხედავად „განუსაზღვრელი პირადი თავისუფლებისა თავს შეზღუდულად (beklommen) გრძნობდა“, რომლისთვისაც თავისი „მუდამ განუსაზღვრელობისაკენ მსწრაფი ბუნების“ გამო „ყველგან სივიწროვე იყო (es war ihm überall zu enge) და ქვეყანა საპყრობილეს წარმოადგენდა (Die Welt war ihm ein Gefängnis)“¹⁵⁰.

ცხადია, ნ. ბარათაშვილის „გულის საშინელი კვილის“ გამომწვევი მიზეზი ობიექტური ვითარება იყო, ის გარემო, რომელშიც სული ეხუთებოდა პოეტს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს საშინელი კვილი გულისა „მარტო იმდროინდელი საქართველოს სავალალო მდგომარეობით, ე. ი. მხოლოდ ობიექტური ვითარებით კი არ იყო პირობადებული, არამედ ამ ვითარებისადმი მისი პირადი მიმართების ხასიათითაც, სახელდობრ, პოეტის ინდივიდუალობის იმ სუბიექტური თავისებურებებითაც ისაზღვრებოდა, რომელიც მას მძიმე ცხოვრების სწორედ რომანტიკული და არა რეალისტური აღქმა-ათვისების უნარს სძენდა“¹⁵¹.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედების პირველი დიდი დამფასებელი ილია ჭავჭავაძე სწორედ ობიექტური ვითარებისადმი პირადი მიმართების ხასიათს უსვამს ხაზს და „აზრგაღვიძებული... ეკვით გულ-ღვიძლამდე გაბნეული, მოუსვენარი და ჰემმარიტების მუდამ მაძიებელი“¹⁵² პოეტის

149 კ. აბაშიძე, უტიულები, 1962, გვ. 68.

150 Eckermann, Gespräche mit Goethe. 1956, S 167—168.

151 ო. ჭინორია, ნ. ბარათაშვილის რომანტიზმისათვის. თბ. უნივერსიტეტის შრომები 163, ლიტერატურათმცოდნეობა, 1975, გვ. 85.

152 ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 216.

სუბიექტური თავისებურებებით ხსნიდა „იმ საშინელ კვილს გულისა, იმ თავგანწირულ გიჟურ ლტოლვას და სრბოლას უგზო-უკვლოდ კლდეებსა და ღრეებზედ, რომელნიც მან თავის „მერანში“ გამოთქვა“¹⁵³, როცა ამბობდა „ქვეყანაზედ ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნე, ზოგი იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ... (ხოლო) ჩვენს პოეტს ეს რწმენა დაკარგული ჰქონდა, როგორც მისი „სულო ბოროტო“ გვიმტიციებსო“¹⁵⁴.

რწმენის ამ დაკარგვის შედეგი იყო, რომ „სოფლის სარგოდ ღწვის“ აუცილებლობის მაღიარებელი ნ. ბარათაშვილი, ვისი „გულისთქმანი... გრძნობანი... ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე მარტო მისი საკუთარი გულისთქმანი“¹⁵⁵, აბსტრაქტულად კი ამბობდა —

მაგრამ რადგანაც კაცი გვექიან — შეიღნი სოფლისა,
უნდა კლდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა,
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი შევდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს! (30) —

მაგრამ კონკრეტულად ვერ სახავდა მიზანს, რომლის განხორციელები-სათვის ფაუსტური იდეების მატარებელს ფაუსტის მსგავსად მოეწოდებინა — „თავისუფლების და სიცოცხლის ღირსი ეს არის, ვინაც ყოველდღე, განუწყვეტლივ ამისთვის იბრძვის (täglich sie erobern muß) და ამ მიზნისათვის აღძრული ხალხის ხილვისას ეთქვა — მშვენიერი ხარ, შეჩერდი, წამო (verweile doch, du bist so schön).

ღიახ, არსებული ვითარებისადმი პირადი მიმართების ხასიათით, სუბიექტური თავისებურებებით აიხსნება ის, რომ, როგორც აღნიშნავდა ი. ჰაქვაძე, — ვინც „მერანის“ ავტორის მსგავსად მწვავედ განიცდიდა სამშობლოს სავალალო ბედსაც და საკუთარ სულით ობლობასაც („მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის, ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო, რომ შენს მიწაზედ ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვეუზიარო“ — წერდა ილია), მაგრამ „რწმენადაუკარგავი“ და ამიტომ „საგნის მხილველიც“ „ღმერთთან მისთვის მოლაპარაკე“, რომ წაძლოლდა „წინა ერსა“, „სოფლის სარგოდ“ მოქმედების აუცილებლობის აბსტრაქტული აღიარების ნაცვლად კონკრეტულ გზებს სახავდა საზოგადოების განვითარების შემაფერხებელ მანკიერებათა დასაძლევად და პრაქტიკულად ზრუნავდა მისთვის, — ნ. ბარათაშვილი „სასვენ ბინას ველარ პოულობდა დედამიწაზედ... რადგანაც ქვეყანაზედ ბინა აღარსად ეგულებოდა, რომ

153 ი. ჰაქვაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 214.

154 იქვე, გვ. 217.

155 იქვე, გვ. 211.

ჰკლავ-გონებისათვის ეთქო: „აჰ, დასდექ და შეისვენო“¹⁵⁶. და ანტაგონისტურ საზოგადოებაში გამეფებული დიპარმონიის ტრაგიკულად აღმქმელი პოეტი მისებრ „მწუხარ და სევდიან“ (24) ბუნების წიაღში „ეძიებდა სადგურს... რომ დაეშო იქ ამაოება“ (24—25). ზოლო ბუნების წიაღში ეს გაქცევა (თუმცა სხვადასხვა ზომით, მაგრამ საყოველთაოდ დამახასიათებელი ნიშანი რომანტიზმისა), კ. ხორვატის აღნიშვნისამებრ, წარმოადგენდა „ფართო იდეურ მიმდინარეობას“, რომელიც შედეგი იყო „ფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის ანტიპოდანურობით გამოწვეული უკმაყოფილებისა“¹⁵⁷.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ბუნება ანტროფომორფიზებულია, იგი გაიგივებულია მოაზროვნე სუბიექტთან და გამოხატავს. კემ-მარიტად ღრმა იდეებსა და განცდებს, დიდ ადამიანურ გრძობას, რაც იმავე კ. ხორვატის შეხედულებით „ბუნების რომანტიკულ პოეზიას დღემდე უნარჩუნებს ესთეტიკურ ღირებულებას“¹⁵⁸.

ბუნების ეს ანტროფომორფიზაცია, მისი სუბიექტივიზაცია, რისი ნიშნები ჯერ კიდევ ალ. ჰავეჰავაძის პოეზიაში გვხვდება, ხოლო გრ. ორბელიანის შემოქმედებაში გამოკვეთილად არის წარმოდგენილი, ანათესავებს ნ. ბარათაშვილს რომანტიკული სკოლის საყოველთაოდ აღიარებულ კორიფეებთან, განსაკუთრებით კი ამ მიმდინარეობის იმ წარმომადგენლებთან, ვინც პანთეისტურად აღიქვამდა მას.

მსგავსად ლერმონტოვისა, რომელსაც „სულის წუხილი“. მისივე სიტყვებით, „მაშინ უამდება“ და „უქრება სახეზე ნაოკები“, მანინ შეუძლია „ჩასწდეს ბედნიერებას მიწაზე“ და „იხილოს ღმერთი ზეცაში,“ როცა ბუნების წიაღში მყოფი „შეყვითლებული ქვილის ღელვას“ ზედაეს, ნიავის ქროლვით გამოწვეულ „ნორჩი ტყის ფოთოლთ შრიალს“ ისმენს და როცა მას „დაცვარული ბუჩქის ძირიდან“ „მხიარულად ესალმება ვერცხლისფერი შროშანა“, ხოლო „ხევში მორაკრაკე ცივი წყარო საიდუმლო საგას ეჩურჩილება შორეულ მხარეებზე, საიდანაც ის მონაგარობს“¹⁵⁹, ნ. ბარათაშვილიც „ხან მცინარესა და ხანაც ცრემლიან“ ბუნებაში „მიიღტვის სანუგეშებლად“, „წუნარ საღამოს ვით მეგობარს“ შესტრფის, ლავარდის „მჭერეტელს“ (ზეცისაკენ რომ წარმართავს მის ფიქრთ მსვლელობას) ავიწყდება „საწუთროება“ და „მხურვალე ლოცვით მიქანცებული“ „უმანკო სულის“ მსგავს „დისკო-გადანხრით შუქ-

156 ი. ჰავეჰავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 214.

157 К. Хорват, Романтические воззрения на природу. сб. Европейский романтизм, 1973, стр. 205.

158 იქვე, გვ. 206.

159 М. Лермонтов, «Когда волнуется желтосищая нива». Полное собр. соч. т. I, 1948, стр. 24.

მიბინდული“ მთვარის შუქზე „ციურნი ცვარნით“ დანამული „გულდახურულთა მეგობარი მთა ღრუბლიანის“ ხილვა ანიჭებს მისთა „ფიქრთ შევებას“ და ხსნის „გულსა ვაებას“.

რომანტიკულ პოეზიაში ბუნებასთან ასეთი დამოკიდებულების გამოხატველ მრავალ ნიმუშთაგან ნ. ბარათაშვილის ლირიკული გმირის მიერ უტყვი სამყაროს აღქმას განსაკუთრებით ესადაგება ბუნების ჩაილდ პაროლდისეული განცდა-გაგება.

ერთმანეთისათვის ბედნიერების მინიჭების უნარმოკლებულ ადამიანთა შორის სულიერი ნათესავის (Kindrid) ვერ მხოვნი პაროლდი, გულქვა და მლიქვნელ საზოგადოებას, სადაც იგი სრულ მარტოობას გრძნობს (ეს არის მარტოობა — *this is solitude* — ამბობს იგი მეორე სიმღერის 26-ე სტროფში), უპირისპირებს ბუნებას, რომელიც თ. ზანდუკელის აღნიშვნისამებრ მას „არა მარტო ამშვიდებს“, არამედ „მთლიანი სამყაროს“ შეგრძნების თუ გაგების¹⁶⁰ საშუალებას აძლევს. დაბურულ ტყეებსა და შადალ მთებში მოხეტიალე, მდინარის ნაპირზე მჯდომი და ციცაბო კლდეებიდან გადმოშვებული აქაფებული ჩანჩქერის შემყურე იგი მარტოდენ ბუნების წიაღში გრძნობს თავს ლაღად. „ეს არ არის მარტოობა (*this is not solitude*), ეს არის ბუნების მომხიბლაობასთან საუბარიო (*converse with nature's charms* — სიმღერა მეორე, სტროფი 25-ე), ამბობს პაროლდი, ვისაც ბუმბერაზ მთებში ჰყვება მეგობრები, გაშლილი ოკეანე წარმოედგინა მშობლიურ სახლად და ლურჯი ცის ქვეშ მოხეტიალეს შევებას ანიჭებდა უდაბნოც, ტყის ფრთოლთა შრიალიც და მდინარის ბუტბუტიც, რომელთა მეტყველება მშობლიური ენით დაწერილ წიგნზე უკეთ ესმოდა (*They spoke a mutual language clearer than tome of his land's tongue* — მესამე სიმღერა, სტროფი მე-13). აქვე ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ მიცკევიჩის „ძიადებიდან“ მწირის მონოლოგი, სადაც გულქვა საზოგადოებას დასამდგარი გუსტავი კიპაროსის ტოტის გამო, — რომელიც „ყველა მეგობართაგან ერთადერთი შერჩენია, მისი გულის საიდუმლოებას რომ ფლობს“, — ამბობს „უგრძნობელია იგი, მაგრამ გულითადობით ადამიანებზე მდიდარი არისო“¹⁶¹.

ნ. ბარათაშვილიც მსგავსად პაროლდისა და მანფრედისა, — რომელიც „წარმტაცი ღამით“ მოხიბლული შეჩვევია „მნათობით მოქედილ ცის ქვეშ, მის დამშვიდებულ და ნაღვლიან მღუმარებაში აღლო აულო“

160 თ. ზანდუკელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ჯორჯ გორდონ ბაირონი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. თბილისი, 1947, გვ. 108.

161 Адам Мицкевич, Стихотворения, поэмы, Библиотека всемирной литературы, 1968, стр. 248.

იმქვეყნიურ იდუმალ ენას“ (მანფრედი, მოქმედება მესამე, სცენა მე-ოთხე) — „როს მკმუნვარება“ შემოესევა მთაწმინდის „დამაფიქრებელ, ვერან და უდაბურ“ ადგილს მიაშურებს, ან „წყალის პირს“ მიდის „სე-ვლიანი ფიქრთ გასართველად“, ყურს უდგებს „მრავალ დროებს მო-წამე, მაგრამ უტყვი“ მტკვრის ბუტბუტს და, „აუესებელ საწყაულად“ წარმოდგენილ წუთისოფელზე დაფიქრებულო, „იქ ლბილს მდელოზედ სანუგეზოდ“ ცრემლით ინამება. „განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე“ „მრავალშტოვან“, „პაეროვან“ ნორჩ ალვის ხეს ეტრფის და, მის ჩრდი-ლში მეოცნებე, საამოდ მიიჩნევს „მისთა ფოთოლთა შრიალთა სმენას და წყალთ დუდუნზე უკუღმართისა ამა სოფლისა ჭირთა დათმენას“ (59) და დარწმუნებული, რომ „არს ენა რამ საიდუმლო უსაყოთაჲ და უსულთ შორის და უცხოველეს სხეთა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის“ (59), თანაუგრძნობს მტკვარს, რომელიც ნორჩ ჩინარს „ვი-თა მიჯნური სატრფოს ამყსა... ფერხთა ევლების“, მაგრამ „უფსკრუ-ლიდამ აღმორხეული“ „მედიდურად და სიამაყით“ მდგომი „ტურფა, მალალი“ „ალვის ხისა“ ვერ მწვდომი „აღელილი კლდესა ეხლების“ და ქარის ქროლვით შერხეული საროს შემყურე „თითქოს სიშურიოთ შემფოთებული... კლდის პირებზე ზვირთთა შემუსრავს“ (59).

„მინაზებული“ გარემოს (24) „მყუდრო საღამოს“ (25), „მიბინ-დული, გრილი და ამო“ ლამის (28), ისევე როგორც „ცისა ფერის, ლუ-რჯი ფერის, პირველად ქმნილი ფერის“ (63) მეტრფე პოეტის ბუნების-სადმი რომანტიკული დამოკიდებულება გამოხატულია მიხეილ თუმანი-შვილისადმი წერილშიც («...Я оживляюсь только по вечерам лун-ным, так прекрасным в Тифлисе. Вчера, в один из этих вечеров, пошел я бродить к Московской заставе; вдруг я очутился на кладбище. Признаюсь, немного смутился, когда я взглянул на это опемение: 11-ть часов ночи. Но души! Кругом пустота веч-ная; луна тускло освещает могилы, как догорающая лампада усопшего. Тихо и медленно протекает Кура, как-будто боясь на-рушить покой в этом упылом мире... я не хочу смущать тебя мрач-ными думами, которые навело мне на душу это зрелище небеспо-земное! Но скажу, что прекрасное изобретение кладбище, а это необходимо, чтоб смертный порой чтилвал бы по нему свою жизнь». გვ. 109) — რომელსაც ხელს მოაწერდა თვით ნოვალისიცი. მა-გრამ საპირისპიროდ „ლამისადმი ჰიმნების“ ავტორისა, ვინც, როგორც გრ. ორბელიანის შემოქმედების განხილვისას აღვნიშნეთ, ლამესა და სასაფლაოს „აბსოლუტური“ მყოფობის სიმბოლოდ რაცხდა, „საცოდავ სინათლესთან“, „ღღესთან“ გამომშვიდობებაში ჰპოებდა „სიხარულსა

და ნეტარებას“¹⁶², „სინათლის შეზღუდულობას (zugemessen) და ღამის მარადიულ და უკიდევანო ბატონობას“¹⁶³ უმღეროდა, თავის „ნაზ სატრფოს“ „ღამის საყვარელ მზედ“¹⁶⁴ მიიჩნევდა, „წმინდა, გამოუთქმელი საიდუმლოებით საცხე ღამის“¹⁶⁵ მებოტბე და ღლის სინათლის უარყოფელი სევდიანად კითხულობდა: „ნუთუ ყოველთვის გათენდება? არასოდეს მოეღება ბოლო მიწიერის ძალადობასო? — ...muß immer der Morgen wieder kommen? Endet nie des irdischen Gewalt“¹⁶⁶, ნ. ბარათაშვილი „მკმუნეარების“ ჟამს „მყუდრო“ და „საამო! საღამოს“ იმიტომ მიმართავდა, იმიტომ „დაშთენოდა“ „სანუგეშებლად“ იგი, რომ მას „მზიანი დილა“ უნდა მოჰყოლოდა, ანუ, როგორც პოეტის ამბობს —

პოე საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დაშთი ჩემდა სანუგეშებლად!
 როს მკმუნეარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარებლად!
 მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან ჭიიღებს
 რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს.

(ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

„მზიანი დილის“ დადგომის ეს იმედი განასხვავებს ნ. ბარათაშვილის პოეზიას ნოვალისის ტიპის რომანტიკოსებისაგან და ანათესავებს მის ნაწარმოებთ ლერმონტოვის, შელისა და ბაირონის, ჰაინეს, მიცკევიჩისა და პეტეფის შემოქმედებასთან.

მართალია, ნ. ბარათაშვილი, როგორც აღენიშნეთ, „სანუგეშებლად“ და „სევდიანი ფიქრთ გასართველად“ ხშირად მიმართავს „ღამაფიქრებელ ვერან და უდაბურ ადგილებს“, „მიბნედილ, გრილ და ამო საღამოს“ და „ზეციურ-ქვეყნიურ“ სანახაობად მიიჩნევს სასაფლაოს პეიზაჟს, როცა „მთვარე მკრთალად ანათებს საფლაეებს“ და „ჩუმად და ნელად“ მობუტბუტე მტკვარი არ არღევს „ამ სევდიანი ქვეყნის მყუდროებას“, მაგრამ მთლიანად აღებული შემოქმედება პოეტისა, რომელიც ლექსში „არ უკიყინო, სატრფოო“, ამბობდა —

მინდა მზე ვყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
 საღამოს მისთვის შთაეიდე, რომ დილა უფრო ვახოველო.
 მინდა, რომ ვყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
 რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.
 მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცკარი,
 რომ განაცოცხლო შვარსო, მღელო, სიცხთა დამკვნარი.

¹⁶² Novalis. Sämtliche Werke, herausgegeben von Carl Meisner, 1893, S. 84.

¹⁶³ იქვე, გვ. 86.

¹⁶⁴ იქვე, გვ. 85.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 84.

¹⁶⁶ იქვე, გვ. 86.

რომ მხოლოდ შვისა ციაგე მას დღის ნაშა იპრობდეს და ერთად შესხივებულნი შეებას მოჰქენდენ სიციცხლს, არეს აესებდენ სიამით, მკენარეთ განმაცხოვლებლად. იყენენ მარადი, უხსნელად, სოფლისა განსათავებლად! (43) —

სწორედ დღის ციაგს შესტრფის და სიციცხლის სიკვდილზე გამარჯვებას უმღერის. ნ. ბარათაშვილის პოეზიისათვის ისევე უცხოა ღამისა და სასაფლაოს „პოეტიზაცია“, როგორც, ი. ნეუპოკოევის მართებულნი შეხედულებებისამებრ, „სული ობოლის“ ავტორისათვის „ორგანულად უცხოა ამ ობლობის ყოველგვარი პოეტიზაცია და ესთეტიზაცია, რაც ასე დამახასიათებელია ნოვალისის „ღამისადმი ჰიმნებისა“ და ა. დე ვინის პოეზიისათვის“¹⁶⁷. და ამიტომაც, მიუხედავად თანამედროვე სინამდვილით გამოწვეული უკმაყოფილების შედეგად ნ. ბარათაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გამოხატული სასოწარკვეთილებამდე მისული მწუხარებისა და სულის სიღრმემდე შემძვრელი გულის კენესისა, მთელი მისი შემოქმედების მიმართ, — რომელიც არსებითად და საბოლოოდ წარმოადგენს ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ზრუნვისა და „ღწვისაკენ“, მართალია, მეტისმეტად აბსტრაქტულ, მაგრამ ღრმად პროგრესულ და გულწრფელ მოწოდებას — იგივე ითქმის, რასაც ამბობდა მაქსიმ გორკი რევოლუციური (მ. გორკის ტერმინით „აქტიური“) რომანტიზმის გამო. სახელდობრ, მ. გორკის განმარტებით რევოლუციური („აქტიური“) რომანტიზმი „ისწრაფვის გააძლიეროს ცხოვრებისადმი ადამიანის ნება, აღძრას მასში ჭანყი სინამდვილის წინააღმდეგ, მისი ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ“¹⁶⁸.

ციტირებული ლექსი ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკის ერთი შედეგრთაგანია, რომელშიც „პოეტის სურვილი და მისი შალაი სიყვარული გადადის პანთეისტურ სწრაფვაში, შეიერთოს მთელი სამყარო, შეერთოს უსაზღვრო ბუნების დიად არსებას, შეიერთოს სატრფოს სული, როგორც ბუნების დიდი ნაწილი, და, სამყაროსთან მარადიული სიყვარულით შეერთების უქნობი ბედნიერება იზიემოს“¹⁶⁹. „უსაზღვრო ბუნების დიად არსებასთან შერწყმის“ ამ სწრაფვით იგი მოგვაგონებს გოეთეს „განიმედს“, სადაც დიდი ექსპრესიით არის გადმოცემული ბუნებასთან სრული შერწყმა გაზაფხულის ალისფერი დილის „თვალშეუდგამი მშვენიერებით“ მოხიბლული, ათასგვარ ვნებად გულში ჩაღვრილი სითბოს ნეტარებით განმცდელი და „ყოვლის მეტრფე დიდ მამას“ — ზევსს მინდობილი განიმედისა, რომელსაც დილის ნიავე ეა-

167 ი. გ. ნეუპოკოევა, ზემოდასახლებული წიგნი, გვ. 297.

168 М. Горький. Полное собр. соч. в тридцати томах, т. 24, стр. 471.

169 ზ. კაკაბაძე, ნ. ბარათაშვილის ლირიკა და ეპოპური რომანტიზმის გმირი. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1974, გვ. 4.

ლერსება, „ნისლით დაბურულ მინდორ-ველიდან სსსიყვარულოდ უბ-
მობს ბულბული და ზევსი-ბუნება, რისი ნაწილიც იგი არის, ყვავილე-
ბითა და ბალახებით უცხრობს გულს და უქლავს წყურვილს¹⁷⁰.

ნ. ბარათაშვილის „არ უკიჟინო სატრფოო“, სადაც სიყვარული მა-
რთლაც „კოსმიური გრძნობის მასშტაბით არის გასხივოსნებული“, რაც,
გ. გაჩეჩილაძის შეხედულებებისამებრ; ბარათაშვილის სატრფიალო ლი-
რიკის დამახასიათებელი ნიშანია¹⁷¹, სამყაროს პანთეისტურ აღქმასთან
ერთად, წარმოადგენს სიყვარულის ბარათაშვილისეულ კონცეფციას,
რომელიც თავიდან ბოლომდე რომანტიკულია¹⁷².

170 აქვე უნდა აღინიშნოს, ნ. ბარათაშვილის ლექსის „ჩემს ვარსკვლავს“ სტრი-
ქონები —

რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო —

მიუხედავად მკვეთრი სხვაობისა, გარკვეულწილად მოგვაგონებს გოეთეს „აღმოსავ-
ლურ-დასავლური დივანის“ ლექს „ყოველგანარსი“, რომლას ლირიკული გმირი ასე
მიმართავს ზულუიკას —

ათასგვარად შეგიძლია გაუჩინარდე,
უსაყვარლესო, მყის გამოქვიცნობ.
გინდა ჭადონის საბურველი გადაიფარო,
ყოველგანარსო, უმაღლე გიცნობ.
თუნდაც წერწებთა კვიპაროსად იცელო სახე,
უტანადესო, უთუოდ გიცნობ.
ან წმინდა არხის ზეირთთა დარად რომ განიდღვრო,
უტკბესო ჩემო, მაშინაც გიცნობ.

(„განიმედიც“ და „ყოველგანარსიც“ დამოწმებულია ო. ჯინორიას თარგმანის მი-
ხედვით).

171 გ. გაჩეჩილაძე, პოეზია სიყვარულის შესახებ, „ცისკარი“, 1969, № 9,
გვ. 111.

172 გ. გაჩეჩილაძის დასახელებულ წერილში დამაჩვენებლად არის გარკვეული
სატრფიალო ლირიკის ადგილი და მნაშენლობა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში.
მაგრამ გ. გაჩეჩილაძის მიერ „ვპოვე ტაძარს“ ავტორის სატრფიალო ლირიკაზე გა-
მოთქმულ ძირითადად სწორი დებულებებიდან საკამათოა მისი შეხედულება, თით-
ქოს სიყვარულის ნ. ბარათაშვილისეული კონცეფცია „ემიჭნებოდეს რომანტიზმს“. რადგან „სიყვარული მის (ნ. ბარათაშვილის. — დ. ლ.) მსოფლგანცდაში არის არა მხო-
ლოდ ადამიანური არსებობის აპოთეოზი, იგი სამყაროს პარამონის პირობაცაა, ძველ
ბერძენთა კლასიკური აზრის კვალდაკვალ სიყვარულს იგი მარადიული კვშმარტების
წედომას უკავშირებს“ (გვ. 116). სწორედ ის, რომ ნ. ბარათაშვილი „სიყვარულს მა-
რადიული კვშმარტების წედომას უკავშირებს“ და მას წარმოიდგენს „მშვენიერების
ფორმად (71 დ. ლ.), რომელმაც მთელი კოსმიური სამყაროს მარადიულობაშია გას-
ნილი“ (გვ. 116), ანათესავენს ნ. ბარათაშვილის შეხედულებას სიყვარულზე სიყვარუ-
ლის რომანტიკულ კონცეფციასთან, რომლის მიხედვით „სიყვარული ზეციდან ჩამო-
სული სხივია“ (ბაირონი), ის გრძნობაა, რომელიც გვანიჭებს უნარს „ჩავიხედოთ სუ-

„საყურეს“ ავტორი, რომელიც შენატროდა მის ბედს, ვინც პეპელას მიერ ნელ-ნელა შერხეულ, თამამად ახრილ სპეტაკ შრომანას მსგავსად თავის აჩრდილთან მოთამაშე საყურის ჩრდილში „თვის სუნთქვას“ მოიბრუნებს, მისი სიომობერვით „გულისა სიციხეს“ განიგრილებს და „უკვდავების შარბათად“ მიიჩნევდა „გრძნებით ამრევ“ იმ საყურის ქვეშ „ბავის დატბარუნებას“ (36), სულაც არ უარყოფდა მიწიერ სიყვარულს. მაგრამ „ეშხისა ცეცხლით დაქანცულ, მიბნედილ თვალთა“ (46) მეტრფე, „სპეტაკს მკერდზედა ტრფობის ველად“ დაყრილი და ნიავის მიერ აშლილი „ლამაზი დალალებით“ „შურით აღზნებული“ (49) პოეტი თავის მეგობრებს რომ ურჩევდა—

აყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალს,

და შეაგონებდა—

სასაილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს,

და საბარაოა, რომ კაბუკი ბერიკაცობდეს! (41)—

ლის სიღრმეში“ (მიკევიჩი) და აგვამაღლებს ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებზე (შელი). სიყვარულის ასეთი გაგება დამახასიათებელია თოქმის ყველა რომანტიკოსისათვის, მიუხედავად რომანტიზმის სხვადასხვა მიმდინარეობას წარმომადგენელთა შორის არსებული მსოფლმხედველობრივი პრინციული განსხვავებებისა. საგ, გერმანელი ე. წ. რეაქციული რომანტიზმის წარმომადგენელი ნოვალისი, რომელიც „სიმნებში ღამისადმი“ ამბობდა— იყო დრო, როცა „მოდინარეებს, ხეებს, ყვავილებსა და სხოველებს ადამიანური გრძნობა (Sinn) ჰქონდათ“ (ნოვალისის ზემოდასაქლებული თხზულებანი, ტ. I, გვ. 93), მატერიისა და სულის მეტაფიზიკური კავშირის აღდგენის საშუალებად სიყვარულს სახაუდა. ცისფერი ყვავილის მამიებელი ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი მაშინ შეიძნობს სამყაროს ერთიანობას, მაშინ წარმოიდგენს ადამიანებს, ცხოველებს, ქვეებს და ვარსკვლავებს, სტიქიებს, ბეგრებს და ფერებს, როგორც ერთ ოჯახს, ერთნაირად მოქმედ და მეტყველ მოდგმად *Geschiecht*— იქვე, ტ. II, გვ. 252), როცა თავის სატრფოს— ცისფერი ყვავილის გასახიერებას— მატრილას შეუერთდებდა. სიყვარული სამყაროს შემეცნების, მისი უღრმეს საიდუმლოებათა წვდომის საშუალებად არის წარმოდგენილი ნოვალისის დაუნთავებელ მოთხრობაშიც „საინელი მოსწავლე“. აყველა საგნის დედის, საბურველ გადაფარებული ქალწულის“ მამიებელი ჰაინრიხი დიდიხნის ხეტილის შემდეგ მისხს მიადწევს. წმინდა ტაძარი მსუბუქ, ბრწყინვალე ძოწუელში გახვეული მძინარე ქალმკერტის წინაშე წარსდგება და როცა ზეცის, დედამიწისა და ქადუნის მფარველ მოწიწებით გადახდის საბურველს, მის მკლავებში აღმოჩნდება როზენბლუტხენი— სამშობლოში დატოვებული მისი სატრფო. აქ დამოწმებულ ადგილებიდან, ეფირობით, აშკარად ჩანს, რომ სიყვარულს ნოვალისი სამყაროს, მისი შემეცნებისა და ქვეშეარტების წვდომის პარობად სახაუხ და ამ ასპექტით განზილული სიყვარულის ნოვალისისეული გაგება, ისევე, როგორც რეაქციულ რომანტიზმის სხვა წარმომადგენლების გაგებაც, სიყვარულზე რეოლუციური რომანტიზმის წარმომადგენლებს, კერძოდ ბარათაშვილის შეხედულების იდენტურია. ცხადია, ეს მსგავსება სრულიადაც არ გამორიცხავს მათ შორის არსებულ პრინციულ სხვაობას სიყვარულის გზათ შესაქმნებელი სამყაროს აღქმის, მისი გაგებისა და მასთან დამოკიდებულების სფეროში. ნოვალისისაგან განსხვავებით, ვინც (ისევე როგორც შატობრაიანი, რომელიც „ამქვეყნიურ

მარტოოდენ სულთა ტოლობით გამოწვეულ სიყვარულს მიიჩნევდა „ზე-
გარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულ“ ტრფობად, რომელიც
უმაღლეს ნეტარებას ანიჭებს ადამიანს და ღვთაების სწორფრად აქცევს
მას. ამიტომაც, გ. ასათიანის შენიშვნისამებრ, კეშმარტი სიყვარულის
„აშკობისაგან“ რუსთაველისებურად გამიჩნავი ნ. ბარათაშვილი, რომელიც
იდეალური სიყვარულის რწმენას არასდროს მიუყვანია ასკეტურ
მსოფლმხედველობამდე, იმავე ლექსში თავის მეგობრებს რომ მოუწო-
დებდა, „ნუ შიარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობის ალსაო“ დაბეჯითები-
თაც აფრთხილებდა მათ —

არ შეემსველოთ მოკისკასეს, კეკელა ქალსა,
სულის დამტყვევენელს და გრძნობათა ცრუდ-მომღერალსა!
აშკობს ენა მას ახარებს, მას ასულდგმულეს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს! (42)

სიყვარულის ნ. ბარათაშვილისეული კონცეფცია ნათლად არის წა-
რმოდგენილი ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა ბანოვანო, პირუმტკიცო-
ბას?“, სადაც „სულის დამტყვევენელის და გრძნობათა ცრუდ-მომღერა-
ლის“ მგომბი პოეტი მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს ხორციელი
გატაცების წარმომშვებ „სილამაზეს“ და სულიერი ტრფობის წყაროდ
მიჩნეულ „მშვენიერებას“. — ამ ლექსში ნ. ბარათაშვილი სილამაზეს
„მხოლოდ ხორციელების ნიკად“ რაცხს, რომელიც „ვით ყვავილი, თა-
ვის დროზე მსწრაფლად დაჰკენების“ და ამიტომ „გულიც, მხოლოდ მი-
სდა შენამსჰვალები, ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები“, ხოლო
მშვენიერებას „ზეციით მოსულ ნათლად“ აცხადებს, „რომლით ნათლდე-
ბა ყოვლი გრძნობა, გული და სული“ და რომელიც ამტკიცებს რწმე-

ცხოვრებას და ადამიანს „წამიერ სიზმრად, სნეულ ოცნებად“ (სახედა) ღამეს და
სიკვდილს მარადიული მყოფობის გამოელენად მიიჩნევდა, სიცოცხლეს მარტოოდენ
დასაწყისად თვლიდა სიკვდილისა (Leben ist Anfang des Todes ამტკიცებდა იგი),
რომელსაც შეყვარებულთა საქორწინო სარეკლად რაცხდა („...Für den Liebenden
ist der Tod eine Brautnacht“) და რომელშიც სიყვარულის უმაღლეს ტკობას ხე-
დავდა („...im Tode ist die Liebe am süßesten“) და სიყვარულის მაგიურ ძალად
იპას აღიარებდა, რომ მისი საშუალებებში შეიძლებოდა ნოვალისის მიერ კეშმარტად
მყოფობად მიჩნეული ირრეალური სამყაროს შემეცნება და წვდომა, ნ. ბარათაშვი-
ლი — ისევე, როგორც ბაირონი და შელი, მიცკეიჩი და პეტეფი, მიუხედავად არსე-
ბული სინამდელით გამოწვეული მათი უქმყოფილებისა, ამ რეალურ სამყაროს პოს
რომ ეუბნებთან, ანუ მ. გოგბერძის შეხედულებისამებრ „ჰოყოფას“ აღიარებენ —
სიყვარულს სწორედ ამ სამყაროს „პარმონის პირობად“ და „მარადიული კეშმარი-
ტების წვდომის“ საშუალებად სახავს, ადამიანის სიცოცხლის ბედნიერების, „დაბნი-
დულისა გულისა მალხინებელ“ (33) წყაროდ წარმიდგენს, რომელიც სურვილს
აღღმრავს — „მზე იყოს, რომ საღამოს „შთასულმა“ „დილა უფრო აცხოვლოს“ და
„განთიადის შორბედ ვარსკვლავად“ მოგვეკლინოს, ხოლო სატრფო „მშვენიერისა ცის
ცვარად იქცეს; რომ „განაცოცხლოს“ მდელი, სიციხითა დამკვნარი“.

ნას, რომ „კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა“ არსებობს „საუ-
კუნო მადლი ტრფობისა“.

და ნ. ბარათაშვილიც დარწმუნებული რომ —

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებას,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბურება,
მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა შრობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულს!.

და რომ —

მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუკველი,
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი! (50) —

უმღერდა სწორედ ასეთ მადალ, „სულის მშვენიერითა შენამსკველებ“
სიყვარულს, რომელსაც „ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება და
უკვდავებით აგვირგვინებს კეშმარიტება“.

ასეთ მადალ სიყვარულს უმღერდა ბაირონიც კერძოდ „გიაურში“,
რომლის გმირიც სიყვარულს „კეშმარიტად ზეციდან ჩამოსულ ნათლად“
(Love indeed is light from heaven) რაცხს, „ნაპერწყლად უკვდავი ცე-
ცხლისა“ (a spark of immortal fire), რომელიც „ალაჰს მდაბალ სურ-
ვილთა ზეცად ასამაღლებლად უბოძებია“.

გალაკტიონ ტაბიძის დაკვირვებით, ლექსებში „რად ჰყვედრი კაც-
სა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?“ და „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო,
ქალო შეთვალეზიანო“ ნ. ბარათაშვილი „ოცნებობს ქალის მშვენიერ
სულზე“. „ამ ქალს, — აღნიშნავს გალაკტიონი, — ბარათაშვილის ლექს-
ში არ აქვს სახელი, მაგრამ შეიძლება ვანა ამ ბეატრიჩეში, ამ ლაურა-
ში დავინახოთ რომელიმე ქალწული, ან ახალგაზრდა ქალი, რომელიც
მზურვალე გრძნობით უყვარდა მგოსანს სინამდვილეში“¹⁷³ — კითხვას
სვამს „მერის“ ავტორი. და მართლაც, იშვიათ გამონაკლისს გარდა, გან-
საკუთრებით, დაწყებული ლექსიდან „სატრფოე, მანსოვს თვალნი შენ-
ნი“, რომელშიც, როგორც გ. ასათიანი აღნიშნავს, სატრფოს სახე „სა-
ბოლოოდ განთავისუფლებულია ხორციელი „ნიღაბისაგან“... უბედური
სიყვარულს განცდა... წარმოგვიდგება რაინდული შერიგების რომანტი-
კულ სამოსელში და ეს შერიგების მოტივი მით უფრო შთამბეჭქდავად
ქდერს, რომ იგი მომდინარეობს განუზომელი, დაუსრეტელი მოთხოვ-
ნილების სამყაროდან“¹⁷⁴. ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკის ლა-
იტმოტივი მაღალი სულიერი სიყვარულია და ამ ლექსებში, გალაკტიო-
ნისავე დახასიათებით, „შორს, დაუსრულებელ სილაყვარდეში მოსჩანს
სათაყვანებელი ლანდი ბეატრიჩესი, მუდმივად სასურველი და მუდამ

173 გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII, 1975, გვ. 63.

174 გ. ასათიანი, ზემოდასახელებული ნარკვევი, გვ. 158—159.

მიუღწეველი იდეალი, ციური, ღვთაებრივი სილამაზე, ჰაეროვანი უს-
ხეულო ლანდი, შორეული ქალის, შექმნილი სინათლისა, ალის და სურ-
ნელებისაგან, ღრუბელი, ოცნება, ანგელოსთა ქვეყნის ანარეკლი“¹⁷⁵.

ეს მაღალი სიყვარული იყო ის „წმინდა ლამპარი“, „ციური სსი-
ვით“ რომ „განუტფობდა“ პოეტს „გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით
და ბედის ბრუნვით“. ამ წმინდა სიყვარულმა, „რომლის საყურთხად“
ბარათაშვილის ლირიკული გმირი მზად არის დასდოს „გული“ და „სუ-
ლი“, აპოვნინა მას „ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი“, სად „ანგე-
ლოსთაგან... იკროდა დავითის ქნარი და განისმოდა ციურთ დასთა გა-
ლობის ზარი“ (44).

თუმცა წამიერი აღმოჩნდა ის ხილვა ტაძრისა, „განქრა“ იგი, რად-
გან „მოსძაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი“, და „ნუგეშის“ კარ-
დახურული, „მწირი“ და მიუსაფარი პოეტი, რომელსაც „ვერღა აღუ-
გო სიყვარულმა კვალად ტაძარი“, და, თავადაც „ვერსად აღანთო დაშ-
თომილი მისი“ ლამპარი“, მწარე სულიერ ობლობას განიცდიდა, მაგრამ
განსხვავებით ნოვალისისა, კოლრიჯისა, ვინისა თუ ლამარტინისაგან,
რომლებიც, ი. ნეუპოკოვეას აღნიშვნისამებრ, მარტოობას ადამიანის არ-
სებობის განუყრელ ხვედრად წარმოიდგენდნენ, ნ. ბარათაშვილს ჭეშ-
მარიტი სიყვარულის გამომრიცხავ „ცრუ და მუხთალი“ სოფლით გა-
მოწვეული ეს მარტოობა არასოდეს მიუჩნევია ადამიანური ურთიერ-
თობის ნორმად და ისევე როგორც ბაირონის მანფრედს და კაენს, მიც-
კევიჩის კონრადს და გუსტავს, მახის პოემის „მაის“ გმირს ვილემს და
პეტეფის „მოციქულის“ სილვესტრს სურდათ „თავიანთი ზნეობრივი
იდეალის შესაბამისი, სიყვარულითა და ადამიანისადმი ნდობით სავეს
სხვა საზოგადოებრივი ყოფა“ და ისინი „ამ იდეალის გულისათვის მზად
იყვნენ აეტანათ თავიანთი მარტოობა, რადგან მათთვის მიუღებელი იყო
ყოველგვარი კომპრომისი“¹⁷⁶, ნ. ბარათაშვილის ლირიკული გმირიც,
ტრაგიკულად აღმქმელი სულით ობლობის გამოწვევი გარემომცველი
ვითარებისა, მზად არის საკუთარი სიცოცხლის ფასად გადალახოს მან-
კიერი სინამდვილის საზღვრები და გზა გაკაფოს მის მიერ აბსტრაქტუ-
ლად წარმოდგენილ სამყაროსაკენ, სადაც, ფრ. შილერის ასევე აბსტ-
რაქტული „მშვენნიერი ხილვის სამყაროს“ მსგავსად, მშვენნიერებით ნა-
საზრდოებ ურთიერთნდობას და სიყვარულს დაედგმის ტახტი.

სწორედ მშვენნიერებისაგან წარმომდგარი მაღალი სიყვარულის გა-
ელვება იყო წამიერად მაინც რომ აღუძრავდა ნ. ბარათაშვილს დაკარ-
გული რწმენის კვლავ დაბრუნებისა და ოცნების განხორციელების იმედს,

175 ვალაკტონ ტაბიძის ზემოდასახელებული თხზ., ტ. XII, გვ. 63.

176 ი. ზ. ნეუპოკოვეა, ზემოდასახელებული ნარკვევი, გვ. 252.

რასაც მიუძღვნა მან „ნეტარების წარსულ დღეთა განახლების“ მოლოდინით გამოწვეული სიხარულის გამომხატველი შედეგური „აღმოხდა მნათი“, რომელიც, გ. ჯიბლაძის აღნიშვნისამებრ¹⁷⁷, მართლაც საოცრად მოგვაგონებს გოეთეს „ფაუსტისათვის“ წამძვარებულ „მიძღვნას“. ამ იმედის გამაყინებელი სიყვარული ასაზრდოებდა ნ. ბარათაშვილის სურვილს „განთიადის მორბედ ვარსკვლავად“ და მზედ მოვლენოდა ქვეყანას, რომ „მშვენიერისა ცის ცეპარად“ ქცეულ სატრფოსთან „შესხივებულს“ შვება მოეფინა სიცოცხლისათვის, რაშიც ცხადად ჩანს „სოფლის საზგოდ ღწვის“ ბარათაშვილისეული მოთხოვნა ანუ, როგორც გ. გაჩეჩილაძე აღნიშნავს, „თავისებურადაა სუბლიზირებული „მერანის“ ავტორის „ფიქრნი მტკვრის პირას“-ში განცდილი ფაუსტური ზრუნვის ტენდენცია“¹⁷⁸. ხოლო ქვეყნისთვის ზრუნვის ეს ტენდენცია ბარათაშვილის ლირიკულ გმირს მკვეთრად განასხვავებს ბაირონის მანფრედისაგან, რომელიც, ადამიანის გულქვიობით მიზანტროპად ქცეული, ფერხავს რომ მიმართავს —

არასდროს გულით არ შემძლო ადამიანთა
შეთვისება და მათის ფულით ქვეყნის დანახვა.

და მერე აცხადებს: არა ვყოფილვარ მე მათსავეთ პატივმოყვარეო, თავის საქციელს (რომ უტკეპროდა „ულრმესი ზიზღით (ხაზგასმა ჩემია — დ. ლ.) ადამიანის ბედშავ სახეს“) ამით ხსნის: „ჩემი ნაღველი, სიხარული ვნებათა ღელვა მათ ვერ გაეგოთ“¹⁷⁹.

ნ. ბარათაშვილი თუმცა კარგად ხედავდა მანკიერებას თანამედროვე საზოგადოებისა, რომელსაც ვერ გაეგო მისი „ნაღველი, მწუხარება. ვნებათა ღელვა“, მაგრამ არასოდეს ყოფილა მიზანტროპი და, გალაკტიონ ტაბიძის განმარტებისამებრ, არც „სატანისტი“¹⁸⁰, რადგან „სატანისტის დამახასიათებელი ისაა, რომ მას არაფერი არ უყვარს და არავის წინ თავს არ ზრის. მზის სხივები სჭრიან მის სულს და დიდების მოჩვენებაც კი ისე [ესახება], რომ თვალეზე ხელები უნდა აიფარონ“. ნ. ბარათაშვილი, მართალია, „ალორძინების პერიოდისა“ და თავის უშუალო წინამორბედ პოეტთა კვალდაკვალ „სოფელს“ „ცრულ და მუხთლად“ რაცხს, მაგრამ. ყოველივეს მიუხედავად, მაინც „პოს“ ეუბნება მას. და სწორედ ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“, სადაც ნაღვლიან ფიქრებში გართული პოეტი „აღუესებელ საწყაულად“ წარმოდგენილ, პატივმოყვარეობით გულდაღრღინილი ადამიანებით სავსე წუთისოფელში

¹⁷⁷ გ. ჯიბლაძე, ბარათაშვილის პოეტური გენია, 1966, გვ. 234.

¹⁷⁸ გ. გაჩეჩილაძე, ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 115.

¹⁷⁹ ბაირონი, მანფრედი, მეორე მოქმედება, სცენა მეორე, ზემოდასახელებული თარგმანი, გვ. 35.

¹⁸⁰ გალაკტიონ ტაბიძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. XII, გვ. 64.

კაცს რომ ვერ პოულობს „ვის თვის გული“ ერთხელ აღევსოს და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს — „ჩვენ ცხოვრებას“ „ფუჟად და ამაოდ“ კი თელის, მაგრამ სულაც არ უარყოფს ამ წუთისთვის ფელს, მეტრც, მისთვის ზრუნვას მოითხოვს და შეგვაგონებს —

მაგრამ რადგანაც კაცნი გეჟიან — შეილნი სოფლისა,
უნდა კიდევ, მიესლით მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი გეკლარსა ემსგავსოს
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს. (31).

ხოლო „სოფლისათვის“ ზრუნვისა და მის სასარგებლოდ ღწვის ადამიანის გარდუევალ ზნეობრივ მოვალეობად აღიარება, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, რომელიც ყველა დროის პროგრესულ მოაზროვნეთა სამოქმედო დევიზს წარმოადგენდა და მკაფიოდ არის გამოხატული გოეთეს „ფაუსტსა“ და „ვილჰელმ მაისტერში“, განსაკუთრებით ნიშანდობლივია რევოლუციური რომანტიზმისათვის. ამ შეგნებით არის გამსჭვალული ბაირონისა და შელის, ჰაინესა და პეტეფის შემოქმედება. იგი არის ლიტმორივი მიცკევიჩის „ძიადებისა“, სადაც ადამიანის ადამიანად ქმნის, მისი ჭეშმარიტი ბედნიერების წყალუხვ წყაროდ სწორედ „სოფლისთვის“ ზრუნვა, საზოგადოების სასარგებლოდ აქტიური საქმიანობა, მისი ჭირისა და ლხინის გაზიარება არის დასახული. იყო ადამიანი ნიშნავს, ცხოვრობდე ხალხში და ხალხისათვის. ასეთია დასკვნა გოგონასი, რომელიც ისე მომკვდარა, არასოდეს განუტღია სიმწარე ცხოვრებისა და არც ბედნიერება უგრძენია ოდესმე, რადგან „ვეცხოვრობდი ქვეყნად, მაგრამ არა ქვეყნისთვისო“¹⁸¹ თავად აღიარებს იგი და აფრთხილებს ხალხს „ისმინეთ ყველამ და ეს შეიგნეთ, იცოდეთ — თუ რას გვიბრძანებს ღმერთი: ვინც ქვეყანაზე მიწას არ ცნობდა, ვერ აღმოჩნდება ის ვერც ზეცაში“¹⁸². ქოროს მიერ ატაცებული ამ მოწოდების აზრია გატარებული აჩრდილის მიმართვაშიც: „იცოდეთ სამართლიანი ნება ცისა! ის, ვინც ამ ქვეყნად ადამიანი არ ყოფილა, ხალხისგან შევლას ნუ ელის“¹⁸³ და, განსაკუთრებით, მიმართვაში ქსენქისა მწირის სახით მოვლენილ გუსტავისადმი, რომლის მთავარ დანაშაულად ქსენქი ქვეყნისა და საკუთარი თავის წინაშე გუსტავის საზოგადოებისაგან განდგომას მიიჩნევს და რომელსაც შეაგონებს: „ადამიანები იმისთვის კი არ იბადებიან, რომ იტირონ და იცინონ, არამედ იმისთვის, რომ სიკეთე სთესონ მოყვასთათვისო“¹⁸⁴.

181 А. Мицкевич, Стихотворения, поэмы, библиотека всемирной литературы, 1968, стр. 231.

182 იქვე, გვ. 232.

183 იქვე, გვ. 228.

184 იქვე, გვ. 256.

ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ ფორმულის სახით ჩამოყალიბებული შეხედულება —

მაინც რა არის ჩენი ყოფა-წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუესებელი?
ვინ არის იგი, ვისთვის გული ეოხებელ აღუეს?
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს? (30) —

არსებითად. მართლაც ნ. ბარათაშვილის ლირიკის მსოფლმხედველობრივი გასაღებია და იგი გატარებულია მთელ მის შემოქმედებაში, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ამ შეხედულების მხატვრული განსახიერების თვალსაზრისით „ნაპოლეონი“, სადაც „აღუესებელი საწყაულის“ სახე, რომელიც გ. ასათიანის შეხედულებისამებრ, „ახალი ადამიანის სულიერ სამყაროში გაღვიძებული კოლოსალური ენერჯისა და პრაქტიკულად დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების სიმბოლოს წარმოადგენს“¹⁸⁵, ბონაპარტეს მონუმენტურ ფსიქოლოგიურ პორტრეტში არის გამოხატული.

ნაპოლეონის პიროვნებით გატაცებულ რევოლუციური რომანტიზმის მრავალ წარმომადგენელს მიუძღვნია აღფრთოვანებული სტრიქონები დიდი კორსიკელისათვის: ბევრს უცდია, და წარმატებითაც, მხატვრულ სახეებში გადმოეცათ მისი „ტიტანიზმი“, მაგრამ თვით ჰაინესაც კი, — რომელიც ნაპოლეონის ნამდვილი თაყვანისმცემელი იყო და ღმერთ-კაცად თვლიდა მას, ვის „ბერძნული და რომაული ქანდაკების“ ფერდაკრულ სახეზე (ჰაინეს შთაბეჭდილებით, რომელმაც იგი ერთხელ იხილა დიუსელდორფის სასახლის ბაღში ცხენით მოსეირნე) ეწერა „ჩემს გარეთ ღმერთები არ უნდა გყავდეს“ (Du sollst keine Götter haben außer mir) და ვისმა „მზენასვამმა მარმარილოს ხელებმა“ „შეკოჭეს ცხრათავიანი ურჩხული ანარქიისა და ხალხთა ბრძოლებში წესრიგის შეიტანეს“¹⁸⁶, — არ გამოუყვეთია ისე რელიეფურად ნაპოლეონის ეს „ტიტანიზმი“, როგორც ნ. ბარათაშვილს აქვს გამოძერწილი ექვსსტროფიან ლირიკულ ლექსში.

მართალია, ჰაინესთანაც „ამ ქვეყნის ყოველი მოვლენის ერთბაშად“ განმკვერტი „ზეცასავით ნათელი“ თვალების მქონე იმპერატორიც, რომლის მოღუშულ, „მომავალ ლაშქრობათა არალით აღბეჭდილ შუბლზე“ გაელვებული აზრი „უჩინრად უვლიდა გარს ქვეყნიერებას“

185 გ. ასათიანი, ზემოდასახელებული ნარკვევა, გვ. 155.

186 ჰაინრიხ ჰაინე, მოგზაურობის სურათები, თარგმანი ჯორჯანელბისა, 1957, გვ. 142. შტრ. Heines ausgewählte Werke in sechs Bänden, herausgegeben von Hartwig Ieh dritter Band, S. 129.

და რომელსაც „დედამიწაც კი ევიწროებოდა“¹⁸⁷, ბუმბერაზ პიროვნებად არის წარმოდგენილი, მაგრამ „ტიტანური“ ხასიათი „Le Grand“-ის ავტორის იმპერატორისა, — „უდაბურ კუნძულზე“ „მარტოეულ“ სამარეში „მშვიდად“ რომ წევს „პატარა ბორცვის ქვეშ, სადაც ხუთიოდ ძეწნას მწუხარედ ჩამოუშლია დალალები და უბიწო ნაკადულიც კაეშნით აღსავსე ჩივილით მოჩხრიალებს“¹⁸⁸, — გაცილებით ფერმკრთალი ჩანს შედარებით ნ. ბარათაშვილის მიერ დახატულ დაუოკებელი სულისკვეთების ნაპოლეონთან, ვისაც „თვითონ სიკვდილიც უებროდ აღმოგვიჩინებს“ და ვის „ცეცხლსა სულსა და ზღვა გულსა განსაკვირვებებს დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს“ (34).

მსგავსად „ჩაილდ პაროლდის“ მესამე სიმღერაში გამოსახული ბედის კაპრიზით აღზევებული ამაყი იმპერატორისა, — რომელსაც თავისი თავი ახალ ღმერთად წარმოუდგენია და რომლის ცეცხლოვან, დახვესებული ზომიერების ზიზლით მაცქერალ, უსაზღვრო ბატონობისაკენ მისწრაფებულ სულს მშვიდი ცხოვრება ჯოჯოხეთად მიუჩნევია, — ბედის ნებიერ პირმშოდ არის წარმოდგენილი ნ. ბარათაშვილის ნაპოლეონიც, რომელიც ამბობს —

მოთხაეს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვასხნა შარავანდედი. (34).

ლექსის დასაწყისში, ისე გვეჩვენება, თითქოს დიდებით მოსილ ნაპოლეონს ნ. ბარათაშვილისა „ისი ეკმაროს“, რისთვისაც უკვე მიუღწევია. „მისს მოღრუბლულს შუბლს შუქი რაღაც“ გადაეფინება, როცა „გარდმოავლებს თვალს ფრანციას“ და „თავისს დიდების მსხვერპლის თვის წინა“ მხილველი აღიარებს —

„ახლა კი კმარა“... „სურვა აღმიხდა:
სახელი ჩემი ეასახლე ქვეყნის საოცრად“ — (34),

მაგრამ გულზევიადი იმპერატორის მიერ „სურვის აღზღომის“ ეს აღიარება და განცხადება „ახლა კი კმარა“ — მხოლოდ წამიერია. საკუთარი ძალით, „საშვენად“ შემმოსველი „საყვარელისა“, რომელსაც სადიდებლად დაუბონა. მან „გულმტკიცენი“, თავადვე აღნიშნავს — „მაგრამ მე გვამში სული ვერღა მომთავსებიაო“ (34) და თუმცა კი აცხადებს „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“, მაგრამ მის „ცეცხლოვან სულს“ მაინც ეკვი ღრღნის („მაგრამ ვინ იცის, იქნება, რომ ბედსაც მოვსწყინდღ და სხვა მან ჩემის სახელითა დაავიკვირვინოსო“ — ან. ბობს იგი) და ამ ეკვის გასაფანტავად თავის თავს რომ არწმუნებს —

¹⁸⁷ პ ა ი ნ რ ი ბ პ ა ი ნ ე. მოგზაურობის სურათები, თარგმანი ჯორჯანელისა, 1957, გვ. 142. შტრ. Heines' ausgewählte Werke in sechs Bänden, herausgegeben von Hartwig Jeli dritter Band, S. 142.

¹⁸⁸ ი ქ ვ ე, გვ. 143.

არა, არა მრწამს, რომე პედმა მე მიორგულოს:
მე მან გამზარდა და თვისს ვაწრთენილს რაღა მხეხოსო.

ამასაც აღიარებს —

ვერა გაუძლებს ნაპოლეონ პეტოქეებსა!
რა გინდ ძლიერად, მეცნეირად ვან ხელმწიფობაქჲ,
მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეო —

და გორიზად დაასვენის — „თვითონ სამარეც მევეწროს, თუ ტოლი მყვანდეს“.

ხოლო „აღუვსებელი საწყაულის“ სახესა და ადამიანის სურვილთა უსაზღვროების შეგნების მწვავე განცდასთან მკიდროდ არის დაკავშირებული ნ. ბარათაშვილის „სულის სიცალიერით“ აღმვსები ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შეზღუდულობით გამოწვეული „მიუწვდომლობა ჩვენი არსებობის მიზნისა“ (125), რაც ერთი იმ ზოგადსაკაცობრიო საკითხთაგანია, მუდამ რომ აფიქრებდა მოაზროვნე საზოგადოებას და თავიდან ბოლომდე გამსქვალავს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას. მაგრამ „დანახვა და აღიარება ადამიანის შეზღუდულობისა, იმისა, რომ ადამიანი ადამიანია და არა ღმერთი, რომ მხოლოდ შორალური და სოციალური პარამონით და მტკიცე წესრიგით შეუძლია ადამიანს თავისი კერძობისთვის პათოსისა და სიმალის მინიჭება“¹⁸⁹, თავისთავად სულაც არ გამოდგება ნ. ბარათაშვილის, ისევე, როგორც, რომელიც გნებავთ, სხვა შემოქმედ-მოაზროვნის მსოფლგანცდის „კლასიკურობის“ თუ „რომანტიკულობის“ დამადასტურებელ „თვისებად“, რადგან ადამიანის ამ შეზღუდულობას ხედავდა „კლასიკური“ მსოფლგანცდის ისეთი დიდი წარმომადგენელიც, როგორიც იყო „ვაიმარელი ბრძენი“ გოეთე, — ვინც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკერმანის გადმოცემით, რომანტიზმს „თავად ლიტერატურისათვის უაღრესად სასარგებლო (günstig)“ მოვლენად, „შექმნის პროცესში მყოფ ლიტერატურულ რევოლუციად“ (im Werden begriffene Revolution der Literatur) კი მიიჩნევდა, მაგრამ იმავდროულად „აუადმყოფურ“ და „სუსტ“ მიმართულებად რაცხდა — და „რომანტიკული“ მსოფლგანცდის ბაირონიცა და მიცკევიჩიც:

ადამიანის შეზღუდულობის იმ ტრაგიკული განცდით, რომელიც გამოხატული აქვს ნ. ბარათაშვილს ჯერ კიდევ „მთაწმინდაზე შემოღამებაში“ — „გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს საღვურს... მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს“ — იწყება გოეთეს „ფაუსტის“ პირველი ნაწილი, სადაც მოხუცი ფაუსტი, ვინც „ფილოსოფიას, სამართლის, ცნებას და მედიცინას“ ღრმად დაუფლებული, თავის

¹⁸⁹ ი. კენჭოშვილი, ბარათაშვილის მხატვრული მსოფლგანცდისათვის. საუბილეო კრებული „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1968, გვ. 235.

თავს „წინანდებურად არას მცოდნე ბრძენ ყარიბად“ რაცხს, რადგან, მიუხედავად მრავალმხრივი განსწავლულობისა, სამყაროს უღრმეს სა-
იღუმლოებას ვერ ჩასწვდომია, ანუ, როგორც თავად ამბობს ფაუსტი,
მისთვის „ბუნებას კარი ჩაუკეტია“ და იმ შეგნებით გულზე ცეცხლმო-
კიდებული და სასოწარკვეთილი, რომ „არაფრის ცოდნა არ ძალგვიძს“,
ამ ქვეყნის ვიწრო საზღვრის, გადალახვას“ სიკვდილის საშუალებით
ფიქრობს.

ადამიანის შეზღუდულობას შეაგონებს მეფისტოფელიც ფაუსტს,
რომელსაც მას შემდეგ. რაც სააღდგომო ზარების რეკვითა და გუნდის,
სიმღერით აღძრული ყრმობის მოგონებანი საწამლავეთ სავსე ფიალას
გვერდზე გადაადებინებს და გაზაფხულის მახარობელი „ციური ჰანგე-
ბით“ გამოწვეული სიცოცხლისა და „კვლავ მიწის შეილობის“ ნდობა
„ცოდნის წყურვილის ტყვეობიდან დახსნილი გულის“ ჟამთა სრბოლი-
სთვის დამორჩილებას, „ცხოვრების ღელვას და ტრფობის“ აყოლას გა-
დააწყვეტინებს, მეფისტოფელთან დაახლოებულს, ახალი წადი-
ლი აამოძრავებს — „გრძნობადობის მრუმე უფსკრულში“ გადაშვებით
თავის „მე“-ში შეიგრძნობს, „რაიც მოელის აქ ოდესმე კაცობრიობას“,
თავისი სულით სწვდეს „უმაღლეს და უღრმეს სიცოცხლის განცდას“
და თავის „მეობა მის მეობაში“ განაგრცოს (erweitern), ანუ დიად
„მთელს“ (ganze) ეზიაროს. ფაუსტის ამ წადილის შესრულებასაც მე-
ფისტოფელი განუხორციელებლად თვლის.

მაგრამ „მთელთან“ ზიარების ამ სურვილის განხორციელების შე-
უძლებლობის მეფისტოფელისეული განმარტებით — „მერწმუნე, რომ
ეს დიადი მთელი მხოლოდ ღმერთისთვის გაჩენილია“ — აღშფოთებუ-
ლი ფაუსტის კითხვაზე —

რა ვარ ამ ქვეყნად, თუ ვერ მივწვდები
კაცობრიობის ძალვის მწვერვალს.
რომელთაც ეტრფის გული მღელვარე? —

მეფისტოფელისავე სარკასტულ პასუხს — „რაიც ხარ მხოლოდ იგივე
იქნები... რაცა ხარ მაინც იგივე დარჩები“ Du bist am Ende — was du
bist, du bleibst noch immer, was du bist) სულაც აღარ მიჰყავს „გა-
ნანალების“ გზაზე დამდგარი „ბრძენი ყარიბი“ „ამ ქვეყნის ვიწრო სა-
ზღვრის“ სიკვდილის გზით გადალახვის გადაწყვეტილებამდე, რადგან
იგი, „ქვეყნის ავ-კარგის“ თავის „გულში დასადგურების“ მსურველი,
მეფისტოფელს (ვისთანაც დაახლოებას, ო. ჭინორიას აღნიშვნისამებრ,
ფაუსტი „თავის ძირს დაშვებად“ რაცხს, თუმცა, საბოლოოდ „სწორედ
ეს დაშვება ზდება მისი ამაღლების იმპულსი: მეფისტოფელის ნეგატი-
ურობით, მისი შეზღუდულობითა და სიზერელით, სიბოროტითა და უნა-
ყოფობით დაუკმაყოფილებლობა ამძაფრებს და ახალ ძალას მატებს

პოზიტიურისაყენ, ნამდვილისაყენ მის ფაუსტურ სწრაფვას¹⁹⁰.) სწორედ იმიტომ უკავშირდება, რომ თავადაც ხედავს ადამიანის, კერძოდ თავის შეზღუდულობას: „მე შენი ტოლი ვყოფილვარ მხოლოდ, თუმცა ამაყად მეპირა თავიო“ — ეუბნება ფაუსტი „საბრალო სულს“ — მეფისტოფელს. და ამ შეზღუდულობის „დანახვის“ თუ შეგნების შედეგად ფაუსტი ახლა, მ. კვესელავას შენიშვნისამებრ, „შემეცნების გადალაზვას“ (vorzudringen) კი არ ცდილობს. როგორც ამას პ. ჰერინგი ამტკიცებს, არამედ მისი ფარგლების გაფართოებას, ე. ი. ამ საზღვრების გადაადგილებას¹⁹¹ ესწრაფვის.

ხოლო ამ „საზღვრების გადაადგილების“ თუ „გაფართოების“ შუალედურ დასაწყისში სინამდვილის პასიურად მჭვრეტელ, საბოლოოდ კი იმაში დარწმუნებულ ფაუსტს, რომ —

თავისუფლების და სიკაცობის ღირსი ის არაა
ვინაჲ ყოველდღე, განუწყვეტლჲე ამოთჳს იბრძვი —

ამ სინამდვილეში აქტიური ჩაბმა, მისი გარდაქმნისათვის დაუღალავი მოქმედება წარმოუდგება, რაც მრავალ ჭირნახულ, კაცობრიობის ბედნიერებისათვის მზრუნავ ბრძენკაცს, თუმცა უტოპიურ, მაგრამ ღრმად პროგრესულ-ჰუმანური თავისუფალი შრომის სუფევის დამყარების აუცილებელ პირობად აქვს დასახული.

ფაუსტის მსგავსად მანფრედიც, უკმაყოფილო იმით, რომ „ხე ცნობადისა არ არის ხე ცხოვრების“ (The tree of knowledge is not that of life), აშკარად ხედავს და ტრაგიკულადაც განიცდის ადამიანის შეზღუდულობას. მისი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობის ზღვარდებულებას, მაგრამ გულგატეხილი თანამედროვე მეცნიერებით, რომელიც „ერთ უმეცრებას მეორეთი ცელის“, განსხვავებით ფაუსტისაგან (ვინც, როგორც აღვნიშნეთ საბოლოოდ, ამ შეზღუდულობასთან როგორც ადამიანის ბუნების გადაულახავ თვისებასთან შეგუებული, სამყაროს საიდუმლოებათა წედომის საზღვრების გაფართოებას ესწრაფვის და იმ გზად, რომელიც ადამიანს „უმადლეს და უღრმეს სიკაცობეს“ განაცდევინებს და ათქმევინებს „მშვენიერი ხარ, შეჩერდი, წამო“ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმის და სინამდვილის ადამიანის საკეთილდღეოდ გარდაქმნას სახავს) ამ შეზღუდულობის გადალაზვის საშუალებად დაეიწყებას მიიჩნევს. „კაენში“ კი (ნაცვლად „გენსლითა და წყრომით“ გულავსებული „საბრალო სულის“ — მეფისტოფელისა, ვინაჲც „არ ძალუძს სიყვარული“, კაენის მეგზურად გამოცხადებული და ადამიანის მეგობრად წარმოდგენილი ძლიერი ნების ლუციფერი „ორი დასაწყისის უდიდესი საიდუმლოს“ გაგების მწყურვალ კაენს რომ შეა-

190 ო. ჯინორია, გოეთეს შემოქმედებითი გზა, 1966, გვ. 316.

191 მ. კვესელავა, ფაუსტური პარადიგმები, წიგნი პირველი, 1961, გვ. 43.

გონებს „კაცთა ცოდნის საზღვარი“, „ჯამი სიბრძნისა, რისი მიღწევაც თქვენ (ადამიანებს. — დ. ლ.) შეგიძლიათ „თქვენი არარაობის შეცნობა არისო“ „მოკვდავი ქეთის“ „ზეიადი სურვილის“ — წვდეს სამყაროს საიღუმლოებას — მიღწევის გზად სიკვდილია მიჩნეული, ხოლო „სულთა ბუნებასთან მიახლოების“, ე. ი. შემეცნების ფარგლების გაფართოების თუ მისი საზღვრების გადაადგილების საშუალებად ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმისა და ადამიანთა საკეთილდღეოდ მისი გარდაქმნის წილ აღიარებულია „სიჯიუტისა და აზროვნების“ მეშვეობით „თავის თავ-შივე“ შექმნილი საკუთარი „შინაგანი სამყარო“, რომლითაც „დაიფარება გარეგანი, თვალთ ხილული“ ქვეყანა.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდანაც აშკარად ჩანს, გოეთეცა და ბაირონიც ერთნაირად ხედავდნენ და აღიარებდნენ ადამიანის შეზღუდულობას, მაგრამ სხვადასხვანაირად აღიქვამდნენ და სწყევტდნენ მას. და არა დანახვისა და აღიარების ერთგვაროვნება, არამედ დანახულისა და აღიარებულის გადაწყვეტის ეს სხვადასხვაგვარობა წარმოგვიდგენს გოეთეს „კლასიკური“, ხოლო ბაირონს „რომანტიკული“ მსოფლგანცდის შემოქმედად. ანუ, უფრო ზუსტად, საკითხის თუ დანახულისა და აღიარებულის გადაწყვეტის ეს სხვადასხვაგვარობა გამომდინარეობს გოეთეს მსოფლგანცდის „კლასიკურობისა“ და ბაირონის მსოფლგანცდის „რომანტიკულობის“ თვისებიდან.

რომანტიკულია მსოფლგანცდა „ჩვენი არსებობის მიზნის მიუღწევლობის, ადამიანთა სურვილის უსაზღვროების“ დამნახველ-მადიარებელი და ტრაგიკულად აღმქმელი ნ. ბარათაშვილისაც, რომლის ლირიკულ-გმირი, ი. ჭავჭავაძის აღნიშვნისამებრ, — კაენის მსგავსად, ლუციფერი რომ აირჩია და ფაუსტის მსგავსად მეფისტოფელი რომ მოიხმო, — თავის მერანს მიმართავს სამყაროს საიღუმლოებათა ამოსაცნობად და მისაკვლევად კაცობრიობისათვის დღენიადაგ საძიებელი „სადგურისა“, რომლის უპოვნელობა, ი. ჭავჭავაძისავე მიხედვით, „არის სათავე ადამიანის სასოწარკვეთილებისა, თავგანწირულებისა, კეუა-გონების არევისა, ყოვლისფრის უარყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხანა-და ხანა, ასე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზრე კაცობრიობას და შავად მღელვარე ფიქრით ავსებს ადამიანის ცხოვრებასა“¹⁹². რომანტიკულია იმიტომ, რომ, ფაუსტისაგან განსხვავებით, ვინც, საბოლოოდ, მიაგნო გზას და იცის საით წავიდეს და სად იპოვოს „შესასვენებელი სადგური“, ნ. ბარათაშვილის ლირიკულმა გმირმა — რომელიც ბაირონის გმირებისგანაც განსხვავდება: იგი აზრგაღვიძებული კაცობრიობის მუდამ საძიებელ სამყაროს საიღუმლოებათა წვდომის საშუალებად არც დავიწყებას მიიჩნევს (როგორც მანფრედი) და არც სიკვდილს (როგორც ლუციფერი) —

¹⁹² ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 218.

კვლავ ი. ჭავჭავაძის მართებული შეხედულებით, „თვითონაც არ იცის... საით მიიზიდება, სად იპოვის შესასვენებელს სადგურს, ნავთსაყუდარს, რომ იქ შეასვენოს ენებათა ლელვანი“¹⁹³ და ამიტომაც იგი „შავად მღელვარი“ ფიქრების გასაფანტავად მერანს მინდობილი, „შესასვენებელი სადგურის“ მისაღწევ გზასაც რომ ვერ ხედავს, „უგზო-უკვლოდ“ აქროლებს თავის მერანს, რომლის „მშვენიერს, ალტაცებულს გიჟურსა ლტოლვას“ აძლევს საკუთარი „გულის კენესას“ და „ტრფობის ნაშთს“.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არსებული სინამდვილის მანკიერებათა მწვავე ტრაგიკულ აღქმას არ მიუყვანია ნ. ბარათაშვილი (რომელსაც, ამ სინამდვილისადმი მტრულად განწყობილს და მის წინააღმდეგ ამხედრებულს, სწორედ თავისი რომანტიკული მსოფლგანცდის გამო ვერ დაუსახავს სულშემბუთავი გარემოს გარდაქმნის პრაქტიკული გზა) „ცრუ და მუხთალი სოფლის“ უარყოფამდე. პირიქით, იგი, ისევე როგორც ე. წ. რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენლები საერთოდ, ამ ქვეყანას „პოს“ ეუბნება, და, მიუხედავად ყოველივესი, პიროვნების უმაღლეს მოვალეობად „სოფლის სარგოდ“ „ლწვას“ მიიჩნევს და ადამიანის კეთილდღეობისათვის აქტიურ მოქმედებას აღიარებს.

ადამიანის სიყვარულით გამოწვეული სოფლის სარგოდ მოქმედების აუცილებლობის აღიარება და ზრუნვა შთამომავლობის უკეთეს მომავლისათვის წარმოადგენს კაცობრიობის ბედ-იღბალზე დაფიქრებული ნ. ბარათაშვილის მთელი შემოქმედების წამყვან ტენდენციას, რაც მკაფიოდ არის გამოხატული „მერანში“, რომელშიც პიროვნების პრობლემა განუყრელად არის დაკავშირებული საზოგადოების პრობლემასთან და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის აქტიური მოქმედება არა მარტო უფლებად და გარდუევალ მოვალეობად არის მიჩნეული, არამედ პირადი ბედნიერების ქემშარიტ წყაროდაც არის დასახული.

„მერანი“ წარმოადგენს ხანგრძლივი ძიების შემდეგ გაცემულ პასუხს „ჩემი ნაღველით“ შეპყრობილი ჭაბუკი პოეტის მიერ „ხმა იღუმალში“ (რომელიც — მას აქვთ, რა ცნა მან „პირველად წუთისოფელი“, დაშთო „ადგილი, სადაცა წრფელი რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის“ (26) — განუყრელად თან ახლდა მის ზრახვათა და საწადელთა“) დასმულ კითხვაზე: „სიცოცხლეს ჩემსა რას განუშადებ?... როს მხედვს ამ სოფლად ჩემი წილი... ბა?“ (26).

ეს ხმა იღუმალი „ცხადად თუ სიზმრად... მარად“ რომ შეაგონებდა პოეტს —

193 ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. 111, გვ. 216.

ძივი, ყმაო, შენ მხედრი შენი,
ვინძლო იპოვნო შენი საშენა (26)

შინაგანი ხმა იყო თვით ნ. ბარათაშვილისა, ვინც წამიერად დაეკვე-
ბული, ხომ არ არისო „ეს ხმა დევნისა შეუწყალისა სინიღისისა“ (26),
მაგრამ თავის თავში ვერ მპოვნელი „ავისა, მისს (სინიღისის. — დ. ლ.)
საშფოთველოს და საქენჯნავისა“ აფორიაქებული მიმართავდა მას —

ანველონი ხარ მფარველი ჩემი
ან თუ ეშმაკი. მაცდური ჩემი?
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომიწავებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუშადებ?
როს ვცნა მე შენი საიდუმლობა,
როს მხედეს ამ ქვეყნად ჩემი წილობა? (26).

და თუმცა „საშენი მხედრის“ ამოდ ძიებისას სასოწარკვეთილებამდე
მისულ პოეტს ის ხმა იდუმალი თავის წინამძღვრად მოვლენილ, გონე-
ბისა და სიცოცხლის „აღმაშფოთარ“ მაცდურ ეშმაკად, ბოროტ სულად
წარმოუდგება, რომელმაც „წარუღო სულის მშვიდობა“ და მოუკლა
„ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“ (55), მაგრამ იგი, „სოფლად... უსაგნოდ,
მარტო“ შთენილი, „კჳკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრა-
ლი“ (35), მაინც პოულობს ძალას, განუდგეს მის „წრფელ ზრახვათა“
აღმრევ ბოროტ სულს და მერნის სახით წარმოდგენილ თავისი კეთილ-
შობილი ფიქრებით შეებრძოლოს, „თვალბედითი შავ ყორნად“ გამო-
სახულ ბედი-მდევიარს. შეეცადოს გადალაზოს „ბედის სამზღვარი“ და
გაუთელოს გზა უგალი მოძმეთა მისას, რომ მათ გაუადვილდეთ მოპო-
ება „ამა სოფლად თავისუფლების“ (55), რომელსაც „ყმაწვილკაცო-
ბის“ ჟამს აღუთქვამდა მას სული „აღმშფოთი“.

სწორედ ეს იდეა — პიროვნების მოვალეობად ადამიანის უკეთესი
მომავლისათვის ზრუნვა, „ამა ქვეყნად თავისუფლების“ მოპოებისათვის
შეგნებული თავგანწირვა და საკუთარი არსების მსხვერპლად შეწირვა
იმ იმედით, რომ „შემდგომად მოძმესა“ მისსა „სიძნელე გზისა გაუად-
ვილდეს, და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლ-
დეს“ (52) — წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის
შედევრისა და ამ ჟანრის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ლირს-
შესანიშნავი ძეგლის — „მერანის“ პათოსს და ყრმობიდანვე „არ უკი-
ჟინო სატრფოს“ ავტორის მღელვარე ფიქრების აღმძვრელი ადამიანის
დანიშნულებისა და მოვალეობის ზოგად საკაცობრიო პრობლემის, ანუ,
ნ. ბარათაშვილისავე სიტყვებით, ადამიანის „სოფლად წილობის“ სა-
კითხის სოციალურ ასპექტში გადაწყვეტას.

ადამიანის „სოფლად წილობის“ მალაზნეოზობრივი გაგებისა და იმე-
დის შედეგად, რომელიც გამოხატულია მერანისადმი მიმართვაში —

იმ საქმედ, რომლის შედეგად მისი „სიცოცხლის კვალი არ შთაინთქმება ეამთა სარბოლაში“ და იმ წამს თელის ღირსად შესძახოს „მშვენიერი ხარ, შეჩერდიო“, როცა იხილავს თავისუფალ მიწაზე მოფუსფუსე (Gewimmel) თავისუფალ ხალხს.

ი. ნეუპოკოევას დებულება — ნ. ბარათაშვილის პოეზიის საზოგადოებრივ-ფილოსოფიური შინაარსის შეპირისპირება იმ პერიოდის ლიტერატურასთან გვიჩვენებს, რომ „საქმე გვაქვს არა ცალკეულ, შემთხვევით პარალელებსა და პოეტური აზრის ახლოს დამთხვევასთან, საქმე გვაქვს საზოგადოებრივ-ფილოსოფიური და მოქალაქეობრივი პოზიციისა და მხატვრული აზროვნების სისტემის სიახლოესთან“¹⁹⁶ — ეხება „მერანის“ ავტორის არა მარტო ფილოსოფიურ ლირიკას, არამედ მთელ მის შემოქმედებას და, ცხადია, პოემასაც „ბედი ქართლისა“, რომელშიც პიროვნული თავისუფლება და ბედნიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშობლოს ბედ-იღბალთან.

საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისა და ნაპოლეონის დაპყრობითი ომების შედეგად გამოფხიზლებული ეროვნული თვითშეგნების გრძნობა მძლავრ იმპულსად იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის. იგი არსებითად ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ჩაგრული ერების შვილთა შემოქმედებისა, რომელშიც, მართალია, მეტი სიმეტად აბსტრაქტულად წარმოდგენილი, მაგრამ ღრმად კეთილშობილური მაღალი იდეა თავისუფლებისა გოეთესა და შილერის, ბაირონისა და შელის, პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიის პათოსს რომ შეადგენდა, განუყრელად არის შერწყმული ეროვნული დამოუკიდებლობის და თავისუფლების იდეასთან.

ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული სევდა და გულსტიკივლი გარკვეულწილად აახლოებს მსოფლმხედველობრივად ისეთ განსხვავებულ პოეტებს, როგორებიც არიან, ვოტკვათ, ერთი მხრივ, მიცკევიჩი და პეტეფი, ხოლო, მეორე მხრივ, ლეოპარდი, რომელიც თავის პოეტურ შედეგარში „იტალიას“ — უცხო დამპყრობთაგან დაქუცმაცებული სამშობლოს ტრაგიკული ბედის მწვავედ აღმქმელი და თანამემამულეთა ქვეშევრდომული უდრტინელოებით აღშფოთებული — გამოთქვამს მზადყოფნას მარტოდმარტომ შეებრძოლოს მტერს, რომ მისი სისხლი ცეცხლად აღინთოს იტალიელთა გულებში.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ამჟამად უკვე საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულებით ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების მთავარი მოტივიც პატრიოტიზმი იყო და მათ უმნიშვნელოვანეს თემას სამშობლოს ბედი წარმოადგენდა. დამოუკიდებლობადაკარგული

¹⁹⁶ ი. გ. ნეუპოკოევა, ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 293.

საქართველოს დუხბირი აწმყო და გაურკვეველი მომავალია აღ. ქვეყანადისა და გრ. ორბელიანის სეველიან ფიქრთა წყარო. სამშობლოს ძნელებდობაა დასაბამი პესიმისტური ჰანგებისა პოეზიაშიც ნ. ბარათაშვილისა, რომელსაც, ეიმეორებთ, თავისი პირადი უბედურების ქვეყნის აუბედობასთან დამაკავშირებელს, პიროვნული ბედნიერების საფუძვლად საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამლიარებელს და მოძმეთათვის უკეთესი მომავლის გზის გასაკათავად საკუთარი სიცოცხლის განწირვის მქადაგებელს, მ. გოგიბერიძის სიტყვებით რომ ეთქვათ, „არწივის პერსპექტივა აღმოაჩნდა“ და, საბოლოოდ, სასოწარკვეთილებისა და წუწუნისაგან შორს მდგომი, „ცხოვრობდა და აზროვნებდა ღრმა რწმენით, რომ ქართველი ხალხისთვის აღრე თუ გვიან ბედნიერების უამი დადგებოდა და ახალი საქართველო იწნებოდა საქართველო ცივილიზაციისა და განათლებისა“¹⁹⁷.

საქართველოს მომავლის ეს რწმენად ქცეული იმედი გამოხატულია ლექსებში „საფლავი მეფის ირაკლისა“ და „სუმბული და მწირი“. რომლებიც თავისებურ კომენტარს წარმოდგენენ პოემისა „ბედი ქართლისა“, სადაც გატარებულია იდეა, რომელიც შემდეგ ილია ქვეყანაძემ — XIX საუკუნის სამოციან წლებიდან საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშემ — „მგზავრის წერილებში“ ფორმულის სახით ჩამოაყალიბებინა მოხვევს — „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს“.

„ბედი ქართლისა“, რომელშიც აშკარად ჩანს, რომ სოლომონ დოდაშვილის მოწაფისათვის უცხო არ იყო რესპუბლიკური იდეები, რაცაც მოწმობს „მეფის ჰაზრთაგან სულით დელვილ“ სოლომონ ლეონიძის ფიქრი —

მადლობა, ღწერო. შენსა განგებას!
 ერთს კაცს მოჰმადლებ ყოელთა უფლებას
 და მისს ერთს სიტყვას ჰმონებენ ერნი,
 განურჩეველად სულელნი, ბრძენნი,
 და იგი მათს ბედს ისე განაგებს,
 ვითა ამღერდეს იგი კამათლებას:
 მაგარმ შენ, მეფე, ვინ მოგცა ნება
 სხვას განუბოძო შენს ყმათ ცხოვრება,
 მისდევდე შენსა გულსკეთებას
 და უთრგვინიდე თავისუფლებას?
 შენ ერმან მოცა პირველ ღირსება,
 რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
 და რად ივიწყებ, რომე მარადის
 ერსა ეყუთენის გულს-თქმა მეფის (77--78) —

წარმოადგენს ევროპულ ლიტერატურაში რომანტიზმის მიერ დამკვიდრებული ლირო-ეპიკური პოემის სახესხვაობას — პოემა-მონადიას.

პოემა-მონადიას გმირი, ჩვეულებრივ, საკუთარი ერის ცხოვრებასთან განუყრელად დაკავშირებული პიროვნება, უკვე თავისი რეალური, ისტორიული არსებობით ობიექტივიზებული, მკვეთრად განსხვავდება ლირო-ეპიკური პოემის სხვა სახეობათა გმირებისაგან და მოითხოვს პოეტის „განსაკუთრებულ მხატვრულ ნიჭს, უნარს სხვა, ისტორიულად რეალურ, პერსონაჟში გამოხატოს თავისი ყველაზე ძვირფასი აზრები და გრძნობები, ე. ი. უნარს, ლირიკული გადართოს სხვა მხატვრულ სფეროში“¹⁹⁸.

ნ. ბარათაშვილს პოემაში თავისი შეხედულებანი გამოხატული აქვს საქართველოს ისტორიასთან განუყრელად დაკავშირებული ერეკლე მეფისა და მისი მსაჯულის, სოლომონ ლეონიძის — ორი ღიდი პატრიოტის, ქვეყნის უღრმესი ინტერესებით გამსჭვალული ორი მოღვაწის ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ შეხედულებებით. სახელდობრ, პოეტი გულწრფელად თანაუგრძნობს სოლომონ ლეონიძეს, რომელიც წინააღმდეგია ერეკლეს გადაწყვეტილებისა — შეუერთოს საქართველო რუსეთს, რომელთანაც, ერეკლეს სიტყვებით, „დიდხანია გვაქვს ჩვენ ერთობა, მტკიცე კავშირი, სარწმუნოება“, (74), წინააღმდეგია იმიტომ, რომ —

სახელმწიფოსა ერთობა სჯულის
არა რას არგებს, ოღეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს (74), —

რაც ზედმიწევნით გამოხატავს განმანათლებელთა მიერ საყოველთაოდ აღიარებული „ბუნებრივი სამართლის“ ფუძემდებლურ დებულებას.

დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს აწმყოთი დამწუხრებული ნ. ბარათაშვილის აზრს გამოხატავს პოემაში ერეკლეს გადაწყვეტილებით აღშფოთებული სოლომონის მეუღლის სიტყვები —

უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერ ვის იკარებს სული
და არს უთვისო დაობლებული
რა ხელ-პყრის პატვის ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული
და ველად იგი ამხანაგთ შორის
პირსაც, ვით ლხინსა, ერთგვარ დამღერის?
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება? (80) —

¹⁹⁸ ი. ნეუპოკოევა, ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 74—75. უფრო დეტალური მით პოემა-მონადიაზე იხ. იმავე ნაშრომის გვ. 73—95.

და ამ სიტყვებით შთაგონებული პოეტის ლირიკული დიგრესია —

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ? (80) —

ასევე, როგორც მწარე ნაღველი იმის გამო, რომ „ქარმან ჩრდილოს-
მან ყველაზედ პირველ გარდაუცვალა... გული ცხოველი... მამულის
ასულთ“, რომელთაც გული აღარ შესტიყვით სამშობლოზე და მდაბალ
ვნებებს აყოლილნი მოუბრძობებლად ამბობენ —

ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოლონდ ვაამოთ ჩვენ საკუთარ გულს.
რის ქართუელობა, რა ქართველობა,
მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა? (80)

ამავე დროს, პოემაშივე ჩანს, რომ ნ. ბარათაშვილი იზიარებდა ის-
ტორიული აუცილებლობით გამოწვეულ გადაწყვეტილებასაც ერეკლე
მეფისა — შეეერთებინა ფეოდალური შუღლით დაკნინებული და გარე-
შე მტერთაგან აწიოკებული საქართველო, სად ყმანი მისნი „ურთიერთს
პბძარავდნენ“, რუსეთისათვის, რომელსაც შეეძლო. ერეკლეს აზრით. მო-
ეცა ქართლისათვის კეთილდღეობა (74) და რომლის „საფარს ქვეშ“
შეიძლებოდა მშვიდობა ენახა საქართველოს (75).

ნ. ბარათაშვილის დადებითი დამოკიდებულება ერეკლე მეფის გა-
დაწყვეტილებისადმი, როგორც აუცილებლობით გამოწვეულ გადადგ-
მულ ნაბიჯისადმი, აშკარად ჩანს პოემის ფინალში: კვლავ აღორძინდა
აღა-მაჰმად-ხანის მიერ აოხრებული მხარე. „აღავსო კვალად ერმან ტფი-
ლისი, რა მობრძანება სცნა ირაკლისი; ქალაქი ისევ ჩქარად აშენდა“
(80) და ერეკლემაც კვლავ „ხრმალი ბრძოლისა აღიღო ლეკთა შესამუს-
რავად! არც სპარსნი მორჩნენ დაუმარცხებლად; სიბერის ჟამსა მოიცა-
ძალი და შეაძრწუნა კვალად ოსმალი“, (81) მაგრამ... —

მაგრამ ამაო იყო ყოველი:
დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიდა გულმან ირაკლის! (81).

კიდევ უფრო ცხადად ჩანს ეს ლექსში „საფლავეი მეფის ირაკლი-
სა“. პოეტი მუხლს იდრეკს მხცოვანი გმირის „საფლავის წინ“, თაყ-
ვანს სცემს მის „ნაანდერძებს, წინასწარად - თქმულს“ იმიტომ, რომ
„აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრნი“ მისნი და „ვსჰამთ ნაყოფსა მისგან
ტკბილსა“ (54). ხოლო ეს ტკბილი ნაყოფი „ჟამ-ვითარებით გარდახვე-
წილთ“ შეილთა მიერ „ჩრდილოეთით“ შემოტანილი განათლებაა, „თვა-
ლია ძვირფასი“, რომელსაც „მუნით ჰზიდვენ... მშობელს ქვეყნად, მხუ-

რეალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად" (54). ეს „ტკბილი ნაკოფი“ ისაა, რომ —

სადაც აქამდინ ხრმლით და ძალით ჰქვობდა ქართველი,
მუნ სამშედლობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!
აწ აღარ ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;
შაეი ზღვის ზვირთნი, ნაცვლად. ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვიგვირინ მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა (54)

მაგრამ, პ. ინგოროყვას შენიშვნისამებრ, „საფლავი მეფის ირაკლისა“, რომელშიც გატარებულია იგივე პოლიტიკური აზრი, რაც ილია ჭავჭავაძის მოწოდებაში —

მას ნულარ ესტრით, რაც დაქარგულა,
რაც უწყალოს ღრით ხელით დანთქმულა!
მოეყლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ეშვით მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს. —

„სრულიადაც არ ნიშნავს ნ. ბარათაშვილის მიერ რაიმე შერიგებას იმ მდგომარეობასთან, რაც საქართველოს შეუქმნა ცარისტულმა თვითმპყრობელობამ¹⁹⁹.

1842 წელსვე, როცა ნ. ბარათაშვილმა შეთხზა „საფლავი მეფის ირაკლისა“, არის დაწერილი „სუმბული და მწირი“, რომელშიც გამოხატულია დამოუკიდებლობადაქარგული საქართველოს ბედით გამოწვეული გულის სიღრმემდე შემრყევი ნაღველი. „სუმბულსა და მწირში“ უფრო შთამბეჭდავად და სახეობრივად არის წარმოდგენილი იგივე აზრი, რაც პოემაში „ბედი ქართლისა“ სოფიოს სიტყვებით აქვს პოეტს გადმოცემული. თბილ ბინაში, ოქრო და ვერცხლით შემკობილ სადგომში მოთავსებულ სუმბულს, სადაც ვერც მზე დააჭკნობს და ვერც სიცივე დაზრავს, საამო ფერიც დაუქარავს და სუნიც თავისი „ამო და ნელი“, რადგან „მოვკლებულეარო — ამბობს სუმბული — ჩემს სამშობლოს გულს, ჩემთ სწორათა ყვაეილთ, მშენიერს ცას და ჩემსა ბულბულს“ (47). და მწირის კითხვაზე —

ნუ თუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რა საამურს,
სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ საღვურს;
სადაცა კაცი შენს შევენებას ესრეთ ნახავს,
რომ მზე ვერ გიჭკნობს და სიცივე ვერა დაგაზრავს (47)

199 პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1969, გვ. 123.

კითხვითვე გაცემული პასუხი —

მაგრამ მარჯე, რა არს ჩემთვის სახლო დიდ-მშენიერი,
ეთი გაალიმებს ჩემს შეენებას ხშული ჰაერი?

და განმარტება —

არღა მეველება გარე წყარო ცივი, კამკამო,
არღა მეცემის დილით გულსა სიციოცხლის ნაჰი;
გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უაღერსებს
და მაყელის ბუტკი მზისა სხივთა არღა მიჩრდილებს.

განუმეორებელი ძალით გადმოგვცემს თავისუფლებამართმეულის მძო-
მე ტრაგიკულ განცდას და ამდენად გვევლინება თავისუფლებისადმი
აღვლენილ დადადისადაც.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მწირის შეგონებაზე —

სუმბულო ტურფავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი,
მისგან შენ ახლა იქნებოდი უწყალოდ მკედარა;
ნახე, რა ძალუძს შენთვის მზრუნველს კაცისა ხელსა,
რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს კერს თუ ფურცელსა (48).—

პასუხი სუმბულისა—

ზამთრით ბუნება არა კვდება, სევდათ იმოსეის,
რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა, განეშორების!
და მყის ვითარის მშვენებოთა კვლავ შეიფურცელის,
ოღეს მერცხალნი იხარებენ მოსვლას საყვარლის!

და ნატერა—

ახ, როდის ენახო მეცა ევლად ჩემი ბუღბული,
რომ განეშალო კვლავ სიტურფით მისი სუმბული! (48).—

რომელიც გაზაფხულის კვლავ დადგომისა და „ბუნების შეფურცელის“,
მართალია, შორეულ, მაგრამ ნუგეშის მომგვრელ მტკიცე იმედსაც შე-
იცავს.

ეს იმედი „ბუნების შეფურცელისა“¹, რასაც პოეტი საყოველთაო
გაზაფხულის დადგომასთან აკავშირებდა, და მოწოდება — კაცობრიო-
ბის უკეთესი მომავლისათვის იზრუნო და მისთვის ბრძოლას შესწირო
ხველაფერი, თვით სიციოცხლეც კი, ოღონდ შენს შემდგომად მოქმესა
შენსა გაუადვილო იმ გაზაფხულის მოსაყვანი, ტრაგიკული წინააღმდე-
გობებით საესე, ძნელი გზის გადალახვა გამსჭვალავს ნ. ბარათაშვილის
პოეზიას ოპტიმიზმით და „მეჩანის“ ავტორს აყენებს მსოფლიო ლიტე-
რატურის იმ დიდ წარმომადგენელთა შორის, რომელთა „მეხი სიტყვა“
ყოველთვის აფხიზლებდა ხალხთა გონებას და ჩაგვრისა და უსამართ-

ლობის წინააღმდეგ ამხედრებულთ ბოროტებაზე სიკეთის საბოლოოდ გამარჯვების ურყევ რწმენასაც უნერგავდა.

დასასრულ, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, ნ. ბარათაშვილი იმიტომ არის „ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა“, რომ მან, ქართული პოეზიის ტრადიციებზე აღზრდილმა; უფრო გაბედულად, ვიდრე რომელიმე მისმა წინამორბედმა პოეტმა, დაარღვია ჩვენს მწერლობაში დამკვიდრებული და გაცვეთილი შტამები, ქართული პოეზიის მხატვრული არე გაათავართოვა და შექმნა რითმათა ვირტუოზული თამაშისა და შეწმასნილი, ღვლარქნილ ფრაზებისაგან თავისუფალი პოეზია, რომლის ესთეტიკური ღირებულება და ემოციური ზემოქმედების ძალა შინაარსის შინაგანი პოეტურობის უშუალო განცდის გადმოცემასთან არის დაკავშირებული და რომლის თემას, უწინარეს ყოვლისა, სამშობლოს ჭირ-ვარაში წარმოადგენს. ამასთანავე ერის ძნელბედობის ტრაგიკულად აღმქმელი ნ. ბარათაშვილი ერის უღრმესი ტკივილების ჩაწვდომით „კაცად-კაცობის ვრცელ მინდორსაც“ გადასწვდა, „კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა“ (ი. ჭავჭავაძე), წყურვილის მოსაკლავ წყაროდ „ბედის სამზღერის“ გადალაზვა, ადამიანისათვის ზრუნვა და მისი ბედნიერებისათვის თავგანწირული ბრძოლა დასახა და ამ მაღალიდებული შინაარსის შესატყვისი ახალი ფორმით შეთხზული თავისი ნაწარმოებებით ქართულ მწერლობაში ევროპული ლიტერატურული გემოვნება რომ დაამკვიდრა, თავად მხატვრული აზროვნების იმ მწვერვალზე ავიდა, სადაც მეტნაკლები განსხეავებით ნ. ბარათაშვილის თითქმის იმავდროულად მოღვაწე ისეთი შემოქმედნი დგანან, როგორებიც არიან გოეთე და ჰაინე, ბაირონი და შელი, პუშკინი და ლერმონტოვი, მიცკევიჩი და პეტეფი. სწორედ მან, ნ. ბარათაშვილმა, გაუკაფა გზა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ მედროშეს ი. ჭავჭავაძეს და, საერთოდ, სამოციანი წლების სახელგანთქმულ ქართველ მოღვაწეებს, რომელთა შემოქმედებაში ქართული ლიტერატურის ევროპეიზმი ახალ შინაარსს იძენს.

მსოფლიოს პერიდიანებაზე

[ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი
40 წლის (1921—1961) მანძილზე]

ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. როგორც არაერთგზის აღნიშნულა, ორი სამყაროს გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო ორი კულტურის შეხების ცენტრსაც წარმოადგენდა და ქართველი ხალხი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა შემოქმედების საუკეთესო მონაპოვრის გამოყენებით, თავისი მუდამ თვითმყოფადი ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებით განვითარებასთან ერთად, საკუთარი წვლილითაც მნიშვნელოვნად ამდიდრებდა მსოფლიო კულტურის დიდ სავანძურს.

აკად. ნ. ი. კონრადის აღნიშვნისამებრ, ლიტერატურული ურთიერთობანი „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია და მკაცრად ისტორიული თვალსაზრისით, მთელი თავისი ისტორიული კონკრეტულობით უნდა იქნეს განხილული“¹.

ცხადია, მრავალსაუკუნოვანი ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანიც, რომლის მიმართულებას, ხასიათსა და მასშტაბს განსაზღვრავდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით გაპირობებული ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნისა საერთაშორისო ვითარებაში და რომელიც გამოხატავდა და შეესატყვისებოდა ქართველი ერის გონებრივ განვითარებასა და კულტურის დონეს, სწორედ „მკაცრად ისტორიული“ კონტექსტის გათვალისწინებით უნდა იქნეს შესწავლილი და განხილული.

ამ მიმართებით მრავალი საყურადღებო შრომა მიუძღვნიათ ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსებს ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემებისადმი. გულმოდგინედ არის შესწავლილი ქართულ-აღმოსავლური, განსაკუთრებით ქართულ-სპარსული, ლიტერატურული ურთიერთობების მნიშვნელოვანი საკითხები, მრავალი მონოგრაფია და ვრცელი წერილი ქვეყნდება სისტემური კვლევის საგნად ქცეულ ქართულ-საბჭოთა ხალხების ლიტერატურულ ურთიერთობებზე. რაც შეეხება ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობას,

¹ Н. И. Конрад, Проблемы современного сравнительного литературоведения, «Известия АН СССР». Отделение литературы и языка, т. XVIII, вып. 4, 1959, с. 324—325.

იგი ჭერჭერობით შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი, თუმცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ფართოდ გაიშალა ამ მიმართულებით მუშაობა, რასაც ადასტურებს 50—70-იან წლებში გამოქვეყნებული მონოგრაფიები, სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები და წერილები, რომლებიც ამ საინტერესო პრობლემას ეხებიან და მნიშვნელოვნად ავსებენ გასაშუქებელ სფეროში არსებულ ხარვეზებს..

როგორც ქართულ-ევროპულ ურთიერთობებზე გამოქვეყნებული შრომები ცხადყოფენ, ადრე შუასაუკუნეებიდან მოყოლებული ევროპა გარკვეულ ინტერესს იჩენდა საქართველოს მიმართ; ხოლო, დროთა ვითარებაში სევაკრო კაპიტალისა და სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად, აღმოსავლეთის ბაზარზე გაბატონების დაუოკებელი მოთხოვნის შესატყვისად, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ეს ინტერესი ქვეყნისადმი, რომელიც „მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში... წარმოადგენდა გზაჯვარედინს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის“². ამის შესაბამისად იზრდებოდა რიცხვი ევროპელებისა, რომელნიც, დიპლომატიური, კომერციული თუ სხვა მიზნებით აღმოსავლეთში წარგზავნილნი, მეტ-ნაკლები სიღრმით ეცნობოდნენ საქართველოსაც, მის მდიდარ და მრავალფეროვან ბუნებას, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებასა და ყოფა-ცხოვრებას და საკუთარი შთაბეჭდილებების თუ სხვათა ნაამბობ-გადმოცემების საფუძველზე შექმნილ წარმოდგენებს უზიარებდნენ თანამემამულეებს.

ამ მხრივ აღსანიშნავია ჭერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნეში იოჰანეს შილდბერგერის მიერ აღწერილი მოგზაურობა ევროპასა, აზიასა და აფრიკაში, სადაც კავკასიაში მცხოვრებ ხალხებზედაც არის ცნობები და, მიუხედავად დასანანი შეცდომებისა, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზედაც საინტერესო მასალებია წარმოდგენილი. საყურადღებო ცნობებს შეიცავს საქართველოზე მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში გამოქვეყნებული ორი კრებული მოგზაურობებისა. ერთი ამ კრებულთაგანი იტალიელმა რამუზიომ გამოსცა ვენეციაში 1559 წელს, ხოლო მეორე ინგლისელმა ჰალკუტმა დაბეჭდა ლონდონში 1589 წელს.

მაგრამ, ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარის ნ. ორლოვსკაიას აღნიშვნისამებრ, ევროპაში „ახალი ეტაპი საქართველოს ცხოვრების გაცნობისა XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება“³,

² გ. ეორდანი, უცხოელ მოგზაურთა ცნობებუ ქართველთა შესახებ XVII ს., „მნათობი“, 1962, № 8, გვ. 174.

³ Н. К. Орловская. Грузия в литературах Западной Европы XVII — XVIII вв., Тб., 1965, с. 33.

იმ პერიოდიდან, როცა მნიშვნელოვნად გაცხოველდა ევროპის ურთიერთობა აღმოსავლეთთან და დასავლეთის მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების მულმივი სტუმრები გახდნენ. სწორედ ეს ინგლისელი, გერმანელი, ესპანელი, პორტუგალიელი, ფრანგი თუ იტალიელი დიპლომატები, კომერსანტები და მისიონერები თავიანთი მოგზაურობების აღწერებსა და ინფორმაციებში მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავდნენ საქართველოს რეალურ მდგომარეობას და წარმოდგენას უქმნიდნენ ევროპის ხალხებს მაშინდელ საქართველოზე. მართალია, არც ეს „მოგზაურობანი“ და „ინფორმაციები“ არის მთლიანად თავისუფალი ევროპულ მწერლობაში საქართველოზე ადრე არსებული ცნობებისათვის დამახასიათებელი მითურ-ლეგენდური გადმოცემებისა და ეგზოტიკისაგან, მაგრამ, იმ ძველი ცნობებისაგან განსხვავებით, აქ ზღაპრულ-ეგზოტიკურის მიღმა მთავარი ყურადღება ექცევა კონკრეტულ-ფაქტიურ ვითარებას, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას, ხალხის ყოფა-ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას. ზოგი მათგანი უაღრესად მნიშვნელოვან და სანდო ცნობას გვაწვდის ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენასა და პიროვნებაზე.

ამ ხასიათის ნაწერებიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პაპი ურბან მერვის წარმოგზავნილი პიეტრო დელა ვალეს „ინფორმაცია საქართველოზე“, რომელშიც „პირველად არის მოცემული საქართველოს ცხოვრების ცოტად თუ ბევრად ნათელი სურათი“⁴ და ფრანგი ნეგოციანტის ჟან შარდენის მრავალტომიანი „მოგზაურობა“, სადაც ავტორი საქართველოზე პირადი დაკვირვებიდან აღებულ მასალას ხშირად სპარსული წყაროების მონაცემებითაც ავსებს.

ძველებერძულ და რომაულ მწერლობასთან ერთად დელა ვალეს, ჟან შარდენის, მისიონერ არქანჯელო ლამბერტისა და სხვ. ცნობები წარმოადგენდა ძირითად წყაროს XVII—XVIII სს. იმ მწერლები-ათვის, რომელთა შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ თემატიკას. აქ უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია: ფრანგი — ჟილე დე ლა ტესონრი, ჟაკ პუსე დე მონტობანი, კლოდ-პროსპერ ჟოლო დე კრებიონი და ჟან ბატისტ შევერემონი; იტალიელი — პიეტრო მისასტაზიო, კარლო გოცი და კარლო გოლდონი; ინგლისელი — უილიამ-კოლინსი; გერმანელი — ანდრეას გრიფიუსი და მრავალი სხვ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ XVIII ს. ევროპული აზროვნების ისეთი კორიფეები, როგორებიც არიან: მონტესკიე და ვოლტერი, ლაიბნიცი, ლესინგი, ვინკელმანი, კანტი და სხვ., რომელნიც თავიანთ მხატვრულ პრა-

⁴ Н. К. Орловская, Грузия в литературах Западной Европы XVII — XVIII вв., Тб., 1965, с. 35.

ქტივასა და თეორიულ მსჯელობებში ამა თუ იმ კუთხით ეხებიან საქართველოს⁵.

ეკროპელთა ცოდნა საქართველოზე მნიშვნელოვნად ფართოვდება მეცხრამეტე საუკუნეში. თანაც ამ ცოდნის წყაროს ემპირიული აღწერილობის შემცველი ცნობების ნაცვლად წარმოადგენს შრომები, სადაც ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის აღწერასთან ერთად მისი ისტორიისა და კულტურის მეტ-ნაკლებად ღრმა ანალიზი და მეცნიერული განზოგადება მოცემული.

XIX საუკუნის იმ საქმაოდ მრავალრიცხოვან საზღვარგარეთელ მოღვაწეთაგან, რომელთაც თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს. მისი კულტურისა და ლიტერატურის ევროპის ხალხებისათვის გაცნობის საქმეში და ხელი შეუწყვეს ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა გაღრმავებას, აღსანიშნავია: იულიუს კლაპროტი, რომელმაც 1812—1814 წლებში გამოაქვეყნა ორტომიანი შრომა „მოზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1807—1808 წლებში“; პირველმა დაწერა ვახტანგ და დავით ბატონიშვილების მიერ შედგენილ ისტორიათა საფუძველზე საქართველოს ისტორია გერმანელებისათვის და გამოსცა „კავკასიის ქვეყნების აღწერა“ ანტონ გულდენშტეტისა, რომელშიც აღწერილია XVIII საუკუნის დასასრულის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება; უკვე ფრანსუა გამბა — საფრანგეთის კონსული საქართველოში, რომელმაც 1826 წელს ორ ტომად გამოაქვეყნა „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში“; ალექსანდრე დიუმა-მამა, რომლის საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გადმოცემულია სქელტანიან წიგნში „კავკასია“; ფრიდრიხ ბოდენშტეტტი, ავტორი შრომებისა — „კავკასიის ხალხები“ და „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“. მან შესანიშნავი ლექსებიც უძღვნა საქართველოს და ქართველ ხალხს; ცოლ-ქმარი ბერტა და არტურ ზუტენერები, განსაკუთრებით არტური, რომელმაც, გარდა იმისა, რომ ქართულ თემაზე შეთხზა მხატვრული ნაწარმოებები —

⁵ დაინტერესებული მკითხველი XVII—XVIII საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში საქართველოზე არსებულ ცნობებს, ქართული თემის დამუშავებას, მის ხასიათსა და მიმართულებას დაწვრილებით შეიძლება გაეცნოს ნ. ორლოვსკაიას დასახელებულ საყურადღებო წიგნში, გვ. 47—157; აკრეთვე; ნ. კაკაბაძის და ნ. რუხაძის „კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში“, თბ., 1963; ნ. კაკაბაძის „პორტრეტები და სილუეტები“, თბ., 1971, გვ. 166—176; შ. რევი-შვილის „ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობებიდან“, თბ., 1967, გვ. 3—33 და „გერმანულ-ქართული ეტიუდები“, თბ., 1977; დ. ფანჯულიძის „ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის“, თბილისი, 1969.

„დარეჯანი“, „აზნაური“, „კავკასიის შვილები“ და სხვ., „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაც სცადა, და მრავალი სხვ.

მაგრამ საგანგებო დამსახურება ქართველი ერის ისტორიის, კულტურისა და ლიტერატურის მეცნიერული შესწავლა-პროპაგანდისა და ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განმტკიცების სფეროში მიუძღვის მარი ბროსეს — „ჩვენი წარსულის დაუღალავ მკვლევარს“.⁶ ბროსემ საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა, გამოსცა ქართული ენის გრამატიკა, რომელსაც დაურთო ჩვენი მწერლობის ძეგლების ნუსხა, მრავალ შრომაში გააშუქა ქართველი ხალხის ისტორიის საკითხები და თავად თარგმნა ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“, ბესიკის „სეველის ბაღს შეველ“ და ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“

მარი ბროსემ პირველმა ჩაუყარა საფუძველი ევროპაში მეცნიერულ ქართველოლოგიას. ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ მარშალ ლანგის აღიარებით, ბროსეს დროიდან იწყება ინგლისშიც, კერძოდ, ოქსფორდში, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება, რომლის პიონერი სოლომონ სიზარ მალანი იყო⁷. მალანის გზა განაგრძო ვილიამ რიჩარდ მორფილმა. მან 1888 წელს, საქართველოში ყოფნის შემდეგ, სადაც იგი ილია ჭავჭავაძეს ესტუმრა და ბევრ გამოჩენილ მოღვაწესაც გაეცნო, ეურნალ „The Academi“-ში გამოაქვეყნა ნარკვევი „ქართული ენა და ლიტერატურა“, რაც „წარმოადგენდა პირველ ცდას ინგლისელი მკითხველისათვის ქართული ლიტერატურის ზოგადი სურათის გასათვალისწინებლად“.⁸

1888 წელსვე ქართველი ხალხის ინგლისელმა მეგობარმა ოლივერ ურდროპმა გამოაქვეყნა ნაშრომი „საქართველოს სამეფო — მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ქალების, ღვინის და სიმღერების ქვეყანაში“, სადაც საქართველოს ისტორიასთან ერთად ქართული ლიტერატურაც არის მიმოხილული. მანვე ინგლისურენოვან სამყაროს გააცნო სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ხოლო ოლივერის დამ — მარჯორიმ ქართულ ხალხურ ზღაპრებთან და ი. ჭავჭავაძის „განდეგილთან“ ერთად ინგლისელ მკითხველს მიაწოდა მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული პროზაული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“. ქართული კულტურისა და ლიტერატურის ამ თავდადებულმა პროპაგანდისტმა სიკვდილის წინ (გარდაიცვალა 1909 წელს) 3000 გირვანქა სტერლინგი შესწირა ქართველოლოგიური მუშაობის საწარმოებლად ოქსფორდის უნივერ-

6 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 20.

7 დევიდ მარშალ ლანგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, „ცისკარი“, 1957, № 4, 141.

8 იქვე, გვ. 142.

რსიტეტს. სადაც წარმატებით გრძელდება ამ მიმართულებით კვლევა-
ძიება.

ამ წერილში აღნიშნული XIX საუკუნის უცხოელი მოღვაწეების (მ.
მცირე ნაწილს, რომელთა ამაგიტ ევროპელებმა გააფართოვეს თავიან-
თი ცოდნა საქართველოს, მისი კულტურისა და ლიტერატურის სფერო-
ში, უნდა დაემატოს ვენის უნივერსიტეტის პროფესორი ფრანკ კარლ
ალტერი, რომელმაც XVIII საუკუნის დასასრულს, 1798 წელს, ვენაში
გამოქვეყნებული 280-გვერდიანი ნაშრომით „Über georgische Lite-
ratur“ საშუალება მისცა გერმანულენოვან მკითხველს ნაწილობრივ მა-
ინც შეეკმნა წარმოდგენა ქართული ლიტერატურის რაობაზე. მაგრამ
ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრე-
ბის პროპაგანდის სფეროში შეუდარებლად დიდია. დეაწლი სიღეზიელი
არტურ ლაისტისა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ცხოვრობ-
და საქართველოში და გერმანულ და პოლონურ ენებზე აშუქებდა ქა-
რთველი ერის ისტორიისა და კულტურის საკითხებს, მიმოიხილადა
მის ლიტერატურას, წერდა მოთხრობებს ქართულ თემაზე და თარგმნი-
და ქართული მწერლობის ნიმუშებს. ლაისტმა თარგმნა გერმანულ ენა-
ზე „ვეფხისტყაოსანი“ და ფაქტიურად შეადგინა ქართული პოეზიის პი-
რველი ანთოლოგია. მან, ქართული პრესის აქტიურმა თანამშრომელმა,
1906 წელს თბილისში დააარსა გერმანული გაზეთი „Kaukasische
Post“, სადაც მისი წინამორბედი ჟურნალის „Le Caucase illustre“-ს
მსგავსად, რომელსაც ფრანგი ფილოლოგი მურიე რედაქტორობდა, სა-
ინტერესო მასალა ქვეყნდებოდა ქართულ ლიტერატურაზე და ქარ-
თული მწერლობის ნიმუშთა თარგმანებიც იბეჭდებოდა.

როგორც აღინიშნა, არტურ ლაიტი თავის ნაწერებს პოლონურ
ენაზეც აქვეყნებდა და ავსებდა იმ ცოდნას „რუსეთის პოლონეთზე კავ-
კასიაში“ (კ. მარქსი), რაც ჰქონდა მიღებული პოლონელებს თადეოშ
ლადა ზაბლოცკის, მათეოშ გრანევსკის, კაზიმირ ლაფჩინსკის და სხვათა
ნაწერებიდან. ლაისტმა პოლონურ ენაზედაც თარგმნა „ვეფხისტყაოსა-
ნი“. თუმცა ეს თარგმანი, რომელსაც წინ უსწრებდა გ. ერისთავის დახ-
მარებით შესრულებული კ. ლაფჩინსკისეული თარგმანი, რამდენიმე გა-
რითმული სტროფის გამოკლებით, პროზით არის შესრულებული და,
სპეციალისტთა აზრით, არ გამოირჩევა მხატვრული ღირსებით, მაგრამ
მან, უდაოდ, გარკვეული როლი ითამაშა პოლონურენოვან მკითხველისათ-
ვის პოემის გაცნობისა და ამ პოემით მისი დაინტერესების საქმეში.

როგორც აქ წარმოდგენილი ზოგადი მიმოხილვიდან ჩანს, XIX საუკუნის ევროპა საკმაოდ ფართოდ გაეცნო საქართველოს, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ევროპელების ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი, აღძრა ქართველი ერის წარსულისა და აწმყოს, მისი ენის, კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლისა და მეცნიერული დამუშავების სურვილი. ამავ დროს ქართულმა თემამაც ბევრი უცხოელი მწერლის ყურადღება მიიქცია და ქართული პოეზიისა და პროზის საუკეთესო ნიმუშებიც ითარგმნა ევროპულ ენებზე.

და მაინც, თვით მეოცე საუკუნის დასაწყისშიც, არა მარტო ძველი ქართული მწერლობა, რომლის გარეშეც „არ შეიძლება ძველი ლიტერატურის ისტორიიდან დამუშავება არც ერთი საკითხისა, თუ სათანადოდ ანგარიში არ გაეწია ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს“,⁹ არამედ მთელი ქართული ლიტერატურა საერთოდ, არსებითად. „terra incognita“ წარმოადგენდა¹⁰. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ჰარნაკი 1903 წელს, როცა გაეცნო ნ. მარის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშს ი. ჭავჭავაძისთან ერთად იერუსალიმსა და სინას მთაზე არსებული ქართული ლიტერატურის ძეგლების შესასწავლად მოგზაურობის შესახებ, პრუსიის აკადემიის ორგანოში სინანულით აღნიშნავდა ქართული ლიტერატურის უცოდინარობას და მოუწოდებდა ახალგაზრდა მეცნიერებს საფუძვლიანად შეესწავლათ იგი.

საგულისხმოა, რომ აკად. კ. კეკელიძის აღნიშვნისამებრ, თუმცა 1906 წ. „Die Kultur der Gegenwart“-ის „Die orientalische Literatur“-ის განყოფილებაში კი იყო მოთავსებული მეტად სქემატური და თანაც შეცდომებით სავსე თორმეტგვერდიანი მიმოხილვა ქართული ლიტერატურისა, რომლის ავტორი ფრ. რ. ფინკია, მაგრამ 1909 წელს ლაიფციგში გამოქვეყნებულ მეშვიდე ტომში ისეთი მეცნიერული გამოცემისა, როგორცაა „Literaturen des Ostens“, სადაც მიმოხილულია აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიანული ლიტერატურა, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ქართულ მწერლობაზე. ამას პროფესორი ბროკელმანი — ავტორი ამ ტომის წინასიტყვისა — იმით ხსნის, რომ ეგრ ვაპოვეთ ქართული ლიტერატურის სპეციალისტი, რომელსაც გერმანული ენაც კარგად ეცოდინებოდაო. სამაგიეროდ 1911 წელს იმავე ლაიფციგში გამოცემულ გოშენის კრებულში მოთავსებულია პროფ. ა. ბაუმშტარკის „ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა“ (გვ. 99—110). თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფინკის მიერ დაშვებული ზოგიერთი შეც-

⁹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 14.

¹⁰ იქვე, გვ. 13.

დომის გამეორებას, ა. ბაუმშტარკის ნაშრომი იმდროინდელი ქართველოლოგიის მიღწევების გამოყენებითაა დაწერილი.

ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობებში მკვეთრი გარდატეხა იწყება მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მომხდარი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ძვრებითა და კულტურული რევოლუციით გაპირობებულმა ქართული მეცნიერების აღმავლობამ, მრავალმა ახალმა აღმოჩენამ, რომლებიც ცხადყოფენ ქართული აზროვნების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მნიშვნელოვან როლს კაცობრიობის კულტურის განვითარების ისტორიაში, კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი ქვეყნისადმი ადრეც არსებული დიდი ინტერესი, რომელიც დღითიდღე ფართოვდება იმ წარმატების შესატყვისად, რასაც აღწევს იგი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, კერძოდ მეცნიერების. ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროშიც.

მეოცე საუკუნის 20—30-იან წლებში ქართული მწერლობის კვლევასა და ჩვენი ლიტერატურის ძეგლების გამოცემას საზღვარგარეთ ბელგიელ მეცნიერ პ. პეტერსთან ერთად დიდი ამაგი დასდო ამერიკელმა რ. პ. ბლეიკმა. იგი 1918—1920 წლებში თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს, ხოლო შემდეგ მან, პარეარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, პალესტინისა და ათონის ქართული ხელნაწერების აღწერის გარდა, მრავალი ძეგლი გამოსცა და მნიშვნელოვანი გამოკვლევებიც მიუძღვნა ქართულ ლიტერატურას.

საყურადღებოა აგრეთვე სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორის კარსტის მიერ 1934 წელს გამოქვეყნებული ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა. ორი ნაწილისაგან შემდგარ ამ 177-გვერდიან ნაშრომში, რომელიც აკად. კ. კეკელიძის უნიშვნისამებრ, „თოთქმის მთლიანად დაყრდნობილია პროფ. კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ორტომიან ისტორიაზე“, ¹¹ განხილულია ქართული ლიტერატურის განვითარების გზა V—XX სს. მანძილზე. ბარემ აქვე აღვნიშნავთ, რომ სტრასბურგის უნივერსიტეტშივე 1967—68 წწ. პროფ. რობერტ ტრიომფის ინიციატივით სლავიანური ფილოლოგიის კათედრასთან ჩამოყალიბდა ქართული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი ჯგუფი. ამ ჯგუფს ორი წლის განმავლობაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ალ. ალექსიძე. რომელიც ამ მიზნით იყო მიწვეული სტრასბურგში. მიღწეული შედეგებით კმაყოფილი რ. ტრიომფი სპეციალურ წერილში „ქართული ენის სწავლება სტრასბურგში“ ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფის წარმატებისა და რიცხობრივი ზრდის აღნიშვნასთან ერთად წერდა: „ახ-

¹¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 27.

ლა მთავარი საკითხი ის არის, მოპოვებული წარმატებები განვამტკიცოთ, მუდმივად ვასწავლოთ ქართული ენა ჩვენი კათედრის საკუთარი ძალებით“. ¹²

ქარსტის დასახელებულ ნაშრომზე ადრე გერმანულმა სამეცნიერო ჟურნალმა „Oriens Cristianus“-მა დაბეჭდა ქართულ ლიტერატურაზე გ. ფერაძის ნარკვევი, ეს ნარკვევიც, კ. კეკელიძისავე აღნიშვნით, ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებებისა და დამატების გამოკლებით „თარგმანია პროფ. კ. კეკელიძის შრომისა „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში““. ¹³

30-იან წლებში საზღვარგარეთული ქართველოლოგიის უდაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1935—1937 წწ. პროფ. ალენის რედაქტორობით სამ დიდ წიგნად გამოცემული „Georgica“.

როცა XX ს. 20—30-იანი წლების ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს დიდი დამსახურება ანრი ბარბიუსისა. მან კლარა ცეტკინის „ვანთავისუფლებული კავკასიის“ შემდეგ, თავის 1927 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „აი რა უყვეს საქართველოს“ პირველმა ამცნო ემიგრანტებისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი უცხოელი მწერლების ცნობებით დეზინფორმირებულ ევროპელებს სიმაართლე საქართველოზე, მის „გულწრფელ და გულღია ხალხზე“ (ვისაც თავისი ავბედობაც და კეთილდღეობაც, სინამდვილეცა და ოცნებაც მრავალსაუკუნოვან ლიტერატურაში აუსახავს), და დიდი პათოსით აღწერა საკუთარი თვალით ნახული გრანდიოზული წარმატებანი საბჭოთა საქართველოს სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურის სფეროში.

მეოცე საუკუნის მეორე ფრანგმა მწერალმა და პოეტმა ლუი არაგონმა 1934 წელს დაბეჭდილი თავისი რომანის „ბაზელის ზარების“ ერთ-ერთ გმირად გამოიყვანა ქართველი ქალი ეკატერინე სიღამონიძე, რომელიც ცხოვრების მძიმე გამოცდილებისა და ხანგრძლივი შინაგანი განცდებისა და ჭიდილის შემდეგ წვრილბურჯუაზიული მემამბოხიდან რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალულ მებრძოლად ამაღლდება და პროლეტარიატის რიგებს შეუერთდება.

რაკი ლუი არაგონი დაეასახელეთ, აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მან „ბაზელის ზარების“ გამოქვეყნებიდან ორი ათეული წლის შემდეგ დაწერილ ნარკვევში საბჭოთა ხალხების ლიტერატურაზე ქართულ მწერლობას ორი მიმოხილვა მიუძღვნა. პირველი წერილი „ქართული

¹² ციტირებულია ს. თურნაეის წიგნიდან „საზღვარგარეთული ქართველოლოგია“, თბ., 1978, გვ. 132.

¹³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 27.

სიმღერა“, სადაც განხილულია ჩვენი ლიტერატურა XII საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით, იწყება გარჩევით „ვეფხისტყაოსნისა“, რომელსაც არაგონი „ახალი სიბრძნის საგანძურად“, „არა მარტო უდიდეს ეპოპედ,“ არამედ „დღემდე ცოცხალი აზრის საუნჯედ“ და „ქართული პოეტური ფორმის შედევრად“ მიიჩნევს. „ახალი ოქროს ვერძი“ კი (ასეა დასათაურებული მეორე წერილი) XX საუკუნის ქართულ ლიტერატურას, ეხება.

მეორე მსოფლიო ომმა ქართულ-ევროპული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობანიც მნიშვნელოვნად შეაფერხა. სამაგიეროდ იგი ომისშემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან, გაცილებით უფრო მასშტაბურად და ინტენსიურად ვითარდება.

1953 წელს განახლდა გამოცემა თორმეტი წლის მანძილზე შეწყვეტილი გერმანული სამეცნიერო ჟურნალის „Oriens Christianus“-ისა, რომელშიც ძველი ქართული მწერლობის ძეგლების თარგმანთან ერთად გამოქვეყნებულია ცნობილი ქართველოლოგების მ. თარხნიშვილის, ჰ. ენგბერდინგის (ჟურნალის ერთ-ერთი რედაქტორის) და სხვათა წერილები ქართული ლიტერატურის საკითხებზე.

ქართული ლიტერატურის პრობლემებზე საინტერესო ნაწარმოების ავტორია ლუველის (ბელგია) უნივერსიტეტის პროფესორი ჟერარ გარიტი. ნარკვევებისა და ძველი ქართული ტექსტების გამოქვეყნებასთან ერთად, გარიტის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს „Corpus scriptorum Christianorum orientaliuum“-ის სერიაში 1956 წელს გამოცემული „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი“. ამ ხელნაწერების აღწერილობათა სხვა გამოცემებს შორის გარიტის „კატალოგი“ სპეციალისტთა მიერ საუკეთესოდ არის აღიარებული. არანაკლებ საყურადღებოა ე. გარიტის მიერ 1958 წელს გამოქვეყნებული „პალესტინურ-ქართული კალენდარი სინურგ ხელნაწერ № 34-ის მიხედვით“. ე. გარიტისავე აღიარებით „თავისი მოცულობითა და შინაარსით ამ უნიკალურ ძეგლს“ მან დაურთო წინასიტყვაობა და ვრცელი გამოკვლევა.

ქართული ენისა და ლიტერატურის მეცნიერული კვლევის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ე. გარიტის მიერ 60—70-იან წლებში გამოქვეყნებულ შრომებს, რომლებიც აცნობს მკითხველებს ამ სფეროში კ. კეკელიძის, ი. აბულაძის, მ. თარხნიშვილის და ა. შანიძის მოღვაწეობას¹⁴.

ე. გარიტთან ერთად აღსანიშნავია ახალგაზრდა ბელგიელი მეცნიერი მიშელ ვან ესბროკი, რომლის ნაშრომიც „უძველესი ქართული მრავ-

¹⁴ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ე. გარიტის მოღვაწეობას ქართველოლოგიაში უფრო დაწვრილებით გაეცნოს ს. თურნავას წიგნში „საზღვარგარეთული ქართველოლოგია“, თბ., 1979, გვ. 133—165.

ვალთავეები“ 1975 წელს გამოაქვეყნა ლუვენის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა. „შრომაში, — წერს ე. მეტრეველი, — მაქსიმალური სისრულით განხილულია ამ შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლის მნიშვნელობა როგორც ქართული, ისე ბიზანტიური და საერთოდ ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტურგიკული და პატრისტიკული ლიტერატურის ისტორიისათვის“¹⁵.

1956 წელსვე ინგლისში ქართული პაგიოგრაფიული ძეგლების კრებული დასტამბა დევიდ მარშალ ლანგმა. ლანგი ოქსფორდის უნივერსიტეტში ინტენსიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს ქართველოლოგიის სფეროში. ინგლისელ ქართველოლოგთა შორის აღსანიშნავია აგრეთვე კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელი სტივენსონი და ლონდონის უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელი კეთრინ ვივიანი. სტივენსონმა, ადრე „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელმა, იუნესკოს დავლებით შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი. ეს თარგმანი 1977 წელს გამოქვეყნდა. მას აკად. ა. ბარამიძის გამოკვლევასთან ერთად დართული აქვს სტივენსონის ესეი. 1977 წელს გამოქვეყნდა კ. ვივიანის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანიც. ინგლისურენოვან მკითხველთათვის ქართული ლიტერატურის ისტორიის, მისი განვითარების გზების თანამედროვე მეცნიერების დონეზე გაცნობისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ინგლისურ ენაზე 1968 წელს დაბეჭდილ „ქართულ ლიტერატურას“, რომლის ავტორები არიან აკად. ა. ბარამიძე და პროფ. დ. გამეზარდაშვილი.

ომის შემდგომ პერიოდში ფართოდ გაიშალა ქართველოლოგიური კვლევა-ძიებანი აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაშიც. აქ, გარდა იულიუს ასფალგისა (ეინც მ. თარხნიშვილთან ერთად 1956 წელს გადაამუშავა, ფაქტიურად ოდნავ შემოკლებით თარგმნა, აკად. კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი, — გულმოდგინედ განაგრძობს ჩვენი მწერლობის საკითხების შესწავლას და მოამზადა წერილები ქართველ მწერლებზე მსოფლიო ლიტერატურის ლექსიკონის ახალი გერმანული გამოცემისათვის, რომელიც ამ ორი წლის წინ გამოქვეყნდა) უნდა დავასახელოთ: გერხარდ დეეტერსი, ჟურნალ Oriens Christianus-ის აქტიური თანამშრომელი, ქართულ ლიტერატურაზე მრავალი საყურადღებო წერილის ავტორი. მან 1963 წელს ცალკე გამოსცა „ქართული ლიტერატურა“, სადაც მოკლედ არის მიმოხილული ქართული მწერლობის ისტორია დასაბამიდან მეოცე საუკუნის 60-იან წლებამდე. გერმანულ ქართველოლოგთა შორის უნდა აღინიშნოს იენის

¹⁵ ე. მეტრეველი. ახალი ნაშრომი ქართულ მრ. ვალთავეზე. „მ. ცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 4, გვ. 67.

ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი გერტ-რუდა პეჩი, რომელმაც ჯერ კიდევ 1937 წელს დაიცვა დისერტაცია ძველი ქართული ენის პრობლემებზე, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იძულებული იყო შეეწყვიტა კვლევა-ძიება ამ მიმართებით, ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ კი სათავეში ჩაუდგა ქართველოლოგიურ მუშაობას გდრ-ში. პეჩმა ქართული ენისა და ლიტერატურის ინტენსიურ მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან ერთად ქართული მწერლობის ბევრი ნიმუშიც თარგმნა, მათ შორის, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“. იგი ამჟამად წარმატებით თარგმნის „ქართლის ცხოვრებას“. რაც მთავარია, გ. პეჩის ხელმძღვანელობით იენის უნივერსიტეტში აღიზარდნენ ახალგაზრდა მეცნიერები, რომელთა კვლევის საგანს ქართული ენა და ლიტერატურა შეადგენს. მათ შორის დავასახელებთ ჰაინც ფენრიხს, ამჟამად იენის უნივერსიტეტის პროფესორს, რომელმაც თბილისის უნივერსიტეტში დაამთავრა ასპირანტურა და აქვე დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ღრმა ცოდნა ძველი და ახალი ქართული ენისა, რასაც ადასტურებს ჰ. ფენრიხის მეცნიერული ხასიათის მრავალი ნაშრომი, დაედო საფუძვლად მის ისეთ თარგმანებს, როგორცაა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (რომლის პირველი გერმანული თარგმანი ჩვენი საუკუნის ოცდამ წლებში შეასრულა მ. წერეთელმა), გრ. აბაშიძის „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“, გ. ტაბიძის „დროშები ჩქარა“ და „მთაწმინდის მთვარე“ და სხვ. როგორც წესი, ჰ. ფენრიხის თარგმანებს თან ახლავს მისივე გამოკვლევები, რომლებშიც თარგმნილ ნაწარმოებთა ავტორების ბიოგრაფიასთან ერთად საინტერესოდ არის გაშუქებული საქართველოს ისტორიის და ქართული პროზისა და პოეზიის საკითხები.

გერმანულენოვან მკითხველთათვის ქართული მწერლობის ისტორიის, მისი განვითარების გაცნობის თვალსაზრისით საყურადღებო ფაქტი იყო გდრ-ის ხელოვნებათა აკადემიის ჟურნალ „Sinn und Form“-ის 1970 წ. მეექვსე ნომერში (რომელიც თითქმის მთლიანად საქართველოსადმი მიძღვნილი) გამოქვეყნებული ვრცელი და საინტერესო წერილები ქართულ ლიტერატურაზე გ. პეჩისა, ა. ენდლერისა, რ. კირშისა და ჰ. ფენრიხისა. მეტად საყურადღებოა 1971 წ. გამოცემული ქართული პოეზიის ანთოლოგიის შესავალი წერილი (გვ. 5—55), რომელშიც ადოლფ ენდლერი განიხილავს ქართული პოეზიის განვითარების ისტორიას. საქართველოს წარსულსა და აწმყოს, მისი კულტურისა და ლიტერატურის ისტორიას აცნობს გერმანულენოვან სამყაროს იენის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სამი კრებული „georgien“ (პირველი გამოქვეყნდა 1972 წ.), მაგრამ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ცოტა ხნის წინ იენის უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ყოველწლიური ქუ-

რნალი „გეორგია“, რომელსაც რედაქტორობს პ. ფენრიხი და რომლის სამი ნომერი უკვე გამოქვეყნდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელ გერმანულენოვან ლიტერატურაში ფართოდ აისახა ქართული თემატ. აქ ბრებტის, ბეხერის, კუბას, კურელასა და სხვათა გვერდით უნდა დავასახელოთ ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი — „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი. ჰუპერტმა 1957 წ. ბერლინში გამოსცა ლექსების ერთტომეული სათაურით „ქართველი მოგზაურის კვერთხი“, რომელშიც დიდი სიყვარულით უმღერის, — მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, — „არა ფანტაზიის სამფლობელოს“, არამედ „ხელშეხახები ზღაპრული სილამაზის ქვეყანას“.

70-იან წლებში ქართულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებიდან ა. შულცეს, ე. შტრიტმატერის, ზ. და რ. კირშების ლირიკულ ლექსებთან ერთად ყურადღებას იპყრობს ელკე ერბის „ექსპერტიზა. პოეზია და პროზა“ და ვალტერ დიცეს მოგზაურობის ენარის ნაწარმოები „აქ და იქ“. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ზემოთ უკვე დასახელებული ა. ენდლერის წიგნი „საქართველოზე თხრობის ორი ცდა“, რომელიც 1976 წ. გამოქვეყნდა¹⁶.

საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, მის ხელოვნებასა და ლიტერატურაზე საინტერესო მასალას შეიცავს გ. მენხენის მიერ „ტიურინგიშე ცაიტუნგის“ ოქტომბრისა და ნოემბრის ოთხ ნომერში გამოქვეყნებული ვრცელი წერილი.

ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობათა გაღრმავების საქმეში თავისი წვლილი შეაქვს გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების განყოფილებათა შორის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და აქტიურ ორგანიზაციად აღიარებულ გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილებას. ანგარიში ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც 1970 წ. ჩამოყალიბდა და სულ მალე ქართული გერმანისტიკის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა, სისტემატურად ქვეყნდება „გოეთეს წელიწადულში“.

გერმანულენოვანი ქვეყნებიდან ცალკე უნდა აღვნიშნოთ შვეიცარია. აქ კიტა ჩხენკელის ხელმძღვანელობით ქართველოლოგიის ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი შეიქმნა და ქართული ენისა და ლიტერატურის საყურადღებო პრობლემების გაშუქებასთან ერთად ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლებიც წარმატებით ითარგმნება.

ევროპაში ქართველოლოგიის უმნიშვნელოვანესი ცენტრი ამჟამად საფრანგეთშია, სახელდობრ, პარიზში, სადაც 1957 წლიდან გამო-

¹⁶ უფრო დაწვრილებით იხ. ნ. კაკაბაძე, საქართველოს და ქართული ლიტერატურის უახლესი რეკვიზიტა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, „ციცკარი“, 1978, № 7, გვ. 130—133.

დის ეურნალი „Revue de Kartvelologie. Bedi Kartlisa“, რომლის დაარსებით, რენე ლაფონის აზრით, „დასავლეთში ქართველოლოგია პირველად ჩამოაყალიბეს, როგორც ნამდვილი მეცნიერული დისციპლინა“.¹⁷

ეურნალის სამეცნიერო საბჭოში, რომლის თავმჯდომარე გარდაცვალებამდე პროფ. კალისტრატე სალია იყო, გაერთიანებულია საზღვარგარეთელ ქართველოლოგთა თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელი: იულიუს ასფალგი (მიუნხენი), ეერარ გარიტი (ლუვენი), ფრანსუა გრაფენი (პარიზი), კაფერ პარი (პარიზი), დევიდ მარშალ ლანგი (ლონდონი), ირინე მელიქოვი (სტრასბურგი), ბ. უტიე (სოლემი), გერტრუდა პეჩი (იენა), კარლ ჰორსტ შმიდტი (ბონი) და პანს ფოგტი (ოსლო). „ბედი ქართლისაში“ ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი, უნგრელი, ჩეხი და სხვ. საზღვარგარეთელი ქართველოლოგების წერილებთან ერთად იბეჭდება საბჭოთა მეცნიერების: შ. ამირანაშვილის, ა. ბარამიძის, ს. ყაუხჩიშვილის, გ. ჩიტაიას, ა. ჩიქობავას, გ. ჩუბინაშვილის, გ. წერეთლისა და სხვ. წერილები. ეს ეურნალი, რომელსაც 1962 წლიდან საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აფინანსებს, აქტიურად ეხმარება ქართველოლოგიაში თანამედროვე მეცნიერებებს სპირიტუალური პრობლემებს და ამ სფეროს სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად ფართოდ აცნობს მკითხველს როგორც ძველ და ახალ ქართულ მწერლობას, ისე თანამედროვე ქართული ლიტერატურის დიდ მიღწევებს.

ქართველოლოგიური კვლევა-ძიებანი და ქართული თემა საზღვარგარეთელ ლიტერატურაში ქართულ-საზღვარგარეთელი ლიტერატურული ურთიერთობის მნიშვნელოვანი ასპექტებია, მაგრამ მაინც მის საფუძველს და ძირითად წყაროს წარმოადგენს მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმანი, რომელიც ხალხთა სულიერი დაახლოების უმნიშვნელოვანესა ფაქტორი იყო ყოველთვის.

ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ზემოთ წარმოდგენილი ზოგადი მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ ჩვენი მწერლობის ზოგიერთ ნიმუშს ევროპა აღრეც იცნობდა. ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი და სხვა უცხოელი მკითხველი უკვე XIX საუკუნეში გაეცნო მშობლიურ ენაზე შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“, ბესიკის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვ. პოეზიისა და პროზის ნიმუშებს.

XX საუკუნეში, მეტადრე ამ საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული, ქართული მწერლობისადმი ინტერესის გაცხოველების შესაბამისად, იზრდება ხვედრითი წონაც ქართული ლიტერატურის ძეგლების

¹⁷ რ ე ნ ე ლ ა ფ ო ნ ი, წერილი საფრანგეთიდან, „სამშობლო“, 1971 წ., 24 სექტემბერი.

თარგმნისა, რომელიც, განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან. სულ უფრო და უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს და მასშტაბური ხდება. დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებულ ენაზეა თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“. მათ შორის ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ოთხი თარგმანიდან ორი — სტივენსონისა და ვივიანის მიერ შესრულებული — 1977 წ. არის გამოცემული. ფრანგულ ენაზე ქართული პოეზიის ამ დიდებული ძეგლის ექვსი თარგმანი არსებობს. სპეციალისტთა მალალი შეფასება დაიმსახურა გამოქვეყნებულმა ნაწილებმა პოემის ახალი, მეშვიდე თარგმანისა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს გასტონ ბუაჩიძეს ეკუთვნის. ა. ლაისტისა და პ. ჰუპერტის თარგმანებს გერმანულ ენაზე მიემატა პ. ბუდენზაგის მიერ მ. წერეთლის ბჭკარედის საფუძველზე პეგზამეტრებით თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ნაწყვეტების სახით უფრანლ „მიკევიჩ ბლეტერში“ იბეჭდებოდა და 1976 წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. გარდა ამისა, 1976 წელსვე ბერლინში დაიბეჭდა ვიქტორია რუიკა-ფრანტის მიერ შესრულებული პროზაული თარგმანი, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ნ. სალიამ მიუნხენში გამოსცა მ. წერეთლისეული თარგმანი.

ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ და იტალიურ ენებზე გამოქვეყნებულ ქართული პოეზიისა და პროზის ანთოლოგიებში და ნოველებისა და ლექსების კრებულებში ფართოდ არის წარმოდგენილი ქართული ხალხური, კლასიკური და თანამედროვე პროზისა და პოეზიის ნიმუშები. დ. გურამიშვილის, ბესიკის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ალ. და ი. ჭავჭავაძეების, ა. წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პოემებთან და ლექსებთან ერთად ევროპულ ენებზე თარგმნილია ალ. აბაშელის, ლ. ასათიანის, შ. აფხაიძის, ი. გრიშაშვილის, პ. იაშვილის, გ. ლეონიძის, ა. მირცხულავას, გ. და ტ. ტაბიძეების, ს. შანშიაშვილის, ს. ჩიქოვანის, გრ. და ი. აბაშიძეების, ხ. კალანდარიძის, კ. კალაძის, მ. ლებანიძის, მ. მაკავარიანის, რ. მარვიანის, შ. ნიშნიანიძის, კ. ნადირაძის, ი. ნონეშვილის, ლ. სულაბერიძის, მ. ქელივიძის, ჯ. ჩარკვიანის, თ. და თ. კილაძეების და თანამედროვე ქართული პოეზიის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედების ნიმუშები. ქართულ პოეზიასთან ერთად დიდი წარმატებით სარგებლობს ქართული მხატვრული პროზა: რომელიც ევროპულ ენებზე წარმოდგენილია სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ა. ბელიაშვილის, კ. გამსახურდიას, ლ. გოთუას, ნ. და კ. ლორთქიფანიძეების, ლ. ქიაჩელის, მ. ჯაჯანიშვილის, ნ. დუმბაძის, ა. სულაქაურის, დ. შენგელაიას, გ. ფანჯიკიძის, ო. და თ. კილაძეების და ბევრი სხვა გამოჩენილი მწერლის ნაწარმოებებით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაზრდილი ინტერესი ქართული ლიტერატურისადმი.

მართალია, ქართულ-პოლონურ ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს — ქართლის მეფე კონსტანტინე ჯერ კიდევ 1495 წელს შეეცადა დაემყარებინა კავშირი პოლონეთთან თურქეთის წინააღმდეგ. უფრო გვიან პოლონეთის მეფე იან მესამესაც ამ მიზნით სურდა დაკავშირებოდა საქართველოს და ვახტანგ მეხუთესაც უმთავრესად ამავე საკითხზე ჰქონდა მიმოწერა იან კახშირთან, მაგრამ სპორადული ხასიათის ამ ცდებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ქართველი და პოლონელი ხალხი ერთმანეთის ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას, კულტურას და ლიტერატურას ცოტად თუ ბევრად XIX საუკუნეში გაეცნო მხოლოდ, როცა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მეფის რუსეთი ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ პოლონელებს სასჯელის მოსახდელად ჩვენს ქვეყანაში ასახლებდა, ხოლო თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიური პოლიტიკით უკმაყოფილო ქართველთა ნაწილს პოლონეთში აგზავნიდა.

სწორედ ამ გზით მოხვდა საქართველოში მრავალი პოლონელი, რომელთაგან ბევრმა აქ მეორე სამშობლო ჰპოვა, შეიყვარა ქართველი ხალხი, შეისწავლა მისი ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ენა, კულტურა და ლიტერატურა და გააცნო იგი პოლონელ ხალხს. მათ შორის ნიჟიერი პოეტები და საზოგადო მოღვაწენიც იყვნენ. „კავკასიელ პოეტთა ჯგუფს“, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო თადეოზ ლადა ზაბლოცკი (1813—1847), სათანადო ადგილი აქვს დათმობილი პოლონური ლიტერატურის ისტორიაში. საქართველოში „საღდათად გამწესებული“ 21 წლის ჰაბუკი ზაბლოცკი მალე დაუახლოვდა ნ. ბარათაშვილს, მ. თუმანიშვილს და მათ წრეს. მან თავისი ნაშრომით „ნარკვევები ქართულ მწერლობაზე“ გააცნო პოლონელ ხალხს ჩვენი ლიტერატურა. საქართველოზე დაწერილი ვოიცებ პოტოცკის წგანი. 1846 წელს თბილისში დამარბული 26 წლის ელასლავ სტშელნიცკის კრებულში „პოეზია“ ფართოდ არის გამოყენებული ქართული ფოლკლორი და ცოცხლად არის დახატული კავკასიის დიდებული ბუნება. საქართველოს ეხება „თანამედროვე სურათები და კავკასიური შთაბეჭდილებანი“ ლეონ იანიშევსკის (1810—1861), რომელმაც თავისი ცხოვრების უკანასკნელი 20 წელი თბილისში გაატარა. ყურადღებას იპყრობს ქსავერი პეტრაშხვიჩის „კავკასიური სონეტები“ და განსაკუთრებით პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის მათეუშ გრალევსკის ნაშრომები „საქართველო ოსეთის ჩათვლით“ და „საქართველოს შესახებ“. ყველა ეს ნაწერი კაზიმირ

ლაფჩინსკის პოლონურ ენაზე გამოცემულ ანდაზებთან და 1886—1888 წწ. პოლონურ ჟურნალში ნაწყვეტებად გამოქვეყნებულ მის შთაბეჭდილებებთან — „ტფილისიდან არარატამდე“ — ერთად საკმაოდ ცხად წარმოდგენას უქმნიდა პოლონელ მკითხველს საქართველოზე.

საქართველოდან პოლონეთში გადასახლებულ ქართველ მოღვაწეთაგან უნდა აღინიშნოს გ. ერისთავი (რომელმაც რამდენიმე წელი გაატარა იქ. გ. ერისთავი გასცნობია პოლონურ ლიტერატურას და თარგმანა კიდევ რამდენიმე სონეტი მიცკევიჩისა, ვინც ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში) და სოლომონ რაზმაძე — პოეტი და საზოგადო მოღვაწე, მიცკევიჩის „ფარისის“ პირველი მთარგმნელი ქართულ ენაზე.

გ. ერისთავი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაუახლოვდა პოლონელ ემიგრანტებს, კერძოდ ლაფჩინსკის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი, რომელიც 1863 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ბიბლიოთეკა ვარშავსკას“ მეოთხე ნომერში, როგორც ზემოთ. არის აღნიშნული, გ. ერისთავის დახმარებით შეუსრულებია კაზიმირ ლაფჩინსკის.

ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობის ეს ტრადიცია შემდგომ არასდროს შეწყვეტილა, მაგრამ არც ისე მასშტაბური ყოფილა ოდესმე, როგორც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მეტადრე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.

ქართული კულტურის კვირეულით და ქართული პოეზიის საღამოებით პოლონეთში, ქართული პოეზიის ანთოლოგიით და ჩვენი კლასიკური და თანამედროვე პროზისა და პოეზიის წარმომადგენელთა ცალკეული თხზულებების თუ რჩეულ ნაწერთა თარგმანებით ეცნობა პოლონელი ხალხი ქართულ ლიტერატურას, რომლის დაუღალავი პროპაგანდისტიაა ვარშავის უნივერსიტეტის პროფ. იან ბრაუნი, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაამთავრა ასპირანტურა, აქვე დაიცვა 1955 წელს დისერტაცია თემაზე „ქართული ზმნის მრავალპირიანობა“ და ენერგიულ მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან ერთად წარმატებით ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. ამ სფეროში ნაყოფიერად მუშაობს კაზიმირ როშკო. რამდენიმე საინტერესო ნარკვევი დაწერა საქართველოზე მონიკა ვარნენსკმა და სხვ.

დღეს პოლონელ მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე თარგმანთან ერთად (რომელთაგან აღსანიშნავია 1961 წ. გამოქვეყნებული სიკორიციისეული პროზაული თარგმანი, შესრულებული ნ. ზაბოლოცკის მიერ მოზრდილთათვის ადაპტირებული რუსული თარგმანის მიხედვით, და, განსაკუთრებით, 1976 წ. გამოქვეყნებული პირველი სრული პოეტური თარგმანი ე. ზაგურსკისა) აქვს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, დ. გურამიშვილისა და ვაჟა-ფშაველას პოე-

მები. ბესიკის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის პოეზია, ი. ქავკა-
ვაძისა და ა. წერეთლის ნაწარმოებები, შ. არაგვისპირელისა და ნ. ლო-
რთქიფანიძის მოთხრობები და სხვ. თანამედროვე ქართულ პროზას იგი
ეცნობს კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“, ლ. ქიაჩელის „გვა-
დი ბიგვას“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრის“, მ. ჯავახიშვი-
ლის, გ. შატბერაშვილის, ო. იოსელიანის და სხვ. ნაწარმოებების მიხე-
დვით, ხოლო თანამედროვე ქართულ პოეზიაზე მას წარმოდგენას უქმ-
ნის გ. და ტ. ტაბიძეების, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის, ს. ჩოქოვანის,
პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, შ. აფხაიძის, ლ. ასათიანის, ა. მირც-
ხულავას. ი. და გ. აბაშიძეების, ხ. ბერულავას, ა. გომიაშვილის. ა. კა-
ლანდაძის, ნ. კილასონიას, რ. მარგინის, კ. ნადირაძის, ი. ნონეშვილის,
მ. ქელიძის, ფრ. ხალვაშის, ო. ქელიძის და სხვათა ლექსები და პოე-
მები.

თუმცა რუმინულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობასაც დი-
დი ხნის და საინტერესო ისტორია აქვს, მაგრამ, რუმინელი ქართველო-
ლოგის ვიქტორ კერნაბახის აღნიშვნისამებრ, ქვეყანამ, რომლის კულტუ-
რას დიდი სამსახური გაუწია ანთიმოზ ივერიელმა და სადაც სამუდა-
მოდ განისვენებს XVIII საუკუნის ჩვენი შესანიშნავი პოეტი ბესიკი,
1944 წლამდე თითქმის არაფერი იცოდა ქართულ კულტურასა და ლი-
ტერატურაზე. ამეამად რუმინელი მკითხველი უკვე იცნობს „ვეფხის-
ტყაოსანს“, რომელიც კერნაბახმა თარგმნა და 1956 წელს გამოქვეყნდა.
მანვე გააცნო რუმინელ ხალხს ქართული ხალხური ზღაპრები, კ. გამსა-
ხურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, დავით გურამიშვილისა და ნ. ბა-
რათაშვილის პოეზია, აგრეთვე ტ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის და სხვა საბ-
ჭოთა პოეტების შემოქმედება და მოუშადა საფუძველი ქართული პოე-
ზიის ანთოლოგიას. რომელიც 1974 წელს გამოქვეყნდა. ანთოლოგიაში
წარმოდგენილია ჩვენი მწერლობა მეთორმეტე საუკუნიდან დღემდე.

კერნაბახის წიგნი „მყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანა“, რომელიც
რ. ჯაფარიძემ თარგმნა და 1976 წელს გამოქვეყნდა, საინტერესოდ მო-
უთხრობს მკითხველს საქართველოს გმირულ წარსულსა და მის დიდ
აწყოზე, აცნობს მას ჩვენი ქვეყნის უძველეს კულტურას, მის ხელოვ-
ნებასა და ლიტერატურას.

მადლიერი ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს უნგრელ
მხატვარ ზიჩის, რომლის ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნის“ მრავალ
გამოცემას ამშვენებს. არსებითად „ვეფხისტყაოსნის“ ბელა ვიკარისეუ-
ლი თარგმანით (1917 წ.) გაეცნო უნგრელი მკითხველი ქართულ პოე-
ზიასაც, რომლის ფართო პოპულარიზაცია უნგრეთის რესპუბლიკაშიც
მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან დაიწყო.

შანდორ ვეოროში, ლაიონ ტარდი, დიერდ რადო. მარტონ იშტვანო-
ვიჩი, ეუჟა რაბი და სხვ. თავიანთი ნარკვევებით, წერილებითა და თა-

რგმანებით ქართული მწერლობის ერთგულ პროპაგანდისტებად გვევლინებიან უნგრულ ლიტერატურაში. მათი ძალთახმევის შედეგად გაეცნო უნგრელი ხალხი ქართულ კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურას. სახელდობრ, 1952 წელს გამოცემულ „საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიაში“ ქართული პოეზია წარმოდგენილია გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, გრ. აბაშიძის, ი. აბაშიძის, ალ. მირცხულავას ლექსებით. XIX ს. ისოფლიო ლიტერატურის ანთოლოგიაში, რომელიც 1956 წელს გამოქვეყნდა, შეტანილია ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის ლექსები. ქართული პოეზიის ანთოლოგია მოამზადა ყუუა რაბიმ, რომელმაც სხვადასხვა გამოცემაში გამოაქვეყნა ათამდე ხალხური ლექსი, აგრეთვე ვახტანგ VI-ის, გრ. ორბელიანის, რ. ერისთავის, გრიშაშვილის, გრ. აბაშიძის, ი. ნონეშვილის, თ. და ო. ჭილაძეების და მ. ქელიძის ლექსები. 1974 წ. გამოქვეყნდა „100 ქართული ლექსი“, რომელშიც შეტანილია ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. ნაწყვეტები 1954 წელს გამოქვეყნებული შანდორ ვეოროშის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნიდან“ შეტანილია საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების დამხმარე ქრესტომათიებში. უნგრულ ენაზე თარგმნილია ქართული მხატვრული პროზის ისეთი ძეგლებიც, როგორცაა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივი“, „კაცი ადამიანი?!", „სარჩობელაზედ“, ლეო ქიაჩელის „გვადი ბეგა“ და სხვ.

გარდა ამისა, 1974 წ. გამოცემული მოთხრობების კრებულით უნგრელი მკითხველი გაეცნო გ. აბაშიძის, კ. გამსახურდიას, ნ. დუმბაძის, რ. ინანიშვილის, კ. ლორთქიფანიძის, ა. სულაკაურის, ე. ყიფიანის, ო. და თ. ჭილაძეების პროზის ნიმუშებს. ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“ და „თეთრი ბაირალები“ ცალკე წიგნადაც გამოიცა 1977 წ. ამავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა ა. სულაკაურის „ლუკა“, ხოლო ერთი წლით ადრე — 1976 წ. — მისივე „ოქროს თევზი“. 1978 წ. „კელეტულტატოზის“ ფურცლებზე დაიბეჭდა 1500 წლის წინათ შექმნილი ბრწყინვალე ძეგლი ქართული მხატვრული პროზისა „წამებაი წმინდისა შუშანიკისა დედოფლისაი“, თარგმნილი მ. იშტვანოვიჩის მიერ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ლაიოშ ტარდის მიერ ქართულ თემაზე დაწერილი რომანი „იაკუბ ბეი“, რომელშიაც აღწერალია XVIII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრება. ამ რომანის ქართული თარგმანი გამოქვეყნდა 1971 წელს.

ქართულ თემაზე დაწერილი მხატვრული ნაწარმოებები ჩვენს ლიტერატურაშიც გვხვდება. საქართველოზეა დაწერილი მარია პუშინოვას (1893—1958) რომანი „სიცოცხლე ამარცხებს სიკვდილს“ და იან დარდას მოთხრობა „წითელი თორტიზა“. მაგრამ ჩები ხალხისათვის საქართველოს, მისი კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის გაცნობის საქმეში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დამსახურება იარომირ იელ-

ლიჩკასი (1901—1965), რომელმაც ჩეხურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. იედლიჩკას ღვაწლია, რომ ჩეხურ თარგმნილ ლიტერატურაში მოიპოვება სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, დ. გურამიშვილის „ქაცვია-მწყემსი“, დ. ჯონჭაძის „სურამის ციხე“, ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“. ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გიჩა“, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, გ. ლეონიძის ლექსები და სხვ. მან გააცნო ჩეხებს ქართული ხალხური ზღაპრები, რომლის ბოლოსიტყვაში დიდი სიყვარულით წერს ჩვენს ქვეყანაზე, „დასაუღევსა და აღმოსაუღეთს შორის“ მდებარე „ჩადოქრულ გზაჯვარედინზე“, რომელსაც „საუკუნეთა მანძილზე ანგრევდნენ, არბევდნენ შემოსეული მტრები, აზიის მომთაბარე ტომები“, მაგრამ „არც ერთ ბრძოლაში... ქედი არ მოუხრია და საბოლოოდ არ წაქეულა“.¹⁸ მანვე ასფალგთან ერთად თარგმნა აკად. კ. კეკელიძის „ქართული მწერლობის ისტორია“, ტომი II და, რაც მთავარია, პრადის უნივერსიტეტში შექმნა ქართველოლოგიური სკოლა. ი. იედლიჩკას გარდაცვალების შემდეგ (1965 წ. 1 აგვისტო) ქართული ლიტერატურის დაუღალავ პროპაგანდისტად გვევლინება ვოცლავ ჩერნი და ეურნალისტი ივო ვოცულინი, რომელიც თარგმნის ამჟამად კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“. ჩერნიცა და ვოცულინიც ქართულიდან თარგმნიან უშუალოდ. რაც შეეხება ჰელენ კრიშკავას — მან რუსულიდან თარგმნა ო. ჭილაძის რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, მილოშ კრნომ კი რუსულიდანვე თარგმნა და მალე გამოქვეყნდება „ვეფხისტყაოსანი“.

მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ქართულ-ბულგარულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებსაც. დროთა ვითარებაში ისტორიული ავბედობით შეფერხებული, სულაც შეწყვეტილი ეს ურთიერთობა კვლავ ახლდებოდა და გრძელდებოდა ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებში ფუძეჩაყრილი ტრადიცია, რომელიც ახლა სულ უფრო და უფრო მტკიცდება და ფართოვდება. ბულგარულ ენაზე ახლახან თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით მოიპოვება კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობის საყურადღებო ნაწარმოებები, რომელთა რაოდენობა წლითიწლობით იზრდება. მარტო 60—70-იან წლებში ბულგარულ ენაზე ითარგმნა და ცალკე წიგნებად გამოქვეყნდა: ნ. დუმბაძის, ო. იოსელიანის, ა. სულაკაურის, თ. ჭილაძის ნაწარმოებები; 1976 წ. გამოცემულ კრებულში „ქართული მოთხრობები“ ე. გაბაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ე. ნინოშვილის, ა. ყაზბეგის პროზის ნიმუშების გვერდით წარმოდგენილია ნიმუშები უახლესი ქართული პროზის ისეთი ისტატებისა, როგორიცაა კ. გამსახურდია, დ. და ს. კლდიაშვილები,

¹⁸ ი. იედლიჩკა, ქართული ზღაპრების შესახებ, „ლიტერატურული გაზიტი“, № 23, 1957, 7 ივნისი.

კ. ლორთქიფანიძე, გ. ნატროშვილი, ა. სულაყაური, ლ. ქაჩელი, ე. ყიფიანი, დ. შენგელია, გ. ჩიქოვანი, რ. ჭაფარიძე, მ. ჭავჭავაძე და სხვ. ინტენსიურად ითარგმნება ბულგარულ ენაზე ქართული პოეზიის ნიმუშები, რომლებიც ქვეყნდება როგორც ცალკე წიგნების სახით, ისე სხვადასხვა კრებულებსა და ანთოლოგიებში. ასე მაგალითად, 1974 წ. გამოცემულ სერიაში „საბჭოთა პოეზია 73“, გამოქვეყნებულია რ. ამაშუკელის, გრ. და ი. აბაშიძეების, ხ. ბერულავას, ა. კალანდაძის, მ. ლეზანაძის, რ. მარგინის, მ. მაჭავარიანის, ა. მირცხულავას, ი. ნონეშვილის, მ. ფოცხიშვილის და სხვათა ნაწარმოებები. 1975 წ. გამოცემულ „საბჭოთა სამხედრო-პატრიოტული პოეზიის ანთოლოგიაში“ შეტანილია რ. ამაშუკელის, გრ. და ი. აბაშიძეების, შ. ნიშნიანიძის, ი. ნონეშვილის, ა. შენგელის, ს. ჩიქოვანის და სხვ. ლექსები, ხოლო „საბჭოთა პოეზია 77-ში“ (1978) — გ. გეგეჭკორის, რ. მარგინის, ლ. სულაბერიძის, ჯ. ჩარკვიანის და ო. ჭილაძის ლირიკის ნიმუშები.

როგორც არაერთგზის აღნიშნულა, ევროპული ლიტერატურისადმი ინტერესი საქართველოში აღმოსავლური, კერძოდ სპარსული პოეზიის გავლენისაგან განთავისუფლების ტენდენციის პროპორციულად იზრდებოდა და ამის შესატყვისად დასავლური მწერლობის ნიმუშების თარგმანიც თანდათან ფართოვდებოდა. უკვე XIX საუკუნეში გაეცნო ქართველი მკითხველი ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური და პოლონური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა ნაწარმოებებს: კორნელის, რასინის, ვოლტერისა და ლაფონტენის, გოეთეს, შილერისა და ჰაინეს, შექსპირის, მილტონის, ბაირონისა და შელის, აგრეთვე პეტრარკას, მიცევიჩისა და სხვათა შემოქმედებას. ქართული პოეზიისა და პროზის ბუმბერაზები გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე და ილია ჭავჭავაძეები, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა თარგმანებითაც ამდიდრებდნენ ჩვენს მწერლობას. მათ გვერდით ქართული მწერლობის სხვა მრავალი მოღვაწეც ხელს უწყობდა ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განმტკიცებას. მაგრამ საზღვარგარეთული მწერლობის შესწავლა-გაცნობისა და თარგმანის სფეროში ჰეშმარიტად ახალი ეპოქა დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

1918 წელს დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის განყოფილება, რომლის საფუძველზე დაახლოებით ოთხი ათეული წლის წინათ ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი იქცა ევროპული ენებისა და ლიტერატურის მეცნიერული კვლევა-ძიებისა და პოპულარიზაციის ცენტრად. მას ამჟამად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის, ქუთაისის, ბათუმის, სამხრეთ ოსეთისა და

საქართველოს სხვა პედაგოგიური ინსტიტუტების შესაფერის კათედრებთან ერთად გვერდში უდგას თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების გარდა ასწავლიან ესპანურ, პოლონურ, უნგრულ და რუმინულ ენებსაც და ეცნობიან იმ ქვეყნების ლიტერატურას.

ძირითადად უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის აღზრდილთა, მისი პროფესორ-მასწავლებლების დამსახურებაა, რომ თუ 50-იან წლებამდე ქართულ ენაზე ევროპის ლიტერატურის ზოგადი ისტორია არსებითად წარმოდგენილი იყო მხოლოდ კოვანის ორტომიანი „დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიისა“ და მიხალჩის მეთოდური სახელმძღვანელოს თარგმანებით, ამჟამად სამი მეტ-ნაკლები სიღრმით დაწერილი ორიგინალური სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოა ამ სფეროში გამოქვეყნებული. მათ შორის შ. რევიშვილის 1953 წ. დასტამბული „საზღვარგარეთული ლიტერატურა“ მიმოიხილავს დასავლეთ ევროპის მწერლობის მნიშვნელოვან მოვლენებს ადრე შუა საუკუნეებიდან მეოცე საუკუნემდე. გრიგოლ ხავთასის, შოთა რევიშვილის, ნატალია ორლოვსკაიასა და გივი გაჩეჩილაძის ავტორობით 1958 წელს გამოქვეყნებულ „საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიაში“ გადმოცემულია ევროპის ლიტერატურის განვითარების ისტორია დასაბამიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. ნ. ურუშაძის დამხმარე სახელმძღვანელო კი სამი წიგნისაგან შედგება, პირველ, 1960 წელს გამოცემულ წიგნში სათაურით „ნარკვევები საზღვარგარეთის ლიტერატურიდან“ განხილულია ევროპის ლიტერატურის ისტორია შუა საუკუნეებიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. მეორე წიგნი სათაურით „საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია“ (დაიბეჭდა 1964 წ.) ეხება XVIII ს. ევროპულ ლიტერატურას; ამავე სათაურით 1968 წელს გამოცემული მესამე წიგნი კი გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, პოლონურ და ამერიკულ რომანტიზმს აშუქებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ორ დიდ წიგნად გამოქვეყნებული „ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან“ პროფ. გრ. ხავთასისა. ეს კაპიტალური ნაშრომი, რომლის პირველ, 1953 წელს გამოცემულ წიგნში განხილულია გერმანული ლიტერატურის ისტორია დასაბამიდან XVIII საუკუნემდე, ხოლო მეორე, 1965 წელს დასტამბული წიგნი გერმანული რომანტიზმისა და XIX საუკუნეში გოეთეს შემოქმედების ანალიზისადმი მიძღვნილი წარმოადგენს მარქსისტული პეტოდოლოგიის საფუძველზე გერმანული ლიტერატურის ისტორიის სისტემატიზაციის პირველ ცდას არა მარტო საქართველოში, არამედ საერთოდ. XX ს. გერმანული ლიტერატურის ისტორიის მნიშვნელოვანი

საკითხებია გაშუქებული ნ. კაკაბაძის 1964 წელს დაბეჭდილ „ნარკვევებში XX საუკუნის გერმანული ლიტერატურიდან“. აქვე უნდა აღინიშნოს დ. ფანჩულიძის ფრანგული ლიტერატურის ისტორიის შემსწავლელთათვის დამხმარე სახელმძღვანელო „ფრანგი მწერლები“ (1960) და „ნარკვევები ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან“ (1974), მ. კვესელავას 1953 წელს გამოცემული „ბულგარეთის ლიტერატურის ისტორია“, რომელშიც დიდი სიყვარულით და საინტერესოდ არის განხილული ლიტერატურული წარსული და აწმყო ერისა, რომლას განვლილი ცხოვრება ბევრი რამით მოგვაგონებს ჩვენი სამშობლოს ბედს.

ქართულ ენაზე დაწერილმა აქ დასახელებულმა ლიტერატურის ისტორიებმა საშუალება მისცა ჩვენს საზოგადოებას მეტ-ნაკლებად ზოგადი წარმოდგენა შექმნოდა ევროპის ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებაზე. თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა დონეზე დაწერილი მრავალრიცხოვანი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებით, მონოგრაფიებით თუ ვრცელი წერილებით კი იგი ღრმად ეცნობა დასავლეთ და აღმოსავლეთი ევროპის ლიტერატურის ცალკეულ წარმომადგენელთა შემოქმედებას და თანამედროვე ევროპული მწერლობის საჭირობოტო პრობლემებს.

ქართულ ევროპეისტიკაში შედარებით ნაკლებად არის გაშუქებული ადრე შუა საუკუნეების, რენესანსის ეპოქისა და XVIII ს. ევროპის მწერლობა. ამ პერიოდის ევროპული ლიტერატურიდან „ნიბელუნგებზე“, დანტე ალიგიერზე, ბოკაჩოზე, სერვანტესზე, ლოპე დე ვეგაზე და სხვ. დაწერილი ვრცელი და საყურადღებო წერილები, გ. გაჩეჩილაძის, მ. ნათაძის, ნ. ყიასაშვილისა და სხვ. მონოგრაფიები და წერილები შექსპირის შემოქმედებაზე (რომელიც ი. მაჩაბლის კონგენიალური თარგმანების გზით უკვე XIX საუკუნეში ქართული მწერლობის განუყოფელ ნაწილად იქცა)¹⁹ და მასთან დაკავშირებულ ცალკეულ პრობლემებზე, ა. ბიბიჩიძის, სამწუხაროდ, დღემდე გამოუქვეყნებელი დისერტაცია XVII ს. გერმანული ბაროკოს თვალსაჩინო წარმომადგენლის ანდრეას გრიფიუსის შემოქმედებაზე, ზემოთ დასახელებულ ლიტერატურის ისტორიებში აღნიშნული ხანის მწერლობის მიმოხილვა თუ შუასაუკუნეების ევროპული ლიტერატურის თარგმნილი ძეგლებისათვის დართული გამოკვლევა და რამდენიმე წერილი მხოლოდ მცირე ნაბი-

¹⁹ შექსპირის შემოქმედების შესწავლისათვის საგანგებო ინტერესს გამოხატა: მრავალტომეული „ქართული შექსპირიანა“, რომლას რედაქტორა და შედგენელა არის ცნობილი ქართველი შექსპიროლოგი ნ. ყიასაშვილი. მრავალტომეული (1 ტომი გამოქვეყნდა 1953 წ., V — 1979 წ.) შექსპიროლოგიის მნიშვნელოვან საკვებზე მეცნიერულ გამოკვლევებსა და წერილებთან ერთად შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობარსაც.

ჩა იმ დიდი და მნიშვნელოვანი ეპოქის ლიტერატურის შესასწავლად ვადაღვებულნი.

კაცალებით ფართოდ და სრულყოფილად არის შესწავლილი მომდევნო ხანის ევროპული ლიტერატურა. კ. გამსახურდიას ესეები გოეთეზე, ზომას მანზე: რილკეზე, სტეფან გეორგეზე და სხვ., პროფ. გ. ხავთასის მონოგრაფიები გოეთეზე, ჰაინეზე და სერიოზული გამოკვლევები გერმანული ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა ნაწილი (1960—1974 წლებში დაწერილი შრომები) თავმოყრილია წიგნში „წერილები გერმანულ ლიტერატურაზე“, მ. კვესელავას „ფაუსტური პარადიგმები“, ო. ჭინორიას მონოგრაფია „გოეთეს შემოქმედებითი გზა“ და ნარკვევები ლესინგზე, ჰელდერლინზე, თომას მანზე და სხვ. ნ. კაკაბაძის მონოგრაფიები „ჰაინრიხ მანი“, „თომას მანი“ და მრავალი ნარკვევი ძველ და ახალ ევროპულ ლიტერატურაზე. დ. ლაშქარაძის მონოგრაფიები „ფრიდრიხ შილერი“ და „ჰაინრიხ ჰაინე“, აკრებული ნარკვევები „უფროსი ედა“, „ლიონ ფოიხტვანგერი“ და სხვ. ზ. ჰარხალაშვილის მონოგრაფია ი. ბენეჩზე, ვ. ქოჩორაძის მონოგრაფია „ანა ზეგერსი“, შ. რევიშვილის „ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობებიდან“ და „გერმანულ-ქართული ეტიუდები“, ვ. კავთიაშვილის „პ. ჰაინე ქართულ ლიტერატურაში“ — მხოლოდ მცირე ნაწილია ქართველ მეცნიერთა გამოქვეყნებული ნაშრომებისა გერმანულ ლიტერატურაზე, რომლის მნიშვნელოვან პრობლემებს წარმატებით იკვლევენ გ. გვაზავა, დ. დავლიანიძე, ლ. თეთრუაშვილი, რ. ყარალაშვილი, ზ. ჩხენკელი და ბევრი სხვა ახალგაზრდა ნიჭიერი გერმანისტი.

ინგლისურ ლიტერატურაში შექსპირთან დაკავშირებით ზემოდასახელებულ მკვლევართან ერთად ნაყოფიერ კვლევა-ძიებას აწარმოებს ნ. ორლოვსკაია, რომლის საუცხოო ნაშრომი ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე რამდენჯერმე დავასახელებთ ამ წერილში. ქართველმა მკითხველმა ნ. ყიასაშვილის, ც. თოფურაძის, ი. კენჭოშვილის. ზ. გამსახურდიას და ინგლისური ლიტერატურის სხვა სპეციალისტების საინტერესო დისერტაციების, გამოკვლევების, წერილების საშუალებით ინგლისური მწერლობის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი გაიცნო და შეიყვარა.

ბრწყინვალე ესეები მიუძღვნეს ფრანგული ლიტერატურის დიდ წარმომადგენლებს კ. გამსახურდიამ და გ. ქიქოძემ. XIX საუკუნის ქართულ-ფრანგულ ლიტერატურულ ურთიერთობებს აშუქებს დ. ფანჩულაძის მონოგრაფია „ქართულ-ფრანგულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის“ (1969). მასვე ეკუთვნის მონოგრაფიები ვ. ჰიუგოზე და რ. როლანზე. ი. ბაჩიაშვილის „უან ლუის დრამატურგია“ აცნობს ქართველ მკითხველს ცნობილი ფრანგი დრამატურგის შემოქმედებით გზას. წიგნში „ფრანგი მწერლები“ ს. თურნავა ეხება თანამედრო-

ვე ფრანგულ ლიტერატურას. ფრანგულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებზეა დაწერილი მისივე „ლიტერატურული ნარკვევები“ (1978). სარტრის შემოქმედება იყო საკანდიდატო დისერტაცია მ. ბაქრაძისა, რომელსაც საინტერესო წერილები აქვს დაბეჭდილი თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაზე. წერილების მთელი სერია აქვს გამოქვეყნებული ფრანგულ ლიტერატურაზე გასტონ ბუაჩიქეს. იგი, გარდა იმისა, რომ სერიოზულ კვლევა-ძიებას ეწევა ფრანგული ლიტერატურის ისტორიის სფეროში და წარმატებით თარგმნის ფრანგული პროზისა და პოეზიის ნიმუშებს, ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული თავისი სოლიდური წერილებით თუ ინფორმაციული ხასიათის მასალებით ქართული ლიტერატურის წარსულ და მიმდინარე პროცესებსაც აცნობს ფრანგ მკითხველს და ჩვენი პოეზიისა და პროზის ნიმუშთა მალალი ინტერული გემოვნებით შესრულებულ თარგმანებსაც აწვდის მას.

ქართველ ლიტერატურათმცოდნეებს არც ესპანური, იტალიური და ევროპის სხვა ქვეყნებისა და ამერიკის ლიტერატურა დაუტოვებიათ უყურადღებოდ. მაგრამ ყველა საკვალიფიკაციო ნაშრომის თუ გამოქვეყნებული მონოგრაფიისა და ნარკვევის სათაურთა ჩამოთვლას და მათი ავტორების უბრალოდ დასახელებასაც კი ათეულობით გვერდი დასჭირდებოდა. ამიტომაც ამ მიმოხილვაში, რომელსაც სულაც არა აქვს პრეტენზია ამომწურავად გააშუქოს ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი, ვკმაყოფილდებით საილუსტრაციოდ მოტანილი მკვლევართან დაკავშირებით მხოლოდ იმას, რომ ლიტერატურულ ურთიერთობათა გაღრმავება-გაფართოებასთან ერთად გაიზარდა მისი მეცნიერულად შესწავლის მოთხოვნაც. სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა 1969 წელს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება, რომელიც გეგმაზომიერად იკვლევს ჩვენი მწერლობის საზღვარგარეთის ლიტერატურასთან ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიის ყველა ასპექტს.

განსაკუთრებით დიდია მიღწევანი საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარების შემდეგ სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად ქცეული თარგმანის სფეროში, რომელიც — ლიტერატურული ურთიერთობების საფუძველთა საფუძველი — არა მარტო ხალხთა ურთიერთდაახლოების, ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ნაცადი გზაა, არამედ ეროვნულ ლიტერატურათა გამდიდრება-განვითარების მნიშვნელოვანი საშუალებაც არის. ამის კონკრეტული მაგალითია მრავალსაუკუნოვანი, მუდამ თვითმყოფადი ქართული მწერლობა, რომელიც ორგანულად ითვისებდა მეზობელი ქვეყნების მიღწევებს ლიტერატურაში და შემოქმედებითად ავითარებდა ქართულ პროზასა და პოეზიას. შორს რომ არ წა-

ვიდეთ, საილუსტრაციოდ გამოდგება XVIII საუკუნის დასასრულისა და მეცხრამეტე საუკუნეში ქართულ პოეზიაში დანერგილი ლირიკის ახალი ზომები და ორიგინალური დრამატურგია, რომელიც, გ. ციციშვილის პარტებული შეხედულებისამებრ, თუმცა მშობლიური თეატრის — სახიობის — ეროვნული ტრადიციის საფუძველზე წარმოიშვა. მაგრამ, უდაოდ, რუსეთთან და ევროპასთან კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის შედეგი იყო.

როგორც არაერთგზის აღნიშნულა და სათანადოდაც დასაბუთებულა, რუსეთთან და ევროპასთან ლიტერატურულმა ურთიერთობამ დიდად შეუწყო ხელი XX საუკუნის ქართული ლექსთწყობის დახვეწას, ვერსიფიკაციის გამრავალფეროვნებას, რითმების სისტემის გამდიდრებასა და გაუმჯობესებას. ამასთანავე ლიტერატურული თარგმანი წარმოადგენს თანამედროვე ქართული ენის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს, რაც არამარტო ლექსიკური ფონდის გამდიდრებით გამოიხატება.

საბჭოთა პერიოდში ქართულად თარგმნილი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ჰომეროსის, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, პლატონის, პლუტარქეს და ძველბერძნული და რომაული ლიტერატურის სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა ნაწარმოებების გვერდით მოიპოვება შუა საუკუნეების ევროპული ეპოსისა და რაინდული ლიტერატურის ისეთი ძეგლები. როგორცაა „სიმღერა როლანდზე“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“ „უფროსი ედა“ და „ტრისტან და იზოლდა“. „ღვთაებრივი კომედიისა“ და „ახალი ცხოვრების“ თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი „კოლოსალურად დიდი ფიგურის“ — დანტე ალიგიერის შემოქმედებას. ბოკაჩოს „დეკამერონით“, შექსპირის დრამატურგიის ექვსტომეულითა და სონეტებით, სერვანტესის ოთხტომეულით წარმოდგენილია რენესანსის ეპოქის იტალიური, ინგლისური და ესპანური ლიტერატურა. მილტონის „დაკარგული სამოთხე“, კალდერონისა და ლოპე დე ვეგას პიესები, კორნელისა და რასინის ახლად თარგმნილი ტრავედიები გვაცნობს XVII საუკუნის ევროპის ლიტერატურას, ვოლტერის, დიდროსა და ჟან-ჟაკ რუსოს ფილოსოფიური მოთხრობები, დრამები და რომანები, ბერნსის პოეზია, სვიფტისა და დეფოს ნაწერები, ლესინგის დრამები, გოეთეს „ფაუსტი“, დრამატული ნაწარმოებები და „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“. შილერის თხზულებათა სამტომეული და სხვა მწერალთა ნაწარმოებები წარმოდგენას გვიქმნის XVIII ს. ევროპული ლიტერატურის პრობლემატიკასა და რაობაზე; ქართულ ენაზე თარგმნილ XIX ს. ევროპული ლიტერატურის მრავალრიცხოვან ნაწარმოებებიდან აღვნიშნავთ მხოლოდ ჰიუგოს, ყოჩე სანდის, შატობრიანის, ბაირონის, შელის და ვალტერ სკოტის, ჰაინეს, ბალზაკის, ფლობერის, სტენდალის, დიკენსის, თეკერის, ემილ ზოლას და სხვ. თხზულებებს, რომლებიც განსა-

კუთრებული წარმატებით სარგებლობენ ქართველ მკითხველთა შორის. კიდევ უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი თარგმანებში ახალი და უახლესი ევროპული ლიტერატურა: ჯოისის, შოუს, გოლსუორთის, ჰემინგუეის, სელინჯერის და მოემის, თომას მანის, ფოიხტენანგერის, ბრეხტის, რემარკის, კაფკას, ჰესეს და ბოემის, რომენ როლანის, ეგზიუპერის და კამიუს ფრედერიკო გარსიას, ლუი დე ტაიას და თანამედროვე ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური, ესპანური და ამერიკული ლიტერატურის სხვა წარმომადგენელთა შემოქმედება ფართოდ არის წარმოდგენილი ქართული წიგნის ბაზარზე.

ქართული თარგმნილი ლიტერატურა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან, დღითიდღე მდიდრდება პოლონელი, რუმინელი, უნგრელი, ბულგარელი, ჩეხი და სხვა მწერლების ნაწარმოებებითაც. ი. ვაზოვის, ხ. ბოტევისა და ლ. სტოიანოვის. ა. მიცკევიჩის, ბ. პრუსის, ვ. ვასილევსკაიასა და მ. ტუვიმის, მ. ემინესკუს და მ. სადოვიანუს, მ. ზალკას, შ. ჰეტეფის, ი. ფუჩიკის, კ. ჩაპეკის, ი. პაშეკის, ა. ჰოფმაისტერისა და სხვ. პროზისა და პოეზიის ნიმუშებს დიდი ინტერესით ეცნობა ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე.

საზღვარგარეთული ლიტერატურის ნიმუშთა ქართველი მკითხველისათვის გაცნობის საქმეში დიდ როლს ასრულებს აღმანახი „საუნჯე“, რომელიც წარმატებით აგრძელებს აღმანახ „ხომლის“ ტრადიციას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის ძალისხმევა ლიტერატურულ ურთიერთობათა გაღრმავება-გაფართოების სფეროში. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე (ჩამოყალიბდა 1974 წ.) იგი იქცა მარგანიზებულ ცენტრად, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოში ქართულიდან უცხოურზე და უცხოური ენებიდან ქართულ ენაზე კვალიფიციურად თარგმანის საპატიო საქმეს.

ასეთია ზოგადი სურათი ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობებისა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე.

ბერგანული კლასიკური ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ილია ჭავჭავაძე წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“ პროგრესის ცნების ბეკონისეულ განმარტებას იმოწმებდა და აღნიშნავდა: „ბეკონმა, ინგლისის ფილოსოფოსმა, სთქვა, რომ პროგრესი კაცობრიობისა სხვა არ არის-რა გარდა იმისა, რომ დღიდან დღემდე განზე გადადგმულ იქნას საზღვარი შეუძლებელისაო“¹.

„შეუძლებლის საზღვრის გადადგმის“ ანუ პროგრესის თვალსაზრისით ილია XIX საუკუნის საგანგებო დამსახურებად წინა საუკუნეებთან შედარებით მეცნიერებისა და ტექნიკის უაღრეს განვითარებას მიიჩნევდა და რკინიგზების, ტელეგრაფებისა და ტელეფონების საშუალებით „ქვეყნებშორის მანძილის თითქმის მოსპობას“² რაცხნდა, რითაც შესაძლებელი გახდა ეროვნული კარჩაკეტილობის გადალახვა, ცალკეულ ეროვნებათა მატერიალური თუ კულტურულ-გონებრივი ნაწარმოებების სწრაფი გავრცელება და საერთო-საკაცობრიო კუთვნილებად ქცევა. ხოლო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ცალკეული ერების „გონების ნაწარმოებებთან“³ გაცნობა-ათვისებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და წარმატებას თერგდალეულებისა, რომელთა აღიარებული მეთაურიც თავად იყო, იმითაც ხსნიდა, რომ ის თაობა „აღზრდილი და განსწავლული იყო რუსულს მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიაც“⁴.

„მგზავრის წერილების“ ავტორი ზემოდასახელებულ წერილში ყველა „სიკეთეთა“ შორის, „რომელიც, მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას“, განსაკუთრებით იმაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომ მან „მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულ მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც უნდა იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარიო“; მერე ხაზს უსვამდა: „მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გადააქციაო“ და,

1 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, 1955, გვ. 7.

2 იქვე.

3 იქვე, ტ. III, 1953, გვ. 181.

4 იქვე, გვ. 311.

ზოლოს, თავის აშკარად პოზიტიურ დამოკიდებულებას „ამ მეცხრამეტე საუკუნის“ მიმართ, რომელმაც „სოციალური წყობილების იდეალად გამოსახა. გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოვლის კლასობრივის ბატონობის და, შეძლებისამებრ, ყოვლის კლასობრივის სხვადასხვაობისა. ფუნზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჩელ და მშრომელ კლასების წარსამატებლად“, შემდეგი სიტყვებით გამოხატავდა: „ამ გზაზე წინა. საუკუნეებს ერთად იმდენი არა უქმნიათ-რა, რამდენიც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქნა თავისდა პატივის მოსახსენებლადო“⁵ (ხაზგასმა ყველგან ჩემია. — დ. ლ.). როგორც ეს ვრცელი ამონაწერი გვიჩვენებს, ი. ჰაქვავაძე საფუძვლიანად იცნობდა მეცხრამეტე საუკუნეში მეცნიერულად დასაბუთებულ ამ ახალ მოძღვრებას. მეტიც, ილიას შემოქმედების მიუყვარძებელი ანალიზი ადასტურებს, რომ ეს მოძღვრება განსაზღვრავდა არსებითად მის სოციალურ და პოლიტიკურ შეხედულებებს. ეს-თეტიკურ პრინციპებს და მხატვრულ პრაქტიკას, რომელთა ქვაკუთხედს სამყაროს მატერიალისტური გაგება და მოვლენათა დიალექტიკური ახსნა წარმოადგენდა.

მატერიალისტური მსოფლმხედველობის შესაბამისად, ილიას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ მყოფობა განსაზღვრავს ცნობიერებას, რომ ლიტერატურაა. ხელოვნება, იდეოლოგიური სფერო საერთოდ ზედნაშენია და მისი ბაზისი ცხოვრებაა. ეს შეხედულება, გამოთქმული „პასუხში“ — „ჩვენ ძალიან კარგად გვესმის დამოკიდებულება ხელოვნებისა. პოეზიისა ცხოვრებაზედ... პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძვლით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გაქმნისაა. ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება. შეანძრიოს თავისი უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად, უთქვენ-ბრძანებლად ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებასა. თუნდა რომ იყვნენ ეხლა ჩვენში ბაირონის თანასწორნი ნიკნი, ის ნიკნი ბაირონის ოდენას თავის დღეში ვერ იქმოდნენ; ის ნიკნი საზრდოს ვერ იპოვნია ჩვენს ცხოვრებაში“⁶ — უფრო ნათლად არის გამოთქმულ-დასაბუთებული წერილებში „საქართველოს მოამბეზედ“ და „ცისკარი“ 1857 წლიდან 1862 წლამდინა“.

„ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული მტოები არიან“⁷, — ამბობდა ილია წერილში „საქართველოს მოამბე-“

5 ი. ჰაქვავაძე, თხზულებათა სრულ კრებული ათ ტომად, ტ. V, 1955, გვ. 8—9.

6 იქვე, ტ. III, გვ. 45.

7 იქვე, ტ. III, გვ. 62.

ზედ“. „მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისათვის და არც ვარჯიშობისაგან... იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის“⁸, — ამტკიცებდა იგი წერილში „ცისკარი“ 1857 წლიდან 1862 წლამდინა“ და ხელოვნებისა და მეცნიერების უპირველეს დანიშნულებად სწორედ ცხოვრებისათვის მათ არსებობას მიიჩნევდა, რადგან ღრმად სწამდა, რომ ცხოვრებისაგან დაბადებული და ხელოვნებისა და მეცნიერების მიერ ნათელყოფილი იდეა. რომელსაც ხალხი დაეუფლება, ცხოვრების გარდამქმნელ ძალად იქცევა.

ეს შეხედულება, რომელიც ზედმიწევნით ესადაგება დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებას ხალხთა მასების მიერ ათვისებული იდეის ცხოვრების გარდამქმნელ ძალად ქცევაზე, ილიას გამოთქმული და დასაბუთებული აქვს ზემოთ დასახელებულ წერილებში. „ცხოვრებისაგან დაბადებულნი ფაქტები, — წერს ილია, — გენიოსის ჭკვისაგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონი და ხელთმძღვანებელი მომავლისათვის, ვადადიან ხალხშიაცა. რა მოდენადაც ეგ ახალი ცნობები ადვილად გასაგები არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თვითონ დაიჭირონ და აწარმოვონ შემდეგში, ეგრე ცხოვრებისავე მოღებულსა, ცხოვრებავე მიიღებს ხოლმე: ეგრე, ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებას დაუბრუნდებიან ხოლმე“⁹, „როგორც მიწისგან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა, — განაგრძობს ილია იმავე წერილში, — და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასავე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებას თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ. მართალიც არის: რაც ცნობაში მოყვანილი, რაც დამტკიცებულია, მხოლოდ ის გადადის ხალხში, მხოლოდ ის მიიღება ხალხისაგან. და რაც მიიღება, მხოლოდ იგი ცვლის ხალხის მდგომარეობასა, ცხოვრებასა“¹⁰ (ხაზგასმა ყველგან ჩემია. — დ. ლ.).

მაგრამ ილიამ კარგად იცოდა, რომ „მეცნიერება და ხელოვნება, ეგ უდიდესი საღარონი, სადაც კაცობრიობა აწყობს ხოლმე გონიერების

⁸ ი. ჰაეკეაქაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 71.

⁹ იქვე, გვ. 62.

¹⁰ იქვე, გვ. 62-63.

საუნჯესა --- არ არიან ყველასათვის მისაწყდომნი“¹¹ და რომ ცხოვრების მიერ წარმოშობილი და მეცნიერებისაგან გამოთქმული იდეების ხალხის „ცნობაში მოსაყვანად“ საჭირო იყო „ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალობაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მისწვდეს, გამოაფინოს საქვეყნოდ კაცის ჰკვის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწყდომი გახადოს ის“¹². ილია, ევროპელ განმანათლებელთა მსგავსად, ასეთ საშუალებად, „შუამავლად მეცნიერებისა ერთის მხრით და ხალხისა და ცხოვრებისა მეორეს მხრით“, თვლიდა ლიტერატურას, რომელიც „მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან“¹³.

ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეებზე აღზრდილი ილია, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა ლესინგის ესთეტიკურ შეხედულებებსაც, მხატვრულ ლიტერატურას დიდ შემეცნებით როლს აკისრებდა, მის სპეციფიკად სახეებით აზროვნებას აღიარებდა — „ხელოვნება, — წერდა ილია „პასუხში“, — არის განხორციელება სახეში რეალისა“¹⁴ — და პოეზიის მთავარ ღირსებად იმას თვლიდა, რომ იგი „განსახოვნებაა კემპარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჭაკვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმებისაო“¹⁵.

„პოეტის“ ავტორი მეცნიერებისა და ხელოვნებისაგან „არსებობსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა“¹⁶ რომ მოითხოვდა, ხალხის ცხოვრებისაგან მოწყვეტელ მერთიმეთა გამო ამბობდა: „დე ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეჭებული თვალეები და ბულბულსავით უაზრო შტეენა დააწყოს და აღარ გაათაოს, ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვსო“¹⁷. და ხელოვნანის მოვალეობად „ცხოვრების მდინარის ძირში ჩადგომას“ თვლიდა, რათა იქ მოენახა „შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველის სურათებისათვის“¹⁸.

ილია ლესინგისა და ბელინსკის ანალოგიურად იმ აზრისა იყო, რომ მხატვრული ლიტერატურა, პოეზია, უწინარეს ყოვლისა. „საგრძნობელია და არა საცნობელი“ და ისიც ღრმად სწამდა, რომ ეს „ხატება ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა. ნაღველთა, ლხინთა, ერთი სიტყვით,

11 ი. კ. ე. ვ. ა. ძ. თხზულებათა სოციალური ეკონომიკური თ. ტომი 2, გ. 21.

12 იქვე, გვ. 54.

13 იქვე.

14 იქვე, გვ. 30.

15 იქვე, გვ. 22.

16 იქვე, გვ. 68.

17 იქვე.

18 იქვე, გვ. 69.

ხილულთა და არახილულთა... მალე ჰკნება, თავის სურნელგება! ჰკარ-
გავს. თუ მეცნიერების შუქი არ აღგია, თუ მეცნიერება თავის უკვდა-
ვების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არა
ჰფურჩქნის“¹⁹. ამიტომაც, იგი პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ რომ
განუმარტავდა „პოეზია ლეტაებრივი ღონეა, გულის სიღრმიდან ადა-
მიანის გრძნობათა მაგრალიტების ამომტანელი, მხატვარია ცხოველმყო-
ფელი და ხორცთშემსხმელი უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა,
ერთის სიტყვით, ადამიანის და მსოფლიოს სულის მოძრაობისა. ეს მსო-
ფლიო სული — ზღვაა უძირო, არამც თუ თვალ, ფიქრ-მიუწვდომელიცა.
ამ ზღვისთვის კაცი გემია, ნიქი — აფრა და მეცნიერება — საჰე, გემის
მომმართველი“²⁰. — შეაგონებდა კიდევ მათ: „ადამიანი, ბუნება, ცა,
ქვეყანა, მსოფლიო, — ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ და-
წერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა,
პოეზია კი ხატებითა და სურათითა, მეცნიერების ნათარგმნი ჯერ უნ-
და, რაც შეიძლება ბლომად, მოგროვდეს გულის საგანძურში, რომ მე-
რე პოეტის მხატვრობითმა სიტყვამ აღმოებუდოს, სული ჩაუდგას, ხორ-
ცით შემოსოს ადამიანის გასატაცებლად, აღსაფრთოვანებლად და გასა-
ოცებლად. თუ პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნი-
ქი ვერ უთარგმნის ამ წიგნსა“²¹.

ილია ჭავჭავაძე მეცნიერების და „სხვათა ხალხთა ნაცადის, ნაკვ-
ლევის, ნააზრევის“ შესწავლის აუცილებელ საჭიროებას იმით ასაბუ-
თებდა, რომ „ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომ-
ლებიც ყველგან ერთნაირად მოქმედებენ“²². „ეს რომ არ იყოს, — გა-
ნაგრძობს ილია, — თვითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა,
გარდა მისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებო-
დაო“²³. მაგრამ იმ სხვათა ნაცად-ნაკვლევ-ნააზრევის ცალკეული ერის
ინტერესების სასარგებლოდ წარმატებით გამოყენების აუცილებელ პი-
რობად კონკრეტულ ვითარებათა გათვალისწინებას მიიჩნევდა და სა-
კუთარი ცხოვრების, მისი ჰირ-ვარამის ღრმად შესწავლას რაცხდა. „მაგ-
რამ მინამ ჩვენს საკუთარს ჰირს სხვისგან ნაცადს წამალს შევურჩევ-
დეთ, — წერდა ილია, — ჯერ თვითონ უნდა ვიცოდეთ — რა თვისების
ჰირია, მისი სიგრძე-სივანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიძიმე აწი-
ნილი, ერთის სიტყვით, ის ჰირი თავიდან ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნო-

19 ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 90-91

20 იქვე, გვ. 91.

21 იქვე, გვ. 92.

22 იქვე, ტ. V, გვ. 56.

23 იქვე.

ბილი და გაგებული უნდა იყოს, თორემ ქარისაგან შეშინებულსავეთ
დოს დაუწყებთ ბერვას²⁴.

კრიტიკულ-თეორიული ნააზრევი და მხატვრული პრაქტიკა ილია
ჭავჭავაძისა, რომლის ღრმა რწმენით „გონების ნაწარმოები იმისთანა
მადლიანი რამ არის, რომ მთელის კაცობრიობის კუთვნილებას შეად-
გენს... ხელოვნებასა და ერთობ გონების ნაწარმოებსა გვარტომობა არა
აქვს“²⁵, წარმოადგენს სხვათა ნაცად-ნაკვლევ-ნააზრევისადმი კრიტიკულ-
შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშს, მაგალითს „საკუთარი ჭკუა-
პრისა და კერვის უნარისა“, ხალხის ცხოვრების ჭირ-ვარამის ღრმა ცოდ-
ნის საფუძველზე ზოგადი გამოცდილების კონკრეტული ვითარებისათ-
ვის შეფარდებისა და იმ გამოცდილების თავისი ქვეყნის საქროებისა-
თვის სასარგებლოდ გამოყენებისა.

მსგავსად ვოლტერისა, ვინც წინარე და თავისდროინდელი ისტო-
რიოგრაფიის მთავარ ნაკლად ხალხის ისტორიის ნაცვლად მეფეთა ის-
ტორიის გადმოცემას მიიჩნევდა და ამბობდა, „თითქმის ყველგან მარტო-
ოდენ მეფეთა ისტორიას ვხედავ, მე მსურს ხალხის ისტორია დაწვე-
როს“²⁶, ილია ჭავჭავაძეც იმით უკმაყოფილოა, რომ „ხალხი ჩვენს ის-
ტორიაში არა ჩანსო“, დავით ერისთავისადმი მიწერილ წერილში აღნი-
შნავდა: „ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ის-
ტორიაა, ერი არსად ჩანს, მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ
მეფეებისა და ომების სახე არ მიმიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხა-
ლხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანსო“²⁷ (ხაზგასმა ყველგან ჩემია. —
დ. ლ.). ილია მწერლობის მთავარ ამოცანად ხალხისათვის სამსახურს
რაცხდა, ხოლო ამ ამოცანის განხორციელების ერთადერთ გზად ხალხ-
ცხოვრებას თვლიდა — „მართალია ლესინგი, — წერდა იგი ამავე ბარა-
თში, — მწერალმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროსო. თუ არ ცხოვ-
რების მორევში საგანს სად იპოვნი წერისათვისო“²⁸ — და იმ ცხოვრე-
ბის რეალისტურ ასახვას მოითხოვდა.

მწერლობის ამოცანის ასეთი გაგება აშკარად ჩანს მხატვრული ლი-
ტერატურის თაობაზე ილიას პირველსავე საყურადღებო წერილში:
„ორიოდე სიტყვა თავად რეეზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ
„შეშლილი“-ს თარგმანზედა“, რომელშიც „პოეტის“ ავტორი „ცრუ-
კლასიკური“ და სენტიმენტალური მიმდინარეობის საწინააღმდეგოდ რე-

24 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, გვ. 56.

25 იქვე, ტ. III, გვ. 181—182.

26 ციტირებულია წიგნიდან: С. Д. Артамонов, З. Т. Гражданская, История зарубежной литературы XVIII века, 1960, стр. 218.

27 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, 1961, გვ. 34.

28 იქვე, ტ. III, გვ. 8.

აღიზმის პრინციპებს იცავს და თავის შეხედულებათა საილუსტრაციად და დასასაბუთებლად ფართოდ იყენებს საზღვარგარეთული ლიტერატურის საყოველთაოდ აღიარებული წარმომადგენლების შემოქმედებას.

ზემოდასახელებულ წერილში მკაცრად არის გაკრიტიკებული „კარამზინის სხოლის“ მწერალი კოზლოვი, რომელმაც „არამც თუ თავის ლექსებს... შეჰყარა ჰირი იმ წირპლიანი სხოლისა (სენტიმენტალიზმი-სა. — დ. ლ.), არამედ სხვადასხვა პოეტებსაც, რომელთაც სთარგმნიდა და რომელთაც სულ არ სცვიოდათ ძალად გაქიმული პაწაწინა გრძობის უმარილო ცრემლი კარამზინსავეთ და მის მიმყოლ კაზლოვისავეთ“, და ღრმად ცოდნითა და მაღალი ესთეტიკური გემოვნებით არის დახასიათებული ანდრე შენიეს, მიცკევიჩისა და ბაირონის პოეზია, რომელსაც კოზლოვის უფერულ თარგმანებში სრულიად დაუკარგავს ორიგინალის სურნელება და ემოციური ზემოქმედების ძალა.

ილია ანდრე შენიეს (რომლის ელეგიები, ეკლოგები და იამბები ანტიკურობის აღორძინების ცდას წარმოადგენდნენ, მაგრამ იმავდროულად თანამედროვეობის იდეებს შეიცავდნენ და რომელსაც პუშკინი ლექსში „ანდრე შენიე“ თავისუფლების მომღერლად წარმოგვიდგენს) დამსახურებად იმას მიიჩნევდა, რომ მან „წარსულ საუკუნეში თითქმის პირველად დაანახვა ფრანციას, და მის გამო ევროპასაც, ჰეშმარიტი, ნამდვილი პლასტიკა საბერძნეთის მშვენიერებისა, და ამით, თუ არ დასცა ზარი, შეარყია მაინც თავის საფუძველში ცრუ-კლასიკური მიმართულება ფრანციის ლიტერატურისა“²⁹, და ფრანგი პოეტის ლექსთა კოზლოვისეულ თარგმანს იმიტომ იწუნებდა, რომ „კაზლოვის თარგმანში ისე ცხადად არ ისმის ის ნაზი და წრფელი სიტკბოება მშვენიერებისა, ის უმანკო, უცოდველი და ნამდვილი ბგერა გულისა, ის ქროლვა პოეზიისა, რომლითაც ანდრე შენიე მოხიბლავს ხოლმე კაცსა“³⁰.

იმავე წერილში მიცკევიჩის „ყირიმის სონეტების“ კოზლოვისეული თარგმანით უკმაყოფილო ილია რომ წერდა, „ეგ სონეტები, ეგ უკეთესნი ყვაილნი პოეზიისანი, — რა-რიგ უსულდგმულო, უსურნელო ყვაილებად შეიცვალნენ კაზლოვის თარგმანში! არამც თუ კაზლოვმა (არ) შეარჩინა მიცკევიჩის სონეტებს ფორმა სონეტისა, არამედ არ შეარჩინა თითქმის არც ის მშვენიერი სურათნი, რომელშიაც ისე ნათლად გამოეხატვნენ წუთის გრძობანი იმ სახელოვან პოლშელ პოეტს“³¹, „სახელოვანი მიცკევიჩისადმი“ თავის დამოკიდებულებასაც გამოეხატავდა და. პოეზიის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმაზედაც მიუნიშნებდა, თუ როგორც უნდა ითარგმნოს პოეზიის ნიმუშები.

29 ი. კავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 8.

30 იქვე, გვ. 8.

31 იქვე, გვ. 8—9.

ილია განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა თანამედროვეთა მიერ „სატანის“ სხოლის თავადლად წოდებული ბაირონის მიმართ, რომელმაც „ბევრი ტალანტები გაიტაცა“. „არა პოეტს თითქმის არ დაუბადნია მბაძაენი იმოდენა, რამოდენაც დაჰბადა ბაირონმა ევროპაში და ნამეტნავად რუსეთშიო“³², წერდა იგი. „მგზავრის წერილების“ ავტორი „მრისხანე და შეუპოვარს ბაირონს“ აღარებდა „შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარ თერგს“, რომელიც მას იმიტომ უყვარდა, რომ იგი „შეუპოვარი და დაუმონაეი“, „თავზედ ხელაღებული“ და „მოუსვენარი“ ადამიანის ვალვიძებულს ცხოვრებას“ აგონებდა. „მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვიწვა და ვაი-ვაგლახი — წერდა ილია, — თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლებელი და ღირსსაცნობიო“ და განმარტავდა — თერგი მაგონებს „მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსაო“³³. ილიას სამაგალითოდ მიაჩნდა „მორკმული, მოუდრეკელი სული ბაირონის ხასიათებისა“, მისი გმირები, რომლებიც „ისეთი აგებულებისანი არიან, რომ თავისი ტანჯვების წვაში, ეკვის ღრღნაში, თავისი სულის წყურვილში ჰხედავენ უკვდავების ღირსს ცხოვრებასა... არ შეეკვდლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, იმათ სულ მოძრაობა უნდათ... არ მირბიან გულის გაუთავებელ წყლულთა მოსარჩენად კაცთან. არამედ თავიანთავე გულის სიღრმეში და სულის უკვდავებაში ეძებენ სასოწარკვეთილების წამლსა“³⁴; საგანგებო ღირსებად კი ბაირონისა, „რომელსაც ცრემლის მაგიერ მღუღარე ტყვია სცივია თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა ნეხი“³⁵, იმას რაცხდა, რომ მისი „დიდებული და ზარიანი ჭექა-ჭუხილი“ ზოგადკაცობრიული სულისკვეთების გამომხატველი იყო. ნაშრომში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ ილია ბაირონს, ნიკოლოზ ბარათაშვილთან და გოეთესთან ერთად, იმ პიროვნებად მიიჩნევდა, ვის „სულის კვეთებასაც“ „საზღვარდადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზროვნების ვერ იტევს“. ვისაც „სწყურს ეს საზღვარი გაარღვიოს, რომ დაუსრულებელი სივრცე“ ცისა და ქვეყნისა მოიაროს“³⁶.

ამ ნაშრომში ილია ბარათაშვილის „თავგანწირული სულისკვეთების“, ისევე როგორც ბაირონის „დიდებული და ზარიანი ჭექა-ჭუხილის“, მიზეზად „დღემუდამ“ რწმენის ტაძრის მშენებელი და თავისი ხელითვე ამ მოსვენების ტაძრის მწვრთველი ადამიანის „ამღვრეული გულის ქარტეხილისაგან მოვლენილი“ გონების „მსუსხხავ და მწვავე ქრო-

32 ი. ჰაეკეჰაეძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 9.

33 იქვე, ტ. II, გვ. 22.

34 იქვე, ტ. III, გვ. 10.

35 იქვე, გვ. 10.

36 იქვე, გვ. 215—216.

ლას³⁷ მიიჩნევდა. მის სათავედ „ადამიანის სასოწარკვეთილებსა, თავგანწირულებისა, ქუთა-გონების არევისა, ყოვლისფრის უარყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხანა-და-ხანა, ისე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზრე კაცობრიობასა და შავად მღელვარე ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასა“ — იმ „ქცევა-შენებით დაღალულ გულს“ რაცხდა, „ქვეყნის დაწყებლადან დღევანდლამდე რომ ეძებს მოსვენებისათვის სადგურს... ეძებს და ვერ უპოვია“³⁸ და თავის შეხედულების დამადასტურებელ მაგალითად ბაირონს ასახელებდა — „ბაირონი და მთელი მის მიერ დაპყრობილი ხანა ევროპის სულიერი ცხოვრებისა განა ამის. მაგალითი არ არისო?“³⁹ — წერდა იგი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბაირონზე, როგორც მუდამ დაუკმაყოფილებელ, მაძიებელ, საზღვრის გადალახვისაკენ მსწრაფ პიროვნებაზე, ილიასეული შეხედულების ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული გოეთესაც. რაც სხვაგან ბარათაშვილის შემოქმედების განხილვასთან დაკავშირებით გვაქვს აღნიშნული. გოეთე ეკვრამანთან საუბარში „მანფრედის“ ავტორს ახასიათებდა როგორც „მუდამ უსაზღვროებისაკენ მსწრაფ ნატურას“ (Stets ins Unbegrenzte strebende Naturfell), რომელიც მიუხედავად „განუსაზღვრელი პირადი თავისუფლებისა, თავს შეზღუდულად (beklommen) გრძნობდა“, და რომლისთვისაც თავისი იმ „მუდამ განუსაზღვრელობისაკენ მსწრაფი“ ბუნების გამო „ყველგან სივწროვე იყო“ (Es war ihm überall zu enge) და „ქვეყანა საპყრობილეს წარმოადგენდა“ (Die Welt war ihm ein Gefangnis)⁴⁰.

ილია დაუკმაყოფილებელი ბუნებისა და მაძიებელი გონების გამოხატულებად, „სულის უბინაობისაგან ამოკენესად“ თვლიდა „ყოფნა-არყოფნის“ საკითხსაც „ჰამლეტში“⁴¹, რომლის ავტორსაც იგი გულთამბილველსა და მსოფლიო გენიოსს უწოდებდა. „ოპ რა კარგი რამ არის შექსპირი, გულთამბილვეს რომ იტყვიან. სწორედ ის არის“, — წერდა ილია მოზიბლული შექსპირის გენიით და საილუსტრაციოდ თავისი მტკაცებისა — „ჩვენ რომ ჩვენს თავს ბედნიერად ვგრძნობდეთ, ცვლილება შეგვაწუხებდა, დაგვაღონებდა, ვაი თუ რაცა გვაქვს, ისიც დაეკარგოთ“ — იმოწმებს შექსპირის სიტყვებს:

³⁷ ი. ჰავცჰავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 217—219.

³⁸ იქვე, გვ. 218.

³⁹ იქვე.

⁴⁰ Eckermann, Gespräche mit Goethe, 1956, 167—168.

⁴¹ ი. ჰავცჰავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 218.

ცელილება არის სამწუხარო ზედნიერთ. თვის,
ზედკრულნი კი მას სიხარულით მიეგებებიან.
მამ შენ. ჰე სეო ცელებადო. აწ სალას გეტყვი!...
შენ მე შთამაგდე. უბედური, ვაების ზღვაში
და რაც მიყავი, იმაზედ მეტს ველარას მზამ⁴².

თავის ნაწერებში ილია ხშირად იმოწმებდა შექსპირის ცალკეულ გამოთქმებს. „ყოფნა. თუ არყოფნა“-ო. წარმოსთქვა ერთხელ შექსპირის ჰამლეტმა, როცა საქმის ვითარებამ ორში ერთი დაუყენა წინ ამოსარჩევად“⁴³ — გკითხულობთ წერიალში „ინგლის — ძრლანდიის ურთიერთობის გამო“, რომელშიც იგი ეხებებ „სახელგონის მოხუცის“ — ვანც „უქანასკნელ დღეთა თვისთა დიდის შარავანდელით ჰმოსავს“⁴⁴ — გლადსტონის მიერ „ინგლისის ერის გასაკიცხავად“ წარდგენილ პროექტს.

„მე ადამიანის ცხოვრება ცოტად თუ ბევრად მიწვეწვევია და მჭამს, რომ შექსპირი მართალია: „სულელთა თამაშია ადამიანის ცხოვრებაო. — ამბობს იგი, — გინდათ თუ არა, უნდა ჩავდგეთ და ვიტრიალოთო“. ჩვენც. გვინდა თუ არა, ჩავდგებით, ვიტრიალებთ და თან ჩავითრევთ ამ ასალს გაზეთსაცა“⁴⁵. — წერდა ილია გაზეთ „ივერიის“ პირველ ნომერში (1872 წ.) დაბეჭდილ ფელეტონში. „შექსპირისა არ იყოს, ქვეყნაერებაში კიდევ ბევრი რამ არის, რომელც სიზმრალაც არ მოზმანებიათ ესლანდილ მეცნიერთ“⁴⁶, — ნათქვამია წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“. „არარაისგან არ იქნების არარაიცა“ — დიდი ხანია უთქვამს შექსპირს“⁴⁷. — აღნიშნულია „შინაური მიმოხილვა IV“-ში და ა. შ., მაგრამ საგანგებო ყურადღებას იპყრობს დიდი ქართველი რეალისტის დამოკიდებულება შექსპირის შემოქმედებითი მეთოდისადმი.

ილია, ლესინგის ანალოგიურად, მწერალს „ცხოვრების მორევში ტრალს“ რომ ურჩევდა, შექსპირის შემოქმედების უკვდავების წყაროდ ცხოვრების სიღრმეში წედომას, იქიდან აღებული მასალის კონკრეტულ ნიშან-თვისებითა დაუპირგავად განზოგადოებული სახით რეალისტურ ასახვას თვლიდა, ადამიანის ფსიქოლოგიის ზედმიწევნით ცოდნას მიიჩნევდა და პერსონაჟთა ხასიათების არა ავტორის სტყუიერი განცხადებით წარმოდგენას, არამედ მათივე მოქმედების საშუალებით გამოვლენას რაცხდა.

ზემოთ არაერთგზის დასახელებულ წერილში კოზლოვის „შემლილის“ ქართული თარგმანის თაობაზე, ილია „შემლილს“ იმიტომ თვლი-

42 ი. ქავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, გვ. 131.

43 იქვე, ტ. II, გვ. 202.

44 იქვე, გვ. 203.

45 იქვე, ტ. III, გვ. 369.

46 იქვე, ტ. V, გვ. 9.

47 იქვე, გვ. 57.

და „ქართულს ენახედ ვადმოსალებლად“ „უშეერ და გაპოუსადეგ პო-
ემად“, რომ „თუმცა „შეშლილს ქვეშ აწერია რუსული მოთხრობაო, მა-
გრამ ამ მოთხრობაში მარტო ენა, ზარი, მარხილი და იემშჩიკი თუ არის
რუსული, თორემ სხვა არაფერი... ბევრიც რომ წაიკითხოთ, მაინც ქარ-
თველი ვერ გაიცნობს ფრჩხილის ოდენასაც რუსის სოფლის გოგოსა,
იმიტომ რომ ეს შეშლილი გოგო, თუმცა კახლოვი ამბობს რუსისააო,
მაგრამ რუსის სარაფანაც არ აცვია ზედა; ეგ რაღაც ურუსო რუსია,
კახლოვის ფანტაზიის შველი, და არა რუსის ცხოვრებისაო“⁴⁸. ილია
მიუტყეებელ ნაკლად „შეშლილისა“, რომელშიც „არ ისმის ის გულის
გამგმირავი კვნესა მოტყუებული გულისა... არა სჩანს ის უნებურა სიუ-
გუნურე მარტივი სოფლის გოგოს სიყვარულისა, რომლის მუხთლობამაც
შეშალა ჰკვიდამ იგი“⁴⁹. მხატვრულ არადამაჯერებლობას თვლიდა, იმას
მიიჩნევდა, რომ „ის გოგო რუსის მუყიკისა... სრულიად შეშლილი არ
არის, თუმცა კახლოვი გვეფიცება, რომ შეშლილიაო; ძალიან კარგ გო-
ნებაზე გახლავსთ, კარგად ლაპარაკობს, კარგად სჯის“, და ნიმუშად მხა-
ტვრული დამაჯერებლობისა შექსპირის შემოქმედებას სახაედა. „აბა
შექსპირის ოფელია აიღეთ, — წერს ილია, — ან კოროლი ლირი და გა-
შინჯეთ! იქ თუმცა შექსპირია არ ამბობს, რომ ჰკვიდამ შეშლილები
არაიანო, მაგრამ მიაყოლეთ გონება იმათ სიტყვებს და მაშინვე გაიგებთ
შესაბრალებელს შეშლილ ადამიანის სულის მდგომარეობას, იქ წინა-
სიტყვაობა. საჭირო არ არის, რომ შეშლილიაო, საქმილამა სჩანს ყვე-
ლაფერი, სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობი-
სა“⁵⁰.

ილია შექსპირის, ისევე როგორც რუსთაველის და, სავერთოდ, მათი
რანგის სახელგანთქმულ შემოქმედთა საყოველთაო აღიარების საფუ-
ძელად იმას თვლიდა, რომ მათ, ცხოვრების ყოველმხრივ და ღრმად მტო-
დნეთ, უნარი ჰქონდათ იქ დანახულ საგანთა და მოვლენათა მაღალმხა-
ტვრულ განზოგადებისა; ამიტომაც მათი შემოქმედება ამა თუ იმ ერის
ყოფაცხოვრებისა თუ პერსონაჟთა ქცევისა და ხასიათის ეთნოგრაფიულ
აღწერას კი არ წარმოადგენს, არამედ თავისი ერის სამკაულით მოკაზ-
მულ ვრცელ მხატვრულ ტილოდ გვევლინება, რომელშიც სწორედ კო-
ნკრეტულ-ეროვნულის დამაჯერებლად ასახვის გზით ზოგადკაცობ-
რიულია გამოხატული.

წერილში „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ ილია ჭავჭავა-
ძე „ერთად-ერთ საზომად, ერთად-ერთ საწყაოდ მწერლის შემოქმედე-
ბის ძალიან მეტ-ნაკლებობისა“⁵¹ საერო-კაცობრიულის მეტ-ნაკლებ გა-

48 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 14.

49 იქვე, გვ. 13.

50 იქვე.

51 იქვე, გვ. 179.

მობატვას მიიჩნევდა, გმირების ავ-კარგიანობის „მათისავე მოქმედებით, სწევით, სიტყვა-პასუხით, გულისთქმისა და საქციელის ეროძანეთზედ დამოკიდებულებით, ეპიზოდების ერთმანეთისაგან წარმომდინარეობით.“⁵² „ცოცხლად“, „მთლად“, „მართლად“ „განსურათებას“ რაცხდა, და აკაკის საყვედურობდა: „იმ საბუთით, რომ ტარიელი ზარმაცია, ავთანდილი წინდახედულია და მებრვე სხვა, ძნელია ამისთანა მართლა სახელოვანი პოეტი, როგორც რუსთაველია. კაცმა უბრალო ეთნოგრაფიის საჩხირ-კედლო საქმეზედ ჩამოახდინოს. ეს მეტის-მეტი დაქვეითებაა პეგასზედ მჯდომ ცხენოსნისა“⁵³ და შექსპირის პერსონაჟთა მაგალითებით ასაბუთებდა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ზოგად-კაცობის ტიპებიაო.

„ფალსტაფს, რომელიც შექსპირს ტყვილებისა და კევხნა-ბაქიაობის გულად გამოუხატავს, განა ათასს მსგავსს ვერ მოვუპოვებთ ჩვენს საქართველოში?! ჩვენში ტყუილებისა, კევხნა-ბაქიაობის ისეთი ფალანგები არიან, რომ თითონ ფალსტაფი, — ეგ ზოგადი ტიპი ცრუ და მკვებარა კაცისა, — ტაშს დაუკრავს მოწონებისას და შეგირდად მიებარება. ნუთუ ეს გარემოება ნებას მისცემს სთქვას: შექსპარმა ფალსტაფით ქართველი გამოსახაო. მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომელიც ერისაც გინდათ. იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ბქმნიან. ადამიანი ყველგან ყოველთვის უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება“, — წერს ილია და განაგრძობს: „ფალსტაფი ისეთივე შვილია მთელის კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი, დიდის შემოქმედების ძალით შემქმნილნი. რამოდენადაც მწერლის შემოქმედების ძალი სწვდება ამ ზოგად-კაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა. თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისის სამკაულით აკაშინებს, თავისი საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველ ხატს. ყოველს ნამოქმედარს შემოქმედებისას, მაგრამ ეგ მართო სამკაულია. ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მართო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება“⁵⁴ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

იმავე წერილში ილია ორ სავარაუდო მიზეზს ასახელებდა ასახსნელად აკაკის სურვილისა, დაესაბუთებინა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები არიანო. პირ-

52 ი. ქავთაძე, თხულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 111, გვ. 179.

53 იქვე, გვ. 168.

54 იქვე.

ველ მიზეზს — რუსთაველი ვერ გადასწვდებოდა კაცად-კაცობის ვრცელ მინდორსო — ილია გამორიცხავდა, რადგან „ამის საბუთს რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ არ იძლევა და ვერც ვერავინ უპოვისო“⁵⁵. რაც შეეხება მეორე მიზეზს — განედიდებინა რუსთაველი იმით. რომ ტარბელი ქართლელად, ავთანდილი იმერლად, ხოლო ფრიდონი ზღვის პირის ქართველად გამოიყვანა — ილია გაუმართლებლად მიიჩნევდა და თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად ისევ შექსპირს მიმართავდა: „მითამ შექსპირს განა იმით იწუნებს ვინმე და, პირიქით, განა იმით არ აღი-
დებენ ყველანი და მსოფლიოს გენიოსად არა სთვლიან, რომ კაცად-კაც-
ნა გამოჰყვანდა თავის სახელოვანს დრამებში და არა შოტლანდიელი, ვალისელი და ინგლისელი...“ მერე განაგრძობდა: „ვიწრო მოედანი მა-
რტო პატარა ფალავნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, რო-
გორც შექსპირია და თუნდაც ჩვენი რუსთაველიცაო“ და ბოლოს დაა-
სკვნია — „რუსთაველის ტიპებს იმ პაწაწა ქუქურტანიდამ სინჯვა-კი
არ უნდა. საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალ-
კე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმ-
ლიდამ, რომ მოიღეს კაცად-კაცობას თვალი გადაეველებოდეს, მის სრულს
სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ. და თუ აქ კრტიკის „შუქს
ვერ ვაუწყო რუსთაველმა, მაშინ და მარტო მაშინ ჩვენ მიერ უჯეროდ
დადგმული გვირგვინი დიდებისა და სახელოვანებისა უნდა მოეხადოს
თავიდან“⁵⁶.



მრავალმხრივ განათლებული ი. ჭავჭავაძე, როგორც მისი ნაწარმოე-
ბებიდან ჩანს, კარგად იცნობდა თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს,
დიდი ინტერესით სწავლობდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოძღვრე-
ბებს. სისტემატურად ადევნებდა თვალყურს და ეხმაურებოდა ეპოქის
თითქმის ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან მოვლენას და ახალი
ვითარების ღრმა ანალიზთან ერთად სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ
ცხოვრებასაც რომ აცნობდა ქართველ ხალხს, გამოჩენილ მეცნიერებსა
აუ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებზედაც (გლადსტონი, გარი-
ზალდი, ადამ სმიტი, დარვინი და სხვ.) გარკვეულ წარმოდგენას უქმნი-
და მას.

ცხადია, მწერალი და მოაზროვნე საგანგებო ინტერესს იჩენდა ეს-
თეტიკის, ხელოვნების, ლიტერატურის თეორიისა და მხატვრული პრაქ-
ტიკის მიმართ. იგი ღრმად იცნობდა ჰეგელის ესთეტიკას და იპოლიტე

⁵⁵ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 175

⁵⁶ იქვე.

ტენის ხელოვნების ფილოსოფიას, ვოლტერის, მონტესკიესა და ყანჯაკ რუსოს ნაწერებს. პიუგოს, ვალტერ სკოტის, თომას მურისა და ნეელი და თანამედროვე ევროპული ლიტერატურის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი წარმომადგენლების შემოქმედებას. მაგრამ ევროპული ლიტერატურის საფუძვლიანად მცოდნე ილია განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა გერმანული კლასიკური ლიტერატურის მიმართ. ეს უნდა აიხსნას არა მარტო იმით, რომ XIX საუკუნის 40—50-იანი წლებიდან მოყოლებული გერმანული კლასიკური ფილოსოფია და ლიტერატურა რუსული მოწინავე აზრისა და ლიტერატურული კრიტიკის ყურადღების ცენტრში იყო, რასაც არ შეიძლება გაუღენა არ მოესდინა რუსეთში განათლებამიღებულ ქართველ პოეტსა და მოაზროვნესე, არამედ იმიტაც. რომ გერმანულ კლასიკურ ლიტერატურაში გამოხატულ ლიტერატურად დაქუცმაცებულ და ეკონომიკურად დაკარგებულ საზოგადოებრივ მდგომარეობას მიუხედავად სპეციფიკური ვითარებით გამოწვეული მნიშვნელოვანი სხვაობებისა. ტიპოლოგიურად ესადაგებოდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება. სახელდობრ, ისევე როგორც საქართველოში, გერმანიაშიც აღვირაბსნილი ფეოდალები ერის ინტერესებზე მალდა საკუთარ კეთილდღეობას რომ აყენებდნენ, გარყვნალებამდე მისულ ფუფუნების დასაკმაყოფილებლად დაბალ ფენათა უშუალოდ ექსპლუატაციას ეწეოდნენ, თავიანთ ქვეშევრდომებს თუ ყმებს საქონლად მიიჩნევდნენ, ძაღლებზე სცელიდნენ და საზარბაზნე ხორცად ჰყიდდნენ. ცნობილია, რომ მეომარი სახელმწიფოებისათვის მიყიდულ ბრძოლისუნარიან თვითნებულ მამაკაცში მრავალ სახელმწიფოდ დაწინაურებულ გერმანიის დიდი და პატარა დესპოტები ას-ასორმოცდაათ ტალერს იღებდნენ. ამას გარდა, ბრძოლის ველზე დაცემულ ყოველ ჯარისკაცში ხუთასიდან ექვსას ტალერამდე უხდიდნენ. ამიტომ იყო, რომ ჰესელკასელის მემკვიდრე პრინცის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და საყვედური დაიმსახურა მაიორმა მინდორფმა, რომელმაც მისადმი დაქვემდებარებულ სამას მებრძოლიდან მთელი კამპანიის განმავლობაში მარტოოდენ ათი ჯარისკაცი დაკარგა.

თურქთა და სპარსთა მუდმივი შემოსევებით დაუძლურებულნი საქართველოსა და ოცდაათწლიანი ომებით გაპარტახებული გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული დაკნინებით ნასაზრდოებმა და გაბატონებულმა ზნეობრივმა სიმდაბლემ და უკიდურესმა ეგოიზმმა ამ ერებს შინაგანი დაფლეთილობაც გამოიწვია, რაც სათანადოდ არის ასახული როგორც ისტორიულ ქრონიკებში, ისე მხატვრულ ლიტერატურაში.

სწორედ ანალოგიური ისტორიული კონტექსტით გამოწვეული საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ტიპოლოგიური შესაბამისობით უნდა

ახსნას გერმანიის სავალალო მდგომარეობის ტრაგიკულად განმცდელი ჰელდერლინის მიერ სამშობლოს მდგომარეობის დახასიათებისა და ილიას მიერ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შეფასების ანალოგიურობა.

გერმანიის „დაფლეთილობით“ გულმოკლული ჰელდერლინის ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი — ჰიპერიონი სწერს მეორე პერსონაჟს — ბელარმინს: „გადავდებული ჭურჭლის ნამსხვრევის მსგავსად უფერულნი და პარმონიამოკლებულნი იყვნენ ჩემი მანუგეშებელნი. მწარე სიტყვაა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რადგან ჭეშმარიტებაა: მე ვერ წააზომილდგენია სხვა ხალხი, რომელიც უფრო დაფლეთილი (zerrißener) იყოს, ვიდრე გერმანელებია. ხელოსნებს ხედავ აქ, მაგრამ არა ადამიანებს, მოაზროვნეებს, მაგრამ არა ადამიანებს, მოძღვრებს, მაგრამ არა ადამიანებს, ბატონებსა და მსახურებს, ახალგაზრდებს და მოხუცებს, მაგრამ არა ადამიანებს. განა ეს არა ჰგავს ბრძოლის ველს, სადაც სხეულის ყველა ნაკეთი ნაკუწებად ერთმანეთზე ჰყრია, მაშინ როცა დაღვრილი მაცოცხლებელი სისხლი ქვიშაში ეონავს“⁵⁷.

ზუსტად ასევე ილია, — უკმაყოფილო თავისდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებით, სადაც „პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ნავსმოკიდებულს გუბებს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამსახაროდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდებარისი კმაყოფილებით, ვჭყუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვაფერი ნაკადული იწრითება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის“⁵⁸, — სწორედ იმის გამო „ჰყვენესდა“, რომ საქართველოში „არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვეპარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი — ყველანი არიან. და ქართველი კი არსად არისო“ და ამბობდა: „თავადის აზრი — სათავადოა, აზნაურის — სააზნაურო, გლეხისა — საგლეხო, ვეპარისა — საეპარო, — ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა — თავადსა, ორივესი — გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგრევე ხორცისა და სულის ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი?“⁵⁹ მერე მკითხველებს მიმართავდა: „ეჰ! რაღა გითხრა, მკითხველო! შენც კარგად იცი, რომ ქართველი ჩვენი ტომის საერთო სახელი აღარ არისო“ და, ბოლოს, მწარედ აღნიშნავდა: „ვთქვი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვთქვი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვი სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში —

⁵⁷ H ö l d e r l i n, S ä m t l i c h e W e r k e. h e r a u s g e g e b e n v o n F r i e d r i c h B e i z n e r, S. 635.

⁵⁸ ი. ჰავეტავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 73.

⁵⁹ ი. ჰავეტავაძე, გვ. 74.

ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ იშვიათი!⁶⁰.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ჰელდერლინისა და ილიას მიერ „ხალხის დაფლეთილობაზე“ გამოთქმულ შეხედულებათა ანალიზ-გიურობისა, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც აშკარაა: გერმანელი ხალხის „დაფლეთილობის“ აღმნიშვნელ ჰელდერლინს ადამიანის დაფლეთილობაზე გადაჰქონდა აქცენტი და იმას განცდიდა, რომ ხელოსნებს ხედავდა იქ და არა ადამიანებს, მოაზროვნეებს, მაგრამ არა: ადამიანებს, მოძღვრებს, მაგრამ არა ადამიანებს, ბატონებსა და მსახურებს, ახალგაზრდებს და მოხუცებს, მაგრამ არა. ადამიანებს, სოლო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადს — ი. ჭავჭავაძეს — საერთო ეროვნულ ინტერესთა უქონლობა აწუხებდა და ერის ინტერესების ნაცვლად ეიწრო წოდებრივი ინტერესებით შემოფარგვლის გამო (რაც ხალხის ანუ ერის „დაფლეთილობად“ მიიჩნდა) რომ აღნიშნავდა: „საქართველოში არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჰარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონიო“, გულისტკივლით ამბობდა: „ვთი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვთი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვი სისხლი გაშრაო“ და ა. შ..

ეროვნული კონსოლიდაციისათვის მებრძოლი ილია ჭავჭავაძის შეხედულებებზე არ შეიძლებოდა ღრმა კვალი არ დაემჩნია გერმანულ კლასიკურ ლიტერატურას, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი სწორედ ეროვნული მთლიანობა იყო და რომელიც ხელოვნებისა და ლიტერატურის უპირველეს დანიშნულებად ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას რომ მიიჩნევდა, მას ავალებდა აღზრდას ახალი საზოგადოებისა, რომელშიც ადამიანი თვითმიზანი იქნებოდა და არა საშუალება და ყოველი პიროვნება, იმ შეგნებით გამსჭვალული, რომ საერთო კეთილდღეობა არის წყარო თვითეულის ბედნიერებისა, საზოგადოებრივ ინტერესებს პირად სარგებლიანობაზე მალა დააყენებდა. და, მართლაც, ქართული კრიტიკული რეალიზმის მედროზე ილია, რომელსაც ღრმად სწამდა ცხოვრების ღრმა ცოდნის საფუძველზე შექმნილი, საზოგადოების პირ-ვარამით დაინტერესებული და მისი სიმართლით ამსახველი ხელოვნებისა და ლიტერატურის აქტიური როლი და გარდამქმნელი ძალა, თავის შემოქმედებაში ფართოდ იყენებდა გერმანული კლასიკური ლიტერატურის კორიფეების ესთეტიკურ ნააზრევს და მხატვრული პრაქტიკის გამოცდილებას.

მაგრამ ვიდრე ილიას შემოქმედებაში ლესინგის, გოეთეს, შილერისა და ჰაინეს შეხედულებათა გამოძახილს შევხებოდეთ და შილერისა და ჰაინეს პოეზიის ნიმუშთა ილიასეულ თარგმანებს განვიხილავდეთ,

⁶⁰ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 76.

მანამდე, რათა სრული წარმოდგენა გვექონდეს „თერგდალეულთა“ პე-
ლადის კრიტიკულ-თეორიულ ნააზრევსა და მხატვრულ პრაქტიკაში გე-
რმანული ლიტერატურის კვალზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ნათარგმ-
ნი აქვს ფრიდრიხ რიუკერტის — გერმანიის ეროვნულ-განმათავისუფლე-
ბელი მოძრაობის აქტიური მონაწილის, ლირიკოსის, დრამატურგისა და
გამოჩენილი მთარგმნელი-ორიენტალისტის ორი ლექსი⁶¹. თუმცა ეს
ლექსები არც მხატვრული ღირსებითა და არც თემატიკის მიხედვით არ
გამოირჩევიან, მაგრამ მათ მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ თუნ-
დაც იმ თვალსაზრისით, რომ ილიას მიერ თარგმნილნი, მისი შემოქმედე-
ბითი ლაბორატორიის მცირე კუთხეს მაინც აშუქებენ და, გარდა ამი-
სა, მათი საშუალებით გაეცნო ქართველი მკითხველი ნიმუშებს რუკე-
რტის ლირიკისა, რომელიც მანამდე ქართულ ლიტერატურაში გ. ერის-
თავის მიერ შესრულებული ერთი თარგმანით იყო წარმოდგენილი.

გერმანული კლასიკური ლიტერატურიდან, უწინარეს ყოვლისა, აღ-
სანიშნავია, ილიას დამოკიდებულება ლესსეგთან, რომელიც, საკარო
კლასიციზმის წინააღმდეგ ამხედრებული, ცხოვრებას რომ თვლიდა ჭეშ-
მარიტ მასწავლებლად, ერთადერთ წყაროდ და საგნად მხატვრული შე-
მოქმედებისა, მკაცრად ებრძოდა მონურ მიმბაძველობას და ერთგულად
ემსახურებოდა ეროვნული ლიტერატურის შექმნას.

ლესინგის ესთეტიკურ მოძღვრებას ღრმად დაუფლებული ილია
წერილებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე ხშირად მი-
მართავდა „ლაოკონს“ — ნაწარმოებს, რომელიც მნიშვნელოვნად სცი-
ლდება ავტორის მიერ დასახულ მოკრძალებული მიზნის ფარგლებს —
დაედგინა, უფრო სწორად, გაემიჯნა საზღვრები პოეზიასა და მხატვრო-
ბას შორის — და „ჰამბურგის დრამატურგიასთან“ ერთად გვევლინება,
არსებითად მატერიალისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე შექმ-
ნილ, რეალისტური ხელოვნების თეორიად. სწორედ „ლაოკონის“ გა-
მო წერდა დობროლიუბოვი, რომ „ლესინგმა შექმნა პოეზიის ახალი
თეორია, რომელმაც შეიტანა მასში (პოეზიაში. — დ. ლ.) სიცოცხლე და
ღაამსხვრია მანამდე ყველა ესთეტიკაში გაბატონებული მკვდარი ფორ-
მალისტიკა“⁶².

ილია, ისევე როგორც ლესინგი, ვინც საბჭოთა მკვლევარის ფრიდ-
ლენდერის აღნიშვნისამებრ „ამოცანად ისახავდა გზა გაეკათა გერმანია-
ში ისეთი ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის, რომელიც, შექსპირის
დრამების მსგავსად, ცხოვრებისეული მოვლენების ფართო და სისხლსავე-
სე ასახვას შეათავსებდა ვაჟაკობასთან, ენერგიულობასთან და ეროვ-

61 იხ. ი. ჰაქევაძის დასახელებულ თხზულებათა ტ. I, გვ. 242—243.

62 Н. А. Добролюбов, Полное собр. соч., т. V, 1941, стр. 321.

ნულ პრობლემათა წვდომასთან⁶³, თვლიდა, რომ მარტოოდენ მაღალ-პუმანური იდეებით გამსჭვალულ, ცხოვრების ცხოველმყოფელურად მსახველ, რეალისტურ ლიტერატურასა და ხელოვნებას შესწევს უნარი აღზარდოს ხალხში გმირული სულისკვეთება. შეაგონოს მას ერის ინტერესები და აღძრას ამ ინტერესთა დასაცავად. ამაში ღრმად დარწმუნებული პოეტი და მოაზროვნე, ქართული ეროვნული რეალისტური ლიტერატურის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დემოკრატიზაციისათვის რომ ბრძოდა, „ცრუკლასიკურ“ და „სენტიმენტალურ“ მიმართულებას „უვარგისად“ რაცხდა ჩვენი მწერლობისათვის და, კოზლოვისა და მარმონტელის სენტიმენტალური ნაწარმოებების თარგმანებით უკმაყოფილო. აღნიშნავდა: „უმადგინოდაც სენტიმენტალური მიმართულებების მაგალითები გვაქვს ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითებრ, „ვარდ-ბულბულიანი“ და „შამი-ფარვანიანი“; რომანტიკული მიმართულებისა ცა გვქონია ჩვენ მაგალითი ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითებრ „ვეფხისტყაოსანი“; ცრუ-კლასიკურისა ც, მაგალითებრ, სულ იმ მწერლების მიმართულება, რომელთაც მიბაძეს მარტო გარეგან ფორმასა ჩვენ უკვდავის რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისას“ და ვერ გაიგეს კი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თუ არის უკვდავი, არა მარტო თავისი ფორმით, არამედ თავის შინაგანი ღირსებებით“⁶⁴.

„პასუხის“ ავტორი უყოყმანოდ რომ იზიარებდა ლესინგის დებულებას — ხელოვნებისა და ლიტერატურის ასახვის სფეროს განსაზღვრავს მასალა და საშუალებანი, რომელსაც ისინი იყენებენ საგნის ასახადო — უწინარეს ყოვლისა, სწორედ „შინაგანი ღირსებაებით“, იდეურ-შინაარსობრივი რაობით აფასებდა ხელოვნების ნაწარმოების მაღალმხატვრულობას და, მიუხედავად ასახად გამოყენებული მასალისა და საშუალებების სხვადსხვაობით გაპირობებული ასახები სფეროს სხვადსხვაობისა, ლიტერატურის და ხელოვნების ყველა დარგის საერთო ამოცანად „იდეის სახეში“ გადმოცემას რომ მიიჩნევდა, თავის შეხედულებას ლესინგის მიერ „ლაოკონში“ ჩამოყალიბებული აზრის პერიფრაზით გადმოსცემდა. „ხელოვნება, — განუმარტავდა ილია „პასუხში“ თავის მოწინააღმდეგეებს, — არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქ-

63 Г. М. Фридляндер, «Лаокоон» Лессинга, в книге: Лессинг, Лаокоон, 1957, стр. 19.

64 ი. კავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 55.

მელად სხედასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მსატერობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვებსა“⁶⁵.

ილია კარგად იცნობდა და იზიარებდა კიდევ ლესინგის იმ დებულებასაც, რომლის მიხედვით „ქეშმარიტება და გამოსახულება არის ხელოვნების პირველი კანონი“⁶⁶ და ხელოვანი, მიმბაძველი „მთელი ხილული ბუნებისა“, „...მშვენიერი საგნის ასახვისას უნდა ცდილობდეს გამოსახოს ის იმ ფარგლებში, „რის შესაძლებლობასაც იძლევა ქეშმარიტება და გამოსახულება“ (als es Wahrheit und Ausdruck erlauben)⁶⁷.

ამ დებულებიდან გამომდინარე, ლესინგი, რომელიც ამტკიცებდა „ქეშმარიტებისა და გამოსახულების გზით იქცევა უსაძაგლესი (das Häßlichste) ბუნებაში მშვენიერად ხელოვნებაში“⁶⁸ ხელოვანისაგან ასახი საგნის ღრმა მეცნიერულ შესწავლას მოითხოვდა, როგორც ქეშმარიტების წვდომის გარდუვალ საშუალებას და გამოსახულების სრულყოფილობის გზას. ამასთანავე, ლესინგის ღრმა რწმენით, ხელოვანს მხოლოდ მაშინ შეუძლია დარჩეს, ქეშმარიტების ერთგული და დააკმაყოფილოს მაღალი ესოტიკური გემოვნება. როცა სიუჟეტის გამოსახვისას იოვალისწინებს გამოსახვის მასალას და საშუალებებს, რომლებსაც ხელოვნების ესა თუ ის დარგი იყენებს თავისი სპეციფიკის შესატყვისად. სახელდობრ, როცა ლაპარაკია ფერწერასა და ლატერატურაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ფერწერას („ფერწერაში — წერდა ლესინგი — მე ვგულისხმობ სახვით ხელოვნებას საერთოდ“)⁶⁹ მართოდენ სიერცეში შეუძლია გამოსახოს საგანი და ამიტომ მას მოვლენათა პროცესიდან მხოლოდ ერთი მომენტის გამოსახვა ძალუძს, მაშინ, როცა პოეზიას ამ პროცესის დროში განვითარების საშუალება აქვს, რაც ლესინგს პოეზიის დიდ უპირატესობად მიაჩნდა. „მისი (პოეზიის — დ. ლ.) უმთავრესი უპირატესობა, — წერდა ლესინგი, — ის არის, რომ პოეტი სურათთა გაღერებით გადმოსცემს იმას, რაც მხატვრის ერთი სურათის სიუჟეტს წარმოადგენს“⁷⁰. სწორედ იმიტომ, რომ პოეზიას მიმდებელი აქვს უნარი საგნის თუ მოვლენის გარეგანი, თვალთ ხილული თუ შინაგანი, სულიერი მოძრაობის თანმიმდევრული განვითარების პროცესის ჩვენებისა. „პოეტური ფერწერის“ საუკეთესო ნიმუშებიც კი, ხშირ შემთხვევაში. გამოუსადეგარია მხატვრისათვის, — აბობობდა ლესინგი, რასაც იგი კომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეისიდან“ უხედა ამოწერილი მაგალითებით ასაბუთებდა.

65 ი. ჰავეჰაჰაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 20.

66 Lessings Werke. Herausgegeben von Franz Bornhöller, B. III, S. 20.

67 იქვე, გვ. 20.

68 იქვე.

69 იქვე, გვ. 6.

70 იქვე, გვ. 97.

ლესინგი მხატვრობის წინაშე პოეზიის დიდ უპირატესობად იმასაც თვლიდა, რომ მას ძალუძს ხილული და უხილავი საგნებისა და მოქმედებების განსხვავებულად გამოხატვა. „ჰომეროსთან, — წერდა ლესინგი, — გვხვდება არსებათა და მოქმედებათა ორი სახეობა: ხილული და უხილავი. ეს სხვაობა ფერწერას არ შეუძლია გამოსახოს: მასში ყველაფერი ხილულია და ხილულია ერთსახოვნად (auf einerlei Art)“⁷¹. ხილული თუ უხილავი საგნების თუ მოვლენების განსხვავებულად გამოსახვის ეს უნარი კიდევ იმ უპირატესობას ანიჭებს პოეზიას ფერწერის წინაშე, რომელიც იძულებულია დაკმაყოფილდეს მარტოოდენ „ხილული სცენების“ ჩვენებით, რომ იგი სრულ თავისუფლებას აძლევს მკითხველის წარმოსახვას გააფართოოს მოქმედების არე.

ფერწერისა და პოეზიის საზღვრების ასეთი გაგებიდან გამომდინარე, ლესინგი აკრიტიკებდა გრაფ კლოდ კეილიუსს, XVIII საუკუნის ფრანგ არქიტექტორსა და ხელოვნების თეორეტიკოსს, ვისი აზრითაც პოეტის ნიჭი უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენ სიუჟეტს მისცემს მისი ნაწარმოები მხატვარს. წინააღმდეგ მილტონისადმი კრიტიკულად განწყობილი კეილიუსისა (რომელიც დაბალი შეხედულებისა იყო „დაკარგული სამოთხის“ ავტორის შემოქმედებაზე, რადგან იგი არ აძლევს მხატვარს საკმარის რაოდენობის სიუჟეტსო და აცხადებდა. მილტონი მხოლოდ იმით ჰგავს ჰომეროსს, რომ ბრმა იყო), ლესინგი ამბობდა, „ცხადია, მილტონს არ ძალუძს გაავსოს სამხატვრო გალერეა, მაგრამ თუ ჩემი ხორციელი თვალის (das leibliche Auge) ხილვის სფერო იქნებოდა განმსაზღვრელი ჩემი შინაგანი თვალის (das innerliche Auge) ხილვის სფეროსი, ჩემს ღირსებად ჩავთვლიდი პირველის დაკარგვას, ოღონდ იმ შეზღუდულობისაგან განეთავისუფლებულიყავით“⁷².

ილიაც, ლესინგის ანალოგიურად, ხელოვნების მთავარ ამოცანად ქვეშეპირიტების გამოსახულებას მიიჩნევდა. „ცხოვრების უძირო ზღვაზე“ „გამარჯვებით სიარულს“ მხოლოდ მაშინ თვლიდა შესაქლებლად. როცა აღამიანს სწავლითა და ცოდნით განსწმენდია „თვალნი ზე ზეცისა და ქვეყნის საიღუმლოთა მხედველად, ყურნი ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად, ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყობად და ენა ყოველი ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად“⁷³ და პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ ამის განმარტებასთან ერთად, — ქვეყანა ერთი დიდებული წიგნია. რომელსაც მეცნიერება თარგმნის უსურაოთ სიტყვით, პოეტმა კი ამ თარგმანს უნდა სული ჩაუდგას. ხორცილ შემოსოს აღამიანის გასატაცებლად, დაბეჯითებით შეაგონებდა: „საცა არ არს მეცნიერება, იქ მკითხველიც ამ წიგნისა არ

⁷¹ Lessing Werke. Herausgegeben von Frauä Bornhöller. B. III, S. 86.

⁷² იქვე, გვ. 99.

⁷³ ი. ჰაეკელიძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 91.

არისო“⁷⁴. იმავე ლესინგის მსგავსად და, როგორც უკვე აღნიშნულია ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, თითქმის იმავე „ფრაზეოლოგიით“⁷⁵ ილია საგანთა და მოქმედებათა ხილვის ორ თვალს განასხვავებდა: ხორციელსა და სულიერს, გარეგანსა და შინაგანს და უპირატესობას შინაგან ხილვას, სულიერ თვალს ანიჭებდა. ეს კარგად ჩანს, როგორც „ოთარაანთ ქვრივის“ ქვეთავში „ზარი“, სადაც შეილის დაღუპვით თავზარდაცემული დედის უთქმელი, უსიტყვო მწუხარების გადმოცემისას ილია წერს: „ამას მარტო თვალი გულისა-და თუ ხედავდა და ყუ-რი გულისა თუ ისმენდა!... ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისთვის უღონოა“⁷⁶, ისე მეხუთე წერილში ქართულ თეატრზე, სადაც ილია არჩევს ქართულ სცენაზე წარმოდგენილ პიესას „გვიყარენით“, რომელიც ვ. აბაშიძეს გადმოუქართულებია რუსულ ენაზე გადმოკეთებული სარდუს პიესის „Divorçons“-ის მიხედვით. ილიას აზრით. პიესის მთავარი პერსონაჟი — ნინო — არ არის ტიპიური, რადგან „ჩვენს ეხლანდელს, განათლებულ ქალთა შორის, ერთიც არ არის იმისთანა, „რომ გონების თვალწინ გამოხატული ჰქონდეს რაიმე სასულიეროდ სასიამოვნო საგანო“. „ნუ ურევთ იმაში, — მიმართავდა მკითხველს ილია, — ზორცის თვალთა წინ გამოხატულს საგანსა, — ამის უნარი. ყველასა აქვს, — და იქონიეთ სახეში მარტო გონების თვალი“⁷⁷. „შესაძლებელია განა, — ეკითხება ილია მკითხველს, — ჩვენებურმა ეხლანდებრ მითამ-და განათლებულმა ქალმა შავი ზანგი ოტელო შეიყვაროს მარტო მისთა „საგმირთა საქმეთა“ გამო, როგორც იგი შეიყვარა დეზდემონამ და როგორც უსათუოდ შეიყვარებდა იმისთანა ქალი, როგორც ნინოა?“ და, გმირულ სულს მოკლებული თანამედროვე საზოგადოების უკმაყოფილო მოაზროვნე, თავდაცე რომ პასუხობდა: „გმირობა, რა სახისაც უნდა იყოს, სულის ღონეა და არა ხორცისა და ამიტომაც გმირის სიყუარული მარტო სულითვე ღონიერს შეუძლიაო“, დაბეჭითებით აცხადებდა: „აქ ხორციელს თვალს ვერას გააჰრევიანებთ, სულიერი თვალი უნდაო“, ბოლოს, მწარედ შენიშნავდა: „ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე თვალი სულისაო“⁷⁸ (დაყოფა. ყველგან ჩემია. — ც. ლ.).

ლესინგის მიერ ფერწერასთან შედარებით პოეზიის უპირატესობად აღიარებულ შესაძლებლობას (ხილულ და უხილავ არსებათა და მოქმედებათა განსხვავებულად გამოსახვასთან ერთად, ვრცელი აღწერის გარეშე, მოკლედ, რამდენიმე სიტყვით გამოსახოს პერსონაჟთა ფი-

74 ი. კავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 92.

75 შ. რევიშვილი, ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობა, 1969, გვ. 131.

76 ი. კავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. II, გვ. 305.

77 ი. კავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 130.

78 იქვე, გვ. 138.

ზიკური, გარეგნული მდგომარეობა და შინაგანი, სულიერი განცდა-მოძრაობანი და სრული თავისუფლება მისცეს მკითხველის წარმოსახვას) პოეზიის საგანგებო ღირსებად მიიჩნევა ილია ჭავჭავაძე და „რუსთაველს, ყოველთვის უტყუარსა და მართალს ბუნების წინაშე“⁷⁹, იმის გამოც თვლიდა გენიოსად, რომ მას მომადლებული ჰქონდა უნარი — იქ, სადაც ნაკლებ ნიჭიერი მწერალი „მთელს ფურცლებს“. მოანდომებდა აღწერას, ორიოდ სიტყვით გამოეხატა ადამიანის „გულის მოძრაობა“.

„საოცრად მართალ-მხედველი“ რუსთაველის „ამისთანა გენიოსური მანერის“ ერთ ნიმუშად ილია ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის პირველ შეხვედრას თვლიდა. ილია ტარიელის პირით მოთხრობილ შეხვედრის ამ სცენას —

დიდხანს ვსდევ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურისა —
ოდენ ტკბილად შემომხედის, ვთამცა რამ შინაურსა,
ასმათ იხმო, მოიუბნეს, ქალი მოდგა, მითხრა ყურსა,
„აწ წადიო, ვერას გითხრობს“ და სხვ. —

„გენიოსურ კალმის მოსმად“ რაცხდა არა მარტო იმის გამო, რომ მან „ფსიქოლოგიური წუთი შენიშნა და ფსიქოლოგიის მიხედვით მართლდაც დაგვიხატა“⁸⁰ იგი, არამედ იმიტომ, რომ იმ ოთხი. ისიც სხვისი პირით გადმოცემული სიტყვით, ისე ცხოვლად არის მინიშნებული „დღი და ძლიერბ გრძნობა“, რომელმაც „ადამიანი დაამუნჯა მაშინ, როცა თქმა და ლაპარაკი სამოთხესავით სანატრელია და ასე მოსალოდნელი ტრფიალის ქალისაგან, რაკი პირველად სალაპარაკოდ შეეყრება თავის სატრფოსა“, რომ „უხლანდელი მწერალი მთელს ფურცლებს მოანდომებდა და მაინც ესოდენ ცხოვლათ ვერ გამოგვიხატავდა სათქმელსა“⁸¹.

დასასაბუთებლად თავის შეხედულებისა — წერის ასეთი მანერა გენიოსის პოეტის დამახასათებელიაო — ილია „სახელოვან გერმანელ კრიტიკოსს ლესინგს“ იმოწმებდა. სახელდობრ იმ ადგილს „ლაოკოონიდან“. სადაც ლესინგი წერს: „...ჰომეროსი, რომელიც ასე ბეჭითად (gefliessen-tlich) გაუბრბის სხეულებრივი მშვენიერების აღწერას და რომელიც მხოლოდ ერთხელ, და ისიც გაკვრით, მოგვაგონებს, რომ ელენეს თეთრი ხელები და მშვენიერი თმები ჰქონდა, სწორედ ეს პოეტი გვაძლევს ისეთ მაღალ წარმოდგენას მის მშვენიერებაზე, რომელიც აჭარბებს ყველაფერს, რაც კი, ამ მიმართებით, ხელოვნებას შეეძლო გაეკეთებინა. მოვიგონოთ ის ადგილი, როცა ელენე გამოჩნდა ტროადას უხუცესთა თავყრილობის წინაშე. მისი მხილველნი ღირსეულნი მოხუცნი მიმართავენ ერთმანეთს: „არა, განკიცხვა არ შეიძლება, რომ ტროადას ძენი და აჭა-

79 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 177.

80 იქვე, გვ. 172.

81 იქვე, გვ. 173.

ველნი ხანგრძლივ ბრძოლაში სისხლსა ღვრიან ამ ქალისათვის. ჭეშმარი-
ტად უკვდავ ღმერთთა მსგავსია იგი თავისი სილამაზითო“⁸². „მოჰყავს
რა ეს ადგილი ჰომიროსის უკვდავის თხზულებიდან, — აღნიშნავს ილია
ციტირებული ადგილის პერიფრაზით გადმოცემის შემდეგ, — ლესინგ-
ი ასე ათავებს: „სხვას რას შეუძლიან ასე ცხოვლად აცოდინოს კაცს ია
მომაჯადოებელი მშვენიერება. რომელსაც თვით გულცივი სიბერეც კი
ჰხადის ღირსად იმ ომებისა, რომელთაც იმოდენი სისხლი და ცრემლი
მთელს ერს დაანთხევინესო“ და თავის ამ ზუსტ თარგმანს „ლაოკო-
ნიდან“ ამთავრებს შეკითხვით „რით ჩამოუყარდება ზემო მოყვანილი
მაგალითი რუსთაველისა ამ ჰომიროსის გენიოსობის მაგალითსა?“⁸³.

ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულებაზე ლესინგისა და
ილიას შეხედულებათა ანალოგიურობა განსაზღვრავს მათ შეხედულება-
თა ანალოგიურობასაც პერსონაჟთა და ვითარებათა გამოსახვის ტიპიუ-
რობაზე მხატვრულ ლიტერატურაში. ორივენი, პოეზიის გამოკვებაე
წყაროდ ცხოვრებას რომ მიიჩნევდნენ, პოეტს ცხოვრების ღრმა მორევში
ჩადგომას ურჩევდნენ და იქ გულდასმით შესწავლილ საგანთა და მოე-
ლენათა კონკრეტულ-დამახასიათებელ თვისებათა შენარჩუნებით მხატვ-
რულად განზოგადებულ გადმოცემას ავალბდნენ, რადგან ღრმად სწამ-
დათ, რომ პოეტურ ნაწარმოებს სწორედ კონკრეტულობა ანიჭებს ცხო-
ველმყოფელობას და მარტოოდენ იმ კონკრეტულის მაღალმხატვრული
განზოგადების საფუძველზე ინდივიდუალიზების გზით შეიძლება „ბუნე-
ბის წინაშე უტყუარი და მართალი“ გამოხატვა ზოგადკაცობრიულისა,
რაც განაპირობებს ნაწარმოების ადგილს და მნიშვნელობას მსოფლიო
ლიტერატურის საგანძურში. განზოგადოებული კონკრეტულის ინდივი-
დუალიზების გზით ტიპიურის გამოსახვა, ლესინგის შეხედულებით, პოე-
ზიის დამახასიათებელი ნიშანია და არსებითად განასხვავებს მას სახვითი
ხელოვნებისაგან. საქმე ისაა, რომ, ლესინგის აზრით, როგორც ეს აღ-
ნიშნული აქვს „ლაოკონის“ ავტორის ესთეტიკური მოძღვრების აღიარ-
ებულ საბჭოთა მკვლევარს ვ. რ. გრიბს, პოეზიას (განსხვავებით სა-
ხვითი ხელოვნებისაგან, რომელსაც ძალუძს საგანი გამოსახოს მხოლოდ
სტატიკურ მდგომარეობაში, „გაქვავებულ ფორმაში“, რის გამოც მას
არ შეუძლია ცხოვრების სრული და ყოველმხრივი ასახვა) შესწევს უნა-
რი თავისი „მიბაძვის საშუალების“ — სიტყვის — წყალობით ასახოს სა-
გნის მოძრაობა და მოქმედება გამოიყენოს განზოგადოების საშუალე-
ბად. რადგან ბუნების ყველა არსებათა შორის ადამიანი ყველაზე მოქ-
მედი არსებაა, ამიტომაც „პოეზიის მთავარ და უმაღლეს საგნად“ სწო-
რედ ადამიანი გვევლინება, მაგრამ „არა როგორც გვარეობითი არსება,

⁸² ლესინგის ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 140.

⁸³ ი. ქავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 174.

როგორადაც გამოსახავს მას სკულპტურა, არამედ, როგორც ცოცხალი პიროვნება, რომელშიც ზოგადკაცობრიული თვისება გამოვლინდება თავისებურად — ყოველ ადამიანში განსაკუთრებულად⁸⁴. ამასთანავე, რადგან მოძრაობა საგნის დაუმთავრებელი მდგომარეობაა და მის წაიერ, ცვალებად ნიშნებს გვიჩვენებს, ამიტომაც, პოეზიას მარტოოდენ ამ წამიერი, ცვალებადი ნიშნების მიხედვით შეუძლია გამოსახოს გამოსახვის არსებითი ნიშნები და „განაზოგადოს მხოლოდ ინდივიდუალიზების გზით, კანონზომიერება გამოსახოს შემთხვევითისა და ცალკეულის მეოხებით“⁸⁵. მაგრამ პოეტის მიერ შემთხვევითის და ცვალებადის ინდივიდუალიზების გზით გამოსახული არსებითი და დამახასიათებელი, მის მიერ გამოსახული ცოცხალი პიროვნება მაშინ იწინება გამოვლინებელი ზოგადკაცობრიულსა და წარმოგვიდგება ტიპიურად. როცა მისი ხასიათი „ბუნების წინაშე მართალი და უტყუარი იქნება“ და არა რაღაც გამოწკლისი და განსაკუთრებული. და ლესინგიც იმიტირ იწუნებს პიერ კორნელის „როდიგუნას“, რომ ტრაგედიაში კლეოპატრას ხასიათი „მეტად ამაღლებული (weil erhabner), მაგრამ იმედროულად „მეტად არაბუნებრივია (weit unnatüßlicher). ლესინგის აზრით, კლეოპატრა გამოწკლისია, რადგან ქალი ბუნებამ შექმნა სიყვარულისათვის და არა სიმკაცრისათვის, იგი სინაზის (Zärtlichkeit) გრძობას უნდა იწვევდეს და არა შიშისა. ხოლო ისეთი ქალი, რომელსაც ყველა მიდრეკილება დაუმორჩილებია პატივმოყვარეობისათვის, რომელმაც არ იცის სხვა ბედნიერება, გარდა ბედნიერებისა იყოს მბრძანებელი, ტირანი, ქუსლით გათელოს ხალხები, ასეთი ქალი შეიძლება ერთხელ, რამდენიმეჯერაც კი ყოფილიყო მართლა, მაგრამ იგი მაინც გამოწკლისია“. კორნელის კლეოპატრა, — განაგრძობს ლესინგი, — „თავისი სქესის ნამდვილი ურჩხულია და მედღე მასთან შედარებით სათნო და მომხიბვლელია“. და, ბოლოს, ამბობს: „ჩვენ გვაოცებს იგი (კლეოპატრა. — დ. ლ.) ისევე როგორც გავაოცებდა რაღაც ურჩხული, მაგრამ როგორც კი ჩუენი ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებულია, მადლობას ვწირავთ ზეცას, რომ ბუნება ათას წელიწადში მხოლოდ ერთხელ ცდება და ვბრაზობთ პოეტზე, რომელსაც სურს ასეთი ცთომილი ქმნილებანი (Mißgeschöpfen) ადამიანად წარმარგვიდგინოს“⁸⁶.

რაც შეეხება ილიას, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, „შემოქმედების ძალის ღონიერებას“ იმისდა მიხედვით აფასებდა, თუ რამდენად გამოსახავდა იგი ზოგადკაცობრიულს და ტიპიურს და ჰომეროსსა და რუსთაველს თუ შექსპირს, ბაირონსა და ბარათაშვილს იმიტირ თვლი-

⁸⁴ В. Р. Г р и б, Эстетические взгляды Лессинга. Лессинг, Гамбургская драматургия, 1936, стр. XXV.

⁸⁵ იქვე, გვ. XXV.

⁸⁶ ლესინგის ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. IV, გვ. 134—135.

და „მსოფლიო გენიოსებად“ და აყენებდა ერთმანეთის გვერდით, რომ ისინა. „კაცად-კაცობის ვრცელი მინდორის“ მწვედომნი, გამოხატავდნენ „ზოგად ტიპებს“, რომლებიც „ეროვნული სამკაულით მოკაზმულნი“, საკუთარი ერის ნიშან-თვისებათა მატარებელნი და მით ინდივიდუალიზებულნი, იმავდროულად „ზოგადკაცობის ტიპებს“ წარმოადგენენ.

ზემოთ დასახელებულ წერილში „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ ილია აღნიშნავდა: „შემოქმედის ძალის ღონიერება ერთი და იგივე არ არის, როცა ერთი მთელს გადასწედება ხოლმე და მეორე კი — მარტო ნაწილსა. მწერალმა, თუ სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა ზედმიწევნით და მშვენიერად გამოხატონ ერთი რომელიმე ცალკედ აღებული კაცი — ივანე თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადი გამოხატვის შემძლებელია. ამიტომაც პორტრეტების მხატვარი, დიდად სახელგანთქმულიცა და გამოჩინებული, ყოველთვის უმდაბლესია, უმდარესია მასზედ, ვინც ზოგადის კაცის, ტიპის შემოქმედია; თუნდაც ხელთსაქმობით, ტექნიკით ამის თანასწორი იყოს“⁸⁷.

ეს ამონაწერი, რომელშიც მოცემულია ხელოვნებაში ტიპიურის გამოსახვის მნიშვნელობის ილიასეული შეფასება, საყურადღებოა პორტრეტის თაობაზე გამოთქმული დებულებითაც, რომელიც, არსებითად, ანალოგიურია ლესინგის შეხედულებისა, სახელდობრ, „ლაოკონში“ გამოთქმული აზრისა, რომლის მიხედვით „თუმცა პორტრეტში შეიძლება იდეალის გამოხატვა (das Porträt ein ideal zulassen), მაგრამ იქ უნდა სკარბობდეს მსგავსება გამოსახვასთან; პორტრეტი შეიძლება იყოს იდეალი გარკვეული პიროვნებისა და არა იდეალი საერთოდ აღამიანისა“⁸⁸.

მაგრამ ლესინგისა და ილიას შეხედულებათა ანალოგიურობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მათ ნაწერებში თეატრზე, შეეხება ეს რეპერტუარს, მსახიობთა თამაშს, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თეატრის დანიშნულებას საერთოდ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ილია ჭავჭავაძე „ლაოკონზე“ არანაკლებ იცნობდა „მთელს ქვეყანაში, განთქმული გერმანელის“ და „სახელოვანი გერმანელი კრიტიკოსის“⁸⁹ „ჰამბურგის დრამატურგიას“ — 1767 წლის მაისიდან 1768 წლის აპრილამდე ჰამბურგის ეროვნული თეატრის სცენაზე წარმოდგენილ პიესებზე ლესინგის რეცენზიების კრებულს, რომელშიც გადმოცემულია დიდი გერმანელი განჯანათლებლის შეხედულებანი დრამატულ მწერლობაზე და თეატრზე საერთოდ.

გერმანიის სავალალო პოლიტიკურ-ეკონომიკური და საზოგადოებ-

⁸⁷ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 174.

⁸⁸ ლესინგის ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 14.

⁸⁹ ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. IV, გვ. 11.

რეკულტურული მდგომარეობით უკმაყოფილო ლესინგის თეატრის მორალური აღზრდის სკოლად თვლიდა („თეატრი მორალური აღზრდის სკოლა უნდა იყოს“⁹⁰, — წერდა იგი) და მას მაცურებელში ზოგისა და თანაგრძნობის (ტრაგედია) თუ სიცილის (კომედია) გამოწვევებს გზით თანამედროვე საზოგადოების მანკიერებათაგან განწმენდას ყველაზე ცხოველმყოფელ საშუალებად რომ მიიჩნევდა, თანამემამულეთა ხსენებრავ და ესთეტიკურ აღზრდასთან ერთად, მშობლიური ენის სიწმინდის დაცვასა და მისი განვითარების მარჯვე იარაღადაც რაცხდა.

საუკუნეთა მანძილზე გარეშე თუ შინაურ მტრებთან განუწყვეტელი ბრძოლების შედეგად პოლიტიკურად დაქუცმაცებული, ეკონომიკურად და კულტურულად დაქვეითებული, რუსეთთან შეერთების გზით ფიზიკურ განადგურებას გადაარჩენილი და აღორძინების გზაზე დამღვარი, მაგრამ ცარიზმის პოლიტიკის შესატყვისად ეროვნულდამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს ბედზე დაფიქრებული ილიაც თეატრის ცხოვრების სკოლად თვლიდა და თანამემამულეთა ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის და გონებრივ-კულტურული დონის ამაღლების ცხოველმყოფელ ძალად აღიარებულს ქართული ენის, როგორც ეროვნული კონსოლიდაციის ერთი ძირითადი საშუალების, დაცვის და განვითარების მნიშვნელოვან კერად რაცხდა. „დიდი რამ არის სცენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის... დიდი რამ არის მეთქი სცენა: ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავატარებთ თვალ-წინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგარითა“⁹¹. — ამბობდა ილია წერილში „შინაური მიმოხილვა II“. მერე მკითხველს შეაგონებდა: „სცენა იგივე უკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედობს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმენდელი, სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც იმისთანა შემაქცევიარც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევიწინებს... თუ ეს ძვირფასი, თვისება, როგორც ხალხის წვრთნა და ზრდა, სცენას ჩამოაცილეთ, იგი მიკიტანხანად გადაიქცევა“⁹². და, ბოლოს, აცხადებდა: „ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ. პირველი — რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე — იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი

⁹⁰ ლესინგის ზემოდანახელებული თხზულებანი, ტ. IV, გვ. 11.

⁹¹ ი. კ. ვ. კ. ა. ძ. ე., ზემოდანახელებული თხზულებანი, ტ. V, გვ. 40.

⁹² • ქ. ვ. ე., გვ. 40.

ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელი თავის შვენებითა და სიმდიდრითა“⁹³ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

ამ ვრცელ ამონაწერში შეჯამებულად არის მოცემული ილიას შეხედულებანი თეატრის მნიშვნელობასა და როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც ზედმიწევნით ესადაგება საერთოდ განმანათლებელთა და, კერძოდ, ლესინგის შეხედულებებს.

მაგრამ თეატრი, სწორედ მისი ძლიერი ზემოქმედების უნარის გამო საზოგადოებაზე, შეიძლება „შეიქმნეს გულისა და ენის გამრყენელად“⁹⁴, რაც, უწინარეს ყოვლისა, რეპერტუარზეა დამოკიდებული. ამიტომაც, ანალოგიურად ლესინგისა, — რომლის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს ეროვნული რეპერტუარის შექმნა შეადგენდა და გერმანულ სცენაზე მართოდენ ისეთ თარგმნილ ნაწარმოებთა წარმოდგენას თვლიდა საჭიროდ, რომლებიც ერის ინტერესებს შეესატყვისებოდნენ და ძაყურებლის ზნეობრივ სრულყოფას შეუწყობდნენ ხელს — ილიაც ხაზგასმით აღნიშნავდა: „სამართლიანად ჰნატრულობენ ბევრნი ჩვენგანნი, რომ ჩვენმა ქართულმა სცენამ რაც შეიძლება ხშირად გაგვიტაროს თვალწინ ჩვენის ცხოვრების ხატი და ამ ხატში გავვიხორციელოს აზრი და საგანი ასე თუ ისე მიმავალი წუთისოფლისაო“⁹⁵. იგი „ჩვენის თეატრის ერთ დიდ ნაკლად“ იმას მიიჩნევდა, რომ „სათეატრო თხზულება არა გვაქვს... ჩვენი საყუთარი, ჩვენ მიერ ქმნილი, ჩვენი ცხოვრებიდამ ამოღებული. თხზულებანიო“⁹⁶, და ამიტომაც ქართული თეატრის რეპერტუარის შევსების წყაროდ თარგმნილ და გადმოკეთებულ დრამატულ ნაწარმოებებს კი რაცხდა, მაგრამ, იმავდროულად, მტკიცედ მოითხოვდა თარგმნილი და გადმოკეთებული ყოფრიყო ისეთი ნაწარმოებნი, რომელნიც „კაცის გრძნობისა, და ჰკუის გამაფაქიზებელნი იქმნებოდნენ“ და „მშვენიერი ელენეს“ მსგავსი „სასალახანო“ პიესების მკაცრი „შსაჯული“ დ. ი. ყიფიანს, ძალიან ზარგ მცოდნეს, „რა ძვირფასი რამ არის ხალხისათვის სცენა, როცა ამ ორს ზემოაღნიშნულს საგანს, (მანკიერებათაგან განწმენდას და „ენის ფეხზედ წამოდგომას“. — დ. ლ.) ემსახურება“, დიდ პატავს იმიტომ სცემდა, რომ „მას სცენა მიაჩნია იმ დიდ შკოლად, საცა ფსტატად მოწვეულნი უნდა იყენენ იმისთანა სახელოვანნი კაცნი, როგორც შექსპირი და მოლიერი და სხვა მრავალი მათი მიმდევარი გამოჩენილი მწერალი“⁹⁷.

93 ი. ჰავკავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. V, გვ. 41.

94 იქვე.

95 იქვე, ტ. 111, გვ. 124.

96 იქვე, გვ. 116.

97 იქვე, ტ. V, გვ. 41.

ანალოგიურია ლესინგისა და ილიას შეხედულებანიც დრამატულ ნაწარმოებებში ისტორიული ფაქტების გამოყენებისა და პერსონაჟთა ხასიათის გამოხატვის თაობაზე.

ლესინგი დრამატული ნაწარმოების მთავარ ღირსებად ავტორის მიერ წინასწარდასახული მიზნით ცხოვრების მიბაძვას მიიჩნევდა და ამბობდა: „შეთხზვა და მიბაძვა გარკვეული მიზნით ვანასხვავებს გენიას პატარა ხელოვანთაგან (Kleinen Künstlern), რომლებიც მარტოოდენ იმისთვის სთხზავენ, რომ შეთხზან და მარტოოდენ იმისთვის ბაძავენ, რომ მიბაძონ“⁹⁸. იგი დრამატურგისაგან პერსონაჟის ხასიათის პერსონაჟისავე მოქმედებით და არა ავტორის სიტყვიერი განცხადებით. გამოხატვას მოითხოვდა და ისტორიულ ფაქტებს მიიჩნევდა მხოლოდ მასალად, რომელიც იმდენად უნდა გამოეყენებინა პოეტს, რამდენადაც იგი სიუჟეტის შეკავშირებას და ინდივიდუალიზებას შეუწყობდა ხელს. „დრამატურგისათვის მხოლოდ ხასიათია წმიდათა წმიდაო“⁹⁹, — ხაზგასმით აღნიშნავს ლესინგი და წინააღმდეგ ვოლტერისა, რომელიც პიერ კორნელის უმცროსი ძმის — თომას კორნელის ტრაგედიის „გრაფ ესეჟის“ ისტორიული ფაქტების უზუსტობის გამო მკაცრად აკრიტიკებდა, ხაზგასმითვე წერდა: ტრაგედია არ არის დიალოგის ფორმით (dialogierte) გადმოცემული ისტორია. ისტორია მისთვის მხოლოდ სიახ სახელებისა (Repertorium von Namen); რომლებიც, ჩვენ მივეჩვიეთ, გარკვეულ ხასიათებს დავეუკავშიროთ. თუკი პოეტი ისტორიაში იპოვის სიტუაციებს (Umstände) თავისი სიუჟეტის შესაკავშირებლად და ინდივიდუალიზებისათვის (zur Ausschmückung und Individualisierung), ძალიან კარგი, მას შეუძლია გამოიყენოს იგი მაგრამ ეს ისევე არ უნდა ჩაეთვალოს მას დამსახურებად, როგორც საწინააღმდეგო შემთხვევა — საყვედურის ღირსად“¹⁰⁰.

ილიაც დრამის შექმნას ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელად თვლიდა და ამბობდა: „ერთობ დრამის შექმნა დიდად ძნელი რამ არის, იმიტომ რომ დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდსა ძვრახეა ასაგებელი და ასაშენებელი“¹⁰¹. იგი დრამატურგის მოვალეობად პერსონაჟის ხასიათის მათი მოქმედებით და არა სიტყვიერი განცხადებით გამოსახვას მიიჩნევდა და ისტორიულ მასალაზე აგებული ნაწარმოების ამოცანად ფაქტების ზუსტ გადმოცემას კი არ თვლიდა, არამედ „ეპოქის სულისა და გულის“ გამოხატვას სახედა.

⁹⁸ ლესინგის ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. IV, გვ. 152.

⁹⁹ იქვე, გვ. 106

¹⁰⁰ იქვე, გვ. 108.

¹⁰¹ ი. კავკავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 186.

წერილში „ახალი დრამების გამო“, ილია ქართულ სცენაზე წარმოდგენილი „მტარვალისა“ და „ქართელის დედის“ თაობაზე აღნიშნავდა: „ორივე ზემოდანახელებული დრამა ისტორიულია. ხოლო იმ საბუთით კი არა, რომ თვალ-წინ გაგვიტაროს ან ისტორიული კაცი ვინმე თავის ავ-კარგიანობითა, ან თვითონ ცხოვრება, კერძო თუ საზოგადოებური, რომელისამე წარსულის დროისი და ეპოქისა... არც ერთს ხსენებულს დრამაში ამას ვერ ვხედავთ და უამისოდაც ერთიც და მეორეც წარმოდგვიდგენს მართო წარსულს ამბავს, ავტორისაგან მოგონილს და მასზე აშენებულს ადამიანთა ერთმანეთზე ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც ყოველს დროს და აქვს, ყოველს ეპოქას ერთნაირად მიეჩემებაო“¹⁰². იმედროულად ილია დაბეჭივებით აცხადებდა: „ჩვენ წუნად არ ვდებთ ავტორებს, რომ დრამის ამბავი, არაკი (ფაბულა) მოგონილია მათ მიერ. დრამატურგი ისტორიკოსი ხომ არ არის, რომ ისტორია გვასწავლოს, ისტორიული ქრონიკა გვიწეროს (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.). დეე თუნდა ამბავი, არაკი დრამისა თავის საკუთარის ფანტაზიით შექმნას, ხოლო თუ სურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა ამ ამბავში ჩანასკვოს, ჩაპსახოს და დრამის სელაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობლად და დასანახავადო“¹⁰³. და ილია ორივე დრამის მთავარ ნაკლად იმას თვლიდა, რომ „არც ერთს დრამაში სული და გული ადამიანისა თავისით არა მოქმედობს, თვისდა ბუნებისამებრ არ იშლება, არ იხსნება მოქმედებაში, თითონ ავტორები მომქმედთა პირით. გვეუბნებიან, ეს ასეა, ეს ისეაო, მაშინ, როდესაც ამეებს ჩვენ თვითონ უნდა ვხედავდეთ, ჩვენ თითონ უნდა ვგრძნობულობდეთ საქმითა და არა ავტორების სიტყვითაო“¹⁰⁴ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.), და დაასკვნიდა: „შინაგანი ძალი დრამისა უნდა გამომეტყველებდეს გარეთ და არა ავტორი შიგ ჩასძახოდეს გარედამ. ჩვენის ავტორების საერთო ნაკლი ეს არის და ეს ისეთი ნაკლულოვანებაა, რომ იგი და დრამა ერთმანეთში ვერ მოთავსდება, როგორც ცეცხლი და წყალიო“¹⁰⁵.

აქვე უნდა აღინიშნოს ლესინგისა და ილიას შეხედულებათა ანალოგიურობა დრამატულ ნაწარმოებთა პერსონაჟის თაობაზე, რაც ტიპიურობის მათი გაგების ანალოგიურობიდან გამომდინარეობს. ისევე როგორც ლესინგის შეხედულებით, ილიას აზრითაც დრამატული ნაწარმოები მაშინ შეძლებს მოახდინოს ზეგავლენა მკითხველზე, „გააფაქიზოს“ მისი გრძნობა და გონება და გასწმინდოს მანკიერებათაგან, როცა

102 ი. ქ ა ვ კ ა გ ა ძ ე, ზემოდანახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 185—186.

103 ი ქ ე ე, გვ. 186.

104 ი ქ ე ე, გვ. 187.

105 ი ქ ე ე, გვ. 194.

მასში მოქმედი პერსონაჟები სქემატური, ან გამონაკლისი, განსაკუთრებული პიროვნებები კი არ არიან, როგორც, მაგალითად, ლესინგის შეხედულებისამებრ, კლეოპატრა, რომლის მსგავსი ათას წელიწადში ერთხელ იბადება, არამედ ცხოვრებიდან აღებული, ცოცხალი, სისხლხორციოთ სავსე, ავისა და კარგის გამგები და მგრძნობიარე ადამიანები იქნებიან. რომელთა მდგომარეობაში, თავიანთი ხასიათის ბუნების შესატყვისად, წარმოდგენილ სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს მკაყრებელთა დიდი უმრავლესობა.

ილია იმავე წერილში, ორივე დრამის დიდ ნაკლად სქემატურობას თვლიდა — „ორსავე დრამაში — რა თქმა უნდა — მტერნი კაცის-მჭამელნი არიან, ქართველების სისხლის მსმელნი, ყოველს ადამიანობაზე ხელაღებულნი, და ქართველები-კი — ყოვლის ადამიანობით სრულნი“, — წერდა ილია და განაგრძობდა: „ასე ყოვლად მხეცობა მტრისა, ყოველივე სისრულე და სავსეობა ქართველებისა, ბევრეური წადილია, კაცმა თავი მოაწონოს მკაყრებელსა. ბუნება ადამიანისა — ქართველია თუ გერმანელი — ავკარგიანობით არის სავსე და ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი. ავი და კარგი ყველგან არის და, ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაიკრბენს მწერლობაშიო“¹⁰⁶. ხოლო ა. ცაგარელის მიერ გადმოკეთებულ „ქართლის დედას“ განსაკუთრებით იმას უწუხებდა, რომ „ეს ქართლის დედა“ რაღაც უგრძნობელი და გულქვავეი რამ არის, დედა-შვილურ გრძნობას, აგრე მოსალოდნელს, აგრე სასურველსა და საპატიოს, მის გულში არავითარი ადგილი არ უჭირავს. ამიტომაც მის მიერ შეიღალა მამულისათვის განწირვას არაფერი ფასი არა აქვს. გაწირვა მაშინ არის დიდსულოვნობის საქმე, როცა გამწირველი თითონ დიდს რასმე ჰკარგავს ამით, როცა ვხედავთ, რომ ამ გაწირვამ გულში ერთი დიდი უმთავრესი ძარღვი ჩასწყვიტა გამწირველსა, ერთი დიდ რამ დააკლო, ძნელად გასაწირი, ძნელად გასამეტებელი, ძნელად დასათმობი ადამიანისა-გან. ამ შემთხვევაში გულთა ჰიდილი დედისა უნდა გამართულიყო დედ-შვილურ და მამულის-შვილურ სიყვარულისა გამო, რომელნიც ამ დრამაში ერთმანეთს შეხვდნენ ისე, რომ ან ერთი უნდა გაიწიროს, ან მეორე, ორივე სიყვარული კანონიერია, ბუნებრივია, და მით ორივე დიდ გრძნობას წარმოადგენს ადამიანის ბუნებაში“¹⁰⁷.

ზაგანებოდ უნდა აღინიშნოს ლესინგისა და ილიას შეხედულებათა ანალოგიურობაც კომედიაზე, როგორც დრამატურგიის უანრზე, რომელთაც ტრაგედიაზე არანაკლებ აფაქიზებს კაცის გრძნობას, მაგრამ არა შიშისა და თანაგრძნობის გამოწვევის გზით, არამედ სიცილით.

¹⁰⁶ ი. ქავკავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 189.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 191.

ლესინგის აზრით, კომედია „ადამიანური ცხოვრების სარკე უნდა იყოს“¹⁰⁸. და კომედოგრაფმა თავისი ქვეყნის „ზნე-ჩვეულებანი (die Sitten) უნდა გამოსახოს“¹⁰⁹. „ჰამბურგის დრამატურგიის“ ავტორი მკვეთრად ასწავებდა კომედისაგან ფარსს, რომლისთვისაც სიცილი თვით-მინზანია და „ქვეშარიტ საზოგადო სარგებლობად“ კომედისა, რომელიც „ცდილობს გამოასწოროს ადამიანები სიცილით და არა დაცივივით და არა მიანცდამიანც ის მანკიერება, რომლებზედაც იცინის და ის ადამიანები, რომლებსაც ეს სასაცილო მანკიერებანი აქვთ“, ის მიაჩნდა, რომ „იგი ავარჯიშებს ჩვენს უნარს შევამჩნიოთ სასაცილო, და ვნებათა და მოღათა სხვადასხვა ნიღბებში იოლად და სწრაფად ამოვიცნოთ იგი“¹¹⁰.

ილიას მიხედვითაც კომედია სარკე უნდა იყოს ცხოვრებისა და სიცილით „აფაქიზებდეს კაცის გრძნობას და ჰკუჟას“. მაგრამ „ყველა სიცილი“ არ შეიძლება იყოს „საგანი ხელოვნებისა“. „ქვეყნად ბევრი რამ არის სასაცილო, — აცხადებს ილია, — მაგრამ ესთეტიკური გრძნობა (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.) ყველა სიცილს ვერ შეიწყნარებს, თავის შვილად ვერ გაიხიზნოს“¹¹¹. იგი მკაცრად ჰგმობს უაზრო, „ლაზლანდარობად გარდაქმნილ“ სიცილს და ცნობილი ქართველი მსახიობი ქალის — საფაროვას საბენეფისოდ წარმოდგენილ „ხათაბალას“, რომელშიც „ზნე-დაცემული დედა და არა ნაკლებ ზნედაცემული ქალიშვილი მოქმედებენ მაყურებელთა სახარხაროდ“, იმის გამო იწყუნებს, რომ „მართალია, სასაცილო პიესაა, მაგრამ... იგი პიესა ზიზღით კი არ აძღვრევს ადამიანის გულს, ავზნეობის დანახვითა გაწბილებულს, გულის წყრომას კი არ ააფთრებს და ამგვლებს ბოროტის შესამუსვრელად, არამედ აგრილებს. გულს სიცილითა და ამრიგად ბოროტს სახუმარო საგნადა ხდის და არა საზიზღისად“ და ამიტომაც, ვინაიდან სიცილი ამ კომედიაში არაა „გამკითხავი, გამკიცხავი და ბასრ ხმაღზედ უფრო მკრელი სიცილი, რომელიც „ზოგჯერ ცრემლზედ მწარეა“ და ბოროტის საკლავად შხამზედ უარესი“, იგი ვერ დააკმაყოფილებს მაყურებლის ესთეტიკურ გემოვნებას, რადგან „ადამიანის გრძნობას როგორღაც ეთაკილება, ეზიზღება ხუმრობა და გასართობი სიცილი იქ, საცა რწმენამ და ზიზღმა თავისი მრისხანე და სამართლანი განაჩენი უნდა გამოთქვას და მახვილმა შეგინებულის ზნეობისამ თავი უნდა იჩინოს“¹¹².

„უაზრო, უმიზეზო სიცილის“ გამოწვევას უწყუნებდა ილია საფაროვას, რომელმაც, პირველად თავისი მსახიობობის განმავლობაში, 1886

¹⁰⁸ ლესინგის ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. IV, გვ. 97.

¹⁰⁹ იქვე, გვ. 79.

¹¹⁰ იქვე, გვ. 128.

¹¹¹ ა. ჰავკიავაძე, ზემოდასახელებული თხზულებათა კრებული, ტ. III, გვ. 120.

¹¹² იქვე, გვ. 112.

წლის 14 დეკემბერს, ა. ცაგარლის „ხანუმას“ პერსონაჟის — ქაბატოს როლის შესრულებისას „სათამაშოს გადააჭარბა და სასაცილო ძიძგილობა დასანახავადაც კი სანანებლად და შესაწუხებლად გაუხანდა მაყურებლებსა“¹¹³, ხოლო მსახიობ გაბუნიას იმას საყვედურობდა, რომ მან იმავე წლის 30 ნოემბერს წარმოდგენილ რუსულიდან გადმოკეთებულ „ალერსთა ბალის“ უკანასკნელ მოქმედებაში გამდლის როლის შესრულებისას „საცინალი სალაზღანდაროდ გარდაქმნა“. „არტიტულად სასაცილო რამ იყო ბ-ნი გაბუნია გამდლის როლში, — წერდა ილია, — თვალ-წინ წარმოგვიდგა იგი ცოცხალი სახე ძველებურის გამდლისა, რომელსაც დღეს ძალიან იშვიათად სადმე-ღა შეხვდებით და რომელიც თან გადაიყოლია ჩვენმა ძველმა დრომ. ხოლო საცინალის სალაზღანდაროდ გარდაქმნამ ბევრად წაუხდინა თამაშობა უკანასკნელ მოქმედებაში. ზედ დაესურა გაპარულის ყმაწვილის კაცის შლიაპა, პალტო წამოესხა, უშველებელი ქოლგა გადაეშალა და ისე შემოიყვანა ქურდულად წასული ყმაწვილი კაცი. ამის დანახვაზედ, მართალია, თვითონ სცენაზედ არტიტებსაც ყველას სიცილი აუტყდათ და თეატრმაც ხარხარი დაიწყო, მაგრამ ეს ის სიცილი არ იყო, რომელსაც ესთეტიკური გრძნობა იწყნარებს და ითხოვს. არტიტი ამგვარად სიცილის ატეხას უნდა ძლიერ ერიდოს, თორემ არტიტობა, ბერიკაობად გარდაქმნილი, მეტისმეტად სამწუხაროა“¹¹⁴ (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

კომედიასთან დაკავშირებით ამოწერილ ილიას შეხედულებებში ჩემ მიერ ხაზგასმულ წინადადებებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ იგი ხელოვნების სპეციფიკად და მის ერთ მთავარ დანიშნულებად, ისევე როგორც ლესინგი, ადამიანის ესთეტიკური გრძნობების დაკმაყოფილებას, მისთვის ესთეტიკური სიამოვნების მინიჭებას მიიჩნევდა და ამის წყაროდ, იმავე ლესინგის მსგავსად, იმას თვლიდა, რომ ხელოვანს ცხოვრება გამოესახა და ეს გამოსახულება „მართალი და უტყუარი ყოფილიყო“ ბუნების წინაშე. ხოლო რადგან ცხოვრებაში ტრაგიკულიც გვხვდება და კომიკურიც, კეთილიცა და ბოროტიც, ამიტომაც სასაცილოს ბუნების წინაშე უტყუარი და მართალი გამოსახვა ისევე მოქმედებს ადამიანის ესთეტიკურ გრძნობებზე, როგორც სამწუხაროსი და ბოროტებაც ისევე შეიძლება იქცეს ესთეტიკური სიამოვნების საგნად. როგორც სიკეთე. ეს შეხედულება ილიას ნათლად აქვს გადმოცემული „ქართული თეატრის“ მეოთხე წერაღში, სადაც ვკითხულობთ: „ბუნება ცრემლისა და სიცილისა, ჩვენის ფიქრით, ერთსა და იმავე სათავედამ გამოდის. იგი შეეკუმშვა ადამიანის ძარღვისა, რომელსაც სიცილი თუ ცრემლი მოსდევს, მწუხარებისაგანაც მოევლინება და მზიარულებისაგანაც... არა

¹¹³ ი. ჰავეკავაძე, ზემოდასახელებული თხზულებათა კრებული, ტ. 111, გვ. 143.

¹¹⁴ იქვე, გვ. 122.

გვეგონია, იმ ცრემლზედ უტკბესი რამ იყოს ქვეყანაზედ, როცა იგი ჰგონავს ბედნიერებისა და სიხარულის ნამეტანობისაგან, და იმ სიცილზედ უმწარესი რამ, როცა კაცი ტირილით ჰხარხარებს უბედურობისა და მწუხარების საგსებისაგან. აი ეს ცრემლიანი სიცილი და სიცილიანი ტირილი არის იგი უზენაესი სიტკბოება, რომლის ფრთებითაც კეშმარტი და უდიდესი ხელოვნება ადამიანისა თავის უმწვერვალეს სიმაღლეზედ აზიდავს ხოლმე კაცსა, და გონებაშიუწვდომლის თილისმითა დიდს ბოროტსაც, დიდს მწუხარებასაც, დიდს კეთილსა და დიდს ბედნიერებას, ადამიანის გულში ჩააფენინებს ხოლმე მადლის მაცხოვარს შუქს სათნოების კვირტის გამოსაკვანძვად და მერე მშვენიერი ყვავილის გარდასაშლელად. ამაშია მომხიბლავი ძალა და არსებობის მიზეზი ხელოვნებისა საზოგადოდ და სათეატროსი საკუთრივ. იგი გრძნობა, იგი ღონე, რომელსაც ეს შუქი ჩააქვს ადამიანის გულში, ესთეტიკური გრძნობაა. ეს გრძნობა უზენაეს სიტკბოებას ეძებს ყველგან, სიცილი იქნება, თუ ტირილი, ბოროტი იქნება, თუ კეთილი. ამ გრძნობისათვის ზარდამცემი ბოროტებაც ისეთივე მშვენიერებაა, როგორც გულწარმტაცი კეთილი, იმიტომ, რომ ხელოვნება თვით ბოროტს აბოროტებს კეთილისათვის და კეთილი ხომ კეთილია. სისხლის მსმელი, კაცის მკვლელი მაკბეტის აფთარი ცოლი ისეთივე მშვენიერებაა ხელოვნების თვალთ და ესთეტიურის გრძნობის შეხედულებით, როგორც გულკეთილი, გულწრფელი და კეთილმოქმედი კორდელია. თუმცა ერთი გძულს და მეორე გიყვარს, მაგრამ აქ ძულეზაც და სიყვარულიც ერთსა და იმავე საგანზეა მიმართული. ერთსა და იმავე ძარღვს ადამიანის გულისას სძრავს ერთი ბოროტის უარყოფის გზით და მეორე სათნოების დამტკიცებითა. ერთიცა და მეორეც, მართლად მიმავალი, ესთეტიურს გრძნობას საამურად მიაჩნია, და იქნება პირველს შემთხვევაში სიტკბოება უფრო მეტიც იყოს ესთეტიური გრძნობისათვის, ვიდრე მეორეში, იმიტომ რომ პირველ შემთხვევაში უფრო ძლიერ იძვრის ადამიანის გული. უფრო დიდს ჰრძობას ადამიანის გულისას აყურებს იგი დიადი ძულეზა, რომელიც იბადება დიდის ბოროტის დანახვაზედ¹¹⁵.

ყურადღებას იპყრობს ლესინგისა და ილიას შეხედულებათა ანალოგიურობა მსახიობის მიერ როლის განსახიერების თაობაზე. ერთიცა და მეორეც მსახიობისაგან, რომელსაც დრამატურგის მიერ შექმნილი ხასიათის განვითარებას ავალეზდნენ, პერსონაჟთა ბუნებრტე განსახიერებას და ენის სიწმინდის დაცვას მოითხოვდნენ.

„მსახიობი, — წერდა ლესინგი, — ყოველთვის (überall) პოეტან

¹¹⁵ ი. კავკაეაძე, ზემოდასახელებული თხზულებათა კრებული, ტ. III, გვ. 117—119.

ერთად უნდა აზროვნებდეს. იგი ვალდებულია, იქ სადაც პოეტი ადამიანური შეხედულებით შეცდომას უშვებს, მის მაგივრად იფიქროსო“¹¹⁶.

ი. ჰაევჰაეძეც მესხიშვილს განსაკუთრებით იმას უქებდა, რომ მან „შეშლილში“ ქმრის როლის განსახიერებისას შეავსო, განავითარა ავტორის ჩანაფიქრი. იქ, სადაც „ავტორი ერთის სიტყვითაც, ერთის ნიშნითაც არ ამჟღავნებს-მსმენელთა წინაშე ქმარია შეშლილი, — წერს ილია, — მესხიშვილმა აქ სწორედ მთელი დრამა შექმნა და ამით მეტად ძლიერ შესძრა მაყურებელთა გული, როცა იგი უამბობს ექიმს თავისი ცოლის შეშლილობის ამბავს. აკი მოგახსენეთ, ავტორი არც სიტყვითა, არც რაიმე ნიშნით ნებას არ აძლევს არტისტს თავის ჰკუიდან შეშლილობა გამოამჟღავნოს... არტისტული, ჰეშმარიტად არტისტული თამაშობა კი პთხოულობს ამ სცენაში ქმარმა ეჭვი შეაპაროს მაყურებლებს და გულში ათქმევინოს: რა ვქნა, თვითონ ეს ხომ არ არის ჰკუიდან შეშლილიო. ეს ეჭვი ბოლოს გამართლდება თუ გამტყუნდება, სულ ერთია, ხოლო ეგ ეჭვი ატყვევებს მაყურებლის გულსა და გონებას და ინტერესს უჩენს. რომ თვალგაფაციცებით და გულისღვევით თვალი და გონება ააღვენოს მოქმედებას და თვითონ პრესას“¹¹⁷.

ლესინგი მსახიობის დიდ ნაკლად მიიჩნევდა გადაჭარბებულ ექსტიკულაციას და მიმოკას და იმ მსახიობებს, რომლებმაც „არ იცან როგორ მისცენ ექსტს გარკვეული მნიშვნელობა“¹¹⁸ და თავიანთი „ექსტებით აფუჭებენ საქმეს“ (იმის გამო, რომ ვერ გაუგიათ „როდის და რა ექსტია საჭირო, ჰარბად მიმართავენ მას და თანაც ისე, რომ ყოველგვარ მნიშვნელობას არიან მოკლებული“¹¹⁹), უპირისპირებდა ცნობილ გერმანელ მსახიობს ეკჰოფს, რომელიც ზომიერი ექსტიკულაციით და მიმიკით, როლისათვის შესაფერი ინტონაციითა და კილოთი, მწვენიერი დიქციითა და გამართული გერმანული ენით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მაყურებელზე.

ილიაც მსახიობის დიდ ნაკლად მიიჩნევდა „ხელებისა და თითების უთავბოლო მოძრაობას“ და ამიტომ თუმცა ცნობილ ქართველ მსახიობს კ. ყიფიანზე კი ამბობდა, დიდი ნიჭიც აქვს და დახელოვნებული არტისტაცაა, „ორივე სიკეთე სჭირს და ამიტომაც ძნელად შეხვდება კაცი, რომ მან თავისი სათამაშო გააფუჭოს... ამ ორ სიკეთეს, ერთად ბედნიერად შეერთებულს, უნდა მიეწეროს ის მუდმივი ღირსება ბ-ნ ყიფიანის თამაშობისა, რომ თავიდან ბოლომდე მწყობრად, დალაგებულად, თანაბრად გაჰყავს თავისი სათამაშო მაყურებელთა წინაშეო“, — მაგრამ ამავე კ. ყი-

116 ლესინგის ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. IV, გვ. 6.

117 ი. ჰაევჰაეძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 102.

118 ლესინგის ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. IV, გვ. 20.

119 იქვე, გვ. 19.

ფიანს იმას უწუნებდა, რომ „მეტად ხშირად და უადგილო ადგილას იცის ხელებისა და თითების უთავბოლო მოძრაობა“ და განმარტავდა: „ეგრეთწოდებული „მიმიკა“ სახსარია მხოლოდ სიტყვით გამოთქმულის აზრის შესავსებელი, ანუ ცალკე აზრის მოძრაობით გამოხატვისა, იმისთანა აზრისა, რომლის გამოთქმაც „მიმიკით“ უფრო მკაფიო და მკრე-ლია, ვიდრე სიტყვითა. თუ „მიმიკა“ ან სიტყვიერის აზრის სამატად არ არის ხმარებული, ან ცალკესი და თვითმყრფის აზრის გამოსახატავად, იგი მაყურებელთათვის მეტი ბარგია და ადამიანს ეხამუშება, სიამოვნე-ბას უფრთხობს, უკარგავს“¹²⁰.

ილია ყიფიანის მიერ „ხათაბალაში“ ზამბახოვის როლის შესრულე-ბის განხილვისას აღნიშნავდა: ყიფიანმა „როლი შეასრულა საკმაოდ კა-რგად, კილო ლაპარაკისა მშვენიერად შეეწყო და თავიდან ბოლომდე ამ კილოსთვის არ უღალატნია. ეს მართო დახელოვნებულმა არტისტმა იცისო“¹²¹. ილია მესხიშვილსაც უქებს თამაშს: „ბ-ნმა მესხიევა ჭკვიან-ნურად და ლაზათით ასრულა თავისი როლი. ეგ მაინც-და-მაინც რიგია-ნი და წინდახედული არტისტი. ყოველს როლში იგი სასიამოვნო სანა-ხავიაო“, მაგრამ, იმავდროულად, მას ქართული ენისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო საყვედურობდა და ამბობდა: „მეტად უყურად-ღებოდ ექცევა ქართულ ენას, ზოგიერთგან გრამატიკული შეცდომაც კი მოსდის: და კილო ლაპარაკისა ყოველთვის ქართული არა აქვს. ვწუ-ხვარ, რომ მაგისთანა არტისტს ამისთანა უსიამოვნო ნაკლოვანება აქვ-სო“¹²².

როგორც აღვნიშნეთ, ლესინგიცა და ილიაც მსახიობისაგან როლის ბუნებრივ განსახიერებას მოითხოვდნენ და პათეტიკური, მაღალფარდო-ვანი და მეტისმეტად ნატიფი, ისევე როგორც მეტისმეტად თავდაპერი-ლი მეტყველების წინააღმდეგი იმითმ იყვნენ, რომ ისინი „შეუთავსე-ბელნი არიან გრძნობასთან“¹²³.

ლესინგი სამაგალითოდ მიიჩნევდა ფრიდერიკე ჰენზელის მიერ ფრი-დრიხ ფონ კრონეგკის ტრაგედია „ოლინტ და სოფრონიაში“ კლორინ-დეს როლის შესრულებას, განსაკუთრებით იმ სცენას, სადაც კლორინ-დე სიყვარულში გამოუტყვდება ოლინტს, და წერდა: „რა თავისუფალი, რა კეთილშობილური იყო გრძნობის ეს მოზღვაება! როგორი ამაღლე-ვებელი იყო მისი ტონი! რა ღრმა გრძნობით იყო გამსჭვალული მისი ოანაღმობა! როგორი გაბედულებით შეუდგა სიყვარულის ახსნას! მაგ-რამ რა მოულოდნელად, რა საოცრად შეიცვალა, როგორ შეეცვალა ტო-

120 ი. ჰაეკავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 93—94.

121 იქვე, გვ. 95.

122 იქვე, გვ. 97.

123 ლესინგის ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. IV, გვ. 264.

ნი და გამოხედვა და მთელი გარეგნობა (Haltung des Körpers), როცა შეეცადა მშრალი (dürren) სიტყვებით გამოტეხოდა თავის გრძნობაში. თვალმდახრილმა ხანგრძლივად ამოიოხრა და, ბოლოს. შიშით, ჩუმად წარმოთქვა „მე შენ მიყვარხარ, ოლინტი!“ და როგორ ბუნებრივად?! — ისინიც კი, ვინც არ იცის, როგორ უნდა სიყვარულის ახსნა, იგრძნობდნენ, რომ სწორედ ასე უნდა გამოამქლავნონ იგი“¹²⁴.

ილია ჭავჭავაძეც საფაროვას მიერ (რომელსაც ზემოდასახელებულ წერილში 1886 წლის დეკემბერს ქაბატოს როლის გამოსახვისას „სათამაშოს გადაჭარბებას“ უწუნებდა) 1886 წ. 16 ნოემბერს „შეშლილში“ განსახიერებელი ნელის როლის გამო წერდა: „ამისთანა როლებში იგი შეუდარებელი რამ არისო“ და მისი ბუნებრივი, გრძნობის უშუალოების გამომხატველი თამაშის გამო აღნიშნავდა: „როცა შეშლილი ნათესავი ჰკითხავს ნელის, — განა გიყვარს ვინმეო? გულუბრყვილო ნელის შეუტოკდა გული; ცალკე მორცხვობა, რომ როგორ გაამქლავნოს, ცალკე სიხარული, რომ თქმის შემთხვევა მიეცა, ცალკე ჰოს თქმა და ცალკე არასი, ერთად აეშალა პაწაწა ტრედივით უბიწო გულში. ეს მორცხვობა და სიხარული, ეს ჰოს თქმის წყურვილი და იმავე დროს არასიცა, ეს ტოკვა, ჭოკმანობა, გაბეღვა და გაუბედველობა, ისე მშვენიერად მოათავსა ორიოდ სიტყვის ხმაში და გამოთქმაში ბ-ნმა საფაროვისამ, რომ კაცს მარტო ეს ერთი სცენა ენახა, იტყოდა: თუ მართლა არტისტია სადმე, ეს ქალი ყოფილაო“¹²⁵.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, ილია ზედმიწევნით იცნობდა ლესინგის ესთეტიკურ მოძღვრებას და იზიარებდა მას, რასაც ადასტურებს ლიტერატურისა და ხელოვნების სინამდვილესთან დამოკიდებულებასა და მათ დანიშნულებაზე ლესინგისა და ილიას შეხედულებათა და მსჯელობათა ანალოგიურობა, მაგრამ ამ ორი, სამშობლოსათვის თავდადებული მოღვაწის და დიდი მოაზროვნის ნაწერებიდან ციტირებული ადგილების შედარება, მათი შეხედულებების ანალოგიურობასთან ერთად, იმასაც ცხადად ადასტურებს, რომ ილიას შექანიკურად კი არ გადმოჰქონდა „ლაოკონისა“ და „ჰამბურგის დრამატურგიის“ ავტორის შეხედულებანი, არამედ შემოქმედებითად იყენებდა მათ ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში რეალიზმის განმტკიცებისათვის, რის გამოც ახალი შინაარსის შემცველი ეს შეხედულებანი სრულიად ორიგინალურ ნაზრევად გვევლინებიან.

124 ლესინგის ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. IV, გვ.

125. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 107—108.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გოეთესთან ილია ქავჭავაძის დამოკიდებულება, რომელიც გამოხატულია „მგზავრის წერილების“ ავტორის მხატვრულ პრაქტიკასა და კრიტიკულ-თეორიულ ნააზრევში გაშუქებულ სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით.

ილიას გოეთეს შემოქმედების ინტენსიური შესწავლა სტუდენტობის პერიოდში დაუწყია, რასაც ადასტურებს მის მიერ 1860 წლის ბოლოს დამუშავებული წიგნების ნუსხაც. „ეს ნუსხა, — წერს პ. ინგოროყვა, — ჩაწერილია ილიასეულ ერთ ხელნაწერში სტუდენტობის დროისა, რომელიც 1860 წლის დეკემბერშია გადაწერილი. ამ ნუსხაში ჩვენ გვხვდება როგორც მხატვრული ლიტერატურა, — შექსპირი, დიკენსი, გოეთე, შილერი, ისე ამის გვერდით ბეკონი და დეკარტი“¹²⁶.

სტუდენტობის პერიოდშივე ილიას კრიტიკულ და იმავდროულად მოწინებულ დამოკიდებულებას გოეთესადმი ამკარად ემჩნევა გასული საუკუნის ორმოციან წლებიდან არს რევოლუციურ დემოკრატიების, განსაკუთრებით ბელინსკის ნაწერებში გოეთეზე გამოთქმული შეხედულებების გავლენა, რაც, თავის მხრივ, გარკვეულწილად, გამოძახილი იყო იმ საუკუნის ოც-ოცდაათიან წლებიდან დაწყებული ლაშქრობისა გოეთეს, როგორც ვითომცდა საზოგადოებრივ ცხოვრებიდან გამდგარ შემოქმედის წინააღმდეგ. ამ მიმართებით, მართალია, სხვადასხვა პოზიციიდან, მაგრამ ერთნაირი გამძაფრებით ესხმოდნენ თავს, გოეთეს, როგორც ტევტომანური სულისკვეთებით გამსჭვალული ფეოდალურ-კლერიკალური რეაქციისა და ბურჟუაზიული ლიბერალიზმის, ისე წვრილბურჟუაზიული რადიკალების. ბანაკიდან.

მსგავსად გოეთეს წინააღმდეგ ლაშქრობის მეზაირახტრე, ლიტერატურულ ფრაზეოლოგიას ამოფარებული, ნამდვილად კი ფეოდალურ-კლერიკალური რეაქციის პოზიციიანზე მდგომი, ვოლფგანგ მენცელისა, რომელიც გოეთეს თანამედროვეობის საჭირობოროტო საკითხებითა და სამშობლოს ბედით დაუინტერესებლობას უკიყინებდა, წვრილბურჟუაზიულ რადიკალთა ბელადი ლუდვიგ ბოერნეც (ვინც მენცელს ტევტომანურ-შოეინისტურ გამონდომათა გამო „ფრანგთ მჭამელს“ უწოდებდა) ეგოიზმსა და მღელვარე საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში სდებდა მას ბრალს. გოეთეს წინააღმდეგ მიმართულ თავის ერთ-ერთ წერილს „გოეთეს მიმოწერა ბავშვთან“ ბოერნემ ეპიგრაფად გოეთეს „პრომეთედან“ ზევსისადმი პრომეთეს მიმართვა წაუძღვარა:

126 ი. ქავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, 1951,

'Ich dich ehren? Wofür?
 Hast du die Schmerzen gelindert
 Je des Beladenen?
 Hast du die Tränen gestillet
 Je des Geängsteten?

(„შენ გცე თაყვანი? მერე და რისთვის? იქნებ ოდესმე დაუამე ტკივილი ვნებულს? ანდა შეაშრე დაზაფრულს ცრემლი?“ — თარგ. ო. ჭინორიასი) — და, ლ. მ. ტრონსკაის აღნიშვნისამებრ, ახალგაზრდა გოეთეს მგზნებარე პროტესტი გოეთესავე წინააღმდეგ გამოიყენა¹²⁷.

მაგრამ ლ. მ. ტრონსკაიასეე მართებული შეხედულებისამებრ, საპირისპიროდ ტევტომანთა რეაქციულ პოზიციაზე მდგომი მენცელისა, რომელიც „მოწყალებით აცხადებდა: გოეთე „ზომიერი ტალანტიაო“, დემოკრატიული პათოსით ამოძრავებულ“ ბოერნეს, მართალია, „დოგმატურმა სწორხაზოვნებამ ხელი შეუშალა გაეგო გოეთეს პიროვნებაში ერთმანეთთან შეთავსებული გენიოსისა და ფილისტერის ნიშნები“ და „სამშობლოს ბედისადმი მოჩვენებით გულგრილობის გამო პოეტის წინააღმდეგ ამხედრებული“, „სათანადოდ ვერ აფასებდა გოეთეს შემოქმედების ობიექტურ პროგრესულობას“, მაგრამ იგი მას გერმანიის უდიდეს პოეტად მიიჩნევდა და სწორედ ამიტომ, „ვერ შეგუებოდა იმას, რომ „არწივი“ პოლიტიკურ ტრიბუნად ვერ იქცა“ და „აღშფოთებული კითხულობდა: „რამ აქცია უდიდესი პოეტი გოეთე პატარა კაცად? რამ ჩააქსოვა მის დაფნის გვირგვინში სვია და ოხრახუში? რამ გადაჭიმა მის მაღალ შუბლზე ღამის ჩაჩი? რამ აქცია იგი ვითარების მსახურად, ფრთხილ ფილისტერად, პროვინციელად?“¹²⁸.

ამ კითხვებზე, რომელთა ამოხსნაც ბოერნეს სწორედ თავისი დოგმატურ-სწორხაზობრივი აზროვნების გამო არ შეეძლო, ამომწურავ პასუხს იძლევა გოეთეს შემოქმედების ენგელსისეული შეფასება, ჩამოყალიბებული წერილში „გერმანული სოციალიზმი ლექსებსა და პროზაში“, სადაც ფრ. ენგელსი გოეთეს შემოქმედებაში პოეტის ორგვარ დამოკიდებულებას რომ აღნიშნავს და მის მიზეზებს ხსნის, ციავს კიდევ მას, როგორც მენცელის, ისე ბოერნეს ტიპის კრიტიკოსთა თავდასხმისაგან. „გოეთე — წერს ფრ. ენგელსი — თავის შემოქმედებაში ორგვარად ეკიდება თავისი დროის გერმანულ საზოგადოებას, ხან მტრობს მას, ზიზღითაა გამსჭვალული მის მიმართ და ცდილობს გაექცეს მას, როგორც „იფიგენიაში“ და საერთოდ იტალიაში მოგზაურობის დროს; იგი უმხედრდება მას, როგორც გოეცი, პრომეთე და ფაუსტი, ჰეცხავს მას მეფისტოფელის გესლიანი დაცინვით, ხან, პირიქით, უახლოვდება, ეგუება მას, როგორც უმრავლეს ლექსებში „უწყინარი ქსენიების“ ციკლიდან და

127 История пемеиной литературы, т. III, М., 1966, стр. 349.

128 იქვე, გვ. 349.

ბევრ პროზაულ ნაწარმოებში, ხოტბას ასხამს, როგორც „მასკარადში“; იცავს კიდევ მას შეტევებზე ვადმოსულ ისტორიული მოძრაობისაგან, განსაკუთრებით ყველა ნაწარმოებში, სადაც საფრანგეთის რევოლუციას ეხება. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ გოეთე ლებულობს გერმანული ცხოვრების ცალკეულ მხარეების საპირისპიროდ სხვა მხარეებს, რომლებსაც ის მტრობს, ხშირად ეს მარტოოდენ მისი ქსევადასხვა განწყობილების გამოვლენაა. მასში მუდმივად ებრძვიან გერმანიის გენიალური პოეტი, რომელსაც ზიზლს ჰკვრიდა მისი გარემომცველი უბადრუკობა, და ფრანკფურტელი პატრიცის ფრთხილი შვილი, ღირსპატივეცემული ვაიმარელი საიდუმლო მრჩეველი, რომელიც თავს იძულებულად თვლის დაუზავდეს ამ უბადრუკობას და შეეგუოს მას. ამრიგად, გოეთე ხან კოლოსალურად დიდია, ხანაც წვრილმანი; ხან ქედმოუხრელი; დამცინავი, ქვეყნის მჭირდავი გენიოსია; ხანაც — ფრთხილი, ყველაფრით კმაყოფილი, ვიწრო ფილისტერი. გოეთეს არ შესწევდა ძალა დაემარცხებინა გერმანული უბადრუკობა; პირიქით, ეს უბადრუკობა ამარცხებს მას და უბადრუკობის ეს გამარჯვება უდიდეს გერმანელზე მისი საუკეთესო საბუთია, რომ „შიგნიდან“ მისი დამარცხება საერთოდ შეუძლებელია. გოეთე მეტად უნივერსალური, მეტად აქტიური ბუნების კაცი იყო, მეტად სისხლხორციელი არსება, რომ უბადრუკობისაგან ხსნა კანტის იდეალისაკენ შილერისეულ ლტოლვაში ეძებნა. იგი მეტად გამჭირიანი იყო, რომ არ დაენახა, ეს ლტოლვა საბოლოოდ უხამსი უბადრუკობის მალაფარდოვანი უბადრუკობით შეცვლამდე დადიოდა. მისი ტემპერამენტი, მისი ენერგია, ყველა მისი სულიერი სწრაფვა პრაქტიკულ ცხოვრებისაკენ უბიძგებდნენ მას, ხოლო პრაქტიკული ცხოვრება, მას რომ გარს ერტყა, საცოდავი იყო. ამ დილემის წინაშე — ეარსებნა გარემოში, რომელმაც უნდა სძულებოდა და მაინც მიჯაჭვული ყოფილიყო მასთან, როგორც ერთადერთთან, რომელშიც შეეძლო მოქმედება — ამ დილემის წინაშე იდგა გოეთე მუდამ და რაც უფრო შედიოდა ხანში, მით უფრო იხევდა უკან ძლევაშისილი პოეტი, *de guerre lasse**, უმნიშვნელო ვაიმარელი მინისტრის წინაშე. ბოერნესა და მენცელისაგან განსხვავებით, ჩვენ იმის გამო კი არ ვსაყვედურობთ გოეთეს, რომ იგი არ იყო ლიბერალი, არამედ იმიტომ, რომ დროდადრო მას შეეძლო ყოფილიყო ფილისტერიც კი. ჩვენ მას არც იმის გამო ვსაყვედურობთ, რომ არ შეეძლო ალტაცებულიყო გერმანული თავისუფლების სახელით, არამედ იმიტომ, რომ ყოველგვარი თანამედროვე დიდი ისტორიული მოძრაობის წინაშე ფილისტერულ შიშს მსხვერპლად სწირავდა ზოგჯერ თავის უფრო სწორ ესთეტიკურ ალღოს. იმის გამო კი არა, რომ კარისკაცი იყო, არამედ იმიტომ, რომ იმ დროს, როცა

ნაპოლეონი სწმენდა გერმანიის ვეებერთელა ავგიას საჭინბოს, მას შეეძლო საზეიმო სერიაოზულობით ეკეთებინა უწერილმანესი საქმენი... ჩვენ, საერთოდ, არ ვსაყვედურობთ გოეთეს არც მორალური, არც პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩვენ მას ვსაყვედურობთ მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით¹²⁹.

გოეთეს შემოქმედების ენგელსისეულ შეფასებასთან (რომელიც ზედმიწევნით ცხადად წარმოგვიდგენს „გოეცისა“, „პრომეთესა“ და „ფაუსტის“ ავტორის შემოქმედებითი განვითარების წინააღმდეგობრივ გზას, როგორც მუდმივ ბრძოლას „გენიალურ პოეტსა, რომელსაც ზიზღს ჰგვრიდა მისი გარემომცველი უბადრუკობა, და ღირსპატივცემულ ვაიმარელ პატრიოტის შვილს“ შორის და საფუძვლად უდევს მარქსისტულ გოეთელოგიას) ახლოს დგას XIX ს. რევოლუციონერ დემოკრატთა შეხედულებანი, რომელთაგან, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ჰაინრიხ ჰაინე.

მართალია, ჰაინეც აღიარებდა გოეთეს ინდიფერენტულობას, რასაც იგი გოეთეს პანთეისტური მსოფლმხედველობით გამოწვეულ ინდივიდუალურ გრძნობებში ჩაძირვით ხსნიდა, — „თუ შილერი, — წერდა ჰაინე „რომანტიკულ სკოლაში“, — აღტაცებულია საზოგადოებრივი მონაპოვარით და ხოტბას ასხამს (besingt) მსოფლიოს ისტორიას, გოეთე უფრო ინდივიდუალურ გრძნობებში, ან ხელოვნებაში, ან ბუნებაში იძირებაო (versinkt sich)“. „მისი (გოეთეს. — დ. ლ.) ინდიფერენტიზმი აგრეთვე პანთეისტური მსოფლმხედველობის შედეგი იყოო“, — განაგრძობდა ჰაინე და გულისტკივილით აღნიშნავდა: „სამწუხაროდ, ეს სწორია. უნდა გამოვტყდეთ, რომ პანთეიზმი, არც თუ იშვიათად, აქცევდა ადამიანებს ინდიფერენტულებად. ისინი ფიქრობენ: თუ ღმერთი ყველაფერია, სულერთია რას მიაქცევ ყურადღებას (womit man sich beschäftigt), ღრუბლებს თუ ანტიკურ გემას. ხალხურ სიმღერებს თუ მაიმუნის ძვლებს, ადამიანებს თუ კომედიანტებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ყველაფერი კი არაა ღმერთი, არამედ ღმერთია ყველაფერიო“ და გადაჭრით ამბობდა: „არა, ღმერთი თანაბრად არ გამოვლინდება ყველაფერში, როგორც ფიქრობდა ვოლფგანგ გოეთე, რომელიც ამის გამო ინდიფერენტულ ადამიანად იქცაო“¹³⁰.

ისიც მართალია, რომ ჰაინე არ იზიარებდა გოეთესა და მისი მიმდევრების ესთეტიკურ მრწამსს, რადგან იგი, ჰაინეს აზრით, ხელოვნებას „მეორე დამოუკიდებელ სამყაროდ“, „უმალლეს საწყისად“ აღიარებდა და „უარყოფდა პირველი, ნამდვილი სამყაროს მოთხოვნას“¹³¹,

129 K. Маркс и Ф. Энгельс, соч., изд. второе, т. IV, стр. 232—234.

130 H. Heines Werke, Herausgegeben von H. Saube, Wien, Leipzig, Prag. B. 3, S. 185.

131 იქვე, გვ. 184.

ამიტომაც ჰაინე გოეთეს მოღვაწეობის ხანას „ხელოვნების პერიოდს“ (die Kunstperiode) რომ უწოდებდა, ამასაც აღნიშნავდა: „ამასთანავე მე ვუჩვენე ამ პერიოდის მავნე გავლენა გერმანელი ხალხის პოლიტიკურ განვითარებაზე“¹³².

მაგრამ, იმავდროულად, „სიმღერათა წიგნის“ ავტორი გოეთეს გერმანული ლიტერატურის „უდიდეს ხელოვნად“ (der grösste Künstler) რაცხდა, რომლის საგანგებო დამსახურებად ყოველივე მის მიერ გამოსახულის სრულყოფილებას მიიჩნევდა („გოეთეს უდიდესი დამსახურება სრულყოფილებაა ყოველივე იმისი, რასაც იგი გამოსახავს“¹³³) და მკაცრად ამხელდა გოეთეს წინააღმდეგ ამხედრებულ ოპოზიციას. ხოლო როგორც ჰაინე აღნიშნავდა, თავად „გოეთეს წინააღმდეგ გააფთრებით აღმდგარი ოპოზიციის ნაკლებობა არ იგრძნობოდა“. „საპირისპირო მოსახრებების ადამიანები გაერთიანდნენ ამ ოპოზიციაში, — წერდა ჰაინე, — სტაროვერებს (die Altgläubigen), ორთოდოქსებს ის აღიზიანებდათ, რომ ამ ვეებერთელა ხის ტანს (გოეთეს. — დ. ლ.) არ ჰქონდა ფულურო წმინდანის გამოსახულებით, რომ მის ტოტებში წარმართი შიშველი ღრიალები ჯადოსნური თამაშით ანჭობდნენ და ის ადამიანები, წმინდა ბონიფაციუსის მსგავსად, სიამოვნებით წააქცევდნენ ნაკურთხი ნაჯახით ამ გრძნეულ ბერმუხას. ახალი რელიგიის წარმომადგენლებს (die Neugläubigen), ლიბერალიზმის მიმდევართ, პიჩიით, ის აღიზიანებდათ, რომ შეიძლებოდა ეს ხე თავისუფლების ხედ ექციათ, ანუ სულ მცირე, ბარიკადად მაინც გამოეყენებინათ... მაგრამ ფართო მასა (das große Publikum) სწორედ ამ ხეს სცემდა თავყვანს, რადგან იგი ასე მაღალი და თავისთავადად მშვენიერი იყო, რადგან იგი ასე მიზიდველი ნელსურნელებით ავსებდა გარემოს, რადგან მას ისე დიდებულად აღტყორცნა ტოტები ცათამდე, რომ ვარსკვლავები ამ ვეებერთელა საოცარი ხის ნაყოფად სჩანდნენ მხოლოდ“¹³⁴.

და ჰაინეც (თუმცა კი აკრიტიკებდა გოეთეს, მაგრამ ეს კრიტიკა, როგორც თავად აღიარებდა, მიმართული იყო უმთავრესად გოეთეს პიროვნებისა და არა „თავისთავადად მშვენიერი ბურმუხის“, შემოქმედის წინააღმდეგ, რომელსაც იგი თავგამოდებით იცავდა, როგორც სტაროვერების, ისე ბურჟუაზიულ ლიბერალების თავდასხმებისაგან) იმ „ფართო მასის“ მსგავსად თავყვანს სცემდა გერმანიის „უდიდეს ხელოვნანს“ და „დიდ წარმართს“.

ეს კარგად ჩანს, როგორც ბარათებში რულოლფ ქრისტიანისა და ფარნჰაგენ ფონ ენზესადმი (პირველ ბარათში 1825 წ. 26 მაისს ჰაინე

¹³² H. Heines Werke, Herausgegeben von H. S a u b e, Wien, Leipzig, Prag, B. 3 S. 185.

¹³³ იქვე, გვ. 188.

¹³⁴ იქვე, გვ. 183.

წერდა: „მე ყოველთვის გოეთეს რაზმის რიგებში ვიქნებიო“, ხოლო მეორეში — 1827 წლის 28 ნოემბერს, ექვის გამო ფარნჰაგენს რომ გამოუთქვამს, თითქოს ჰაინე ყოფილიყო ავტორი გოეთეს წინააღმდეგ გამოქვეყნებულ წერილებისა, აღშფოთებით მიმართავედა ადრესატს: „როგორ იფიქრეთ ასეთი რამ. ძვირფასო ფარნჰაგენ? მე, მე დავწერ გოეთეს წინააღმდეგ? განა შემიძლია იმის გამო, რომ ციურნი მნათობნი ჩემს წინააღმდეგ აღდგნენ. ცთომილი შუქი ვუწოდო მათ? საერთოდ სისულელეა თავს დაესხა კემმარიტად დიდ ადამიანებს მაშინაც კი, როცა შეგიძლია მათ შესახებ სიმართლედ თქვა. ამასთან, მე ყველაზე უფრო მეზიზღება გოეთეს მსოფლმხედველობისადმი დაპირისპირებული ახლანდელი გერმანული ეროვნული შეზღუდულობა და წერილმანი პიეტისმი. ამიტომაც ვუჭერ მხარს დიდ წარმართს quod non* და ალბათ მოგზაურობის სურათების მესამე წიგნში კვლავ გავისერი ქვემებს პუსტუხენელების წინააღმდეგო“), ისე „რომანტიკულ სკოლაში“. ამ ნაშრომში. გოეთეს წინააღმდეგ გაერთიანებულ „უკიდურესად მემარჯვენეებისა და უკიდურესად მემარცხენეების“¹³⁵ გააფთრებული თავდასხმების მსოფლმხედველობრივ არსს რომ არკვევდა, ჰაინე „დიდი წარმართისადმი“ თავის დამოკიდებულებაზე ამაყად წერდა: „ჩემდა საქებრად მაინც უნდა ვთქვა, რომ არასოდეს გამილაშქრია პოეტი გოეთეს წინააღმდეგ. მე ვილაშქრებდი მხოლოდ გოეთე-ადამიანის წინააღმდეგ. მე არასოდეს გამიკიცხავს გოეთეს ნაწარმოებნი, არასოდეს დამინახავს მასში ნაკლოვანებანი იმ კრიტიკოსების მსგავსად, რომელთაც ფაქიზად გაწმენდილი ტელესკოპის მეშვეობით მთვარეზეც აღმოაჩინეს ლაქები. შორსმხედველი ადამიანები! მათ ლაქად მიიჩნიეს აქოჩრილი ტყეები, ვერცხლისფერი მდინარეები, ზვიადი მთები და მომღიმარი ველები“¹³⁶.

გოეთე-პოეტისადმი ჰაინეს დამოკიდებულების გასარკვევად საყურადღებოა როგორც ახალგაზრდა პოეტის მიერ გოეთესათვის თავისი ლექსების პირველ კრებულთან დაკავშირებით მიწერილი ბარათი („დიდხანს ვერ გადამიწყვიტა, რა იყო პოეზიის არსი. მითხრეს: „ჰკითხე შლეგელს“. მან მითხრა: „წაიკითხე გოეთე“; მე ეს შევასრულე და თუ ჩემგან ოდესმე რამე გამოვა, მეცოდინება ვის უნდა ვუმაღლოდო“. 1821 წ. 29 დეკემბერი). ისე „რომანტიკულ სკოლაში“ გადმოცემული მოგონებაც მასთან ერთადერთი შეხვედრისა. ჰაინე უკვდავ ღმერთებს ადარებდა გოეთეს, რომლის „გარეგნობა ისევე მნიშვნელოვანი (bedeutsam) იყო, როგორც სიტყვა, მის ნაწერებში რომ ცოცხლობს“¹³⁷, და წერდა:

* მიუხედავად ყოველივესი.

¹³⁵ იქვე, გვ. 187.

¹³⁶ იქვე.

¹³⁷ იქვე, გვ. 191.

„ამბობენ, მის ბაგეთა მოხაზულობას ეგოიზმის ცივი ნიშანი ემჩნეოდაო. მაგრამ ეს ნიშანიც მარადიული ღმერთების თვისებაა, განსაკუთრებით ღმერთთა მამის იუპიტერისა, რომელსაც ზემოთ უკვე შევადარე გოეთე. და მართლაც, როცა ვაიმარში ვიყავი გოეთესთან და მის წინაშე ვიდექი, ჩემდა უნებურად გარშემო ვიციქირებოდი, ხომ არ დავინახავ მის მახლობლად ნისკარტით ელვის მპყრობელ არწივს-მეთქი. მზად ვიყავი ბერძნულად დავლაპარაკებოდი მას, მაგრამ შევეამჩნიე, გერმანული ეს-მოდა და გერმანულად ვუთხარი: გზაზე იენასა და ვაიმარს შორის გემრიელი ქლიაებია. მრავალი ზამთრის გრძელი ღამე გამიტეხია იმაზე ფიქრში, თუ რამდენ ამაღლებულ და ღრმავაროვან რამეს ეეტყოდი გოეთეს, თუ შეგვხვდებოდი და, ბოლოს, როცა ვიხილე, ეს-ღა ვუთხარი: საქსონიაში ძალიან ბევრი ქლიაებია-მეთქი და გოეთეს გაელიმა. იგი იღიმებოდა იმავე ბაგეებით, რომლებითაც ოდესღაც მშვენიერ ლედას, ევროპას, დანაეს სემელეს და ბევრ სხვა პრინცესას, ან ჩვეულებრივ ნომფებსაც ჰკოცნიდა“¹³⁸.

ეს შედარება „ღმერთების მამა იუპიტერთან“ გამოხატავს ჰაინეს მოწიწებულ დამოკიდებულებას „ჰარმონიულ, ნათელ, მხიარულ, კეთილშობილურად თანაზომიერ“ გოეთეს მიმართ, ვისი „სხეულიც არასოდეს მოუხრია დამამცირებელ (Wurde) ქრისტიანულ მორჩილებას“, ვისი თვალებიც „მშვიდნი, ვითარცა თვალები ღვთაებისა... მოხუცებულობაშიც ისევე ღვთაებრივნი დარჩნენ, როგორც ახალგაზრდობისა: ჟამს“ და ვინც „ღროის მიერ თოვლით დაფარულ, მაგრამ მოუხრელ თავს ამაყად ატარებდა, მეტყველების ჟამს მალღებოდა და, ხელს რომ გაიწვდიდა, თითქოს ვარსკვლავებს უჩვენებდა თითით გზას, რომელსაც უნდა გაჰყოლოდნენ“¹³⁹.

ღიახ. მოწიწებულ დამოკიდებულებას, უღრმეს მოკრძალებას გოეთეს მიმართ და არა მის ცივ, გულგრილ დამოკიდებულებას გარემოსადმი.

ცხადია, ეს მოკრძალება სულაც არ გამორიცხავს ჰაინეს კრიტიკულ დამოკიდებულებას გოეთესადმი, რასაც ადასტურებს ამ ნაშრომში მისი ნაწერებიდან უხვად ციტირებული ადგილები: სახელდობრ, ჰაინეს მიერ გოეთეს ხანის „ხელოვნების პერიოდად“ აღიარება და ამ პერიოდის ვითომც მავნე გავლენა გერმანელი ხალხის პოლიტიკურ განვითარებაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, იგი გოეთეს გერმანიის „უდიდეს ხელოვნად“ აღიარებდა და სწორედ ამ თვალსაზრისით თვლიდა მას ღმერთთა სწორ შემოქმედად და ადარებდა იუპიტერს. ამიტომაც, ვფიქრობ, დაზუსტებას მოითხოვს პროფ. გრ. ხავთასის საყურად-

¹³⁸ იქვე, გვ. 192.

¹³⁹ იქვე, გვ. 191.

ლებო წერილში — „ილია ჭავჭავაძე გოეთეს შესახებ“ — გამოთქმული დებულება: „გოეთე, ჰაინეს გაგებით, რეალისტურ მსოფლმხედველო-ბის თვალსაზრისზე დგას როგორც თავის თეორიულ-კრიტიკულ, ისე მხატვრულ ნაწარმოებებში, მიუხედავად იმისა, რომ ზევს-ოლიმპიელო-ბა ახასიათებს“¹⁴⁰, ისევე როგორც დებულება: „რეზინიაცია, ზევს-ოლი-მპიელობა უდავოდ გოეთეს მსოფლმხედველობის სუსტი მხარის მაჩვენებელი იყო, მაგრამ მაინც არა იმის, რომ მწერალი ხალხთა ცხოვრების აქტიურ საკითხებს გაემიჯნა, საერთოდ განვითარების პრინციპის უარმ-ყოფელი გახდა. სახელმძღვანელოს ამ მხრივაც ენახულობთ ფრ. ენ-გელსთან, რომელიც აღნიშნავს, რომ გოეთე და ჰეგელი „თითოეული თავიანთ სფეროში ზევს-ოლიმპიელები იყვნენ“, ამის მიუხედავად, ფრ. ენგელსი გოეთეს დიდ გერმანელ მწერლად, აქტიურ ნატურად თვლი-და“¹ (ხაზგასმა ყველგან ჩემია. — დ. ლ.).

საქმე ისაა, რომ ჰაინე, რომელიც გოეთეს მიმართ იმიტომ იყო კრიტიკულად განწყობილი, რომ, პროფ. გრ. ხავთასის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი აზრით, „გოეთე ზოგჯერ ზურგს აქცევს თანადროულობის მღელვარე საკითხებს, რეალისტურისა და ცხოვრებისეულის გასწვრივ დიდ გერმანელ მწერალთან იგი ხედავს ანტირეალისტურ ტენდენციასაც, რეალისტური მხატვრული სახეების გვერდით — ანტირეალისტურ სა-ხეებსაც“¹⁴² (?! — დ. ლ.). იმავდროულად, იგი, გრ. ხავთასისავე აღნიშვ-ნისამებრ, გოეთეს შემოქმედებაში „ხედავს აგრეთვე საწინააღმდეგო მოვლენასაც — ჯანსაღ რეალისტურ ტენდენციასაც“ და სწორედ ამ „ჯან-სალი ტენდენციის“ გამო (რამაც საშუალება მისცა ჰაინეს, ისევე პროფ. გრ. ხავთასის სიტყვებით რომ ვთქვათ, დაეცვა თვალსაზრისი, „რომ ახა-ლი ლიტერატურა, რომლის სათავესთან მდგომარეც მას თავისი თავი მიაჩნია, კლასიკური გერმანული ლიტერატურის, პირველ რიგში გოეთეს შემკვიდრეობის შემოქმედებითად განვითარებას და გაღრმავებას წარ-მოადგენს“¹⁴³) თვლიდა იგი, გოეთეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ღმე-რთთა სწორ შემოქმედად და აღარებდა მას იუპიტერს.

რაც შეეხება ფრ. ენგელსის მიერ „ლუდვიგ ფოიერბახში“ გამოთქ-მულ შეხედულებას — „ჰეგელი გერმანელი იყო და თავისი თანამედრო-ვე გოეთესავეთ გვარიანი ფილისტერიც. თავიანთ დარგებში როგორც გოეთე, ისე ჰეგელი ოლიმპიელი ზევსნი იყვნენ, მაგრამ გერმანულ ფი-ლისტერობას მთლიანად ვერც ერთმა მათგანმა ვერ დააღწია თავიო“¹⁴⁴, —

140 გრიგოლ ხავთასი, წერილები გერმანულ ლიტერატურაზე, 1977, გვ. 17.

141. იქვე, გვ. 171.

142. იქვე, გვ. 170.

143. იქვე.

144. ფრ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილო-სოფიის დასახრული, 1970, გვ. 9.

აქ, როგორც კონტექსტიდან აშკარად ჩანს, გოეთე ოლიმპიელ ზეესად აღიარებულია თავის სფეროში სწორუპოვრობის, კოლოსალური სიდიადის. გენიოსობის გამო და სწორედ ისაა განსაკუთრებით აღნიშნული, რომ მიუხედავად ზეეს-ოლიმპიელობისა, ანუ თავის დარგში მიუწევდომელ სიმაღლეზე ასვლისა, მან, ისევე როგორც თავისი დარგის თუ სფეროს მეორე ბუმბერაზმა — ჰეგელმა, ვერ შეძლო გერმანულ ფილისტერობისათვის მთლიანად დაეღწია თავი, რისი მიზეზიც ახსნილი აქვს ენგელსს ჯერ კიდევ ახალგაზრდობის დროინდელ, ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულ წერილში.

გოეთესთან ჰაინეს დამოკიდებულების ამ ნაშრომისათვის შედარებით ფართო გაშუქება იმით არის გამოწვეული, რომ მისი გავლენა აშკარად იგრძნობა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების — გერცენის, ბელინსკის, უფრო გვიან პისარევის დამოკიდებულებაზე გოეთეს შემოქმედებასა და პიროვნებასთან და, რაც მთავარია, ჰაინეს შეხედულებათა კვალი ემჩნევა გოეთეზე ილია ჭავჭავაძის შეხედულებასაც. რუსი რევოლუციონერი დემოკრატების იდეებზე აღზრდილი ილია ჭავჭავაძე, როგორც მისი შემოქმედებიდან ჩანს, ზედმიწევნით იცნობდა XIX ს. ორმოციან, განსაკუთრებით ორმოცდაათიან წლებიდან რუსულ მოწინავე საზოგადოებაში დიდად პოპულარულ ჰაინრიხ ჰაინეს მხატვრულ შემოქმედებასაც და კრიტიკულ-პუბლიცისტურ თუ ფილოსოფიურ-ესთეტიკური ხასიათის ნაწერებსაც.

ჰაინეს მსგავსად, გერცენიც, პისარევიცა და ბელინსკიც, კრიტიკულად განწყობილი „ფრანკფურტელი პატრიციის ფრთხილი შვილის“ პიროვნების მიმართ, სულაც არ უარყოფდნენ „კოლოსალურად დიდი“, „ქედმოუხრელი, ქვეყნის მქირდავი გენიოსის“ — ვოლფგანგ გოეთეს შემოქმედების დიდ მნიშვნელობას და საოცრად მაღალ მხატვრულ ღირსებას.

ეს კარგად ჩანს როგორც გერცენის დღიურებიდან და პირადი წერილებიდან, ისე, განსაკუთრებით, მოთხრობიდან „პირველი შეხვედრა“. ვ. ჟირმუნსკის აღნიშვნისამებრ, „მენცელის პარტიის მიმდევრს“ გერმანელი მოგზაურის საყვედურის გამო (გოეთეს არ აინტერესებდა პოლიტიკა) თანამესაუბრეთა შენიშვნა — რისთვის სჭირდებოდა მას ემოღვაწნა პოლიტიკურ სამყაროში, როცა იგი მეფე იყო სხვა სამყაროში — პოეზიისა და ხელოვნების სამყაროში — „აძლევს. გერცენს საშუალებას ჩამოაყალიბოს გოეთეს სახის ორმაგობასა და წინააღმდეგურობაზე მოხრობელისა და თავად ავტორის (გერცენის — დ. ლ.) საბოლოო დასკვნა“¹⁴⁵, რომელიც მოხრობელის შემდეგი სიტყვებით არის გამოხატული: „მე მზად ვარ მუხლი მოვიყარო „ფაუსტის“ შემოქმედის წინაშე, ისევე როგორც მზად ვარ ნაცნობობა შევწყვიტო საიდუმლო მრჩეველ

145 В. Жирмунский, Гете в русской литературе, 1937, стр. 343.

გოეთესთან“ და „გაოცებული ვარ ამ კაცის გენით, მაგრამ არ შემოიპლია მყუვარდეს იგიო“¹⁴⁶.

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ერთი ნაწილის მსგავსი დამოკიდებულება გოეთეს მიმართ კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს პისარევის ნარკვევებში „რეალისტები“, და, ამიტომაც, თუმცა ის ნარკვევი რამდენიმე წლით გვიანაა დაწერილი, ვიდრე „მგზავრის წერილები“, რომელშიც ჩამოყალიბებულია ძირითადად ილია ჭავჭავაძის შეხედულება გოეთეზე და, ცხადია, ილია არ იცნობდა მას, მაინც საჭიროდ მიგვაჩნია „რეალისტებში“ გატარებული შეხედულების გადმოცემა.

პისარევის ნარკვევებში „კაცობრიობის მღელვარე ცხოვრების წინაშე თავისი პირადი შეგრძნებების ეიწრო სამყაროსათვის უპირატესობის მიმნიჭებელი“ და „მფრთხალი ფილისტერი“¹⁴⁷, რომელსაც „არავინ უყვარდა თავის თავისა და საკუთარი იდეების გარდა“¹⁴⁸, „ცივი საიდუმლო მრჩეველი და კავალერი ფონ გოეთე“¹⁴⁹ იმავდროულად წარმოდგენილია „გონებრივი სამყაროს ტიტანად“¹⁵⁰, რომლის „გონებრივი სიდიადე ჭარბად ფარავს თუ ანაზღაურებს მისი ხასიათის სუსტ მხარეებს“¹⁵¹ და რომლის ნაწარმოებნიც, პისარევის აზრით, თუმცა „არასოდეს იმოქმედებენ პირდაპირ და უშუალოდ ფართო მასების გონებრივ ცხოვრებაზე“, მაგრამ „წარმოდგენენ ვეებერთელა გაღვანურ ბატარეას, მუდმივად რომ ამარაგებს ახალი ელექტრონული ძალით მათ დაღლილ ტვინს“ და „ამრიგად, ცივი საიდუმლო მრჩეველი და კავალერი ფონ გოეთე ძლიერად მოქმედებს ღარიბთა და უბირ მოყვასთა სასარგებლოდ“¹⁵².

რაც შეეხება ბელინსკის, იგი თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, ორმოციან წლებამდე, გოეთეს უყოყმანო თაყვანისმცემელი იყო და წერილში „მენცელი, გოეთეს კრიტიკოსი“ ერთგულად იცავდა გერმანელ პოეტს „დიდების მაძიებელი“, „მოძველებულ შეხედულებათა საცოდავი წარმომადგენლის“¹⁵³, „დიდ-პატარა კაცის“¹⁵⁴ — მენცელის თავდასხმისაგან. დასახელებულ წერილში ბელინსკი წერდა: „როცა პოეტს ისე დაუწყებთ ცქერას, როგორც მოიჯარეს, რომელსაც შეიძლება შევუკვეთო ერთ შემთხვევაში — ხობტა შეასხას ქორწინების სიწმინდეს, მეორეში — ბედნიერებას, სამშობლოს შესწირო თავი, მესამეში — მოვალეობას, პატიოსნად გადაიხადო ვალი, მაშინ მხატვრულ ქმნილებათა

146 ციტირებულია ე. ვირშენსკის დასახელებული წიგნიდან, გვ. 343.

147 Д. И. Писарев, Соч. в четырех томах, т. III. М., 1956, стр. 45.

148 იქვე, გვ. 97.

149 იქვე, გვ. 98.

150 იქვე, გვ. 99.

151 იქვე, გვ. 97.

152 იქვე, გვ. 98.

153 В. Г. Белинский, собр. соч., в трех томах, т. I. 1948, стр. 419.

154 იქვე, გვ. 429.

ნაცვლად ლიტერატურა აივსება განყენებულ, გონებითი ხასიათის საგნებზე გართობული დისერტაციებით, მშრალი, არა ცოცხალი ჰუმანიტების, არამედ მკვდარი რეზონანსობის შემცველ ალეგორიებით“¹⁵⁵.

ბელინსკი, მართალია, ორმოციანი წლების შემდეგაც თაყვანს სცემდა გოეთე-პოეტს, მაგრამ გოეთე-პიროვნებისადმი უაღრესად კრიტიკულად იყო განწყობილი: „გოეთე დიდია, როგორც ხელოვანი, მაგრამ საზიზღარი როგორც პიროვნებაო“, — წერდა ბელინსკი 1841 წ. აპრილის ბარათში ბაკუნინს. „მანც რა ღორია ეს გოეთე როგორც პიროვნება“, — ვკითხულობთ 1842 წლის მარტში ბოტკინისადმი გაგზავნილ ბარათში; ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1843 წლის მარტის ბარათში ბაკუნინის დებისადმი, გოეთეს უწოდებდა „ცივ ეგოისტს“, რომლისთვისაც „მხოლოდ საკუთარი თავია ძვირფასი“ და აღნიშნავდა: „მე თაყვანს ვცემ გოეთეს გენიას. მაგრამ მისი ატანა არ შემძლიაო“¹⁵⁶.

ჭაინეს მსგავსად, რომელიც გოეთესა და მის მიმდევრებს საყვედურობდა, ხელოვნება მეორე, სრულიად დამოუკიდებელ სამყაროდ, უმადლეს საწყისად წარმოიდგინესო, — ბელინსკიც წმინდა ხელოვნების მიმდევრად თვლიდა მას და თუმცა წერილებში „სიტყვა კრიტიკაზე“ კი აღნიშნავდა, „გოეთეს არ შეეძლო ხარკი არ გადაეხადა ეპოქის სული-სათვის, მისი „ვერთერი“ სხვა არაფერია, თუ არა გოდება ეპოქისა; მისი „ფაუსტი“ შეიცავს ყველა ზნეობრივ საკითხს, რომელიც შეიძლება აღიძრას ჩვენი დროის ადამიანის გულში (в груди высшего человека нашего времени); მისი „პრომეთე“ სუნთქავს საუკუნის გაბატონებული სულისკვებებით; მისი მცირე ლირიკულ ლექსთა უმრავლესობის არსი სხვა არა არის რა, გარდა ფილოსოფიური იდეის გამოხატვისაო“¹⁵⁷, მაგრამ მსჯელობაში, რომელიც წინ უძღვის ამ შეხედულებას, ამასაც აღნიშნავს: „მეტისმეტად გერმანული ბუნებისა და სამყაროზე ასკეტური შეხედულების (?! — დ. ლ.) გამო, გოეთე კიდევ შეიძლება შეეფერებოდეს იდეალს პოეტისა, რომელიც მღერის როგორც ჩიტიო“¹⁵⁸ და უკვე დასახელებულ წერილებში, ისევე როგორც წერილში „ბარატინსკის ლექსები“, რამდენჯერმე ირონიულად აცტირებს და დასცინის კიდევ „ვილჰელმ მაისტერში“ არფაზე დამკვრელის სიტყვებს: „Ich singe, wie der Vogel singt“ („ვმღერი ვით ჩიტი“), რომელსაც იგი გოეთეს მხრივ „წმინდა ხელოვნებისაკენ“ მოწოდებდა, ანუ „ხელოვნების ხელფენებისათვის“ აღიარებდა რაცხდა.

155 ბ. ზეელინსკი, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. I, გვ. 430.

156 ადგილები პირადი ბარათებიდან ციტირებულია ე. ვირმუნსკის ზემოდასახელებული წიგნიდან, გვ. 320—321.

157 ბ. ბელინსკი, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. II, გვ. 355.

158 იქვე.

არფაზე დამკვრელის სიტყვები, კონტექსტის მიხედვით ხელოვნების უანგარობას რომ გამოხატავს და არა მის უღარდებლობას თუ გარემო სინამდვილით დაუინტერესებლობას, პელინსკის კვალდაკვალ, ილია ქვეჭავჭავაძესაც საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განზე განდვომისა და „წმინდა ხელოვნებისავე“ მომწოდებელ ესთეტიკურ მრწამსად ჩაუთვლია. რასაც ლექსში „პოეტი“ უპირისპირებს თავის შეხედულებას. ამ ლექსს — სადაც ხელოვანის უპირველეს მოვალეობად ის არის აღიარებული, რომ „წარუძღვეს წინ ერსა“, „ერის წყლული აჩნდეს წყლულად“ და „მოწმინდოს ერს ტანჯვის ცრემლი“ — ილია იწყებს სტროფათ:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაში.

აჰ, მართალია, გოეთე დასახლებული არაა, მაგრამ ანკარაა, რომ სტროფის პირველი ორი ტაეპი წარმოადგენს „ვილქელმ მაისტერი“-დან ზემოციტირებული ლექსის ორი ტაეპის —

Ich singe wie der Vogel singt,
Der in den Zweigen wohnt,

(ვმღერი ვით ჩიტი, ხის ტოტებზე რომ ცხოვრობს)

ნეგატიურ პერიფრაზს და მის წინააღმდეგ არის მიმართული.

ილიას დამოკიდებულება გოეთესთან უფრო გარკვევით არის გამოხატული „მგზავრის წერილებში“, სადაც „დიდი გეტე“ შედარებულია „ცივი“, „განზე გამდგარ“, „მიუკარებელ“ მყინვართან. „დიდებული რამ არის ეგ მყინვარი, — წერს ილია, — აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდად მაქვს და დედამიწა ქალამნადაო... დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მალეღვებს, მაციებს და არ მათბობს, — ერთი სიტყვით, მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რათ მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავკარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია. განზედ გამდგარა; მიუკარებელია: არ მიყვარს არც მაგისტანა სიმალღე. არც მაგისტანა განზე გადგომა, არც მაგისტანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელადებული, გოყი, გაღარეული შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი... მიყვარს თერგის ზარიანი ხული, გამალებული ბრძოლა, დრტინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლევებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცართუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცი-

ვია, როგორც უკვდავება და ჩუმი — როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუყარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდან დადებულა, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულა, მაღლიდან კი შენობა არსად დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს. მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალია! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი, მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარ ბაირონსა“¹⁵⁹.

ამ ვრცელი ამონაწერიდან ცხადად ჩანს, რომ ილიაც გოეთეს წარმოიდგენს ყოველდღიური ცხოვრებიდან „განზე გამდგარ“, „ქვეყნის ავკარგით“ დაუინტერესებელ, „მიუყარებელ“ პიროვნებად, რომლის „მაღალ შუბლზე“ „ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი... ერთ ძარღვსაც არ აატოკებს“ და ამიტომაც არ უყვარს იგი. მაგრამ იგი იმავდროულად, როგორც იონიერი დემოკრატების, კერძოდ ჰაინესა და ბელინსკის მსგავსად, დიდად აფასებს და ღრმა პატივს სცემს მას, რასაც ადასტურებს არა მარტო გოეთეს სახელთან ამავე ამონაწერში ეპითეტად გამოყენებული „დიდი“ — „მყინვარი დიდ გეტეს, მაგონებს“ — არამედ მისი შედარებაც „მთელი თავისი დიდებით“, „უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახით“ წარმოდგენილ „მაღალ“, „მყუდრო და მშვიდობიან“ მყინვართან, რომლის „შევერცხლილ თავსა ერთად ერთი ვარსკვლავი მეტად ბრწყინვალე ზედ დაჰნათოდა, თითქოს მყინვარის სახეს განუცვიფრებიაო“¹⁶⁰.

ღიახ, მყინვართან ეს შედარება კრიტიკულ დამოკიდებულებასთან ერთად დიდ მოკრძალებასაც გამოხატავს გოეთესადმი ილიას მხრივ, რომელსაც, ა. გაწერელის აღნიშვნისამებრ, „საერთოდ იზიდავდა მყინვარის ზვიადობა“¹⁶¹ და რომელიც სამშობლოდან პეტერბურგის უნივერსიტეტში გამგზავრებისას (1857 წ.) ყვარლის მთებს ასე მიმართავდა:

მახსოვს ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
როს სიღიაღე თქვენი მგერიდა კანკალს, ვრეოლასა...

იგი არ იყო შიშის ქრეოლა, შიშის კანკალი,

იგი არ იყო ძვრა გულისა მფრთხალი და მხდალი

მე თრბოლვით ვსჭერებდი ლავვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს
და შევნატროდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს.

ხოლო პოემებში „აჩრდილი“ (1859 წ.) და „განდეგილი“ (1883 წ.) მყინ-

159 ი. კ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. II, გვ. 20—21,

160 ი ქ ვ ე, გვ. 20.

161 ა. გაწერელია, ლიტერატურული ნარკვევები, 1948, გვ. 255.

ნვარს ისევე ახასიათებდა, როგორც „მგზავრის წერილებში“ — „დიდებულ“, „დადუმებულ“, „ზვიად“ მთად, რომელსაც „ორბნი, არწიენი ვერ შეხებიან“ და „კაცთ ურიაშული ვერ შესწვდენია“.

აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ.
იგივე ზვიადი, იგივე მყინვარი,
იგივე დიდებულ და დადუმებულ. —

წერს ილია „აჩრდილში“.

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწიენი ვერ შეხებოან,
სად წვიმა-თოვლინი, ყინულად ქმნილნი
მზისგან აროდეს არა დნებანი,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ურიაშული ვერ შესწვდენია...¹⁶²

იწყებს იგი განდევილს.

საუბარში არტურ ლაისტან — რომლის ვადმოცემით ევროპის საუკეთესო მწერალთა შორის „გენიალობის, პოეტობისა და ჭეშმარიტად მოაზროვნის გამომხატველად ილიას გოეთე მიაჩნდა“ — „აჩრდილის“ ავტორი ხშირად ამბობდა თურმე: „თქვენნი ოლიმპიელი!... ოჰ, რამდენი აზრთა და გრძნობათა ძალა ჩანს მასში“¹⁶³. აზრთა და გრძნობათა ამ ძალის გამო იყო, რომ ილია გოეთეს ოლიმპიელად, მხატვრული აზროვნების სფეროში უმაღლეს მწვერვალთა მფლობელ გენიოსად თვლიდა და, თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის ჭარიერაჟიდან დაწყებული, მოწიწებით ეპყრობოდა „დიდ გეტეს“, რადგან, ჰაინესა და ბელინსკის ანალოგიურად, იგი ყოველდღიური „ქვეყნის ყაყანიდან“ (და არა საერთოდ) „განზე გამდგარ“, „ცივ“ და „მიუკარებელ“ გოეთეს საუკეთესო ნაწარმოებებში „ეპოქის გოდების“ გამომხატვას, საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად აქტუალურ და რთული პრობლემების ასახვას და გაშუქებას ხედავდა. ეს კარგად ჩანს ჭერ კიდევ „პასუხში“, სადაც ილია ბერნანდენ დე სენ-პიერის „პოლი და ვირჟინსა“ და ეან-ჟაკ რუსოს „ახალ ელოიზასთან“ ერთად გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებებს“ თვლის „ახალშობილ პოეზიის მიმართულების“ ნაწარმოებად, რომლი-

¹⁶² ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. 1, გვ. 205. ორივე ეს ნაწევები ილიას პოემებიდან ციტირებული აქვს ა. გაწერელაის წერილში „გოეთე ქართულ ლიტერატურაში“ ამის დამადასტურებლად, რომ „მყინვარი მიუკარებელი და ზვიადი სახით არის გამოსახული პოეტის პოემებში“ (იხ. ა. გაწერელიძე, ზემოდასახელებული ნარკვევები, გვ. 254).

¹⁶³ არტურ ლაისტ. საქართველოს აული. თბილისი, 1963, გვ. 47

თაც „ევროპას პირველად ეცა დამაკმაყოფილებელი სხივი პოეზიისა“¹⁶⁴, ხოლო „ახალშობილ პოეზიის მიმართულების“ მთავარ ნიშნად ილიას ხალხის ცხოვრების სიღრმეში ჩაბნედა და მისი სიმართლით ასახვა მიაჩნდა მუდამ.

სწორედ იმიტომ, რომ „ცივ“ და „მიუყარებელ“ გოეთეს ილია იმავედროულად იმ შემოქმედად თვლიდა, რომლის ნაწარმოებებში აზრისა და გრძნობის დიდი ძალა სჩანდა, იგი, როგორც პოლემიკის დროს, ისე პოზიტიურ მსჯელობისას, თავის შეხედულებათა დასადასტურებლად ხშირად გოეთეს ავტორიტეტს მიმართავდა. „პასუხში“ (1861) „მამათა“ ბანაკის ერთ-ერთ აქტიურ წარმომადგენელს რომ შეაგონებდა, პოეტს განათლება ვერ უშველის, თუ ნიჭიც არა აქვსო — ილია გოეთეს აზრს იმორწმებდა: „გეტე ამბობს: მხოლოდ ბუნება ქმნის პოეტსაო“¹⁶⁵ და „ქვეათა ღაღადშიც“ (1899 წ.) ფრანგ კორესპონდენტ კუტალისთან საუბარშიც არწურნისა და მისი ამქრის განცხადებას — ჩვენ ხალხის პოეზია არ გვრყვარს, ჩვენ უფრო მსჯელობა და კრიტიკა გვიყვარსო — რომ აკრიტიკებს, კვლავ გოეთეს მოუხმობს და წერს: „არ ვიცი, რამდენად თავმოსაწონებელია ეს არასიყვარული პოეზიისა. დიდმა გიოტემ კი სთქვა: „ვისაც პოეტის ხმა არ აუძგერებს გულს, იგი ბარბაროსიაო“¹⁶⁶.

„სახელოვან გეტეს“ იმორწმებს ილია წერილშიც „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“ (1887). ამ წერილში ილია მეცნიერების დიდ როლს რომ აღნიშნავდა — „სხვათა ხალხთა ნაცადის, ნააზრევის“ შესწავლის აუცილებლობას იმით ასაბუთებდა, რომ „ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომლებიც ყველგან ერთნაირად მოქმედებენ“¹⁶⁷ — განსაკუთრებით იმას უსვამდა ხაზს, რომ სხვათა ნაცად-ნაკვლევ-ნააზრევის ერის ინტერესების სასარგებლოდ წარმატებით გამოყენების აუცილებელი პირობა კონკრეტული ვითარების გათვალისწინება არისო და მკაცრად აკრიტიკებდა „თვითმსჯელობის“, „თვითმხედველობის“ უნარმოკლებულ, „მშრალი და უქმი გონების“ ადამიანებს, რომლებსაც მიღებული ცოდნის კონკრეტულ გარემო-ვითარებისათვის შეფარდება და, ამდენად, ქვეყნის და ხალხის სასარგებლოდ გამოყენება არ შეუძლიათ. ასეთ თვითმსჯელობის უნარმოკლებულ ადამიანებს ილია ვაგნერს ადარებდა, გოეთეს „ფაუსტის“ პერსონაჟს; რომელიც ფაუსტს დახასიათებისამებრ მშრალი, პირმოთნე არსებაა (der trockene Schleicher), და წერდა: „შესაძლოა კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს, და ის უნარი კი რომელიც თავისით ჭრასა და კერვას მოასწავებს გონების

164 ი. ჰავეკავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 54.

165 იქვე, გვ. 46.

166 იქვე, ტ. VIII, გვ. 131.

167 იქვე, ტ. V, გვ. 56.

საქმეში, არ გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ. ამგვარის მშრალისა და უქმი გონების კაცი გეტემ დაგვიხატა თავის ფაუსტში, ფაუსტში რომ გამოყვანილია ვაგნერი, სწორედ ზედგამოჭრილი სახეა იმ გვარის კაცებისა, რომელთაც ცოდნა აქეთ და საკუთარი ჭკუით ტარების უნარი კი ღმერთს, თუ ბედს, იმათთვის, არ მიუმაღლებია“¹⁶⁸.

ილიას მიერ „თვითმსჯელობის“ უნარმოკლებულ „მშრალი და უქმი გონების“ ადამიანთა შესადარებლად ვაგნერის გამოყენება (რომელსაც გოეთე უპირისპირებს მრავალ ცოდნის მქონე, განხილი გონების ფაუსტს, ვინც „ფილოსოფიას, სამართლის ცნებას და მედიცინას“ ღრმად დაუფლებული თავის თავს „არას მცოდნე, ბრძენ ყარობად“ იმიტომ რაცხს, რომ, თანადროული მეცნიერების სქოლასტიკური ხასიათის გამო, მიღებული მრავალი ცოდნა ვერ გამოუყენებია ხალხის სასარგებლოდ, რადგან მისი საშუალებით ვერ სწვდომია

ბუნებას განუსაზღვრელსა,
მისსა ძეძუებს ცოცხლის წყაროს დაუშრეტელსა,
რითაც საზღოობს დედამიწა და ცის გუმბათი)¹⁶⁹

ცხადყოფს, რომ „მგზავრის წერილების“ ავტორი გოეთეს ნაწარმოებებს დიდ მნიშვნელობას სწორედ იმიტომ ანიჭებდა, რომ მათში საზოგადოებრივი ცხოვრების რეალისტურად ასახვას ხედავდა და გოეთესაც იმიტომ რაცხდა „სახელოვან“, „დიდ გეტედ“, რომ ადამიანის მთავარ ზნეობრივ მოვალეობად კაცობრიობისათვის ზრუნვას აღიარებდა და პროგრესის საქმეს ემსახურებოდა.

ილია იზიარებდა ბეკონის შეხედულებას — პროგრესი სხვა არა არის-რა, გარდა იმისა, რომ დღიდან დღემდე განზე გადადგმულ იქნას საზღვარი შეუძლებლისაო — და ხშირად იმოწმებდა კიდევ მას¹⁷⁰. იგი „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“ გოეთეს ფაუსტის. ბაირონის კაენისა და ბარათაშვილის „მერანის“ ლირიკული გმირის სულისკვეთებათა ანალოგიურობას ადამიანის აზროვნების „საზღვარდადებული სიგრძე-სივანის“ გარღვევის წყურვილში ხედავდა. „აშკარაა. — წერდა ილია, — საზღვარდადებული სიგრძე-სივანე ადამიანის აზროვნებისა ჩვენის პოეტის (ნ. ბარათაშვილის. — დ. ლ.) „სულისკვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურია ეს საზღვარი გაარღვიოს და ნიავს მისცეს „შავად მღელვარი ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისათვის ლუციფერი აირჩია, გეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა — თავისი მერანი, ესე იგი თა-

168 ი. ქავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 156.

169 ი. გოეთე, ფაუსტი თარგმანი დ. ონაშვილისა, 1964, გვ. 109.

170 ი. ქავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. V, გვ. 7.

ვისი სულის ქროლა¹⁷¹. მაგრამ ილიამ ფაუსტის, კაენისა და „მერანის“ ლირიკული გმირის მიერ ამ წყურვილის მოსაკლავად თუ სურვილის მხსალწევად, ანუ „საზღვარდადებული სიგრძე-სიგანის“ „გასარღვევად“ მოხმობილ ძალთა ამოებაზეც და დიდხნის ძიების შემდეგ მართოდ დენ ფაუსტის მიერ დასახული გზის სისწორეზეც მიგვანიშნა. ეს კარგად ჩანს „წერილებში“, სადაც მერანის ლირიკული გმირის „საშინელი კივილი გულისა“, „თავგანწირული გიჟური ლტოლვა და სრბოლა უგზო-უკვლოდ კლდეებზედა და ღრეებზედ“ იმით არის ახსნილი, რომ „ქვეყანაზედ ბინა აღარსად ეგულებოდა, რომ ჰკუთავონებისათვის ეთქო: „აჰა, დასდეგ და შეისვენეო“¹⁷², რითაც იგი უპირისპირდება ფაუსტს, ვანც, მართალია, პოემის დასაწყისში, იმ შეგნებით სასოწარკვეთილი, რომ „არაფრის ცოდნა არ ძალგვიძს“, ამ „ქვეყნის ვიწრო საზღვრის გადალახვას“ სიკვდილის საშუალებით ფიქრობდა (ბაირონის ლუციფერიც ამას შეაგონებს კაენს: ორი დასაწყისის უდიდესი საილუმოს „წვდომის“, ანუ, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „საზღვარ-დადებული სიგრძე-სიგანის“ „გარღვევის“ ერთადერთი გზა სიკვდილიაო), მაგრამ მეფისტოფელის გამოცხადების შემდეგ ხანგრძლივი ძიების შედეგად მიაგნებს გზას, რომელსაც შეუძლია „უმალღესი და უღრმესი სიცოცხლე განაცდევინოს“ და ათქმევინოს: „მშვენიერი ხარ, შეჩერდი, წამო“, რის პერიფრაზსაც წარმოადგენს ილიას „ჰა, დასდექ და შეისვენე“. ამ გზად „ფაუსტში“ თავისუფალ მიწაზე თავისუფალი შრომა დასახული. სწორედ იმიტომ, რომ „ფაუსტში“ „თავისუფლების და სიცოცხლის“ ღირსად ის არის მიჩნეული, „ვინაც ყოველდღე, განუწყვეტლივ ამისთვის იბრძვის“, ხოლო თავისუფალ მიწაზე თავისუფალი შრომის სუფევის დამყარება დასახულია დროდ; რომელსაც შეიძლება შესძახო — „მშვენიერი ხარ, შეჩერდი, წამო“, რაცხდა „ფაუსტის“ ავტორს „სახელოვან“, „დიდ გეტედ“ ილია, რომელიც „აჩრდილში“ წერდა:

შრომისა ახსნა, ეგ არის ტვირთი
ძლევა მოსილის ამ საუკუნის —

და შრომის ახსნისათვის მედგრად მებრძოლებს მოუწოდებდა:

ველარ გაუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრივალის ქროლას

„შრომის ახსნისადმი“ ილიას ასეთი დამოკიდებულების საფუძველზე წერდა ვ. კოტეტიშვილი: „თუ ცივი გეტე ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ფაუსტს ათქმევინა: „შრომა — აი უკანასკნელი სიტყვა ჩვენი სიცოცხლისა...“ ასეთივე იყო ი. ჰავეკავაძის დასკვნაც, მხოლოდ უფრო

171 ი. ჰავეკავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 216.

172 იქვე, გვ. 214.

ენერგიული, უფრო ცხოველიო¹⁷³ და „შრომის ახსნის“ ანუ თავისუფალ მიწაზე თავისუფალი შრომის სუფიქსის კაცობრიობის ბედნიერების წყაროდ აღიარების გამო მართებულად აღნიშნავს მ. კვესელაუაც: „ამ მხრივ გოეთესა და ილიას საზოგადოებრივ იდეალებს შორის განსხვავება არ არისო“¹⁷⁴.



მიუხედავად გოეთესადმი დიდი ინტერესისა, ილიას „დიდი გერმანელის“ შემოქმედების არც ერთი ნიმუში არ უთარგმნია. „ბედა მქადაგებელი“, რომელიც აღიარებულია ილიას მიერ გოეთედან თარგმნილ ნაწარმოებად, ი. კენჭოშვილის დასაბუთებისამებრ, წარმოადგენს თარგმანს რუსი პოეტის იაკობ პოლინსკის ბალადისა „Беда проповедник“ და მას არავითარი კავშირი არა აქვს გოეთესთან. თარგმნისათვის ილიას ხელით მიწერილი „გეტედან“, ი. კენჭოშვილისავე ვარაუდით, ასოციაციური შეცდომა უნდა იყოს, გამოწვეული იმით, რომ კრებულში „ბედა მქადაგებლის“ გვერდით მოთავსებულია თარგმანიც გოეთეს ბალადისა „მებადურის“¹⁷⁵. ეს ვარაუდი მართებულად მიგვაჩნია; სხვანაირად ძნელია აიხსნას, რატომ მიაწერა ილიამ „ბედა მქადაგებლის“ თარგმანს „გეტედან“. ასეთი ნაწარმოები გოეთეს არა აქვს.

ილიას, გარდა რიუჟერტის ზემოთ მოხსენებული ორი ლექსისა, გერმანული პოეზიიდან თარგმნილი აქვს მხოლოდ შილერის „გოგონას ჩივილი“ („Des Mädchens Klage“ — ილიას თარგმანის მიხედვით — (რემელთა შინა ნუგეში“) და ჰაინეს, სატრფიალო ლირიკის რამდენიმე ნიმუში.

შილერის „გოგონას ჩივილი“ ხუთტაეპიანი ოთხი სტროფისაგან შედგება და გაყოფილია ორ ნაწილად. თვითელი სტროფის პირველი ოთხი ტაეპი მოსაზღვრე რითმებით (aabb) არის განწყობილი, ხოლო მეხუთე ტაეპი ერთიმება მეორე სტროფის მეხუთე ტაეპს და ვლტებლობთ ასეთ კონფიგურაციას aa bbc dd EEc, რომელიც ზუსტად მეორდება მეორე ნაწილშიც. ილიას თარგმანში ლექსი, ორიგინალის ოთხი სტროფის შესატყვისად, ოთხ პერიოდად არის დაყოფილი. შინაარსის მიხედვით თითოეული პერიოდი შეესატყვისება ორიგინალის შესაბამის სტროფს, მაგრამ დაცული არ არის შილერისეული სტროფიკა: პირველი პერიოდი ორი კატრენით არის წარმოდგენილი, მეორე — სამით, მესამე პერიოდში ექვსი ტაეპია, ხოლო მეოთხეში — ათი და, ამრიგად, შილერის ოცტაეპიანი ლექსი 36 ტაეპით არის თარგმნილი. ილიას ორი-

173 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 311.

174 მ. კვესელაუაც, ფუნდამენტური პარადიგმები, 1961, გვ. 490.

175 ი. კენჭოშვილი, ორი კომენტარი ილია ჭავჭავაძის თარგმანებისადმი, ლიტერატურული ურთიერთობანი, კრებული II, 1969, გვ. 352.

გინალის რითმათა კონფიგურაციაც არ დაუცავს, პირველ და მეორე პერიოდში ხუთივე კატრენი ჯვარედინი რითმიითაა გამართული, ხოლო მესამე და მეოთხე პერიოდში კატრენის პრინციპი დარღვეულია და ჯვარედინი რითმაც მხოლოდ დასაწყისშია დაცული, შემდეგ კი ბოლომდე მოსაზღვრე რითმებით არის გაწყობილი. რაც შეეხება საზომს, ილიას მიერ გამოყენებული ქართული ათმარცვლიანი ლექსი ადეკვატურია (5/5) შილერის მიერ გამოყენებული საზომისა და თარგმანის ტონალობაც, არსებითად, ორიგინალის ადეკვატურია.

შინაარსობრივად ილიას „*ცრემლთა შინა ნუგეშის*“ პირველი პერიოდი (ორი კატრენი) უფრო შილერის „გოგონას გოდების“ მიბაძეას ჰგავს, მისგან მიღებული შთაბეჭდილებით წარმოსახული სურათის საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებს, ვიდრე თარგმანს. მართალია, „*ცრემლთა შინა ნუგეშში*“ შენარჩუნებულია ორიგინალის მინორული ტონი, მაგრამ დამწუხრებული გოგონას უნუგეშო სევდის მიღმა არ იგრძნობა შილერის მიერ გამოხატული მძაფრი ტრაგიკული განცდა, რომელიც გაძლიერებულად გოგონას აფორიაქებული სულისკვეთების შესატყვისი პეიზაჟით.

შილერის ლექსის პირველი სტროფის —

Der Eichwald brauset, die wolken ziehn,
Das Mägdlein sitzt an Ufers grün,
Es bricht sich die Welle mit Macht, mit Macht,
Und sie seufzt hinaus in die finstre Nacht.
Das Auge vou Weinen getrilbet.

(მუხის ტყე ხმაურობს, ცა ღრუბლებით იფარება, გოგონა ზის მდინარის მწვანე ნაპირზე, ტალღა ტალღას ეხეთქება ძლიერად, ძლიერად და ოხვრა გოგონასი ღამის უკუნეთს უერთდება, თვალები ცრემლებს დაუნის-ლავს) —

ილიასეული თარგმანი ასეთია —

მოქუხს მდინარე ჩქარი და შალი
და ახმაურებს მღუშარე ტყესა,
წყლისკენ გადახრით ჰზის ნაზი ქალი,
სტირის და აფრქვევს მღუღარე ცრემლსა.

არ გაუმთელდა გულისა წყლული
ამ შეუწყვეტელ ცრემლთა დენითა,
და წყლულთა ტკივილს შეწუხებული
ასე მოთქვამდა ის გოდებითა.

ამოწერილი ნაწყვეტის შედარებიდან კარგად ჩანს. რომ თარგმანის პირველი კატრენი კი შეიცავს ორიგინალის პირველი სტროფის შინა-

არსა, მაგრამ მასში შილერის მიერ გამოხატული პირქუშში პეიზაჟი შეცვლილია — ქარიშხლის წინ აფორიაქებული ბუნების სურათი: ახმაურებული მუხის ტყის, ღრუბლებით დაფარული ცისა და ტალღის ტალღაზე მძლავრად მცემი აზვირთებული მდინარის ნაცვლად წარმოდგენილია „მქუხარედ“ მსრბოლი „ჩქარი და მალი“ მდინარით „ახმაურებული მღუმარე ტყე“ და გამოტოვებულია აედრის მომასწავებელი „ღრუბლებით დაფარული ცა“ — და ორიგინალთან შედარებით „წყლისკენ გადახრით მჯდომი ნაზი ქალის ტირილი და ცრემლთა ფრქვევაც“ ნაკლებად გადმოგვცემს ტრაგიკულ სიტუაციას და გვაგრძნობინებს სატრფოს დაკარგვით გამოწვეულ განცდათა სიღრმეს „ცრემლით დანისლული თვალებით“ მდინარის მწვანე ნაპირზე მჯდომი გოგონასი, უკუნეთ ღამეს რომ უერთებს თავის ოხერას. მართალია, გოგონას სულიერი ტკივილის დაკონკრეტებას ეძღვნება ილიას მიერ შეთხზული მეორე კატრენი, მაგრამ სიტყვიერი განცხადება: „არ გაუშთელდა გულისა წყლული იმ შეუწყვეტელ ცრემლთა ღენითა“ ვერ გამოხატავს ორიგინალის პირველი სტროფის ბოლო ორ ტაეპში ჩაქსოვილ ემოციურ დატვირთულობას.

თარგმანის მომდევნო სამი პერიოდი უფრო ერთგულად მიჰყვება ორიგინალს, რომლის მეორე სტროფი —

Das Herz ist gestorben, die Welt ist leer,
 Uud weiter gibt sie dem Wunsche nichts mehr.
 Du Heilige. rufe dein Kind zuruck,
 Ich hade genossen das irdische Gluck,
 Ich habe gelebt und geliebet!

(გული მკვდარია, ქვეყანა ცარიელი, აღარას აძლევს იგი სურვილს, შენ, წმინდაო, უკან მიიხმე შვილი შენი, დავმტკბარვარ მიწიერი ბედნიერებით, ვცან ცხოვრება და სიყვარული) — ილიას სამი კატრენით უთარგმნია —

— დამემსხერა გული... და ეს სოფელი
 გაუქმდა ჩემთვის, დაცალიერდა,
 ბედნიერება, ლხენა ყოველი
 გაქრა, წამიწყდა და დამინელდა,
 აღარად შიღირს სიციცხლე ჩემი,
 რაღად მინდა მე სოფლად ვიღოდე...
 დედავ ღეთისაო, ნუგეშის-მცემი
 მე ხელი შენი გამომიწოდე
 და აღმიყვანე შენს წმინდა სადგურს...
 რაც ამ სოფელსა მადლი ჰრგებია
 ყოველი იგი მინახავს ბედგრულს:
 მეცა დავმტკბარვარ, მეც მყვარებია.

როგორც ვხედავთ, თარგმანის ტაეპთა რაოდენობა ორნახევარჯერ აღემატება ორიგინალს. ეს გამოწვეულია ჩამატებებით, რასაც მიმართავს ილია ლირიკული გმირის განცდათა თუ სურვილთა დაკონკრეტება-ინდივიდუალიზების მიზნით. სახელდობრ, ილიას მეორე სტროფის პირველ ტაეპში გარდა იმისა, რომ „გული მკვდარია“ შეუცვლია „დამემსხვრა გულით“, ზოგადად გამოთქმული ერთი ტაეპი ორი ტაეპით უთარგმნია —

...დამემსხვრა გული... და ეს სოფელი
გაუქმდა ჩემთვის, დაცალიერდა.

ორიგინალის მეორე ტაეპის სიტყვიერი ფაქტურიდან: „აღარას აძლევს იგი (ქვეყანა) სურვილს“, რომელიც ოთხი ტაეპით არის გადმოღებული, ილიას არაფერი გამოუყენებია, ხოლო სამი ტაეპით გადმოცემული მესამე ტაეპისა: „შენ, წმინდაო, უკან მიიხმე შეილი შენი“ მხოლოდ „წმინდაო“ გამოუყენებია და ისიც „დედავ ღეთისა“-დ გადმოუღია: „უკან მიიხმე შეილი შენი“ კი განუერთია:

ნუგეშის-მცემი
მე შენი ხელი გამომიწოდე
და აღმიყვანე შენს წმინდას საღვურს...

სამი ტაეპით თარგმნილი უკანასკნელი ორი ტაეპის სიტყვიერი ფაქტურიდანაც თარგმანში მხოლოდ „დავმტკბარვარ“ და „მყვარებია“ არის გამოყენებული. და მიუხედავად ასეთი ცვლილება-ჩამატებებისა, თარგმანის მეორე პერიოდში არც შილერისეული სახეთა სისტემაა დარღვეული, არც ორიგინალისაგან განსხვავებული მოტივებია შეტანილი და იდეური შინაარსის ზუსტ გადმოცემასთან ერთად ორიგინალის განწყობაც ზედმიწევნითაა შენარჩუნებული.

მესამე სტროფის —

Es rinnet der Tränen vergeblicher Lauf,
Die Klage, sie wecket die Toten nicht auf;
Doch nenne, was tröstet und heilet die Brust
Nach der süßen Liebe verschwundener Lust,
Ich, die Himmlische, will's nicht versagen.

(ამოდ ღერი ცრემლებს, გოდება ვერ გააღვიძებს მკვდრებს, დაასახე-
ლე, რა დაამშვიდებს და განკურნავს (შენ) გულს გამქრალი ტკბილი სიყ-
ვარულის წადილის შემდეგ და მე, ზეციერი, უარს არ გეტყვი).

ილიასეული თარგმანი ექვსი სტროფისაგან შედგება —

— ამოდ აფრქვევ ცრემლთ ნაკადულსა,
საფლავში სატრფოს შენსას არ არგებს...

მითხარ მე: შენსა დაკოდის გულსა
რა მოგირჩენს და რა გაამთელებს.
შემდეგ სიყვარულთ სიტკბობისა.
მითხარ და ყოველს ეველენ შენთვისა. —

და თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ორიგინალს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიგინალში ზოგადად გამოთქმული ფრაზის „გოდება მკვდრებს ვერ გააღვიძებს“ დაკონკრეტებას: ცრემლთ ფრქვევა „საფლავში სატრფოს შენსას არ არგებს“ და ბოლო ტაქს — „მე, ზეციერი, უარს არ გეტყვი“, რომელიც ილიას ნათარგმნი აქვს ასე: „მითხარ და ყოველს ეველენ შენთვისა“.

რაც შეეხება მეოთხე სტროფს —

Laß rinnen der Tränen vergeblichen Lauf,
Es wecke die Klage den Toten nicht auf
Das süßeste Glück für die traurende Brust
Nach der schönen Liebe verschwundener Lust
Stud der Liebe Schmerzen und Klagen.

(ღე ამოდ იდინონ ცრემლებმა, ვერ გააღვიძოს გოდებამ მკვდრები, უტყბესი ბედნიერება მგლოვიარე გულისა გამჭრალი მშვენიერი სიყვარულის წადილის შემდეგ არის ტკივილი და გოდება სიყვარულისა) — მისი შინაარსი ილიას ათ ტაქსში აქვს გადმოცემული:

— ნება მომეცი ეგრე ურებად
ვაფრქვევედ ჩემს ცრემლს შეუშრობელად,
თუნდა საფლავში არას არგებდეს
მას ვინც ჩემს თვალში ჰხადებს ამ ცრემლებს.
შემდეგ ბედნიერ სიყვარულისა —
არის წაბალი ჩემი გულისა,
არის ნეტარი ბედნიერება —
რითაცა ტანჯვა ჩემს გულს კნელდება, —
ეს ცრემლი ჩემნი... მათში ნუგეშს ეგრძნობ,
მათში წარსულის სიციხლით ვცხოვრობ.

როგორც ვხედავთ, ეს პერიოდიც ორჯერ აღმატება ორიგინალს, ამასთანავე, განვრცობასთან ერთად, აქაც ავტორისეული სიტყვიერი ფაქტურა ნაკლებად არის გამოყენებული, მაგრამ, ისევე როგორც მეორე პერიოდში, აქაც დატულია სრული შესატყვისობა ორიგინალის იდეურ შინაარსთან, გადმოცემულია განწყობა და შენარჩუნებულია ემოციური დატვირთვა. ყოველივე ამის გამო, პირველი სტროფის გამოკლებით, რომელიც შედარებით მკრთალად არის გადმოღებული, ილიას „ცრემლთა შინა ნუგეში“ შეიძლება ჩაითვალოს ნიმუშად მხატვრული თარგმანისა, რომელშიც ავტორის შემოქმედებით ძალასთან ერთად მთარგმნელის ინდივიდუალური ხელწერაც მკაფიოდ ჩანს.

ილიას კრიტიკულ-თეორიულ ნაზრევში შილერის სახელი პირველად ნახსენებია „პასუხში“, სადაც „დიდი შილერი“, როგორც ილია უწოდებს მას, აღიარებულია მწერლად, რომელიც „ბოლოს“, „ცრუ-კლასიკური მიმართულების დაცემის“ პროცესში „ნელ-ნელა“ წარმოშობილი „რომანტიკული მიმართულების წარმომადგენელი შეიქმნა“¹⁷⁶.

ცხადია, ამ შეხედულებას, რომელიც იმდროინდელ რუსულ ლიტერატურულ კრიტიკაში დამკვიდრებულ მოსაზრებიდან გამომდინარეობს, ვერ გაიზიარებს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა.

საქმე ისაა, „ნაიუური და სენტიმენტალური პოეზიის“ ავტორი პოეზიის „ორად ორ სახეობას“ — ნაიურს (იგულისხმება რეალისტური) და სენტიმენტალურს (იგულისხმება რომანტიკული) ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ, მაგრამ არა ერთმანეთის გამომრიცხავ, ორ პრინციპად რომ მიიჩნევადა, კი ამბობდა „რათა ყოველგვარი გაუგებრობა თავიდან ავიცილო, შევნიშნავ, რომ ამგვარი დაყოფით სულაც არ მაქვს განზრახული ვინმეს ჩავაგონო, ამ ორიდან არჩევანი მოახდინოს, ე. ი. ერთ-ერთს მიანიჭოს უპირატესობა და მეორე კი გამორიცხოსო“, მაგრამ იმავე წერილიდან აშკარად ჩანს, რომ თავად იგი „ნაიურ“, „ობიექტურ“, რეალისტურ პოეზიას აყენებდა წინ „სენტიმენტალურ“, „სუბიექტურ“ პოეზიასთან შედარებით, რასაც ადასტურებს დასასრული იმავე წერილისა („რეალისტი თუმცა ვერც ერთ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს ადამიანობის გონივრულ ცნებას, — წერდა შილერი, — სამაგიეროდ მის განსჯისეულ ცნებას არასოდეს ეწინააღმდეგება. იდეალისტი კი, პირიქით, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ადამიანობის უზენაეს ცნებასაც კი უახლოვდება, სამაგიეროდ არც თუ იშვიათად მის უმდაბლეს ცნებაზე დაბლა ეცემა. ცხოვრების პრაქტიკაში კი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ერთფეროვნად ადამიანური და კეთილი მთლიანობა, ვიდრე ცალკეული შემთხვევითი ღვთაებრიობა — და თუ, ამრიგად, იდეალისტი იმის უნარის მქონე სუბიექტია, რომ ადამიანობის შესაძლებლობაზე დიდი წარმოდგენა შეგვიქმნას, და ადამიანის დანიშნულებაზე პატივისცემა ჩავვაგონოს, მხოლოდ და მხოლოდ რეალისტს ძალუძს მუდმივად განახორციელოს იგი გამოცდილებაში და კაცთა მოდგმა მის მარადიულ საზღვრებში იყოლიოს“¹⁷⁷) და განსაკუთრებით მხატვრული პრაქტიკა შილერისა, რომელმაც თავისი შემოქმედებითი მოწიფულობის პერიოდში შექმნა გარესამყაროს ისეთი „ობიექტურად“ ამსახველი ნაწარმოებები, რდგორც „ვალენშტაინი“ და „მარიამ სტიუარტია“.

სიმპტომატურია, რომ ი. ჯავჭავაძე იმავე „პასუხში“ რომანტიკულ მიმართულების ნაწარმოებად მიიჩნევს „ვეფხისტყაოსანსაც“ — რომან-

176 ი. ჯავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 54.

177 ფრ. შილერი, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 673—674.

ტიკულის მიმართულებებისა ც გვექონია ჩვენ მაგალითი ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითებრ, „ვეფხისტყაოსანი“¹⁷⁸, — წერდა იგი.

გარდა „პასუხისა“, ილია ჭავჭავაძეს შილერი მოხსენიებული ჰყავს 1882 წ. სექტემბრის „შინაურ მიმოხილვაში“ და წერილში „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა“ (1894 წ.).

„შინაურ მიმოხილვაში“ ილია დიდებულ პოეტს უწოდებს შილერს: „ვის არ ახსოვს შილერის დღეობა გერმანიაში? — აღნიშნავს ილია, — სწოვოდ დღეობა იყო მთელი გერმანიისა, და ამ დღეებით მთელმა გერმანიამ დიდებული პატივი სცა თავის დიდებული პოეტის გვამსა და მტკვერსა“¹⁷⁹, ხოლო წერილში „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა“ ილია პოეტის მიერ მეგობრისადმი მიძღვნილ ლექსიდან ამოწერილი ბოლო ტაეპის („გეტე, შექსპირი, შილერი კვლავ ერთხელ გადავიკითხოთ“) გამო ამბობს: „აი რა გამოჩენილ ავტორებთან ჰქონია საქმე თავ. ვახტანგ ორბელიანსა და წიგნის კითხვის სურვილით რა ზღვას დასწავებიაო“¹⁸⁰.

ყურადღებას იპყრობს შილერისა და ილიას შეხედულებათა ანალოგიურობა პოეტის დანიშნულებაზე, ადამიანის ზნეობრივ აღზრდასა და ჰარმონიულ განვითარებაზე, როგორც ისეთი საზოგადოებრივი წყობის არსებობის აუცილებელ პირობაზე, სადაც ადამიანი მიზნის მისაღწევი საშუალება კი არ იქნება, არამედ მას პატივს სცემენ როგორც თვით მიზანს.

შილერი პოეტის დანიშნულებად თანადროულობისათვის სამსახურს მიიჩნევდა: „მე არ ვისურვებდი, — წერდა იგი, — სხვა საუკუნეში მეცხოვრა და სხვისთვის კი დავმშვრალიყავიო“¹⁸¹, მთავარ მანკიერებად თავისი საუკუნისა (რომელშიც ეგოიზმს „თავისი სისტემა ყველაზე რაფინირებული გულდიაობის წიაღის შუაგულში აღუმართავს“¹⁸² და სარგებლიანობა ქცეულა დროის უდიდეს კერპად, „რომელსაც ემსახურება ყველა ძალა და თაყვანს სცემს ყველა ტალანტი“) მდაბალ ვნებების აყოლას მიიჩნევდა და ისეთის საზოგადოებრივი წყობის შექმნის აუცილებელ წინაპირობად, სადაც „ტახტზე კანონი“ დამკვიდრდება, „ადამიანს, ბოლოს და ბოლოს, პატივს ვცემთ, როგორც თვით მიზანს“ და „ქეშმარიტი თავისუფლება“ დაედება „საფუძვლად პოლიტიკურ გაერთიანებას“¹⁸³, ადამიანის ზნეობრივ განწმენდას და მისი ხასიათის მთლიანობის აღდგენას რაცხდა, ხოლო აღმზრდელის როლს ხელოვანს ავალებდა. ში-

178 ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 55.

179 იქვე, ტ. V, გვ. 184.

180 იქვე, ტ. III, გვ. 233.

181 ფრ. შილერი, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 485.

182 იქვე, გვ. 495.

183 იქვე, გვ. 493.

ლერს ღრმად სწამდა, რომ ზნეობრივი აღზრდის გარეშე „ზოგიერთი ცდა კერძოობით შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს, მაგრამ მთლიანობაში აღებული ამით არაფერი გამოკეთდება... ზანგში კაცობრიობის პატივისცემას დაიწყებენ მსოფლიოს სხვა კუთხეებში, ევროპაში კი ამავე კაცობრიობას თავლაფს დაასხამენ მოაზროვნეში“¹⁸⁴.

ილიაც პოეტის დანიშნულებად თანადროულობისათვის სამსახურს აღიარებდა, პოეტს თვლიდა პიროვნებად: ვინც „ღმერთთან მისთვის ლაპარაკობს, რომ წარუძღვეს წინა ერსა“ და ვისაც უნდა „ერის წყლული აჩნდეს წყლულად“. ხოლო ერის მტკივნეულ წყლულად იგიც ეგოიზმს და ზნეობრივ სიმდაბლეს მიიჩნევდა და „ადამიანის სინდისის“ ამ „უძვირფასესი ზნეობითი განძის საქონელად“¹⁸⁵ ქეცეის გამო შეშფოთებული აღნიშნავდა: „პირველი ანბანი ზნეობისა და ადამიანობისა შერყვნილია ჩვენში“¹⁸⁶. „თეთოთეული ჩვენგანი ჰქენესის ზნე-დაცემულობისაგან, ჩვენის ზნეობითად წარწყმეტისაგან და იმედგადაწყვეტილი, სასოება-დაკარგული ვაებით ვიძახით: ღმერთო, სად მივდივართ და რა ბედი მოგველისო“,¹⁸⁷ ქეცენის ზნე-ჩვეულებათა განწმენდისა და ადამიანის ზნეობრივ აღზრდაში, რასაც ილია, შილერის ანალოგიურად, ადამიანის ღირსებათა ხელყოფისაგან დაცვის აუცილებელ პირობად თვლიდა („ჭირი ის არის, — წერდა ილია, — ზნე-ჩვეულება ზოგიერთ ქვეყანაში იმოდენად განწმენდილი და მგრძნობიერი არ არის, რომ შებლაღვა ვისისამე ნამუსისა, ადამიანის ღირსებისა ითაკილოს, იუკადრისოს და ყოველი ცალკე კაცის გაუპატიურებაში თავისის საკუთარის ღირსების წაბლწვა დაინახოს“¹⁸⁸), უდიდეს როლს სწორედ ლიტერატურას და ხელოვნებას ანიჭებდა.

ანალოგიურია შილერისა და ილიას შეხედულებანი ადამიანის პარმონიული განვითარების აუცილებლობაზეც. შილერი თავისი საუკუნის „აღვირახსნილი საზოგადოების“ საბედისწერო მანკიერებად (სადაც „მკვდარ ასოს“ „ცოცხალი განსჯის ადგილი“ დაუქერია, „გაწაფული მებსიერება უფრო საიმედო ხელმძღვანელი“ გამხდარა, „ვიდრე გენია და გრძნობა“, და რომელიც „ერთ-ერთ თავის მოქალაქეში მხოლოდ მახსოვრობას, მეორეში ანგარიშისადმი მიდრეკილ ჰქუას, მესამეში მართლოდენ მექანიკურ მოქნილებას სცემს პატივს“ და „გულგრილობას იჩენს ხასიათისადმი და მხოლოდ ცოდნას მოითხოვს“¹⁸⁹) ადამიანის ცალმხრივ განვითარებას თვლიდა, მის მანქანის უბრალო დამატებად ქეცე-

184 ფრ. შილერი, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 504.

185 ი. ჰაეკეაქაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. V, გვ. 253.

186 იქვე.

187 იქვე, გვ. 343.

188 იქვე, ტ. VIII, გვ. 249.

189 ფრ. შილერი, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 498.

ვას მიიჩნევდა და გულისტკივილით წერდა: „მარად მხოლოდ მთელის რომელიმე ნაწილის ნამუსრევზე მიჭაჭვეული ადამიანი თავადაც მარტო-ოდენ ნამუსრევსლა წარმოადგენს; ყურებში მარად ერთი და იმავე ჩარხის მონოტონური ხმაური უდგას, ჩარხისა, რომელსაც ატრიალებს; ვეღარ ავითარებს თავისი არსების ჰარმონიას და ნაცვლად იმისა, რომ თავისი ზუნების ადამიანურობა გამოხატოს, საკუთარი საქმის, საკუთარი მენცარობის ანაბეჭდად იქცევაო“¹⁹⁰.

შილერი წინააღმდეგობით დაფლეთილ თანამედროვეობას, რომელმაც ადამიანი მანქანის დანამატად აქცია, უპირისპირებდა ელინურ სამყაროს, სადაც „გრძნობასა და გონებას ჯერ კიდევ არ გააჩნდა მკვეთრად გამოჩენული სამფლობელოები“ და ძველ ბერძნებს თვლიდა ნიმუშად ჰარმონიულად განვითარებული ადამიანებისა, რომლებიც გვხიბლავენ „თავიანთი უბრალოებით“ და „ერთდროულად ფორმის სისრულესაც ფლობენ და შინაარსის სისავსესაც, მოაზროვნენიც არიან და ხელოვანნიც, ნაზებიცა და ენერგიულნიც და ჩვენ წარმოგვიდგებიან დიდი ადამიანების ხატებად, რომელშიაც ჰაბუკუკური ფანტაზია და მოწიფული გონებაა გაერთიანებული“¹⁹¹.

ილია ჭავჭავაძეც თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ მანკიერებად ადამიანის ცალმხრივ განვითარებას მიიჩნევდა. იგი დაბეჭითებით ამტკიცებდა: „ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს“... ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს — სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, — გვამი ერისა მკვდარია“¹⁹² და თავის დროინდელ აღზრდის მთავარ ნაკლად გონებრივი განვითარების აქით ზნეობრივი მხარის საქციელის გრძნობის აღზრდის დავიწყებას რომ რაც-ცხდა, გულისტკივილით აღნიშნავდა: „დღევანდელს სკოლას სახეში აქვს მარტო ჭკვა-გონების წარმატება და გაძლიერება, თუმცა ბევრს შემთხვევაში საქმე ისე მიჰყავს, ვერც ერთსა სწვდება და ვერც მეორეს. ეხლანდელი სწავლა-ცოდნა თუმცა ჰშველის კაცს გონების თვალთ დაანახოს და გონებისავე ყურით გააგებინოს, რაც კაცის გარშემო არსებობს და თავს იჩენს, მაგრამ ადამიანის საქციელზედ-კი თითქმის სრულებით არ ჰმოქმედობს. ამიტომაც დღევანდელს დღეს ადვილად შესაძლოა შეჰხვედეთ, — კაცი ცოდნით ერთი იყოს. მოქმედებით და ცხოვრებით კი სრულებით სხვა“¹⁹³. ამავე დროს, ილიას რწმენით, საწინდარი როგორც

190 ფრ. შილერი, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 498.

191 იქვე, გვ. 496.

192 ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. V, გვ. 342.

193 იქვე, ტ. IV, გვ. 300.

ცალკეული ადამიანის ღირსებისა, ისე მთელი ერისა, ადამიანის ჰარმონიული განვითარება, მისი სრულყოფილებაა. „ვითა მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ — აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ ერი, — ამ სისრულის გზაზე, ვინ რამდენად წინ წამდგარა, ვის რამდენად აღფრთოვანებული აქვს სულთასწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, — აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანში ღირსებისა, ისე მთელი ერის“¹⁹⁴. — წერდა ილია 1895 წლის „შინაურ მიმოხილვაში“.

ილიას აზრით, უდიდესი დამსახურება ალორძინების ხანისა, ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ პერიოდისა, „როცა ეგრეთწოდებულს სქოლასტიკას საძირკველი შეერყა და მოძღვრება ჰუმანურობისა წარმოდგა ფეხზე“, ის იყო, რომ მან კვლავ აღმოაჩინა ადამიანი, „ახალის თვალთ მიახედა კაცობრიობას ადამიანის ღირსებაზედ და იმის არსებობის საგანზედა“¹⁹⁵. და კაცობრიობის პროგრესის ნიშნად ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობის მიმჩნევი („რა არის სული პროგრესის კაცობრიობისა, — წერდა ილია, — თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინიღისი, ყოფა-ცხოვრება, — უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ, არავისაგან ხელშეხებული არ იყოს, არავისაგან შემწიკვლული, შეგინებული და შევიწროებული“¹⁹⁶), „ჰუმანურობის“ მოძღვრების ძირითად არსად ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას რომ რაცხდა, თავისი შეხედულების დასადასტურებლად „ერთ მწერალს“ იმოწმებდა და წერდა: „ჰუმანობის მოძღვრება იმაში მდგომარეობსო, — ამბობს ერთი მწერალი, — რომ ადამიანი შეჰხაროდეს ცხოვრებას, ელინებრ სიხარულის თვალთ უყურებდეს; იმაში მდგომარეობს, რომ კაცის ადამიანური ღირსება ღრმად პატივცემული იყოს და ღრმად ჩანერგული რწმენა გექონდეს, რომ ყოველი ღონე და ნიჭი ადამიანის ბუნებისა აუცილებლად საჭიროა განვითარებულ და წარმატებულ იქნას ერთიანად და გამოუკლებლივ“¹⁹⁷. ხოლო „ადამიანის ბუნების“ „ერთიანად და გამოუკლებლივ“ სფეროში ილია, შილერის მსგავსად, საგანგებო როლს ანიჭებდა ხელოვნებას, პოეზიას, რომელსაც იგი თვლიდა ერის ხელთუქმნელ საგანძურად, „საცა ერი ჰპოებს ხოლმე თვისს უკეთესს ნააზრს და ნაგრძნობს, თვისს უკეთესს სულთასწრაფვას, თვისს იმედს და სასოებას, თვისს თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას, თვისს ჭირსა და ლხინსა, თვისის ენის და მეტყველების სიკეკლუცე-მშვენიერებას და ერთობ

194 ი. ჰავკავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. V, გვ. 340..

195 იქვე, ტ. IV, გვ. 301.

196 იქვე, ტ. V, გვ. 253.

197 იქვე, ტ. IV, გვ. 301—302.

თვის სულიერს საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს, ადამიანი ადამიანობს“¹⁹⁸.

ხელოვანის დანიშნულებაზე, ადამიანის თუ საზოგადოებ-ის ზნეობ-რივ განწმენდასა და ჰარმონიულ განვითარებაზე შილერისა და ილიას შეხედულებათა ანალოგიურობის მიღმა მათ შორის პრინციპული სხვაობაც შეინიშნება. სახელდობრ შილერი, რომელიც შედეგს — ადამიანის მორალურ დაკნინებას და მანქანის დამატებად ქცევას — მიზეზად მიიჩნევდა, ესთეტიკურ აღზრდას თვლიდა იმ გზად, რომელსაც შეეძლო მისი ზნეობრივი განწმენდა-ალორძინება და ჰარმონიული განვითარება. მაგრამ, რადგან აღმზრდელად მხოლოდ ქეშმარიტი ხელოვნება მიაჩნდა, რომლის მიუღწეველ ნიმუშად ძველებრძენთა შემოქმედებას საბავდა, ამიტომაც, ხელოვანს — თავისი ეპოქის შვილს — თანამედროვეთა სამსახურს რომ ავალბედა და მიმართავდა: „იცხოვრე შენ საუკუნესთან ერთად, მაგრამ მისი ქმნილება ნუ იქნები: ემსახურე თანამედროვეებს, მაგრამ იმით, რაც სჭირდებათ და არა იმით, რასაც აქებენო“¹⁹⁹ — არ ურჩევდა თავისი ეპოქის შეგირდიც ყოფილიყო, საბერძნეთისაკენ მოუწოდებდა. რომ მის ცის ქვეშ, თაობათა და დროთა შეურყენელ გარემოში დაეაყვაცებული მანკიერ სინამდვილეს დაბრუნებოდა და განეწმინდა იგი. „დაე ქველმოქმედმა ღვთაე-ღამ, — წერდა შილერი, — დროულად მოაშოროს ძუძუთა ბალლი ღედის მკერდს, უკეთესი ეპოქის რძით გამოჰკვებოს და საბერძნეთის შორეული ზეცის ქვეშ აცალოს დაეაყვაცება, ხოლო როდესაც დაეაყვაცდება, აი მაშინ დაე დაბრუნდეს თავის საუკუნეში, როგორც უცხო ხატება. მაგრამ არა იმისათვის, რომ გაართოს თავისი გამოჩენით. არამედ მრისხანედ, ვითარცა ავამემნონის ვაჟმა გასწმინდოს იგი“²⁰⁰.

შილერისაგან განსხვავებით, ილიამ კარგად იცოდა, რომ ადამიანის ზნეობრივი სიმდაბლე, მისი ცალმხრივი განვითარება და მანქანის დამატებად ქცევა შედეგი იყო და არა მიზეზი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და, როგორც ამ შრომის დასაწყისშია აღნიშნული, მეცხრამეტე საუკუნის საგანგებო დამსახურებად იმის მიმჩნევი; რომ „ამ საუკუნემ.. განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და... დაუღვა მეცნიერული საბუთი ღარიბთა და უძღურთა სამწეო“ მოძღვრებასო, ხაზგასმით რომ აღნიშნავდა: „ცხოვრება ძირია და მეცნიერება და ხელოვნება მასზედ ამოსული შტოები არიანო“²⁰¹, ცხოვრების შეცვლის, როგორც ადამიანის ამაღლებისა და სრულყოფის აუცილებელი წინაპირობის, გზად ესთეტიკურ აღზრდას კი არ რაცხდა, არამედ „შრომის ახსნას“ აღიარებდა. ში-

198 ი. კავკავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. V, გვ. 344.

199 ფრ. შილერი, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 510.

200 იქვე, გვ. 508.

201 ი. კავკავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 12.

ლერის მსგავსად, ილიაც ხელოვანს თანამედროვეების სამსახურს ავა-
ლებდა, მაგრამ შილერისაგანვე განსხვავებით იგი ხელოვანს ძუძუთა
ბაღიდან დედის მკერდის მოცილებას და უკეთესი ეპოქის რძით
გამოსაკვებად საბერძნეთის ზეცის ქვეშ დავაჟიკებას და ოცნებათა სამ-
ყაროში ნავარდს კი არ ურჩევდა, არამედ თავისი ეპოქის შვილს და სა-
კუთარი ხალხის ძუძუთი გამოკვებულს იმისკენ მოუწოდებდა, რომ ჩა-
სულიყო „ცხოვრების მდინარის ძირში“, სადაც იგი „ბევრ მარგალიტ-
სა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა“²⁰² იპოვნიდა და ორივენი — მარ-
გალიტიც და ლაფიც სიმართლით გამოეხატა, ხალხის აზრი გაეღვიძე-
ბინა და იგი „შრომის ახსნისათვის“ სამოქმედოდ ამოძრავებინა.

ამ თვალსაზრისით, ილია, — რომელიც ცხოვრებისაგან გამდგარ და
ხალხის საკირბორტო საკითხებით დაუინტერესებელ პოეტს უნაყოფოს
უწოდებდა („დაე ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელი-
თა უკუარიდოს პირი ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებუ-
ლი თვალეზი და ბუღბუღსავით უაზრო შტგენა დაიწყოს და აღარ გაა-
თავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვსო“²⁰³) და თვლიდა, რომ
მარტოდენ „კმუნესა და სიხარულში“ ხალხის მოძმედ მყოფ. მისი ბე-
დისა და უბედობის გამზიარებელ პოეტს შეუძლია შეასრულოს თავისი
დიდი მისია — მოსწმინდოს ხალხს ტანჯვის ცრემლი და შრომის ასახ-
სნელად „წარუძღვეს წინა ერსა“ — გაცილებით ახლო დგას ჰაინრიხ ჰა-
ინესთან, ვინც თანამოკალმეებს მგზნებარედ მიმართავდა:

— შენ ღულუნი როდი : გმართებს, როგორც ვერთერს,
სიციცხლე რომ ოხვრით ლოტას შეაღია;
ხალხს უმღერე, რომ ჩამოკრეს ბრძოლის ზარც;
ხანჯლის ენით ამეტყველე მგოსნის ქნარი
და სიმღერა მახვილივით უნდა ეღერდეს.

აღარ გვინდა უწყინარი სალაპური,
უშფოთველი სულის ნაზი იდილია;
მაშულისა იყავ დაფი და ნაღარა,
სკექდე, ქუხდე, სისხლი ჩქედდეს ზღეად და ღვარად,
მებს ეღაროს შეხლის ზარი საამური²⁰⁴.

ჰაინეს მიერ პოეტის მოქალაქეობრივი მოვალეობის ეს მაღალი გა-
გება, თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერებათა მკაცრი

202 ი. ჰავეჰაეაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 69.

203 იქვე, გვ. 68.

204 ჰაინრიხ ჰაინე, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, რჩეული თხზუ-
ლებანი, 1978, გვ. 348.

მხილება, პროგრესის შემაფერხებელ ძალთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისაკენ მედგარი მოწოდება (რის გამოც დობროლიუბოვი „ახალგაზრდა გერმანიის“ ახალგაზრდა მოღვაწეთა მებრძოლი ლეგიონის მელაფადფეს“²⁰⁵ უწოდებდა ჰაინეს, ვინც ამაყად ამბობდა: მე არ ვუწყი, ნამდვილად ვიმსახურებ თუ არა, რომ ჩემი კუბო ერთ დროს დაფნის გვირგვინით იქნეს შემკული... მაგრამ მახვილი კი უნდა დასდოთ თქვენ ჩემს საფლავზე, რადგან მე მამაცი ჯარისკაცი ვიყავი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“²⁰⁶) და ღრმა რწმენა, რომ თავისი უფლებისათვის აღმდგარი ხალხი, ბოლოს და ბოლოს, დაამსხვრევს მონობის ჭაჭვეებს, იყო მიზეზი დიდი ინტერესისა „სიმღერათა წიგნის“ ავტორისადმი რომ იჩენდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამბობდა:

შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
 ძლევამოსილის ამ საუკუნის,
 კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
 მაგ ახსნისათვის მელგრადა იბრძვის.

ჰაინეს მსგავსად, ილია ღრმად იყო დარწმუნებული, რომ:

ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველი
 განახლებისა გრიგალის ქროლას.
 ველარ განუძღვებს ქვეყნის მძარცველ
 კეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
 და დაიმსხვრევა იგი ბოროლი
 შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
 და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
 ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების²⁰⁷.

ილიამ პირველმა გააცნო ქართველი მკითხველი ჰაინეს ლირიკას. მას 1858 წ. „სიმღერათა წიგნიდან“ უთარგმნია ორი ნიმუში: „როცა შეგყურებ მე შენს თვალებსა“ (Wenn ich in deine Augen sch') და „ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა“ (Lehn deine Wang' an meine Wang').

პირველი მათგანი:

Wenn ich in deine Augen seh',
 So schwindet all mein Leid und Weh;
 Doch wenn ich küsse deinen Mund,
 So werd' ich ganz und gar gesund.

205 А. Д о б р о л ю б о в, Полное собр. соч. в 4-томах, т. I, С. П., 1912, стр. 968.

206 ჰაინრიხ ჰაინე, მოგზაურობის სურათები, თარგმანი ჭორჩანელებისა, 1957, გვ. 257.

207 ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. II, გვ. 140.

Wenn ich mich leh'n an deine Brust.
 Kommt's über mich wie Himmelslust;
 Doch wenn du sprichst: Ich liebe dich!
 So muß ich weinen bitterlich.

(როცა თვალეში ჩაგცქერი, ქრება ჩემი ტანჯვა და ვაება; ხოლო როცა შენს ბაგეს ეკოცნი, მთლიანად ვჯანსაღდები. როცა შენს მკერდს ვეყრდნობი, მიპყრობს ციური ნეტარება, ხოლო როცა ამბობ „მიყვარხარ“, მწარედ ვქვითინებ). —

ილიასეული თარგმანი:

როცა შევეურებ მე შენს თვალესა —
 გმინეა და ტეხა გულის ღუმდება,
 როცა მე ეკოცნი შენსა ბაგესა —
 სხვა სიცოცხლეზედ სული რწმუნდება.
 როცა შენს მკერდზე მე ვიხრი თავსა —
 ქვეყნად აღარ ვარ, სამოთხეს ვცხოვრობ;
 *მითხარ, — „მიყვარხარ“ — და იმავე წამსა —
 თვით არ ვუწყ რაზედ — მწარედ ვიტირებ. —

ორიგინალისაგან განსხვავებით (რომელიც მოსაზღვრე რითმებითაა გაწყობილი), ჯვარედინი რითმებითაა გამართული. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანში გვხვდება გადახვევები (პირველი სტროფის ბოლო ტაეპი — „მაშინ მთლიანად ვაჯანსაღდები“ — ილიას გამოხატული აქვს სიტყვებით: „სხვა სიცოცხლეზედ სული რწმუნდება“, მეორე სტროფის ბოლო ორ ტაეპში გარდა იმისა, რომ შეცვლილია დრო: აწმყო (sprichst და du weinen) გადმოცემულია წყვეტილით (მითხარ) და მყოფადით (ვიტირებ), ჩამატებულია „იმავე წამსა“ და „თვით არ ვუწყ რაზედ“), იგი ზუსტად გადმოგვცემს ორიგინალის შინაარსს, მის განწყობას და ინტონაციას.

რაც შეეხება ჰაინეს მეორე ლექსს —

Leh' deine Wang' an meine Wang',
 Dann fließen die Tränen zusammen;
 Und an mein Herz drück fest dein Herz,
 Dann schlagen zusammen die Flammen!

Und wenn in die große Flamme fließt
 Der Strom von unsern Tränen—
 Und wenn dich mein Arm gewaltig umschließt—
 Sterb' ich vor Liebesehnen!

(მოაპყარ შენი ლოყა ჩემს ლოყას, მაშინ ჩვენი ცრემლები ერთად იღვნენ, მაგრად მოაკარი შენი გული ჩემს გულს, რომ ერთად ავარდეს ალი და როცა იმ დიდ ალს დაესხმის ჩვენი ცრემლების ღვარი და როცა მაგ-

რად შემოგახვევ ჩემს მკლავებს, მაშინ მოვკვდები სიყვარულზე დარ-
დისაგან) — რომლის პირველი სტროფი ინტერვალშია, ხოლო მეო-
რე — ჭვარდინი რითმებითაა გამართული — ილიას ორივე სტროფი ჭვარ-
დინი რითმით გაუწყვია:

ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყსა,
რომ ცრემლნი ჩვენნი ერთად შეუთოდნენ;
გულით მოეკარ ჩემს გულს მხურვალსა,
რომ ერთის ცეცხლით ორნივე აენთნენ.

და როს იმ ცეცხლსა ძნელ განშორების
დაეხხმის ღვარი მდუღარე ცრემლის
გადაგებევი რა ორივე ხელით,
მოვკვდები ტანჯვით და ნეტარებით.

როგორც ვხედავთ, თარგმანის პირველი სტროფი ზედმიწევნით შეე-
სატყვისება ორიგინალს. მეორე სტროფის პირველ ტაქში ილიას მიერ
ჩამატებული სიტყვები „ძნელ განშორების“ და ბოლოს ტაქის —
sterb' ich vor Liebesehnen“-ის („მოვკვდები სიყვარულზე დარდისა-
გან“) ილიასეული ინტერპრეტაცია „მოვკვდები ტანჯვით და ნეტარებით“
კი ცვლის ორიგინალის აზრს. სახელდობრ, ჰაინეს მიხედვით, სატრფოს
დაუფლება გამოიწვევს ლირიკული გმირის დარდს სიყვარულზე (მო-
ტივი, რომელიც რამდენჯერმე გვხვდება ჰაინეს სატრფიალო ლირიკაში),
თარგმანში კი „ორივე ხელით გადახვევა“ ტანჯვისა და ნეტარების წყაროდ
არის მიჩნეული.

ილიას ჰაინეს მიბაძვით სამი ლექსი შეუთხზავს. მათგან „მეცა მქო-
ნია კარგი მამული“ მიბაძვაა მესამე ლექსისა ციკლიდან „უცხოეთში“:

Ich hatte einst ein schönes Vaterland.
Der Eichenbaum
Wuchs dort so hoch, die Veilchen nickten sauft.
Es war ein Traum.
Das küßte mich auf deutsch und sprach auf deutsch
(Man glaubt es kaum,
Wie gut es klang) das Wort: „Ich liebe dich“
Es war ein Traum.

(ერთხელ მეც მქონდა მშვენიერი მამული, მაღალი მუხა იზრდებოდა იქ
და ნაზად მიკრავდნენ თავს იები. ეს იყო სიზმარი. იგი (სამშობლო) გერ-
მანულად მკოცნიდა და გერმანულად მეუბნებოდა (ძნელი წარმოსადგე-
ნია რა კარგად უღერდა) სიტყვებს „მე შენ მიყვარხარ!“). ეს იყო სიზ-
მარი).

ჰაინეს პატრიოტული ლირიკის ამ ერთ-ერთ საყურადღებო ნიმუშ-
ში სევდა სამშობლოდან მოწყვეტილი ლირიკული გმირისა, რომელსაც
25. დ. ლაშქარაძე

ნაზად მოუხმობს უკან იქ დატოვებული სიყვარული (Die Liebe, die dahinten blieb, sie ruft dich sanft zurück. — ვკითხულობთ ამ ციკლის პირველ ლექსში), გამოწვეულია იმით, რომ „მშვენიერი სამშობლო“ მარტოოდენ სიზმარი იყო.

ილიას მიბაძეაშიც —

მეცა მქონია კარგი მამული!...
თურმე სუფევდა იქ სიყვარული,
თურმე იქ პფრენდა ზედი მღიმარი, —
ახლა კია ეს მარტო სიზმარი!

თურმე იქაც ბრწყინავდნენ დღენი,
იქაც სცხოვრობდნენ ერთგულნი ძენი,
ღია ჰქონიათ მაშინ ცის კარი, —
ეხლა კია ეს მარტო სიზმარი! —

ზედმიწვევით რომ არის შენარჩუნებული ორიგინალისეული განწყობა, სამშობლოს ბედით დამწუხრებული ლირიკული გმირის სევდის მიზეზი ისაა, რომ ოდესღაც ბრწყინვალე დღეთა მქონე მის მამულში ახლა სიზმრად ქცეულა ბედნიერება, სიყვარული და ერთგულება.

დიდხანს დაუდგენელი იყო წყარო ილიას თარგმანებში მოთავსებული ლექსისა „სიხარული“ —

სიხარული ჰგავს გზის პირას გაზრდილს
გავლით მოწყვეტილს სუნელსა ყვავისს,
რომელიც ზელში დიდხანს არ გრჩება,
მთიერე ხანს გატკობს და მერე ჰკნება —

რომელსაც ილიას მიერ მიწერილი აქვს „მიბაძეა“.

ი. კენჭოშვილმა სწორად მიაკვლია, რომ იგი მიბაძეაა ჰაინეს ლექსისა²⁰⁸. მართლაც, „სიხარულის“ წყაროს წარმოადგენს ჰაინეს „ლამენტაციების“ ორსტროფიანი ეპიგრაფის პირველი სტროფი, —

Das Glück ist eine leichte Dirne
Und willt nicht gern am selben Ort;
Sie streicht das Haar dir von der Stirne
Und küßt dich rasch und flattert fort.

(ბედნიერება ჰგავს მსუბუქი ყოფაქცევის გოგონას, რომელიც დიდხანს ერთ ადგილზე არ ჩერდება. თმებს გადაგიწევს შუბლზე, სწრაფად გაკოცებს და გაფრინდება), — რომლის დედააზრი და ინტონაცია მიბაძეაში მთლიანად შენარჩუნებულია.

²⁰⁸ ირაკლი კენჭოშვილი, ორი კომენტარი ილია ჭავჭავაძის თარგმანებისადმი, იხ. კრებული „ლიტერატურული ურთიერთობანი“, 1969, გვ. 352—353; აგრეთვე „ლიტერატურული გაზეთი“, 1962. № 18. გვ. 4.

ვიხილე სატრფო: იგი ცრემლს ჰღვრიდა,
ბედს და სიყვარულს მოთქმით დასტირდა,
მის ცრემლი დამქნარ ვარდს დასდოდა
და მეც შორს მისგან ცრემლი მცვიოდა.

მოვიდა სხვა დღე, — განქრა მის დარდი,
მას ხელთა ეყურა სხვა ტურფა ვარდი,
ამ ვარდს ტრფობითა ის დაჰლიმოდა
და მე კი შინც ცრემლი მცვიოდა.

წარმოადგენს მიბაძვას ჰაინეს ლექსისა --

Ich hab' im Traum geweinet,
Mir träumte, du lägest im Grab,
Ich wachte auf, und die Träne
Floß noch von der Wange herab.

Ich hab' im Traum geweinet,
Mir träumt', du verließest mich.
Ich wachte auf, und ich weinte
Noch lange bitterlich.

Ich hab' im Traum geweinet,
Mir träumte, du bliebest mir gut,
Ich wachte auf, und noch immer
Strömt meine Tränenflut.

(ძილში ვტიროდი, მესიზმრა, თითქოს საფლავში იყავ მდებარე. გამო-
მეღვიძა და ცრემლები კოლავ ჩამომდიოდა ლოყებზე. ძილში ვტირო-
დი, მესიზმრა, რომ შენ მიმატოვე. გამომეღვიძა და დიდხანს მწარედ
ვტიროდი. ძილში ვტიროდი, მესიზმრა, რომ შენ ჩემთან რჩები. გამო-
მეღვიძა და კვლავ ცრემლები ღვარად ჩამომდიოდა თვალებიდან).

შესადარებელ ლექსებში სიტუაციისა და მოტივის სხვადასხვაობის
მიუხედავად (ჰაინეს ლირიკული გმირი სატრფოს მიმართავს უშუალოდ:
სიზმრად ვიხილე საფლავში მდებარე, გული გაგციეებოდა, მიმატოვე
და კვლავ დამიბრუნდი და სამივე შემთხვევის გამო სიზმარში ატირებუ-
ლი გამოღვიძების შემდეგაც ვაფრქვევდი ცრემლებსო. ილიას ლირიკუ-
ლი გმირის ცრემლთა ღვრას კი პირველ სტროფში დამქნარ ვარდად
ქცეული ბედისა და სიყვარულის მოთქმით დამტირებელი სატრფოს
ცხადად ხილვა იწვევს, ისევე როგორც რამდენიმე ხნის შემდეგ ცხა-
დადვე ხილვა დარდგადაყრილი იმავე სატრფოსი, რომელიც ახლა „სხვა
ტურფა ვარდს“ „ტრფობით დაჰლიმოდა“), ილიას „ვიხილე სატრფო“
განწყობილებით და ინტონაციით ისე ახლო დგას ჰაინეს „ძილში ვსტი-
როდისთან“, რომ იგი, უეჭველია, ამ ლექსის შთაბეჭდილებით არის ნა-

კარნახევი. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ „ვიხილე სატრფოს“ შექმნის დრო (1858 წ. ოქტომბერი) ემთხვევა პერიოდს, როცა ილია, როგორც ჩანს, განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ჰაინეს პოეზიით. სწორედ ამ პერიოდშია თარგმნილი „როცა შევყურებ მე შენს თვალებსა“ და „ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა“ (ორივეს თარგმანი შესრულებულია 1858 წ. დეკემბერში); თითქმის იმავე პერიოდშია შეთხზული ორივე მიბაძვა: „მეცა მქონია კარგი მამული“ (1858 წ. იანვარი) და „სიხარული“ (1859 წ. მარტი).

ილია თავის კრიტიკულ-თეორიულ ნააზრევსა და პუბლიცისტურ წერილებში ხშირად იმოწმებდა ჰაინეს, რომელიც დაუნდობლად ამხელდა საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის შემაფერხებელ მანკიერებებს.

ზემოთ რამდენჯერმე დასახელებულ „პასუხში“ ილია „ორიოდე სიტყვის“ მკაცრი ტონის გამოც მის წინააღმდეგ აღმდგარ მოკამათეებს სანიმუშოდ მიუთითებდა გრაფ პლატენის პოეზიის ჰაინესეულ კრიტიკაზე, სადაც არისტოფანეს, ჰორაციუსისა და ჰაფიზის მიბაძვი პოეტის მეტრიკულად „გაშალაშინებული, მოხდენილი, გაკრიალებული“ ლექსების თხზვის ოსტატობა შედარებულია „მრავალი წლის წვრთნასა და მტანჯველი შიმშილის შემდეგ სახსარმოქნილობის ხელოვნებას“ დაუფლებული ჯამბაზის დაჰიმულ თოქზე ხტომის, კვერცხებზე ცეკვის და ყირაზე დგომის ოსტატობასთან²⁰⁹, და ნათქვამია: „გრაფმა პლატენმა რაც არ უნდა მოხდენილად გააკეთოს თავბრუდამხვევი სალტო მორტალე თავის დაზღვებში, რაც არ უნდა შესანიშნავად შეასრულოს კვერცხებზე ცეკვა თავის ოდებში, დიად, რაც არ უნდა თავდაყირა დადგეს თავის კომედიებში, — მაინც არ არის იგი პოეტი“²¹⁰; ხოლო შინაარსთან დაკავშირებით აღნიშნულია არათანადროულობა პლატენის ნაწარმოებებისა, რომლებიც წარმოადგენენ „მხოლოდ გაუბედავ, მორცხვ პაროდის ანტიკურობის შეუზღუდველ სულზე“²¹¹ და იმის ხაზგასმასთან ერთად, რომ საგნის საბურველში გამხვევი და ბანგნასვამივით, ხუცურად, ფარისევლურად განმზილავი პლატენის²¹² ლექსებში „ყველგან ეპოულობთ სირაქლემას... უსუსურ ფრინველს, რომელსაც ულამაზესი ნაკრტენი აქვს, მაგრამ ფრენა არ ძალუძს და ბუზღუნით დაჩლახუნებს ლიტერატურული პოლემიკის ქვიშიან უდაბნოსა ზედაო“, პლატენი წარმოდგენილია „ლამაზნაკრტენიან, მაგრამ მაღლა ფრენის უნარს მოკლებულ, ლამაზი ლექსების მქონე, მაგრამ პოეტური აღმაფრენისაგან“ შორს მდგარ პოეტად, ვინც „პოეზიის იმ არწივის სრულ წინააღმდეგო-

209 პ ა ი ნ რ ი ხ პ ა ი ნ ე, მოგზაურობის სურათები, თბილისი, 1957, გვ. 327.

210 ი ქ ვ ე, გვ. 329.

211 ი ქ ვ ე, გვ. 330.

212 ი ქ ვ ე, გვ. 331.

ბას წარმოადგენს, რომელსაც ნაკლებად ბრკვეილა ფრთები აქვს, მაგრამ მზემდევ კი ადის გალაღებული“²¹³.

„სათქმელის პირისპირ თქმის“ მოყვარულ ილიას „მოგზაურობის სურათებში“ მოთავსებული გრაფ პლატენის შემოქმედების ეს გამანადგურებელი განხილვა ჰქონდა მხედველობაში, როცა რევაზ ერისთავის საყვედურის გამო — „ორიოდე სიტყვა...“ განხილვის მაგიერად ლანძღვას წარმოადგენსო — წერდა: „ამას ჩემს აპრილის სტატიაზედ მარტო ისინი იტყვიან, ვისაც თავის დღეში კომპლიმენტის მეტი არა გაუგონია-რა... ჩემს განხილვას ლანძღვას ისინი დაარქმევენ, ვისაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა წიგნი არ უნახავს თვალთ და ვისაც მართალი სიტყვა, პირდაპირ ნათქვამი, არ გაუგია თავის დღეში. აბა წაჰკითხეთ გრაფ პლატენის ლექსების გარჩევა სახელოვანი ჭაინესი, აბა, განიხილეთ ბელინსკის სტატიები, სადაც უნიკო მწერლებზედ ლაპარაკობს“²¹⁴ (დაყოფა ჩემია. — დ. ლ.).

✎ „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“ ილია ქავჭავაძე, — რაფიელ ერისთავის საგანგებო დამსახურებად იმის მიმჩნევი, რომ მან პირველმა აღიმალა ხმა „ჩვენში სამწილ უსამართლოდ ჩაგრულთათვის“, — ადამიანის მიერ ადამიანის დამონების საკითხთან დაკავშირებით კვლავ ჰაინესს მოუხმობდა. „რაფიელ ერისთავამდე, — წერდა ილია, — ეს მწვავე ჩივილი ყმობით გაუპატიურებული ღმრთის კერძო ადამიანისა არაფრის გაუთვალისწინებია, არავის უკითხავს თავის-თავისთვის ეს მართლა-და ჰაინესი არ იყოს „დაწყველილი საკითხი“: ერთის ნაშობს მეორე რად ჰბატონობს“²¹⁵ (დაყოფა ჩემია. — დ. ლ.).

ჰაინესს ახსენებს ილია „ივერიის“ პირველი ნომრის წინასიტყვაობაშიც. ახირებულად რაცხს იგი ეურნალ-გაზეთებს: რედაქციების ჩვეულებას — „პირველ ნომერშივე საზოგადოებას აუხსნას თავისი დედაზრი, თავისი მიმართულება, აღნუსხოს ყოველი ის, რითაც უპირობს გაზეთს სულის ჩადგმას და ხორცის შესხმას“. „ამ ჩვეულებას, — აღნიშნავდა იგი, — თავისი მართებული და პატივსადები საბუთიც აქვს. საზოგადოებამ, რასაკვირველია, უნდა იცოდეს, რა აზრის კაცთან იჭერს საქმეს, რის და ვისს მიმდევარს უნდა ათხოვოს თავისი ყურადღება, მაგრამ ყოველს მასზედ, რაც წინ მოვიხსენიეთ, პასუხის მიცემა თითქმის შეუძლებელია. თუნდ ეგ არ იყოს, ცოტა უხერხულადაც მიგვაჩინია“ და ამ უხერხულობის ახსნისას კვლავ ჰაინესს იმორწმებდა: „კარგს იტყვი კაცი, — თავის-თავზედ თქმა იქნება, და თუნდ მართალიც იყოს —

213 პაინრიხ ჰაინე, მოგზაურობის სურათები, თბილისი, 1957 წ. გვ. 332.

214. ი. ქავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. 111, გვ. 47.

215 იქვე, გვ. 223.

ტრაბახობაში ჩამომართმევენ, ცუდს იტყვი კიდევ — სულელობა გამოვა ჰაინესი არ იყოს“²¹⁶.

წერილში „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“ ისევ ჰაინეს აზრს მიმართავს ილია: „თვითეულის ადამიანის საფლავის ქვეშა — ამბობს გერმანიის სახელგანთქმული პოეტი ჰაინე, — დამარხებულია მთელი ქვეყნიერების ისტორია“²¹⁷.

დასასრულ, სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ სიტყვის მოკლე კონსპექტში ილიას ჩაუწერია (როგორც პ. ინგოროყვა შენიშნავს სქოლიოში, ცხადია, არა სიტყვაში წარმოსათქმელად, არამედ თავისთვის) „ჰაინეს სიტყვა: მე მტერი მიყვარს მხოლოდ მაშინ, როცა ვხედავ სახრჩობელაზე ჩამოკიდებულს.“

ჰაინეს შემოქმედებისადმი ილიას დიდი ინტერესის საფუძველთა საფუძველად გვევლინება ეროვნულ და სოციალურ პრობლემებზე „ლუტეციის“ ავტორის შეხედულებანი და ამ პრობლემათა გადაწყვეტის მის მიერ, მართალია, ბუნდოვნად წარმოდგენილი, მაგრამ არსებითად სწორად მიკვლეული გზა — ხალხის გამოფხიზლება და მისი მედგარი ბრძოლა საკუთარი უფლებებისათვის. გერმანიის ეკონომიკური და პოლიტიკური ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად ჰაინე ვესტფალის ზღაპრულუბებით დაკანონებულ „ჩიბის სახელმწიფოებად“ გერმანიის დაქუცმაცებას რომ მიიჩნევდა, ქვეყნის გაერთიანებას და აღორძინებას მჭიდროდ უკავშირებდა საღათას ძილს მიცემული „მხვრინავი გიგანტის“ — გერმანელი „მიქელის“ გამოფხიზლებას და მწვევედ კანიცილიდა მის უმოქმედობას. ჰელგოლანდზე დაწერილ დღიურში (1830 წ. 1 იანვარი) ჰაინე გულისტკივილით აღნიშნავდა: „მართალია, მე შევძელი ამ მხვრინავი გიგანტის სუსტი ცხვირისცემინება გამომეწვია, მაგრამ სრულიადაც ვერ შევძელი მისი გაღვიძება... ხოლო როგორც კი უფრო ძლიერ დავუწყებდი მის ბალიშს ქაჩვას, იგი ძილისაგან მოთენთილი ხელით ისევ და ისევ ასწორებდა მას... ერთხელ, სასოწარკვეთილმა, როგორღაც ვცადე დამეწვა მისი ჩაჩი, მაგრამ იგი ისე იყო აზრის ოფლით დასველებული, რომ სუსტად ახრჩოლდა მხოლოდ... მიქელი კი ძილში იღიმებოდა“.

ეროვნულ ინტერესთა დაფლეთილობის მწვევედ განმცდელი ილიაც, ღრმად დაფიქრებული ჰაინეს მიერ „დაწყვეტილ საკითხად“ აღიარებულ პრობლემაზე — „ერთის ნაშობს მეორე რად ჰბატონობს“ — ჰაინეს ანალოგიურად ქვეყნის სავალალო მდგომარეობის მიზეზთა მიზეზად ხალხის უმოქმედობას, ჩვენი ცხოვრების უმოძრაობას თვლიდა და ამბობდა: „ჩვენი ცხოვრება ზურგ-გადაღლეტილ და დავარდნილ სა-

216 ი. ჰაეკაეაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 255—256.

217 ი. ქეცი, გვ. 267.

ხედარსავით გდია უძრავად სადღაც კუთხეში და სიცოცხლეს მარტო იმით იჩენს, რომ იცოხნება, როგორც პირუტყვი. თუ დროთა ბრუნვა წიხლს დააწელს ხოლმე, მაშინ მოძრაობასაც იჩენს, მაგრამ მხოლოდ მით, რომ ერთი ყრუდ დაიბლაღლებს, ერთის გვერდიდან მეორეზედ ფხანით გადაბრუნდება და ისევ უწინდებურად ცოხნას მოჰყვება“²¹⁸.

ხალხის გამოფხიზლების ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად ჰინეცა და ილიაც მანკიერებათა დაუფარავ მხილებას თვლიდნენ და საზოგადოებრივი პროგრესის შემაფერხებელ მოვლენებს ბასრი სატირის საგნად აქცევდნენ.

ჰაინე თავის სატირულ ლირიკასა და პოემებში, ისევე როგორც მხატვრულ და პუბლიცისტურ პროზაში, მძინარა და ზარმაცი გერმანელი მიქელის უდარდელ-უმოქმედობასთან ერთად მკაცრად დასცინოდა პატრიოტიზმის ნიღაბს ამოფარებულ შოვინისტებს, რომელთა კრებადი სახე სატირულად აქვს წარმოდგენილი „მოგზაურობის სურათებში“ დახატული პორტრეტით გრაიფსვალდელი მოქალაქისა (ვინც თავის პატრიოტობას იმით ამტკიცებდა, რომ გარდასულ დროთა თავყვანისმცემელი — იმ ხანის ძველგერმანელთა მსგავსად, „როცა ტილები ნებევრობდნენ და დალაქებს კი შიმშილისაგან სულის ამოხდომისა ეშინოდათ“, — მხრებამდე ჩამოყრილი თმებით დადიოდა, ძველგერმანულ შავი სერთუკითა და ჭუჭყიანი პერანგით შემოსილი მკერდზე „ბლიუხერის“ თეთრი ცხენის ძუით გატენილ მედალიონს ატარებდა, გერმანულ თეთრ ლუდს დიდი ტოლჩით სვამდა და გულზე ხელის ბრაგუნით ამტკიცებდა: „გერმანული ენერგია და უბრალოება ჯერ კიდევ არ გამქრალაო“²¹⁹) და „ატატროლში“ ფინიად გამოყვანილი ტევტომანური იდეების მიმდევარი შვაბური სკოლის პოეტის სახით, რომლის სიყვარულსაც სამშობლოსადმი შტუტგერტში მოხარშულ გუფთაზე დარდი და ფრანგების სიძულვილი განსაზღვრავს.

ილია ჭავჭავაძეც, ჭკეუკის ავბედობის მთავარ მიზეზად ზნეობრივი სიმდაბლისა და გონებრივი სიჩლუნგის გამომკვებავ მცონარობას რომ თვლიდა, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას უმოძრაობის შედეგად ჰაობად ქვეულ გუბეს ადარებდა და თავისი სატირით მკაცრად ამხელდა უდარდელ, კაცური კაცის ღირსების დამამცირებელ ცხოველურ არსებობას, დაუნდობლად გესლავდა ყალბ პატრიოტიზმს და ნიღაბს ხდიდა მამა-პაპათა ნაანდერძევის ვითომც-და დაცვის მიზნით პროგრესის წინააღმდეგ აღმდგარ რეაქციას.

218 ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 58—59.

* ბლიუხერი იყო პრუსიელი ფელდმარშალი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ვატერლოოსთან ნაპოლეონის დამარცხებაში.

219 პ. ჰაინე, „მოგზაურობის სურათები“, თბილისი, 1957, გვ. 53.

ცხოველური არსებობით კმაყოფილი, მცონარობის შედეგად კაცური კაცობის ღირსებამოკლებული და გონებაჩლუნგი ადამიანის ტიპიურ სახეს წარმოადგენს „ქარგი ნასუქი კურატივით“ „ქარგად ჩასუქებული ძველი ქართველი“, „წითელი, თურაშაულ ვაშლსავით“ ხაშხაშლოყე-ბიანი ლუარსაბ თათქარიძე თავისი „ღიღად პატივ-საცემი და პატივცემული ღიბით, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელებითა“²²⁰ დ. გულზე „ღორის ჭაგარივით მოდებული“ თმებით, სადაც „მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშიანობის დროს თავი შეეფარათ“²²¹.

ლუარსაბი — (რომელსაც „სახე მუდამ ერთ განსაკუთრებულ სულელობით უცინოდა ხოლმე“²²², ფიქრი და ზრუნვა ძილს არ უფრთხობდა, მადას არ ართმევდა „ქარგი ფერი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმაკამა ხომ რაღა“²²³, ზოგჯერ ქართველი კაცის აწინდელ ბედზე ჩაფიქრებული ძველ დროს რომ შენატროდა და დარწმუნებული, ადამიანი მარტოოდენ ძირგავარდნილი ქვევრია, „რომელსაც დღე-ყოველ უნდა ჩააყარო ხორავი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო... იტყოდა ხოლმე აღმოოხვრით... დრო გამოიცვალა — რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!... ჰამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარ სმენ, რა კაცები არიან? წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არ მხურავს განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი... ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზე იყო მოყვანილიო“²²⁴.) გრამფხვალდელთან ერთად მოგვაგონებს გრძნობადასშულ, გონებაჩლუნგ, „გადაუღაყებულ და ფუნჩულა, სულელურად ჰკვიანური სახის“ მქონე „გოსლარის ნასუქ მკვიდრს“²²⁵, რომელსაც მოჩვენებანი არ აწუხებს, სნეულებას უზმოზე გამონაყოფი ნერწყვით მკურნალობს და, ბუნების ყველა მოვლენაში მარტოოდენ მიზანშეწონილობასა და სასარგებლოს მხილველი, ამტკიცებს: „ხეები, მაგალითად, იმიტომ არის მწვანე, რომ მწვანე ფერი თვალებისთვის მარგებელია“²²⁶, ხოლო გრამფხვალდელის და შუკერტში მოხარულ გუფთას დანატრებული შვაბური სკოლის პოეტის პატრიოტობის რემინისცენციას იწვევს სატირულ ფელეტონში „სხარტულა (1)“. „ცისკრის“ რედაქტორის ივ. კერესელიძის „ყოვლად სანატრელი ძველი ჩვეულების მტკიცედ და შეურყვევად დაცვის გულმხურვა-

220 ი. ჰაქვაიაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. II, გვ. 128.

221 იქვე, გვ. 130.

222 იქვე, გვ. 130.

223 იქვე, გვ. 131.

224 იქვე, გვ. 129.

225 პ. ჰაინე, „მოგზაურობის სურათები“, გვ. 35.

226 იქვე, გვ. 35.

ლე²²⁷ სურვილი და რედაქტორის ერთგული ბაქიას (ამ ფსევდონიმით გამოჰყავს ილიას ანტონ ფურცელაძე) პასუხი პატრონის საყვედურის გამო — თერგდალეული რად შეაქეო: „ნება მიბოძეთ თავი გაეიმართლო ისინი რომ ვაქე, ყური მოვკარ, რომ თერგდალეულები არა ყრფილან, თორემ რათ ვაქებდი. ისინი ჩვენი საყვარელი მტკვარდალეულები არიან, ის მტკვარი დაუღვეიათ, რომელიც თქვენ ასე მშვენიერად აღწერეთ, როცა ჯერ კიდევ პოეტობაზედ ხელი არ აგეღოთ. აბა ლობიო-შეჭამანდი ის გახლდათ აი, ნივრით შენელებული!... ღოღო — შეჭამანდის სუნი ასდიოდა! ლექსებშიც კი გეტყობათ, რომ პატრიოტი ხართ: ღოღოს შეჭამანდი ხომ წმინდა ქართულია“²²⁸.

ჩამორჩენილი გერმანიის მანქიერებათა შეუფერავი მხილების, ტექტომანური შოვინიზმის რეაქციული არსისათვის ნიღაბის ახდისა და „მხვრინავი მიქელის“ უდრტეინველობის გესლიანი დაცივნის გამო ტექტომანები სამშობლოს სიძულვილს სწამებდნენ ჰაინეს, რომელიც ჯერ კიდევ 1822 წელს „წერილებში ბერლინიდან“ ადრესატს მიმართავდა: „მე ვამჩნევ, ჩემო ძვირფასო, რომ თქვენ მოღუშული მიყურებთ იმ მწარე გესლიანი ტონის გამო, რომლითაც ვლაპარაკობ ზოგჯერ საგნებზე, ასე ძვირფასი რომაა და ძვირფასიც უნდა იყოს სხვებისთვის. მაგრამ მე სხვანაირად არ შემიძლია. ჩემი გული მეტისმეტად აღგზნებულია ქემმარიტი თავისუფლების წყურვილით, რათა მრისხანებამ არ შემიპყროს, როცა ვუყურებ თავისუფლების ჩვენს წვრილფეხა გმირებს... ჩემ გულში მეტისმეტად ძლიერია სიყვარული გერმანიისადმი და პატივისცემა გერმანული სიდიადისადმი, რომ ბანი მიეცე უაზრო ყბედობას იაფფასიანი ადამიანებისა, რომლებიც ეკეკლუცებიან გერმანულ ეროვნულ გრძნობას: და ზოგჯერ იფეთქებს ჩემში სურვილი უშიშარი ხელით ჩამოგვლიჯო შარავანდი ძველ ტყუილს და თვით ღომს ჩამოეჭაჩო ტყავი, რადგან ვგრძნობ მის ქვეშ დამალულ ვირს“²²⁹. ხოლო 22 წლის შემდეგ წინასიტყვაობაში პოემისა „გერმანია, ზამთრის ზღაპარი“, იმავე რეაქციონერ ტექტომანთა მიერ სამშობლოს მოღალატედ გამოცხადებული პოეტი მათ კიჟინს: „შენ შეურაცხყოფ ჩვენს ფერებსაც: კი, სამშობლოს მოღალატეც და ფრანგების მეგობარო“, ასე პასუხობდა: „დამშვიდდით! მე პატივსა და თავყანს ვცემ თქვენს ფერებს, როცა ამას დაიმსახურებენ. ასწიეთ შავ-წითელ-ყვითელი დროშა გერმანული აზროვნების სიმალემდე, აქციეთ იგი თავისუფალი ადამიანობის სტანდარტად და ჩემი გულის საუკეთესო სისხლს შეეწირავ მას. დამშვიდდით! მე თქვენზე ნაკლებად არ მიყვარს სამშობლო. ამ სიყვარულის

227 ი. კავკავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. 111, გვ. 225.

228 იქვე, გვ. 233.

229 H. Heines Werke, Herausgegeben von H. Laube, Bd. 3, S. 3.

გამო ცამეტი წელი გავატარე გადასახლებაში და ამავე სიყვარულის გამო ვბრუნდები უკანვე, უცხოეთში, იქნებ სამუდამოდაც“²³⁰.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯ მხარეთა სააშკარაოზე გამოტანის გამო სამშობლოს სიძულვილში სდებდნენ ბრალს ცრუპატრიოტები ილია ჭავჭავაძესაც. რომელიც ღრმად დააწმუნებულა, რომ მანკიერებათა დაუნდობლად მზილება და მათ წინააღმდეგ განუწყვეტლივ ბრძოლა იყო უებარი წამალი გასაწმენდად იმ გუბისა, რომელსაც „ქართველები, ქვეყნის სამასხაროდ, ცხოვრებას ეძახიან“²³¹, „პასუხში“ გამოთქმული რწმუნებისამებრ („მე ყიზილბაშობა არცა მყვარებია და არც მიყვარს. მე როგორც მესმის, ისე ვლაპარაკობ და პირდაპირ გეუბნები კაცს: ეს ცუდია და ეს კარგია-მეთქი“²³²), სწორედ სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულის გამო პირდაპირ ლაპარაკობდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების „მყარალ წუმპედ“ ქცევის მახინჯ მხარეებზე. ისევე როგორც ჰაინეს, არც „მოყვარეს პირში უძრახეს“ პოზიციაზე მდგომ ილიას აუღია ხელი სამშობლოს სიყვარულით ნაკარანხევ არჩეულ გზაზე და, თავისი რწმენის ერთგული მიმდევარი, ღვარძლიანი ცილისწამების გამო რომ წერდა —

ჩემზე ამბობენ: „ის სიავს ქართლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ვე ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია! —²³³.

საქართველოსა და ქართველებისადმი თავისი დამოკიდებულების გამო აღნიშნავდა: „საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე-სიკუდე კი ყველგან საზიზღარია ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი, ორნივე წყალში გადასაყრელნი იქნებიანო“²³⁴.

ყურადღებას იპყრობს ჰაინესა და ილიას მოსაზრებათა ანალოგიურობა მორალურ-ესთეტიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, თუ რელიგიურ შეხედულებებზე, როგორც ისტორიულ კატეგორიაზე და ამიტომაც საგნებსა და მოვლენებზე მსჯელობისას კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებათა გათვალისწინების აუცილებლობაზე.

ჰაინე „რომანტიკულ სკოლაში“ იმის აღნიშვნის შემდეგ, რომ „რამდენადაც რიგ საუქუნეთა განმავლობაში განუწყვეტლივ (immer) იქმნე-

²³⁰ H. Heines Werke, Herausgegeben von H. L a u b e, Bd. 3, S 3.

²³¹ ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. II, გვ. 564.

²³² იქვე, გვ. 47.

²³³ იქვე, ტ. I, გვ. 75.

²³⁴ იქვე, ტ. III, გვ. 69.

ბა ახალი რელიგია და ზნე-ჩვეულებაში (in die Sitten) მისი დამკვიდრების შედეგად ყალიბდება ახალი მორალი, იმდენად ყოველ ახალ ეპოქას ზნედაცემულ-მწამებლურად (unmoralisch verketzen) უნდა გამოეცხადებინა გარდასულ დროთა ნაწარმოებნი, თუკი ისინი თანამედროვე მორალის თვალსაზრისით იქმნებოდნენ განხილულიო“²³⁵, ამბობდა: „ღი-ახ, ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც ერთ ქვეყანაში ზნეობრივად ითვლება, სხვაგან, სადაც ზნე-ჩვეულებებში სხვა რელიგია დამკვიდრებულია, შეიძლება უზნეო ნაწარმოებად იქნეს გამოცხადებული; მაგალითად, ჩვენი სახვითი ხელოვნება მართლმორწმუნე მუსლიმანთა ზიზლს იწვევს და, პირიქით, ზოგიერთი ხელოვნება, სრულიად უმანკოდ მიჩნეული აღმოსავლეთის პარამხანებში, ქრისტიანთათვის შემადრწუნებელია“²³⁶.

ილია ჭავჭავაძე კი დიდმარხვის დადგომასთან დაკავშირებით დაწერილ „შინაურ მიმოხილვაში“ ცოდვა-მადლის საკითხს ეხება და წერს: „რაც გუშინ ცოდვად აღიარებულა, დღეს ის მადლად მიგვაჩნია, რაც ერთ ქვეყანაში მადლად ჩაეთვლება ადამიანს, ის მეორეში ცოდვაა, რაც ერთ შემთხვევაში ცოდვაა მომაკვდინებელი, ის სახელოვანი საქმეა მეორეში. მაგალითებრ, უწინ გალილეი კინალამ ცეცხლზე დასწევს, — რათა სთქვიო მზე სდგას და დედამიწა ტრიალებსო, და ახლა კი რომ პირველი კლასის ბალმა ეგ არა სთქვას, როზგით გაჰხეთქენ. სპარსეთში რომ მთავრობას აშკარა ცუდი რამ დაუწუნო, ენას მოგაჰკრიან, ინგლისში რომ ეგვეე ჰქმნა, გზას მოგცემენ დიდებისა და სახელისათვის“²³⁷.

ჰაინესა და ილიას შემოქმედებიდან მათი შეხედულებების ანალოგიურობის დასასაბუთებლად ამოწერილი ადგილებიდან აშკარად ჩანს მოვლენებისადმი დამოკიდებულების, მათი გააზრების, განზოგადოების ახსნისა და მხატვრულ-პუბლიცისტური გამოსახვის ტიპოლოგიურობა, რაც ცალკეულ ნაწარმოებთა მიბაძვასა თუ პეიზაჟთა რემინისცენციებზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია და რელიეფურად გამოხატავს შესადაარებლად აღებულ ავტორთა როგორც იდეურ-მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ შეხედულებათა, ისე მხატვრული პრაქტიკის მსგავსება-განსხვავებას.

დასასრულ, აღსანიშნავია ისიც, რომ ილიას ნაწერებში ავტორის დაუსახელებლად მოხმობილ უცხოელ მოღვაწეთა შეხედულებებიდან, — რომელთაც, როგორც წესი, წამძღვარებული ან დართული აქვს დათქმა: „ამბობს ერთი ჩვენი დროის ფილოსოფოსი“, „სთქვა ერთმა ბრძენმა“, „უთქვამს ბრძენს“ და ა. შ. — ზოგიერთი ამა თუ იმ გერმანელ მოაზ-

235 პ. ჰაინე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 183.

236 იქვე, გვ. 184.

237 ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. V, გვ. 327.

როვნეს ეკუთვნის. მაგ., წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია-
ეურნალის საგნად „აწინდელ ცხოვრებას“ მიიჩნევს და თავისი შეხედუ-
ლების განსამტკიცებლად ციტატის სახით, ბრჭყალებში, მოხმობილი აქვს.
აფორიზმი: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალი-
სა“ — ამბობს ერთი ფილოსოფოსი“²³⁸. ეს აფორიზმი უბრჭყალებოდ
არის გამოყენებული წერილში „ერი და ისტორია“, — „ამიტომაც არის
ნათქვამი ერთის ბრძენისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის
მშობელი მერმისისაო“²³⁹. იგივე აფორიზმი, რომლის გამეორებაც ასე
უყვარდა ილიას და რომელიც ლაიბნიცს ეკუთვნის, ილიას ავტორის და-
სახელებით ეპიგრაფად წაუძმღვარებია „ქართველის დედისათვის“ —

აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავლისა.

ლ ე ი ბ ნ ი ც ი, 240

ილიას სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის
გადმოსვენებაზე, იწყება ციტატით: „თვითელა ცემა გულის ღარდვისა
გვკრის და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდან სი-
სხლის შეუწყვეტელი დენა-იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფი-
ლიყო“, — სთქვა ერთმა ბრძენმა“²⁴¹. ეს ამონაწერი ზუსტი თარგმანია
პოეზიაზე ბოერნეს შეხედულებისა, რომელიც ჰაინესაც წაუძმღვარებია
ეპიგრაფად „მოგზაურობის სურათებისათვის“.

*

ჩვენ შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად, ამომწურავად გვეჩვენებინა გე-
რმანული კლასიკური ლიტერატურის ადგილი ილია ჭავჭავაძის შემოქ-
მედებაში.

წარმოდგენილი მასალის ანალიზიდან, ვფიქრობ, ცხადად ჩანს, რომ
მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თანამედროვე დონეს სა-
ფუძვლიანად გაცნობილი ილია შემოქმედებითად იყენებდა მათ შილ-
წევებს როგორც მხატვრულ პრაქტიკაში; ისე კრიტიკულ-თეორიულ ნა-
აზრევეში და თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ერის ჭმუნ-
ვასა და სიხარულში მის მოძმედ მყოფი გაბედულად მიუძღვოდა წინ ერს.

238 ი. ჭავჭავაძე, ზემოდასახელებული თხზულებანი, ტ. III, გვ. 67.

239 იქვე, ტ. IV, გვ. 200.

240 იქვე, ტ. I, გვ. 30.

241, იქვე, ტ. III, გვ. 250.

1749 წლის 28 აგვისტოს, დღის 12 საათზე, შაინის ფრანკფურტში დაიბადა იოჰან ვოლფგანგ გოეთე, რომელსაც წილად ხედა თავისი საუკუნის ფიქრთა მპყრობელი ყოფილიყო. გოეთეს დიდი პაპა — ტიურინგიაში, მანსფელდის საგრაფოს პატარა ქალაქ არტერნში მცხოვრები პანს ქრისტიან გოეთე — მკედელი ყოფილა; პაპა — ფრიდრიხ გეორგ გოეთე — მკერავი. ფრიდრიხი დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ფრანკფურტში დამკვიდრებულა. იქ პირველი მეუღლის გარდაცვალების შერე მკერავისავე მდიდარი ქვრივი კორნელია შერნჰორნი შეურთავს, კერვისთვის თავი დაუნებებია, ცოლის მზითევში მოყოლილ სასტუმროს ყაირათიანად გასძლოლია და ქონება უმრავლებია.

ფრიდრიხ გეორგემ კორნელიასთან შექმნილ თავის უმცროს ვაჟს იოჰან კასპარს — იოჰან ვოლფგანგ გოეთეს მამას — იურიდიული განათლება მიაღებინა. 1736 წელს 26 წლის იოჰან კასპარმა იურისპრუდენციის დოქტორის ხარისხი მოიპოვა. შერე უნარიანად გამოიყენა მამისაგან დატოვებული 60 000 გულდენი: იტალიაში, საფრანგეთსა და პოლანდიაში იმოგზაურა, 1742 წელს იმპერატორმა კარლოს VII იმპერიის მრჩეველის ტიტული უბოძა და ფრანკფურტის თვალსაჩინო პატრიცი გახდა.

1748 წელს პირდაპირმა, სიმართლისა და შრომისმოყვარემ, მაგრამ მეტისმეტად ჭიუტმა, პედანტურად შშრალმა, ცივმა და მკაცრი ხასიათის იოჰან კასპარმა შეირთო ფრანკფურტის მამასახლისის, იოჰან ვოლფგანგ ტექსტორის ქალი, — კატარინა ელისაბედ ტექსტორი.

მეუღლისაგან განსხვავებით, ფრაუ აია (ასე მიმართავდნენ გოეთეს დედას მახლობლები) მხიარული, გულთბილი, ყველას მოსიყვარულე, სათნო ხასიათის ქალი ყოფილა. გატაცებით უყვარდა თურმე პოეზია და მუსიკა. მდიდარი ფანტაზია და საოცრად მომხიბლავი თხრობის უნარი ჰქონია. დედის ეს ნიჭი მემკვიდრეობით გამოჰყოლია ვოლფგანგ გოეთეს.

„პოეზიასა და სინამდვილეში“ გოეთე წერს: „მამისაგან შემგონებლური მეტყველება გადმომეცა მემკვიდრეობით, დედისაგან კი — უნარი, დამაჭერებლად და ცოცხლად გამომეხატა ყველაფერი, რასაც ფანტაზია წარმოქმნის და მოიცავს... მშობლებისაგან გადმოცემული ორივე ეს უნარი შეერთებული მესამესთან — სახეებით და შედარებებით გამოხატვის მოთხოვნილებასთან — განუყრელად თან მახლდა მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე“.

უბადრუკი იყო გერმანული გარემო, რომელშიც აღიზარდა და მო-
ღვაწეობდა გოეთე. ოცდაათწლიანი ომებით წელში გაწყვეტილი, ეროვ-
ნული კატასტროფის დამაგვირგვინებელი ვესტფალის ზავით (1648 წ.)
სამასზე მეტ ჯიბის სახელმწიფოდ დაქუცმაცებული გერმანია XVIII
საუკუნეში წარმოადგენდა ერთიანად „ხრწნად და ლპობად მასას“, სა-
დაც „არავინ გრძობდა თავს კარგად“ და „რამე სასიკეთო ცვლილებე-
ბის იმედიც კი არ ჩანდა; რადგან ხალხში არ იყო ძალა, რომელიც შე-
ძლებდა მიწის პირიდან აღეგავა დრომოკმულ დაწესებულებათა გახრ-
წნილი სხეული“ (ენგელსი).

გოეთეს უნდა სძულებოდა ეს გარემო, რომელზედაც, იმავდროუ-
ლად, მიჯაჭვული უნდა ყოფილიყო და სძულდა კიდევ იგი. „გოეცის“,
„პრომეთეს“ და „ფაუსტის“ ავტორი უმხედრდებოდა ამ საცოდავ გა-
რემოცვას, „მეფისტოფელის გესლიანი დაცინებით ჰკილავდა“ „გერმა-
ნულ უბადრუკობას“ და სურდა გაჰქცეოდა მას. მაგრამ „ერთობ გამჟ-
რიახი გონების“, „ერთობ უნივერსალური და აქტიური ბუნების“ კაცი,
რომელსაც „ყველა მისი სულიერი მისწრაფება პრაქტიკული ცხოვრე-
ბისაკენ უბიძგებდა“, კარგად ხედავდა, რომ არსებულ ვითარებაში ეს
სასიცოცხლო გარემო ერთადერთი იყო, სადაც მოქმედება შეიძლებო-
და და, ამ შეგნების კარნახით, ჭაობად ქცეული სინამდვილის პრაქტი-
კულად გარდაქმნის და არა „უხამსი უბადრუკობის მაღალფარდოვანი
უბადრუკობით შენაცვლების“ მსურველი, იმისათვის, რომ არსებობა შე-
ენარჩუნებინა და ქვეყნის საკეთილდღეოდ ემოღვაწა, იძულებული იყო
სინამდვილესთან კომპრომისზე წასულიყო, მაგრამ ისე, რომ ამ ქუჭყშიც
სუფთა დარჩენილიყო და ამ მონობაშიც თავისუფლება შეენარჩუნებინა.

ღიახ, „კოლოსალურად დიდ“ გოეთეს ზიზღს ჰგვირია ფილისტე-
რული გარემო. „ფრანკფურტელი პატრიცის ფრთხილი შთამომავალი და
ვაიმარელი საიდუმლო მრჩეველი“ ზოგჯერ ხარკსაც უხდიდა „გერმანულ
უბადრუკობას“, რომელსაც არაერთხელ დაუმარცხებია იგი, მაგრამ
„ურჩ, დამცინავ, ქვეყნის მჭირდავ გენიოსსა“ და „ფრთხილ, ყველაფ-
რით კმაყოფილ, ვიწრო ფილისტერს“ შორის წარმოებულ მუდმივ ჰი-
დილში ფილისტერს, საბოლოოდ, ყოველთვის სძლევდა გენიოსი, ვის
მაღალპუმანურ, ცხოველყოფელ იდეებს პროგრესული ძალები ბასრ
იარაღად იყენებენ რეაქციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაში.

ეს მუდმივი ჰიდილი გენიოსსა და ფილისტერს შორის აღბეჭდილია
„უდიდესი გერმანელის“ შემოქმედებაში, რომელიც, გოეთეს აღიარები-
სამებრ, მთელი მისი ცხოვრების აღსარებაა. „პოეზიისა და სინამდვი-
ლის“ მეშვიდე წიგნში ვოლფგანგი თავად აღნიშნავს, ლაიფციგის პე-
რიოდიდან „დაიწყო გზა, რომლისგანაც არასოდეს გადამიხვევია მთე-
ლი ჩემი ცხოვრების მანძილზე: სახელდობრ, ყველაფერი, რაც მახარებ-
და თუ მაწუხებდა, ან უბრალოდ ჩემს ყურადღებას იპყრობდა, სახეე-

ბად, ლექსებად მექცია... ამიტომაც ყველაფერი, რაც კი გამომიქვეყნებია, არის მხოლოდ ნაწყვეტები დიდი აღსარებისა, რომლის შევსება-საც ამ წიგნში შევეცადე“.

ამ გზისთვის მომზადებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იოჰან კასპარის პედაგოგიურმა უნარმა. შეზღუდულმა, პედანტიურად მშრალმა, მაგრამ ფართო განათლების მქონე იოჰან კასპარმა სწორად წარმართა ვოლფგანგის აღზრდა, გაუღვივა შეილს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და შეაჩვია იგი წაკითხული თუ ცოცხალი გარემოდან მიღებული შთაბეჭდილებების წერილობით ჩამოყალიბებას.

იოჰან კასპარი ენების დიდი მოყვარული იყო. პატარა ვოლფგანგიც ენების შესწავლის საგანგებო ნიქს იჩენდა. ბავშვობაშივე გაიწაფა ბერძნულში, ლათინურსა და იტალიურში. ათი წლის ყრმა დამოუკიდებლად დაეუფლა ფრანგულსაც, მერე ინგლისური აითვისა და, ცოდნას დახარბებულმა, ძველებრაულის შესწავლას მიჰყო ხელი. თუმცა ძველებრაულში დიდი წარმატებისათვის ვერ მიუღწევია, მაგრამ იმ ენასთან დაკავშირებით მამის მიერ მასწავლებლად აყვანილი გიმნაზიის რექტორის აღზრდის ხელმძღვანელობით საფუძვლიანად შეუსწავლია ბიბლია. ბიბლიიდან მიღებული შთაბეჭდილებების შედეგია „იოსები“ — ორი ათასზე მეტ სტრიქონიანი პოემა, თითქმის ერთადერთი შემონახული ბავშვობისდროინდელი ნაწარმოები ვოლფგანგისა.

იოჰან კასპარ გოეთე მოხიბლული ყოფილა იტალიით. მის კაბინეტს ამშვენებდა იტალიაში მოგზაურობისას შეგროვილი კოლექცია, იტალიური პეიზაჟები და ძველი ღრმის სანახაობანი. ცნობისმოყვარე ვოლფგანგიც საათობით უცქერდა მათ აღტაცებული და მისი ინტერესი ნარინჯების ქვეყნისადმი სულ უფრო იზრდებოდა.

მამამ შეაყვარა ვოლფგანგს სპორტიც, ყრმობიდანვე შეასწავლა ფარიკაობა და ცხენოსნობა. გოეთეს ტოლი არ ჰყავდა ციგურებით სრი-ალშიც.

შიშნარევე მოკრძალებას იწვევდა გოეთეში მკაცრი მამა. სამაგეროდ დედა იყო მისი გულის მესაიდუმლე და მეგობარი. ფრაუ აიამ გაუღვივა ვოლფგანგს ფანტაზია, შეაყვარა ზღაპრები და პოეზია.

მშობლებთან ერთად, ცხოვრება იყო ბავშვობიდანვე გოეთეს დიდი მასწავლებელი. ყრმა გოეთეზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ლისაბონის კატასტროფამ (1655) და შეიდწლიან ომთან (1656—1663 წწ.) დაკავშირებულმა მოვლენებმა.

მიწისძვრის შედეგად პორტუგალიის დედაქალაქის დანგრევამ და ათეული ათასობით ადამიანის დაღუპვამ დააუკუა ექვსი წლის ბავშვი ღმერთის ყოვლად მოწყალებასა და არსებობაშიც კი (ეს ექვი ყრმა გოეთეს კიდევ უფრო გაულრმავე ბიბლიის შესწავლამ), ხოლო შეიდწ-

ლიან ომთან დაკავშირებით წარმოშობილმა მწვავე ოჯახურმა უთანხმოებამ, სიძე-სიმამრი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ გადაჰკიდა, ვოლფგანგი ავტორიტეტთა შეხედულების უკრიტიკოდ მიღების ნაცვლად ყოველ საგანსა და მოვლენაზე საკუთარი აზრის შექმნის აუცილებლობაში დაარწმუნა.

სასიკეთო აღმოჩნდა გოეთესათვის 1759 წელს ავსტრო-უნგრეთის მოკავშირე ფრანგთა არმიის შეჭრა ნეიტრალურ ქალაქ ფრანკფურტში. გოეთეანთ ბინაში ჩასახლდა ფრანგი ოფიცერი. მდიდარი და განათლებული ლეიტენანტი — გრაფი ტორანი ხელოვნების დიდი მოყვარულიც აღმოჩნდა. მან ვოლფგანგის ოთახი ფერწერის სახელოსნოდ აქცია, სადაც მოპატივებული მხატვრები ლეიტენანტის დაკვეთით ქმნიდნენ ტილოებს. გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს მათ მუშაობას ვოლფგანგი. მხატვრული გემოვნების განვითარებასთან ერთად ფერწერის საიდუმლოებებშიც საფუძვლიანად გაერკვა ნიჭიერი ყრმა. ფრანგულად პრაქტიკულ მეტყველებასაც იმ პერიოდში დაეუფლა იგი.

გაოცებას იწვევს ყრმა ვოლფგანგის მრავალმხრივი ინტერესი, მისი ენერჯია და ნებისყოფა. ათი წლის ბავშვი უკვე ფლობდა რამდენიმე ენას, ფერწერას და მუსიკას სწავლობდა, შეიღის იურიდიული კარიერისათვის მზრუნავი მამის მიერ დასახული პროგრამით იურიდიულ კატეხიზმოებს იზეპირებდა, მათემატიკასაც ეძალებოდა (თუმცა ეს საგანი, ისევე როგორც გრამატიკა, არ უყვარდა) და სპორტსაც მისდევდა, თანაც ბევრს კითხულობდა და ბევრსაც თხზავდა. მრავალი პიესა, ზღაპარი. მეტადრე ლექსი შეუთხზავს. ბავშვობისას გოეთეს, მაგრამ სტუდენტობისას დაუწევავს ისინი. შემთხვევით გადარჩენილი ზემოთ დასახელებული პოემა „იოსები“ და რამდენიმე სტრიქონი ტრაგედია „ბალთაზარადან“, ბავშვობაშია შეთხზული „პოეზიასა და სინამდვილეში“ მოთავსებული მშვენიერი ზღაპარიც „ახალი პარისი“.

ახლობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს შორის თურმე დიდი წარმატებით სარგებლობდა გოეთეს ლექსები „შემთხვევათა გამო“. ამ ლექსებთან არის დაკავშირებული გოეთეს ყრმობისდროინდელი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ერთმა თანატოლმა („პოეზიასა და სინამდვილეში“ პილატედ წოდებულმა) გოეთე გააცნო „დაბალ წრიდან“ გამოსულ რამდენიმე ახალგაზრდას, რომლებმაც გადაწყვიტეს ესარგებლათ ახალი ნაცნობის პოეტური ნიჭით; აწერინებდნენ მას შეკვეთით სატრფიალო, საქორწინო, სამგლოვიარო და ა. შ. ლექსებს „შემთხვევის გამო“ და აღებული ფულით დროს ატარებდნენ.

ამ წრეში გაიცნო ვოლფგანგმა მშვენიერი გარეგნობის, თავდაპირველი და მოკრძალებული ქცევის გოგონა — 16 წლის გრეთხენი. ქერთმიანმა გრეთხენმა მოხიბლა გოეთე. ერთხელ მხიარულ კომპანიას სანდომიანი სახის ვინმე ახალგაზრდა შეუერთდა. გოეთეს მოეწონა იგი და

შეპირდა რეკომენდაციას პაპა ტექსტორთან. ფრანკფურტის მამასახლისმა შეილიშვილს თხოვნა შეუსრულა და უცნობ კაცს ქალაქის სამმართველოში აღმოუჩინა ადგილი. ახალი თანამშრომელი ყალბისმქმნელი აღმოჩნდა და დააპატიმრეს. მასთან ერთად დააპატიმრეს იმ კომპანიის ყველა წევრი, მათ შორის გრეთხენიც, ხოლო მამასახლისის შეილიშვილი ხელისუფლების დავალებით გოეთეანთ ოჯახის მეგობარმა მრჩეველმა შრედერმა შინ დაკითხა.

თიებამ დაამტკიცა, გოეთეს დანაშაული მარტოდენ ის იყო, რომ მისთვის „შეუფერებელ“, „დაბალი წრის“ ახალგაზრდებს დაუკავშირდა და მათი შეკვეთით ლექსებს წერდა. ყალბისმქმნელობაში უდანაშაულონი აღმოჩნდნენ იმ მხიარული კომპანიის სხვა წევრებიც, მეტადრე გრეთხენი, მაგრამ ქალაქის ხელისუფლებამ ისინი ფრანკფურტიდან გაასახლა.

ეჭვი არაა, ეს უსამართლო განაჩენი შეესატყვისებოდა პაპა ტექსტორის და იოჰან კასპარის სურვილს — ვოლფგანგისათვის ჩამოეშორებინათ მათთვის მიუღებელი კომპანია, განსაკუთრებით გრეთხენი.

მწვავედ განიცადა ვოლფგანგმა სატრფოს დაკარგვა. ნერვიულმა ციებ-ციხელებამ შეიპყრო იგი და ლოგინად ჩავარდა. პირველი სიყვარულის დაკარგვით გამოწვეული ტკივილების დაამებას ხელი შეუწყო გრეთხენის ჩვენებამ. გოეთემ გაიგო: გამომძიებლისათვის გრეთხენს უთქვამს: ვოლფგანგს ყოველთვის ისე ვეპყრობოდი, როგორც ბავშვსო. გოეთემ, რომელსაც თავი უკვე დასრულებულ ვაჟაკად მოჰქონდა, იუჟადრისა მასზე ორიოდ წლით უფროსი გრეთხენის ეს აღიარება და შეეცადა გულიდან ამოეგდო იგი. მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე ახსოვდა პოეტს ქერთამიანი გოგონას პირველი კოცნა.

1765 წლის შემოდგომაზე გოეთე ჩავიდა ლაიფციგში, „პატარა პარიზად“ წოდებულ საეპრო და საუნივერსიტეტო ქალაქში, რომელთან შედარებითაც ფრანკფურტი პროვინციის მიყრუებულ ქალაქად მოეჩვენა. აქ იგი 19 ოქტომბერს, მამის სურვილით, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხეს. თავად გოეთეს კლასიკური ფილოლოგია აინტერესებდა და სემესტრის დასაწყისში სცადა კიდევ ფაკულტეტი გამოეცვალა, მაგრამ ისტორიისა და სახელმწიფო სამართლის პროფესორმა ბოემემ, ვისთანაც მამის სარეკომენდაციო ბარათი ჰქონდა, კატეგორიულად განუცხადა, მშობლების ნებართვის გარეშე ამის უფლებას არ მოგცემო. ვოლფგანგიც იძულებული გახდა ბედს შერიგებოდა.

თავდაპირველად ბეჭითად ესწრებოდა გოეთე სამართლისმცოდნეობის, ლოგიკისა და ფილოსოფიის პროფესორ-მასწავლებელთა ლექციებს და გულმოდგინედ ისმენდა ეთიკისა და სიტყვაკაზმული მწერლობის კურსს, რომელიც იმ დროს სახელგანთქმულ მორალისტს, მოიგავარაკეს და „ცრემლიანი კომედიების“ ავტორს ქრისტიან ფურხტეგოტ გე-
26. დ. ლაშქარაძე

ლერტს მიჰყავდა. მაგრამ ცოცხალ აზრს დანატრებულ ვოლფგანგს მალე აუცრუა გული ლაიფციგის უნივერსიტეტის „ოთხივე ფაქულტეტის“ (ღვთისმეტყველების, იურისპრუდენციის, ფილოსოფიისა და მედიცინის) „გონებაჩლუნგმა პედანტიზმმა“ და 16 წლის სტუდენტი ლაიფციგის მაღალი საზოგადოების თავაშვებულ ცხოვრებაში გადაეშვა. სწორედ ამ დროს გაიცნო მან ანა-ეკატერინა — მშვენიერი ასული მიკიტან შონეკოვისა, რომელთანაც სადილობდა გოეთე სხვა სტუდენტებთან ერთად. გოეთე გაიტაცა ანა-ეკატერინამ, რომელსაც თავის ნაწერებში ხან ანხენს უწოდებს, ხანაც ანეტას. ანხენსაც თავდავიწყებით შეუყვარდა მიშხიდველი გარეგნობის ჭბუჭი. მაგრამ ეპკიანი სატრფო აღმოჩნდა ვოლფგანგი, სცენებს უმართავდა და ხშირად აღვრევივინებდა ცრემლებს ანხენს, რის გამოც საბოლოოდ გული გაუცივდა პოეტზე. ამო აღმოჩნდა გოეთეს ცდა მოებრუნებინა ანხენის გული. სასოწარკვეთილებამდე მისულმა, სატრფოს დაკარგვით გამოწვეული დარდის გასაქარვებლად, უმატა ლუდის სმას, ჭეიფსა და დროსტარებას. მაგრამ ტკივილების მოშუშება მარტოოდენ პოეზიის სწრაფებით შეძლო. ანხენისადმი არის მიძღვნილი ლაიფციგის პერიოდში დაწერილი ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი, ანხენთან მისი დამოკიდებულება უდევს საფუძვლად „შეყვარებულის ჭირვეულობას“ — პირველ პიესას, რომელშიც მტლავნდება გოეთეს უნარი პირადად განცდილის პოეტური გამოხატვისა.

ანხენისადმი მიძღვნილი ლექსები, ისევე, როგორც ლაიფციგის პერიოდის სხვა ნიმუშებიც პოეტისა, დიდ ხარკს უხდის XVIII საუკუნის გერმანულ ლიტერატურაში გაბატონებული მიმდინარეობისათვის ნიშანდობლივ თვისებას: ალეგორიულობას და აღმწერლობით ხასიათს. მაგრამ როკოკოს სტილით აღბეჭდილ ამ პერიოდის ზოგიერთ ლექსშიც უკვე ჩანს მომავალი დიდი ლირიკოსი, რომელიც საოცარი გულწრფელობით გადმოგვცემს უშუალო განცდას.

ლაიფციგის უნივერსიტეტის „გონებაჩლუნგი პედანტიზმით“ გულგატეხილ და მაღალი წრის საზოგადოების თავაშვებულ ცხოვრებაში ჩაბმულ გოეთეს არასოდეს განელებია ინტერესი სიტყვაკაზმული მწერლობისა და ხელოვნების მიმართ. იგი სისტემატურად ადევნებდა თვალყურს ლიტერატურულ ცხოვრებას. როგორც გოტშედის, ისე ბოდმერისა და ბრაიტინგერის მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებებით დაუკმაყოფილებელ გოეთეზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია ლესინგის „ლაოკონისა“ და „მინა ფონ ბარნჰელმს“, თუმცა იმ პერიოდში უფრო ვილანდის გავლენას განიცდიდა, რომელიც სულ რამდენიმე წლის შემდეგ მკვეთრად გააკრიტიკა ფარსში „ღმერთები, გმირები და ვილანდი“.

ლიტერატურით, თეატრითა და მუსიკით გატაცებულმა გოეთემ გადაწყვიტა ფერწერაშიც განეგრძო ფრანკფურტში დაწყებული მეცადი-

ნეობა და ლაიფციგის სამხატვრო აკადემიის დირექტორ ოეზერთან დაიწყო მუშაობა. იმავდროულად, დრეზდენის სამხატვრო გალერეის — „დიდებულად მორთული ღვთის სასახლის“ დათვალიერების შემდეგ, საგრაფიურო ხელოვნების შესწავლასაც შეუდგა გრაფიორ შტოკთან.

თავაშეებულმა ცხოვრებამ, უამრავმა ლუღმა და ყავამ, განსაკუთრებით კი გრაფიურებისას ანაორთქლით მოწამლული პაერის სუნთქვამ შეარყია გოეთეს ჯანმრთელობა, მოულოდნელად დაეწყო ყელიდან სისხლის ღებინება და 1768 წლის აგვისტოში მძიმედ დაავადებული შინ დაბრუნდა.

თითქმის ორ წელიწადს გაგრძელდა გოეთეს ავადმყოფობა, მაგრამ საწოლზე მიკრულსაც არ შეუწყვეტია მუშაობა. ავადმყოფობისას დაამთავრა გოეთემ „თანადამნაშავენი“, პიესა, რომელშიც უკანასკნელად გადაუხადა ხარკი გერმანულ კლასიციზმსა და როკოკოს.

„თანადამნაშავენი“ ახალგაზრდა პოეტის პირველი ცდაა, უჩვენოს ნამდვილი სახე თანამედროვე საზოგადოებისა, სადაც, მისივე აღიარებით, „რელიგია, ზნე-ჩვეულება, კანონი, წოდებრივი ღირსება, ადამიანთა კეთილი ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ ნიღბებია, რომლის მიღმა ზნეობრივი განხრწნილება, მური, უნდობლობა, გაუტანლობა და ურთიერთმტრობა იმალება“.

დაავადებული გოეთეს ზშირი სტუმარი იყო ფროილიან ფონ კლეტენბერგი, ფრაუ აიას უფროსი მეგობარი და ნათესავი. პიეტისტთა სექტის ერთგულმა მიმდევარმა ფროილიან კლეტენბერგმა გოეთე ფრანკფურტელ პიეტისტთა წრეს დაუახლოვა და ალჰიმისადმი ინტერესი აღუძრა.

ველინგის, თეოფრასტე პარცელზუსის, ჰელმონტის და სხვა ალჰემიკოსთა ნაწერების შესწავლამ მალე დააჩქარა გოეთე ალჰიმის ცრუმეცნიერულ რაობაში. იმავდროულად სწორედ პარცელზუსის, ჰელმონტისა და სხვათა შეხედულებები ღმერთისა და ბუნების იგივეობაზე დაედო საფუძვლად გოეთეს პანთეიზმს გაცილებით უფრო აღრე, ვიდრე გაეცნობოდა „ეთიკას“ ბარუხ სპინოზასი, რომელსაც გოეთე „არაჩვეულებრივ პიროვნებად“ და „დიადი გონის“ კაცად მიიჩნევს. „სპინოზამ უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემს აზროვნებაზე“-ო, აღნიშნავს იგი „პოეზიასა და სინამდვილეში“. ამოდ ვეძებდი მთელ ქვეყანაზე ჩემი თავისებური (wunderlich) არსების ჩამოსაყალიბებელ საშუალებას, — წერს გოეთე იქვე, — როცა უეცრად წავაწყდი ამ კაცის (სპინოზას, — დ. ლ.) „ეთიკას“... მან დაამშვიდა ჩემი ენებანი. მომეჩვენა, რომ ჩემს წინ გადაიშალა გრძნობადი და ზნეობრივი სამყაროს დიადი და თავისუფალი პერსპექტივა, განსაკუთრებით მიიპყრო ჩემი ყურადღება მისი ყველა დებულებიდან გამოსხივებულმა უსაზღვრო უანგარობამ, საო-

ცარმა სიტყვებმა: „ვისაც ნამდვილად უყვარს ღმერთი, არ უნდა მოითხოვდეს, რომ ღმერთსაც უყვარდეს იგი“.

1770 წლის გაზაფხულზე გოეთე სწავლის გასაგრძელებლად შტრასბურგში ჩავიდა, ასი წლის წინათ ფრანგების მიერ დაპყრობილი ელზასის დედაქალაქში, რომლის მოსახლეობის დიდ ნაწილსაც გერმანელები შეადგენდნენ. შტრასბურგში გამუდმებული ბრძოლა იყო გერმანულ და ფრანგულ გავლენათა შორის და, იქნებ ამიტომაც, XVIII საუკუნის გერმანიის არც ერთ კუთხეში არ შეინიშნებოდა ისე გამოკვეთილად ეროვნული წარსულთ სიამაყის გრძნობა, ერის აწინდელი და მომავალი მდგომარეობით დაინტერესება, როგორც იქ. ნაწილობრივ ამ ვითარებით უნდა აიხსნას, რომ სწორედ შტრასბურგი გახდა ცენტრი გერმანიაში „ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდად წოდებული ახალი ლიტერატურული მიმართულებისა, რომლის წარმომადგენელი, გერმანული უბადრუკობის წინააღმდეგ ამხედრებულნი, დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანების მოტრფიალენი, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ლესინგის კვალდაკვალ, ფრანგული საკარო კლასიციზმის გავლენისაგან განთავისუფლებისათვის იღწოდნენ და, თვითმყოფი ეროვნული ლიტერატურის შექმნისთვის მებრძოლნი, ეროვნული თემატიკის დამუშავებას ცდილობდნენ.

როგორი შეზღუდულიც უნდა ყოფილიყო არსებული სინამდვილით გამოკედილი უკიდურესი ინდივიდუალიზმის დამლით აღბეჭდილი ეს მიმდინარეობა, მან დადებითი როლი შეასრულა გერმანული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში როგორც ფორმის მხრივ (გაათავისუფლა გერმანული ლიტერატურა კლასიციზტური რეგლამენტაციისაგან), ისე შინაარსის თვალსაზრისითაც (ეროვნული ინტერესით გამსჭვალა და ეროვნული თემატიკით გაამდიდრა იგი.) თანაც მართალია, ამ მიმართულების მამოძრავებელი იდეები მეტისმეტად აბსტრაქტული იყო და უარშიო მხედართმთავრებად წოდებულმა შტურმერებმა მათი განხორციელების ცოტად თუ ბევრად მართებულნი. პრაქტიკული გზაც ვერ დასახეს. მაგრამ კაცობრიობის უკეთესი მომავლის შექმნის აუცილებლობის შეგნებით ნაკარნახევი, თავისთავად პროგრესული იმ იდეების ზორც-შესხმისათვის დღენიდაგ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო საქმედ ექცათ მომავალ თაობებს. სწორედ ამიტომ ადარებს უკვე ხანდაზმული გოეთე „პოეზიასა და სინამდვილეში“ შტურმერთა ძალთახმევას „ომის გამოცხადების წინ ფორპოსტზე მდგომ ჯარისკაცთა სროლას, რომელიც დიდი ომის დასაწყისს გვამცნობს“.

შტრასბურგში ჩასვლისთანავე გოეთემ განაგრძო თავისი მრავალმხრივი ცოდნის გაღრმავება და გაფართოება. არც თავის გარეგნობას ტოვებდა უყურადღებოდ და ნებისყოფის განმტკიცებაზეც ბევრს ზრუნავდა: მანერების დასახვეწად ცეკვის გაკვეთილებზე დადიოდა, ხმაურს

რომ შესჩვეოდა (რაც ავადმყოფობის შემდეგ საშინლად აღიზიანებდა), ყოველ საღამოს დოლის დამკვრელი ჯარისკაცის მახლობლად დგებოდა, შიშის გრძნობის დასაძლევად უკუნ დამეში სასაფლაოს მივარდნილ კუთხეებში დაეხეტებოდა, ხოლო სიმაღლიდან გადმოხედვისას თავბრუსხვევა რომ არ ჰქონოდა შტრასბურგის ტაძრის უმაღლესი კოშკის უმოაჯირო აივანზე გადიოდა, საიდანაც ელზასის უღამაზეს მიდამოებს ათვალთვალავდა და რომელსაც, ორიოდ წლის შემდეგ, ჰერდერის ურნალისათვის დაწერილ ვრცელ სტატიაში ქებათა ქება აღუვლინა როგორც გაოთიკური სტილის დიდებულ ნიმუშს.

ჰერდერი გოეთემ შტრასბურგში გაიცნო. მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ახალგაზრდა პოეტის ეს ნაცნობობა. ჰერდერმა ჩაახედა იგი შექსპირის გენიის საიდუმლოებაში, გაამახვილა მისი ყურადღება პომეროსსა და ბიბლიაზე, შეაყვარა ხალხური პოეზია და გაუღრმავა ინტერესი ეროვნული თემატიკის მიმართ. მაგრამ განსაკუთრებული იყო ზემოქმედება გოეთეზე ჰერდერის ესთეტიკური მრწამსისა ხელოვნების ბუნებასთან დაახლოების აუცილებლობაზე. ეს შეხედულება ჰერდერისა, რომელიც ცნებაში „ბუნება“ გულისხმობდა ცხოვრების ყველა მოვლენის ერთიან დიად კომპლექსს ხელოვნების მრავალფეროვანი სამყაროს ჩათვლით, გოეთეს მთელი შემოქმედების დევიზად იქცა.

ჰერდერთან საუბრებმა გოეთეს ფართო შემოქმედებითი ჰორიზონტი გადაუშალა. „სუფთა ჰაერზე გავიჰყერი და პირველად ვიგრძენი, რომ ხელ-ფეხი მაქვს“, — წერდა იგი. ამ საუბრებით შთაგონებულ გოეთეს მოსვენებას არ აძლევდა იდეა ხორცი შეესხა ისტორიული გოეც ფონბერლინინგენისა და ხალხური ლეგენდის ფაუსტისათვის, რომლებმაც ჯერ კიდევ ლაიფციგის პერიოდში მიიპყრეს მისი ყურადღება. გოეთე წერს: „მეტისმეტად მიზიდავდა სხვებზე მაკარი და კეთილგონიერი პიროვნებისა (გოეცისა, — დ. ლ.), რომელსაც უნარი შესწევდა საზოგადოებრივი ანარქიის პირობებში დაეცვა თავისი პოზიცია“. ხოლო „ფაუსტი“ ათასნაირ გამოძახილს ჰპოვებდა ჩემს სულში. ფაუსტის მსგავსად მეც ყველა დარგის შესწავლა მსურდა, მაგრამ მალე დაერწმუნდი ამ მისწრაფების აშაობაში: ვლამობდი ცხოვრების ყოველ მხარეს ჩაფვდომოდი, მაგრამ ტანჯული და სასოწარკვეთილი ყოველთვის უკან ვბრუნდებოდი“.

შტრასბურგის პერიოდში მრავალ სხვა თემასთან ერთად ამ ნაწარმოებებზე ჩაფიქრებულმა გოეთემ მრავალი ლირიკული ლექსი შექმნა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ფრიდერიკე ბრიონს — შტრასბურგის მახლობლად მდებარე სოფელ ზეზელჰაიმის პასტორის ასულს, რომლის მომხიბლავმა გარეგნობამ და უშუალობამ გაცნობისთანავე გაიტაცა გოეთე.

დიდხანს არ გაგრძელებულა ფრიდერიკეს და გოეთეს ტრფობა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, გაურკვეველ მიზეზთა გამო, გოეთემ მიატოვა ღარიბი პასტორის ქალი, რომლის სახე არასოდეს ამოურეცხავს გულიდან პოეტს. მძიმე იყო ფრიდერიკესთან განშორება გოეთესთვისაც. ცრემლით საესე თვალებით თავის ღმერთად წარმოდგენილი სატრფოს შემყურე გოგონას საყვედურის სიტყვაც არ წამოსცდენია არც მაშინ, არც შემდეგ, მთელი 42 წლის განმავლობაში (ფრიდერიკე 1812 წელს გარდაიცვალა) თავისი პირველი სიყვარულის სიკვდილამდე ერთგულად მატარებელ მარტოსულს.

სატრფოს განშორებით გამოწვეული გულისტკივილი გამოხატა გოეთემ ზეხელქაიმის პერიოდის ლირიკულ შედეგებში — ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი უბრალოებით და ღრმა მელოდიურობით აღბეჭდილ „ასკილში“.

„ასკილი“, ისევე როგორც პერდერის გაცნობის შემდეგ ახალგაზრდა პოეტის მიერ დაწერილი ლექსების უმრავლესობა, პრინციპულად განსხვავდება წინა პერიოდის, როკოკოს მანერით შესრულებული ლექსებისაგან. ხალხური პოეზიის მაღალი პოეტური თვისებების მატარებელ ამ ახალ ლექსებში, ვილმონტის აღნიშვნისამებრ, „გრძნობის სამყარო“ შერწყმულია „ბუნების სამყაროსთან“ და უკვე აშკარად ჩანს გოეთესათვის დამახასიათებელი ბუნების ახალი გრძნობა, რომელიც პირდაპირი შედეგია „გოეთეს მიერ პოეტურად ნაგრძნობი ფილოსოფიური შეხედულებისა სამყაროზე, როგორც მუდმივ ქმნადობაში“ მყოფ ფენომენზე.

1771 წლის აგვისტოში გოეთემ დაიცვა დისერტაცია და ფრანკფურტში დაბრუნდა. აქ მან იმავე წელს დაამთავრა პირველი ვარაანტი „გოეტ ფონ ბერლიხინგენისა“, რომელიც გადამუშავებული სახით 1773 წელს გამოაქვეყნა. გოეთეს ამ დიდ დრამატულ ნაწარმოებში კ. მარქსის მიერ „საცოდავ სუბიექტად“ წოდებული, დასაღუპად განწირული კლასის წარმომადგენელი ისტორიული გოეცი უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებულ, გაერთიანებული გერმანიის ნათელი მომავლისათვის მებრძოლ პიროვნებად არის გამოყვანილი. სწორედ გოეთეს მიერ გამოსახულ და არა ისტორიულ გოეტს გულისხმობს ენგელსი, როცა „გოეტ ფონ ბერლიხინგენს“ „მეამბოხის ხსოვნის დრამატულ ქებას“ უწოდებს.

ფრანკფურტში დაბრუნებული გოეთეს გარშემო შემოკრებილ ძველ და ახალ ნაცნობ-მეგობართა შორის საგანგებოდ აღსანიშნავია მერკი — დიდად განათლებული, გონებამახვილი, ყველაფრის მიმართ უარყოფითად დამოკიდებული ცინიკოსი, რომელმაც ცხოვრება თვითმკვლელობით დაამთავრა. მერკი გოეთემ მეფისტოფელის პრეტორტბად გამოიყენა. პირად ურთიერთობაშიც მეფისტოფელს უწოდებდა თურმე მას.

ვერა და ვერ დაუდო გოეთემ გული იურისპრუდენციას. მისი პირველი საადვოკატო პრაქტიკაც მარცხით დამთავრდა. მაგრამ ჭიუტი მამა თავის გადაწყვეტილებაზე იდგა და 1772 წელს ეოლფჰანგი ვეცლარში კამპზავერა იმპერიის სასამართლო პალატაში პრაქტიკის მისაღებად.

ვეცლარში 1772 წლის ივნისში გოეთემ გაიწნო შარლოტე ბუფი, თავისი მეგობრის კესტნერის დანიშნული, რომელმაც მოხიბლა იგი. სულ მალე გოეთეს შარლოტას სიახლოვე აუცილებელ მოთხოვნილებად ექცა. გოეთე მიხვდა, ლოტასადმი მის ტრფობას კეთილი ბოლო არ ექნებოდა და მეგობრებისათვის სიმშვიდე რომ არ დაერღვია, იმავე წლის ოქტომბერში ვეცლარი დატოვა. ფრანკფურტში გოეთემ კესტნერისაგან შეიტყო, რომ მის ვეცლარელ ნაცნობს, ბრაუნშეიგის საელჩოს მეორე მდივანს სასამართლო პალატაში — იერუზალემს, თავისი მეგობრის დანიშნულზე უიმედოდ შეყვარებულს თავი მოეკლა.

დიდოდ აღელვა გოეთე იერუზალემის თვითმკვლელობამ. ერთი თვის განმავლობაში წებუნა მან „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, რომელსაც საფუძვლად თავისი განცდები და იერუზალემის თვითმკვლელობა დაუდო. მაგრამ რომანის შინაარსი სულაც არაა შემოფარგლული ბიოგრაფიული ეპიზოდით. არც უიმედო სიყვარულია იერუზალემის თვითმკვლელობის მიზეზად წარმოდგენილი. იგი მხოლოდ უკანასკნელი ბიძგი იყო უბადრუკი ვითარებით წარმოქმნილ ფილისტერულ საზოგადოებაში გამეფებული უსამართლობით აღშფოთებული ვერთერისათვის, რომელსაც უნარი არ შესწევდა აქტიურად შებრძოლებოდა მანკიერ გარემოს და დასპარმონიულ სამყაროში ჰარმონიის მაძიებელმა თვითმკვლელობით გამოხატა თავისი პროტესტი ჰაობად ქცეული სინამდვილის მიმართ.

„ვერთერი“ გამოქვეყნებისთანავე ითარგმნა მრავალ ენაზე. მან მსოფლიო სახელი მოუხვეჭა ავტორს, თუმცა რომანმა, გერმანული ლიტერატურის ბევრი წარმომადგენლის უკმაყოფილება გამოიწვია — მათ შორის, რაციონალისტებისაც, რომლებსაც არ მოსწონდათ ნაწარმოების სენტიმენტალური ხასიათი.

მაგრამ ლიტერატურულმა დავამ კიდევ უფრო გაზარდა გოეთესადმი ინტერესი. ბევრი გამოჩენილი პიროვნება საგანგებოდ სწვევია ფრანკფურტს, რათა პირადად გასცნობოდა „გოეცისა“ და „ვერთერის“ ახალგაზრდა ავტორს.

1774 წლის დასასრულს გაიწნო გოეთემ ფრანკფურტის მდიდარი ბანკირის შოენმანის ასული, რომელსაც მოფერებით ლილის უწოდებდნენ. ფუფუნებაში აღზრდილმა, წარმატაცი გარეგნობის 17 წლის ლილიმ დააინიჭა გოეთეს შარლოტა ბუფი. მაღალი წრიდან გამოსული თავყვანისმცემლებით გარსშემორტყმული ლილიც არ დარჩენილა გულგრილი მშვენიერი აღნაგობისა და უკვე სახელმძხვებილი პოეტის მიმართ.

ლილი და ვოლფგანგი დაინიშნენ. მაგრამ გოეთეს მშობლების სასიხარულოდ, რომლებსაც შეუფერებლად მიაჩნდათ თავიანთი ოჯახისათვის ფუქსაეატ და ნებიერ ცხოვრებას მიჩვეული მაღალი წრიდან გამოსული თავნება ქალი, ვოლფგანგის არც ეს ტრფობა დამთავრებულა დაქორწინებით.

იმ პერიოდში შექმნილი ნაწარმოებებიდან, რომლებშიც ლილისადმი გოეთეს დამოკიდებულებაა ასახული, აღსანიშნავია „სტელა“ „ერვინი და ელმირი“, „ლილის პარკი“.

უალრესად ნაყოფიერი იყო გოეთეს შემოქმედებითი მოღვაწეობა 1772-75 წლებში. გარდა „გოეცისა“ და „ვერთერისა“, ამ პერიოდში დაწერა მან მრავალი ლექსი, სახუმარო პიესა, პაროდია და დრამატული სცენა. ამავე პერიოდშია დაწერილი ორი საყოფაცხოვრებო დრამა: „კლავიგო“ და ზემოდასახელებული „სტელა“. საგანგებოდ აღსანიშნავია ამ პერიოდში შექმნილი ფილოსოფიური ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშები: „პრომეთეოსი“, „განიმედი“, „მეეტლე კრონოსს“, „მუჰაპედი“ და სხვ. ღრმა იდეური შინაარსის. შემცველი ეს პიმნები ყურადღებას იპყრობენ მაღალმხატვრული ოსტატობითაც. მათში, პ. ა. კორფის შენიშვნისამებრ, „რიტმი ისე მჭიდროდ ეკერის აზრთა და გრძნობათა მიმდინარე ნაკადს. როგორც სველი ტანსაცმელი სხეულს“. რაც მთავარია. ამ პიმნებში უკვე აშკარად ჩანს „ფაუსტის“ გენიალური ავტორის პანთეისტური მსოფლალქმა. ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდშია შექმნილი „პრეფაუსტი“, რომელიც გადამუშავებული და შევსებული ისეთი მნიშვნელოვანი დამატებებით, როგორიცაა ორივე პროლოგი, ფაუსტის მეფისტოფელთან გასეირნების სცენები და სხვ. 1808 წელს გამოაქვეყნა „ფაუსტის“ პირველი ნაწილის სახით.

1775 წელი ითვლება გოეთეს შემოქმედების პირველი, ე. წ. „ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდის დასასრულად. ამ მიმდინარეობის აღიარებული ბელადის იმ პერიოდის შემოქმედებაში, ს. ვ. ტურაევის აღნიშვნისამებრ, შეწოფილია ყველაფერი ჯანსაღი და ძლიერი, რაც კი ნიშანდობლივია „ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდის მსოფლმხედველობისთვის. გოეთეს შემოქმედების პირველ პერიოდთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიზიაროთ ნ. ვილმონტის შეხედულება: „1775 წელს რომ შეწყვეტილიყო გოეთეს მოღვაწეობა, იგი მაშინაც მსრფელიო ლიტერატურის ერთ-ერთ გამოჩენილ ფიგურად წარმოგვიდგებოდა, რალა თქმა უნდა, მრავალ იმ ნაწარმოებთაგან, რომლებიც მან გვიან შექმნა, აღრე შექმნილებზე სრულყოფილიცაა და ღრმაც. მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ, რომ 1775 წელს გოეთე უკვე იყო ავტორი „გოეცისა“, „ვერთერისა“ და ისეთი ბრწყინვალე ლექსებისა, როგორიცაა „ბელინდესი“, „ტბაზე“, „შეხვედრა და განშორება“ (მათ გვერდით მარტოოდენ მცირე ნაწილი შეიძლება დაეაყენოთ გვიანდელი ლექსებიდან). ძნელია

დავასახელოთ XVIII საუკუნის დასასრულის რომელიმე მწერალი, რომელიც შეედრებოდეს გოეთეს შემოქმედებითი გაქანებით, წერს სიახლით, ახალგაზრდული მგზნებარებით“.

1775 წლის 6 ნოემბერს გოეთე კარლ-ავგუსტის მიწვევით, რომელიც უკვე საპერცოგოს განაგებდა, ვაიმარში, ჩავიდა და კარის ცხოვრების ფერხულში ჩაება. მალე პერცოგმა იგი საიდუმლო მრჩეველად დანიშნა (1776 წლის ივლისი). კარისკაცთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია უაზრო და უტიტულო პოეტის ასეთმა აღზევებამ. პროტესტის ნიშნად საპერცოგოს პირველმა მინისტრმა გადადგომა მოითხოვა, მაგრამ კარლ-ავგუსტს დათმობაზე არ წავიდა. მან თავის ფავორიტს ჯერ სამხედრო და საგზაო მოქმედების მართვა დაავალა, მერე კი ფინანსთა მინისტრის პოსტზეც დანიშნა და 1782 წელს აზნაურის ტიტული უბოძა.

ვაიმარის კარზე პირველი ათი წლის განმავლობაში გოეთე ცოტას წერდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ პერცოგისა და მისი მახლობლების პატივსაცემად შეთხზულ სადღესასწაულო ლექსებსა და პიესებს, რამდენიმე მონახაზს და ისეთ საყურადღებო ბალადებს, როგორცაა „ზამთრის მოგზაურობა ჰარცზე“, „ტყის მეფე“, „მომღერალი“ და სხვ., ან პერიოდში მას არ დაუშთავრებია არც ერთი დიდი ნაწარმოები. სამაგიეროდ იგი გატაცებით ეუფლება მინერალოგიას. ბოტანიკას, ანატომიას, ფიზიკას და გეოლოგიას. როგორც გოეთელოგიაში არაერთჯერ აღნიშნულა, ბუნებათმეცნიერების საფუძვლიანი დაუფლება და კვლევა წარმოადგენდა მუდამ ძიების პროცესში მყოფი პოეტისა და მოაზროვნის თეორიულ-ფილოსოფიურ შეხედულებათა გამდიდრება-გაფართოების მძლე ემპირულ ბაზას. რომელმაც დიდად შეუწყო ხელი როგორც მისი მსოფლმხედველობის, ისე ესთეტიკურ პრობლემათა საბოლოო ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

სწორედ ეს პერიოდი წარმოადგენს გოეთეს მხრივ თავის „შტურმერულ“ შეხედულებათა გადაფასების წლებს. ეს შეეხება არა „გოეტის“, „პრომეთეოსის“ და „ვერთერის“ ავტორის მაღალპუმანურ იდეალებს, რომელთა განხორციელებას მთელი სიცოცხლის მანძილზე ესწრაფოდა იგი, არამედ ამ იდეალთა განხორციელებას მეთოდს. ჯერ კიდევ ვაიმარამდელი პერიოდის ბოლო წლებში ჩასახული ტენდენცია, „ქარიშხლისა და შეტევის“ მიმდინარეობისათვის ნიშანდობლივი ინდივიდუალისტური მემპოზიციისაგან განდგომისა, თვალსაჩინოდ იჩენს თავს ადრევაიმარულ ლირიკაში.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „მეტად გამჭირავი გონების“ გოეთემ მალე განჭვრიტა ინდივიდუალისტური ამბოხის გზით არსებული სინამდვილის გარდაქმნის ამაოება და ისიც, რომ „ხალხში არ იყო ისეთი ძალა, რომელიც შეძლებდა მიწის პირიდან აღეგავა დრომოქმულ დაწესებულებათა გახრწნილი სხეული“ (ენგელსი). და ამიტომაც

უბადრუკი გარემოს მიმართ მტრულად განწყობილი, მაგრამ ამ გარემოსთან იძულებით კომპრომისზე წასული, საზოგადოებრივი ცხოვრების რეფორმების გზით შეეცლას სახავს სასურველ და შესაძლებელ საშუალებად. „ვაიმარში წასვლისას, — წერს ნ. ვილმონტი, — გოეთეს ის იმედი ამოძრავებდა, რომ გერმანული მიწის თუნდაც მცირე ნაკვეთზე კარლ-ავგუსტის სამფლობელოში შეძლებდა საზოგადოებრივი ურთიერთობის რადიკალურ გაუმჯობესებას, რათა მიწის ეს ნაკვეთი მთელი ქვეყნის ნიმუშად ქცეულიყო და იქ გატარებული რეფორმები პროლოგად წამძღვარებოდა გერმანელთა ცხოვრების საერთო ეროვნულ გადახალისებას“.

ამიტომაც იყო, რომ გოეთე ენერგიულად და გულმოდგინედ შეუდგა სახელმწიფო მოღვაწეობას და შეეცადა კიდევაც გაეტარებინა ზოგიერთი რეფორმა. მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა. განმანათლებლური იდეებით ნასაზრდოებ მის რეფორმებს წინ აღუდგნენ ვიწრო-კასტური ინტერესებით შეპყრობილი ვაიმარის კარის დიდებულნი, რომლებთანაც ურთიერთობა სულ უფრო და უფრო უხუთავდა სულს გოეთეს.

ვაიმარის კარზე პირველ ხანებში გოეთეს გარშემო შექმნილი ვიჯარების გამო ოთხმოც წელს მიღწეულ პოეტს ეკერმანთან საუბარში (1829 წლის 10 თებერვალს) თავად განუცხადებია, რომ მისი პოეტური ტალანტი კონფლიქტში იყო რეალური ცხოვრების მოთხოვნებთან, რომელთა შესრულებას კარზე შექმნილი მდგომარეობა აიძულებდა და ამიტომაც პირველი ათი წლის განმავლობაში ვერ შექმნა პოეტურად ზაიმე მნიშვნელოვანი.

ამ ხანგრძლივი დეპრესიიდან გოეთე იტალიაში გამგზავრებამ გამოიყვანა. სადაც ორა წლის განმავლობაში (1786—1788 წწ.) იმყოფებოდა. აქ ჩამოაყალიბა მან თავისი ახალი პოზიცია და ესთეტიკური პროგრამა, რომელიც საფუძვლად დაედო ვაიმარულ კლასიციზმს.

რეზინაციის გზაზე დამდგარი პოეტი ახლა უბადრუკი სინამდვილის გარდაქმნის მისაღწევად გზად ადამიანის ზნეობრივ აღზრდას მიიჩნევს, მის კაცურ კაცად ქმნას, ანუ, როგორც ნ. ვილმონტი აღნიშნავს, ადამიანის „გარდაქმნას წმინდა, ძლიერი სულის ჰუმანურ („ადამიანურ“) ადამიანად, რათა ამ „მონობაშიც თავისუფალი იყოს“ და „თავისუფლების ღირსიც, როცა დარეკავს ამის საათი“.

იტალიაში მოგზაურობისას დაამთავრა გოეთემ „ეგმონტი“ — ტრაგედია, რომლის წერაც მას დაწყებული ჰქონდა ჯერ კიდევ ფრანკფურტში. „ეგმონტი“ მრავალი ნიშნის მიხედვით ახლოსაა გოეთეს „შტურმერულ“ დრამატურგიასთან, თუმცა მის ცენტრში, ნაცვლად გოეთისა და პრომეთეოსის მსგავსი მეამბოხისა, დგას მართალია, თავი-

სუფლების მოყვარული, მაგრამ არა არსებული ურთიერთობის წინააღმდეგ ამხედრებული გრაფი ეგმონტი.

იტალიაშივე დაამთავრა გოეთემ მისი ახალი პოზიციის გამოხატეული „იფიგენია თაურიდში“ — ანტიკურ სიუჟეტზე შექმნილი დრამა, რომლის მთავარი გმირი, ზნეობრივად სრულყოფილი იფიგენია, დარწმუნებული, რომ ძალადობა და თავშეუკავებლობა ბოროტების კერაა, თავისი თავმდაბლობითა და მოთმინებით არა მარტო ხსნის ღმერთების წყევლას ტანტალეს გვარს, რომლის შთამომავალც თვითონაა, არამედ ანთაისუფლებს თავის ძმას ორესტს პილადესთან ერთად და თავრიდის ველურ მეფეს ტირან თაოსსაც ააღებინებს ხელს ძველთაგან დამკვიდრებულ ჩვეულებაზე, რომლის მიხედვითაც კუნძულზე გამოჩენილი ყოველი უცხოელი ღმერთებისათვის უნდა შეეწირათ მსხვერპლად.

ვაიმარამდელ პერიოდში დაწყებულ „ფაუსტსაც“ იტალიაში მიუბრუნდა გოეთე. „უწინარეს ყოვლისა, — წერს იგი 1788 წლის 1 მარტს, — შევადგინე ფაუსტის გეგმა. ვიმედოვნებ, რომ ეს ოპერაცია გამოძივინდა, ცხადია, სულ სხვაა ახლა მისი წერა, ვიდრე თხუთმეტი წლის წინ იყო. მაგრამ, ვფიქრობ, შედეგზე ეს არ იმოქმედებს, რამდენადაც, როგორც ჩანს, კვლავ მივაგენი წინანდელ ძაფს. პიესის საერთო ტიპის მიმართაც დამშვიდებული ვარ. უკვე დაწერიე ერთი ახალი სცენა და ქალღმერთი რომ ოდნავ შეეაყვითლო; მგონი ვერვინ გააჩრევს მას ძველისაგან“.

იტალიაშივე დაიწყო გოეთემ „ტორკვატო ტასოს“ წერა, რაც იქიდან დაბრუნების შემდეგ დაამთავრა. „ტასო“, ფრანგი კრიტიკოსის ამპერის შეხედულებისამებრ, რომელსაც გოეთეც იზიარებდა, „გალრმავებული ვერთერია“, ოღონდ მათ შორის უდავო მსგავსებასთან ერთად (ორივე ნაწარმოებში მოქმედება უიმედო ტრფობის ფონზე იშლება) პრინციპული განსხვავებაა: თუ ვერთერისა და ლოტას ბედნიერების ხელშემშლელი მიზეზი მორალური ხასიათისაა (ლოტა ვერ ბედავს გატეხოს ალბერტისათვის მიცემული სიტყვა), კარის დასამშვენებლად მიწვეულ პოეტ ტასოს და პრინცესა ელეონორას შორის სოციალური ჭეზბირია გავლებული. მაგრამ მთავარ განსხვავებას გარემოსთან მათი დამოკიდებულება ქმნის: უკუღმართი სოციალური ურთიერთობის წინააღმდეგ ამხედრებული ვერთერი უბადრუკ სინამდვილესთან ბოლომდე შეუთრეგებელი რჩება და მის გარდასაქმნელად თავისი უმწურობის მწვავედ განმცდელი თვითმკვლელობით გამოხატავს პროტესტს, მაშინ როდესაც ტორკვატო ტასო კარის ეტიკეტთან ერთად საკუთარ ვნებათა და მისწრაფებათა მიღებული წესრიგისადმი დაქვემდებარებას სწავლობს და, საბოლოოდ თავისი ამბოხის უაზრობად მიმჩნევი, მსხვერპლად და საყრდენად არტონიოსს სახავს, ჰერკოგის მდივანს, რომელიც ბედნიერების და ცხოვრების აუცილებელ პირობად მორჩილებას მიიჩნევს.

ვაიმარში გოეთე 1788 წლის 18 ივნისს დაბრუნდა. საოცარი მართობა იგრძნო ვოლფგანგმა სამშობლოში. იტალიაში ჩამოყალიბებულ მისი პოზიციისათვის მიუღებელი იყო იქ გაბატონებულ ლიტერატურული გემოვნება. აღშფოთებული იყო შტურმერული დრამატურგის ტრადიციით შექმნილი შილერის „ყაჩაღების“ საოცარი წარმატებით, არანაკლებ იმით, რომ გულგრილად შეხვდნენ მის ახალ ნაწარმოებებს („იფიგენია“, „ტასო“) ძველი მეგობრები, რომლებიც არ იზიარებდნენ პოეტის ახალ შეხედულებებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. თავის თავში ჩაკეტილი გოეთე ბეჭითად შეუდგა იტალიიდან ჩამოტანილი უამრავი მასალის ლიტერატურულ დამუშავებას. დიდ დროს უთმობდა მეცნიერულ კვლევა-ძიებასაც. დრო კი პოეტს ახლა შედარებით თავისუფალი ჰქონდა. გოეთეს თხოვნით პერცოგმა (პირველი მინისტრის წოდებისა და ხელფასის შენარჩუნებით) გაათავისუფლა იგი მინისტრთა საბჭოსა და სამხედრო კომისიის თავმჯდომარეობისაგან და მიანდო სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მმართველობა, რაც მის გულთანაც ახლოს იყო და დროსაც ნაკლებს ართმევდა.

ვაიმარში დაბრუნებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ პარკში მოსვირნე გოეთეს შეხვდა უცნობი გოგონა, რომელმაც გადასცა მას თავისი ძმის არზა სამსახურში მოწყობის თაობაზე. ეს გოგონა იყო ხელოვნური ყვავილების ფაბრიკაში მომუშავე ქრისტიანე ვულპიუსი — იმ დროს საკმაოდ პოპულარული ავაზაკური რომანის „რინალდო რინანდინის“ ავტორის და.

გოეთეს გულწრფელად შეუყვარდა ქრისტიანე, შინ მიიყვანა იგი, ხოლო ერთი წლის შემდეგ (1789 წლის დეკემბერში) ვაჟიც შეეძინა მასთან, რომელსაც ავგუსტი დაარქვა.

საშინლად აღაშფოთა ვაიმარის კარი (პერცოგის გამოკლებით, რომელმაც პოეტის კანონიერ მემკვიდრედ იცნო მისი პირმშო და მონათლა კიდევ იგი) უაზნო და უბირ ქალთან გოეთეს დაახლოებამ. მაგრამ გოეთეს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია და (მართალია, ძალიან გვიან) 1806 წელს ოფიციალურად გააფორმა ქორწინება ქრისტიანესთან.

ქრისტიანესადმი პირველი გატაცების შედეგია „რომაული ელეგია-ბი“ — კლასიციستي გოეთეს ლირიკის ბრწყინვალე შედეგრი.

1789 წელს რევოლუციურმა საფრანგეთმა დაამხო ბასტილია. როგორც უნდა აფასებდნენ გოეთეს დამოკიდებულებას საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისადმი მის სხვადასხვა ეტაპზე, ერთი რამ საყოველთაოდ გაზიარებულია: მან უდიდესი გავლენა მოახდინა პოეტის შემოქმედებით განვითარებაზე.

„ფრანკფურტელი პატრიციის ფრთხილი შთამომავალი“ თავიდანვე ცივად შეხვდა ეპოქის შექმნელ ისტორიულ მოძრაობას, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის განეკვრიტა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის საგანგებო მნიშვნელობა და 1892 წელს, საფრანგეთის წინააღმდეგ ავსტრო-პრუსიის ლაშქრობაში ვაიმარის პერცოგის თანხმლებს, ვალმისთან რევოლუციური არმიის გამარჯვებასთან დაკავშირებით მის ირგვლივ მყოფი ოფიცრებისათვის მიემართა: „აქედან და ამიერიდან იწყება მსოფლიო ისტორიის ახალი ერა და თქვენ შეგიძლიათ თქვათ, ბატონებო, რომ ესწრებოდით მას“.

რევოლუციისადმი კრიტიკულად განწყობილ გოეთეს თუმცა კი სწამდა, რომ „ყოველ დიდ რევოლუციაში დამნაშავეა მთავრობა და არა ხალხი“, მეტიც, მაღალ ფენათა თავაშეებული ფარფაშისა და მათი მხრივ ხალხის უფლებათა ხელყოფის პირობებში იგი უყოყმანოდ აღიარებდა ხალხის უფლებას რევოლუციაზე, მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგებით უკმაყოფილო, იმ პერიოდში, განსაკუთრებით 1793 წელს შექმნილ ნაწარმოებებში („მოქალაქე გენერალი“, დაუმთავრებელი „აჯანყებულნი“, „რანინეკე მელა“) თავს ესხმის და გესლიანად დასცინის რევოლუციის მანკიერ მხარეებს.

დაახლოებით სამი ათეული წლის შემდეგ, ეკრმანთან საუბარში რევოლუციისადმი თავის იმდროინდელ დამოკიდებულებას გოეთე იმით ხსნის, რომ ჩემს თვალწინ მომხდარ, რევოლუციით გამოწვეულ საშინელებათა მიღმა მისი კეთილმყოფელი გავლენა ძნელი დასანახი იყო. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ რევოლუციისადმი გოეთეს კრიტიკულ დამოკიდებულებაში, „ვაიმარის მინისტრის“ ფილისტერულ შეზღუდულობასთან ერთად. ამკარად ჩანს შორსგანმჭვრეტი გენიოსიც: მან კარგაჯ შეამჩნია ბურჟუაზიული რევოლუციის შეზღუდული ხასიათი, დაინახა, რომ იგი სულაც არ ამყარებდა ძმობის, ერთობისა და თავისუფლების სამყაროს და ჩაგვრისა და ექსპლუატაციის ერთ ფორმას მეორე, ოღონდ უფრო მოქნილი და შენიღბული ფორმით ცვლიდა მხოლოდ. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოხატა გოეთემ რევოლუციასთან დაკავშირებით შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთაგან ყველაზე მნიშვნელოვან „რანინეკე მელაში“ — „ქვეყნის უწმინდურ ბიბლიად“ მიჩნეულ ეპოსში, სადაც ფეოდალური სამყაროს გახრწნასთან ერთად ბიურგერული საზოგადოებრივი ურთიერთობის მანკიერებანიც შეუფერავად არის ისახული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაიმარში დაბრუნებული გოეთე აღაშფოთა მისი ახალი იდეურ-ესთეტიკური პოზიციისათვის მიუღებელმა შტურმერულ-მეამბოხური სულსკვეთების „ყაჩაღებმა“, რომლის უკვე სახელგანთქმული ავტორი 1787 წლიდან ვაიმარში მოღვაწივობდა.

მეტად თავშეკავებული იყო იტალიიდან ახლად დაბრუნებული

გოეთეს შეხვედრა შილერთან. არც შილერი დარჩენილა გოეთეს პიროვნებით აღტაცებული. და თუმცა გოეთე დაეხმარა შილერს 1788 წლის დეკემბრიდან იენის უნივერსიტეტში ორდინარული პროფესორის თანამდებობა დაეკავებინა, მაგრამ ცივი ურთიერთდამოკიდებულება თითქმის 6 წელიწადს გაგრძელდა. მათი დაახლოება 1794 წელს დაიწყო, აგვისტოში იენის ნატურალისტთა საზოგადოების ერთ-ერთი სხდომის შემდეგ, და მიუხედავად მათი მსოფლალქმისა და შემოქმედებითი მეთოდის სხვადასხვაობისა, გერმანული ლიტერატურის ორი დიდი წარმომადგენლის ეს დაახლოება გულითად მეგობრობაში გადაიზარდა, რაც ორივესთვის უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

გოეთესა და შილერის მტკიცე მეგობრობის მყარ საფუძველს ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულების ერთნაირი გაგება წარმოადგენდა. ავტორი „წერილებისა ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ ოთხმოცდაათიანი წლებიდან არსებული სინამდვილის გარდაქმნის გზად შტურმერულ-ინდივიდუალისტური ამბოხების ნაცვლად ესთეტიკური აღზრდის გზით ადამიანის მორალურ სრულყოფას რაცხდა და აღმზდელის როლს ხელოვანს აკისრებდა, რაც ზედმიწევნით შეესაბამებოდა გოეთეს ახალ პოზიციას.

შილერთან დამეგობრებამ ხელი შეუწყო გოეთეს ლიტერატურული მოღვაწეობის გამოცოცხლებას. 1795-97 წლებში გოეთემ, გარდა შილერთან ერთად შექმნილი „ქსენიების“ სახელწოდებით ცნობილი ეპიგრამებისა, რომლებსაც დიდი წარმატება ხვდა წილად, დაწერა ბრწყინვალე ბალადები და მრავალი ლირიკული ლექსი, დაამთავრა „ვილჰელმ მაისტერის განსწავლულობის წლები“, განაახლა მუშაობა ფაუსტზე: შეთხზა მიძღვნა, ორივე პროლოგი და რამდენიმე პასაჟი. 1797 წელს იმოგზაურა შვეიცარიაში, შეაგროვა უამრავი მასალა და ფიქრობდა დაეწერა დრამა „ვილჰელმ ტელი“, რაც არ განუხორციელებია. იმავე პერიოდს მიეკუთვნება იდილიური ხასიათის ეპიკური პოემა „ჰერმან და დოროთეა“.

ზემოაღნიშნულთან ერთად, შილერთან მეგობრობის პერიოდში დაწერილ ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია ფორმის პლასტიკური სრულყოფილებით შეთხზული „ალექსის და დორა“, „ამინტი“ და სხვ. ამავე პერიოდშია შესრულებული „ფაუსტის“ მეორე ნაწილის რამდენიმე სცენის მონახაზი და დრამა „უკანონო ქალიშვილი“.

1805 წლის 9 მაისს გარდაიცვალა შილერი. ტრაგიკულად განიცადა გოეთემ უღრმოდ დაკარგვა უახლოესი სულიერი მეგობრისა, რომელიც 11 წლის მანძილზე მის გვერდით იღვა დიდი ლიტერატურისათვის წარმოებულ ცხარე ბრძოლაში.

შილერის გარდაცვალების შემდეგ მარტოდ შთენილი პოეტი ნაპოლეონის დაპყრობითი ომების პერიოდში პოლიტიკის მიმართ გარკ-

ვეულ გულგრილობას იჩენდა და ძირითადად საბუნებისმეტყველო-კვლევა-ძიებას ეძალებოდა, მაგრამ პოეზიასაც არ ივიწყებდა, განაგრძობდა ადრე დაწყებულ ნაწარმოებებზე მუშაობას, წერდა მცირე მოცულობის პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებებს. ამავე პერიოდში შექმნილი სონეტების მიზეზი, ბიოგრაფიკოსების აზრით, იყო გოეთეზე დაუსწრებლად შეყვარებული, მეტისმეტად აღგზნებული და ექსცენტრული, თითქმის ბავშვი ბეტინო ბრენტანო, რომელიც 1802 წელს ვაიმარში ეწვია გოეთეს. თავშეკავებულად შეხვდა პოეტი ბეტინოს ვნებიან ტრფობას, მაგრამ ალერსიანად ეპყრობოდა მას. გათხოვების შემდეგ ბარონესა ბეტინო (ელისაბედ) ფონ არმინის უსიამოვნება მოუვიდა ქრისტიანესთან და გოეთეს სახლის კარები დაიხურა მისთვის. ბეტინომ დაწერა წიგნი, რომელშიც ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს, გოეთე მეტრფოდაო.

ნაპოლეონის ომების პერიოდში დაამთავრა გოეთემ „არჩევითი თვისობა“.

გოეთელოგთა ერთი ნაწილის აზრით. „არჩევითი თვისობის“ კანონს რომანში ბედისწერის გარდუვალობის ფუნქცია ენიჭება, რაკ უკარგავს ნაწარმოებს სოციალური გააზრების ხასიათს და ხელოვნურობის ბეჭედს ასვამს მას. ამ შეხედულებას არ იზიარებს, და ვფიქრობ მართებულადაც, ნ. ვილმონტი, რომელიც აღნიშნავს: „არჩევითი თვისობის მაგიურ ძალას, გოეთეს აზრით, მთლიანად ექვემდებარებიან მხოლოდ ისინი, ვინც არ ჩაბმულან საზოგადოების, ხალხის სასარგებლო საქმიანობაში. საქმის ხალხი — არქიტექტორი და „თანაშემწე“, უბრალო შემალაროე და მეზაღე — არ იჩეხებიან თავიანთი მოკრძალებული ხელობით მკაცრად განსაზღვრული გზიდან ბრმა ვნებათა და ბნელ ინსტიქტთა უფესკრულში“.

გოეთეს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „დასავლურ-აღმოსავლურ დივანს“ — ლექსთა თორმეტი ციკლის შემცველ წიგნს, რომელიც როგორც ფორმით, ისე შინაარსით მნიშვნელოვნად სცილდება ვაიმარული კლასიციზმის ფარგლებს.

დაინტერესებული XIV საუკუნის სპარსი პოეტის ჰაფიზის პოეზიით, რომელსაც გერმანელი ორიენტალისტის ფონ პურგშტალის თარგმანების მიხედვით გაეცნო 1814 წელს, გოეთე ბეჯითად შეუდგა აღმოსავლური ენების, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურისა და ყოფის შესწავლას, რის შედეგადაც გერმანული სინამდვილით ნაკარნახევ ამ ნაწარმოებში აღმოსავლური პოეზიის ფორმასთან ერთად აღმოსავლეთის რეალური კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე განწყობა, ხასიათები და ტიპებიც კოლორიტულად არის გამოხატული.

„დივანის“ შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 65 წლის გოეთეს დაახლოებამ 35 წლით მასზე უმცროს მარიანა ფონ ვილმართან —

ფრანკფურტელი ბანკირის მეუღლესთან, რომელიც ნაწარმოებში ზულეიკას სახელით არის გამოყვანილი. გათხოვებამდე მსახიობი მარიანა ფონ ვილმარი გარევენულ სრულყოფილებასთან ერთად მდიდარი სულის პატრონი იყო და მშვენიერ ლექსებსაც წერდა. ზოგიერთი მათგანი, როგორც ზულეიკას პასუხი ჰატემის (ამ სახელით გამოჰყავს გოეთეს თავისი თავი ნაწარმოებში) მიმართვაზე, „დასავლურ-აღმოსავლურ დივანშია“ შეტანილი.

გოეთეს იდეური მრწამსის, მისი სოციალური და ეთიკურ-ესთეტიკური შეხედულებების გასარკვევად საგანგებო მნიშვნელობა აქვს „ვილჰელმ მაისტერს“, რომელსაც იგი ხანგამოშვებით, 52 წლის განმავლობაში წერდა 1777 წლიდან დაწყებული. ამ რომანის პირველი ნაწილი — „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“ — 1797 წელს დაამთავრა, ხოლო მეორე ნაწილს — „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლებს“ — 1829 წელს დაუსვა წერტილი.

„ფაუსტის“ პროზაულ პარალელად მიჩნეული ეს ნაწარმოები, რომლის მეორე ნაწილში, ავტორის თავდაპირველი განზრახვით, უნდა შესულიყო „სულთა თვისობა“, გვევლინება, მართალია, უტოპიურ, მაგრამ ღრმად პროგრესულ იდეათა შემცველ თხზულებად, რომელშიც მანკიერი სინამდვილის გარდაქმნისა და ადამიანის ჰარმონიული განვითარების, მისი ქვეშეპირიტ ადამიანად ანუ, როგორც ილია იტყოდა, ქაყურ კაცად ქმნის თუ ჩამოყალიბების გარდუევალ პირობად დასახულია ნაწარმოებში სასარგებლო შრომა, როგორც წყარო საყოველთაო ბედნიერებისა.

1824 წელს „პოეზიისა და სინამდვილის“ (ავტობიოგრაფიული თხზულება, რომლის წერაც გოეთემ 1810 წელს დაიწყო) გამოსაცემად მომზადებულ მეთვრამეტე წიგნში გოეთეს სურდა „ფაუსტის“ მეორე ნაწილის გეგმა ჩაერთო და აღარ მიბრუნებოდა მას, მაგრამ ეკერმანის დაჟინებითი თხოვნით (რომელიც 1823 წლიდან, როგორც მდივანი, განუწყვეტლივ თან ახლდა პოეტს და პედანტური სიზუსტით იწერდა. ყოველ მის სიტყვას, რისი შედეგიც არის გოეთეს ნაფიქრ-ნააზრევეთა უაღრესად სანდო ჩანაწერების შემცველი მისი „საუბრები გოეთესთან“) გოეთემ გადაწყვიტა გაეგრძელებინა მუშაობა „ფაუსტზე“ და 1774 წელს დაწყებული ნაწარმოების ბოლო სტრიქონები 1831 წლის ივლისში დაამთავრა.

„ფაუსტი“ გოეთეს შემოქმედების გვირგვინი და მსოფლიო ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლია, რომელშიც, გოეთელოგიაში გაზიარებული შეხედულებასამებრ, თანამედროვეობის ასახვასთან ერთად არეკლილია კაცობრიობის განვითარების ისტორიის უმთავრესი ეტაპებიც და დასახულია მომავლის თემცა უტოპიური, მაგრამ ქვეშეპირიტად პროგრესული გზაც.

ბევრმა მწერალმა სცადა დაემუშაებინა ხალხური თქმულება დოქტორ ფაუსტზე, მაგრამ მხოლოდ გოეთეს გენიამ შეძლო შუასაუკუნეობრივ ალქიმიკოსში დაენახა ქეშმარიტების მარად-მაძიებელი სული და ექცია იგი ტრაგიკულ პიროვნებად, რომელიც იმითაა სასოწარკვეთილი, რომ, ცოდნის მრავალ სფეროს დაუფლებულს, თანამედროვე სქოლასტიკური მეცნიერების უკმარობის გამო არ შეუძლია ჩასწვდეს ბუნების უღრმეს საიდუმლოებებს, გაუტოლდეს „უკვდავ ღმერთებს“ და ნამდვილი დახმარება აღმოუჩინოს ხალხს.

დასაწყისში ინდივიდუალისტი-მეამბოხე (მაგრამ არა ეგოისტი) ფაუსტი, რომელსაც სწამს, რომ „პირველად იყო საქმე“, ცოუნებათა დაძლევის გზით თანდათანობით სრულყოფილი ადამიანი, საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ კაცობრიობას ბედნიერებას შრომის ახსნა მოუტანს მხოლოდ, ბედნიერი წამი, რომელსაც შეიძლება შესძახო: „მშენიერი ხარ, შესდექ, წამო“, თავისუფალ მიწაზე თავისუფლად მშრომელი ხალხის ხილვას და „თავისუფლების და სიცოცხლის ღირსი ის არის, ვინაც ყოველდღე, განუწყვეტლივ ამისთვის იბრძვის“.

ღიახ, ეს არის „ვაიმარელი ბრძენის“ სიბრძნის უკანასკნელი დასკვნა. და თუმცა შრომის ახსნისა და თავისუფალ მიწაზე თავისუფალი შრომის განხორციელების მის მიერ დასახული გზა უტოპიურია, მაგრამ „სიბრძნის“ ეს „დასკვნა“ ზედმიწევნით გამოხატავს მოწინავე კაცობრიობის სწრაფვას ისეთი საზოგადოებრივი წყობის შექმნისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ბედნიერებას. სწორედ ამიტომ არის გოეთეს შემოქმედება ასე აქტუალური დღესაც.

1831 წლის აგვისტოში, როცა ვაიმარის საზოგადოებამ საზეიმოდ აღნიშნა გოეთეს დაბადების 82 წლისთავი, თავად პოეტი ილმენაუში იმყოფებოდა, მახლობლად მდებარე კიკელჰანის მწვერვალზე ავიდა და იქ 51 წლის წინ ტყისმცველის ჯინხურის კარებზე მიწერილი თავისი „მგზავრის ღამეული სიმღერა“ წაიკითხა. თვალეზზე ცრემლმორეულმა პოეტმა ჩაღვლიანად გაიმეორა ლექსის ბოლო ორი ტაეპი: „დაიცა, მალე შენც დამშვიდდები“. და მართლაც, სულ მალე, 8 თვის შემდეგ 1832 წლის 22 მარტს, საბოლოოდ დამშვიდდა „ბრძოლაში დაღლილი“ „უდიდესი გერმანელის“ მუდამ მგზნებარე გული.

XIX საუკუნის საკმაოდ მდიდარ ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში გოეთეს შემოქმედებას მეტად მოკრძალებული ადგილი უჭირავს: იგი სულ 5 თუ 6 ნაწარმოებით არის წარმოდგენილი, რომელთაგან პირველი — გრიგოლ ორბელიანის მიერ 1842 წელს მ. ლერმონტოვის თარგმანიდან გადმოკეთებული „მგზავრის ღამეული სიმღერა“ 1865 წელს გამოქვეყნდა ეურნალ „ცისკარში“ (№ 1) და უფრო მიბაძ-
27. დ. ლაშქარაძე

ვაა, ვიდრე თარგმანი. „ცისკარშივე“ 1869.—1870 წლებში (№ 9 და 1, 2, 3, 4) გამოქვეყნდა მ. ხუდადოვის მიერ გადმოქართულებული „ემონტი“, რომლის უფრო ზუსტი და ენობრივად უკეთესად გამართული გ. წერეთლისეული თარგმანი 1873 წელს დაიბეჭდა „კვალში“ (№ 5-6 და 7). უფრონა „ნობათში“ (1885 წ. № 1, 2-3-4) სათაურით „მელიას ცულუტობა“ მოთავსებულია ალ. ჭიჭინაძის მიერ პროზით გადმოკეთებული „რანიკე მელა“, რომელიც ფაქტობრივად პეგზამეტრებით გამართული ამ ნაწარმოების პირველი თავების შემოკლებულ, ბავშვებისათვის ადაპტირებულ შინაარსს წარმოადგენს. 1895 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ამავე ნაწარმოების გ. იოსელიანისეული თარგმანი, უფრო სწორად, შემოკლებული პროზაული შინაარსი, რომელშიც მრავალი პასაჟია გამოტოვებული. 1892 წელს „ჭეჭილში“ (№ 5) დაიბეჭდა „ტყის მეფე“, თარგმანი შიო მღვიმელისა, ხოლო 1894 წელს სათაურით „ძღვნა“ დაბეჭდილ „მიძღვნას“, რომელიც წამძღვარებული აქვს „ფაუსტს“, ხელს აწერს „მოსე“. გარდა ამისა, ს. ხუციშვილის მიერ 1960 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 12) გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, 1885 წელს გოეთეს დრამა „კლავიგო“ უთარგმნია „თერგ-დალეულ“ ზ. აბაშიძეს.

შეუდარებლად გაიზარდა გოეთეს ნაწარმოებთა თარგმანების ხვედრითი წონა XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში ითარგმნა „ვერთერი“ (უფრ. „მოამბე“, 1900 წ. № № VIII-XII. თარგმანი მ. ახალშენიშვილისა). ახალი, კ. გამსახურდიასეული თარგმანი ამ ნაწარმოებისა სათაურით „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა საბჭოთა პერიოდში, 1928 წელს. 1900 წელს უფრნალ „კვალში“ (№ 7) მოთავსებულია ი. გომელაურის მიერ შესრულებული თარგმანი ეტიულისა „ბუნება“. რევოლუციამდელ თარგმნილი რამდენიმე ლირიკული ლექსიც. იმ პერიოდში უთარგმნია დ. ნახუცრიშვილს ერთი ნაწყვეტი „ფაუსტიდან“, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა „ფაუსტის“ პირველი ნაწილის პირველი სამი სურათის სანდრო შანშიაშვილისეული თარგმანი (უფრნალი „კლდე“, 1914, № 34, 35, 36, 38 და 39). იგი როგორც სიზუსტით, ისე მხატვრული ღირსებით აღემატება ნახუცრიშვილის თარგმანს, რომ აღარაფერი ვთქვათ „ფაუსტის“ ორივე ნაწილის ა. მირიანაშვილისეულ მეტისმეტად მდარე თარგმანზე, რომელიც 1908 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა გასცნობოდა გოეთეს მრავალფეროვანი მხატვრული შემოქმედების თითქმის ყველა ენარს.

ქართულ ენაზე გოეთეს ლირიკის ცალკეული ნიმუშები წარმოდგენილია გ. ტაბიძის, კ. გამსახურდიას, ს. შანშიაშვილის, ვ. გაფრინდაშვი-

ლის, ი. ვაკელის, გ. გაჩეჩილაძის, ი. მკედლიშვილის, გრ. ცეცხლაძის, დ. წერედიანის, შ. ამირანაშვილისა და სხვათა თარგმანებით, მაგრამ ამ სფეროში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით პროფესიულ მთარგმნელებს: ხ. ვარდოშვილს, ვ. ბეწუკელს და ა. გელოვანს, რომელთა კრებულებში წარმოდგენილია გოეთეს ლირიკის საუკეთესო მაგალითები ყრმობის პერიოდიდან დაწყებული, მთელი მისი ხანგრძლივი შემოქმედების მანძილზე.

ორიგინალის რიტმისა და ემოციური ზემოქმედების შენარჩუნებასთან ერთად ღრმა იდეური შინაარსის ზუსტი გადმოცემით ყურადღებას იპყრობს გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის ო. ჭინორიასეული თარგმანი, რომელიც ცალკე წიგნად 1981 წელს გამოქვეყნდა.

გოეთეს ეპიკური პოეზიის საყურადღებო ნიმუშს — „ჰერმან და დოროთეას“ ქართველი მკითხველი პირველად 1923 წელს გაეცნო, ვ. დონდუას თარგმანის მიხედვით, რომელიც გალაკტიონის უფროსალში (№ 2—7) გამოქვეყნდა. ამ ნაწარმოების ახალი, ვ. ბეწუკელისეული თარგმანი ცალკე წიგნად 1967 წელს დაიბეჭდა. ვ. ბეწუკელმა ათმარცვლიანი ლექსით თარგმნა „რაინეკე მელა“. რომელიც ორჯერ გამოიცა.

ორჯერ გამოიცა (1956 და 1971 წწ.) გოეთეს დრამების ვ. ბეწუკელისეული თარგმანებიც. პირველ გამოცემაში შესულია „გოეტ ფონ ბერლინზინგენი“, „ეგმონტი“, „იფიგენია თავრიდში“, „ტროკვატო ტასო“, და დრამატული ფრაგმენტი „ელაპენიორი“, მეორე გამოცემაში ამ დრამებთან ერთად მოთავსებულია „მოქალაქე გენერალი“, „პრომეთე“ და „უკანონო ასული“.

გასაგებია, რომ გოეთეს ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ქართული მწერლობის ყურადღების ცენტრში იყო და არის „ფაუსტი“, რომლის ორივე ნაწილის დ. ონიაშვილისეული თარგმანიც 1962 წელს გამოქვეყნდა. ამ თარგმანის გამოქვეყნებამდე და მის შემდეგაც ბევრმა სცადა ეთარგმნა „ფაუსტი“, მაგრამ მათ შორის როგორც მოცულობის, ისე მხატვრული ღირსების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ი. ქემერტელიძისა და გ. ჯორჯანელის თარგმანები.

მიუხედავად გოეთეს შემოქმედების თარგმანის სფეროში აღნიშნული მიღწევებისა, ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდია ხარვეზი. იგულისხმება არა მარტო ის, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ არაა თარგმნილი, არამედ ისიც, რომ თარგმნილ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი წარმოდგენასაც ვერ იძლევა იმაზე, რომ გოეთე დიდ მოაზროვნესთან ერთად მართლაც დიდი პოეტი იყო. ქართველ გერმანისტთა ახალი თაობის მზარდი ინტერესი გოეთეს ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი იმის გარანტიაა, რომ ეს ხარვეზი წარმატებით გამოსწორდება.

გოეთეს „რაინეკე მელა“

დიდი გერმანელი პოეტისა და მოაზროვნის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „რაინეკე მელა“ პირველად ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1794 წელს (გოეთეს „ახალი თხზულებები,“ მეორე ტომი).

გოეთეს მიერ საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციასთან დაკავშირებით შექმნილ ნაწარმოებთა სერიიდან ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლში „ვაიმარელმა ბრძენმა“ გადაამუშავა შუასაუკუნეების ქალაქურ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული პოემა — „რომანი მელაზე“ (უფრო ზუსტად ამ რომანის ქვემოგერმანული ვერსია), რომელიც მოგვითხრობს ეშმაკი და გაიძვერა მელას ოინებზე.

საუკუნენახევრის განმავლობაში (XII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII საუკუნის ბოლომდე) ყალიბდებოდა ცხოველური ეპოსის გრანდიოზული ძეგლი, მის შექმნაში მრავალი სხვადასხვა, უმეტესად ანონიმური, პოეტი მონაწილეობდა, სანამ XIII საუკუნის ბოლოს არ გაჩნდა რედაქტორი, რომელმაც ოცდაშვიდი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი „ტოტი“ (Tranche) ამ რომანისა გარკვეული თანმიმდევრობით დაალაგა და ერთმანეთს შეათანხმა, მაგრამ არც ამის შემდეგ შეწყვეტილა ამ რომანის გავრცობა-გადამუშავება. თითქმის საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ბევრ ავტორს მოუკიდია მისთვის ხელი, გადაუშუშავენია და მიუმატებია ახალი მასალა. ამ ეპოპეის გავრცობის, ახალი მასალების მიმატების საშუალებას ის იძლეოდა, რომ „რომანს მელაზე“ არა აქვს ერთიანი და დამთავრებული ფაბულა; მთელი ეს ვეებერთელა ციკლიური პოემა ფაქტიურად წარმოადგენს კრებულს ცალკეული ეპიზოდებისა, რომელთაც მხოლოდ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟებისა და სიუჟეტის ერთობლიობა აკავშირებთ.

საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებისამებრ, „რომანს მელაზე“ საფუძვლად უდევს როგორც ფოლკლორული მეგვეიდრობა (ჭერკიდევ წინაკლასობრივ საზოგადოებაში შექმნილი ზღაპრები ცხოველთა შესახებ). ისე წიგნური მასალაც, ბერძნულ-რომაული იგავ-არაკები, რომელთაც უხვად ვხვდებით შუა საუკუნეებში გავრცელებულ სხვადასხვა ლათინურ კრებულებში. ამ მრავალრიცხოვანი იგავებიდან შუა საუკუნეთა პოეტები მრავალგვარ სიუჟეტებს ამუშავებდნენ, მაგრამ უმთავრესად ეზოპეს იგავ-არაკებს ეტანებოდნენ. ასე მაგალითად, ეზოპეს იგავი ავადმყოფ ლომზე დაედო საფუძვლად ცნობილ პირველ ლათინურ პოემას, რომელიც დაახლოებით 940 წელს დაუწერია უცნობ ლათარინგელ ბერს. ეს პატარა პოემა „Ecbasis captivi“ („ტუსალიის გაქცევა“) მოგვითხრობს ეშმაკი მელას ამბავს, რომელმაც ავადმყოფი ლომის განსაკურნავად მგელს გააძრო ტყავი.

კიდევ უფრო საინტერესოა XII საუკუნის შუა წლებში ფლამანდრიულ ლათინისტის მაგისტრ ნივარდის მიერ შექმნილი საკმაოდ დიდი პოემა „Isengrimus“, რომელშიც გადმოცემულია მგლისა და მელას შეჭახების ეპიზოდები. ამ ნაწარმოებში იგაეურ სიუჟეტთან ერთად გამოყენებულია ადგილობრივი ხალხური ზღაპრებიც. ეს პოემა, რომელშიც უკვე იგრძნობა სატირა სამღვდელთაზე, მკვლევართა აზრით, ცნობილი იყო მელაზე რომანის პირველი „ტოტების“ ავტორებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარნი „Isengrimus“ განსაკუთრებულ როლს მიაწერენ მელაზე რომანის შექმნაში, რადგან ა. ა. სმირნოვას შენიშვნისამებრ, „მან მიაქცია პოეტთა ყურადღება ცხოველებზე თქმულებებს და სტიმული მისცა მათ შემოქმედებას ამ მიმართულებით“.

„ტუსალის გაქცევის“, „იზენგრიმისისა“ და. როგორც ჩანს, აგრეთვე სხვა ფლამანდრიული წყაროების საფუძველზე მალე შეიქმნა ფრანგული ძეგლი „რომანი რენარზე“, რომლის მიხედვითაც, დაახლოებით 1180 წელს, ელზასელმა პოეტმა ჰაინრიხ გლიხენზარემ შუა ზემო გერმანულ ენაზე დაწერა „იზენგრიმის გასაკირი“ („Isengrimus nist“).

XII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIII საუკუნეში მრავალი პოეტი ამუშავებს და ახალი მასალებით ავრცობს ამ ეპოპეას როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში. მაგრამ XIII საუკუნის ბოლოს ფრანგული ლიტერატურა გულგრილად ეპყრობა რენარის თავგადასავალს. სამაგიეროდ, მოხერხებული და გაიძვერა მელას ოინებისადმი დიდ ინტერესს რჩენენ ევროპის სხვა ქვეყნებში: ინგლისში, იტალიასა და სკანდინავიაში. ოღონდ თუ ინგლისში, იტალიასა და სკანდინავიაში პოემის თარგმნით იფარგლებიან, ხოლო ზემო გერმანიაში უპირატესად გლიხენზარეს პოემის მეტრიკული განწმენდით კმაყოფილდებოდნენ, ნიდერლანდებში ცბიერ მელაზე თქმულებებს ახალი თავგადასავლებით ამდიდრებენ. ასე მაგალითად, XIII საუკუნის შუა წლებში ფლამანდრიელმა პოეტმა ვილემმა მშობლიურ ენაზე გადააკეთა „მელაზე რომანის“ ის ფრანგული „ტოტი“, რომელშიც მეფის კარია აღწერილი. ნიკიერი პოეტი არ დაკმაყოფილდა აღნიშნული „ტოტის“ გადამუშავებით: მან გააგრძელა იგი და შექმნა ახალი ეპოპეა, რომელიც პროვითხრობს, თუ როგორ მოატყუა მელამ მეფის ელჩები — დათვი და კატა და როგორ გაემგზავრა მეფის კარზე თავის ძმისწულ მანქთან ერთად.

ვილემს გამოტოვებული აქვს ლომის ავადმყოფობის ამბავი, რაც ფრანგულ „ტოტში“ შემდეგნაირად არის გადმოცემული: დაგვიანებით გამოცხადებულმა მელამ თავი იმართლა, თითქოს სალეროში იყო წასული მეფისათვის წამლის მოსატანად. მელამ თავის მოხერხებით არა მარტო განრისხებული ლომის გული მოიგო, არამედ შურიც იძია თავის მტრებზე: მგელიც, დათვიც, კატაც და თვით ირემიც კი იძულე-

ბული გახდნენ მელას მიერ მოგონილი წამლას დასამზადებლად ზოგს თავისი ტყავო, ზოგს ქონი, ზოგს კიდევ სხეულის რომელიმე ნაწილი გაეღოთ.

ვილემი თავის მოთხრობას სულ სხვა მიმართულებას აძლევს: მელას ჩამოხრჩობით სიკვდილს მიუსჯიან და მგელს, დათვსა და კატას მიჰყავთ იგი ჩამოსახრჩობად, მაგრამ მელა მოახერხებს ლომის მოტყუებას, გაუმხელს მას შეთქმულებას, რომელსაც თითქოსდა მის წინააღმდეგ დათვი და მგელი აწყობდნენ, არ დაინდო არათუ თავისი ნათესავი და უახლოესი მეგობარი მაჩვი გრიმბარტი, აბამედ საკუთარი მამაც კი, შეთხზა ამბავი დაფარულ განძზე და თავი ისე მოაჩვენა ლომს, თითქოს მხოლოდ მან იცოდა დამალული განძის ადგილმდებარეობა და ასე დაიხსნა თავი. ანგარებთანმა მეფემ გაათავისუფლა იგი, პაპის მიერ ეკლესიიდან მოკვეთილს უფლება მისცა პილიგრიმად წასულიყო რომში, ოღონდ იქიდან დაბრუნებულს განძი უნდა ეჩვენებინა ლომისთვის, თანაც. ლომის ბრძანებით, მგელი და დათვი იძულებული გახდნენ, პილიგრიმად გამზადებული მელასათვის თავიანთი ტყავი მიეცათ ფეხსაცმლისა და შულდაკისათვის; მაგრამ გასცილდა თუ არა სასახლეს, მელამ მოჰკლა საწყალო კურდღელი, რაც თავხედურად შეატყობინა ლომს სულელი ცხვრის პირით. განრისხებულმა მეფემ ცხვარი, როგორც კურდღლის მკვლელობის მონაწილე, მთელი შთამომავლობით სამუდამოდ გადასცა მგელს და დათვს.

XIV საუკუნის მეორე ნახევარში, დაახლოებით 1375 წელს, უცნობმა დასავლეთელანდრიელმა პოეტმა გადააკეთა ეს ნაწარმოები და დაუმატა ახალი, ბევრად უფრო ღიდი ნაწილი. ეს ნაწილი მოგვითხრობს მელას მიერ ჩადენილ შემდგომ ხრიკებს. რომლებთანაც მან კვლავ შესძლო განრისხებული ლომის დამშვიდება. პოემა მთავრდება მგლისა და მელას ორთაბრძოლით: ამ ორთაბრძოლაში მოხერხებულმა მელამ დაამარცხა მასზე გაცილებით უფრო ძლიერი, მაგრამ მოუხეშავი მგელი.

XV საუკუნეში ჰინრიკ ვან ალკმარმა დაჰყო ეს პოემა თავებლად, დაასათაურა ისინი და ცალკეულ ნაწყვეტებს დაურთო პროზაული ახსენა-განმარტებანი, რომლებშიც მოცემულია ცდა ამ ნაწარმოების მორალური, პოლიტიკური და სოციალური აზრის გაშუქებისა.

ჰინრიკ ვან ალკმარის რედაქცია, რომლისგანაც ჩვენამდე რამდენიმე თაბახმა მოაღწია, XV საუკუნეშივე თარგმნა უცნობმა ქვემოგერმანელმა პოეტმა. მთარგმნელს ნება მიუცია თავის თავისათვის ალკმარის რედაქციაში შეეტანა ზოგიერთი ცვლილება და დაემატებინა მისთვის ცოტა რამ. ასე წარმოიშვა „Reinike de Vos“, რომელიც დაწერილია ოთხმუხლოვანი იამბით. იგი, გრავიურებით შემკული, დაიბეჭდა 1498 წელს ლუბეკში. ეს ნაწარმოებები ახალ გერმანულზე პროზით თარგმნა და დედანთან ერთად 1752 წელს გამოსცა გოტშედმა. ცხადია, გოტშე-

ღის მშრალი, პედანტური თარგმანი, რომელიც არც შეცდომებისაგან იყო თავისუფალი, ვერ აგრძნობინებდა მკითხველს ორიგინალის ძალას, მაგრამ მან მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თუნდაც იმით, რომ სწორედ ამ თარგმანით გაეცნო გოეთე პირველად ძველ სიუჟეტს. და იგი ვახდა მისი „რაინეკე მელას“ — „ახალი დროის ცხოველური ეპოსის კლასიკური ნიმუშის“ — წყარო.

„რომანი მელანზე“ განსაკუთრებით ინტენსიურად შეასაუკუნეთა ქალაქების აღმავლობის პერიოდში იქმნებოდა და თავდაპირველად უწყინარი იუმორის ხასიათი ჰქონდა. დროთა ევთარებაში, სოციალ-კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებასთან ერთად მოქალაქეთა ინტერესების გამოხატველი უწყინარი იუმორი ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ მწვავე პაროდიად და, ბოლოს, მძაფრ სატირად იქცა. ეს სატირა ჭერ კიდევ გლიხეზარეს „რაინჰარტ მელასში“ შეიმჩნეოდა, უფრო მძაფრია ქვემოგერმანულ „რაინეკე დე ფოსში“, რომელიც მთელი მაშინდელი საზოგადოების მანკიერებათა ამსახველ ვეებერთელა სარკეს წარმოადგენს.

სწორედ იმიტომ, რომ ამ შუასაუკუნეობრივ ეპოქაში დაუფარავად არის მხილებული თანამედროვე საზოგადოების გახრწნილი მხარეები. ამ პოემას დიდმა გერმანელმა რეფორმატორმა მართინ ლუთერმა „საკარო ცხოვრების ცოცხალი კონტრაფაქტურა“ უწოდა.

ცნობილი ფრანგი ლიტერატურისმცოდნის ლანსონის აზრით, ყველა ნაწილი ამ პოემისა, რომელშიც პაროდიასა და მძაფრი დაციენის საგანია ყველაფერი, რაც კი „ყრსებითად ან შემთხვევით არისტოკრატიულ და კლერიკალურ ხასიათს ატარებს“. გამსჭვალულია სულსკვეთებით, გონებას მოუპოვოს. გამარჯვება. მართლაც, პოემაში, სადაც თუმცა მხეცთა სამეფოა გამოსახული, მაგრამ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლის ნიღაბი ამა, თუ იმ მხეცისა, მათი მბრძანებლის ლომის მეთაურობით, იმდენად რეალურია, რომ ადვილი გამოსაცნობია ყოველი მათგანის ადგილი ფეოდალურ საზოგადოებას იერარქიულ კიბეზე (მოუქნელი და ზონზროხა დათვი პრაუნი, ბოროტი და უხეში მგელი იზენგრიმი, ღვთისმოსავი მაჩვი გრიმბარტი ფეოდალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგანან, ხოლო ცხვარი ბელინი, კურდღელი ლამპე, მამალი ჰენინგი და სხვ., რომლებსაც ჩაგრავენ მეფე-ლომი და მისი დაახლოებული პირნი, დაბალ საფეხურზე იმყოფებიან). როგორ ფიგურად წარმოგვიდგება მელა — „წარმოშობით დიდგვაროვანი“ მამულისა და ციხე-კოშკის მფლობელი, ისეთივე მძარცველი და მოძალადე, როგორც დათვი და მგელი, მაგრამ მათზე გონიერი და მოხერხებული, — რომელიც, ამ თვისებათა გამო, როგორც საბჭოთა მკვლევარი ა. ზავედიე ამბობს, უფრო მდიდარ მოქალაქეს, ბურჟუაზიული წყობის მტაცებელს მოგვაგონებს. ვიდრე ფეოდალს.

სწორედ თავისი გონიერებითა და ხერხით იგი ყოველი მდგომარეობიდან პოულობს გამოსავალს და ყოველთვის იმარჯვებს ფიზიკურად მასზე გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგეებზე.

აქ გონება ზეიმობს ძალაზე. და ჟუმცა ამ ზეიმს უმეტეს შემთხვევაში უპატიოსნო გზით — ცბიერებით, ეშმაკობით, სიცრუით, შარლატანობითა და ფარისევლობით აღწევს. მკითხველის სიმპათია მანაც მელას მხარეზე რჩება, რადგან არც ერთი მისი გონებააღმდეგი მოწინააღმდეგე არ იტყოდა უარს თავისი მიზნის მისაღწევად ყოველივე ამაზე, სათანადო გამჭირახობა და მოქნილობა რომ ჰქონოდა.

მაგრამ ეს სიმპათია შედარებითია. მას იმსახურებს მელას გონება, მისი გამჭირახობა და არა მისი საქციელი. იგი უფრო „დახვეწილი“ მაგრამ ისეთივე მძარცველია, როგორც ლომი, დათვი და მგელი. თანაც თავისი მოქნილობისა და გაჭირახობის გამო მათზე უფრო საშიშიც. ასე რომ, ფეოდალური არისტოკრატისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ მიმართული ეს სატირა არც ბიურგერობას ინდობს და მის მანკიერებათა კრიტიკას წარმოადგენს.

მართალია, გოეთე ახალგაზრდობიდანვე იცნობდა ამ მასალას: ჯერ კიდევ 1765 წლის 13 ოქტომბერს თავისი დისადმი გაგზავნილ წერილში იხსენიებს „საგმირო პოემას“ („Heldengedicht“) რაინეკე მელაზე, ხოლო 13 წლის შემდეგ, 1778 წ. ფრაუ შტაინს სწერს წერილს, რომელშიც თავის თავს „რაინეკეში“ გამოყვანილ დათეს ადარებს, მაგრამ ამ ნაწარმოების გადამუშავებას მხოლოდ 1793 წელს შეუდგა, საფრანგეთში მომხდარ დიდ პოლიტიკურ ძვრებთან დაკავშირებით.

„ვაიმარელი ბრძენი“ თავად იყო აღზრდილი საფრანგეთის რევოლუციის დიად იდეებზე და მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე იმ იდეების ერთგული მიმდევარი, „ძმობის, ერთობის და თავისუფლების“ ლოზუნგის განხორციელების ქომაგად გვევლინება.

დიახ, გოეთეს არასოდეს აუღია ხელი ქვეშაობითი თავისუფლებისა და თანასწორობის იდეაზე. მაგრამ, დროთა ვითარებაში, შეცვალა გზა მისი სინამდვილედ ქცევისა — იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, არსებული მანკიერი გარემოს შტურმერული ამბოხით გარდაქმნის ნაცვლად ახალი, ჰარმონიულად განვითარებული საზოგადოების შექმნის გზად ფეოდალური ურთიერთობით შერყენილი ადამიანის ზნეობრივი აღზრდა, მისი სულიერი და მორალური სრულყოფა დასახა. ამიტომაც გოეთე — პირველი გერმანელი მოაზროვნეთა შორის, ვინც სწორად გაიგო და შეაფასა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის: დიდი მნიშვნელობა, როგორც დასაწყისი ახალი ერისა („ამიერიდან — მიმართა მან საფრანგეთის რევოლუციური არმიის მიერ ავსტრია-პრუსიის ჯარის ვალმასთან დამარცხების შემდეგ მასთან ერთად მყოფ ოფიცრობას — იწყება ახალი ერა მსოფლიო ისტორიისა და თქვენ შეგიძლიათ თქვათ,

რომ ესწრებოდით მის ჩასახვას“), უარყოფითად განეწყო რევოლუციის იაკობინისტური პრაქტიკის წინააღმდეგ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ რევოლუციაში მან იმ დროს მხოლოდ მნგრეველი ძალა დაანახა და ვერაფერი შენიშნა შემოქმედებითი. დიდი ხნის შემდეგ. ეკერმანთან საუბარში (1824 წ. 1 აპრილი) გოეთე აღნიშნავს: „მე არ შემეძლო ვყოფილიყავი რევოლუციის მეგობარი, რადგან მისი საშინელებანი ჩემს თვალწინ ხდებოდნენ და ყოველდღიურად და ყოველ საათს მაშფოთებდნენ, მაშინ როდესაც მისი კეთილისმყოფელი შედეგები არსად სჩანდაო“.

რევოლუციის იაკობინისტური პრაქტიკისადმი „ფაუსტის“ ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება გამოწვეული იყო არა მარტო მაშინდელი გერმანული სინამდვილით შეზღუდული „ფრანკფურტელი პატრიციის ფრთხილი შთამომავლის, ან ვაიმარელი საიდუმლო მრჩეველის“ ფილისტერული შიშით, არამედ გამპრიახობითაც, „გენიალური პოეტის, ურჩი, დამცინავი, ქვეყნის მქირდავი განიოსისა“ (ფრ. ენგელსი), რომელიც ნათლად ხედავდა ბურჟუაზიული რევოლუციის შეზღუდულობასა და მანკიერებას, ამჩნევდა, რომ ბურჟუაზიული რევოლუციაც ვერ ათავისუფლებს შრომას, რომელსაც თელიდა პროგრესული კაცობრიობისათვის ოცნებადქცეულ უკეთესი მომავლის შექმნის აუცილებელ პირობად. უფრო მეტიც, მისთვის ცხადი გახდა, რომ ბურჟუაზიის ბატონობა კი არ სპობს ექსპლოატაციას, არამედ ცვლის ექსპლოატაციის, ძველ, აშკარა და მოუქნელ ფორმას ახალი, შენიღბული და უფრო ელასტიური ფორმით, რითაც ფაქტიურად ზრდის ექსპლოატაციის ხარისხს. აქაც გონებაჩლუნგ და ტლანქ მგელსა და დათვის ცვლის მოწერხებული, გაქნილი და გაიძვერა მელა, რომელსაც სულაც არა აქვს ნაკლები მადა.

ყოველივე ამან კრიტიკულად განაწყო გოეთე საფრანგეთის რევოლუციისადმი. რის შედეგადაც იგი ცდილობდა ისტორიის შემოტევისაგან დაეცვა თავი და მრისხანე პოლიტიკურ მოვლენებს განრიდებოდა. სწორედ ამ დროს მიიპყრო მისი ყურადღება „რაინეკე მელამ“. გოეთე თავად ამის შესახებ წერს: „ამ საშინელი უბედურებისაგან (იგულისხმება 1793 წლის იანვარში პარიზში მომხდარი ამბები. — დ. ლ.) თავის დახსნა იმით ვცადე, რომ მთელი ქვეყანა უღირსად ჩავთვალე, როცა იღბლად „რაინეკე მელა“ ჩამივარდა ხელთ. იმისათვის რომ მთლიანად, მთელი ჩემი არსებით დავმტკბარიყავი ამ ფასდაუდებელი წიგნით, იმ წამსვე დავიწყე მისი თარგმნა“.

თუმცა გოეთე 1793 წლის 2 მაისს თავის მეგობარ იაკობის სწერს: „ამ სამუშაოს იმიტომ მოვიკიდე ხელი, რათა მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში განვრიდებოდი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებს და ამას კიდევაც მივალწიეო“, მაგრამ სინამდვილეში „რაინეკე მელა“ სწო-

რედ ამ მოვლენების გამოძახილს, მათთან მწერლის დამოკიდებულებასა და მათზე მის პასუხს წარმოადგენს.

„თავისდროინდელ პოლიტიკურ პრობლემათაგან“ გოეთეს განრიდება რომ მხოლოდ შედარებითა და, შეიძლება ითქვას, მოჩვენებითიც, ამას მისი „რაინეკე მელას“ შინაარსიც მოწმობს. საინტერესოა, რომ გოეთე, თავად ზემოაღნიშნული წერილის დაწერიდან ერთი თვის შემდეგ, 1793 წლის 28 ივნისს, შარლოტა ფონ კალბისადმი მიმართულ ბარათში წერდა: ძვირფასო მეგობარო, თქვენთან ინება მობრძანება გაიძვერა რაინეკე მელამ და ფიქრობს, რომ კარგად მიიღებთ, რაკი მისი მოდგმა ჩვენს დროშიც დიდადაა პატივცემული და აუცილებელი კარზე და მეტადრე რესპუბლიკებში, სრულიად კანონიერია სურვილი, რომ საფუძვლიანად გავეცნოთ მის ოინებს“. კიდევ უფრო საინტერესოა „რაინეკეს“ გამოქვეყნებიდან ოცდაცხრა წლის შემდეგ, 1823 წ. გოეთეს მიერ დაწერილი შემდეგი სტრიქონები: „სწორედ წინააღმდეგობის ეს სულისკვეთება. — უკუმეგდო ყოველგვარი სენტიმენტალობა და, თითქმის სასოწარკვეთილი, გარდუვალ სინამდვილეს დავენებებოდი, — წააწყდა „რაინეკე მელას“ როგორც ნანატრ საკვებს. ხელი მოვკიდე მის გადამუშავებას, რომელიც თარგმნასა და გადაკეთებას შორის მერყეობს. ჩემი შრომა, მიძღვნილი ქვეყნის ამ „უწმინდური ბიბლიისადმი“ („unheilige Weltbibel“) იყო ჩემი ნუგეში და სიხარული შინ და გარეთ“.

საუკუნეთა სიღრმეში შექმნილი ეს. ცხოველური ეპოსი იმიტომ იქცა გოეთეს „ნუგეშად და სიხარულად შინ და გარეთ“, რომ მასში მან თითქმის მზამზარეულად ჰპოვა ასახული თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობანი და ამ საზოგადოების მანკიერებანი.

„ვამარელი ბრძენი“ მარტო ფეოდალური სამყაროს წინააღმდეგ კი არ იყო ამხედრებული, სადაც მბრძანებელმა ლომმა სამუდამოდ საჩივრად გადასცა მგელსა და დათვის საწყალი ცხვარი მისი შთამომავლობითურთ, არამედ თვით ბურჟუაზიულ საზოგადოებასაც კრიტიკულად უყურებდა და მის წინააღმდეგაც მიმართავდა თავის სატირას, რადგან გოეთეს წარმოდგენით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბურჟუა ფეოდალზე უარესი იყო. და „ამაყი, დამცინავი, ქვეყნისმოძულე გენიოსის“ „თითქმის სასოწარკვეთა“ იმით იყო გამოწვეული, რომ იგი საზოგადოების ვერც ერთ ფენაში ვერ ხედავდა ქვეყნად გაბატონებული ბოროტების აღმომფხვრელ ძალას. რაინეკეს მსხვერპლნი იმიტომ გახდნენ ყურდღელი, ლამპე, ცხვარი ბელინი და სხვანი მრავალნი, რომ მათ არ შესწევდათ ბრძოლის უნარი, მოთმინებით იტანდნენ ყოველ ტანჯვას და საწყლად ელოდნენ თავიანთ ბედს, ვინაიდან:

სანახევროდ ყველა მათგანი
იყო სულელი, გონებაჩლუნგი
და გაუთლელი, უხეში თანაც.

რაინეკე, არსებული სოციალური მანკიერების მკაცრი მამხილებელი, კარგად ხედავს თავისი საქციელის ამორალურობას, მაგრამ სრულადაც არ ფიქრობს აილოს მასზე ხელი, რადგან ძარცვასა და მტაცებლობას თანამედროვე საზოგადოების თვისებად თვლის.

საშინელი ღრო დაგვიდგა უკვე —
რაღა არ ხდება იქ, ზევით, ასლა?
თუმცა, ამ-ს თქმას ვერაერ ბელაჟა,
მიანც ბეერ რაქს ვსედაუთ და ე.ჩჩევთ,
და ჩუმად ვიწერთ გულის ფიქარზე. —

ეუბნება იგი გრინბარტს.

იმაში დარწმუნებული, რომ მლიქვნელობას, თაღლითობას, ბოროტებას და ძალმომრეობას ღრმად და შორს გაუდგამს ფესვი, რომ თვით ხელმწიფეა ყველაზე დიდი მძარცველი და დიდ მძარცველთა მხარის დამჭერი და რომ:

პატარა ქურდებს ახრჩობენ ხოლმე,
დიდთ კი უფლება ხელთა აქვთ დადი,
მართონ ქვეყანა, ვით ნებავთ ისე,
დაეპატრონონ ციხეებს ძალით. —

რაინეკე გაანდობს გრინბარტს: ყოველივე ამას რომ ვხედავ, მეც ასე ვიქცევი და ხშირად ვფიქრობ, რადგან ყველა ესე იქცევა, ალბათ, კანონია-მეთქი.

ფეოდალურ-ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წესწყობილების, მისი მმართველობის, მასში გამეფებული მექრთამეობის მართალი სურათია მოცემული „რაინეკე მელას“ მეათე ქებაში, სადაც ნათქვამია:

მაგრამ თაღლითნი, თავხედნი ყოველად,
განორჩომ-საჯ-ს რომ მოქმედებენ,
აღზეუბულნი ვამბადრან უკვე:
სულ დაუწყვეს კანონი, სიბრძნე,
ახლა ლაქია დიდკაცი გახდა...
ეს რას გამოჩვენს, ეს ახსოვს მხოლოდ.
ასეთი ჭურას დიდკაცი ბევრი
მოიძებნება ჩვენს გარეშეშო.
თხოვნას: ყურსაც კი არ ათხოვებენ,
თუ მასთან ქრთამი არ დაუმატე,
არ განამტკიცე შენ თხოვნა ამით:
და თუ ვიბრძნებს: „კიდევა გვნახეთ!“
ეს ამას ნიშნავს: „მოგვიტანეთო!“
ღიან „მიტანა“, „მიტანა“ მხოლოდ
ერაზხელ, მეორედ და მესამედაც.

ცხადია, რომ იქ, სადაც

ის ხალხი უყვართ განსაკუთრებით,
ვინც სასახლეში მიდიან ძღვენით
და თანაც მეფის სტივორზე ცეკვავენ,

სიმართლეს გასაავალი არ ექნება, რომ ასეთ საზოგადოებაში პირმოთ-
ნეობა, მლიქვნელობა და ფარისევლობა იქნება გაბატონებული და

ვინც დაუფიქრებლად
სიმართლეს რომაეს ყოველთვის ხოლმე,
ყველგან ყველასგან განიცდის დევნას
და მას ყოველთვის სტოვებენ უკან,
როცა სუფრასთან იწვევენ სხვებსა.

„რაინეკე მელა“ ფარდას ხდის ფეოდალურ-ბურჟუაზიული საზოგა-
დოების ყველა ინსტიტუტს, მის ზეღისუფალთა თავნებობას და ბიუ-
როკრატიული სასამართლოს გამყიდველობას, მაგრამ იგი განსაკუთრე-
ბით ესხმის თავს ზნეობრივი სიწმინდის დამცველად წარმოდგენილ სა-
სულიერო პირთა ზნედაცემულობას და გარყვნილებას, მათ პარპაზს,
მექრთამეობას და გამდიდრების გაუმძღვარ წყურვილს.

მარტინ-მაიმუნა, ეპისკოპოსის მწერალი, ანუგეშებს შეშინებულ
რაინეკეს, „რომის წესრიგი მე კარგად ვიცოი“ და ჰპირდება ყოველგვა-
რი ცოდვების შენდობას, რადგან რომში ჰყავს ბიძა „მამა სიმონი“ —

პატივცემული და ყოვლის შემძლე,
ძღვენის მიმართმევთა ქობაგი დიდი.

და იქვე, პაპის მახლობელ თავის მეგობრებს რომ ჩამოუთვლის, უძატებს:

რაც უნდა ცერად არ გქონდეთ საქმე,
მაშინვე სწორად შეტრიალდება
დიდი ძღვენის და ქრთამის წყალობით.
ფული გაქვს? — მყისვე გაგამართლებენ,
მაგრამ რა წამსაც შემოგაკლდება,
მიგიკეტავენ იქავე კარსა.

იმავე მარტინის თქმით, მოხუც და სნეულ პაპს, „ქრისტეს მოად-
გილეს“ ამქვეყნად, აღარავითარი გავლენა აღარ აქვს. მთელი ძალაუფ-
ლება ხელთ უპყრია ახალგაზრდა კარდინალს, რომელიც ეკლესიის
„წმინდა საქმეებს“ თავისი საყვარლის სურვილისამებრ წყვეტს. მარ-
ტინი ამბობს:

მას უყვარს ერთი მანდილოსანი,
რომელსაც ვიცნობ; მივუტან წერილს
და, რასაც ეტყვის ეს ქალბატონი,
მყის შეუსრულებს, ვერ ეტყვის უარს.

არანაკლები გავლენა აქვს კარდინალზე საქმის მწარმოებელს, რო-
მელიც „ძველსა და ახალ ფულს კარგად იცნობს“, ჰორეგენაუს — პაპის
კარისკაცს, ნოტარიუსს — „ორთავ სამართლის ბაკალავრს“ და აგრეთ-
ვე „ორ მოსამართლეს“ — მონეტასა და ლონარტიუსს, რადგან

რაც უნდა იყოს, ვერაინ შესცვლის
საბაჯელს, მათ მიერ გადაწყვეტულსა.

ყოველივე ამას რომ ჩამოთვლის, შემდეგ ისევე მარტინი ამბობს:

ასე პოულობს გასაქანს რომში
ათასი ხრიკი და ცბიერება,
პაპმა კი მათზე არა ღელის რა,
იქ ხომ ყველაფერს სწყევტს ნაცნობობა.

სასულიერო პირთა გარყვნილება და ზნედაცემულობა, სიხარბე და გამდიდრების წყურვილი, თავაშვებულობა და უსინდისობა აშკარად ჩანს მაჩეთან რაინეკეს საუბარში, სადაც მელა სამღვდლოებს მოქმედებას აღწერს და დაასკვნის:

აი, ვინ გარყვნა შთელი ქვეყანა.
და ბოროტება ასწავლა ერსა.

დაცინების და გადაგვარების გზაზე დამდგარი გონებაჩლუნგი არისტოკრატიის ბატონობა, გარყვნილი და ზნედაცემული სასულიერო წოდების პარპაში, მოხერხებული და ცხოვრების პირობებთან უფრო შეგუებული ბურჟუაზიის ცდები, თვით იგდოს ხელში ყველაზე მსუქან ლუკმა, ხალხის უმწეობა და უუნარობა, ძველი და ახალი მტაცებლებისაგან დაიცვას თავი, — ყოველივე ეს „რაინეკე მელას“ აქცევს ფეოდალურ-ბიურგერული გერმანიის „საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო პანორამად“ და იმავე დროს მძაფრ სატირად, რომელიც თანაბრად ამხელს როგორც დრომოქმულ ფეოდალურ საზოგადოებრივ წყობილებას, ისე ბურჟუაზიულ ურთიერთობათა მანკიერებას. სწორედ ამიტომ არის, რომ, საბჭოთა მკვლევარის ა. გ. გაბრიჩევსკის თქმისამებრ, „მიუხედავად ამ ეპოპეის მხიარული და ეპიკურად მშვიდი ტონისა, გოეთეს ვერც ერთ ნაწარმოებში ვერ ნახავთ ასეთ მუქ, უსინარულო, მკაცრ სურათს კაცობრიობისა, ერთი შეხედვით, ეგოდენ უწყინარი ცხოველთა ნიღბებით რომ გვევლინება“.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ გოეთეს „რაინეკე მელა“ თითქმის სიტყვასიტყვით მოჰყვება თავის უშუალო წყაროს, გოტშედის მიერ თარგმნილ ქვემოგერმანულ „რაინეკე დე ფოსს“. ამ ვეებერთელა პოემაში, რომელიც 4312 ჰეგზამეტრს შეიცავს, თავად გოეთეს „ჩანამატს“ მხოლოდ 16 ჰეგზამეტრი შეადგენს¹, სამაგიეროდ, ფორმის მხრივ „რაინეკე მელა“ არსებითად განსხვავდება თავისი წყაროსაგან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „რაინეკე დე ფოსი“ ოთხმუხლოვანი გარითმული იამბით იყო დაწერილი, გოეთემ კი ჰეგზამეტრით გააწყო. გერმანული ლექსთწყობისათვის ამ უცხო ზომას პირველად კლოპშტოკმა მიმართა „მერიადაში“, მერე ი. გ. ფოსმა „ილიადასა“ და „ოდესეას“ თარგმანში,

¹ ქართულ თარგმანში 32 სტრიქონი. იხილეთ მერვე ქება, სტრიქონიდან „აველაზე მეტად მაშფოთებს მე ის“ სტრიქონამდე „ღრმად ვიძირებით ბოროტებაში“ და სტრიქონიდან „სასულიერო პირთ, რა თქმა უნდა“, სტრიქონამდე „სოფლის ცოცხლებას გადაყოლილთ“.

ორიგინალურ იდილია „ლუიზასა“ და სხვა ნაწარმოებებში. გოეთემ საბოლოოდ დააკანონა იგი გერმანულ ლიტერატურაში. მან დაარღვია ანტიკური ჰეგზამეტრის მკაცრი კანონები, რითაც ბუნებრივად ააქდერა იგი გერმანელი მკითხველისათვის.

გოეთეს ზოგიერთი თანამედროვე უარყოფითად მოეკიდა პოეტის ამ ცდას. საკმაოდ ცნობილი პოეტი და ლექსის საუკეთესო მცოდნე, მაგრამ „მშრალი პედანტი“ ფოსი, რომელსაც დაუშვებლად მიაჩნდა ანტიკურ პროსოდიიდან ოდნავ გადახრაც კი, ჰეგზამეტრს უწუნებდა გოეთეს. იგი 1794 წლის 13 ივნისს სწერს თავის მეუღლეს: „დავიწყე გოეთეს „რაინეკე მელას“ კითხვა, მაგრამ ვერ დავსძლიე. გოეთემ მთხოვა აღმენიშნა ცუდი ჰეგზამეტრები, მაგრამ გულასდილი თუ ვიქნები, ყველა ჰეგზამეტრი უნდა აღვნიშნო“. იმავე წლის 17 ივნისს გოეთესადმი მიმართულ წერილში იგი აღნიშნავდა, რომ პოემის ტონი წეესატყვისება შინაარსსო, მაგრამ ამასთანავე წერდა: „რა აკლია-ლექსს? მე მგონი, ტერფები ანუ რიტმები უფრო მრავალფეროვანი უნდა იყოს, ჰარბიბს ტროქეული მახვილები, ხოლო სპონდები, რომელთაც ძნელია გვერდი ავუაროთ, აქ თითქმის არაა და აგრეთვე დაქტილური მახვილებიც იშვიათად გვხვდება“.

მაგრამ თანამედროვეთა დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით კი გოეთეს დიდი მეგობრები, მაღალ შეფასებას აძლევდნენ „რაინეკე მელას“. ჰერდერი, — გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, — „მარადიულ ეპოპეას“, „გერმანული ერის პირველ და უდიდეს ეპოსს, უფრო სწორად, ჰომეროსის შემდეგ ყველა ერის უდიდეს ეპოსს“ უწოდებდა მას და „სამყაროს სარკედ“ მიიჩნევდა.

ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევდა „რაინეკე მელას“ გოეთეს უახლოესი თანამებრძოლი, გერმანიის უდიდესი დრამატურგი ფრიდრიხ შილერი. 1796 წლის 26 მარტს იგი ასე სწერდა ფ. ჰუმბოლდტს. „ვეფიქრობ, ძველი ზომები, მაგალითად, ჰეგზამეტრი, იმიტომ უხდება ნაივურ პოეზიას, რომ სერიოზულია, ზომიერად მიიმართება და არ თამაშობს თავის საგანთან. სწორედ ეს სერიოზულობა, რომელსაც, მაგალითად, „მელაში“ ვხვდებით, ჰქმნის თხრობაში სიმართლის იმ შთაბეჭდილებას, რაც ნაივური ტონის უპირველეს მოთხოვნილებას წარმოადგენს“.

სამიოდე თვით უფრო ადრე, 1796 წლის 25 იანვარს, იმავე ჰუმბოლდტისადმი მიწერილ წერილში „რაინეკე მელას“ წინააღმდეგ ზოგიერთთა გალაშქრებას შილერი უსაფუძვლოდ თვლის და ამბობს: „რაინეკე მელა“, სიმართლეს თუ ვიტყვი, საუკეთესო პოეტური ნაყოფია იმათ შორის, რაც კი დიდი, დიდი ხნის განმავლობაში შექმნილა, სამარ-

თლიანად განეკუთვნება პირველხარისხიან პოეტურ ნაწარმოებთა რიცხვს და პირდაპირ შემადრწუნებელია, მას ასე ცუდად რომ ეპყრობიან“.

„რაინეკე მელაზე“ გოეთეს დიდ თანამედროვეთა ასეთი მაღალი აზრი გამოწვეული იყო არა მარტო მისი ფორმით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, შინაარსით. შინაარსის გამო უწოდა „რაინეკეს“ ჰერდერმა „სამყაროს სარკე“, ხოლო შილერმა მიუძღვნა ეპიგრამა, რომელშიც წერდა:

საუკუნეთა მიღმა იყოს ვითომც შექმნილი,
მაგრამ, დახედეთ! სიუჟეტი თითქოს დღეს იშვა.

სწორედ იმან, რომ ეს „უწმინდური ბიბლია“ „სამყაროს სარკე“ იყო, ხოლო „სიუჟეტი თითქოს დღეს იშვა“ და მკვეთრმა სატ-რამ წინააღმდეგ ფეოდალურ-ბურჟუაზიული საზოგადოებისა განსაზღვრა „რაინეკე მელას“ ძალა და ღირებულება, გამოქვეყნებისთანავე მიიქცია საყოველთაო ყურადღება და დაუყოვნებლივ ითარგმნა მრავალ ენაზე.

დიდი ინტერესი გამოიწვია „რაინეკე მელამ“ რუსეთშიც. როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდეგ იგი რამდენჯერმე ითარგმნა. ქართველი მკითხველი ამ ნაწარმოებს ფაქტიურად ორმოცდაათიანი წლების ბოლოს გაეცნო ვახტანგ ბეწუჯელის თარგმანის მიხედვით. ფაქტიურად-თქო ვამბობ იმიტომ, რომ, მართალია, მცხრამეტე საუკუნეში იგი ორჯერ იყო გადმოღებული, მაგრამ მათ თითქმის არაფერი აქვთ საერთო გოეთეს პოემასთან. პირველი მათგანი (ალ. ჭიჭინაძეს ეკუთვნის) დასათარგმნელია: „მელას ცუდლუტობა. გიორტეს პოემიდან რაინეკე ლის, რუსულით“ (ყურნ. „ნობათი“, 1885 წ., №№ 1 და 2-3-4), და წარმოადგენს „რაინეკე მელას“ პირველი თავების მეტისმეტად შემოკლებული შინაარსის პროზაულ თხრობას. პროზითვე გადმოუღია იგი გ. იოსელიანს. 1895 წ. წიგნად გამოცემული პესკოვისეული თარგმანის მიხედვით გადმოღებული ქართული თარგმანი არათუ ფორმას, მრავალი პასაჟის შემოკლების გამო, შინაარსსაც ვერ გადმოსცემს ზუსტად. თუმცა, ესეც უნდა ითქვას, იოსელიანის თარგმანს, ნაწილობრივ მაინც, შენარჩუნებული აქვს დედნის სატირული ხასიათი.

დასასრულ, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, თუმცა ჩვენში დიდი ხანია მოისპო სოციალური ბაზისი იმ მანკიერებებისა (მლიქვნელობა, მეჭრთამეობა, გამოძალვა და სხვ.), რომლებიც წარმოადგენენ „რაინეკე მელას“ სატირის ძირითად საგანს, მაგრამ მათი გადანაშთები, ასე თუ ისე რომ აბრკოლებენ ჩვენი საზოგადოების წინსვლას, ჯერ კიდევ არცთუ იშვიათად გვხვდება და ამიტომ „რაინეკე მელა“ დღესაც უაღრესად აქტუალურია, რამდენადაც იგი სამართლიან გულისწყრომას იწვევს და განგვაწყობს ამ მანკიერებათა აღმოსაფხვრელად დღენიადაგ ბრძოლისათვის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ვეროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში	3
შესავალი	3
ვეროპეიზმი „აღორძინების ხანის“ ქართულ ლიტერატურაში	27
ვეროპეიზმის პრობლემა „გარდამავალი ხანის“ ქართულ ლიტერატურაში	134
ვეროპეიზმი ქართულ რომანტიკოსთა შემოქმედებაში	193
მსოფლიოს მერიდიანებზე	291
გერმანული კლასიკური ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში	318
იოჰან ვოლფგანგ გოეთე	397
გოეთეს „რაინეკე მელა“	420

რედაქტორი **ნ. ინახაიძე**
 მხატვარი **ზ. გორდელაძე**
 მხატვრული რედაქტორი **დ. დუნდუა**
 ტექნიკური რედაქტორი **ნ. აფხაზავა**
 გამომშვეები **ნ. ჩხეტიანი**
 კორექტორები: **ნ. კირთაძე, ე. ყარყარაშვილი**

ს. ბ. № 5853

გადაეცა წარმოებას 06.10.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 01.09.88.
 უე 02084. საბეჭდო ქაღალდი № 2. 60×90¹/₁₆ გარნიტური ეენა. ბეჭდვის
 ხერხი შალაღი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 27,0. პირ. საღ.-გატ. 27,0.
 საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 26,17.
 ტირაჟი 5000. შეკვ. № 1301.
 ფასი 1 მან. 00 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
 თბილისი მარჯანიშვილის 5.

Издательство «Сაბчота საქართველო»
 Тбилиси, Марджанишвили, 5.
 1988

11 სააწ. კორ., საქ. სსრ გამსახეობის № 4 სტამბა.
 380060, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ., მეღქალაქი,
 380060, რ. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, Медгородок.
 11 учеб. корп. типография № 4, Госкомиздата Груз. ССР.